

მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი



# საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი

პრეპუი II

ავტორთა კოლექტივის ხელმძღვანელი  
და პასუხისმგებელი რედაქტორი  
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი  
პროფესორი ოთარ მელქაძე



თბილისი  
„მერანი“  
2002

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული  
ფაკულტეტის საპროფესორ პროფ. რეზო ჯაფარიძის სახელმძღვანელო**

წინამდებარე დამხმარე სახელმძღვანელო მომზადებულია მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევით ცენტრში, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ოთარ მელქაძის ხელმძღვანელობით, ცალკეული ქვეყნების მიხედვით – მასთან თანაავტორობით: ავსტრია – დ. ლონდარიძე; ეგვიპტე – მ. მარინაშვილი; ინდოეთი – გ. მელაძე; ისრაელი – ი. კახიძე; პოლონეთი – ნ. რუხაძე; პორტუგალია და ირანი – შ. ხუციშვილი; საბერძნეთი – დ. აზმაიფარაშვილი; შვედეთი – ნ. რამიშვილი; შვეიცარია – დ. გაბეხაძე.

**ნიგინი ივაჭავაძე ასლან ავაშიძის  
ფონდის ხელშეწყობით**

კრებულში განხილულია მსოფლიოს ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი და პოლიტიკური ინსტიტუტები, გათვალისწინებულია განხილული ქვეყნების კანონმდებლობაში მიმდინარე ცვლილებები, ჩამოყალიბებულია თითოეული მათგანისთვის დამახასიათებელი განსაკუთრებული თავისებურებები.

განკუთვნილია იურისტებისა და პოლიტოლოგებისთვის, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისა და ასპირანტებისთვის, კონსტიტუციონალიზმის თეორიული ასპექტებითა და მსოფლიო პრაქტიკით დაინტერესებულ პირთათვის. შეიძლება გამოყენებულ იქნეს დეპუტატების, წარმომადგენლობითი, აღმასრულებელი ორგანოების მუშაკების მიერ.

# შინაარსი

ენათქმა .....	7
---------------	---

## ავსტრია

საეიზიტო ბარათი .....	8
კონსტიტუცია .....	8
ადამიანის უფლებები და თავისუფლებები .....	10
პარტიული სისტემა .....	12
ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მონყობა .....	13
საარჩევნო სისტემა .....	5
სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები .....	17
პრეზიდენტი .....	17
საკანონმდებლო ხელისუფლება .....	19
მთავრობა .....	24
სასამართლო ხელისუფლება .....	25
საკონსტიტუციო ზედამხედველობა .....	28
ადგილობრივი მართვის ორგანიზაცია .....	30
ავსტრიის კონსტიტუციური სამართლის განსაკუთრებული თავისებურებანი .....	32

## ეგვიპტე

საეიზიტო ბარათი .....	34
კონსტიტუცია .....	34
ადამიანის უფლებები და თავისუფლებები .....	37
პარტიული სისტემა .....	39
ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მონყობა .....	40
საარჩევნო სისტემა .....	41
სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები .....	43
პრეზიდენტი .....	43
საკანონმდებლო ხელისუფლება .....	46
მთავრობა .....	48
სასამართლო ხელისუფლება .....	49
საკონსტიტუციო ზედამხედველობა .....	52
ადგილობრივი მართვის ორგანიზაცია .....	54
ეგვიპტის კონსტიტუციური სამართლის განსაკუთრებული თავისებურებანი .....	55

## ინდოეთი

საეიზიტო ბარათი .....	58
კონსტიტუცია .....	58
ადამიანის უფლებები და თავისუფლებები .....	62
პარტიული სისტემა .....	64
საარჩევნო სისტემა .....	66
სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები .....	68
პრეზიდენტი .....	68

საკანონმდებლო ხელისუფლება .....	70
მთავრობა .....	74
სასამართლო ხელისუფლება .....	75
საკონსტიტუციო ზედამხედველობა .....	77
ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა და ადგილობრივი მართვის ორგანიზაცია .....	78
ინდოეთის კონსტიტუციური სამართლის განსაკუთრებული თავისებურებანი .....	80

## ირანი

სავიზიტო ბარათი .....	83
კონსტიტუცია .....	83
ადამიანის უფლებები და თავისუფლებები .....	86
პარტიული სისტემა .....	87
საარჩევნო სისტემა .....	89
სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები .....	90
სახელმწიფოს მეთაური .....	91
უმაღლესი სულიერი წინამძღოლის ინსტიტუტი .....	91
საწინამძღოლო საბჭო .....	93
პრეზიდენტი .....	93
ვიცე-პრეზიდენტი .....	95
საკანონმდებლო ხელისუფლება .....	95
მთავრობა .....	96
სასამართლო ხელისუფლება .....	98
საკონსტიტუციო ზედამხედველობა .....	101
ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა და ადგილობრივი მართვის ორგანიზაცია .....	103
ირანის კონსტიტუციური სამართლის განსაკუთრებული თავისებურებანი .....	106

## ისრაელი

სავიზიტო ბარათი .....	108
კონსტიტუცია .....	108
ადამიანის უფლებები და თავისუფლებები .....	110
პარტიული სისტემა .....	112
საარჩევნო სისტემა .....	114
სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები .....	116
პრეზიდენტი .....	116
საკანონმდებლო ხელისუფლება .....	118
მთავრობა .....	121
სასამართლო სისტემა .....	124
ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა და ადგილობრივი მართვის ორგანიზაცია .....	128
ისრაელის კონსტიტუციური სამართლის განსაკუთრებული თავისებურებანი .....	130

## პოლონეთი

საეიზიტო ბარათი .....	132
კონსტიტუცია .....	132
ადამიანის უფლებები და თავისუფლებები .....	134
პარტიული სისტემა .....	136
საარჩევნო სისტემა .....	138
სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები .....	140
პრეზიდენტი .....	140
საკანონმდებლო ხელისუფლება .....	142
მთავრობა .....	145
სასამართლო ხელისუფლება .....	148
საკონსტიტუციო ზედამხედველობა .....	150
ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა და ადგილობრივი მართვის ორგანიზაცია .....	152
პოლონეთის კონსტიტუციური სამართლის განსაკუთრებული თავისებურებანი ..	154

## კორტუგალია

საეიზიტო ბარათი .....	156
კონსტიტუცია .....	156
ადამიანის უფლებები და თავისუფლებები .....	158
პარტიული სისტემა .....	160
ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა .....	161
საარჩევნო სისტემა .....	164
სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები .....	165
პრეზიდენტი .....	166
სახელმწიფო საბჭო .....	167
საკანონმდებლო ხელისუფლება .....	168
მთავრობა .....	170
სასამართლო ხელისუფლება .....	172
საკონსტიტუციო ზედამხედველობა .....	175
ადგილობრივი მართვის ორგანიზაცია .....	176
პორტუგალიის კონსტიტუციური სამართლის განსაკუთრებული თავისებურებანი .....	178

## საბერძნეთი

საეიზიტო ბარათი .....	180
კონსტიტუცია .....	180
ადამიანის უფლებები და თავისუფლებები .....	183
პარტიული სისტემა .....	184
საარჩევნო სისტემა .....	186
სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები .....	188
პრეზიდენტი .....	189
საკანონმდებლო ხელისუფლება .....	190
მთავრობა .....	192

სასამართლო ხელისუფლება .....	194
საკონსტიტუციო ზედამხედველობა .....	197
ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა და ადგილობრივი მართვის ორგანიზაცია .....	197
საბერძნეთის კონსტიტუციური სამართლის განსაკუთრებული თავისებურებანი .....	201

### შვედეთი

საეიზიტო ბარათი .....	204
კონსტიტუცია .....	204
აღამიანის უფლებები და თავისუფლებები .....	205
პარტიული სისტემა .....	207
ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა .....	208
საარჩევნო სისტემა .....	210
სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები .....	212
გვირგვინის ხელისუფლება .....	212
საკანონმდებლო ხელისუფლება .....	213
მთავრობა .....	216
სასამართლო ხელისუფლება .....	220
ადგილობრივი მართვის ორგანიზაცია .....	223
შვედეთის კონსტიტუციური სამართლის განსაკუთრებული თავისებურებანი .....	225

### შვეიცარია

საეიზიტო ბარათი .....	228
კონსტიტუცია .....	228
აღამიანის უფლებები და თავისუფლებები .....	230
პარტიული სისტემა .....	231
ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა .....	233
საარჩევნო სისტემა .....	236
სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები .....	237
საკანონმდებლო ხელისუფლება .....	238
ფედერალური საბჭო .....	241
სასამართლო ხელისუფლება .....	243
ადგილობრივი მართვის ორგანიზაცია .....	247
შვეიცარიის კონსტიტუციური სამართლის განსაკუთრებული თავისებურებანი .....	249
ავტორთა შესახებ .....	251

## წიგნობის

„მსოფლიო პარლამენტარიზმის კელევიითი ცენტრი“ განაგრძობს აქტიურ საგამომცემლო საქმიანობას და პოლიტიკურ-სამართლებრივი ლიტერატურის სერიაში სულ ახალ-ახალ წიგნებს გამოსცემს. „ცენტრის“ დაარსებიდან განვლილი ექვსი წლის მანძილზე, წინამდებარე კრებული მეთექვსმეტე წიგნია. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური მოწყობის გამოცდილება ბევრ საგულისხმოს გვთავაზობს ქართული კონსტიტუციური სამართლის სრულყოფის თვალსაზრისით.

თქვენ ხელთა გაქვთ „საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართლის“ II კრებული. თუ I კრებული თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ქვეყნებს მოიცავდა, II კრებულში კონსტიტუციური სამართლის განსაკუთრებული თავისებურებებით გამორჩეული ქვეყნებია წარმოდგენილი. საერთო, თითოეულ მათგანში, თემატური სტრუქტურაა, რომელიც საინტერესო უნდა იყოს არა მხოლოდ ერთმანეთის მიმართ, არამედ საქართველოს კონსტიტუციურ სამართალში წამოჭრილი ზოგიერთი ხარვეზის დასაძლევად.

ეს ერთი მახასიათებელია თქვენს ხელთ არსებული კრებულისა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც მთავარი ის არის, რომ იზრდება ახალგაზრდა ავტორთა გუნდი, იზრდება და კიდევ უფრო ახალგაზრდავდება. თუ პირველი კრებულის ავტორთა კოლექტივის საშუალო ასაკი, რა თქმა უნდა, ჩემ გარეშე, 23 წელს შეადგენდა, მეორე კრებულში იგი არასრული 22 წელია.

ავტორთა გუნდში ძველი სახეებიც არიან. თსუ-ს კურსდამთავრებულების ნუსცა რამიშვილისა და დათო ლონდარიძისთვის ეს, შესაბამისად, მეხუთე და მეოთხე ნაშრომია „ცენტრის“ მიერ გამოცემულ ლიტერატურაში. დავით ვაბეხაძის, გიორგი მელაძის და შალვა ხუციშვილის დებიუტი შედგა ცნობარში „მსოფლიო ქვეყნების სამართლებრივი სისტემები“, სადაც გიორგისა და შალვას ორ-ორი ნაშრომია წარმოდგენილი. წინამდებარე კრებულში ახალი სახეებიც შემოდიან. ესენი არიან: „ალმა მატერის“ სახელით ცნობილი, გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებული მარინა მარინაშვილი, თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებული ნინო რუხაძე და ამავე ფაკულტეტის ამჟამად უკვე მეხუთეკურსელი სტუდენტები დავით აზმაიფარაშვილი და ირაკლი კახიძე. სავარაუდოა, რომ ავტორთა ამ გუნდის ზოგიერთი წევრი „ცენტრის“ მომავალ გამოცემებშიც გამოჩნდება.

*ოთარ მელქაძე*

## აპსტრია

სავიზიტო ბარათი. ავსტრია ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ეკონომიკური პოტენციალის მქონე სახელმწიფოა. იგი მდებარეობს ცენტრალური ევროპის სამხრეთ ნაწილში. ავსტრიას ჩრდილოეთით ესაზღვრება გერმანია და ჩეხეთი, დასავლეთით შვეიცარია და ლიხტენშტაინი, სამხრეთით იტალია და სლოვენია, აღმოსავლეთით – უნგრეთი. ქვეყნის ტერიტორია დაახლოებით 84 ათას კმ<sup>2</sup>-ს შეადგენს, მოსახლეობის რაოდენობა 8 მილიონამდე აღწევს, სახელმწიფოს დედაქალაქი არის ვენა, სახელმწიფო ენა – გერმანული, ფულის ერთეული – ავსტრიული შილინგი.

ავსტრიის სამართლებრივი სისტემა რომანულ-გერმანული ანუ კონტინენტური სამართლის ოჯახს განეკუთვნება. ავსტრია მართვა-გამგეობის ფორმის მიხედვით არის საპარლამენტო რესპუბლიკა, ხოლო სახელმწიფო წყობილების ფორმის მიხედვით – ფედერაციული სახელმწიფო.

კონსტიტუცია. ავსტრიის 1920 წლის კონსტიტუცია შედგება 8 კარისა და 152 მუხლისგან. პირველი კარი აცხადებს ავსტრიას დემოკრატიულ და ფედერაციულ რესპუბლიკად, სადაც ხელისუფლების წყაროს წარმოადგენს ხალხი. ამ კარში მოცემულია ფედერაციასა და მინებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის სფეროები და განსაზღვრულია ის საკითხები, რომლებზეც მინების სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს მინიჭებული აქვთ კანონის მიღების უფლება. ასევე ჩამოყალიბებულია საარჩევნო პრინციპები, განხილულია ავსტრიის, როგორც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები.

მეორე კარში დადგენილია, რომ სახელმწიფოში ფედერალურ საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებენ ეროვნული საბჭო და ფედერალური საბჭო, რომლებიც ერთობლიობაში შეადგენენ ფედერალურ კრებას. განხილულია მათი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, ფორმირებისა და არჩევის პრინციპები და სტატუსი, დადგენილია საკანონმდებლო პროცესის ეტაპები და საკანონმდებლო ინიციატივის სუბიექტები.

მესამე კარი მოიცავს ფედერაციის აღმასრულებელ ხელისუფლებას. აქ რეგლამენტირებულია ფედერალური პრეზიდენტის არჩევის წესი, მისი უფლებამოსილებები და ადგილი აღმასრულებელი ხელისუფლების სისტემაში, ფედერალური მთავრობის შექმნის წესი, დადგენილია ეროვნული საბჭოს წინამე პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი, განსაზღვრულია ფედერალური თავდაცვისა და უშიშროების ორგანოების სტატუსი. აქვე დადგენილია საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნის წესი, მათი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მექანიზმები და მართლმსაჯულების განხორციელების კონსტიტუციური პრინციპები.

მეოთხე კარი ეხება ფედერაციის სუბიექტების – მინების საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს, მათი შექმნის წესს და საქ-



მიანობის პრინციპებს. განსაზღვრულია ვენის, როგორც სახელმწიფოს დედა-ქალაქის სამართლებრივი სტატუსი და ხელისუფლების ორგანოები.

მეხუთე კარი ადგენს საფინანსო საქმიანობაზე კონტროლის მექანიზმებს. ამ მიზნით ქმნის სპეციალურ ორგანოს – საანგარიშო პალატას, რომლის უფლებამოსილებაშიც შედის ფედერაციის, მინებისა და თემების საფინანსო საქმიანობის გაკონტროლება.

მექვე კარი კონსტიტუციის და მმართველობაში კანონიერების დაცვის გარანტიებს ეხება: საკონსტიტუციო სასამართლო განხილულია, როგორც კონსტიტუციის დაცვის გარანტი, ხოლო მმართველობის კანონიერების უზრუნველყოფა დაკისრებული აქვთ დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ სენატებს – მინებში და ფედერალურ ადმინისტრაციულ სასამართლოს, განხილულია მათი საქმიანობის პრინციპები და ძირითადი მიმართულებები.

მეშვიდე კარი ეხება ადამიანის უფლებებისა და მათი დაცვის გარანტიებს. კერძოდ, განხილულია ამ მიზნით შექმნილი სახალხო უფლებადაცვის კოლეგიისადმი მიმართვის წესი და უფლებამოსილებები.

მერვე კარში მოცემულია დასკვნითი დებულებები. მასში ძირითადი ადგილი ეთმობა იმ კანონების ჩამონათვალს, რომლებიც გამოცხადებულნი არიან ფედერალურ კონსტიტუციურ კანონებად და გარდა ამისა, აქვე განსაზღვრულია კონსტიტუციის ცალკეული მუხლის ძალაში შესვლის საკითხი.

ავსტრიის კონსტიტუციის შესწავლისას, აუცილებლად განხილულ უნდა იქნეს მასში ცვლილება-დამატებების შეტანის მექანიზმი. ავსტრიის კონსტიტუცია ამ ნიშნით მოქნილ კონსტიტუციათა რიცხვს მიეკუთვნება, რაზეც ნათლად მეტყველებს განვილი წლები პრაქტიკა. ავსტრიის კონსტიტუციაში იმ თავიდან დღემდე მრავალი შესწორება-დამატება იქნა შეტანილი, რასაც მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს ცვლილება-დამატებების შეტანის გამარტივებული მექანიზმი. მას არეგულირებს კონსტიტუციის 44-ე მუხლი და ითვალისწინებს, რომ კონსტიტუციური კანონი ან კონსტიტუციური დებულება შეიძლება მიიღოს მხოლოდ ეროვნულმა საბჭომ.

ავსტრიული კონსტიტუციონალიზმის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ფედერალური კონსტიტუციური კანონი შეიძლება არ იყოს შეტანილი კონსტიტუციის ტექსტში და სტრუქტურულად დამოუკიდებლად მოქმედებდეს. აღნიშნულის გათვალისწინებით, ავსტრიის კონსტიტუციური სისტემის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ: 1867 წლის 21 დეკემბერს მიღებული სახელმწიფოს ძირითადი კანონი „იმპერიის საბჭოში წარმოდგენილ სამეფოთა და მინების მოქალაქეთა ზოგადი უფლებების შესახებ“, რომელსაც შემდგომში კონსტიტუციამ მიანიჭა ფედერალური კონსტიტუციური კანონის სტატუსი; 1955 წლის 26 ოქტომბერს მიღებული ფედერალური კონსტიტუციური კანონი „ავსტრიის ნეიტრალიტეტის შესახებ“, სადაც ავსტრიამ მეორე მსოფლიო ომის მწარე „გაკვეთილის“ საფუძველზე ოფიციალურად გამოაცხადა თავისი მუდმივი ნეიტრალიტეტის თაობაზე და აღიარა, რომ იგი მომავალში არა მარტო არასოდეს შევა სამხედრო კავშირებში, არამედ არ დაუშვებს

თავის ტერიტორიაზე სხვა სახელმწიფოთა სამხედრო ბაზების შექმნასაც; 1988 წლის 29 ნოემბერს მიღებულ იქნა ფედერალური კონსტიტუციური კანონი „პირადი თავისუფლების დაცვის შესახებ“.

ავსტრიული კონსტიტუციონალიზმი ხასიათდება იმ სპეციფიკური ნიშან-თვისებითაც, რომ ფედერალური კონსტიტუციური კანონის სტატუსი ენიჭება ზოგიერთ ჩვეულებრივ ფედერალურ კანონსაც, თუ მასში მოცემულია კონსტიტუციური დებულებები და იგი შეიძლება გამოცხადდეს კონსტიტუციურ კანონად მთლიანად ან ნაწილობრივ, მხოლოდ ასეთი დატვირთვის მატარებელი მუხლი ან მუხლები. მაგალითად, 1975 წლის 2 ივლისის ფედერალურ კანონში „პოლიტიკური პარტიების შესახებ“, კონსტიტუციურ დებულებებად არის გამოცხადებული მხოლოდ პირველი ორი მუხლი, რომლებიც ეხება პოლიტიკური პარტიების წესდების საკითხებს და წინასაარჩევნო კამპანიის დროს ფულადი სახსრების გამოყენებას.

ადამიანის უფლებები და თავისუფლებები. ადამიანის უფლებების პრობლემატიკას ავსტრიაში დიდი ყურადღება ექცევა, მით უმეტეს, რომ ქვეყნის კონსტიტუციაში ხაზგასმულია სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნდამენტური პრინციპები. ამ სფეროში ძირითად ნორმატიულ ბაზას აყალიბებს კონსტიტუციურ სისტემაში შემავალი აქტები: 1867 წლის 21 დეკემბრის სახელმწიფოს ძირითადი კანონი „იმპერიის საბჭოში წარმოდგენილ სამეფოთა და მიწების მოქალაქეთა ზოგადი უფლებების შესახებ“ და 1988 წლის 29 ნოემბრის ფედერალური კონსტიტუციური კანონი „პირადი თავისუფლების დაცვის შესახებ“. ამ უკანასკნელმა მნიშვნელოვნად გაამდიდრა კონსტიტუციის ნორმატიული ბაზა და დღეს იგი წარმოადგენს ადამიანის უფლებების სისტემის ძირითად ქვაკუთხედს, ამკვიდრებს კანონის წინაშე ყველას და ყოველის თანასწორობის პრინციპს.

ავსტრიაში განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმების შემუშავებას და შექმნილია ინსტიტუტები, რომლებიც მონოდეზინი არიან მის განსახორციელებლად. მათ შორის ცენტრალური ადგილი უკავია ომბუდსმენის ინსტიტუტს. ავსტრიაში ომბუდსმენის ინსტიტუტი შეიქმნა 1977 წლის 24 თებერვლის ფედერალური კანონით „სახალხო უფლებადაცვის კოლეგიის შესახებ“, რომელსაც 1981 წელს მიღებული ფედერალური კონსტიტუციური კანონით მიენიჭა კონსტიტუციური კანონის სტატუსი და ცალკე მე-7 განყოფილების სახით შევიდა 1920 წლის კონსტიტუციაში. ამასთან, ომბუდსმენის ავსტრიული მოდელი მკვეთრად განსხვავდება სხვა ქვეყნების ანალოგებისგან და მასში ამოქმედებულია კოლეგიურობის პრინციპი. კერძოდ, შექმნილი სახალხო უფლებადაცვის კოლეგია შედგება 3 ნევრისგან, რომლებიც აირჩევიან ეროვნული საბჭოს მიერ 6 წლის ვადით და რომელსაც კანდიდატურების საერთო სიას მთავარი კომიტეტი წარუდგენს, იმ 3 პოლიტიკურ პარტიას, რომლებიც ეროვნულ საბჭოში შედარებით მეტ მანდატებს ფლობენ, უფლება აქვთ საიში შესაყვანად თავიანთი თითო ნევრის კანდიდატურა წარმოადგინონ. კოლეგიის ნევ-

რად შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც სარგებლობს ეროვნულ საბჭოში არჩევის უფლებით, ხოლო არჩევის შემთხვევაში მას უფლება არა აქვს ეწოდეს სხვა საქმიანობას. კოლეგიის წევრის ხელშეწყობით გადარჩევა შესაძლებელია მხოლოდ ერთხელ. წევრები თანამდებობის დაკავების წინ დებენ ფიცს ფედერალური პრეზიდენტის წინაშე. კოლეგიაში წევრები თავმჯდომარეობენ როტაციის წესით, მონაცვლეობით, 1 წლის ვადით. თავმჯდომარეობის რიგითობა განისაზღვრება იმ მანდატების რაოდენობის შესაბამისად, რომელსაც ფლობენ მათი წარმდგენი პარტიები კოლეგიის პირველადი დაკომპლექტების მომენტისთვის და იგი არ იცვლება იმ შემთხვევაშიც, თუ პარტიებს შორის მოხდება მანდატების გადანაწილება.

სახალხო უფლებადაცვის კოლეგიის უფლებამოსილებების სფერო საკმაოდ ფართოა და იხილავს ფედერალური მმართველობის ორგანოთა არაკანონიერ და მიზანშეწონილ მოქმედებებს, ამასთან, იგი მოქმედებებს აფასებს არა მხოლოდ იურიდიული დასაბუთებულობის, არამედ სამართლიანობის თვალსაზრისითაც. კოლეგიისადმი მიმართვა შეუძლია ყველას, ვინც მიიჩნევს, რომ ფედერალური მმართველობა ხორციელდება ნაკლოვანებებით, რომლებიც უშუალოდ მის ინტერესებს ხელყოფენ და მას არ გააჩნია უფლება გამოიყენოს გასაჩივრების სხვა საშუალება. სარჩელში გათვალისწინებული მოქმედებების დადასტურების შემთხვევაში კოლეგია ფედერალური მმართველობის განმახორციელებელ ორგანოს მიმართავს რეკომენდაციით და უთითებს იმ ზომებს, რომელთა მიღებაც აუცილებელია კონკრეტულ სიტუაციაში. კოლეგიის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები უმრავლეს შემთხვევაში სრულდება, რის თაობაზეც კოლეგიას წარედგინება შესაბამისი მოხსენება, თუმცა, ზოგჯერ ხდება მათი უგულებელყოფაც. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია მისი შეუსრულებლობის მიზეზების წერილობით დასაბუთება. სარჩელის შემონშების შედეგები და მასთან დაკავშირებით მიღებული ზომები უნდა ეცნობოს მოსარჩელეს. თავის მხრივ, კოლეგიას შეუძლია საკუთარი ინიციატივით შეამონშოს ფედერალურ მმართველობაში ხარვეზების არსებობა. ასევე აკონტროლებს ფედერაციის სუბიექტების საქმიანობას იმ სფეროში, რომელიც დელეგირებულია ფედერალური ხელისუფლების მიერ. ამასთან, სახალხო უფლებადაცვის კოლეგიის მსგავსი ინსტიტუტები იქმნება მინებში და ისინი მნიშვნელოვნად უწყობენ ხელს ადამიანის უფლებების დაცვას მინების მმართველობის ორგანოთა არამართლზომიერი მოქმედებებისგან. სახალხო უფლებადაცვის კოლეგიის საზედამხედველო უფლებამოსილებები არ ვრცელდება მინებისა და თემების მმართველობის ორგანოებზე, მაგრამ იგი ვალდებულია საჭიროების შემთხვევაში სათანადო დოკუმენტები და ინფორმაცია გადასცეს მათ.

სახალხო უფლებადაცვის კოლეგიას მინიჭებული აქვს უფლება მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს, ფედერალურ ორგანოთა დადგენილებების მიმდინარე კანონმდებლობასთან შესაბამისობის განხილვის თაობაზე. ასევე საკონსტიტუციო სასამართლო წყვეტს დავას კომპეტენციის თაობაზე,

იმ შემთხვევაში, თუ წარმოიქმნება უთანხმოება კოლეგიასა და ფედერალურ მთავრობას ან ფედერალურ მინისტრს შორის.

**პარტიული სისტემა.** ავსტრიის მრავალპარტიული პოლიტიკური სისტემის ძირითად ბირთვს შეადგენენ: სოციალ-დემოკრატიული პარტია, სახალხო პარტია, ავსტრიის თავისუფლების პარტია, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და მწვანეთა პარტია.

პოლიტიკურ სისტემაში შედარებით სტაბილური მყარი მდგომარეობა უკავიათ სოციალ-დემოკრატიულ და სახალხო პარტიებს. სოციალ-დემოკრატიული პარტია შეიქმნა 1945 წლის აპრილში და წარმოადგენს ტიპიურ სოციალურ-რეფორმისტულ პარტიას. 70-იან წლებში მან ჩამოაყალიბა ერთპარტიული მთავრობა, ხოლო მანამდე და მას შემდეგაც, ძირითადად, სახალხო პარტიასთან ერთად უხდება კოალიციურ მთავრობაში ყოფნა. სახალხო პარტია არის კონსერვატიულ-ქრისტიანული მიმართულების პოლიტიკური ორგანიზაცია. 60-იანი წლების მეორე ნახევარში მან ჩამოაყალიბა ერთპარტიული მთავრობა, 70-იან წლებსა და 80-იანი წლების პირველ ნახევარში იმყოფებოდა ოპოზიციაში, ხოლო 1986 წლიდან შედის კოალიციაში. პოლიტიკურ სარბიელზე თანდათანობით იზრდება თავისუფლების პარტიის მნიშვნელობა, რომელიც ეროვნულ-ლიბერალური მიმართულების კურსის მიმდევარია. იგი 1983-86 წლებში შედიოდა კოალიციურ მთავრობაში, ხოლო მანამდე და მას შემდეგ ოპოზიციაში იმყოფებოდა. თუმცა 1999 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები საკმაოდ იღბლიანი აღმოჩნდა თავისუფლების პარტიისთვის, მან ამომრჩეველთა ხმების 27%-ის მოპოვება შეძლო და სახალხო პარტიასთან ერთად, რომელმაც არჩევნებში მოპოვებული ხმების მიხედვით მესამე ადგილი დაიკავა, ჩამოაყალიბა კოალიციური მთავრობა. მწვანეთა პარტია აქტიურად იბრძვის გარემოს დაცვის და ეკოლოგიური ხასიათის მოთხოვნებით, რომლებიც საფუძვლად უდევს მის მიზნებსა და მოღვაწეობის პრინციპებს. მოსახლეობის მუშათა ფენის ინტერესებს იცავს კომუნისტური პარტია, რომელიც ერთ-ერთი უძველესი პარტიაა და დაფუძნებულია ჯერ კიდევ 1918 წლის 3 ნოემბერს. 1933 წელს აკრძალულ იქნა, ხოლო 1938-45 წლებში ფაშისტური გერმანიის მიერ ოკუპაციის პერიოდში აქტიურად ეწეოდა ანტიფაშისტურ ბრძოლას.

ფედერალური კანონი „პოლიტიკური პარტიების შესახებ“ მიღებულ იქნა 1975 წლის 2 ივლისს და მასში მონესრიგებულია პარტიების შექმნის, მათ მიერ წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვის, ფულადი სახსრების გამოყენების და სხვა ორგანიზაციული საკითხები. ამ კანონის თანახმად, პარტიები იქმნება თავისუფლად, ყოველგვარი წინასწარი ნებართვის გარეშე, თუმცა ლეგალური სტატუსი მათ მიეკუთვნებათ მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროში რეგისტრაციის შემდეგ.

პოლიტიკური პარტიების მიერ წინასაარჩევნო აგიტაციის დროს ფინანსური სახსრების ხარჯვაზე კონტროლის განსახორციელებლად შინაგან საქმეთა სამინისტროში შექმნილია სპეციალური კომისია. მისი წევრები ინიშნე-

ბიან ფედერალური მთავრობის მიერ: 7 ნვერი ინიშნება იმ პარტიების ინიცი-  
ატივით, რომლებიც წარმოდგენილია ეროვნული საბჭოს მთავარ კომიტეტში,  
ხოლო 3 ნვერი ზემოთ აღნიშნული ნვერების შეთანხმებული წინადადებით.  
კომისიას თავმჯდომარეობს შინაგან საქმეთა მინისტრი.

ავსტრიაში სახელმწიფოს მიერ ფინანსდება არა მხოლოდ ის პოლიტიკური  
პარტიები, რომლებმაც მოიპოვეს მანდატები პარლამენტში, არამედ ყველა ის  
პარტია, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს არჩევნებში. დაფინანსება ორი სახისაა,  
როგორც მიმდინარე საქმიანობის – ყოველკვარტალურად, ასევე სპეციალური  
დაფინანსება. პოლიტიკურ პარტიებს უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით  
ფიზიკური და იურიდიული პირებისგან მიიღონ შემოსიწრულობები.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა. ავსტრია ტერიტორიულად  
ერთ-ერთი ყველაზე პატარაა იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც სახელმწიფო  
წყობილების ფორმის მიხედვით ფედერაციას წარმოადგენენ. ავსტრიის შე-  
მადგენლობაში შედის 9 ავტონომიური სუბიექტი – მინები: ბურგენლანდი,  
კარინტია, ქვედა ავსტრია, ზედა ავსტრია, ზალცბურგი, შტირია, ტიროლი,  
ფორარლბერგი და ვენა. ავსტრიის ფედერაცია შექმნილია ტერიტორიული  
ნიშნის მიხედვით და წარმოადგენს სიმეტრიულ ფედერაციას.

მინებში საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებენ – ლანდ-  
ტაგები. ლანდტაგების არჩევნები ტარდება პროპორციული სისტემით  
თანასწორი, პირდაპირი და უშუალო საარჩევნო უფლების საფუძველზე,  
ფარული კენჭისყრით. ფედერალური კონსტიტუციის თანახმად მინებში  
არ შეიძლება აქტიური და პასიური საარჩევნო უფლების მოთხოვნების  
იმაზე მეტად შეზღუდვა, ვიდრე ეს გათვალისწინებულია ეროვნულ საბჭ-  
ოში არჩევნებთან დაკავშირებით. ლანდტაგის ნვერები, ეროვნული საბჭ-  
ოს ნვერების მსგავსად სარგებლობენ იმუნიტეტით. ფედერალურ  
პრეზიდენტს აქვს მნიშვნელოვანი უფლება ლანდტაგების მიმართ.  
კერძოდ, მას ფედერალური მთავრობის წინადადებით შეუძლია დაითხოვ-  
ოს რომელიმე მინის ლანდტაგი, მაგრამ ასეთი გადანყვეტილების მისაღე-  
ბად აუცილებელია ფედერალური საბჭოს თანხმობა, რომლის სხდომას  
უნდა ესწრებოდეს მისი ნვერთა ნახევარი მაინც და გადანყვეტილება  
მიიღება 2/3-ის კვალიფიციური უმრავლესობით. ამ დროს კენჭისყრაში  
მონაწილეობის უფლება არა აქვთ იმ მინის წარმომადგენლებს, რომლის  
ლანდტაგის დათხოვნაზე თანხმობასაც კენჭი ეყრება.

მინებში აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებენ მთავრობები,  
რომლებიც არჩევიან ლანდტაგების მიერ და პასუხისმგებელნი არიან მათ  
წინაშე. მთავრობის ნვერები იმავდროულად არ უნდა იყვნენ ლანდტაგის  
ნვერები, თუმცა, მათი არჩევა ხდება მხოლოდ იმ პირთაგან, რომელთაც აქვთ  
ლანდტაგში არჩევის უფლება. მთავრობის საქმიანობის წარმართვას ხელმძ-  
ღვანელობენ გუბერნატორები. თანამდებობის დაკავების წინ მთავრობის  
ნვერები დებენ ფიცს გუბერნატორის წინაშე, ხოლო თვითონ გუბერნატორი  
ფიცს დებს ფედერალური პრეზიდენტის წინაშე.

ფედერაციის დედაქალაქი – ვენა, თავისი მდგომარეობითა და სტატუსით გათანაბრებულია მიწებთან. ვენაში ლანდტაგის ფუნქციები თემის საბჭოს აკისრია, ქალაქის სენატს – მთავრობის, ხოლო ბურგომისტრს – გუბერნატორის ფუნქციები.

ლანდტაგის მიერ მიღებული კანონები მათ გამოქვეყნებამდე გუბერნატორმა ფედერალური კანცლერის უწყებას უნდა წარუდგინოს. ფედერალურ მთავრობას ამ მომენტიდან 8 კვირის განმავლობაში უფლება აქვს დასაბუთებული ვეტო დაადოს კანონს, თუ ჩათვლის, რომ ამით ილახება ფედერაციის კომპეტენცია. ასეთ შემთხვევაში, ვეტოს დაძლევა და კანონის გამოქვეყნება შესაძლებელია, თუ ლანდტაგის სხდომაზე, რომელსაც უნდა ესწრებოდეს მის წევრთა ნახევარი მაინც, მოხდება კანონის ხელშეორედ დამტკიცება. ამ ვადის გასვლამდე კანონის გამოქვეყნება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფედერალური მთავრობა გამოხატავს ამკარა თანხმობას მის მიმართ. საკანონმდებლო პროცედურა შედარებით უფრო გართულებულია მინის კონსტიტუციური კანონის მიღებასთან დაკავშირებით. ამ დროს სხდომას წევრთა ნახევარი მაინც უნდა ესწრებოდეს და კონსტიტუციურ კანონს მხარი უნდა დაუჭიროს დამსწრეთა არანაკლებ 2/3-მა.

ფედერალურ კონსტიტუციაში მოცემული ფედერაციასა და მინებს შორის კომპეტენციითა გამიჯვნის სქემა და უფლებამოსილებების სფეროები განხილულია სამი ასპექტით: იგულისხმება საკითხები, რომლებზეც საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობა მიეკუთვნება ფედერაციის კომპეტენციას; საკითხები, რომლებზეც საკანონმდებლო საქმიანობა მიეკუთვნება ფედერაციის კომპეტენციას, ხოლო აღმასრულებელი საქმიანობა მინების კომპეტენციას; საკითხები, რომლებზეც ფედერაციის კომპეტენციას მიეკუთვნება ზოგადი საკანონმდებლო პრინციპების დანესება, ხოლო მინების კომპეტენციას კონკრეტული კანონების მიღება და აღმასრულებელი საქმიანობა.

ფედერაციის კომპეტენციას განეკუთვნება საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ფედერალური კონსტიტუცია; ეროვნული საბჭოს არჩევნები და სახალხო კენჭისყრის (რეფერენდუმის) მოწყობა; საგარეო ურთიერთობები; სახელმწიფო ხელშეკრულებების დადება; საზღვრების დანესება; საბაჟო საქმე; სახელმწიფოს საზღვარზე შემოსვლის და გასვლის რეგულირება და ზედამხედველობა; იმიგრაცია და ემიგრაცია; საპასპორტო საქმე; გასახლება; სახელმწიფოში შემოსვლის უფლების ჩამორთმევა; უცხო სახელმწიფოსთვის პირთა გადაცემა; სახელმწიფო გადასახადები; მონოპოლია; ფულადი მიმოქცევა; საკრედიტო, საბირჟო და საბანკო საქმე; ზომისა და წონის ერთეულები; სტანდარტები და ნიმუშები; სამოქალაქო სამართალი; სისხლის სამართლის რეგულირება; ადმინისტრაციული სამართალი; შრომის სამართალი; საავტორო სამართალი; იუსტიცია; პენიტენციალური დანესებულებები; ნოტარიუსთა, ადვოკატთა და სხვა მონათესავე პროფესიის პირთა საქმიანობის საკითხები; საზოგადო-

ებრივი სიმჭიდის, ნესრიგისა და უშიშროების დაცვა; გაერთიანებებისა და შეკრებების სამართლებრივი რეგულირება; მოქალაქეთა მდგომარეობის რეგისტრაცია; ფედერალური ტრანსპორტი; ფოსტა-ტელეგრაფი; სამთო საქმე; სატყეო მეურნეობა; ენერგეტიკის რეგულირება; ფედერალური სამეცნიერო და სპეციალურ-ტექნიკური საარქივო და საბიბლიოთეკო საქმე; ძეგლების დაცვა; მოსახლეობის აღწერა და სტატისტიკა; ფედერალური პოლიციისა და უანდარმერიის ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა; სამხედრო საქმე; ფედერალური ორგანოთა შექმნა; ფედერალური სახელმწიფო სამსახურის სამართალი; ევროპის პარლამენტის წევრთა არჩევნები.

ფედერაციის კომპეტენციას მიეკუთვნება საკანონმდებლო საქმიანობა, ხოლო მინების კომპეტენციას აღმასრულებელი საქმიანობა ისეთ საკითხებზე, როგორცაა: მოქალაქეობა; პროფესიული წარმომადგენლობა; საბინაო უზრუნველყოფა; საგზაო პოლიცია; სანიტარულ-ჰიგიენური ღონისძიებები; გემთმომოსვლა შიდა წყლებში.

ფედერაციის კომპეტენციას მიეკუთვნება ზოგადი საკანონმდებლო პრინციპების დადგენა, ხოლო მინების კომპეტენციას აღმასრულებელი საქმიანობა ისეთ საკითხებზე, როგორცაა: გაჭირვებულებზე მზრუნველობა; დემოგრაფიული პოლიტიკა; სამზრუნველო დაწესებულებები; დედათა, ბავშვთა და მოზარდთა სოციალური უზრუნველყოფა; კურორტებისადმი ჯანდაცვის თვალსაზრისით სანიტარული და სხვა სახის აუცილებელი მოთხოვნების დადგენა; მინების რეფორმა; მცენარეთა დაცვა; ელექტროენერგეტიკა; მუშა-მოსამსახურეთა უფლებების დაცვა.

ფედერაციისა და მინებს შორის შესაძლებელია დაიდოს შეთანხმება მათი კომპეტენციის საკითხებზე, ხოლო მინებს ურთიერთშორის ამგვარი შეთანხმების დადება შეუძლიათ საკუთარი კომპეტენციის საკითხებზე და ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ფედერალურ მთავრობას.

**საარჩევნო სისტემა.** ფედერაციის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს – ეროვნული საბჭოს არჩევნების ნორმატიულ ბაზას შეადგენს 1920 წლის ფედერალური კონსტიტუცია და 1970 წლის 27 ნოემბერს მიღებული ფედერალური კანონი „ეროვნული საბჭოს არჩევნების შესახებ“. არჩევნები ტარდება თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო პრინციპების საფუძველზე, უშუალო და ფარული კენჭისყრით. ავსტრიაში ძირითადად პროპორციული საარჩევნო სისტემა გამოიყენება, როგორც ფედერალური წარმომადგენლობითი ორგანოს, ასევე ადგილობრივი ორგანოების არჩევნების დროს. პარტიული სიების წარდგენის უფლება აქვთ მხოლოდ პოლიტიკურ პარტიებს. აქტიური საარჩევნო უფლება მინიჭებული აქვთ იმ პირებს, რომელთაც არჩევნების წლის 1 იანვრისთვის შეუსრულდათ 18 წელი, ხოლო პასიური საარჩევნო უფლება მათ, ვისაც არჩევნების წლის 1 იანვრისთვის შეუსრულდათ – 19 წელი. საარჩევნო უფლების ჩამორთმევა შეიძლება მოხდეს მხოლოდ სასამართლო განაჩენის საფუძველზე. ეროვნული საბჭო აირჩევა 4 წლის ვადით იმგვარად, რომ ახლად არჩეულ ეროვნულ საბჭოს შემადგენლობას

შეეძლოს შეკრება წინა მონვევის ეროვნული საბჭოს უფლებამოსილების გასვლის მომდევნო დღეს. არჩევნები ინიშნება ფედერალური მთავრობის მიერ სათანადო დადგენილების გამოცემით. მასში, ეროვნული საბჭოს მთავარ კომიტეტთან შეთანხმებით, დადგინდება არჩევნების დღე, აგრეთვე წინასწარჩევნო კამპანიის დაწყების დღე, კანდიდატია ნარდგენის ვადა და სხვა ორგანიზაციული საკითხები.

არჩევნების დროს თითოეული მინა წარმოადგენს ერთ საარჩევნო ოლქს, რომლებიც თავის მხრივ იყოფა საარჩევნო უბნებად. თითოეული საარჩევნო ოლქიდან აირჩევა რამდენიმე დეპუტატი. მანდატები საარჩევნო ოლქებზე ნაწილდება შემდეგნაირად: მთლიანად ეროვნულ საბჭოში ასარჩევ დეპუტატთა საერთო რაოდენობა იყოფა ავსტრიაში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეთა მთლიან რაოდენობაზე, დადგინდება ძირითადი კვოტა და მასზე იყოფა საარჩევნო ოლქში მცხოვრებ მოქალაქეთა რაოდენობა. თითოეული საარჩევნო ოლქისათვის მანდატების რაოდენობას მოსახლეობის აღწერის მონაცემების საფუძველზე ადგენს შინაგან საქმეთა მინისტრი.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ხელმძღვანელობს შინაგან საქმეთა მინისტრი, მინებში – გუბერნატორი, ხოლო თემებში – ბურგომისტრი. ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრები ინიშნებიან ფედერალური მთავრობის მიერ, ხოლო ქვედა რგოლის საარჩევნო კომისიების წევრები – ზემდგომი საარჩევნო კომისიების მიერ. საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში ასევე შედიან პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები.

საარჩევნო პროცესი შედგება 2 ტურისგან. პირველ ტურში ხდება არჩევნების შედეგების შეჯამება და მანდატების განაწილება, ხოლო პირველ ტურში გაუნაწილებელი მანდატები ნაწილდება მეორე ტურში, რომელიც ტარდება 2 გაერთიანებულ საარჩევნო ოლქში. პირველს შეადგენენ – ბურგენლანდი, ვენა და ქვემო ავსტრია, ხოლო მეორეს – ზემო ავსტრია, ზალცბურგი, კარინთია, შტირია, ტიროლი და ფორარლბერგი. აღსანიშნავია, რომ მეორე ტურთან დაკავშირებით მოქმედებს შეზღუდვა, რომელიც ძირითადად მიმართულია მცირე პარტიების წარმომადგენლობის წინააღმდეგ. კერძოდ, მეორე ტურში მონაწილეობის უფლება არა აქვთ იმ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებმაც პირველ ტურში ვერ მოიპოვეს ვერც ერთი მანდატი.

საარჩევნო კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში შესაძლებელია მიმართვა საკონსტიტუციო სასამართლოსადმი და იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი დაადასტურებს ამ ფაქტს, შესაბამის საარჩევნო ოლქში არჩევნების შედეგები გაბათილდება და დაინიშნება ხელახალი არჩევნები.

ფედერალური კონსტიტუციით მონესრიგებულია მინების წარმომადგენლობითი ორგანოების – ლანდტაგების არჩევნების იურიდიული მხარე. აღსანიშნავია, რომ საარჩევნო პროცედურის და არჩევნებში მონაწილეობის საყოველთაო სავალდებულობის განსაზღვრა ეკუთვნის მინების საკანონმდებლო კომპეტენციას, მაგრამ მიუხედავად ამისა, მთლიანობაში



საარჩევნო სისტემის და პრინციპების, კანდიდატურების წარდგენის, ხმის დათვლის, შედეგების გასაჩივრების და სხვა ორგანიზაციული საკითხებით ლანდტაგების არჩევნები ეროვნული საბჭოს არჩევნების ანალოგიურია. ფედერალური კონსტიტუციით მინებს შეუძლიათ აქტიურ და პასიურ საარჩევნო უფლებებთან დაკავშირებით დაანესონ განსხვავებული მოთხოვნები.

**სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები.** ავსტრიის ფედერალურ კონსტიტუციაში რეალიზებულია ხელისუფლების დანაწილების პრინციპი, რაც ხელს უწყობს ხელისუფლების შტოთა შორის სტაბილური ბალანსის შენარჩუნებას. საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებენ ეროვნული საბჭო და ფედერალური საბჭო, რომლებიც ერთობლიობაში ფედერალურ კრებას შეადგენენ. სახელმწიფოს მეთაურობს – ფედერალური პრეზიდენტი, ხოლო აღმასრულებელ ხელისუფლებას – ფედერალური კანცლერი. სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებს დამოუკიდებელი საერთო სასამართლო სისტემა, ადმინისტრაციული იუსტიცია და საკონსტიტუციო სასამართლო.

**პრეზიდენტი.** ავსტრიის სახელმწიფოს მეთაური – პრეზიდენტი, აირჩევა 6 წლის ვადით, საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო პრინციპების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით. ფედერალურ პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნეს პირი, რომელიც ეროვნულ საბჭოში არჩევის უფლებით სარგებლობს და არჩევნების წლის 1 იანვრისათვის შეუსრულდა 35 წელი.

კანდიდატმა პირველივე ტურში გამარჯვებისათვის, უნდა მოიპოვოს არჩევნებში მონაწილეთა ხმების უმრავლესობა. თუ არა და, მეორე ტურში, მონაწილეობს ორი საუკეთესო შედეგის მფლობელი კანდიდატი. გამარჯვებულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მიიღებს ხმების მეტ რაოდენობას. არჩევნების მეორე ტურში პარტიას შეუძლია შეცვალოს თავისი კანდიდატი და წამოაყენოს ახალი კანდიდატურა. ერთი და იმავე პიროვნების ფედერალურ პრეზიდენტად გადარჩევა შეიძლება მხოლოდ ერთხელ და ამ თანამდებობაზე არჩევის პერიოდიდან უფლება არა აქვს ენეოდეს სხვა პროფესიულ საქმიანობას.

**პრეზიდენტი უფლებამოსილების ვადის გასვლამდე შეიძლება გადაყენებულ იქნეს ამ თანამდებობიდან სახალხო კენჭისყრის შედეგების საფუძველზე, რომელიც შეიძლება ჩატარდეს, თუ ამას მოითხოვს ფედერალური კრება და რომელიც ამ მიზნით მოინვევა ფედერალური კანცლერის მიერ, იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული საბჭო მიიღებს ამ საკითხის გადასაწყვეტად ფედერალური კრების მოწვევის გადანყვეტილებას. ამ დროს ეროვნული საბჭოს სხდომას ესწრებოდეს ნევრთა ნახევარი მაინც და წინადადებას მხარი დაუჭიროს დამსწრეთა არანაკლებ 2/3-მა. ეროვნული საბჭოს მიერ ასეთი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ფედერალურ პრეზიდენტს უწყდება საკუთარი ფუნქციების განხორციელების უფლებამოსილება. თუ სახალხო კენჭისყრაზე ფედერალური პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების წინა-**

დადება მხარდაჭერილი არ იქნება, ასეთ შემთხვევაში ეს ჩაითვლება მის ხელშეწყობად და გამოიწვევს ეროვნული საბჭოს დათხოვნას. ფედერალური კონსტიტუცია ადგენს, რომ ასეთ შემთხვევაში ფედერალური პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის გაგრძელება არ შეიძლება აღემატებოდეს მთლიანობაში მისი ამ თანამდებობაზე ყოფნის 12 წელს.

ფედერალური პრეზიდენტის კომპეტენცია შემდეგ სექტორს მოიცავს: იგი იწვევს ეროვნული საბჭოს შორიგ და რიგგარეშე სესიებს, აქვს მისი დათხოვნის უფლება, ნიშნავს ფედერალურ სახელმწიფო მოხელეებს, ანიჭებს მათ პროფესიულ ნოდებებს, წარმოადგენს ავსტრიას სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობებში, იღებს და ნიშნავს ელჩებს, ნიშნავს საკონსულო წარმომადგენლებს, დებს სახელმწიფო ხელშეკრულებებს, იმ შემთხვევაში, თუ ისინი პოლიტიკურ სახელმწიფო ხელშეკრულებებს წარმოადგენენ ან კანონში ცვლილება-დამატებებს იწვევენ, აუცილებლად ეროვნული საბჭოს მიერ უნდა იქნეს მონონებული, ხოლო თუ საკუთრივ მინების კომპეტენციას არეგულირებს, გარდა ამისა საჭიროებს ფედერალური საბჭოს მიერ მონონებასაც. ფედერალურ პრეზიდენტს აქვს მნიშვნელოვანი უფლებამოსილებები სასამართლო ხელისუფლებასთან მიმართებაში: მას შეუძლია სასამართლო განაჩენის საფუძველზე მსჯავრდადებულ პირთა შეწყალება, სასჯელის შემსუბუქება და შეცვლა, სასამართლობის მოხსნა, სისხლის სამართალწარმოების შეწყვეტა იმ პირთა მიმართ, რომლებიც დანაშაულისთვის იდევნებიან. ფედერალური პრეზიდენტი ხელს აწერს ფედერალურ კანონებს, რომლებსაც მას წარუდგენს ფედერალური კანცლერი, მაგრამ არ გააჩნია ვეტოს უფლება, იმისათვის, რომ პრეზიდენტის გადაწყვეტილებებმა იურიდიული ძალა შეიძინონ, კონტრასიგნაციის ნესით დამონებული უნდა იქნეს ფედერალური კანცლერის ან კომპეტენტური ფედერალური მინისტრის ხელმოწერით. ფედერალურ პრეზიდენტს შეუძლია თავისი უფლებამოსილებები განსახორციელებლად გადასცეს ფედერალური მთავრობის წევრებს.

იმ შემთხვევაში, თუ ფედერალური პრეზიდენტი დაარღვევს ფედერალურ კონსტიტუციას, ფედერალურ კრებას უფლება აქვს მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს. მაგრამ თავად ფედერალური კრება ამ საკითხის გადასაწყვეტად მოიწვევა ფედერალური კანცლერის მიერ, ეროვნული საბჭოს ან ფედერალური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე. გადაწყვეტილება ბრალდების წაყენების თაობაზე მიიღება ფედერალური კრების მიერ, თუ მის სხდომაზე ესწრება თითოეული პალატის წევრთა ნახევარზე მეტი და წინადადებას მხარს დაუჭერს დამსწრეთა არანაკლებ 2/3. ფედერალური კრების თანხმობაა საჭირო ასევე ფედერალური პრეზიდენტის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრაზე. კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოსგან შუამდგომლობას ამის თაობაზე თავდაპირველად ღებულობს ეროვნული საბჭო, რომელიც წყვეტს უნდა განიხილოს თუ არა ფედერალურმა კრებამ ეს საკითხი. თუ ეროვნული საბჭო

მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას, მაშინ ფედერალურმა კანცლერმა იგი დაუყოვნებლივ უნდა მოიწვიოს.

ფედერალური პრეზიდენტის მიერ მოვალეობების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, პრეზიდენტის მოვალეობებს ახორციელებს ფედერალური კანცლერი, მაგრამ, თუ ეს შეთავსება 20 დღეზე მეტხანს გაგრძელდება ან თუ შეიქმნება ისეთი ვარაუდობა, რომ ფედერალური პრეზიდენტს აღარ შეეძლება თავისი უფლებამოსილებების განხორციელება, მაშინ მთავრობამ უნდა დანიშნოს ფედერალური პრეზიდენტის ვადამდელი არჩევნები და ახალი პრეზიდენტის არჩევამდე ფედერალური პრეზიდენტის ფუნქციებს ასრულებს კოლეგია, რომლის შემადგენლობაში შედიან ეროვნული საბჭოს პრეზიდენტი, მეორე და მესამე პრეზიდენტები. ანალოგიური წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, თუ ფედერალური პრეზიდენტის თანამდებობა გარკვეული ხნით ვაკანტური გახდება. კოლეგიაში თავმჯდომარის ფუნქციებს ასრულებს ეროვნული საბჭოს პრეზიდენტი, ხოლო გადაწყვეტილება მიიღება კოლეგიის წევრთა ხმების უმრავლესობით.

საკანონმდებლო ხელისუფლება. ფედერალურ საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს ორპალატიანი ფედერალური კრება. ქვედა პალატა – ეროვნული საბჭო შედგება 183 წევრისგან და აირჩევა უშუალოდ ფედერაციის მოქალაქეების მიერ 4 წლის ვადით. ეროვნული საბჭოს საქმიანობის სამართლებრივ მხარეებს არეგულირებს მისი რეგლამენტი, რომელიც მიიღება ფედერალური კანონის სახით. ეროვნული საბჭოს საკუთარი წევრებისგან, უფლებამოსილების ვადით, ირჩევს პრეზიდენტს, მეორე და მესამე პრეზიდენტებს და 5 მდივანს, რომლებიც მონოდეუტლნი არიან დახმარება გაუწიონ ეროვნული საბჭოს პრეზიდენტს, მის მიერ თავისი უფლებამოსილებების განხორციელებისას, მათ შორის თვალყური ადევნონ წესრიგის დაცვას სხდომების მიმდინარეობისას.

ეროვნული საბჭოს პრეზიდენტი ხსნის, დახურულად აცხადებს და თავმჯდომარეობს სხდომებს, აყენებს საკითხებს კენჭისყრაზე და აცხადებს მის შედეგებს, თვალყურს ადევნებს რეგლამენტის მოთხოვნების შესრულებას, სხდომების მიმდინარეობისას წესრიგის დაცვას, აძევებს სხდომის დარბაზიდან წესრიგის დამრღვევებს, განკარგავს ფედერალური ბიუჯეტით ეროვნული საბჭოსთვის გამოყოფილ სახსრებს, გამოსცემს დადგენილებებს სხვადასხვა ორგანიზაციულ საკითხზე.

ეროვნულ საბჭოში წარმოდგენილი წებისმიერი პარტიის არანაკლებ 5 დეპუტატი შეიძლება გაერთიანდეს კლუბში, რომლის შექმნის თაობაზე წერილობით უნდა ეცნობოს ეროვნული საბჭოს პრეზიდენტს. სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წევრები კლუბებში შეიძლება გაერთიანდნენ, მხოლოდ ეროვნული საბჭოს თანხმობის შემთხვევაში. კლუბები თავისი წევრთაგან ირჩევენ თავმჯდომარეებსა და მოადგილეებს.

ეროვნული საბჭოს პრეზიდენტები და კლუბების თავმჯდომარეები აყალიბებენ სათათბირო ორგანოს – თავმჯდომარის საბჭოს, რომელიც შეი-

მუშაებს ეროვნული საბჭოს საქმიანობის გეგმებს, სხდომების დღის წესრიგს და განიხილავს კომიტეტების საქმიანობის შედეგებს.

ეროვნულ საბჭოში ძირითადად სფეროების მიხედვით იქმნება კომიტეტები, რომელთა შორის უნდა გამოიყოს მთავარი კომიტეტი, რომლის ძეგრებიც ეროვნული საბჭოს მიერ საბჭოში გაერთიანებულ პოლიტიკურ ძალთა პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპის საფუძველზე აირჩევიან. მთავარი კომიტეტი მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს საკანონმდებლო ორგანოს ფედერალურ მთავრობასთან კონტაქტის თვალსაზრისით, წარადგენს წინადადებებს საანგარიშო პალატის თავმჯდომარის და ვიცე-თავმჯდომარის არჩევასთან დაკავშირებით. მთავარი კომიტეტი შეიძლება მონვეულ იქნეს ეროვნული საბჭოს სესიებს შორის პერიოდში. მთავარი კომიტეტი თავისი შემადგენლობიდან, პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპის საფუძველზე ირჩევს მუდმივ ქვეკომიტეტს. მასში აუცილებლად უნდა იქნეს შეყვანილი მთავარ კომიტეტში წარმოდგენილი ყველა კლუბის ერთი წევრი მაინც. ამ ქვეკომიტეტის ყველა წევრისთვის აირჩევა სათადარიგო წევრი – მოადგილე. ფედერალური პრეზიდენტის მიერ ეროვნული საბჭოს დათხოვნის შემთხვევაში მუდმივ ქვეკომიტეტს ეკისრება იმ აღმასრულებელი ფუნქციის განხორციელება, რომელიც ფედერალური კონსტიტუციით ეროვნულ საბჭოს ეკუთვნის.

ეროვნულ საბჭოში შეიძლება შეიქმნას საგამოძიებო კომიტეტები, რის თაობაზეც წერილობით უნდა ეცნობოს ეროვნული საბჭოს პრეზიდენტს, იმის აღნიშვნით, თუ რა საკითხის გამოსაძიებლად იქმნება იგი. საგამოძიებო კომიტეტში უნდა შევიდეს მთავარ კომიტეტში წარმოდგენილი ყველა კლუბის ერთი წევრი მაინც. ეროვნული საბჭოს კომიტეტებს შეუძლიათ მიიღონ ნებისმიერი სახის ინფორმაცია ყველა სახელმწიფო ორგანოსგან. კომიტეტები თავიანთ დამფუძნებელ სხდომაზე მოინვენიან ეროვნული საბჭოს პრეზიდენტის მიერ და ირჩევენ თავმჯდომარეს, მოადგილესა და მდივნებს. კომიტეტს საკითხების განსახილველად და მოხსენების გასაკეთებლად შეუძლია შექმნას ქვეკომიტეტი.

დეპუტატი შეიძლება ერთდროულად შედიოდეს რამდენიმე კომიტეტის შემადგენლობაში. ეროვნული საბჭოს პრეზიდენტს მინიჭებული აქვს უფლება სათათბირო ხმის უფლებით დაესწროს ნებისმიერი კომიტეტის სხდომას, სხვა დეპუტატები ამ უფლებით არ სარგებლობენ და დასწრება შეუძლიათ მხოლოდ მეთვალყურის როლში, თუმცა, კომიტეტს შეუძლია მოინვიოს ცალკეული დეპუტატები სათათბირო ხმის უფლებით.

ფედერალური პრეზიდენტის მიერ ეროვნული საბჭო ყოველწლიურად მოინვევა მორიგ სესიაზე, რომელიც იწყება არა უადრეს 15 სექტემბრისა და უნდა დასრულდეს არა უგვიანეს შემდგომი წლის 15 ივლისისა. ფედერალური პრეზიდენტი ვალდებულია, ეროვნული საბჭოს ან ფედერალური საბჭოს წევრთა 1/3-ის ან ფედერალური მთავრობის მოთხოვნით, 2 კვირის ვადაში მოინვიოს ეროვნული საბჭოს რიგგარეშე სესია. სესიის მიმდინარეობისას

ეროვნული საბჭოს პრეზიდენტის მიერ მოინვენა პლენარული სხდომები, იგი ვალდებული არა უგვიანეს 8 დღისა მოინვიოს რიგგარეშე სხდომა, თუ ამას მოითხოვს ეროვნული საბჭოს ნევრთა არანაკლებ 1/4 ან ფედერალური მთავრობა. ახლად არჩეული ეროვნული საბჭოს პირველ სხდომას არჩევნიდან 30 დღის განმავლობაში ნიშნავს ფედერალური პრეზიდენტი. პირველ სხდომას მოინვეს და ვიდრე არ მოხდება ეროვნული საბჭოს ახალი პრეზიდენტის არჩევა, თავმჯდომარეობს წინა მოწვევის ეროვნული საბჭოს პრეზიდენტი. დღის წესრიგის განსაზღვრისას უპირატესობა სახალხო ინიციატივის წესით წამოყენებულ წინადადებებს ენიჭება.

ეროვნული საბჭოს სხდომების გახსნის და საკითხების განხილვისთვის არ არის სავალდებულო კვორუმი, კენჭისყრისას სხდომას უნდა ესწრებოდეს ნევრთა არანაკლებ 1/3, ხოლო გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, ხმათა გაყოფისას წინადადება უარყოფილად ითვლება.

ფედერალური კონსტიტუცია ითვალისწინებს ეროვნული საბჭოს დათხოვნას უფლებამოსილების ვადის ამონურვამდე. ამის განხორციელების ორი შესაძლებლობა არსებობს: ფედერალურ პრეზიდენტს შეუძლია დაითხოვოს ეროვნული საბჭო, თუმცა მას არ შეუძლია ერთზე მეტჯერ გამოიყენოს ეს უფლება ერთი და იმავე მიზეზით. და რაც საკმაოდ ხშირია, ეროვნულ საბჭოს შეუძლია მიიღოს ფედერალური კანონი თვითდათხოვნის შესახებ.

ფედერალური საბჭო წარმოადგენს მინების წარმომადგენლობით ორგანოს. მისი ნევრები და მათი სათადარიგო მოადგილეები, აირჩევიან მიწების ლანდტაგების მიერ, პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპით. თითოეულ ლანდტაგში ერთი მანდატი მაინც უნდა მიენიჭოს იმ პარტიას, რომელმაც აქ ჩატარებულ არჩევნებში მეორე ადგილი დაიკავა. ფედერალური საბჭოს ნევრები უნდა სარგებლობდნენ შესაბამისი მიწის ლანდტაგში არჩევის უფლებით და არ შედიოდნენ ამ უკანასკნელის შემადგენლობაში. ამის გათვალისწინებით ფედერალური საბჭო 64 ნევრისგან შედგება.

ფედერალური საბჭო არ წარმოადგენს მუდმივმოქმედ ორგანოს უფლებამოსილების განსაზღვრული ვადით და განიცდის შემადგენლობის პერიოდულ განახლებას. ფედერალური საბჭოს ნევრები აირჩევიან შესაბამისი მიწების ლანდტაგების უფლებამოსილების ვადით და მისი გასვლის ან ვადამდელი დათხოვნის შემთხვევაში შესაბამისი მიწის წარმომადგენლებს უწყდებათ უფლებამოსილება მას შემდეგ, რაც ახლად არჩეული ლანდტაგი ჩაატარებს ფედერალური საბჭოს ახალი წარმომადგენლების არჩევნებს.

ფედერალურ საბჭოში თავმჯდომარის ფუნქციებს ყოველ ნახევარ წელიწადში ასრულებენ ცალკეული მიწების წარმომადგენლები, როტაციის წესით, მიწების დასახელების ანბანური რიგითობით, თავმჯდომარის მოადგილეს ნახევარ წელიწადში იცვლება იმ პირობით, რომ თავმჯდომარე და მისი მოადგილეები უნდა წარმომადგენდნენ სხვადასხვა მიწებსა და პარტიებს. ფედერალური საბჭოს სტრუქტურაში ფრაქციების პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპით იქმნება კომიტეტები, აგრეთვე თავმჯდომარის

საბჭო, ფედერალური საბჭოს თავმჯდომარის, მისი 2 მოადგილის და ფრაქციების თავმჯდომარეების შემადგენლობით. მისი ძირითადი ფუნქცია სხდომების ჩატარებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაა.

ფედერალური საბჭოს სხდომები მოინვევა თავმჯდომარის ინიციატივით, მისი წევრების არანაკლებ 1/4-ის ან ფედერალური მთავრობის მოთხოვნით. სხდომები, როგორც წესი, ტარდება ღიად, თუმცა ფედერალური საბჭოს გადანყვეტილებით იგი შეიძლება დაიხუროს. ფედერალური კონსტიტუციით, ფედერალური საბჭოს სხდომებში მონაწილეობა შეუძლიათ მინების გაუბერნატორებს.

ფედერალურ საბჭოში გადანყვეტილებები მიიღება გამარტივებული წესით, ამისთვის საკმარისია სხდომას ესწრებოდეს წევრთა არანაკლებ 1/3-ისა და გადანყვეტილებას მხარი დაუჭიროს დამსწრეთა უმრავლესობამ. თუმცა, ზოგიერთ საკითხზე, მაგალითად, ფედერალური საბჭოს რეგლამენტის მისაღებად, რომელსაც ფედერალური კანონის ძალა აქვს და ქვეყნდება ფედერალური კანცლერის მიერ, საჭიროა სხდომას ესწრებოდეს მისი წევრთა ნახევარი მაინც და დამსწრეთა არანაკლებ 2/3-ის მხარდაჭერა.

ფედერალური პრეზიდენტის მიერ ორივე პალატის ფედერალური კრების სახით მოწვევა გათვალისწინებულია ფედერალური პრეზიდენტის მიერ ფიცის მიღებასა და ომის გამოცხადების შესახებ გადანყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით. ფედერალური კრების ფუნქციონირების პერიოდში მოქმედებს ეროვნული საბჭოს რეგლამენტი, ხოლო მის სხდომებზე მონაწილეობით თავმჯდომარეობენ ეროვნული საბჭოს პრეზიდენტი და ფედერალური საბჭოს თავმჯდომარე.

დეპუტატი საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილების საფუძველზე კარგავს მანდატს, თუ იგი ვეღარ დააკმაყოფილებს ეროვნულ საბჭოში არჩევისთვის დადგენილ მოთხოვნებს ან თუ არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდება სხდომებზე 30 დღის განმავლობაში. სხვა მხრივ ეროვნული საბჭოს წევრებს აქვთ იმუნიტეტი და არ შეიძლება მათი დაკავება, ბინის ჩხრეკა ეროვნული საბჭოს წინასწარი თანხმობის გარეშე. დეპუტატის დაკავება შეიძლება, თუ მას წაასწრებენ დანაშაულის ადგილზე, მაგრამ ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ეროვნული საბჭოს პრეზიდენტს. ეროვნული საბჭოს ან სესიებს შორის პერიოდში იმუნიტეტის საკითხთა კომიტეტის მოთხოვნით დაკავებული დეპუტატი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. ეროვნული საბჭოს თანხმობის გარეშე მისი წევრის მიმართ სისხლისსამართლებრივი დეენის აღძვრა, მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ იგი აშკარად არ არის დაკავშირებული ამ დეპუტატის პოლიტიკურ საქმიანობასთან. კომპეტენტურმა ორგანომ, ასეთი კავშირის არსებობასთან დაკავშირებით, ეროვნულ საბჭოს უნდა მიმართოს, იმ შემთხვევაში, თუ ამას აღნიშნული დეპუტატი ან შესაბამისი კომიტეტის წევრთა 1/3 მოითხოვს. ეროვნული საბჭოს თანხმობად აგრეთვე ჩაითვლება, თუკი 8

კვირის განმავლობაში არ მოხდება ამ საკითხზე გადწყვეტილების მიღება. თუმცა სესიებს შორის დრო ამ ვადაში არ ითვლება, ხოლო ეროვნული საბჭოს პრეზიდენტმა აღნიშნული საკითხი კენჭისყრაზე ამ ვადის გასვლის წინა დღეს მაინც უნდა დააყენოს.

ფედერალური მთავრობის საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებს როგორც ეროვნული საბჭო, ისე ფედერალური საბჭო. მათ შეუძლიათ ფედერალური მთავრობის წევრებისგან მოითხოვონ ნებისმიერი სახის ინფორმაციის წარდგენა, აღმასრულებელ-განმკარგულებელ საქმიანობასთან დაკავშირებით შეიმუშაონ რეკომენდაციები. თუმცა ფედერალური მთავრობა პოლიტიკურად პასუხისმგებელია მხოლოდ ეროვნული საბჭოს წინაშე და მხოლოდ მას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება მთლიანად ფედერალური მთავრობის ან მხოლოდ მისი რომელიმე წევრისთვის უნდობლობის გამოცხადების თაობაზე, შემდგომი გადადგომით. უნდობლობის ვოტუმის გამოცხადებისთვის საჭიროა სხდომას ესწრებოდეს ეროვნული საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი და დამსწრეთა არანაკლებ 2/3-ის მხარდაჭერა. ფედერალურ პრეზიდენტსაც შეუძლია ფედერალური მთავრობის ან მისი ცალკეული წევრის თანამდებობიდან გადაყენება. დეპუტატებს უფლება აქვთ შეკითხვების ფორმით გააკონტროლონ ფედერალური მთავრობის საქმიანობა.

საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვთ ეროვნული საბჭოს წევრს და კომიტეტს, ფედერალურ საბჭოს ან მის წევრთა 1/3-ს, ფედერალურ მთავრობას. ფედერალური საბჭოს საკანონმდებლო წინადადებები ეროვნულ საბჭოში შედის მთავრობის მეშვეობით. ფედერალური კონსტიტუცია ითვალისწინებს სახალხო ინიციატივის უფლებასაც: 100 ათას ამომრჩეველს ან 3 მიწის ამომრჩეველთა არანაკლებ 1/6-ს შეუძლიათ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მეშვეობით ეროვნულ საბჭოში წარადგინონ კანონპროექტი.

კანონპროექტი ეროვნულ საბჭოში გადის სამ მოსმენას. ეროვნულ საბჭოში ჩვეულებრივი კანონის მისაღებად აუცილებელია სხდომას ესწრებოდეს წევრთა 1/3 მაინც და დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობა. შედარებით რთულია კონსტიტუციური კანონის მიღების წესი: სხდომას უნდა ესწრებოდეს წევრთა ნახევარი მაინც და შემოთავაზებულ პროექტს მხარი უნდა დაუჭიროს დამსწრეთა არანაკლებ 2/3-მა. ეროვნული საბჭოს გადაწყვეტილებით ან მის წევრთა უმრავლესობის მოთხოვნით, კანონპროექტი მისი მიღების შემდეგ, მაგრამ ფედერალური პრეზიდენტის მიერ ხელმოწერამდე, გატანილ უნდა იქნეს სახალხო კენჭისყრაზე და იგი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭირს არჩევნებში მონაწილეთა უმრავლესობა.

ეროვნული საბჭოს მიერ მიღებული კანონპროექტი გადაეცემა ფედერალურ საბჭოს, ხოლო თუ ეს უკანასკნელი 8 კვირის განმავლობაში დასაბუთებულ ვეტოს არ დაადებს მას, მაშინ ფედერალურ პრეზიდენტს გადაეცემა. ფედერალური საბჭოს ვეტო, ფედერალური კანცლერის მეშვეობით, წერილობითი ფორმით გადაეცემა ეროვნულ საბჭოს, ხოლო შემდეგ შეს-

აბამის კომიტეტს. კომიტეტი განხილვის შედეგების გათვალისწინებით ეროვნულ საბჭოს სთავაზობს პირველადი საკანონმდებლო გადაწყვეტილების დამტკიცებას და ამ დროს ხდება მისი კენჭისყრაზე დაყენება, ან ახალ კანონპროექტს, რომელიც ეროვნულ საბჭოში იხილება მეორე მოსმენით. თუ ეროვნული საბჭო სხდომაზე, რომელსაც უნდა ესწრებოდეს ნევრთა ნახევარი მაინც, ხმების უბრალო უმრავლესობით დაამტკიცებს თავის პირველად გადაწყვეტილებას, ფედერალური საბჭოს შენიშვნების გათვალისწინებით მიიღებს ახალ კანონპროექტს, იგი კანცლერის მეშვეობით გადაეცემა ფედერალურ პრეზიდენტს ხელმოსაწერად, რის შემდეგაც ის კანონის ძალას იძენს.

**მთავრობა** აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს და შედგება ფედერალური კანცლერის, ვიცე-კანცლერის და ფედერალური მინისტრებისგან. მისი საქმიანობის ძირითად სამართლებრივ ბაზას ქმნის ქვეყნის კონსტიტუცია და 1986 წლის 13 თებერვლის ფედერალური კანონი „ფედერალური სამინისტროების რაოდენობის, კომპეტენციისა და სტრუქტურის შესახებ“. ფედერალური მთავრობა ინიშნება ეროვნული საბჭოს უფლებამოსილების ვადით. ფედერალური კანცლერი ინიშნება ფედერალური პრეზიდენტის მიერ, ხოლო ფედერალური მინისტრები – ფედერალური პრეზიდენტის მიერ, ფედერალური კანცლერის წარდგინებით. ფედერალური მთავრობის წევრად ინიშნებიან ეროვნულ საბჭოში არჩევის უფლებით აღჭურვილი პირები, თუმცა მათთვის ეროვნული საბჭოს წევრობა შეუთავსებელია. ფედერალური მთავრობის წევრები თანამდებობაზე დანიშვნისას დებენ ფიცს ფედერალური პრეზიდენტის წინაშე. ფედერალურ მთავრობას მეთაურობს ფედერალური კანცლერი, ხოლო ფედერალური მინისტრები ხელმძღვანელობენ ცალკეულ სამინისტროებს. თუმცა განსაკუთრებულ შემთხვევებში ფედერალური კანცლერი უფლებამოსილია ფედერალურ მინისტრს ერთდროულად დააკისროს მეორე სამინისტროს ხელმძღვანელობაც ან საერთოდ ჰყავდეს – სამინისტროს გარეშე, საგანგებო დავალებებზე. ფედერალური მინისტრები ფუნქციების განაწილების შესახებ დებულებაში წყვეტენ დეპარტამენტებისა და განყოფილებების შექმნის და მათზე გარკვეული ამოცანების დაკისრების საკითხს. ფედერალურ მთავრობაში არსებობს სახელმწიფო მდივნის ინსტიტუტი, რომლებიც ინიშნებიან ფედერალური პრეზიდენტის მიერ ფედერალური კანცლერის წარდგინებით. მათი ძირითადი ფუნქცია ფედერალური მინისტრებისთვის დახმარება და პარლამენტში წარმომადგენლობის უზრუნველყოფაა.

ფედერალურ მთავრობას ფართო კომპეტენცია აქვს, როგორც ეროვნული საბჭოს, ასევე ფედერალური პრეზიდენტის წინაშე. იგი უფლებამოსილია: მოითხოვოს ეროვნული საბჭოს რიგგარეშე სესიისა და სხდომის მოწვევა; წარადგინოს კანონპროექტები ეროვნულ საბჭოში; ეროვნულ საბჭოში ფედერალური საბჭოს საკანონმდებლო წინადადებები შეაქვს მხოლოდ ფედერალურ მთავრობას; მიმდინარე საფინანსო წლის დამთავრებამდე 10



კვირით ადრე მთავრობა წარადგენს შემდგომი წლის ბიუჯეტის პროექტს; ეროვნული საბჭოს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ვალდებულია ჩაატაროს ვადამდელი არჩევნები ისე, რომ ახლად არჩეულმა ეროვნულმა საბჭომ შეძლოს შეკრება წინას დათხოვნიდან არა უგვიანეს მესამე დღისა. ფედერალური პრეზიდენტის კომპეტენციაში შემავალი ყველა მოქმედება ხორციელდება ფედერალური მთავრობის ან ფედერალური მინისტრის წინადადებით.

ფედერალური კანცლერი გარდა იმისა, რომ ახორციელებს ფედერალური მთავრობის საერთო ხელმძღვანელობას, მეთაურობს ფედერალური კანცლერის უწყებას, რომელიც თავისი სამართლებრივი სტატუსით ფედერალურ სამინისტროს უთანაბრდება, თუმცა, მის კომპეტენციაში შედის ფედერალური მთავრობის საერთო პოლიტიკის შემუშავება და მმართველობის განხორციელებაზე ზოგადი ხელმძღვანელობა. ფედერალური კანცლერი ფედერალურ პრეზიდენტს ხელმოსანერად წარუდგენს ფედერალურ კანონებს, ფედერალური პრეზიდენტის ყველა გადანყვეტილება კონტრასიგნაციის წესით უნდა იქნეს ხელმოწერილი ფედერალური კანცლერის ან კომპეტენტური ფედერალური მინისტრის მიერ. კანცლერი აქვეყნებს ფედერალური პრეზიდენტის არჩევნების შედეგებს, არაუმეტეს 20 დღის ვადით ასრულებს ფედერალური პრეზიდენტის მოვალეობებს, ამ უკანასკნელის მიერ მათი განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, ოფიციალურ ბიულეტენებში აქვეყნებს ფედერალურ კანონებს და პოლიტიკურ სახელმწიფო ხელშეკრულებებს, აგრეთვე სხვა ხელშეკრულებებს, თუ ისინი ცვლიან ან ავსებენ ფედერალურ კანონებს. ავსტრიაში მკაფიოდ არის რეგლამენტირებული მონაცვლეობის ინსტიტუტი. იმ შემთხვევაში, თუ ფედერალური კანცლერი ვერ ახორციელებს თავის უფლებამოსილებებს, მის ნაცვლად მათ ახორციელებს ვიცე-კანცლერი, ხოლო თუ წარმოიქმნება ისეთი გარემოება, რომელიც თავიანთი მოვალეობების შესრულებაში ხელს უშლის როგორც ფედერალურ კანცლერს, ასევე ვიცე-კანცლერს, მაშინ ფედერალური პრეზიდენტი ფედერალური კანცლერის მოვალეობას აკისრებს ფედერალური მთავრობის ერთ-ერთ წევრს. თუ თავის უფლებამოსილებებს ვერ ახორციელებს ფედერალური მინისტრი, მაშინ ფედერალური პრეზიდენტი მათ შესრულებას აკისრებს სხვა ფედერალურ მინისტრს ან მოხელეს.

სასამართლო ხელისუფლება ავსტრიაში 3 დამოუკიდებელ სისტემას აერთიანებს. ესენია: საერთო სასამართლოები, ადმინისტრაციული იუსტიცია და საკონსტიტუციო სასამართლო.

საერთო სასამართლოების სისტემა რთული იერარქიული კონსტრუქციით ხასიათდება. მის სათავეში დგას უზენაესი სასამართლო, რომელიც საკასაციო წესით იხილავს ქვემდგომი სასამართლოების მიერ გადანყვეტილ სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებს. საქმეები უზენაეს სასამართლოში იხილება კოლეგიური წესით სამი, ხუთი ან თერთმეტი მოსამართლის

შემადგენლობით. სააპელაციო სასამართლოებს წარმოადგენენ მიწის უმაღლესი სასამართლოები, რომლებშიც 2 ან 3 მიწაა გაერთიანებული.

პირველი ინსტანციის სასამართლოების 2 სახე არსებობს. პირველს წარმოადგენენ მიწებისა და საოლქო სასამართლოები, რომელთა რაოდენობაც 17-ს შეადგენს. მათ კომპეტენციაში შედის სისხლის და სამოქალაქო სამართლის საქმეების განხილვა. მათ შორის ისეთი სისხლის სამართლის საქმეებისა, რომლებზეც სასჯელი აღემატება 6 თვით თავისუფლების აღკვეთას. აქედან, 3 წლით თავისუფლების აღკვეთის მომცველი საქმეები იხილება მოსამართლის მიერ ერთპიროვნულად, ხოლო უფრო მაღალი სასჯელის საქმეები – 2 პროფესიული მოსამართლის და 2 მსაჯულის – შეფუენის მონაწილეობით. მიწებისა და საოლქო სასამართლოების კომპეტენციაში შედის სამოქალაქო საქმეები, სადაც სარჩელის ღირებულება აღემატება 30 ათას შილინგს, და ზოგიერთი არაქონებრივი ხასიათის საქმეები. სამოქალაქო საქმეები მათი ხასიათიდან გამომდინარე იხილება მოსამართლის მიერ ერთპიროვნულად ან კოლეგიურად 3 მოსამართლის შემადგენლობით.

პირველი ინსტანციის სასამართლოების მეორე სახეს და საერთო სასამართლოების იერარქიული სისტემის ყველაზე ქვედა დონეს წარმოადგენენ საუბნო სასამართლოები, რომელთა რაოდენობაც 200-ს აღწევს. ეს სასამართლოები იხილავენ ისეთი კატეგორიის საქმეებს, რომლებიც არ შედის მიწებისა და საოლქო სასამართლოების კომპეტენციაში, ხოლო საქმეებს მოსამართლე იხილავს ერთპიროვნულად. მიწებისა და საოლქო სასამართლოები, მიუხედავად იმისა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოებს წარმოადგენენ, ცალკეულ შემთხვევებში საუბნო სასამართლოების მიერ განხილულ და გადაწყვეტილ საქმეებს განიხილავენ სააპელაციო წესით.

ზედა რგოლის სასამართლოების მოსამართლეები ინიშნებიან ფედერალური პრეზიდენტის მიერ ფედერალური მთავრობის წარდგინებით, ხოლო ქვედა რგოლის სასამართლოების მოსამართლეები მთავრობის მიერ იუსტიციის სამინისტროს ან სასამართლოების წარდგინებით. ამასთან, უზუნაესი სასამართლოს მოსამართლედ არ შეიძლება დაინიშნოს ის პიროვნება, რომელიც უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში იყო ფედერალური მთავრობის, მიწის მთავრობის, ეროვნული საბჭოს, ფედერალური საბჭოს ან სხვა წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი.

სასამართლოებში საქმისწარმოების დროს ზოგიერთ შემთხვევაში გამოიყენება ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი. ნაფიც მსაჯულთა უიური წყვეტს განსასჯელის ბრალეულობის საკითხს და მოიწვევა ძირითადად ისეთ შემთხვევებში, როდესაც პირს ემუქრება სამუდამო თავისუფლების აღკვეთა ან საქმე ეხება პოლიტიკურ დანაშაულს.

ადმინისტრაციული იუსტიცია შედგება ადმინისტრაციული სასამართლოსა და მიწების ადმინისტრაციული სენატებისგან. ადმინისტრაციული სასამართლო განიხილავს სარჩელებს მმართველობის ორგანოთა, ასევე ადმინისტრაციული სენატების გადაწყვეტილებების არაკანონიერებასთან, მმა-

რთველობის ორგანოთა მიერ ხელისუფლების ბოროტად გამოყენებასთან, მმართველობის ორგანოთა იმ განუხორციელებელ ვალდებულებებთან დაკავშირებით, რომელთა განხორციელებაც მათ კანონით ევალებოდათ. ადმინისტრაციულ სასამართლოში გადანყევტილებებს იღებენ სენატები, რომლებიც იქმნება ადმინისტრაციული სასამართლოს პლენუმის მიერ და შედგება დანიშნული ადმინისტრაციული სასამართლოს ნევრობისგან. ადმინისტრაციულ სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვს ნებისმიერ პიროვნებას, რომელიც მიიჩნევს, რომ მას მიადგა ზიანი და დაირღვა მისი უფლებები. ფედერალური მინისტრის მიერ მიღებულ გადანყევტილებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ სასამართლოში მიმართვის უფლება აქვს მინის მთავრობას. ადმინისტრაციული სასამართლოს კომპეტენციის სფეროში არ შედის საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი საქმეები და საპატენტო დავები.

ადმინისტრაციული სასამართლოს თავმჯდომარე, მისი მოადგილე და ნევრები ინიშნებიან ფედერალური პრეზიდენტის მიერ, ფედერალური მთავრობის ნარდგინებით. ადმინისტრაციული სასამართლოს ნევრად არ შეიძლება დაინიშნონ ფედერალური მთავრობის ან მინის მთავრობის ნევრები, ხოლო რაც შეეხება არჩევითი ნარმომადგენლობითი ორგანოების ნევრებს, მათი ადმინისტრაციული სასამართლოს ნევრად დანიშვნა არ შეიძლება იმ შემთხვევაშიც, თუ უფლებამოსილების ვადის გასვლამდე ნებაყოფლობით გადადგებიან დაკავებული თანამდებობიდან. თავმჯდომარისა და მისი მოადგილის თანამდებობაზე არ შეიძლება დაინიშნოს ის პიროვნება, რომელიც უკანასკნელი 4 წელი ზემოთ აღნიშნულ ორგანოებში ენეოდა საქმიანობას.

მინებში მოქმედებენ დამოუკიდებელი ადმინისტრაციული სენატები, მათთან სარჩელით მიმართვა შეუძლია ნებისმიერ პირს, რომელიც თვლის, რომ ადგილობრივი ორგანოების მიერ დარღვეულ იქნა მისი უფლება, თუმცა, სარჩელი არ უნდა შეეხებოდეს ფედერალური დონის ფინანსური ხასიათის დანაშაულებს. ადმინისტრაციული სენატის ნევრები ინიშნებიან მინების მთავრობების მიერ. ფედერალური კონსტიტუცია თანამდებობაზე მათი დანიშვნის მინიმალურ ვადად განსაზღვრავს 6 წელს, ნევრობის კანდიდატებისთვის სავალდებულოა იურიდიული განათლება. ადმინისტრაციული სენატის ნევრს უფლება არა აქვს ენეოდეს ისეთ საქმიანობას, რომელიც სამსახურებრივ ვალდებულებათა შესრულების დროს მის მიუკერძოებლობას საფრთხეს შეუქმნის.

ავსტრიაში მოქმედებენ სპეციალიზებული სასამართლოებიც. მათ რიცხვს განეკუთვნება: საპატენტო სასამართლო, რომელიც იხილავს მხარეთა შუამდგომლობებს გაცემული პატენტების ბათილად ცნობის თაობაზე; სავაჭრო სასამართლო, რომელიც ძირითადად გაკოტრებასთან დაკავშირებით სამეურნეო ხასიათის დავებს იხილავს; სასამართლოები შრომით საქმეებზე, სადაც წყდება შრომითი კონფლიქტები მენარმეებსა და მუშა-მოსამსახურეებს შორის.

საკონსტიტუციო ზედამხედველობა ევროპული მოდელის სახით ავსტრიული ნარმომავლობისაა. ვენის უნივერსიტეტის სამართლის პროფესორის ჰანს კელზენის იდეების საფუძველზე 1919 წლის სექტემბერში შეიქმნა მსოფლიოში პირველი საკონსტიტუციო სასამართლო, რომელმაც 1920 წელს მიიღო კონსტიტუციური აღიარება. საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობას ანესრიგებს 1953 წლის 12 მაისის ფედერალური კანონი „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“.

საკონსტიტუციო სასამართლო შედგება თავმჯდომარის, მისი მოადგილის, 12 ძირითადი და 6 სათადარიგო წევრისგან. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები ინიშნებიან ფედერალური პრეზიდენტის მიერ. მათ შორის თავმჯდომარის, მისი მოადგილის, 6 ძირითადი და 3 სათადარიგო წევრის კანდიდატურებს წარადგენს ფედერალური მთავრობა. დარჩენილი წევრებიდან 3 ძირითადი და 2 სათადარიგო წევრის კანდიდატურებს წარადგენს ეროვნული საბჭო, ხოლო 3 ძირითადი და 1 სათადარიგო წევრის კანდიდატურებს – ფედერალური საბჭო.

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრობის კანდიდატებს უნდა ჰქონდეთ განათლება სახელმწიფო-სამართლებრივ მეცნიერებათა სფეროში და 10-წლიანი მუშაობის სტაჟი სპეციალობით. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად არ შეიძლება დაინიშნოს პოლიტიკური პარტიის ორგანიზაციული სტრუქტურის მუშაკი, ფედერალური და მინის მთავრობის, ეროვნული საბჭოს, ფედერალური საბჭოს ან სხვა წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი, თუნდაც, უფლებამოსილების ვადის ამონურვამდე ნებაყოფლობით გადამდგარი. ფედერალურმა მთავრობამ კანდიდატურები უნდა წარადგინოს მოსამართლეების, მმართველობის მოხელეების და უნივერსიტეტების სამართლებრივი მეცნიერების პროფესორების რიგებიდან, რაც შეეხება მმართველობის მოხელეებს, ისინი საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად გამწესებასთან ერთად უნდა განათავისუფლდნენ სამსახურიდან. თავმჯდომარედ და მის მოადგილედ არ შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელიც უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში ფედერალური მთავრობის, მინის მთავრობის, ეროვნული საბჭოს, ფედერალური საბჭოს ან სხვა წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის ფუნქციას ახორციელებდა.

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები თანამდებობის დაკავებისას დებენ ფიცს, თავმჯდომარე და მისი მოადგილე – ფედერალური პრეზიდენტის, ხოლო სხვა წევრები – საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის წინაშე. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები ინიშნებიან უვადოდ. ფედერალური კონსტიტუცია განსაზღვრავს მხოლოდ ზედა ასაკობრივ ზღვარს. მოსამართლეს უფლებამოსილება უწყდება იმ წლის 31 დეკემბერს, როდესაც მას 70 წელი შეუსრულდება.

საკონსტიტუციო სასამართლო კომპეტენციის ფარგლებში განიხილავს: ყველა იმ სახის ქონებრივ-სამართლებრივ მოთხოვნებს, რომლებიც წარედგინება ფედერაციას, მინებს, რაიონებს, თემებს და თემთა კავშირებს,

რომელთა გადანყვეტაც არ ექვემდებარება ჩვეულებრივი სასამართლოების ან მმართველობის ორგანოების კომპეტენციას; დავას კომპეტენციის თაობაზე სასამართლოებსა და მმართველობის ორგანოებს შორის, ადმინისტრაციულ სასამართლოსა და სხვა სასამართლოებს შორის, ადმინისტრაციულ სასამართლოსა და თვით საკონსტიტუციო სასამართლოს შორის, ჩვეულებრივ სასამართლოებს შორის, ფედერაციასა და მინებს ან მხოლოდ მინებს შორის; ფედერალური მთავრობის ან დაინტერესებული მინის მთავრობის შუამდგომლობებს, მათ შორის არსებული შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის შესახებ. მეორე მიმართულება მოიცავს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა დადგენილებების კანონებთან შესაბამისობის საკითხებს, ხოლო მესამე მიმართულება მოიცავს ფედერალური და მინების კანონების კონსტიტუციურობის საკითხებს.

გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს საკითხებს: ფედერალური პრეზიდენტის, უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების, ევროპის პარლამენტის, მინების მთავრობებისა და თემთა აღმასრულებელი ორგანოების არჩევნების გაპროტესტების შესახებ; უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს შუამდგომლობას მისი ნევრისთვის მანდატის ჩამორთმევის შესახებ, ავსტრიის ევროპარლამენტის არანაკლებ 11 დეპუტატის შუამდგომლობას ავსტრიის ევროპარლამენტის დეპუტატისთვის მანდატის ჩამორთმევის შესახებ; იხილავს საქმეებს იმ ბრალდებულთან დაკავშირებით, რომლებიც ითვალისწინებენ კონსტიტუციით განსაზღვრულ პასუხისმგებლობას ფედერაციისა და მინების უმაღლესი ორგანოების მიერ, მათი ოფიციალური საქმიანობის დროს ჩადენილი დანაშაულებრივი სამართალდარღვევისას. ამ უკანასკნელი უფლებამოსილების ფარგლებში ბრალდება შეიძლება აღიძრას: ფედერალური პრეზიდენტის წინააღმდეგ, მის მიერ ფედერალური კონსტიტუციის დარღვევისას – ფედერალური კრების გადანყვეტილებით; ფედერალური მთავრობის ნევრების წინააღმდეგ, მათ მიერ კანონის დარღვევისას – ეროვნული საბჭოს გადანყვეტილებით; მინის მთავრობის ნევრების წინააღმდეგ, მათ მიერ კანონის დარღვევისას – შესაბამისი მინის ლანდტაგის გადანყვეტილებით.

ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლო მუშაობს სესიური წესით: წელიწადში მოიწვევა ოთხი სესია – მარტში, ივნისში, სექტემბერსა და დეკემბერში, 3-4 კვირის ხანგრძლივობით. აუცილებლობის შემთხვევაში კი იმართება საგანგებო სესია. საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომები ყოველთვის ტარდება ერთიანი შემადგენლობით. სასამართლოს გადანყვეტილებას ძალა აქვს, თუ იგი მიღებულია თავმჯდომარისა და სულ ცოტა 8 ნევრის მონაწილეობით, ნაკლებად მნიშვნელოვანი საქმეების გადანყვეტისთვის საკმარისია თავმჯდომარისა და 4 ნევრის მონაწილეობა.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილება სამართლებრივი აქტის არაკონსტიტუციურად ან კანონსწინააღმდეგოდ გამოცხადების თაო-

ბაზე გამოქვეყნებული უნდა იქნეს ფედერაციისა და მინების კომპეტენტური ორგანოების მიერ. გადანყვეტილება გაუქმების თაობაზე ძალაში შედის გამოქვეყნების დღიდან, თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია დაადგინოს გაუქმებული აქტის მოქმედების შეწყვეტის განსხვავებული ვადა.

საკონსტიტუციო სასამართლო, დადგენილებებს კანონსაწინააღმდეგოდ, ხოლო კანონებს – არაკონსტიტუციურად აცხადებს მთლიანად, თუმცა მას უფლება არა აქვს სამართლებრივი აქტი მთლიანად ბათილად ცნოს, როდესაც აქტის მთლიანად გაუქმება ეწინააღმდეგება იმ მხარის სამართლებრივ ინტერესებს, რომლის მიერაც არის აღძრული შუამდგომლობა.

ადგილობრივი მართვის ორგანიზაცია. ავსტრიაში მინების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად მიიჩნევა თემები, რომლებიც თვითმმართველობის უფლებით სარგებლობენ. თემს, რომლის მოსახლეობაც 20 ათასს აღწევს, შეიძლება მიენიჭოს დამოუკიდებელი ქალაქის სამართლებრივი სტატუსი, თუმცა, ეს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მინის ინტერესებს. ფედერალური კონსტიტუცია განსაზღვრავს თემების სტატუსს და მათ ზოგად სამართლებრივ ბუნებას. კერძოდ, მასში აღნიშნულია, რომ თემი არის სამეურნეო ერთეული, რომელსაც უფლება აქვს დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი ბიუჯეტი, აქვს ნებისმიერი სახის ქონების შექმნისა და განკარგვის უფლება, შეუძლია ენოდეს სამენარმეო საქმიანობას, მოახდინოს ადგილობრივი გადასახადების აკრეფა. თემის კომპეტენციის სფეროს აყალიბებს საკუთრივ მისი, აგრეთვე, ფედერაციის ან მინის მიერ დელეგირებული უფლებამოსილებები. თემის საკუთარი უფლებამოსილებები მოიცავს: თემის ორგანოების შექმნას და მათი შიდაორგანიზაციის რეგულირებას; თემის მოსამსახურეთა დანიშვნას; ადგილობრივ პოლიციას; შიდასატრანსპორტო გზების მართვას; ადგილობრივ საგზაო პოლიციას; ადგილობრივი სავარგულების დაცვის პოლიციას; ჯანდაცვის ადგილობრივ პოლიციას; ზნეობრივ პოლიციას; ადგილობრივ სამშენებლო პოლიციას; ადგილობრივ სახანძრო პოლიციას; დავის არასასამართლო გზით გადანყვეტის საჯარო დანესებულებებს; მოძრავი ქონების აუქციონზე ნებაყოფლობით გაყიდვის ორგანიზებას.

საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, სხვადასხვა ამოცანის შესასრულებლად, თემები შეიძლება გაერთიანდნენ თემთა კავშირში. ასეთი შეთანხმება აუცილებლად საჭიროებს კომპეტენტური ფედერალური ორგანოს თანხმობას. ფედერალური კონსტიტუცია განსაზღვრავს თემთა კავშირის შექმნისთვის შემდეგი 2 სავალდებულო პირობის დაცვას: სახელმწიფო მმართველობის ამოცანების შესრულების შემთხვევაში საფრთხე არ უნდა შექმნას შეთანხმების მონაწილე თემების, როგორც თვითმმართველობის ერთეულების ფუნქციონირებას; ამოცანების შესრულება მათი მიზანშეწონილობისა და ეკონომიურობის თვალსაზრისით უნდა შეესაბამებოდეს თემების ინტერესებს და რეგულირებოდეს დებულებით.

თემებს, მათ წინაშე დასახული ფუნქციებისა და ამოცანების განსახორციელებლად აქვთ წარმადგენლობითი ორგანო – თემის საბჭო, რომლის

შემადგენლობაც კომპლექტდება საყოველთაო არჩევნების გზით; და აღმასრულებელი ორგანო ე.წ. თემის მმართველობა – ქალაქის საბჭო, ხოლო იმ ქალაქებში, რომელთაც მინიჭებული აქვთ დამოუკიდებლობის სტატუსი – ქალაქის სენატი. თემის საბჭო თავის საქმიანობას წარმართავს სხდომებზე, რომლებიც ტარდება ღიად და საჯაროდ, თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში სხდომა შეიძლება დახურულად იქნეს გამოცხადებული. ფედერალური კონსტიტუციის თანახმად, არ შეიძლება საჯაროობის პრინციპის დარღვევა ისეთ შემთხვევებში, როდესაც სხდომებზე იხილება თემის ბიუჯეტის პროექტი ან შესრულების შედეგი. თემის საბჭოში გადანყვეტილებები მიიღება დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით, გამონაკლის შემთხვევებში კი შეიძლება დანესებულ იქნეს გადანყვეტილების მიღების გართულებული პროცედურა. თემის მმართველობას ხელმძღვანელობს ბურგომისტრი, რომელიც აირჩევა თემის საბჭოს მიერ ან თუ ეს გათვალისწინებულია მინის კონსტიტუციით, უშუალოდ საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეების მიერ. თემის მმართველობის ორგანო ყალიბდება პარტიების წარმომადგენლებისგან, პროპორციული არჩევნების შედეგად მოპოვებული მანდატების შესატყვისი თანაფარდობით.

ბურგომისტრი და თემის მმართველობის სხვა წევრები პასუხისმგებელი არიან თემის საბჭოს წინაშე. ბურგომისტრი, როგორც თემის მმართველობის ხელმძღვანელი ახორციელებს ფედერაციის ან მინის მიერ თემისადმი დელეგირებულ უფლებამოსილებებს. ასეთი უფლებამოსილებების განხორციელების დროს ბურგომისტრი ვალდებულია იმოქმედოს შესაბამისი ფედერალური ორგანოების მითითებებით, ხოლო მინების აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ დელეგირებულ საკითხებზე, მინის კომპეტენტური ორგანოს მითითებებით და პასუხისმგებელია მათ წინაშე. ბურგომისტრს უფლება აქვს საკუთარი პასუხისმგებლობის ქვეშ მოახდინოს დელეგირებული უფლებამოსილებების გადანაწილება თემის მმართველობის სხვა წევრებზე, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ბურგომისტრის წინაშე. ფედერალური კონსტიტუცია ითვალისწინებს თემის მმართველობის წევრების პასუხისმგებლობის საკითხს, მათ მიერ დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების დროს კანონის დარღვევის ან დადგენილებებისა და მითითებების შეუსრულებლობის შემთხვევაში. კერძოდ, ბურგომისტრი და თემის მმართველობის სხვა წევრები შეიძლება განთავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობიდან მინის გუბერნატორის მიერ, თუ ეს დარღვევები ფედერალური აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების დროს მოხდა, ხოლო მინის მთავრობის მიერ, თუ ეს დარღვევები მოხდა მინის აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებასთან დაკავშირებით.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების საქმიანობაზე მოქმედებს ზედამხედველობისა და კონტროლის სხვადასხვა მექანიზმი. ფედერაცია და მინები ზედამხედველობას ახორციელებენ, თემის შესაბამისი ორგანოების

კომპეტენციის ფარგლებში აღმასრულებელი საქმიანობის დროს კანონების მოთხოვნების დაცვაზე. მიწები აგრეთვე აკონტროლებენ თემების საფინანსო საქმიანობას მათი ეკონომიურობისა და მიზანმიმართულობის თვალსაზრისით. შემონების შედეგები ეგზავნება ბურგომისტრს თემის საბჭოში განხილვისა და ზომების მისაღებად, რის თაობაზეც 3 თვის ვადაში ანგარიში უნდა მოხსენდეს შემომონებელ ორგანოს. თემების საქმიანობის კონტროლის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს მათივე ვალდებულება ზედამხედველობის ორგანოს წარუდგინონ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში გამოცემული დადგენილებები, კანონიერებაზე მათი შემონების მიზნით. კანონსაწინააღმდეგოდ მათი ცნობა თავისთავად გამოიწვევს მათ გაუქმებას. ფედერაციისა და მიწების ორგანოები ზედამხედველობისა და კონტროლის განხორციელების დროს აღჭურვილნი არიან ფართო უფლებებით. მათ შეუძლიათ მოითხოვონ თემებისაგან ნებისმიერი სახის ინფორმაციის მიღება და ჩაატარონ შემონებები.

ავსტრიის კონსტიტუციური სამართლის განსაკუთრებული თავისებურებანი. ავსტრიის კონსტიტუციურ სამართალს განვითარების ხანგრძლივი ისტორია აქვს, რომელსაც ყოველთვის თან ახლდა სხვათა გამოცდილებისადმი ნოვატორული მიდგომა და სიახლეების ძებნა, ყოველივე ამის შედეგად მას შეძენილი აქვს მისთვის დამახასიათებელი მრავალი ნიშან-თვისება:

– ავსტრიის კონსტიტუციის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ძირითადი ფედერალური კონსტიტუციური კანონის პარალელურად, მისგან სტრუქტურულად განცალკევებულად მოქმედებენ მთელი რიგი ფედერალური კონსტიტუციური კანონები, რაც მას დანერგულ არაკოდიფიცირებულ კონსტიტუციათა რიცხვს მიაკუთვნებს;

– ადამიანის უფლებების დაცვის ავსტრიული ომბუდსმენი, ამ ინსტიტუტის პრაქტიკაში უპრეცედენტო მაგალითია, ვინაიდან შექმნილი სახალხო უფლებადაცვის კოლეგია მოქმედებს კოლეგიურ პრინციპზე და შედგება 3 წევრისგან;

– მიწების საკანონმდებლო საქმიანობა ერთგვარად იზღუდება იმით, რომ მიწების ლანდტაგების მიერ მიღებული კანონები ექვემდებარება ფედერალური კანცლერის უწყებაში წარდგენას, ხოლო ფედერალურ მთავრობას მინიჭებული აქვს უფლება მკვირის განმავლობაში დასაბუთებული ვეტო დაადოს მათ;

– ფედერალური პრეზიდენტის არჩევნებისას, თუ არჩევნების პირველ ტურში ვერც ერთი კანდიდატი ვერ მოაგროვებს დადგენილ ხმების რაოდენობას, მეორე ტურში შესაძლებელია თავდაპირველი კანდიდატურა შეცვლილი იქნეს ახალი კანდიდატურით.

– ფედერალური პრეზიდენტი შეიძლება თანამდებობიდან ვადადე იქნეს გადაყენებული იმ შემთხვევაში, თუ ფედერალური კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე ჩატარებულ სახალხო კენჭისყრაზე აღნიშნული წინადადება მოიპოვებს მხარდაჭერას;

– ფედერალურ პრეზიდენტს, რომელიც ხელს აწერს ფედერალურ კანონებს, არ გააჩნია ვეტოს უფლება მათზე, ამდენად, პრომულგაცია უფრო მისი მოვალეობაა, ვიდრე უფლება;



– ეროვნული საბჭოს სხდომების ჩატარებისთვის და საკითხის განხილვისთვის არ არის დადგენილი სავალდებულო კეორუმი, იგი საჭირო ხდება მხოლოდ გადაწყვეტილებების მიღებისას;

– ფედერალური საბჭოს წევრებს ენიშნებათ სათადარიგო მოხელეები და სხვადასხვა ვითარებაში მოქმედებს მათი ოპერატიულად შენაცვლების მექანიზმი;

– კანცლერის უწყება სამართლებრივი სტატუსით ფედერალურ სამინისტროს უთანაბრდება და მას თვით ფედერალური კანცლერი მეთაურობს;

– უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარედ და მის მოადგილედ არ შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელიც ბოლო 4 წლის განმავლობაში იყო ფედერალური მთავრობის, მინისტრთა მთავრობის, ეროვნული საბჭოს ან სხვა წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი, რითაც გამოირიცხება ამ თანამდებობის პირებზე პოლიტიკური ზენონის განხორციელების შესაძლებლობა;

– ავსტრიაში 1919 წელს მსოფლიოში პირველი საკონსტიტუციო სასამართლო შეიქმნა და საკონსტიტუციო იუსტიციის საავტორო სიახლე დამკვიდრდა, რომელმაც შემდგომ ფართო გავრცელება ჰპოვა;

– კონსტიტუციური იურისდიქციის ავსტრიული მოდელის მიხედვით ნორმატიული აქტების გასაჩივრების წესიც ერთობ თავისებურია. ფედერალურ მთავრობას შეუძლია აღძრას საკითხი ნებისმიერი მინისტრის კანონის კონსტიტუციურობის შესახებ, მაგრამ არ შეუძლია იგივე გააკეთოს ფედერალურ კანონთან დაკავშირებით. ამ დროს, მინისტრთა მთავრობას შეუძლია დააყენოს საკითხი ფედერალური კანონის კონსტიტუციურობის შესახებ, მაგრამ არ შეუძლია იგივე მოიმოქმედოს მინისტრთა მთავრობის დაკავშირებით;

– საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს არა მარტო კანონების კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხს, არამედ ასევე კანონქვემდებარე აქტების კანონებთან შესაბამისობის საკითხს, რაც მას აქცევს მიმდინარე კანონმდებლობის დაცვის გარანტად;

– საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, დაკავშირებული ქონებრივ სამართლებრივ მოთხოვნებთან, საერთო სასამართლოების მიერ აღსრულდება, ხოლო სხვა სახის გადაწყვეტილებების აღსრულება ფედერალური პრეზიდენტის კომპეტენციაში შედის;

– საკონსტიტუციო სასამართლოს, შეუძლია ისე მიიღოს სამართლებრივი აქტის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება, რომ აღნიშნული სამართლებრივი აქტის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, სამართლებრივი აქტის სახეობიდან გამომდინარე, განსხვავებული ვადა დაადგინოს;

– ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების საქმიანობა მკაცრად კონტროლდება, თუმცა ვალდებულნი არიან გამოცემული დადგენილებები, მათი შემონგების მიზნით ზედამხედველობის ორგანოებს წარუდგინონ.

## პეპიპტი

სავიზიტო ბარათი. ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკა აფრიკის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში და აზიაში სინაის ნახევარკუნძულზე მდებარეობს. ქვეყანას დასავლეთით ესაზღვრება ლიბია, სამხრეთით – სუდანი, ჩრდილო-აღმოსავლეთით ისრაელი და გაეროს მიერ 1947 წელს არაბთა სახელმწიფოს შესაქმნელად გამოყოფილი ტერიტორია, ჩრდილოეთით აკრავს ხმელთაშუა ზღვა, აღმოსავლეთით – ნითელი ზღვა. მისი მთელი ტერიტორია 100,2 ათას კმ<sup>2</sup>-ს შეადგენს, მოსახლეობა – 63 მილიონია, რომელთა შორის 98% არაბია. ქვეყნის დედაქალაქია კაირო, სახელმწიფო ენა – არაბული, ფულის ერთეული – ეგვიპტური ფუნტი.

1923 წელს ეგვიპტე დამოუკიდებელ სამეფოდ გამოცხადდა, მაგრამ 1956 წლამდე ქვეყანაში ინგლისის ჯარი იდგა. ფაქტობრივად, ამ პერიოდში ეგვიპტე, დიდი ბრიტანეთის ნახევარკოლონიური ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა და ეკონომიკასაც დიდი ბრიტანეთი აკონტროლებდა. უცხოური გავლენით უკმაყოფილება 1952 წლის 23 ივლისს რევოლუციაში გადაიზარდა, ლიკვიდირებულ იქნა მონარქია და 1953 წელს ეგვიპტე რესპუბლიკად გამოცხადდა. მთავრობის დავალებით სპეციალურმა კომისიამ შეიმუშავა ახალი კონსტიტუციის პროექტი, რომელიც რეფერენდუმის გზით იქნა მიღებული 1956 წლის 23 ივლისს. 1952-70 წლებში ეგვიპტეში ხორციელდებოდა „არაბული სოციალიზმის“ მშენებლობის პოლიტიკა, რომლის ფარგლებშიც ნაციონალიზებულ იქნა უცხოური და მსხვილი კერძო საწარმოები, განხორციელდა ანტიიმპერიალიზური აგრარული რეფორმა, დაინერგა ეკონომიკის სახელმწიფოებრივი დაგეგმვის მექანიზმი.

ქვეყნის სახელმწიფოებრივი განვითარების ახალი ეტაპი იწყება 1971 წლის 11 სექტემბერს მიღებული კონსტიტუციით, როცა პირველი პრეზიდენტის – ნასერის გარდაცვალების შემდეგ ხელისუფლებაში მოსული სადათის მთავრობამ უარყო სოციალისტური ორიენტაცია და კაპიტალისტური განვითარების გზა ალიარა, თუმცა 1971 წლის კონსტიტუცია ინარჩუნებდა სოციალისტურ ტერმინოლოგიას და მხოლოდ 1980 წელს რეფერენდუმზე მიღებულმა შესწორებებმა მნიშვნელოვნად შეუცვალა გეზი ქვეყნის სახელმწიფო პოლიტიკას. მიუხედავად ამისა, კონსტიტუცია კვლავაც ინარჩუნებს ნასერის პერიოდის ყველა ძირითად იდეას. „არაბული სოციალიზმის“ შესახებ დებულების ჩათვლით.

ეგვიპტე მუსლიმანური სამართლის ოჯახს განეკუთვნება. მოქმედი კონსტიტუციით, მმართველობის ფორმის მიხედვით, ეგვიპტე სუპერ-აპრეზიდენტო რესპუბლიკაა, ხოლო სახელმწიფო მონყოების ფორმით – მარტივი უნიტარული სახელმწიფო.

კონსტიტუცია. 1 კარი განამტკიცებს ეგვიპტის სამართლებრივ ორიენტირებს და ამკვიდრებს დემოკრატიულ, სოციალისტურ, შრომით ძალთა სახალხო კავშირზე დაფუძნებულ სახელმწიფოს. აქვე სახელმწიფო

რელიგიად ისლამია გამოცხადებული და შარიათის პრინციპები კანონმდებლობის ძირითად წყაროდ არის აღიარებული.

კარი II – „საზოგადოების ძირითადი კონსტიტუცია“ ორი თავისგან შედგება. პირველი თავი – „კონსტიტუციის მორალი და სოციალიზმი“, მოიცავს ეთიკურ-სოციალური უფლებების განმსაზღვრელ ნორმებს, რომლებიც ეხება პიროვნების ჯანმრთელობას, განათლებას, დედებისა და ბავშვების უფლებებს, ქალის მოვალებების კოორდინირებას ოჯახსა და საზოგადოებასთან მიმართებით, პროფკავშირების შექმნას. ამავე თავში მოცემულია საკუთრებითი ურთიერთობების განმსაზღვრელი ქცევის ნორმები და დადგენილია შრომისა და სამენარმეო საქმიანობის განხორციელების გარანტიები. მეორე თავი – „ეკონომიკის შემადგენელი ნაწილი“ – განსაზღვრავს საკუთრების სამ – სახელმწიფო, კოოპერატიულ და კერძო ფორმას. პირველი მათგანი ხასიათდება, როგორც „ხალხის საკუთრება“ და „სოციალისტური სისტემის“ საფუძველი, იგი არ შეიძლება იყოს გასხვისებული სათანადო ანაზღაურების გარეშე. კოოპერატიული და კერძო საკუთრება მონოდებულია შეასრულოს ეროვნული ეკონომიკის სოციალური ფუნქციები და არ უნდა ენიხაღმდეგებოდეს ხალხის საერთო კეთილდღეობას. აქვე აღნიშნულია ეროვნული ეკონომიკის განვითარების ძირითადი პრინციპები. მართალია, კონსტიტუცია ხელს უწყობს ქვეყნის კაპიტალისტურ განვითარებას, მაგრამ ამავდროულად იგი მოიცავს შემზღვევლად დებულებებს, „სოციალისტურ“ ნორმებს, თუმცა ისინი ხელს არ უშლიან კერძო საკუთრებისა და სამენარმეო საქმიანობის განვითარებას.

კონსტიტუციის III კარი – „საზოგადოებრივი თავისუფლებები, უფლებები და მოვალებები“ – ეძღვნება ადამიანის ძირითად უფლებებსა და მოვალებებს. აქვე ლაპარაკია ყველა მოქალაქის თანაბარ შესაძლებლობებზე, სოციალურ მშვიდობიანობაზე, რომელიც უნდა ემყარებოდეს სამართლიანობას, პოლიტიკურ და სოციალურ პროგრესს, პირის ღირსების პატივისცემას.

IV კარი – „კანონის სუვერენიტეტი“ არეგულირებს ბრალდებულის უფლებების, სასამართლო პროცესის ჩატარების და კანონის უზენაესობის საკითხებს. კონსტიტუციის თანახმად, „სახელმწიფო ექვემდებარება სამართალს“, სამართლის უზენაესობა კი სახელმწიფოს მართვის საფუძველია.

კონსტიტუციის V კარი – „სახელმწიფო სისტემა“ შედგება რვა თავისგან. პირველი თავი – „სახელმწიფოს მეთაური“, შეეხება პრეზიდენტის არჩევისა და გადაყენების წესს. იგი დანვრილებით განიხილავს პრეზიდენტის კანდიდატის მიმართ ნაყენებულ მოთხოვნებს, კანდიდატურის დასახელების და იმპიჩმენტის პროცედურებს, აგრეთვე ვაკანსიის წარმოშობისა მისი მონაცვლეობის საკითხს. მეორე თავში განხილულია პარლამენტის ფორმირების წესი, მისი უფლებამოსილებანი, დეპუტატის სტატუსის განმსაზღვრელი ნორმები, საკანონმდებლო პროცესი და მთავრობასთან ურთიერთობა. მესამე თავი – „აღმასრულებელი ხელისუფლება“, ოთხი განყოფილებისგან შედ-

გება. პირველი განყოფილება ეძღვნება პრეზიდენტის სამართლებრივ სტატუსს, მის მიერ უშუალო და კონტრასიგნაციის მექანიზმით დადასტურებულ უფლებამოსილებათა ფართო წრეს. მეორე განყოფილებაში ასახულია ქვეყნის აღმასრულებელი ორგანოს – მინისტრთა საბჭოს კომპეტენცია, ფუნქციები და ამოცანები, პრემიერ-მინისტრის, მისი მოადგილეების, მინისტრების და მათი ურთიერთობა სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოებთან. მესამე განყოფილება აწესრიგებს ქვეყნის ტერიტორიული მონყობის საკითხებს. მეოთხე განყოფილებით, სახელმწიფოს საერთო პოლიტიკის განსაზღვრის ფუნქციით, პრეზიდენტთან იქმნება სპეციალური ეროვნული საბჭოები, რომელთა რაოდენობა და უფლებამოსილებები განისაზღვრება პრეზიდენტის დეკრეტით.

V კარის მეოთხე და მეხუთე თავებში ჩამოყალიბებულია ქვეყნის სასამართლო სისტემა. ძირითადი კანონით გათვალისწინებულია სპეციალური სასამართლოების შექმნა, აგრეთვე, მოცემულია უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის და მოსამართლეების დანიშვნა-გათავისუფლების წესი, მოსამართლეთა დამოუკიდებლობის ნორმები, განსაზღვრულია უზენაესი საკონსტიტუციო სასამართლოს სტატუსი. მეექვსე თავი ამკვიდრებს პროკურატურის ორგანოს, როგორც კანონიერების და საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველმყოფელ ინსტიტუტს. მეშვიდე და მერვე თავები შეეხება შეიარაღებულ ძალებს, ეროვნული უშიშროების საბჭოს და პოლიციას. შეიარაღებული ძალები ეკუთვნის ხალხს, რომლის ამოცანებში შედის ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვა, ტერიტორიის უსაფრთხოება და ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა. ეროვნული უშიშროების საბჭო იქმნება სახელმწიფო მეთაურის მიერ.

კონსტიტუციის VI კარში – „ზოგადი და გარდამავალი დებულებანი“ დადგენილია ეგვიპტის ეროვნული სიმბოლოები: ჰიმნი, დროშა, გერბი და კონსტიტუციაში შესწორების შეტანის წესი, რომლის ინიციატივის უფლება ეკუთვნის რესპუბლიკის პრეზიდენტს და სახალხო კრების ნევრთა არანაკლებ 1/3-ს. შესწორების წინასწარი განხილვა ხდება საკონსულტაციო საბჭოში, რის შედეგადაც მას მხარი უნდა დაუჭიროს დეპუტატთა 2/3-მა, მაგრამ საბოლოოდ გადაწყვეტილება მიიღება რეფერენდუმზე, სადაც შესწორება ითვლება მიღებულად, თუ მას მხარი დაუჭირა უმრავლესობამ. აღსანიშნავია, რომ სახალხო კრების დეპუტატთა უმრავლესობით, სისხლის სამართლის მუხლების გარდა, კანონს შეიძლება მიეცეს უკუქვეყნის ძალა.

ყველაზე სერიოზული შევსება, რომელიც კონსტიტუციამ 1980 წელს მიღებულ ცვლილება-დამატებებით განიცადა არის VII კარი სახელწოდებით – „ახალი დებულებანი“. იგი შედგება ორი თავისგან: პირველი შეეხება საკონსულტაციო საბჭოს – ამ-შურას უფლებამოსილებებს, ფორმირებისა და პასუხისმგებლობის წესს; მეორე თავი განიხილავს პრესის ადგილს ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეგვიპტეში მასმედია ხელისუფლების ცალკე შტოდ არის გამოცხადებული.. იგი განიხილება „დამოუკიდებელ სახალხო ორგანოდ“ და საზო-

გადოების კეთილდღეობისთვის დამოუკიდებლად ახორციელებს მასზე დაკისრებულ ფუნქციებს.

**ადამიანის უფლებები და თავისუფლებები.** ეგვიპტის კონსტიტუცია მოქალაქეთა უფლებებსა და მოვალეობებში თანასწორობას ადგენს, მოუხედავად მათი ეთნიკური კუთვნილებისა, რასისა, სქესისა, ენისა და შეხედულებისა. მაშინ როცა კონსტიტუციის ტექსტი მთლიანობაში ემთხვევა საერთაშორისო კონვენციებითა და ხელშეკრულებებით აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, რეალობა გარკვეულ შეუსაბამობაშია მათ ცალკეულ მოთხოვნებთან. ეს განსაკუთრებით ქალთა მდგომარეობას შეეხება. ამასთან, ისიც საგულისხმოა, რომ შარიათის შესახებ დათქმები თანასწორობის პრინციპს თავისებურ ხასიათს ანიჭებს. მაგალითად, 1978 წლის კანონით „ეროვნული ერთიანობისა და სოციალური მშვიდობიანობის შესახებ“, პირებს, რომლებიც საღვთო კანონებს უარყოფენ, ეკრძალებათ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ხელმძღვანელი თანამდებობის დაკავება.

კონსტიტუცია აღიარებს უფლებებისა და თავისუფლებების განუყოფელ ხასიათს, თუმცა განსაზღვრულ შემთხვევებში ზოგიერთი უფლების გამოყენება შეიძლება შეიზღუდოს არა მარტო სასამართლოს, არამედ სხვა კომპეტენტური ორგანოს მიერ.

პირად უფლებებს შორის კონსტიტუცია აღიარებს სარწმუნოების და რელიგიური ნეს-ჩვეულებების შესრულების თავისუფლებას, თუმცა აქვე კონსტიტუცია სახელმწიფო რელიგიად აკანონებს ისლამს და შარიათის პრინციპების მიმდევრობას არა მხოლოდ რელიგიურ და მორალურ, არამედ სამართლებრივ მოვალეობად აცხადებს; პირადი ცხოვრების თავისუფლებას, რომელიც შეიცავს საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლებას, მიმონერის, სატელეფონო საუბრებისა და საფოსტო გზავნილების ხელშეუხებლობას.

სოციალურ-ეკონომიკურ უფლებებს შორის დასახელებულია შრომის და განათლების, მეცნიერული და მხატვრული შემოქმედების თავისუფლება. შრომა აღიარებულია, როგორც უფლება, მოვალეობა და ღირსება, რომელსაც უზრუნველყოფს სახელმწიფო. ექსპლუატატორული გამოვლინებებისგან დაცვის მიზნით, დაუშვებელია ისეთი სამუშაოს მიცემა, რომელიც კანონითაა აკრძალული და სათანადოდ არ ანაზღაურდება. სახელმწიფოს მიერ გარანტირებულია აგრეთვე განათლების უფლება.

ეკონომიკურ უფლებებიდან უნდა გამოვყოთ საკუთრების უფლება, რომელსაც კონსტიტუცია იცავს და სათანადო კომპენსაციის გარეშე სახელმწიფოებრივი სარგებლიანობისთვის არავის არ შეიძლება ჩამოერთვას კერძო საკუთრება. აღნიშნულის გარდა, სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის მნიშვნელოვანი უფლებაა გაერთიანების უფლება, მათ შორის პროფესიული კავშირების შექმნის უფლება. კონსტიტუცია აღიარებს მშვიდობიანი მსვლელობის, დემონსტრაციების მოწყობის და შეკრების თავისუფლებას, კანონით აკრძალულია უშიშროების სამსახურის წევრების დასწრება.

პოლიტიკურ უფლებათა შორის კონსტიტუცია აღიარებს მოქალაქეთა სახელმწიფო ორგანოებში მიმართვის უფლებას, მოქალაქის უფლებას თავისი აზრი გამოხატოს რეფერენდუმზე გამოტანილ საკითხებზე და საარჩევნო უფლებას, რომლებიც მოქალაქეობრივ მოვალეობადაც განიხილება.

კონსტიტუცია ყურადღებას ამახვილებს მშრომელთა, მუშებისა და გლეხების, ხელოსნების უფლებებზე. გლეხებისა და სოფლის მეურნეობის მუშების ექსპლუატაციისგან დაცვის მიზნით, კონსტიტუცია ადგენს მიწის საკუთრების მაქსიმუმს, რაც ამჟამად ოჯახზე 100 ფედანს შეადგენს. გარდა აღნიშნულისა, ყოველი მუშა და გლეხი ფლობს აქციას, რომლის ოდენობა განისაზღვრება მის მიერ შესრულებული სამუშაოს შესაბამისად და ყოველწლიური შემოსავალიც მასზეა დამოკიდებული. საჯარო სექტორის დირექტორთა საბჭოში არანაკლებ 50%-ს მუშები შეადგენენ, ხოლო სოფლის მეურნეობის და სამრეწველო კოოპერატივების დირექტორთა საბჭოში არანაკლებ 80%-ს წვრილი ფერმერები და ვაჭრები წარმოადგენენ.

კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფო უზრუნველყოფს დედების, ბავშვების და ახალგაზრდების დაცვას და ზრუნავს მათ განვითარებაზე, ისლამური იურისპრუდენციის წესების დაცვით ითვალისწინებს ქალის მიერ ოჯახთან ერთად თანამდებობის შეთავსებას, მის თანასწორობას მამაკაცთან პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ სფეროებში. განსაკუთრებულ დამოკიდებულებას იჩენს კონსტიტუცია ეგვიპტური ოჯახის მიმართ, რომელიც აღიარებულია როგორც საზოგადოების საძირკველი და დაფუძნებულია რელიგიაზე, ზნეობასა და პატრიოტიზმზე.

კონსტიტუცია, უფლება-თავისუფლებათა ფართო სპექტრის გარდა, ადგენს მოვალეობებს, როგორცაა სამშობლოს დაცვა, საზოგადოებრივი ფასეულობების ხელშეუხებლობის დაცვა, სოციალისტური მონაპოვრის დაცვა და მხარდაჭერა, ეროვნული ერთიანობა, სახელმწიფო საიდუმლოს შენარჩუნება, საზოგადოებრივი წესრიგის, სოციალური მორალის და სახელმწიფო საკუთრების დაცვა, გადასახადების და საზოგადოებრივი ბეგარის გადახდა. ამასთან, სახელმწიფო კაპიტალის დაცვა ეროვნულ მოვალეობად არის გამოცხადებული.

კონსტიტუციაში ჩამოყალიბებულია მოქალაქის უფლებების, თავისუფლებების და კანონიერი ინტერესების სრულყოფილი დაცვის გარანტიები. ეგვიპტის მოქალაქეებს მათი უფლებების შელახვის შემთხვევაში შეუძლიათ პეტიციით მიმართონ ხელისუფლებას, ხოლო კოლექტიური სახელით პეტიციით მიმართვის უფლებით აღჭურვილი არიან მხოლოდ საჯარო ორგანოები და იურიდიული პირები. ამასთან, ეგვიპტის მოქალაქეებს სახელმწიფო მოხელეების მიერ კანონის დარღვევის ან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტები შეუძლიათ გაასაჩივრონ შესაბამის სახელმწიფო ორგანოში.

სახელმწიფოს ძირითადი კანონი ადგენს გამოცხადებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის სასამართლო გარანტიებს. ძირითადი

უფლებების დარღვევისას მოქალაქე უფლებამოსილია განცხადებით მიმართოს სასამართლო ორგანოებს, სახელმწიფო ხელისუფლების და თვითმმართველობის ორგანოების გადანყვეტილებები და მოქმედებები შეიძლება ასევე გასაჩივრდეს სასამართლოში.

პარტიული სისტემა. ქვეყნის პოლიტიკურ მრავალპარტიულ სისტემას განსაზღვრავს კონსტიტუცია. პარტიების საქმიანობას ანესრიგებს 1977 წლის კანონი „პოლიტიკური პარტიების შესახებ,“ რომლის თანახმად, პარტიების დაფუძნება ხდება მოქალაქეთა პოლიტიკური წარმომადგენლობის პრინციპის საფუძველზე და საავალდებულო პირობით, რომ პარტიები ეროვნულ-დემოკრატიული ბუნებისა უნდა იყვნენ.

ეგვიპტის კანონმდებლობა დიდ ყურადღებას უთმობს პოლიტიკურ პარტიათა მოვალეობებს და ანებსებს გარკვეულ აკრძალვებს: პარტიები ვალდებული არიან გამოიყენონ დემოკრატიული საშუალებები და იმოქმედონ ხელისუფლების ფუნქციებში თანამონაწილეობის საწყისებზე, სოციალური ერთიანობის, მუშათა და გლეხთა მონაპოვრის, შრომით ძალთა სახალხო კავშირის მიღწევისა და სოციალისტური მონაპოვრის შენარჩუნების საფუძველზე, რათა გარკვეული წვლილი შეიტანონ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესში. რაც მთავარია, პარტიის მიზანი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს შარიათის პრინციპებს.

კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, პოლიტიკურ პარტიას უნდა ჰქონდეს დანერილი პარტიის წესდება და პარტიის მიზნების შესახებ პროგრამა ან დეკლარაცია. აღნიშნული დოკუმენტები უნდა დაერთოს არანაკლებ 50 დამფუძნებლის წერილობით განცხადებას, რომელიც შეიტანება სპეციალური კომისიის თავმჯდომარის სახელზე. აღსანიშნავია, რომ დამფუძნებელთა ნახევარს უნდა შეადგენდეს მუშები და გლეხები. კომისია უფლებამოსილია საბუთების წარდგენიდან 15 დღის განმავლობაში უარი თქვას რეგისტრაციაზე, თუ ამ ვადაში რეგისტრაცია არ განხორციელდება და განმცხადებელს წერილობით არ ეცნობება მოტივირებული უარი, პარტია რეგისტრირებულად ითვლება.

ამჟამად, ეგვიპტეში პოლიტიკურ პარტიათა ერთობ მრავალფეროვანი სპექტრი ჩამოყალიბდა, რამდენიმე მსხვილი პარტიით სათავეში: ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – მმართველი პარტიაა, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო აპარატის სათავეში მდგომთა, მსხვილი მენარმეების, ვაჭრებისა და მიწის ბურჟუაზიის, ინტელიგენციის ნაწილისა და საშუალო ბურჟუაზიის ინტერესებს; პარტია ახალი ვაფდი, რომელიც მინათმოქმედებსა და ეროვნულ ბურჟუაზიას აერთიანებს; შრომის სოციალისტური პარტია, რომელიც იცავს წვრილი მენარმეების, ეროვნული ფენის მუსლიმანთა და ინტელიგენციის ინტერესებს; ლიბერალურ-სოციალისტური პარტია, რომელიც მიუხედავად სახელწოდებისა, შედარებით სამართლებრივ პარტიას წარმოადგენს; ეროვნულ-პროგრესული პარტია, რომელიც დემოკრატიული ფენის ინტერესებს გამოხატავს და მხარს უჭერს მეცნიერული სოციალიზმის იდეებს; ალ-უმის პარტია, რომელიც მუსლიმანურ

იდევს იცავს; ნასერის არაბული სოციალისტური პარტია; ეგვიპტეში არსებობს კომუნისტური პარტია, რომელიც ნასერის მართვის პერიოდიდან არალეგალურად ფუნქციონირებს, მაგრამ გავლენიან ძალას არ წარმოადგენს.

ეგვიპტეში არსებულ პარტიათა იდეოლოგიაში რაიმე მნიშვნელოვანი განსხვავება არ არსებობს. თითქმის ყველა პარტია, მმართველი პარტიის ჩათვლით, გამოდის მუსლიმანური ფასეულობებისა და „არაბული სოციალიზმის“ პოზიციებიდან, სოციალისტური ლოზუნგების განმარტების განსხვავებული ვარიანტებით.

2000 წლის არჩევნების შედეგად, ერთპალატიან სახალხო კრებაში, ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ 417 მანდატი, ანუ ხმების 90%-ზე მეტი მოიპოვა. მეორე პოზიციაზე დგას პარტია ახალი ვაფდი – 6 დეპუტატით; 5 მანდატი ალ-შუმის პარტიას ერგო, თითო მანდატი – ლიბერალურ-სოციალისტურ და ნასერის არაბულ სოციალისტურ პარტიას; 14 მანდატი მაჟორიტარული სისტემით არჩეულ დამოუკიდებელ წევრებს შორის განაწილდა.

**ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა.** 1979 წლის რეფორმის შედეგად ქვეყანა იყოფა 27 გუბერნიად (მუჰაფაზი), ანუ პროვინციად, გუბერნიები ოლქებად (მარკაზი), ოლქები რაიონებად (ნახია). თითოეული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული იურიდიული პირის უფლებით სარგებლობს. სახელმწიფო კი ვალდებულია მათ ტექნიკური, ადმინისტრაციული და ფინანსური დახმარება გაუწიოს.

ეგვიპტის სახელმწიფო-ტერიტორიულ მოწყობას აქვს უნიტარული სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი: ერთიანი კონსტიტუციის და კანონმდებლობის გამოყენება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე; სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ერთიანი სისტემის მოქმედება; ერთიანი მოქალაქეობა; მართლმსაჯულების განხორციელება ცენტრალიზებული სასამართლო სისტემის ფარგლებში, მატერიალური და პროცესუალური სამართლის ერთიანი ნორმების საფუძველზე; სახელმწიფო ტერიტორიის დაყოფა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად, მათი ცენტრალურ ორგანოებზე დაქვემდებარებით.

პროვინციებში ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელია გუბერნატორი. პრეზიდენტი, თავისივე უფლებამოსილების ვადით, თითოეულ პროვინციაში ნიშნავს გუბერნატორს – ცენტრალური აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელს. გუბერნატორს ეკრძალება სახალხო კრების, საკონსულტაციო საბჭოს, ნებისმიერი დონის ადგილობრივი სახალხო საბჭოს წევრობა. პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამონურვისთანავე გუბერნატორები ავტომატურად თავისუფლდებიან თანამდებობიდან. თუმცა დაიშვება მათი ხელახალი დანიშვნა.

გუბერნატორი პროვინციის ფარგლებში აკონტროლებს საერთო-სახელმწიფოებრივი პოლიტიკის რეალიზაციას. გუბერნატორის მიერ საერთო ამოცანების გადანყვეტის დაკონკრეტებისას, კანონი ითვალისწინებს მის პასუხისმგებლობას პროვინციის ხარისხიანი სასურსათო საქონლით მომარაგ-



ებაზე, სოფლის მეურნეობის და მრეწველობის გაზრდის ეფექტურობაზე; შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთო პოლიტიკის ჩარჩოებში უსაფრთხოების მდგომარეობაზე, ნესრიგსა და საზოგადოებრივ ზნეობაზე. აღნიშნული უფლებამოსილებების განხორციელებაში გუბერნატორს ეხმარება პროვინციის უსაფრთხოების დირექტორი. გუბერნატორს ეკისრება საჯარო და კერძო საკუთრების დაცვა.

საჯარო ადმინისტრაციული სამსახურების მიმართ, რომლებიც ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილებების სფეროში შედიან, გუბერნატორი მინისტრის დონეზე აღჭურვილია ყველა აღმასრულებელი უფლებამოსილებით და ადმინისტრაციული ორგანოების მეთაურია. გუბერნატორი კონტროლს უწევს იმ საერთო-სახელმწიფოებრივ საჯარო სამსახურებს, რომლებიც მოქმედებენ პროვინციაში, მათ შორის იმ სამინისტროების ორგანოებს, რომელთა უფლებამოსილებანი არ არის დელეგირებული ადგილებზე. გუბერნატორი ითვლება პროვინციის ყველა იმ დანესებულების სახელმწიფო მოსამსახურეთა უფროსად, რომელთა უფლებამოსილებანი გადაცემულია ადგილებზე.

გარდა იმისა, რომ გუბერნატორი პროვინციაში ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელია, იგი იმავდროულად პროვინციის აღმასრულებელ ორგანოს – აღმასრულებელ საბჭოს მეთაურობს, რომლის შემადგენლობაში შედიან, გუბერნატორის წარდგინებით, პრემიერ-მინისტრის მიერ დანიშნული გუბერნატორის თანაშემწეები, აგრეთვე, რაიონების ხელმძღვანელები, ქალაქისა და ქალაქის კვარტალების მერები და პროვინციის დონეზე ზოგიერთი აღმასრულებელი ორგანოს მეთაურები. აღმასრულებელი საბჭოს კომპეტენციაში შედის პროვინციის აღმასრულებელი აპარატის მუშაობაზე კონტროლის განხორციელება, ადგილობრივი ბიუჯეტის, პროვინციის სახალხო საბჭოს გადაწყვეტილებების პროექტების მომზადება და მათი რეალიზაცია. გუბერნატორი პასუხს აგებს პრეზიდენტის და პრემიერ-მინისტრის წინაშე. იგი ვალდებულია რეგულარულად ჩააბაროს ანგარიში მინისტრთა საბჭოს, ადგილობრივი მართვის მინისტრს და პროვინციის სახალხო საბჭოს. მოუხედავად ამისა, პროვინციის მართვის ყველა ძირითადი პრეროგატივა ეკუთვნის გუბერნატორს, რომელიც აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოებთან ერთად ახორციელებს საბჭოს მიმართ მკაცრი კონტროლის ფუნქციებს.

საარჩევნო სისტემა ეფუძნება ქვეყნის საარჩევნო სამართალს, რომლის პრინციპები კონსტიტუციაში და „სახალხო კრების შესახებ“ კანონშია ჩამოყალიბებული. პრეზიდენტის, პარლამენტის და ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში ადგილობრივი საბჭოების არჩევნები ტარდება საყოველთაო, პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე – ფარული კენჭისყრით.

სახალხო კრების დეპუტატად შეიძლება არჩეულ იქნეს 30 წელს მიღწეული ეკვიპტის მოქალაქე, რომელმაც იცის არაბული წერა-კითხვა და რომლის მშობლები ეკვიპტელები არიან. სახალხო კრების არჩევნებში მონაწილეობი-

სთვის კანდიდატმა უნდა შეიტანოს საარჩევნო გირაოს სახით 200 ეგვიპტური ფუნტი. თანხის ნაწილი საარჩევნო ხარჯების ანაზღაურებაზე მიდის და არჩევნებში გამარჯვებულ კანდიდატსაც კი სრულად არ უბრუნდება. რაც შეეხება აქტიურ საარჩევნო უფლებას, იგი ეგვიპტის მოქალაქეს 21 წლის ასაკიდან მიეკუთვნება.

ეგვიპტის საარჩევნო სამართალში შერეული საარჩევნო სისტემა გამოიყენება და სახალხო კრების ერთი ნახევარი აირჩევა ორმანდატიან საარჩევნო ოლქებში მაჟორიტარული სისტემით, ხოლო მეორე ნახევარი – პროპორციული სისტემით ასევე ორმანდატიან საარჩევნო ოლქებში. სწორედ შერეული საარჩევნო სისტემის თავისებურებებიდან გამომდინარე, ყოველი ამომრჩეველი, ფაქტობრივად, ოთხ ხმას ფლობს. იგი პროპორციული სისტემით კენჭს უყრის რომელიმე პარტიულ სიას, ამასთანავე უნდა აირჩიოს, ერთი მხრივ, მუშათა და გლეხთა, მეორე მხრივ, „დანარჩენების“ თანაბარი რაოდენობა. მას შეუძლია, აგრეთვე, კენჭი უყაროს სიას მთლიანად, მაგრამ ამ შემთხვევაში ასარჩევთა რიცხვი მოცემული პარტიიდან უნდა იყოს გაყოფილი ზემოთ აღნიშნული კატეგორიების მიხედვით. გარდა ამისა, ამომრჩეველი ორ ხმას აძლევს ინდივიდუალურ კანდიდატებს. ამ შემთხვევაში არჩევნები მაჟორიტარული სისტემით ტარდება ქვეყნის 222 ორმანდატიან საარჩევნო ოლქში, თითოეულ მათგანში აირჩევა ორი კანდიდატი, რომელთაგან ერთი აუცილებლად უნდა წარმოადგენდეს მუშებსა და გლეხებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ორივე ადგილს დაიკავებენ „დანარჩენების“ წარმომადგენლები, მაშინ არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელმაც არჩევნებში მიიღო ხმების ყველაზე მეტი რაოდენობა, ხოლო მეორე დეპუტატის არჩევისთვის ტარდება მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობენ მუშებისა და გლეხების ის კანდიდატები, რომლებმაც პირველ ტურში გამარჯვებულის შემდეგ ხმების ყველაზე მეტი რაოდენობა მიიღეს.

არჩევნებში გამარჯვებისთვის აუცილებელია ამომრჩეველთა სიითი შემადგენლობის ხმების არანაკლებ 10%-ის მოპოვება. თუკი საარჩევნო ოლქში წარმოდგენილია მხოლოდ ორი კანდიდატი, მათგან ერთი მუშებისა და გლეხებისგან, მეორე „დანარჩენებისგან“, მაშინ არჩევისთვის მათ სჭირდებათ რეგისტრირებულ ამომრჩეველთა ხმის არანაკლებ 20%-ის მოპოვება.

არჩევნების შედეგების შეჯამებას ახორციელებს ცენტრალური საარჩევნო კომისია, რომლის შემადგენლობას ამტკიცებს შინაგან საქმეთა მინისტრი, მაგრამ სახალხო კრების კანდიდატურის რეგისტრაცია ხდება არა კომისიაში, არამედ შესაბამისი პროვინციის ადმინისტრაციაში, არჩევნების გამოცხადებიდან 10 დღის განმავლობაში.

სახალხო კრების ახალი შემადგენლობის არჩევნები ტარდება არსებული სახალხო კრების უფლებამოსილების ვადის გასვლამდე 60 დღით ადრე. ახალარჩეული სახალხო კრება იკრიბება არჩევნების დასრულებიდან 10 დღის განმავლობაში. საგანგებო მდგომარეობის შემთხვევაში, როცა შეუძლებელია არჩევნების ჩატარება, კანონით გათვალისწინებულია, სახალხო კრების

უფლებამოსილების გაგრძელება ახალი არჩევნების ჩატარებამდე. კონსტიტუციით დადგენილი წესის თანახმად, საპრეზიდენტო არჩევნები ინიშნება სახალხო კრების მიერ, და იწყება თანამდებობაზე მყოფი პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამონურვამდე 60 დღით ადრე, რათა იგი არჩეულ იქნეს წინამორბედის უფლებამოსილების ვადის ამონურვამდე არანაკლებ ერთი კვირით ადრე. პრეზიდენტის ან დეპუტატის ვადამდელი არჩევნები ინიშნება ვაკანსიის გახსნიდან არა უგვიანეს 60 დღისა.

პრეზიდენტი ამომრჩეველთა თანასწორობის პრინციპითა და პირდაპირი გზით აირჩევა წლის ვადით, გადარჩევაზე შეზღუდვის გარეშე. პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნეს 40 წლის ასაკს მიღწეული ეგვიპტის მოქალაქე, რომლის მშობლები ეგვიპტელები არიან. პრეზიდენტის კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს პარლამენტის წევრთა არანაკლებ 1/3-ს და თუ სახალხო კრებაზე იგი წევრთა 2/3-ის მხარდაჭერას მიიღებს, მაშინ იგი დადგება ამომრჩეველთა საყოველთაო კენჭისყრაზე. თუ კანდიდატი ვერ მოიპოვებს პარლამენტართა 2/3-ის მხარდაჭერას, დეპუტატთა 1/3-ს შეუძლია იმავე კანდიდატურის ხელახალი დასახელება. ასეთ შემთხვევაში დასახელებულ კანდიდატს, საყოველთაო კენჭისყრაში მონაწილეობისთვის სახალხო კრების წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობის მოპოვება ესაჭიროება, მაგრამ გამარჯვებისთვის ამომრჩეველთა ხმების ნახევარზე მეტი სჭირდება.

რაც შეეხება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებს: პროვინციის სახალხო საბჭოში თითოეული რაიონიდან აირჩევა 8 წევრი: შვიდი – პარტიული სიებით, პროპორციული სისტემის საფუძველზე, ხოლო ერთი – ფარდობითი უმრავლესობის მათორიტარული სისტემით. ამასთან, საბჭოს წევრების ნახევარს მაინც უნდა წარმოადგენდნენ მუშები და გლეხები. გამარჯვებისთვის კანდიდატმა უნდა მოიპოვოს ამომრჩეველთა სიით შემადგენლობის ხმათა არანაკლებ 20%-ისა. სოფლის მამასახლისები და ქალაქის კვარტალების შეიხები მოსახლეობის მიერ 5 წლის ვადით აირჩევიან. მამასახლისად ან შეიხად შეიძლება არჩეულ იქნეს განათლებული, 50 წელს მიღწეული მოქალაქე, რომელიც ფლობს არანაკლებ 5 ფედან მიწის ნაკვეთს, ე.ი. აქვს სიმდიდრე და გამოდის, რომ გარკვეული ფორმით მოქმედებს, ე.წ. ქონებრივი ცენზი.

სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები. სახელმწიფო ხელისუფლების ბალანსი შემდეგ სახეს ღებულობს: სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი, რომელიც მინისტრთა საბჭოსთან ერთად აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს; უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა ერთპალატიანი პარლამენტი – სახალხო კრება; მართლმსაჯულებას ახორციელებენ ცენტრალური და ადგილობრივი სასამართლოები; ცალკეა შექმნილი უზენაესი საკონსტიტუციო სასამართლო.

პრეზიდენტი ერთდროულად არის სახელმწიფოს მეთაური და აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი, სამხედრო ძალებისა და პოლიციის უმაღლესი მთავარსარდალი და თავმჯდომარეობს თავდაც-

ვის ეროვნულ საბჭოს. თანამდებობის დაკავების წინ ეგვიპტის ახალარწიული პრეზიდენტი დებს ფიცს სახალხო კრების წინაშე. პრეზიდენტის მატერიალური ანაზღაურების ოდენობა განსაზღვრულია კანონით, რომლის შეცვლა არ მოქმედებს იმ პრეზიდენტის უფლებამოსილების პერიოდში, რომლის ინიციატივითაც მოხდა ცვლილება. პრეზიდენტს ეკრძალება სამენარმო ან კომერციული საქმიანობა, სხვა სამსახურიდან ანაზღაურების ან ხელფასის მიღება, არ შეუძლია შეიძინოს სახელმწიფო საკუთრება.

რესპუბლიკის პრეზიდენტს ხელთ უპყრია სახელმწიფოს მართვის მთელი სადავეები: აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური, იმავდროულად ფლობს ფართო საკანონმდებლო უფლებების სრულ კომპლექტს, ხოლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეუძლია დაითხოვოს სახალხო კრება და ამდენად, სუპერპრეზიდენტი წარმართავს შესაბამისი მოდელის რესპუბლიკის საგარეო და საშინაო პოლიტიკას, არის ქვეყნის ერთიანობისა და მთლიანობის გარანტი. პრეზიდენტი თავისი შეხედულებისამებრ ნიშნავს და ათავისუფლებს სამოქალაქო და სამხედრო თანამდებობის პირებს, დიპლომატიურ წარმომადგენლებს, საკონსულტაციო საბჭოს წევრების 1/3-ს, საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობას და ვიცე-პრეზიდენტებს, რომელთა რაოდენობას და უფლებამოსილებებს თავად განსაზღვრავს. რაც შეეხება სასამართლო ხელისუფლებას, აქ ყველა სასამართლო საქმიანობას უკრიბებს უმაღლესი საბჭო, რომელიც ქვეყნის პრეზიდენტის ქვემდებარეა.

ფართო პრეზიდენტის უფლებამოსილებანი დიპლომატიურ სფეროში იგი აძლევს თანხმობას უცხო ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლების აკრედიტებაზე, დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რის შესახებაც აცნობებს სახალხო კრებას. აღნიშნული ხელშეკრულებები კანონის ძალას იძენენ მათი რატიფიკაციისა და გამოქვეყნების შემდეგ, თუმცა ხელშეკრულებები თავის, ვაჭრობის, ზღვაოსნობის შესახებ, ასევე ყველა ის ხელშეკრულება, რომელიც ეხება სახელმწიფოს ტერიტორიას ან მისი სუვერენული უფლებების შეცვლას ან რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფოს საზღინდან, ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი სახსრების ხარჯვასთან, ძალაში მხოლოდ სახალხო კრების მიერ კონტრასიგნაციის შემდეგ შედის. ომისა და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება ასევე საჭიროებს სახალხო კრების დამტკიცებასა და რწმუნებას.

პრეზიდენტი უფლებამოსილია, ქვეყნისთვის ყველა მნიშვნელოვან საკითხზე, თავისი შეხედულებისამებრ, ჩაატაროს რეფერენდუმი, მაგრამ ვალდებულია ჩაატაროს რეფერენდუმი კონსტიტუციის შეცვლისა და პარლამენტსა და მთავრობას შორის საბოლოოდ ნდობა-უნდობლობის საკითხის გადაწყვეტისას. იგი ფლობს ამნისტიისა და სასჯელის შემცირების უფლებას.

პრეზიდენტი ერთპიროვნულად ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან პრეზიერ-მინისტრს, მთავრობის სხვა წევრებს, რომლებიც დანიშნის შემდეგ ფიცს დებენ პრეზიდენტის წინაშე, უფლებამოსილია მთავრობის

ნებისმიერი წევრისგან მოითხოვოს წერილობითი ინფორმაცია მისთვის საინტერესო საკითხის შესახებ, მინისტრებთან ერთად, განსაზღვრავს და აკონტროლებს მთავრობის კურსს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და ადმინისტრაციულ სფეროებში. იგი უფლებამოსილია თავისი სურვილით მოინვიოს და დახუროს სახალხო კრების მორიგი და რიგგარეშე სხდომები, მინისტრთა საბჭო, უხელმძღვანელოს მთავრობის სხდომებს. მორიგი სესიის განხილვის სახეობა სხდომაზე პრეზიდენტი ვალდებულია კრებას წარუდგინოს განსახილველად სახელმწიფოს საერთო პოლიტიკის პროგრამა.

პრეზიდენტი ფართო უფლებამოსილებებით სარგებლობს საკანონმდებლო სფეროში: აღჭურვილია საკანონმდებლო ინიციატივისა და ვეტოს უფლებით, კანონის გამოქვეყნებაც პრეზიდენტის პრეროგატივაა. საკანონმდებლო პროცესში პრეზიდენტის აქტიური პოზიცია ხაზგასმულია მის კონსტიტუციურ უფლებაში საგანგებო მდგომარეობის დროს გამოსცეს კანონის ძალის მქონე დეკრეტი, რომელიც პარლამენტის კონტრასიგნაციას ექვემდებარება. პარლამენტმა, არდადეგების შემთხვევაში, დეკრეტი უახლოეს სხდომაზე უნდა დაამტკიცოს, სახალხო კრების დეპუტატთა ხმების 2/3-ით. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი კარგავს კანონის ძალას. ასეთ დეკრეტს არ ძალუძს კანონის შეცვლა და შეჩერება ან მათი რეალიზაციისგან რომელიმე ორგანოს ან პირის გათავისუფლება. გარდა ამისა, პრეზიდენტს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება კანონის აღსასრულებლად, საზოგადოებრივი ნესრიგის დაცვის, სახელმწიფო სამსახურების და უწყებების საქმიანობის რეგულირების მიზნით. იგი უფლებამოსილია ამგვარი განკარგულებებისა და დადგენილებების გამოცემა დაავალოს სხვა პირებს. ამასთან, კონსტიტუციის თანახმად, კანონი განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომლებიც უფლებამოსილი არიან მის აღსასრულებლად გამოსცენ განკარგულებები. პრეზიდენტს თავისი ფუნქციების განხორციელებაში დახმარებას უნევენ მისივე შეხედულებისამებრ შექმნილი და დაკომპლექტებული ექვსი სპეციალური საბჭო, კერძოდ: ეროვნული უშიშროების, ეკონომიკის, თავდაცვის და სხვა. პრეზიდენტის მიერ თავისი უფლებამოსილების შესრულების შეუძლებლობის პირობებში მის ფუნქციებს ასრულებს ვიცე-პრეზიდენტი, ხოლო პრეზიდენტის თანამდებობის ვაკანსიის შემთხვევაში – პარლამენტის თავმჯდომარე. მაგრამ პრეზიდენტის ვაკანსიას თუ სახალხო კრების დათხოვნაც დაემთხვევა, სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციას ასრულებს უზენაესი საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე.

პრეზიდენტის გადაყენება დაიშვება იმპიჩმენტის წესით – სამშობლოს ღალატისა და სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. პრეზიდენტის წინააღმდეგ იმპიჩმენტის საკითხის აღძვრისათვის საჭიროა სახალხო კრების ნეორა ხმების 1/3, ხოლო დამნაშავედ ცნობისთვის ხმების 2/3, რაც იწვევს პრეზიდენტის თანამდებობიდან დროებით გადაყენებას. მას შემდეგ საქმე გადაეცემა კანონით შექმნილ სპეციალურ ტრიბუნალს და თუ იგი მას დამნაშავედ ცნობს, პრეზიდენტი თანამდებობიდან გადაყენებულად ითვლება. ამასთან, იგი არ თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან.

საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის ერთპალატიან სახალხო კრებას, რომელიც 5 წლით არჩეული 444 დეპუტატისა და პრეზიდენტის მიერ დანიშნული 10 წევრისგან შედგება. სახალხო კრების დეპუტატი ფლობს თავისუფალ მანდატს, იგი არ არის პასუხისმგებელი თავისი მოქმედებისთვის ამომრჩევლების წინაშე და მისი ვადამდელი განწვევა დაუშვებელია. კონსტიტუცია განამტკიცებს იმუნიტეტის ტრადიციულ პრინციპებს: დეპუტატის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა დაიშვება მხოლოდ სახალხო კრების თანხმობით, ხოლო თუ ეს უკანასკნელი არდადებებზეა, მაშინ საკითხს თავმჯდომარე წყვეტს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სახალხო კრების წევრს დანაშაულზე წაასწრეს. სახალხო კრების წევრს არა აქვს სახელმწიფო საკუთრების შექმნის, იჯარით გაცემის, თავის საკუთრების სახელმწიფოზე გაყიდვის უფლება, ეკრძალება სახელმწიფოსთან სამეწარმეო კონტრაქტების დადება.

პარლამენტის საქმიანობის ორგანიზაციულ ფორმას წარმოადგენს სესია, რომელიც მოიწვევა პრეზიდენტის დეკრეტით, თუ არადა დეპუტატები ვალდებულნი არიან საკუთარი ნებით შეიკრიბონ წელიწადში ერთხელ – ნოემბრის მეორე ხუთშაბათს, არანაკლებ 7 თვის ვადით. სახალხო კრების პირველი სხდომა უნდა ჩატარდეს არჩევებიდან არა უგვიანეს 10 დღისა. სახალხო კრების წევრთა უმრავლესობის მოთხოვნით რესპუბლიკის პრეზიდენტი უფლებამოსილია მოიწვიოს სახალხო კრების საგანგებო სხდომა. სახალხო კრება ყოველწლიური მორიგი სესიის დამფუძნებელ სხდომაზე სესიის უფლებამოსილების ვადით ირჩევს თავმჯდომარეს და მის ორ მოადგილეს.

პარლამენტის სხდომები ღიაა. რესპუბლიკის პრეზიდენტის, მთავრობის ან 20 დეპუტატის მოთხოვნით შესაძლებელია დახურული სხდომის ჩატარება. პარლამენტის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება დეპუტატთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობა. გადანყვეტილება მიიღება დამსწრე წევრების ხმათა უმრავლესობით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გადანყვეტილების მიღებისთვის საჭიროა ხმების აბსოლუტური უმრავლესობა.

დეპუტატები უფლებამოსილების ვადით ქმნიან საპარლამენტო ფრაქციებს, აყალიბებენ მუდმივ კომიტეტებს, გათვალისწინებულია სპეციალური კომიტეტების შექმნა. ამჟამად, სახალხო კრებაში ფუნქციონირებს 18 მუდმივი კომიტეტი, რომელიც კრებას საკანონმდებლო ხელისუფლების განხორციელებაში ეხმარება. სახალხო კრება განსაზღვრავს სახელმწიფოს გენერალურ პოლიტიკას, იღებს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებს, ამტკიცებს მათი შესრულების ანგარიშებს, გარკვეულწილად ახორციელებს მთავრობის საქმიანობაზე კონტროლს, ინტერპელაციის წესით შეუძლია მინისტრის გადაყენება.

სახალხო კრების უმთავრესი ფუნქცია კანონმდებლობაა. პარლამენტის ძირითადი გადანყვეტილებების მიღება ხდება კანონის ფორმით. საკანონმდებლო ინიციატივას ფლობს პრეზიდენტი და პარლამენტის წევრი. პრეზიდენტის მიერ

შემოტანილი კანონპროექტი გადაეცემა შესაბამის მუდმივ კომიტეტს, ხოლო პარლამენტის ნევრის „კერძო ბილი“ მისი შეცვლის და შემდგომში განხილვის მიზანშეწონილობის გადაწყვეტის მიზნით ჯერ იგზავნება სპეციალურ კომიტეტში და მხოლოდ ამის შემდეგ გადაეცემა მუდმივ კომიტეტს. დეპუტატის კანონპროექტი, რომელიც უარყოფილ იქნა სახალხო კრების მიერ, არ შეიძლება წარმოდგენილ იქნეს იმავე სესიაზე. სახალხო კრება კანონპროექტის თითოეულ მუხლს ცალ-ცალკე უყრის კენჭს. პრეზიდენტი აქვეყნებს კანონს 30 დღის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი დამტკიცებული ითვლება. ამასთან, პრეზიდენტი უფლებამოსილია სახალხო კრებას, მოტივირებული შენიშვნებით, დაუბრუნოს კანონი ხელახლა განსახილველად. სახალხო კრების მიერ ვეტოს დაძლევა ხმების 2/3-ით ხდება.

სახალხო კრების მნიშვნელოვან უფლებამოსილებას წარმოადგენს საპარლამენტო კონტროლი, რომლის მთავარ ფორმად ინტერპელაცია ითვლება. სახალხო კრების ნევრი უფლებამოსილია შეკითხვით მიმართოს მინისტრს ან მის მოადგილეს მათ იურისდიქციაში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით. დეპუტატი ვალდებულია ზუსტად ჩამოაყალიბოს შეკითხვის შინაარსი, ისევე როგორც პირმა, რომელიც ვალდებულია უპასუხოს დასმულ შეკითხვას. პასუხის განხილვას შეიძლება მოჰყვეს ინტერპელაციის პროცედურის ამოქმედება, რომლის დროსაც უნდობლობის შესახებ წინადადების შეტანა შეუძლია პარლამენტის ნევრთა 1/10-ს, ხოლო გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული 3 დღეში, ხმათა უმრავლესობით. მაგრამ ეს წესი არ ეხება პრემიერ-მინისტრს და იგი სახალხო კრების წინაშე პასუხს აგებს მთავრობისთვის უნდობლობის საკითხის დაყენების გზით, ამდენად, ეგვიპტის კონსტიტუციური სამართალი გარდა ინტერპელაციისა, იცნობს ნდობა-უნდობლობის პროცედურასაც, რაც უცხოა საპრეზიდენტო მმართველობის ქვეყნებისთვის.

მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების შემთხვევაში, სახალხო კრება ჯერ წინადადებით მიმართავს პრეზიდენტს, რომელსაც შეუძლია 10 დღის ვადაში დაუბრუნოს ეს წინადადება პარლამენტს, მაგრამ თუ პარლამენტი კვლავაც დაადასტურებს თავის წინადადებას, მაშინ პრეზიდენტს სადავო საკითხი გადასანყვეტად გამოაქვს რეფერენდუმზე. ამ დროს პრეზიდენტი გასცემს განკარგულებას სესიის დახურვის შესახებ და სახალხო კრების მიერ რატიფიკაციიდან 30 დღის ვადაში ნიშნავს რეფერენდუმს. საბოლოოდ სადავო საკითხს წყვეტენ ამომრჩეველები და თუ ისინი ხმების უმრავლესობით პრემიერ-მინისტრს დაუჭერენ მხარს, ამას მოჰყვება პარლამენტის დათხოვნა, წინააღმდეგ შემთხვევაში, პრემიერ-მინისტრის, ანუ მთავრობის მთელი შემადგენლობის გადადგომა. თუმცა, საბოლოო ჯამში, ეს არ ნიშნავს მთავრობის დათხოვნას. აღნიშნული პროცედურა ეგვიპტეში არც ერთხელ არ ამოქმედებულა, იმ მიზეზთა გამო, რომ პარლამენტის ზოგიერთი ნევრი ერთდროულად მთავრობის ხელმძღვანელობაში მოქმედებს, პრეზიდენტი საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერია და იგი ერთპიროვნულად ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, ხოლო მთავრობისადმი

უსდობლობის გამოცხადების შემთხვევაში, სახალხო კრება თავად დგება დათხოვნის რისკის წინაშე.

1980 წლის კონსტიტუციური ცვლილებებით შეიქმნა საკონსულტაციო საბჭო – მეჯლისი აშ-შურა, რომელიც წ-წლიანი უფლებამოსილების ვადით იქმნება სამ წელიწადში სანახევრო განახლებით. 132 წევრიდან 2/3 აირჩევა პირდაპირი არჩევნებით, რომელთაგან ნახევარს მუშები და გლეხები წარმოადგენენ, ხოლო 1/3-ს წინაშეს პრეზიდენტი. აშ-შურას ვადადელი დათხოვნა პრეზიდენტს შეუძლია რეფერენდუმის გარეშეც. საკონსულტაციო საბჭო თავისი შემადგენლობიდან 3 წლით ირჩევს სპიკერს და მის ორ მოადგილეს. აშ-შურას წევრი არ შეიძლება იყოს დეპუტატი, თუმცა დაშვებულია მისი მინისტრის პოსტთან შეთავსება.

მეჯლისი აშ-შურა შეისწავლის 1952 წლის რევოლუციის პრინციპების შენარჩუნების, ეროვნული ერთიანობის, სოციალური სიმშვიდის, შრომით ძალთა სახალხო კავშირის, სოციალისტური მიზნების დაცვის, პოლიტიკური მიზნების განმტკიცების საკითხებს და ამასთან დაკავშირებით შეიმუშავებს სათანადო წინადადებებს, აძლევს მითითებებს სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობასა და ქვეყნის სუვერენიტეტთან დაკავშირებული საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების დადებისას, აგრეთვე იმ კანონპროექტების შემუშავების დროს, რომლებიც ავსებენ კონსტიტუციას. იგი ვალდებულია პრეზიდენტს და სახალხო კრებას წარუდგინოს თავისი აზრი კონსტიტუციის შეცვლის, ეკონომიკური თუ სოციალური განვითარების საერთო გეგმების პროექტებთან დაკავშირებით.

მთავრობა პრეზიდენტთან ერთად ახორციელებს აღმასრულებელ ხელისუფლებას. ძირითადი კანონი აწესრიგებს მთავრობის ჩამოყალიბების წესს, მის უფლებამოსილებებსა და პასუხისმგებლობის მექანიზმს. კლასიკური საპრეზიდენტო რეჟიმის სახელმწიფოებისგან განსხვავებით, ეგვიპტეში მთავრობა წარმოადგენს ერთიან კოლეგიურ ორგანოს, რომელსაც არ გააჩნია საკანონმდებლო შტოზე ზემოქმედების რაიმე საშუალება და მხოლოდ სახალხო კრების მიერ მიღებული კანონების შესრულება უნდა უზრუნველყო.

მინისტრთა საბჭო წარმოადგენს სახელმწიფოს უმაღლეს აღმასრულებელ-განმკარგულებელ ორგანოს, რომლის შემადგენლობაში შედიან: პრემიერ-მინისტრი, მისი მოადგილეები, მინისტრები და მათი მოადგილეები. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობას პრეზიდენტი ხელმძღვანელობს, ეგვიპტეში არსებობს პრემიერ-მინისტრის თანამდებობა, რომელიც მხოლოდ „ადმინისტრაციული პრემიერის“ ფუნქციებს ახორციელებს. პრემიერ-მინისტრს, სახალხო კრების დამტკიცების გარეშე, ხოლო მინისტრებს პრემიერ-მინისტრის წარდგინების გარეშე, დამოუკიდებლად, ირჩევს და წინაშეს პრეზიდენტი. მინისტრად და მინისტრის მოადგილედ შეიძლება დაინიშნოს 35 წლის ასაკს მიღწეული ეგვიპტის მოქალაქე, რომელიც ფლობს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს. თანამდებობის დაკავების წინ მთავრობის წევრები ფიცს დებენ პრეზიდენტის წინაშე. მინისტრის მიმართ არ მოქმედებს შეუთავსებლობის პრინციპი, იგი შეიძლება იყოს სახალხო კრების წევრი და,



მაშასადამე, შეუძლია მონანილეობა მიიღოს პარლამენტის ხელმძღვანელობის არჩევნებში. ამ დროს, მინისტრს ეკრძალება სახელმწიფო საკუთრების შეძენა, იგი არ შეიძლება ენერჯეს სამენარემო საქმიანობას. მთავრობის ფორმირების შემდეგ, სახალხო კრების მორიგი სესიის პირველ სხდომაზე, პრემიერ-მინისტრი სახალხო კრებას განსახილველად წარუდგენს მთავრობის პროგრამას. პრემიერ-მინისტრი და მინისტრები მათი მოთხოვნისთანავე უნდა იყვნენ მოსმენილი სახალხო კრების მიერ.

მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის ფორმირება ხდება გარესა-პარლამენტო წესით, ერთპიროვნულად, პრეზიდენტის მიერ, მთავრობის წევრები პასუხისმგებლები არიან სახალხო კრების წინაშეც, მაგრამ საპარლამენტო პასუხისმგებლობა, თუ არა ინტერპელაციის მექანიზმი, არსებითად, ფორმალურ ხასიათს ატარებს. მინისტრები თავიანთი საქმიანობის შესახებ ანგარიშვალდებულნი არიან პრეზიდენტის წინაშე და, ფაქტობრივად, უმაღლესი აღმასრულებელ-ადმინისტრაციული ორგანო უშუალოდ ექვემდებარება პრეზიდენტს. მთავრობის სხდომებს ხშირად სწორედ პრეზიდენტი იწვევს და სხდომებს, რომლებსაც ესწრება თავად თავმჯდომარეობს.

პრეზიდენტს უფლება აქვს მოითხოვოს მინისტრისგან მისი საქმიანობის შესახებ ანგარიში, აგრეთვე, მოვალეობების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით მისცეს პასუხისგებაში. მინისტრის სამართალში მიცემის უფლება აქვს მხოლოდ პრეზიდენტს და პარლამენტს, რაც მინისტრის თავისებური ხელშეუხებლობის იმუნიტეტს წარმოადგენს. მინისტრის სამართალში მიცემის შესახებ საკითხის დაყენება შეუძლია სახალხო კრების დეპუტატთა არანაკლებ 1/5-ს, ხოლო გადაწყვეტილება მიიღება 2/3-ით. მინისტრი, რომელსაც წარედგინება ბრალდება, გადაყენებული იქნება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისგან, ვიდრე მისი საკითხი არ იქნება გადაწყვეტილი. ამასთან, მინისტრის მიერ მოვალეობის შესრულების შეწყვეტა ხელს არ უშლის მის მიმართ სასამართლო დევნის აღძვრას ან უკვე დაწყებული სასამართლო განხილვის გაგრძელებას.

მთავრობა პრეზიდენტთან ერთად შეიმუშავებს სახელმწიფოს საერთო პოლიტიკას და ახორციელებს კონტროლს მისი ცხოვრებაში გატარებაზე. მთავრობის კომპეტენციაში შედის კანონპროექტების, სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ პროექტის მომზადება და წარდგენა, თუმცა ეკვიპტის კანონმდებლობით იგი არ არის ალტურვილი საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით. ამასთან, იგი კოორდინაციას უწევს და აკონტროლებს სამინისტროებისა და სხვა ცენტრალური უწყებების საქმიანობას, უფლება აქვს დაითხოვოს პროვინციის საბჭო. მთავრობის ფუნქციებში, აგრეთვე, შედის: კანონების, პრეზიდენტის დეკრეტების აღსრულება, სახელმწიფოს უშიშროების უზრუნველყოფა, სესხების გაცემა, მოქალაქეთა უფლებებისა და სახელმწიფო ინტერესების დაცვა.

სასამართლო ხელისუფლება რეგულირდება კონსტიტუციით და 1972 წლის კანონით „სასამართლო ხელისუფლების შესახებ“. ეკვიპტე ერთ-ერთი იმ ქვეყანათაგანია, სადაც მოქმედებს მუსლიმანური სამართალი, მაგრამ არ არსებობს სპეციალური შარიათის სასამართლოები, რომლებიც კოლონიური

ბატონობისგან გათავისუფლების შემდეგ გაუქმებულია და მათი უფლებამოსილებანი გადაეცათ საერთო სამოქალაქო სასამართლოებს. ეგვიპტეში სასამართლო სისტემა ერთიანია. საერთო სასამართლოების სისტემა შეიცავს: მომრიგებელ სასამართლოებს, პირველი ინსტანციის სასამართლოებს, სააპელაციო სასამართლოებს და საკასაციო სასამართლოს. მათ გვერდით მოქმედებენ სპეციალური სასამართლოები და ადმინისტრაციული სასამართლოების სისტემა.

მომრიგებელი სასამართლოები, ერთი მოსამართლის შემადგენ-ლობით, განიხილავენ სამოქალაქო დაავების, დარღვევების, გადაცდომების საქმეებს, წვირლ დანაშაულებს, რომელთა ჩადენისთვის გათვალისწინებულია მწლამდე თავისუფლების აღკვეთა. პირველი ინსტანციის სასამართლოები განიხილავენ მომრიგებელი სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებსა და განაჩენებზე სააპელაციო საჩივრებს, ხოლო პირველი ინსტანციით სამოქალაქო საქმეებს, რომელთა სასარჩელო თანხა აღემატება 5 ათას ეგვიპტურ ფუნტს და სერიოზული ხასიათის სისხლის სამართლის საქმეებს. სააპელაციო სასამართლოები მოქმედებენ რვა მსხვილ ქალაქში და განიხილავენ ქვემდგომი სასამართლოს მიერ სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებზე სააპელაციო საჩივრებს. საკასაციო სასამართლო საერთო სასამართლოთა სისტემის უმაღლეს სასამართლო ინსტანციას წარმოადგენს. მის კომპეტენციაში შედის სამართლის ინტერპრეტაცია და სამართლის სწორად გამოყენების კონტროლი. სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებების გადასინჯვა ხდება საკასაციო სასამართლოში, მაგრამ მხოლოდ სამართლის სწორი გამოყენების შეფასების მიზნით.

ეგვიპტეში შექმნილია სახელმწიფო უშიშროების სასამართლო სისტემა, უზენაესი და ქვემდგომი სასამართლოების შემადგენლობით. სახელმწიფო უშიშროების სასამართლო არსებობს თითოეულ სააპელაციო სასამართლოსთან, ხოლო მისი ადგილობრივი სტრუქტურები პროვინციულ სასამართლოებთან. უზენაესი სასამართლო იხილავს სახელმწიფო დანაშაულის საქმეებს, ხოლო ქვემდგომი სასამართლოები – ვაჭრობის, უძრავი ქონების გაყიდვის და სხვა საქმეებს. ეგვიპტის კანონმდებლობა ითვალისწინებს პიროვნების დაკავებას ბრალის წარდგენის გარეშე. მხოლოდ 30 დღის შემდეგ ეძლევა უფლება დაკავებულ პირს მიმართოს ზემოთ აღნიშნულ სახელმწიფო უშიშროების უზენაეს სასამართლოს, რათა გაიგოს დაკავების მიზეზი და მოითხოვოს გათავისუფლება. სასამართლოს მიერ დადებითი გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში, შინაგან საქმეთა მინისტრს უფლება აქვს 15 დღის ვადაში უარყოს სასამართლოს გადაწყვეტილება და დაკავებულს, მხოლოდ 30 დღის შემდეგ აქვს უფლება კვლავ მიმართოს აღნიშნულ სასამართლოს, რომლის გადაწყვეტილება უკვე საბოლოოა, თუმცა ეს ხელს არ უშლის შინაგან საქმეთა მინისტრს გამოსცეს ბრძანება დაკავების შესახებ.

შარიათის სასამართლოების ლიკვიდაციის შემდეგ წარმოიშვა სპეციალური დანიშნულების სასამართლოთა შექმნის საჭიროება, რომელთა რიც-

ხვს მიეკუთვნება, ე.წ. ფასეულობების სასამართლო, რომლის შექმნის წესს და კომპეტენციას განსაზღვრავს 1980 წლის კანონი „ფასეულობების მანკისგან დაცვის შესახებ“. აღნიშნული სასამართლო შედგება 7 წევრისგან, ხოლო თავმჯდომარეობს საკასაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე. იგი იხილავს საქმეებს ისეთი დანაშაულისთვის, როგორცაა სოციალისტური ფასეულობების ხელყოფა, კორუფცია, ზოგიერთი საქონელსა და მომსახურებაზე კანონით დადგენილი მყარი ფასების დარღვევები, აგრეთვე, პოლიტიკური პარტიების და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმეებს. ამ სასამართლოსთან არსებობს სოციალისტური პროკურორის სამსახური, რომელიც იძიებს მთავრობაში კორუფციის შესახებ საჩივრებს და ისეთი კატეგორიის დანაშაულებს, რომლებიც ხელყოფენ სოციალისტურ ფასეულობებს.

სასამართლო სისტემისგან დამოუკიდებლად, ფუნქციონირებს ადმინისტრაციული იუსტიციის ორგანოთა სისტემა, სახელმწიფო საბჭოთი სათავეში, რომლის კომპეტენციაში შედის ადმინისტრაციული დავების გადაწყვეტა და დისციპლინური ხასიათის საჩივრების განხილვა. 1972 წლის კანონი „სახელმწიფო საბჭოს შესახებ“ დაწერილებით არეგულირებს სახელმწიფო საბჭოსა და სასამართლო სისტემის სხვადასხვა შტოს შორის საჩივრებისა და მიმართვების განხილვის უფლებამოსილების განაწილებას. პერსონალურად, სახელმწიფო საბჭო შედგება: თავმჯდომარის, მოადგილეების, საბჭოს მდივნების, მრჩეველების, დეპუტატებისა და წარმომადგენლებისგან. საბჭო მთავრობასთან მიმართებაში ახორციელებს საკონსულტაციო ფუნქციებს. როგორც სასამართლო ინსტანცია, სახელმწიფო საბჭო შედგება: უზენაესი ადმინისტრაციული, დისციპლინური სასამართლოებისგან და სახელმწიფო რწმუნებულთა კოლეგიისგან.

ადმინისტრაციული იუსტიციის ორგანოები განიხილავენ საჩივრებს ადგილობრივი არჩევნების შედეგებზე, სახელმწიფო მოსამსახურეების პენსიების და ხელფასების შესახებ დავებს, მოქალაქეების საჩივრებს მმართველობის პროცესში მათი უფლებების დარღვევების თაობაზე, მოქალაქეობასთან დაკავშირებულ საჩივრებს და ა.შ. დისციპლინური სასამართლოები იხილავენ მოხელეების დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებს, სახელმწიფო მოსამსახურეების მიმართ დისციპლინური სასჯელის სახით პენსიაზე გადაყვანის ან დათხოვნის გადაწყვეტილებებზე საჩივრებს. ადმინისტრაციული იუსტიციის სასამართლო იხილავს საჩივრებს ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებზე.

აღნიშნულ სასამართლოებთან ერთად სახელმწიფო საბჭოში მოქმედებს საკონსულტაციო და დასკვნების განყოფილება, რომელიც მთელი რიგი სამმართველოებისგან შედგება: პრეზიდენტურის, სამინისტროებისა და საჯარო კორპორაციების საქმეთა სპეციალური სამმართველოების მთავარი ამოცანაა შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების შეკითხვებზე დასკვნების შედგენა და მათ შორის ადმინისტრაციული ხასიათის დავების განხილვა. სახელმწიფო საბჭოს შესაბამის სამმართველოსთან კონსულტაციის გარეშე სახელმწიფ-

ოს არც ერთ აღმასრულებელ ორგანოს არა აქვს უფლება დადოს ხელშეკრულება, აღასრულოს სასამართლო თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, რომლის ღირებულება აღემატება 5 ათას ეგვიპტურ ფუნტს.

სასამართლო ხელისუფლების უმაღლესი რგოლურებისა და ადმინისტრაციული იუსტიციის მიერ კონკრეტულ საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებები, რომლებიც კანსაზღვრავენ სამართლებრივ პრინციპებს, შემდგომში შეიძლება გამოყენებულ იქნეს ანალოგიური საქმეების განხილვისას, როგორც პრეცედენტი.

ყველა სასამართლო ფინანსურად იუსტიციის სამინისტროს ექვემდებარება, ხოლო თვით მოსამართლეები კი განიხილებიან, როგორც ამ უწყების მოსამსახურეები, თუმცა ყველა სასამართლოს საქმიანობას კურირებს უმაღლესი საბჭო, ხოლო მოსამართლეთა გაერთიანების თვითმმართველობის ორგანოა – მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო.

ეგვიპტეში მართლმსაჯულების განხორციელების უფლება აქვს მხოლოდ მოსამართლეს, რომელიც თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს. რაიმე ზემოქმედება მოსამართლეზე ან ჩარევა მის საქმიანობაში ისჯება კანონით. მოსამართლე ინიშნება უკუდაოდ – სიცოცხლის ბოლომდე და მისი უფლებამოსილება შეიძლება შეწყდეს გადადგომის შესახებ წერილობითი განცხადების, დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, არაქმედუნარიანად გამოცხადებისას. მოსამართლე არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი, მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში.

კონსტიტუცია პროკურატურის უფლებამოსილების, ორგანიზაციის და საქმიანობის წესის განსაზღვრას სპეციალურ კანონს ავალდებს, ისე რომ, თავად არც ანესრიგებს სასამართლოსა და პროკურატურის ურთიერთმიმართებას. ეგვიპტეში პროკურატურა ერთიანი ცენტრალიზებული სისტემაა. იგი შედის იუსტიციის სამინისტროს სისტემაში. გენერალური სოციალისტური პროკურორი ინიშნება პრეზიდენტის მიერ, მაგრამ მუშაობს სახალხო კრების კონტროლის ქვეშ და თავისი მოღვაწეობის შესახებ ანგარიშვალდებულია მის წინაშე. დედაქალაქში მას აქვს თავისი უწყება და შეუძლია თავისი წარმომადგენლები დანიშნოს პროვინციაში. პროკურატურა აწარმოებს გამოძიებას სისხლის სამართლის საქმეებზე, ახორციელებს ზედამხედველობას გამოძიების კანონიერებაზე და სისხლის სამართლის საქმეებზე, სასამართლო პროცესზე გამოდის ბრალმდებლად.

საკონსტიტუციო ზედამხედველობა. საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნის საკითხები და სასამართლო წარმოების წესი რეგულირდება 1979 წლის კანონით „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ.“ ეგვიპტის უზენაესი საკონსტიტუციო სასამართლო საკონსტიტუციო ზედამხედველობის ორგანოს წარმოადგენს, რომელიც დამოუკიდებლად ახორციელებს დაკისრებულ ფუნქციებს. უზენაესი საკონსტიტუციო სასამართლოს 10 წევრს, თავმჯდომარის ჩათვლით, ერთპიროვნულად ნიშნავს ქვეყნის პრეზიდენტი. საკონსტი-

ტუციო სასამართლოს წევრად შეიძლება დაინიშნოს 45 წელს მიღწეული, უზენაეს ან სხვა მაღალი რანგის სასამართლოში მუშაობის არანაკლებ 5 წლის სტაჟის მქონე მოსამართლე, ეგვიპტის უნივერსიტეტის სამართლის პროფესორი, აგრეთვე საკასაციო სასამართლოში ან უმაღლეს ადმინისტრაციულ სასამართლოში ადვოკატად მუშაობის არანაკლებ 10 წლის სტაჟის მქონე პირი. პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვისთანავე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი ავტომატურად ექვემდებარება თანამდებობიდან გათავისუფლებას. აღნიშნულის გარდა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს უფლებამოსილება შეუწყდება სასამართლოს მიერ მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისას, პირადი განცხადების საფუძველზე, სასამართლოს მიერ მისი არაქმედუნარიანად აღიარებისა და გარდაცვალების შემთხვევაში. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს უფლება აქვს გადადგეს, რისთვისაც იგი წერილობით მიმართავს პრეზიდენტს. გასული წევრი, ზემოთ აღნიშნული წესების დაცვით, ახალი წევრით უნდა შეიცვალოს. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს ეკრძალება წარმომადგენლობითი ორგანოსა თუ პოლიტიკური გაერთიანების წევრობა, სახელმწიფო თუ კერძო სექტორში სხვა თანამდებობის დაკავება, კერძო პრაქტიკა და სამეწარმეო ან სხვაგვარი შეთავსება, გარდა პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისა.

საკონსტიტუციო სასამართლოს ძირითადი ფუნქციაა მიღებული კანონის კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხის გადამწყვეტა, მაგრამ წინასწარი კონტროლის უფლება არ აქვს. საკონსტიტუციო სასამართლოში საკონსტიტუციო სარჩელის შეტანის უფლება გააჩნია, როგორც სასამართლოს, აგრეთვე, პროცესის ერთ-ერთ მხარეს, მხოლოდ სასამართლოს ნებართვით. თუ სასამართლოში კონკრეტული საქმის განხილვისას ერთ-ერთი მხარე, საკმარისი არგუმენტებით, ან თავად სასამართლო დასვამს საკითხს იმის თაობაზე, რომ კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი, რომელიც უნდა გამოიყენოს სასამართლომ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მისაღებად, ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, სასამართლო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება საქმის მასალების საკონსტიტუციო სასამართლოსთვის გადაგზავნის შესახებ. ამასთან, კონკრეტული საქმის განხილვა შეჩერდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მის წინაშე დასმული საკითხის გადაწყვეტამდე. საკონსტიტუციო სასამართლოში საქმეების მოსმენებს ნიშნავს რწმუნებულთა კომიტეტი. კომიტეტის წევრებს მთავარი მოსამართლის – თავმჯდომარის აზრის მოსმენის შემდეგ ნიშნავს პრეზიდენტი. საკონსტიტუციო სასამართლოში ნორმის კონსტიტუციურობის შემოწმება წარმოებს შეჯიბრებითობის პრინციპით. თუ საქმის განხილვის პროცესში საკონსტიტუციო სასამართლო, სულ მცირე შეიძინა წევრის მხარდაჭერით, მიიჩნევს, რომ კანონი ან კანონის ძალის მქონე აქტი ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, იგი გამოიტანს გადაწყვეტილებას კანონის ან მისი ნაწილის არაკონსტიტუციურობის შესახებ.

გარდა საკონსტიტუციო ზედამხედველობისა, რომელიც ვრცელდება კანონებსა და სხვა სამართლებრივ აქტებზე, პრეზიდენტის დეკრეტების

ჩათვლით, უზენაეს საკონსტიტუციო სასამართლოს აქვს კანონებისა და პრეზიდენტის დეკრეტების განმარტების უფლება იმ შემთხვევაში, თუ წარმოიშობება დავა მათი გამოყენების შესახებ. ნორმატიული აქტის განმარტებასთან დაკავშირებით მინისტრთა საბჭოს დავალებით, უზენაეს საკონსტიტუციო სასამართლოში მიმართვა შეუძლია იუსტიციის მინისტრს, სახალხო კრებას და მაგისტრატურის უმაღლეს საბჭოს. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, იქნება იგი დაკავშირებული საკანონმდებლო აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხთან თუ კანონების ინტერპრეტაციასთან, ოფიციალურ გაზეთში ქვეყნდება.

სახელმწიფოს ხელისუფლების შტოთა შორის კომპეტენციის განაწილების შესახებ დავები, თუ ისინი შესაბამისი ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოებს შორის წარმოიშვა, განიხილება და რეგულირდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ. ამ შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს შესაბამისი ორგანოს კომპეტენციის თაობაზე და აუქმებს აქტს, რომელმაც წარმოშვა დავა.

**ადგილობრივი მართვის ორგანიზაცია.** ეგვიპტის ადგილობრივი მართვის სისტემა აგებულია მმართველობისა და თვითმმართველობის საფუძვლების შესამუშავზე, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და ადგილებზე სახელმწიფო ორგანოები ეფუძნებიან დეკოცენტრაციის და დეცენტრალიზაციის პრინციპებს. პირველი პრინციპი ითვალისწინებს ცენტრის მიერ ადგილებზე დანიშნული წარმომადგენლების არსებობას. ესენი არიან ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მეთაურები – პროვინციის გუბერნატორები, რაიონების ხელმძღვანელები, ქალაქის და ქალაქის კვარტალების მერები, სოფლის მამასახლისები და სოფლის კვარტალების შეიხები, რომლებიც მოიაზრებიან როგორც სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლები. დეკოცენტრაციის პრინციპთან ერთად ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოების ორგანიზაცია ხორციელდება ადმინისტრაციული დეცენტრალიზაციის პრინციპის მეშვეობით, რომელიც დაკავშირებულია მოსახლეობის მიერ არჩეული ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობასთან: პროვინციების, რაიონების, ქალაქების, ქალაქის რაიონების, სოფლების სახალხო კრებებთან. ასე რომ, ეგვიპტეში რეგიონალურ დონეზე ზვიდნენ დანიშნული თანამდებობის პირებთან ერთად მოქმედებენ მოსახლეობის მიერ არჩეული ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოები, თუმცა ისინი ცენტრალურ ხელისუფლებას ექვემდებარებიან. გუბერნატორს შეუძლია პროვინციის საბჭოს გადაწყვეტილებას დაადოს ვეტო. თუ საბჭო დაჟინებით მოითხოვს მის შესრულებას, სადავო საკითხს წყვეტს მთავრობა, რომელსაც თავის მხრივ უფლება აქვს ადგილობრივი ხელისუფლების საქმეების მინისტრის წარდგინებით დაითხოვოს პროვინციის საბჭო. ეგვიპტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის აღნიშნული თავისებურებები გარკვეულ გავლენას ახდენს ეგვიპტის სახელმწიფო მართვის სისტემაზე.

სხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მეთაურები – რაიონების ხელმძღვანელები, ქალაქის და ქალაქის კვარტალების მერები, რომლებსაც ნიშნავს შესაბამისი მინისტრი ან გუბერნატორი, ამ უკანასკნე-

ლის ანალოგიურ უფლებამოსილებებს ფლობენ, ხოლო სოფლის დონეზე აღმასრულებელი უფლებამოსილებებით აღჭურვილნი არიან მოსახლეობის მიერ არჩეული მამასახლისები და შეიხები, რომელთა სამართალ პრივილეგიულ სტატუსს ანერსტრუტს 1978 წლის კანონი „სოფლის შეიხებისა და მამასახლისების შესახებ.“ მამასახლისები და შეიხები ნარმოადგენენ ცენტრალური აღმასრულებელი აპარატის სახელმწიფო მოხელეებს და ექვემდებარებიან უშიშროების მინისტრს. ისინი საკურაციო ტერიტორიაზე, ძირითადად, უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე კონტროლს და პოლიციის ზედამხედველობის ფუნქციებს ახორციელებენ.

1979 წლის კანონით „ადგილობრივი ხელისუფლების შესახებ,“ ეგვიპტეში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ნარმოადგენენ შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მოსახლეობის მიერ არჩეული სახალხო საბჭოები. ფორმალურად, საბჭო საერთო-სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ფარგლებში, აკონტროლებს ნებისმიერ ქვემდებარე ორგანოს, სამსახურის და დანებებულების საქმიანობას, აგრეთვე, თვალყურს ადევნებს მის მიერვე დამტკიცებული პროვინციის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმას. სახალხო საბჭო, კანონმდებლობისა და პროვინციის ბიუჯეტის ფარგლებში ამტკიცებს კონკრეტულ პროექტებს ნარმოებისა და მომსახურების სფეროში, იღებს გადაწყვეტილებებს, რომლის შესრულებაზეც პასუხს აგებენ გუბერნატორი და აღმასრულებელი საბჭო.

ეგვიპტის კონსტიტუციური სამართლის განსაკუთრებული თავისებურებანია განპირობებულია ქვეყნის უდიდესი ისტორიული ტრადიციებით, მართლშეგნების დონით და ქვეყანაში რელიგიის როლის ზეგავლენით. სწორედ ამიტომ ეგვიპტის კონსტიტუციურ სამართალს, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თავისებურებების ასეთი სიმრავლე აქვს:

– ერთ უმთავრეს თავისებურებად უნდა მივიჩნიოთ ეგვიპტის კონსტიტუციის სოციალისტური ხასიათი, „არაბული სოციალიზმის შესახებ“ დებულების ჩათვლით, თუმცა „სოციალისტური“ ნორმები ხელს არ უშლის კერძო საკუთრებისა და სამენარმეო საქმიანობის განვითარებას. სოციალისტური კონცეფციები გამოიხატება კონსტიტუციის დებულებებში მუშათა და გლეხთა დაცვის შესახებ, შემოსავლებში უთანასწორობის ლიკვიდაციის შესახებ და ა.შ.;

– კიდევ ერთი თავისებურება ის არის, რომ ეგვიპტის კონსტიტუცია კერძო სამართლის მნიშვნელოვან ნაწილს ნარმოადგენს და განსაზღვრავს საკუთრების ცნებებს და ფორმებს. ამასთან, მუშებისა და გლეხების ექსპლუატაციისგან დაცვის მიზნით, კონსტიტუციით დადგენილია მინის საკუთრების მაქსიმუმი;

– კონსტიტუცია ასახელებს სარწმუნოების და რელიგიური ნეს-ჩვეულებების შესრულების თავისუფლებას, მაგრამ აქვე სახელმწიფო რელიგიად აკანონებს ისლამს და შარიათის პრინციპების შესრულებას არა მარტო რელიგიურ და მორალურ, არამედ სამართლებრივ მოვალეობად აცხადებს. ამასთან, რელიგიათმცოდნეობა ზოგად განათლებაში სავალდებულო საგნად არის აღიარებული;

– ეგვიპტის კონსტიტუცია თავისებურად უდგება საკითხს ხელისუფლების დანაწილების შესახებ. საინფორმაციო ხელისუფლება ხელისუფლების ცალკე – მეოთხე შტოდ არის გამოცხადებული;

– მნიშვნელოვანი თავისებურებებით ხასიათდება ეგვიპტის საარჩევნო სამართალი, რომელიც წარმოდგენილია ორგანოების არჩევნების დროს უარყოფის თანასწორობის პრინციპს. სოციალიზმის იდეების გავლენა იმით-ღა გამოიხატა, რომ განსაკუთრებული უპირატესობა აქვთ მუშებს და გლეხებს, რის გამოც ამომრჩეველი, არსებითად, ოთხ ხმას ფლობს;

– ეგვიპტის საარჩევნო სამართალში კვლავაც მოქმედებს ქონებრივი ცენზი, როდესაც კანდიდატმა არჩევნებში მონაწილეობისთვის უნდა შეიტანოს საარჩევნო გირაო, რომელიც არჩევნებში გამარჯვებულ კანდიდატსაც კი სრულად არ უბრუნდება. ამასთან, მოქმედებს განათლების ცენზიც;

– კლასიკური საპრეზიდენტო რეჟიმის სახელმწიფოებისგან განსხვავებით, ეგვიპტეში მთავრობა წარმოადგენს ერთიან კოლეგიურ ორგანოს, რომელიც ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდან გამომდინარე განიხილება, როგორც აღმასრულებელი ორგანო. ეს მაშინ, როცა პრემიერ-მინისტრს, სახალხო კრების დამტკიცების გარეშე, ხოლო მინისტრებს პრემიერ-მინისტრის წარდგინების გარეშე, დამოუკიდებლად, ირჩევს და ნიშნავს პრეზიდენტი, რომ არაფერი ვთქვათ, ფართო აღმასრულებელ ფუნქციებზე;

– ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის წარდგენის უფლება აქვს მხოლოდ მთავრობას და ეს მაშინ, როცა კონსტიტუციით იგი არ არის აღჭურვილი საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით;

– ეგვიპტის კონსტიტუციური სამართლის არსებითი თავისებურება ის არის, რომ მმართველობის საპრეზიდენტო მოდელის პირობებში სახალხო კრების მნიშვნელოვან უფლებამოსილებას წარმოადგენს საპარლამენტო კონტროლი, რომლის მთავარ ფორმად ინტერპელაცია ითვლება, თუმცა ეს პროცედურა არ გამოიყენება პრემიერ-მინისტრის მიმართ და მისი გადაყენება შესაძლებელია მთავრობისთვის უნდობლობის საკითხის დაყენების გზით;

– თავისებურებით ხასიათდება მთავრობისა და სახალხო კრების ურთიერთობა ნდობა-უნდობლობის მექანიზმის ამოქმედებასთან დაკავშირებით. მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადებისას სახალხო კრება წინადადებით მიმართავს ჯერ პრეზიდენტს, რომელსაც შეუძლია უარყოს ეს წინადადება, მაგრამ სახალხო კრების მიერ ხელახალი რატიფიკაციის შემთხვევაში იგი ვალდებულია გამოაცხადოს სახალხო კრების სესია დახურულად და სადავო საკითხი გამოიტანოს რეფერენდუმზე, სადაც სახალხო კრების დათხოვნის თუ მთავრობის გადადგომის საკითხს წყვეტს ამომრჩეველი;

– პრეზიდენტსა და პარლამენტთან არსებობს კანონსათათბირო ორგანო – მეჯლისი აშ-შურა, რომელიც მათ ქვეყნის ყველა მნიშვნელოვან საკითხზე აძლევს რჩევებს და მითითებებს;

– როგორც საპრეზიდენტო რესპუბლიკის მოდელის პირობებში კერძო თავისებურება, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების სისტემაში



სამინისტროებს დამოუკიდებელი როლი განეკუთვნება და მიუხედავად იმისა, რომ მთავრობას პრეზიდენტი ხელმძღვანელობს, არსებობს პრემიერ-მინისტრის თანამდებობა, ე.წ. „ადმინისტრაციული პრემიერის“ ფუნქციებით;

– აღსანიშნავია, რომ ეგვიპტეში, დეპუტატების გარდა, ხელმუხებლობის იმუნიტეტით სარგებლობს მინისტრი და მისი მოადგილეები. მათი სამართალში მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურს და პარლამენტს;

– სასამართლო სისტემის განსაკუთრებულ თავისებურებად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ ეგვიპტე ერთ-ერთი ის ქვეყანაა, სადაც მოქმედებს მუსლიმანური სამართალი, მაგრამ არ არსებობს სპეციალური შარიათის სასამართლოები;

– სასამართლო სისტემის ორი გამორჩეული თავისებურება ის არის, რომ მოქმედებს ფასულობების სასამართლო და სახელმწიფო უშიშროების სასამართლო სისტემა, რომელთანაც ფუნქციონირებს სოციალისტური პროკურატურის სამსახური;

– ეგვიპტის კონსტიტუციური სამართლის განსაკუთრებული თავისებურებაა ისიც, რომ მთავრობის შემადგენლობის გარდა, მთელი რიგი თანამდებობები უფლებამოსილების ვადით პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადაზეა მიბმული. მაგალითად, გუბერნატორები, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე და ნევრები 6 წლით აირჩევიან ან ინიშნებიან.

ეგვიპტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება ის არის, რომ დე იურე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და ადგილზე სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლები, დეკოცენტრაციისა და დეცენტრალიზაციის პრინციპებს ეფუძნებიან. პირველი პრინციპის განხორციელება მკაფიოდ ჩანს გუბერნატორის სამართლებრივ მდგომარეობაში, ხოლო მეორე პრინციპი დაკავშირებულია მოსახლეობის მიერ არჩეული ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობასთან. მაგრამ დე ფაქტო, სწორედ ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ერთი თავისებურება ხელისუფლების გარკვეულ ცენტრალიზაციასთან არის დაკავშირებული. გუბერნატორი უფლებამოსილია პროვინციის საბჭოს გადაწყვეტილებას ვეტო დაადოს, მაგრამ საბჭოს დაჯინებული მოთხოვნის შემთხვევაში სადავო საკითხს წყვეტს მთავრობა, რომელსაც აქვს უფლება, ადგილობრივი ხელისუფლების საქმეების მინისტრის წარდგინებით, დაითხოვოს პროვინციის საბჭო.

## ინფორმაცია

სავიზიტო ბარათი. ინდოეთი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი განვითარებადი ქვეყანაა. მისი ტერიტორია 3 287 263 კმ<sup>2</sup>-ს მოიცავს და აღმოსავლეთით ესაზღვრება პაკისტანი, ჩრდილოეთით – ჩინეთი, ტიბეტი, ნეპალი და ბუტანი, სამხრეთ-აღმოსავლეთით – შრი-ლანკა და ბენგალის ყურე, დასავლეთით კი არაბეთის ზღვა და ინდოეთის ოკეანე. ინდოეთის მრავალეთნიკური მოსახლეობის რაოდენობაზე ზუსტი მაჩვენებლის მითითება ძნელია, რადგან 2000 წელს დაგეგმილი აღწერა, სამწუხაროდ, ვერ განხორციელდა, ხოლო შტატების მაღალი მაჩვენებლის პირობებში უკანასკნელი 1989 წლის აღწერის მიხედვით კი 800 მლნ-ია. ინდოეთის მოსახლეობა გამოირჩევა ეთნიკური და რელიგიური სიჭრელით. აქ სახლობენ ინდოელები, სომხები, ებრაელები, პაკისტანელები. ინდოელები თავის მხრივ დაყოფილნი არიან სხვადასხვა თემის წევრებად და თავიანთ თავს ერთ ინდურ საზოგადოებად არ აღიქვამენ. იგივე სიტუაციაა რელიგიის და ენის მხრივ. რელიგიური მიმდინარეობებიდან ძლიერია: ინდუიზმი, ისლამი, ბუდიზმი და საკმაო მიმდევრები ჰყავს ქრისტიანობასაც. პარალელურად, არსებობს ბევრი წარმართული რელიგია და კულტი. ქვეყნის დედაქალაქია – დელი; სახელმწიფო ენებია: ჰინდი და ინგლისური, თუმცა ცალკეულ შტატებში ასევე გავრცელებულია ადგილობრივი დიალექტები და ენები, მთლიანად ქვეყნის მასშტაბით ასეთი 27-ია; ფულის ერთეულია – ინდური რუპია.

ინდური სამართალი საერთო სამართლის ოჯახის წევრია. 1949 წლის 26 იანვარს მიღებულ იქნა ქვეყნის მოქმედი კონსტიტუცია, რომელიც 1950 წლის 26 იანვარს შევიდა ძალაში. ინდოეთი მმართველობის ფორმით საპარლამენტო, ხოლო ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ფორმით ფედერაციული რესპუბლიკაა.

კონსტიტუცია შედგება: პრეამბულისა და 22 ნაწილისგან, რომლებიც თავის მხრივ იყოფა თავებად და მთლიანობაში შეიცავს 491 მუხლს. ინდოეთის კონსტიტუციის შემადგენელი ნაწილია 13 დამატება, რომელთა შედეგადაც კონსტიტუციაში 500-მდე ცვლილება განხორციელდა. კონსტიტუციას დაემატა 100 ახალი პუნქტი, 20 მუხლის სრული ადაპტირება მოხდა, სულ 13 დამატებით 36 მუხლის შევსება განხორციელდა. ასე რომ, დამატებაც არის და დამატებაც: მხოლოდ მე-9 დამატებით 284 ცვლილება შევიდა კონსტიტუციაში. როგორც ჩანს, ინდოეთის კონსტიტუცია სიმტკიცით არ გამოირჩევა, მაგრამ მას ყოველთვის ახასიათებდა და ახასიათებს მკაცრი ცენტრალიზმი, რაც იმითაც ვლინდება, რომ იგი ცალსახად ძირითადი კანონია ყველა შტატისთვის, ვინაიდან მხოლოდ ჯამუ და ქაშმირს აქვს თავისი კონსტიტუცია.

ამასთან, 1950 წლიდან, კონსტიტუციის ამოქმედებიდან დაწყებული, მრავალი კონსტიტუციური შეთანხმება შედგა. კონსტიტუციურ შეთანხმებას კი კონსტიტუციური სამართლის წყაროს მნიშვნელობა ენიჭება. ასეთია კონსტიტუციური შეთანხმება მთავრობის საქმიანობისა და პარლამენტთან მისი

ურთიერთობის საკითხებზე. სხვათა შორის, საკონსტიტუციო ხელშეკრულებით შექმნილი მინისტრთა კაბინეტი 1978 წლამდე კონსტიტუციაში არც მოიხსენიებოდა.

როგორც კონსტიტუციის პრეამბულაშია აღიარებული: „ინდოელი ხალხი კონსტიტუციით ინდოეთს საუკუნოდ დამოუკიდებელ სოციალისტურ-დემოკრატიულ რესპუბლიკად აცხადებს და მისი ყოველი მოქალაქისათვის უზრუნველყოფს: თანაბარ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ უფლებებს, აზრის, რწმენის, აღმსარებლობისა და მოქმედების თავისუფლებას; პატივის, ღირსებისა და ინდივიდუალობის დაცვას, სხვა საზოგადოებრივ ჯგუფებთან თავისუფალი გაერთიანების, ურთიერთობის და გამოყოფის შესაძლებლობას“.

კონსტიტუციის I ნაწილში განსაზღვრულია ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა. ჩამოთვლილია შტატები და საკავშირო ტერიტორიები. აქვეა აღნიშნული კონკრეტული შტატისა და საკავშირო ტერიტორიის ენობრივ და სხვა თავისებურებათა შესახებ.

კონსტიტუციის II ნაწილში დადგენილია მოქალაქეობის შესახებ არსებული ძირითადი რეგულაციები, მოქალაქეობის მიღების პირობები და წესები. სპეციალური წესებია ჩამოყალიბებული პაკისტანიდან ლტოლვილი მოსახლეობის მიერ მოქალაქეობის შესაძენად. აქვე განსაზღვრულია მოქალაქეობის გამარტივებული წესით მიღების სუბიექტები და მათთვის დადგენილი გამონაკლისები.

ძირითადი კანონის მიხედვით მოქალაქეობის მიღება ხდება: დაბადებით და ნატურალიზაციით. ინდოეთის მოქალაქედ ჩაითვალა ყველა ის პირი, ვისაც კონსტიტუციის ძალაში შესვლის მომენტისათვის საცხოვრებელი ადგილი ჰქონდა ინდოეთში ან იმყოფებოდა ქვეყანაში, ან დაიბადა ინდოეთის ტერიტორიაზე, ან თუ მისი მშობლების დაბადების ადგილია ინდოეთის ტერიტორიაზე ან ვინც არანაკლებ 5 წლისა ცხოვრობდა ინდოეთის ტერიტორიაზე და კონსტიტუციის ძალაში შესვლის მომენტისათვის იმყოფებოდა ქვეყანაში. პაკისტანიდან ლტოლვილ მოსახლეობას მოქალაქეობის უფლება ენიჭება, თუ მათი მშობლები ან წინაპრები დაბადებულნი იყვნენ ინდოეთში და მთავრობის 1935 წლის აქტით მათ წინააღმდეგ რეპრესიული ღონისძიება არ გატარებულა; თუ ინდოეთში ჩამოვიდა 1948 წლის 19 ივლისამდე და მას შემდეგ განუწყვეტლივ იმყოფებოდა ინდოეთში; ინდოეთში ჩამოვიდა 1948 წლის 19 ივლისს, ინდოეთში ცხოვრობდა არანაკლებ 6 თვისა და საკუთარი განცხადების საფუძველზე უფლებამოსილი პირის მიერ რეგისტრირებულ იქნა მოქალაქედ.

კონსტიტუციით აკრძალულია ორმოქალაქეობა. კონსტიტუცია სხვა ქვეყანაში მცხოვრები პირებისათვის, რომელთა მშობლებიც ინდოეთის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, ითვალისწინებს მოქალაქეობის მიღების სპეციალურ, გამარტივებულ წესს. ამ შემთხვევაში მოქალაქეობის მიღების მსურველმა პირმა თავის ქვეყანაში არსებულ ინდოეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობას უნდა მიმართოს.

III ნაწილში ჩამოყალიბებულია მოქალაქეთა ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. კონსტიტუცია სრულად არეგულირებს ადამიანის და მოქალაქის პირად სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ უფლებებს. ევროპული სახელმწიფოების კონსტიტუციებისგან განსხვავებით, ინდოეთის ძირითადი კანონი საგანგებოდ აფიქსირებს თანასწორობის პრინციპს, როგორც სქესის, ასევე კასტის თვალთახედვით. როგორც სხვა განვითარებად ქვეყნებში, ინდოეთშიც გაფართოებულია საზოგადოებრივი რეგულირების სფერო, ვინაიდან ითვლება, რომ ამ საკითხების ჩვეულებრივ კანონმდებლობაზე გადაკისრება, საფრთხეს შეუქმნიდა მათ რეალიზაციას.

IV ნაწილში ჩამოყალიბებულია ინდოეთის სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი პრინციპები, რომელიც თავის მხრივ იყოფა საშინაო და საგარეო პოლიტიკის პრინციპებად. საშინაო პოლიტიკის განხორციელება მიმართულია ქალისა და მამაკაცის თანასწორობასა და თანაბარი საარსებო მინიმუმის დანესებაზე, მოსახლეობის ჯანმრთელობასა და სულიერ აღზრდაზე ზრუნვაზე. ამ მიზნით სახელმწიფო აწესებს კონტროლს სამედიცინო დანესებულებებზე და კისრულობს ვალდებულებას 10 წლის განმავლობაში 14 წლამდე ბავშვებისათვის უზრუნველყოს უფასო განათლების მიცემა.

აქვე განსაზღვრულია მნიშვნელოვანი სოციალური პრობლემების მოგვარების გზები. დიდი ყურადღება ეთმობა საკანონმდებლო მუშაობას და ერთ-ერთ პრინციპად ჩადებულია მთელი ქვეყნისთვის საერთო-სამოქალაქო კოდექსის შემუშავება. აგრეთვე ცალკეა გამოყოფილი ადგილობრივი თვითმმართველობის, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოთა გამიჯვნის საკითხები.

საგარეო პოლიტიკის განხორციელების წარმმართველ პრინციპებად აღიარებულია: საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვა, ერთა მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის ხელის შეწყობა და მხარდაჭერა, საერთაშორისო სასამართლო ხელისუფლების დამკვიდრებისთვის თანადგომა.

კონსტიტუციის პირვანდელი ვარიანტი არ შეიცავდა ვალდებულებათა ნაწილს და მხოლოდ მისი მიღების შემდეგ ჩაითვალა საჭიროდ კონსტიტუციის ამ ნაწილით შეესება. სწორედ IV<sup>1</sup> ნაწილში განსაზღვრულია მოქალაქეთა ვალდებულებები სახელმწიფოს და სხვა მოქალაქეთა წინაშე.

კონსტიტუციის V და VI ნაწილები ეთმობა ქვეყნის კონსტიტუციური მოწყობის, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების კომპეტენციისა და ურთიერთმიმართების საკითხებს. V ნაწილში განსაზღვრულია, პრეზიდენტის სტატუსი და უფლებამოსილებანი; მინისტრთა საბჭოს მოწყობა, გენერალური სოლისიტორისა და გენერალური აუდიტორის ინსტიტუტების არსი; პარლამენტის სტრუქტურა და კანონის მიღების წესი, სასამართლო ხელისუფლება, დაქვემდებარება სასამართლოებს შორის და იურისდიქცია.

VI ნაწილში განსაზღვრულია შტატის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების სტრუქტურა და მუშაობის წესი. შტატის აღმასრულებელი ხელისუფლება თავმოყრილია გუბერნატორის ხელში, რომელიც ერთპიროვნულად ახო-

რციელებს ამ უფლებამოსილებას. შტატებში იქმნება ერთ ან ორპალატიანი ლეგის-  
ლატურები. აქვე ჩამოყალიბებულია შტატის აღმასრულებელი და საკანონმდებლო  
ხელისუფლებების ურთიერთმიმართება და სასამართლო სისტემა.

VII-VIII ნაწილებში რეგლამენტირებულია საკავშირო ტერიტორიების მა-  
რთვის საკითხები. ქალაქი დელი გამოცხადებულია ინდოეთის დედაქალა-  
ქად. დადგენილია, რომ დელი მთელი ინდოეთის ადმინისტრაციული მართ-  
ვის ცენტრია და ქვეყნის მასშტაბით აქ უნდა ხორციელდებოდეს, როგორც  
აღმასრულებელი, ასევე საკანონმდებლო ხელისუფლება.

IX-IX<sup>1</sup> ნაწილებში დადგენილია ადგილობრივი მმართველობისა და თვი-  
თმმართველობის ორგანოების კომპეტენციური ფარგლები და თავი-  
სებურებები. განსაზღვრულია, რომ პანჩაიატი ადგილობრივი თვითმმართველობის  
ორგანოა ქალაქისა თუ სოფლის დონეზე და აღიარებულია ყველა  
სხვა სახელისუფლებო შტოსგან სრულიად დამოუკიდებელ ინსტიტუტად. რაც  
შეეხება ადგილობრივი მმართველობის ორგანოს – მუნიციპალიტეტს, იგი  
გუბერნატორის ქვემდებარე სტრუქტურის სახით არის ჩანერილი სახელ-  
მწიფო ხელისუფლების იერარქიულ სისტემაში.

კონსტიტუციის X ნაწილი შესაძლებლად მიიჩნევს ინდოეთში თემთა  
ავტონომიური გაერთიანებების შექმნას, განსაზღვრავს მათი შექმნის საფ-  
უძვლებს, სტატუსს და ინსტიტუციონალურად წარმოადგენს მათი მართვის  
ორგანოებს.

XI ნაწილი არეგულირებს ფედერალური და შტატის ორგანოების ურთიე-  
რთმიმართების მექანიზმს. აქვე დადგენილია ინდოეთის პარლამენტისა და  
შტატის ლეგისლატურის მიერ მიღებული სამართლის წყაროების  
იერარქიული სქემა.

XII-XIII ნაწილები არეგულირებს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს,  
როგორიცაა: სახელმწიფო დაფინანსება, დაკრედიტება, სახელმწიფო სესხი,  
ობლიგაციები. XII თავის თანახმად, პარლამენტი გარკვეული  
პერიოდულობით ადგენს სესხების გაცემასთან დაკავშირებით  
პრიორიტეტთა ნუსხას. XIII თავში განხილულია ისეთი საკითხები, როგორიცაა:  
ვაჭრობა, კომერცია, საერთაშორისო ვაჭრობა და სხვ. დადგენილია წესები  
მსგავსი კომერციული აქტივობების ხელის შეწყობის მიზნით.

XIV ნაწილში გამოიჯნულია სამი სახის – ფედერალური, შტატის და განსაკ-  
უთრებული იურისდიქცია. ფედერალური იურისდიქციის ქვეშ მოქცეულია  
თავდაცვის, საერთაშორისო ურთიერთობების, შტატებს შორის ვაჭრობის  
სტრატეგიის, სატრანზიტო გადაზიდვებისა და საერთაშორისო ტრანსპორ-  
ტირების სფეროები.

შტატის იურისდიქციას მიეკუთვნება: საზოგადოების მართვა და ადგილ-  
ობრივი აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაზე კონტროლი; ჯან-  
დაცვისა და განათლების სფეროები; ინდოეთის სინამდვილეში სასიცოცხლო  
მნიშვნელობის წყალმომარაგებისა და ირიგაციის საკითხები. შტატის  
იურისდიქციაშია მოქცეული, აგრეთვე გადასახადებსა და სასოფლო-

სამეურნეო მიწის შემოსავლებზე კონტროლი; ალკოჰოლური სასმელების რეალიზაცია-გამოყენებაზე, აზარტულ თამაშებსა და სხვა სახის ვასართობ ბიზნესზე კონტროლი. განსაკუთრებულ იურისდიქციას მიეკუთვნება: სისხლისსამართლებრივი საკითხებისა და საოჯახო სამართლის რეგულირების სფერო, ელექტროფიკაციასა და მასობრივ საინფორმაციო საშუალებებთან დაკავშირებული საკითხები.

XIV<sup>1</sup> ნაწილი დამატების სახით შემოვიდა კონსტიტუციაში და დაადგინა ადმინისტრაციული ტრიბუნალების შექმნის შესაძლებლობა.

XV ნაწილში განსაზღვრულია საარჩევნო პრინციპები და ზოგადი დებულებების სახით რეგლამენტირებულია საარჩევნო კომისიების შემადგენლობა და იერარქია. უფრო დანერღებით საარჩევნო სამართალი დაარეგულირა 1996 წელს გაახლებულმა საარჩევნო კოდექსმა.

XVI–XVII ნაწილებში დადგენილია სპეციალური წესები სხვადასხვა სოციალური ფენებისთვის. კერძოდ, ჩამოყალიბებულია სხვადასხვა კასტისა და თემის წარმომადგენელთათვის პარლამენტის სახალხო პალატაში ადგილების გამოყოფის წესი. აქვე, განსაზღვრულია სახელმწიფო ენა და შტატების ეთნიკური შემადგენლობის ინტერესების გათვალისწინებით, წარმოდგენილია სხვადასხვა შტატში მოქმედი ენები.

XVIII–XXII ნაწილებში განსაზღვრულია საგანგებო ვითარების პირობებში მოქმედების წესები; ჩამოყალიბებულია კონსტიტუციაში ცვლილება-დამატებების შეტანის წესი, რომელიც გარკვეული თავისებურებით ხასიათდება. მაგალითად, კონსტიტუციის ის მუხლები, რომლებიც შეეხება შტატების სახელისა და საზღვრების შეცვლას, ახალი შტატების მიღებას კავშირში, შეიძლება ჩვეულებრივი კანონით შეიცვალოს. აქვე განსაზღვრულია კონსტიტუციის მოქმედების გარდამავალი დებულებები.

ადამიანის უფლებები და თავისუფლებები. ინდოეთში ადამიანის უფლებათა დაცვის უმნიშვნელოვანესი გარანტი ქვეყნის კონსტიტუციაა, რომელიც ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების სრულ ჩამონათვალს შეიცავს, მას შემდეგ, რაც კონსტიტუციას დაემატა მოქალაქეთა ვალდებულებების ნაწილი.

ძირითადი კანონის III ნაწილში განსაზღვრულია მოქალაქეთა: პირადი, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური უფლებები. იმის გამო, რომ საუკუნეების განმავლობაში ინდოეთის მოსახლეობა მკვეთრად გამიჯნული კასტების სახით ცხოვრობდა, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის საკმაოდ მძიმე ფონი შეიქმნა. კონსტიტუციის თანახმად აღიარებულ თანასწორობის უფლებაში იგულისხმება კანონის წინაშე ყველას თანასწორობა, მიუხედავად კასტისა, რასისა, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობისა და აკრძალულია ამ მოტივით დისკრიმინაცია. ძირითად კანონში, სხვადასხვა კონტექსტში, არაერთგზისაა განხილული საკითხი კასტების და თემების მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულების შესახებ, ხოლო კონსტიტუციის XVI ნაწილი, შესაბამისი კატეგორიის მოსახლეობის უფლებებს ეძღვნება. აქვე,

სხვადასხვა უმცირესობის სასარგებლოდ, დადგენილია საკანონმდებლო ორგანოებში სავალდებულო ადგილების გამოყოფა, რაც გარკვეულად ხელს უწყობს უმცირესობების ინტერესების დაცვას. თემებისთვის და სხვადასხვა ისტორიულად დაბალ სოციალურ დონეზე მყოფი კასტებისთვის, ისევე როგორც რელიგიური უმცირესობებისთვის, გარანტირებულია საკუთარი საგანმანათლებლო დაწესებულებების გახსნის უფლება. განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი ბავშვებს და მათი უფლებების დაცვას.

კონსტიტუციაში პირად უფლებებზე გამოყოფილია სიტყვის თავისუფლება, სიცოცხლისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება, უკანონო პატიმრობისა და იძულების აკრძალვა. ცალკეა გამოყოფილი და უფრო ფართოდ არის რეგლამენტირებული რელიგიის თავისუფლება, ყველა მორწმუნისთვის აღმსარებლობის, რწმენის და სინდისის თავისუფლება, რელიგიის თავისუფლად ქადაგების უფლება და რელიგიური მსახურების თავისუფლება, რელიგიურ მიმდინარეობათა განვითარებისა და მათი მხარდაჭერის მიზნით ფინანსური დახმარების და რელიგიურ სწავლებაზე დასწრების თავისუფლება და ა.შ.

როგორც ჩანს, პირადი უფლებების ჩამონათვალი საკმაოდ მრავალფეროვანი და თავისებურია და ამ ფორმით უფლებათა დაფიქსირება ინდოეთის განსაკუთრებული ტრადიციებით შეიძლება აიხსნას. აღნიშნულის ფონზე განსაკუთრებულ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს ქალთა უფლებების დაცვის კონსტიტუციურ ნორმათა სისტემა, რაც ძალიან ფართოდაა გაშუქებული და არა მხოლოდ კონსტიტუციის უფლებათა III ნაწილში. კონსტიტუციის სხვა ნაწილებში დადგენილია ისეთი ნორმები, როგორცაა ქალთა და მამაკაცთა მიმართ თანაბარი მოპყრობა, თანაბარი სოციალური მინიმუმები, ქალებს გამოყოფილი აქვთ სპეციალური ადგილები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში და სხვ.

კონსტიტუციაში ცვლილება-დამატებების შედეგად კანონში გაჩნდა ახალი – ვალდებულებათა თავი. უნდა აღინიშნოს, რომ ინდოეთში განვითარებულმა პოლიტიკურმა პროცესებმა და სოციალურმა პრობლემებმა ამ ნაწილზეც თავისებური ასახვა პოვა და მისი ორიგინალური ფორმით ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი.

ძირითად კანონში, ადამიანის მოვალეობებზე არის განსაზღვრული: კონსტიტუციის, დროშისა და ჰიმნის პატივისცემა; კონსტიტუციის განმსაზღვრელი პრინციპებისა და იდეალების პატივისცემა; ინდოეთის სუვერენიტეტის, ერთიანობისა და მთლიანობის აღიარება და დაცვა; ქვეყნის და სახელმწიფო ინტერესებს დაცვა, როცა ამის საჭიროებაა და მოქალაქეებისგან ამას მოითხოვენ; პარმონიისა და ძმობის დამკვიდრება ქვეყნის მთელ მოსახლეობაში, მიუხედავად კასტისა, რასისა, რელიგიისა და სხვ; ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის პატივისცემა და დაფასება; გარემოს, ფლორისა და ფაუნის დაცვა; ჰუმანიზმის, მეცნიერების განვითარებისა და რეფორმისტული იდეოლოგიის დამკვიდრება და ხელშეწყობა; საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინება, დაცვა და ძალადობის უარყოფა.

სახელმწიფოს და ადამიანის სამართლებრივი ურთიერთობის სფეროში უდავოდ აქტიუალურია ის ფაქტორი, რომ კონსტიტუციამ იურიდიულად განამტკიცა სახელმწიფოს გარკვეული ვალდებულებები მოქალაქეთა წინაშე, კერძოდ: სოციალური მინიმუმის დანესებისა და განათლებისთვის შესაფერისი პირობების შექმნის ვალდებულება. ამ მხრივ ინდოეთში საკმაოდ მძიმე მდგომარეობა შეიქმნა. როგორც წესი, ინდოეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი პერმანენტულად მომთაბარეობს, რაც დაკავშირებულია, როგორც სოციალურ, ისე სხვა პრობლემებთან. ხშირი ადგილმონაცვლეობის გამო, მოსახლეობის დიდ ნაწილს საშუალება არ აქვს მცირენლოვანი ბავშვები ატარონ საგანმანათლებლო დანესებულებებში. ამ დროს, სახელმწიფომ თავის სამოქმედო პრინციპადაც კი აღიარა სავალდებულო განათლების მისაღებად შესაბამისი პირობების შექმნა. თუმცა, ფაქტობრივად, მისი განხორციელება კონსტიტუციურად აღიარებული ვალდებულების მასშტაბით დღემდე ვერ იქნა მიღწეული. მსგავსი სიტუაცია შეიქმნა სოციალური მინიმუმის დანესების ვალდებულებასთან დაკავშირებით.

კონსტიტუციაში ადამიანის უფლებების დაცვის გარკვეული გარანტიებიც არსებობს. ნამყვანი როლი ამ სფეროში, რა თქმა უნდა, სასამართლო ორგანოების სისტემას ეკუთვნის. ამასთან, ომბუდსმენის ევროპულმა ინსტიტუტმაც მოიკიდა ფეხი და თავისებური განვითარებაც კი მიიღო. ზოგიერთ შტატში იგი შემოღებულ იქნა აღმასრულებელი ხელისუფლების დანამატად და მის ფარგლებში ფუნქციონირებს, მაშინ როცა ზოგან თავად აღმასრულებელი ხელისუფლების ნარმომადგენლებმა შეითავსეს ეს ფუნქცია. როგორც ჩანს, ხელისუფლებამ საერთო-სახელმწიფო დონეზე ომბუდსმენის ინსტიტუტის საჭიროება ვერ დაინახა. თუმცა, ყველა სახელმწიფოში ომბუდსმენის ინსტიტუტი გარკვეული თავისებურებით მკვიდრდება პრაქტიკაში. ინდოეთის სინამდელიში შტატის მმართველებისა და მუნიციპალური ორგანოების მიერ ამ უფლებამოსილების შეთავსება შესაძლოა უფრო გამართლებული იყოს. ყოველ შემთხვევაში, ე.წ. ინდური ომბუდსმენი ამ ინსტიტუტის ერთი განსაკუთრებული თავისებურებაა.

**პარტიული სისტემა.** ინდოეთში ორი ტიპის პარტიები არსებობს: ფედერალურ დონეზე სტრუქტურირებული და მოქმედი და შტატის ფარგლებში რეგისტრირებული და მოქმედი.

ცხადია, ფედერალური მნიშვნელობის პარტიები ქვეყნის მთელ ელექტორატზე ახდენენ გავლენას, რაც მათ მიერ მოპოვებული მანდატების რაოდენობაშიც აისახება. ასეთი პარტიებია: სრულიად ინდოეთის ნაციონალური კონგრესი, ე.წ. ინდირა განდის პარტია, ინდოელთა სახალხო პარტია, ინდოეთის კომუნისტური პარტია, ინდოეთის კომუნისტურ-მარქსისტული პარტია, სრულიად ინდოეთის კონგრესის კომიტეტი, სახალხო პარტია, ნაციონალური სახალხო პარტია, სოციალისტური პარტია.

ძირითადად, სწორედ აღნიშნული პარტიებია ნარმოდგენილი ინდოეთის ცენტრალურ საკანონმდებლო ორგანოში. ინდოეთის პარლამენტის ზედა პა-



ლატაში – შტატების საბჭოში პარტიებს შორის მანდატები შემდეგნაირადაა გადანაწილებული: ინდოელთა სახალხო პარტია ფლობს 49 მანდატს; ინდოეთის ნაციონალური კონგრესი – 57-ს; ინდოეთის კომუნისტური პარტია – 6-ს; მარქსისტულ-კომუნისტური პარტია – 14-ს; სახალხო პარტია – 13 მანდატს. სულ შტატების საბჭოში არსებული 242 მანდატიდან დანარჩენ 103 მანდატს ინანილებენ სხვა მცირე პარტიები, რომლებიც ძირითადად ბლოკებს ქმნიან თავისი პოზიციის უფრო ეფექტურად დაფიქსირების მიზნით. ასეთი ბლოკებია: ბლოკი „დამოუკიდებლობა“ – 11 ხმით; პრეზიდენტის მიერ დასახელებული კანდიდატების ბლოკი – 12 ხმით და ა.შ. პალატის ნევრთაგან – 22, ანუ 9% ქალია.

რაც შეეხება ქვედა – სახალხო პალატას, სტატისტიკა აქაც იდენტურია. არჩევნებში გამარჯვებულ 42 პარტიაში ლიდერობას ინარჩუნებს ინდოელთა სახალხო პარტია, რომელსაც 180 მანდატი აქვს სახალხო პალატაში. შემდეგ მოდის ინდოეთის ნაციონალური კონგრესი 112 მანდატით და ყველა დანარჩენი პარტია, რომელნიც მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან ლიდერებს: ინდოეთის მარქსისტულ-კომუნისტური პარტია – 33 მანდატი; სახალხო პარტია – 28, შიესენა – 12, ინდოეთის კომუნისტური პარტია – 3 და ა.შ. როგორც ჩანს, ლიდერი პარტიების უმრავლესობას, ერთობ დაქუცმაცებული ოპოზიციური ძალების სიმრავლე ვერანაირად უპირისპირდება და ქვეყანაში მიმდინარე რეფორმები, ცალსახად, უმრავლესობის ინტერესების გავლენის ქვეშ ხორციელდება. საერთო 543 წევრიდან 44 მანდატი, დაახლოებით 8%-ი ქალებს ეკუთვნის.

როგორც მოცემული სტატისტიკიდან ჩანს, საკანონმდებლო ორგანოში სერიოზული პოზიცია უკავია ინდოელთა სახალხო პარტიას, რომელიც დემოკრატიული ძალების გაერთიანების საფუძველზე 1980 წელს შეიქმნა და პოპულარობა 90-იან წლებში მოიპოვა, რაც 1996 წლის არჩევნებზე დადასტურდა. პარტიის ნარმატება წინასაარჩევნო კამპანიის დროს ნარდგენილმა მიმართვამ განაპირობა, სადაც პარტიის ძირითადი სამოქმედო გეგმა იყო ჩამოყალიბებული: პარტიამ უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა სახელმწიფოს სათავეებში დიდი ხნის განმავლობაში არსებული კლანურობისა და პოლიტიკური ნეგატივიზმის მიმართ და თავის მიზნად ყველა ინდოელის სულიერი გამთლიანება და პარმონია დაისახა.

ინდოეთის ნაციონალური კონგრესი ყოველთვის ცდილობდა საკუთარი თავი სტაბილურობის გარანტად წარმოეჩინა და უკანასკნელი წლების მანძილზე აგრარულ საქმიანობაში ჩადებული თანხების მცირე, მაგრამ დინამიკური ზრდის აუცილებლობას ასახელებდა. ნაციონალურმა კონგრესმა წამოაყენა მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ პოლიტიკური ცხოვრებიდან გამოერიცხათ რელიგიური მოტივები, რასაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ინდოეთის პოლიტიკურ სივრცეში. ნაციონალური კონგრესი ემხრობა ქვეყნის მმართველობის დეცენტრალიზაციას და მიაჩნია, რომ ინდოეთის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს – პანჩაიატებს უნდა მიეცეს რეალური დემოკრატიული ინსტიტუტების ფორმირების საშუალება.

ინდოეთის მარქსისტულ-კომუნისტურ პარტიას საკმაოდ რადიკალური შეხედულებები აქვს ყველა იმ იდეაზე, რომელსაც აღნიშნული ორი ძირითადი პარტია აყენებს. ინდოელთა სახალხო პარტიას ეს პარტია მიიჩნევს დროებით, მორიგ არჩევნებში გამარჯვების მიზნით შექმნილ პარტიად და მის მიზნებს არარეალურად მიიჩნევს. იგი არასწორი მოთხოვნებით მანიპულირებაში ადანაშაულებს ნაციონალურ კონგრესსაც, თუმცა აგრარული პოლიტიკისა და სასამართლო ორგანოების რეფორმების თვალსაზრისით თავადაც მსგავს მოთხოვნებს აყენებს. ინდოეთის მარქსისტულ-კომუნისტური პარტია მხარს უჭერს ქვეყნის ფედერალურ მოწყობას.

შტატების დონეზე პოპულარულ პარტიებად ითვლება: სიქების პარტია, რომელიც ნაციონალურ კონგრესს გამოეყო და ძირითად მოთხოვნად სიქების ავტონომიის დაარსებას აყენებს; დემოკრატ ინდოელთა პარტია, რომლის ძირითადი მოთხოვნაა დემოკრატიული ინდოეთის ჩამოყალიბება და მისი ერთიანობის შენარჩუნება; სრულიად ინდოეთის პროგრესული პარტია, რომელმაც 1998 წლის არჩევნების შემდეგ ძლიერი პოზიცია მოიპოვა თავისი მოთხოვნით გაეერთიანებინა ძირითადი პოლიტიკური ძალები პროგრესული საგანმანათლებლო იდეის გარშემო; სრულიად ინდოეთის მონინავე ბლოკი, რომელიც სოციალისტური პარტიის ერთ-ერთი დანაყოფია და ძირითად მოთხოვნად სამრეწველო ობიექტების ნაციონალიზაციას აყენებს; ასამის სახალხო საბჭო, რომელიც „სრულიად ასამის განთავისუფლების“ და „სრულიად ასამის სტუდენტთა გაერთიანების“ შერწყმის შედეგად შეიქმნა და ძირითად მოთხოვნად უმცირესობათა უფლებების დაცვის საკითხს აყენებს; ელიტური საზოგადოების პარტია, რომელიც მხარს უჭერს პარიჯანთა კასტის უფლებებს; ჯამუს და ქაშმირის ნაციონალური გაერთიანება, რომელიც მოითხოვს ავტონომიას და ადგილობრივი მმართველობის უფლებების გაფართოებას და ა.შ.

საარჩევნო სისტემა. ინდოეთში ხელისუფლების დანაწილების კლასიკური მოდელი იმ თავისებურებით გამოირჩევა, რომ არსებობს დამოუკიდებელი საარჩევნო ადმინისტრაცია, რომელიც მეოთხე სახელისუფლებო შტოდ არის აღიარებული, მასვე აკისრია არჩევნების ჩატარების ორგანიზაცია დამოუკიდებელი საარჩევნო კომისიის თაოსნობით, რომელიც კონსტიტუციით დადგენილი წესით იქმნება. საარჩევნო კომისიის უფლებამოსილება ვრცელდება, როგორც ფედერალურ, ისე შტატის დონეზე გამართული არჩევნებთან დაკავშირებით. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, ე.წ. არჩევნების მთავარი კომისარი, ინიშნება პარლამენტის მიერ უვადოდ და მისი გადაყენება შესაძლებელია მხოლოდ იმპიჩმენტის წესით. თავმჯდომარის მოადგილეებს ნიშნავს პრეზიდენტი. კომისიის ძირითად ოფისში საქმიანობს 300-მდე მოხელე. საარჩევნო კომისიის ოფისები არსებობს შტატებსა და საარჩევნო ოლქებში. სულ ინდოეთში 594 საარჩევნო ოლქია.

საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით აქტიური საარჩევნო ხმის უფლება აქვს ნებისმიერ 18 წლის ასაკს მიღწეულ ინდოეთის მოქალაქეს. არ

დაიშვება აქტიური ხმის უყვლების ძეზლუდეა კასტური, რელიგიური, სქესობრივი ნიშნის მიხედვით და მხოლოდ კმედუუნარიობესა და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდადებულ ადამიანებს ეკრძალებათ არჩევნებში მონაწილეობა.

ინდოეთში მოქმედებს ამომრჩეველთა მუდმივი რეგისტრაციის სისტემა, არჩევნების წინ საარჩევნო კომისია ადგენს ამომრჩეველთა სიებს, რომლებიც ყოველწლიურად განახლდება. სიების საფუძველზე გაიცემა ამომრჩევლის საარჩევნო პლასტიკური ბარათი. მაგრამ აღნიშნული საქმიანობა საკმაოდ რთული განსახორციელებელი აღმოჩნდა მთელი ინდოეთის მასშტაბით და ამის გამო ჯერჯერობით მხოლოდ 338 მილიონ მოქალაქეს აქვს მიღებული, ე.წ. საარჩევნო პლასტიკური ბარათი. არის კომპიუტერიზებული საარჩევნო ოლქებიც, როგორცაა: ჰარიანას, პუნჯაბის, კიმაჩალ პრადეშის და ტრიპურას საარჩევნო ოლქები.

ინდოეთში არჩევნების გზით ყალიბდება საერთო-სახელმწიფოებრივი, ფედერალური და ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოები. თავად არჩევნები ტარდება, როგორც პირდაპირი, ისე ირიბი წესით. პირდაპირი არჩევნებით აირჩევიან დეპუტატები პარლამენტის სახალხო პალატაში, ხოლო შტატების საბჭოში შტატებს წარმოადგენენ საკანონმდებლო ასამბლეის დეპუტატები. დეპუტატებს ირჩევს ასამბლეა 6 წლის ვადით, ყოველ ორ წელიწადში მესამედის განახლებით. „ხმის გადაცემის უფლების“ პრინციპის თანახმად, შტატის საკანონმდებლო და შტატების საბჭოში არჩეულ პირებს ეძლევათ საკუთარი ხმის დელეგირების უფლება. არჩევნები ფარულია, თუმცა ხდება ბიულეტენების გადანომვრა, რაც, ფაქტობრივად, ფარულობის პრინციპს გამორიცხავს. ინდოეთში არსებობს სპეციალური ელექტორატის ცნებაც და ეს ნათლად ვლინდება შტატის საკანონმდებლო საბჭოს არჩევნისას, სადაც დეპუტატთა 1/3 აირჩევა შტატის საკანონმდებლო ასამბლეის მიერ; 1/3 მუნიციპალური ორგანოების მიერ; 1/2 საუნივერსიტეტო განათლების მქონე პირთა მიერ; 1/2 1/2 უმაღლესი და საშუალო სკოლის მასწავლებლების მიერ, რომელთაც მუშაობის 3 წლის სტაჟი აქვთ; 1/6 ინიშნება შტატის გუბერნატორის მიერ.

დეპუტატები ინდოეთში წარმომადგენლობითი მანდატით სარგებლობენ და თუ ისინი დატოვებენ პარტიას, ავტომატურად კარგავენ მანდატსაც და იგი გადაეცემა პარტიულ სიაში მომდევნო წევრს.

როგორც წესი, საარჩევნო კომისია არჩევნებისთვის მზადებას იწყებს ექვსი თვით ადრე. იგი ფინანსებს იღებს როგორც ბიუჯეტიდან, ასევე საკუთარი წყაროებიდან. ნებისმიერ მოქალაქეს, რომელმაც 25 წლის ასაკს მიაღწია, უფლება აქვს თავისი კანდიდატურა წამოაყენოს ადგილობრივ საკანონმდებლო და ინდოეთის სახალხო პალატაში. აქ კანდიდატურის საარჩევნო ოლქში წარდგენისთვის დაწესებულია მხოლოდ წინასაარჩევნო შესატანი 10 ათასი რუპიის ოდენობით და საჭიროა ერთი ამომრჩევლის თანხმობა. შტატების საბჭოში წინასაარჩევნო შესატანი შემცირებულია 5 ათას

რუპიამდე, მაგრამ ასაკობრივი ცენზი გაზრდილია 30 წლამდე. მოცემული გადასახადები გაიზარდა 80-იან წლებში ცნობილი ინფლაციის პერიოდში და მას შემდეგ უცვლელად დარჩა 2000 წლის არჩევნებზეც. უმცირესობათა წარმომადგენლებისთვის გადასახადები განახევრებულია. ყველა კანდიდატს, რომელიც დააგროვებს ოლქში ამომრჩეველთა ხმების 1/6-ს უკან უბრუნდება ფულადი შენატანი. სახალხო პალატაში, როგორც წესი, სპეციალური ადგილებია გამოყოფილი უმცირესობათა წარმომადგენლებისთვის, კერძოდ, 79 ადგილი კასტების და 41 ადგილი თემების წარმომადგენელთათვის. ადგილობრივ წარმომადგენლობით ორგანოებში მსგავსი პრინციპი ვრცელდება ქალებზე და ზოგიერთ შტატში ქალებისთვის გამოყოფილია ადგილების კონკრეტული რაოდენობა.

**სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები.** ინდოეთში, საპარლამენტო რესპუბლიკის პირობებში სახელმწიფო ხელისუფლების ბალანსი იმდენად თავისებურად ჩამოყალიბდა, რომ საერთოდ ძნელია საუბარი ბალანსზე, როდესაც სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი, რომლის ხელშიც თავმოყრილია აღმასრულებელი ხელისუფლება და მინისტრთა კაბინეტი მისი სათათბირო ორგანოა, ხოლო საკანონმდებლო ხელისუფლება სამედიამენტთან სტრუქტურადაა მოაზრებული, რომელშიც პრეზიდენტი ორპალატიან პარლამენტშია ჩართული; მართლმსაჯულებას ახორციელებს ინდოეთის უზენაესი სასამართლო, შტატების უმაღლესი სასამართლოები, საოლქო და რაიონის, აგრეთვე სპეციალური სასამართლოები; ცალკე სახელისუფლებო, მეოთხე შტოს სახით მოქმედებს საარჩევნო ადმინისტრაცია.

**პრეზიდენტი** ინდოეთში საკმაოდ ძლიერი ფიგურაა: აღმასრულებელი ხელისუფლება მის მიერ უშუალოდ ან დანიშნული წარმომადგენლის მიერ ხორციელდება; უძღვევა პარლამენტის პალატების გაერთიანებულ სხდომებს და, ფაქტობრივად, ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს სპიკერი; შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი და ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენელია საგარეო ურთიერთობებში. თუმცა მისი უფლებამოსილება მკაცრად რეგლამენტირებული და პრეზიდენტს ეკრძალება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაში ჩარევა.

**პრეზიდენტი**, გადარჩევაზე შეზღუდვის გარეშე, აირჩევა 5 წლის ვადით. პრეზიდენტს ირჩევს სპეციალური კოლეგია, რომელიც შედგება პარლამენტის არჩეული წევრებისა და შტატების საკანონმდებლო ასამბლეის წარმომადგენლებისგან. პრეზიდენტობის კანდიდატი უნდა იყოს ინდოეთის მოქალაქე, არანაკლებ 35 წლისა. ამასთან, პრეზიდენტობის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს ყველა იმ მოთხოვნას, რაც გათვალისწინებულია სახალხო პალატაში არჩეული წევრისთვის და პრეზიდენტად არჩევამდე არ შეიძლება ეკავოს ნებისმიერი დონის თანამდებობა აღმასრულებელი ორგანოების სისტემაში. დაუშვებელია მის მიერ სხვა საქმიანობის შეთავსება, გარდა საგანმანათლებლო მუშაობისა. თუ პრეზიდენტი არჩევიამდე რომელიმე დონის საკანონმდებლო ორგანოში მოღვაწეობდა, არჩევის შემდეგ უნდა დატოვოს

იგი. პრეზიდენტს, თავისი მოვალეობების შესრულება, შეუძლია გადასცეს ვიცე-პრეზიდენტს, გაიგრძელოს უფლებამოსილება ახალი პრეზიდენტის მიერ ადგილის დაკავებამდე. პრეზიდენტს უფლება აქვს რამდენჯერმე იყაროს კენჭი. ამ მხრივ კონსტიტუციით რაიმე შეზღუდვა დაწესებული არ არის. პრეზიდენტი მოვალეობის შესრულების წინ დებს ფიცს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, ან მისი არყოფნის შემთხვევაში უზენაესი სასამართლოს ნევრების წინაშე.

პრეზიდენტის ძირითადი უფლებამოსილებებია: საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული პარტიის ლიდერის პრემიერ-მინისტრად და მისი წარდგენით სხვა მინისტრების დანიშვნა, ინდოეთის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის და მასთან შეთანხმებით სასამართლოს სხვა ნევრების, აგრეთვე, შტატების გუბერნატორებისა და უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეების, გენერალური პროკურორის და გენერალური აუდიტორის, არჩევნების მთავარი კომისიის, ოფიციალური ენის და საფინანსო კომისიების ნევრების დანიშვნა. პრეზიდენტს შეუძლია დაითხოვოს მინისტრები და შტატების გუბერნატორები. რაც შეეხება თანამდებობის სხვა პირებს, მათთვის სპეციალური წესი მოქმედებს. პრეზიდენტი ახორციელებს შეწყალების უფლებას, საპრეზიდენტო აქტებს გამოსცემს ერთპიროვნულად და თავადაა პასუხისმგებელი თავის საქმიანობაზე, კონსტიტუციით მიკუთვნებული საერთო კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს კანონის ძალის აქტებს.

პრეზიდენტი სარგებლობს ხელშეუხებლობით, დაუშვებელია მისი დევნა და პირადი შეზღუდვა, გარდა კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა. კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტს შესაძლებელია ვადაზე ადრე შეუნყდეს უფლებამოსილება, თუ იგი ფიზიკურად ვერ ასრულებს თავის მოვალეობას ან კონსტიტუციისა თუ კანონის დარღვევის გამო იმპიჩმენტის წესით იქნება გადაყენებული. იმპიჩმენტის აღძვრის უფლება აქვს ორივე პალატას: იმპიჩმენტის აღძვრის თაობაზე პრეზიდენტის საქმის კურსში ჩაყენებიდან 14 დღის შემდეგ, შესაბამისი პალატის ნევრთა 1/4-ით მიღებული რეზოლუციის საფუძველზე, ხოლო გადაწყვეტილება იმპიჩმენტის აღძვრის თაობაზე მიიღება ბრალმძებელი პალატის სრული შემადგენლობის ხმათა არანაკლებ 2/3-ით. ამის შემდეგ პალატა იწყებს გამოძიებას და პრეზიდენტს უფლება აქვს დაეხსნოს გამოძიების მიმდინარეობას, უფლება აქვს გამოთქვას თავისი მოსაზრებები, იმ შემთხვევის გარდა, როცა იგი ვალდებულია პალატას აუხსნას კონკრეტული გარემოებები. თუ გამოძიების შედეგებზე დაყრდნობით პალატამ პრეზიდენტი ხმათა 2/3-ით დამნაშავედ სცნო. პრეზიდენტი ვალდებულია გადადგეს და მის ფუნქციებს ვიცე-პრეზიდენტი შეითავსებოს.

ვიცე-პრეზიდენტი აირჩევა სპეციალური საარჩევნო ორგანოს მიერ, რომელიც იქმნება უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ორივე პალატის ნევრთა შემადგენლობით. არჩევნები ტარდება ფარული კენჭისყრით, ხმის დელეგირების უფლების გათვალისწინებით. ვიცე-პრეზიდენტი ითვლება შტატების საბჭოს ფორმალურ თავმჯდომარედ, ცვლის პრეზიდენტს პარ-

ლაშენტიის სხდომების ნაყვანისას, პრეზიდენტის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის, ავადმყოფობის თუ გადადგომის შემთხვევებში ითავსებს პრეზიდენტის უფლებამოსილებას.

საკანონმდებლო ხელისუფლება ინდოეთში ხორციელდება ქვეყნის პარლამენტის მიერ. ეს ერთადერთი ორგანოა, რომელიც აღჭურვილია კონსტიტუციის მიღებისა და მასში ცვლილებათა შეტანის უმაღლესი უფლებამოსილებით. პარლამენტი უფლებამოსილია გარკვეული პირობების არსებობისას თავის თავზე აიღოს შტატის საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციები.

პარლამენტის შემადგენლობაში შედის: პრეზიდენტი და ორი პალატა, რომელთაგან ზედა პალატას შტატების საბჭო ეწოდება, ხოლო ქვედას – სახალხო პალატა. საპარლამენტო საქმიანობის წარმართვის საქმეში პრეზიდენტს საქმაოდ ფართო უფლებები აქვს: მონაწილეობას იღებს პარლამენტის მუშაობაში, უფლება აქვს მოიწვიოს პალატათა გაერთიანებული სხდომა, მნიშვნელოვანი უფლებები აქვს საკანონმდებლო-საპროცესო ურთიერთობების რეგულირების საქმეში.

ინდოეთში პარლამენტის ზედა პალატა – შტატების საბჭო შედგება შტატების საკანონმდებლო ასამბლეების შემადგენლობიდან პროპორციული წესით არჩეული წევრებისა და პრეზიდენტის მიერ დანიშნული 12 წევრისგან. არჩეულ პირთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 242-ს (ბოლო არჩევნებისას დადგენილი 238-კაციანი კვოტა შეიცვალა მოსახლეობის არასრული აღწერის საფუძველზე). შტატების საბჭოს წევრებს აქვთ თითო ხმა, მაგრამ კენჭისყრის დროს მოქმედებს ხმის დელეგირების უფლება. რაც შეეხება პრეზიდენტის მიერ დანიშნულ 12 წევრს, მათთვის დადგენილია სპეციალური მოთხოვნები. ისინი შეირჩევიან ლიტერატურაში, ხელოვნებაში, მეცნიერებასა და სოციალური ურთიერთობების სფეროში მიღწეული განსაკუთრებული წარმატების ნიშნით. შტატების საბჭო მუდმივმოქმედი ორგანოა, მას არა აქვს უფლებამოსილების შემოსაზღვრული ვადა და ყოველ ორ წელიწადში ხდება მისი შემადგენლობის 1/3-ით განახლება.

ინდოეთის პარლამენტის ქვედა – სახალხო პალატა შედგება შტატის მოსახლეობის მიერ პირდაპირი, თანასწორი და საყოველთაო წესით, ფარული კენჭისყრით არჩეული დეპუტატებისგან, რომელთა რაოდენობაა 543, მათ შორისაა საკავშირო ტერიტორიებიდან არჩეული 20 დეპუტატი (კონსტიტუციით თავდაპირველად განსაზღვრული 530-კაციანი კვოტა აქაც შეიცვალა). პალატაში ანგლოიდური საზოგადოების 2 წარმომადგენელს ნიშნავს პრეზიდენტი. დეპუტატთა რაოდენობის ცვლილებაზე მოქმედებს შტატებიდან არჩეული დეპუტატების პროპორციული წარმომადგენლობის კონსტიტუციური პრინციპი. სახალხო პალატაში დეპუტატები აირჩევიან 5 წლის ვადით და ეს ვადა აითვლება პირველი სხდომის დღიდან. სახალხო პალატა საგანგებო ვითარებისას შესაძლებელია ვადაზე ადრე იყოს დათხოვნილი პრეზიდენტის მიერ.

პარლამენტის წევრად შესაძლებელია არჩეული იყოს მხოლოდ ინდოეთის მოქალაქე. პალატების მიხედვით განსხვავებულია ასაკობრივი ცენზი: შტატ-

ების საბჭოში ქვედა ზღვარი 30 ნელია, ხოლო სახალხო პალატაში – 25 ნელი. არ შეიძლება პირი ერთდროულად იყოს ორივე პალატის წევრი, ისევე როგორც ინდოეთის პარლამენტისა და შტატის საკანონმდებლო ორგანოს წევრი. წინააღმდეგ შემთხვევაში, პრეზიდენტს უფლება აქვს კანონდამრღვევი შემთავსებელი დაითხოვოს. დეპუტატის უფლებამოსილება წყდება კანონით განსაზღვრული პირობების დადგომისას, ასეთი კი შეიძლება იყოს 60 დღის განმავლობაში უმიზეზოდ სხდომების გაცდენა ან პირადი განცხადება.

პარლამენტის პალატების მუშაობის ორგანიზაციული ფორმა პლენარული სხდომაა. სხდომებს ინვევენ პალატების თავმჯდომარეები. პრეზიდენტს, გარკვეული საკანონმდებლო პრობლემების გადასაჭრელად, შეუძლია მოიწვიოს პალატათა გაერთიანებული სხდომა და თავად წარუძღვეს მას. პარლამენტის მუშაობაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მინისტრებსაც, მხოლოდ ხმის უფლების გარეშე.

პალატათა სხდომებს უძღვებიან პალატათა თავმჯდომარეები. შტატების საბჭოს თავმჯდომარედ, ამერიკული მოდელის მსგავსად, ინდოეთის ვიცე-პრეზიდენტი ითვლება, თუმცა, პრაქტიკულად სხდომები მის მოადგილეს მიჰყავს, რომელიც შტატების საბჭოს შემადგენლობიდან ხმათა უმრავლესობით აირჩევა. მისი არყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარის ფუნქციას პრეზიდენტის მიერ განსმზღული ერთ-ერთი დეპუტატი ითავსებს.

სახალხო პალატის სხდომებს უძღვება სპიკერი, რომელიც პალატის მიერ ხმათა უმრავლესობით აირჩევა. მისი არყოფნის შემთხვევაში უფლებამოსილება გადაეცემა მოადგილეს, რომელიც ასევე პალატის მიერ არის არჩეული. პალატის დათხოვნის ან უფლებამოსილების ვადამდელი შეწყვეტის შემთხვევაში ვადის ამონურვის გამო, სპიკერს უფლებამოსილებები მომდევნო მონვევის პალატის პირველი სხდომის დამთავრებამდე უგრძელდება.

პარლამენტის პალატათა სხდომა უფლებამოსილია, თუ მის მუშაობაში მონაწილეობს სრული შემადგენლობის მეათედი მაინც. იმ შემთხვევაში, თუ კვორუმი არ შედგება, კვორუმის შევსებამდე, სპიკერს ან მის მოადგილეს უფლება აქვს გადადოს ან დროებით შეწყვიტოს სხდომა.

პარლამენტის პალატებში იქმნება მუდმივი კომიტეტები და ქვეკომიტეტები, აგრეთვე, ორივე პალატისთვის საერთო კომიტეტები. მუდმივ კომიტეტებს სამუშაო შეხვედრებზე შეუძლიათ მოიწვიონ თანამდებობის პირები, მაგრამ არა მინისტრები. კომიტეტების მიერ განხილულ კანონპროექტთან დაკავშირებით, განსხვავებული აზრის პირობებში, უმცირესობას შეუძლია პალატის სხდომაზე წარსადგენ ძირითად მოხსენებას დაუროთოს საკუთრი კერძო აზრი. პალატებში დეპუტატები, პარტიულობის პრინციპის საფუძველზე ქმნიან ფრაქციებს, რისთვისაც სახალხო პალატაში საჭიროა დეპუტატთა საერთო რაოდენობის 30%, ხოლო შტატების საბჭოში 15%.

ინდოეთის პარლამენტი, როგორც ხალხის წარმომადგენლობითი ორგანო, ახორციელებს მისსავე სრულუფლებიანობასა და სუვერენიტეტს.

მისი ხელისუფლება ვრცელდება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე და ამ ტერიტორიაზე მყოფ ყველა მოქალაქესა და დანესებულებაზე, ფიზიკურ თუ იურიდიულ პირზე. პარლამენტის საქმიანობაში, ძირითადად, ორი პრეროგატივა გამოიყოფა, ესაა საკანონმდებლო საქმიანობა და მთავრობის საქმიანობაზე კონტროლი. მართალია, პარლამენტი ერთგვარად იზღუდება აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ, თუ გავითვალისწინებთ, რომ პრეზიდენტს მინიჭებული აქვს უფლება დაითხოვოს სახალხო პალატა.

ინდოეთში საკანონმდებლო პროცესი დიდად არ განსხვავდება დემოკრატიულ ქვეყნებში დამკვიდრებული პრაქტიკისგან და სამ ეტაპს მოიცავს: საკანონმდებლო ინიციატივას, პარლამენტში კანონპროექტის განხილვასა და მიღებას, პრეზიდენტის მიერ პრომულგაციასა და გამოქვეყნებას.

საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვს პარლამენტის წევრს და მინისტრს. პირველ ეტაპზე ისინი წარუდგენენ პარლამენტს კანონპროექტს. პარლამენტის წევრის მიერ შეტანილ პროექტს ეწოდება პარლამენტის წევრის პროექტი, ხოლო მინისტრის მიერ შეტანილს – მთავრობის პროექტი.

პროექტის შეტანა დასაშვებია ნებისმიერ პალატაში და ინიციატორი ითხოვს უფლებას პალატას წარუდგინოს თავისი პროექტი. პალატას შეუძლია უარი უთხრას ინიციატორს პროექტის წარდგენაზე. ასეთ შემთხვევაში პალატის თავმჯდომარეს უფლება აქვს თავისი პირადი გააღწევეტილების საფუძველზე წამოიწიოს საკანონმდებლო პროცესი ან სთხოვოს მონინალმდევგე მხარეს დაასაბუთოს უარყოფის მიზეზები. თუ პროექტი უარყოფილ იქნა იმის გამო, რომ სცილდება საკანონმდებლო ინიციატივის ფარგლებს, მაშინ სპიკერს უფლება აქვს გამოაცხადოს დებატები ამ საკითხის გარშემო. დებატების გახსნის თაობაზე გააღწევეტილება მიიღება პალატის წევრთა მიერ კენჭისყრის შედეგად, რის შემდეგ წყდება საკითხი პროექტის მიღებასთან დაკავშირებით.

განსაკუთრებული წესია გათვალისწინებული საფინანსო-საბიუჯეტო კანონპროექტის განხილვა-დამტკიცებასთან დაკავშირებით. ზემოთ აღწერილი პროცესი საფინანსო კანონპროექტს არ ეხება და იგი შეტანისთანავე გააქვთ განსახილველად ისე, რომ არ დგება საკითხი წარდგენის უფლების შესახებ. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საფინანსო კანონპროექტის განხილვის უფლება აქვს მხოლოდ შტატების საბჭოს. კანონპროექტი ჩაითვლება საფინანსოდ თუ იგი შეეხება:

- გადასახადებთან დაკავშირებულ საკითხებს, მათ შეცვლას, გააქვმებას, ან ახალი გადასახადების შემოტანას;
- კრედიტის აღებას ან ინდოეთის მთავრობის გრანტების გაცემას, ასევე სახელმწიფო ობლიგაციების გამოშვებას;
- საერთო-სახელმწიფოებრივი ფონდების კონტროლს, ფონდებში შენატანების და დაფინანსებული პროექტების კონტროლს;
- ასიგნებებს სახელმწიფო ფონდიდან.



მას შემდეგ, რაც კანონპროექტი წარედგინება პალატას. პალატის, სპიკერი ან უფლებამოსილი პირი მას შესასწავლად და მოხსენების მომზადების მიზნით გადასცემს შესაბამის კომიტეტს. ეს უკანასკნელი ვალდებულია განიხილოს წარმოდგენილი კანონპროექტის ძირითადი პრინციპები, პროექტთან დაკავშირებული მოსაზრებები და ამის საფუძველზე გააკეთოს მოხსენება მის შესახებ. კომიტეტი ვალდებულია გაითვალისწინოს აგრეთვე ექსპერტთა და საზოგადოების წარმომადგენელთა აზრი. კომიტეტის მოხსენება მიიჩნევა ავტორიტეტულ დოკუმენტად და განიხილება, როგორც კომიტეტის რჩევა მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.

მეორე ეტაპი ითვალისწინებს პროექტის პარლამენტში განხილვას. იგი სამი თანამიმდევრული მოსმენისგან შედგება. პირველი მოსმენა მოიცავს ძირითად დებატებს პროექტის გარშემო და მის სრულ განხილვას. ამ დროს შესაძლებელია პალატამ პროექტი გადასცეს თავის რომელიმე კომიტეტს, ან ორი პალატის გაერთიანებულ კომიტეტს ან ორივე აღნიშნულ ადრესატს ერთად, რათა პროექტის შესახებ მიიღოს საბოლოო დასკვნა. მეორე მოსმენისას კომიტეტები უკვე მუხლობრივ ანალიზს აკეთებენ და ამის საფუძველზე წარმოადგენენ დასკვნას. ამ პროცესში კომიტეტები აუცილებლად იწვევენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს და ექსპერტებს, გარკვეულად მათი აზრის გათვალისწინებაც ხდება და მონვეულ პირთა პოზიციასთან ერთად კომიტეტის საბოლოო აზრის სახით ჩამოყალიბებული მოხსენება გადაეგზავნება პალატას. ამავე სტადიაზე ხდება კანონპროექტის მუხლობრივი განხილვა პალატაში, რისთვისაც ინიშნება დებატები. კანონპროექტში პალატის ნევრთა მხრიდან შესწორებების შეტანა დასაშვებია კენჭისყრის გარეშეც, თუ არ არსებობს აშკარა წინააღმდეგობა. რაც შეეხება კანონპროექტიდან გარკვეული მუხლის ამოღებას, ამ შემთხვევაში აუცილებელია საკითხის კენჭისყრაზე დაყენება. შესწორება მიღებულად ჩაითვლება, თუ მხარს დაუჭერს დამსწრე ნევრთა უმრავლესობა. მას შემდეგ, რაც კანონპროექტს მუხლობრივად განიხილავენ და მის ოფიციალურ დასახელებასაც დაამტკიცებენ, კანონპროექტი დგება კენჭისყრაზე. მესამე მოსმენის დროს კანონპროექტში დაიშვება მხოლოდ რედაქციული ცვლილებების შეტანა. პროექტის მისაღებად საჭიროა პალატის უბრალო უმრავლესობის მხარდაჭერა. აღნიშნული პროცედურების გავლის შემდგომ პროექტი მეორე პალატას ეგზავნება, სადაც იმავე პროცედურების გავლა ელის. იმ შემთხვევაში, თუ კანონპროექტის თაობაზე პალატებს შორის შეთანხმება არ იქნება მიღწეული, ან ზედა პალატის მიერ კანონპროექტის განხილვის ვადა 6 თვეს გადააჭარბებს, პრეზიდენტს უფლება აქვს მოინვიოს პალატების გაერთიანებული სხდომა. თუ გაერთიანებულ სხდომაზე კანონპროექტი დამსწრეთა უმრავლესობით იქნება მხარდაჭერილი, იგი მიღებულად ჩაითვლება.

კანონპროექტის მიღების ბოლო ეტაპია პრომულგაცია – პრეზიდენტის მიერ ხელის მოწერა და მისი გამოქვეყნება, რის შემდეგაც კანონი ძალაში შედის და ამოქმედდება.

რაც შეეხება კონსტიტუციურ კანონპროექტს, მისი მიღება გართულებულია. კერძოდ, ქვედა პალატაში მოსმენების დასრულებისას მას მხარი უნდა დაუჭიროს პალატის სრული შემადგენლობის უმრავლესობამ და შემდეგ კანონპროექტი ენეჭისყრისთვის ზედა პალატას გადაეცემა. კონსტიტუციური კანონპროექტი მიღებულად ითვლება, თუ ორივე პალატაში მიღებული ხმათა რაოდენობა შეადგენს პალატათა საერთო რაოდენობის 2/3-ს. ამ შემთხვევაშიც პროექტი ძალაში შედის პრეზიდენტის მიერ ხელმოწერის შემდეგ. თუ პრეზიდენტი თავს იკავებს ხელის მოწერისგან, მას უფლება აქვს შეიტანოს გარკვეული შესწორებები პროექტში და დაუბრუნოს პალატას განსახილველად, მაგრამ მეორედ მასთან დაბრუნებული კანონპროექტის შეყოვნება მას უკვე აღარ შეუძლია. და თუ მაინც, პრეზიდენტი თავს შეიკავებს ხელის მოწერისაგან, კანონი ავტომატურად მიღებულად ჩაითვლება.

**მთავრობა** აღმასრულებელი ხელისუფლების ერთიანი, ცენტრალიზებული, კოლეგიური ორგანოა, რომელსაც პოლიტიკური პასუხისმგებლობა ეკისრება ქვეყნის უმაღლესი ნარმოდგენლობით ორგანოს – პარლამენტის წინაშე. მთავრობას, მთავრობის წევრ მინისტრებს მინიჭებული აქვთ საკანონმდებლო ინიციატივის უფლება. ამასთან, მთავრობა აღჭურვილია პრეზიდენტის მიერ დადგენილი ფორმით, კანონქვემდებარე ხასიათის აქტების გამოცემის უფლებით. მთავრობა ნარმოდგენილია მინისტრთა საბჭოს სახით, რომლის საქმიანობას პრემიერ-მინისტრი თაოსნობს.

პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია, წარმართოს მთავრობის საქმიანობა, გაანალიზოს ფუნქციები მინისტრებს შორის და შეეცადოს, რომ მთავრობაში თანაბრად იყვნენ წარმოდგენილი მაღალი და დაბალი კასტები. მინისტრი ერთდროულად უნდა იყოს პარლამენტის წევრი, და ამდენად, როგორც წესი, პარლამენტის წევრთაგან შეირჩევა. მაგრამ თუ მინისტრი პარლამენტართაგან არ შეირჩა, მაშინ მინისტრად დანიშნვიდან 6 თვის მანძილზე უნდა იქნეს არჩეული დეპუტატად, წინააღმდეგ შემთხვევაში, უნდა დატოვოს თანამდებობა.

მინისტრთა საბჭო პასუხისმგებელია სახალხო პალატის წინაშე და ამ უკანასკნელის მიერ უნდობლობის ვოტუმის გამოცხადების შემთხვევაში, იგი შეიძლება ვადამდე იქნეს პრეზიდენტის მიერ დათხოვნილი. თუმცა პრემიერ-მინისტრის შემხვედრი რჩევის პირობებში პრეზიდენტს შეუძლია ვადაზე ადრე დაითხოვოს თავად სახალხო პალატა.

კონსტიტუციაში მთავრობის უფლებამოსილებები ზუსტად განსაზღვრული არ არის და იგი იქმნება როგორც პრეზიდენტის სათათბირო ორგანო. მაგრამ, მთავრობა რეალურად ფლობს ქვეყნის მართვის ბერკეტებს და ბევრ საკითხზე ზენოლაც შეუძლია განახორციელოს. ინდოეთში მთავრობა, ფუნქციონალური დატვირთვისა და შემადგენლობის თვალსაზრისით, ორი განსხვავებული სტრუქტურის სახით არის წარმოდგენილი. მინისტრთა საბჭო 50-60 წევრისგან შედგება, მაგრამ პრეზიდენტთან ურთიერთობაში მთ-

ავრობისადმი დაკისრებულ სათათბირო ფუნქციას მათგან მხოლოდ 15-20 მინისტრი ასრულებს, რომელნიც მინისტრთა კაბინეტს შეადგენენ. მინისტრთა კაბინეტის მუშაობას ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრი, რომლის პოზიცია საკითხის გადაწყვეტისას არსებითია, ვინაიდან გადაწყვეტილებები სხდომაზე უბრალო შეთანხმებით, ხმის მიცემის ფორმალური პროცედურის გარეშე მიიღება. ინდოეთში არიან მინისტრები, რომელთაც ნაკლებად მნიშვნელოვანი საქმეების კურირება ევალებათ და არ შედიან მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში. მათ სახელმწიფო მინისტრები ეწოდებათ. არსებობს ე.წ. „უპორტფელო მინისტრის“ თანამდებობაც, რომელთაც სამინისტროს ხელმძღვანელობა არ ეკისრებათ, მაგრამ მნიშვნელოვან დავალებებს ასრულებენ.

სასამართლო ხელისუფლება ინდოეთში, სხვა ფედერაციული რესპუბლიკებისგან განსხვავებით, ცენტრალიზებული და ერთიანია. მართალია, ინდოეთში 25 შტატი არსებობს და ყოველ მათგანს თავისი უმაღლესი სასამართლო აქვს, მაგრამ პროცესუალური თვალსაზრისით, ყველა სასამართლო ინდოეთის უზენაეს სასამართლოს ექვემდებარება და მისი გადაწყვეტილება ყველა სასამართლოსთვის სავალდებულოა. უზენაესი სასამართლო შედგება პრეზიდენტის მიერ დანიშნული თავმჯდომარის – ინდოეთის მთავარი მოსამართლისა და 17 ნევრისგან, რომელთაც მთავარ მოსამართლესთან შეთანხმებით ნიშნავს პრეზიდენტი.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლე შეიძლება იყოს არა უმეტეს 65 წლის ინდოეთის მოქალაქე, ცნობილი იურისტი, შტატის უმაღლესი სასამართლოში მუშაობის 5-წლიანი სტაჟით, იმავე ან თანამიმდევრულად ორ სასამართლოსთან ადვოკატად მუშაობის 10-წლიანი სტაჟით. კონსტიტუციის თანახმად, სასამართლო ხელისუფლება გამიჯნულია აღმასრულებელი ხელისუფლებისგან, მაგრამ დამკვიდრდა პრაქტიკა, როდესაც პრეზიდენტი პირადად იღებს მონაწილეობას სასამართლოს მიერ ცალკეული გადაწყვეტილების გამოტანის პროცესში.

უზენაესი სასამართლო განიხილავს სისხლისა და სამოქალაქო სამართლის, ასევე, სპეციალურად მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საქმეებს. სასამართლო, აპელაციის წესით განიხილავს შტატის უმაღლესი სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, განაჩენებსა და დადგენილებებს სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებზე. სისხლის სამართლის საქმეებზე აპელაცია განიხილება, თუ უმაღლესმა სასამართლომ პირს გამამართლებელი განაჩენი შეუცვალა სიკვდილით დასჯით, ან თუ ნებისმიერი რგოლის სასამართლომ სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოიტანა.

ინდოეთის უზენაეს სასამართლოს აქვს სპეციალური იურისდიქცია, რათა განიხილოს დავები ინდოეთის მთავრობასა და შტატის მთავრობას შორის; ინდოეთის მთავრობასა და მის პოზიციაზე მდგომ შტატს ან შტატებს შორის და განსხვავებულ პოზიციაზე მდგომ შტატებს შორის; ასევე, თავად შტატების ჯგუფებს შორის.

სასამართლო სისტემაში შემავალი შემდეგი რგოლია შტატის უმაღლესი სასამართლო, რომლის წევრებსა და თავმჯდომარეს ნიშნავს პრეზიდენტი ინდოეთის მთავარ მოსამართლესა და შტატის გუბერნატორთან შეთანხმებით. უმაღლესი სასამართლოს წევრები ადგილს იკავებენ 62 წლის ასაკის მიღწევამდე და საკუთარი სურვილით, პრეზიდენტის მიერ სხვა სასამართლოში გადაყვანისას ან გადაყენებისას, შესაძლებელია ვადაზე ადრეც გათავისუფლდნენ.

შტატის უმაღლეს სასამართლოში ინიშნება ინდოეთის მოქალაქე, რომელსაც აქვს სასამართლო სისტემაში ან ადვოკატად მუშაობის 10 წლის სტაჟი. შტატის უმაღლესი სასამართლო განიხილავს სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებს მეორე ინსტანციით. პირველი ინსტანციის სასამართლოებს წარმოადგენენ სესიისა და მაგისტრატთა, ანუ პანჩაიატების სასამართლოები, სადაც წევრებს ნიშნავს შტატის გუბერნატორი, შტატის უმაღლეს სასამართლოსთან შეთანხმებით. წევრად ასარჩევ პირს უნდა აქონდეს 7 წლის იურიდიული საქმიანობის პრაქტიკა და დანიშვნის შემდგომ არ უნდა ითავსებდეს სხვა ანაზღაურებად სამსახურს. პირველი ინსტანციის სასამართლოებზე კონტროლს ახორციელებს შტატის უმაღლესი სასამართლო. სასამართლოს სისტემაში შედის, აგრეთვე, საოლქო, მუნიციპალიტეტისა და ინდუსტრიალური სასამართლოები, რომელნიც სხვადასხვა სირთულის საქმეებს განიხილავენ. აღნიშნული სტრუქტურებისთვის დამახასიათებელია გარკვეული რელიგიური ელემენტების გათვალისწინება.

საკონსტიტუციო იუსტიციის ამერიკულმა პრაქტიკამ გარკვეული მოდიფიცირება განიცადა ინდოეთში. ფედერალური სასამართლოს გარდა, საკონსტიტუციო ზედამხედველობას და კონტროლს ადგილობრივ კანონმდებლობაზე შტატების უმაღლესი სასამართლოებიც ახორციელებენ, აქტის კონსტიტუციურობაზე უზენაესი სასამართლო საბოლოო შეფასებით.

ინდოეთში იქმნება სპეციალური ტრიბუნალები ადმინისტრაციული და სხვა უფლებამოსილების განსახორციელებლად. სპეციალური სასამართლოების შექმნის უფლება ენიჭებათ რელიგიური თუ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს. სპეციალური სასამართლოები მოქმედებს უზენაესი სასამართლოს დაქვემდებარებაში. ასეთი სასამართლოებია სიქების სასამართლო, რომელიც მხოლოდ სიქების საქმეს განიხილავს, მათთვის მისაღები კანონის ნორმათა გათვალისწინებით. ცნობილია ერთი, თავისი ბუნებით ერთობ ნიშანდობლივი, საქმე, როდესაც სიქი მოტოციკლით მოძრაობდა დამცავი ჩაფხუტის გარეშე, ვინაიდან რელიგია უკრძალავს თავის დაფარვას. იგი დააჯარიმეს, მაგრამ სიქების სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო, რასაც დაეთანხმა უზენაესი სასამართლოც.

ადმინისტრაციული ტრიბუნალი განიხილავს დავებს მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის, როცა სახელმწიფო შესაძლოა წარმოდგენილი იყოს უმაღლესი ფედერალური და შტატის ორგანოებით, ტრიბუნალის კომპეტენციაშია თავად სახელმწიფო ორგანოებს შორის დავის მოწესრიგება. ტრიბუნალ-

ების კომპეტენციაში შესაძლოა შევიდეს კომერციული დავები, საგადასახადო დავები და ა.შ. აღნიშნული ტრიბუნალების შექმნა დამოკიდებულია ხელისუფლების ნებაზე. უზენაესი სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას მისი შექმნისა და უფლებამოსილების ვადის შესახებ, ხოლო ტრიბუნალების შესახებ კანონის მიღების შემდეგ ის ორგანო, რომელიც შეიქმნება კანონის საფუძველზე და უფლებამოსილი იქნება კანონით განახორციელოს აღნიშნული უფლებამოსილება. კონსტიტუციის თანახმად, ტრიბუნალი უზენაესი სასამართლოს ქვემდებარეა.

პროკურატურა, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების ძალზე რთული, მრავალსაფეხურიანი ფედერალური სისტემა, სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლების შტოებს შორის მკაცრი უფლებრივი გაუმიჯნაობის პირობებში, როგორც ფედერალურ, ისე შტატების დონეზე, უდავოდ ექცევა ასეთი ვითარების გავლენის ქვეშ. ამასთან, თუ პროკურატურა თვითონ ან წარმომადგენელთა მეშვეობით ახორციელებს სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერას, დანაშაულის გახსნა-გამოძიებას აწარმოებენ პოლიციის ჩინოსნები, რომლებიც აღმასრულებელ სტრუქტურებს ექვემდებარებიან.

საკონსტიტუციო ზედამხედველობა. ინდოეთში საკონსტიტუციო იუსტიცია 1949 წლის კონსტიტუციით არის აღიარებული. ჩვენც სწორედ ამიტომ გამოვეყავით ცალკე მოცემული ქვეთავი, თორემ რაიმე სპეციალური ორგანო საკონსტიტუციო ზედამხედველობის განხორციელების მიზნით არ შექმნილა. ამ ფუნქციას, ზოგადი, კონსტიტუციური ნორმის ძალით ითავსებს ქვეყნის უზენაესი სასამართლო. რაც შეეხება საკონსტიტუციო ზედამხედველობის პრაქტიკას, აქ ბევრი რამ სასამართლო პრეცედენტის ფორმით ჩამოყალიბდა და დღესაც ძალაშია.

უზენაესი სასამართლოს უფლებამოსილებათა მთელი კვანძი საკონსტიტუციო ზედამხედველობაზეა მიმართული. მას უფლება აქვს, განმარტოს ნებისმიერი მუხლი და შექმნას სავალდებულო პრეცედენტი კონსტიტუციის კომენტარების საფუძველზე, განახორციელოს საარჩევნო სამართლისა და ადამიანის კონსტიტუციური უფლებების დაცვა. პრეზიდენტს უფლება აქვს, ჩაერთოს კონსტიტუციის ნორმების კომენტარების პროცესში, გამოთქვას აზრი, თავადაც ისარგებლოს კონსულტაციებითა და მიმართოს უზენაეს სასამართლოს მისი დასკვნებით სამართლის ან ფაქტის ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, რომელსაც საჯარო მნიშვნელობა ეკისრება. კონსტიტუციის მიღებიდან სამი ათწლეულის მანძილზე ასეთი მიმართვა შეიძვერ განხორციელდა.

სწორედ ამ ურთიერთობის დონეზე, ერთობ შეზღუდული ფორმით, მაგრამ მაინც გამოიყენება წინასწარი კონტროლის ფორმა, როდესაც უზენაესი სასამართლო პრეზიდენტის მოთხოვნის საფუძველზე კანონის თუ სხვა აქტის პროექტის კონსტიტუციურობის შემოწმებას ახდენს. თუ უზენაესი სასამართლო აქტის პროექტის კონსტიტუციურობაზე საკონსულტაციო ფუნქციას ასრულებს, მისი დასკვნა არავისთვის არ ატარებს სავალდებულო შესასრულებელ ხასიათს.

უზენაეს სასამართლოს შეუძლია შეამოწმოს როგორც ფედერალური, ისე შტატების კანონების კონსტიტუციურობა. მართალია, კანონით არ იყო დადგენილი უზენაესი სასამართლოს მიერ შტატების კანონების შემოწმების უფლება, მაგრამ 1949 წელს, კონსტიტუციურად აღიარებული საკონსტიტუციო ზედამხედველობის იდეის რეალური ფარგლების გაფართოების მიზნით, თავად უზენაესმა სასამართლომ 1950 წელს შექმნა პრეცედენტი და ასე დაფუძნდა იგი. ინდოეთის უზენაესი სასამართლო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საკონსტიტუციო ზედამხედველობის ფუნქციის განხორციელებას. თუ ჩვეულებრივი საქმეების განხილვისთვის იქმნება კოლეგია სამი მოსამართლის შემადგენლობით, საკონსტიტუციო ზედამხედველობის საქმეთა განხილვის მიზნით, იკრიბება კოლეგია ხუთი მოსამართლის შემადგენლობით. უზენაესი სასამართლოს მიერ კანონის ან მისი ნაწილის არაკონსტიტუციურად გამოცხადება მისი ბათილობის ტოლფასია.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა და ადგილობრივი მართვის ორგანიზაცია. ინდოეთის კონსტიტუციით მკაცრად ცენტრალიზებული ფედერალიზმია დადგენილი, ხოლო მართვა-გამგეობის თვალსაზრისით ინდოეთი ორდონიანი სტრუქტურის ფედერაციაა: პირველი – ეს არის ფედერაციის, ხოლო მეორე – შტატების დონე, რომელსაც საკავშირო ტერიტორიებიც უთანაბრდება. ინდოეთის ფედერაცია აერთიანებს 25 შტატსა და 7 საკავშირო ტერიტორიას, რომელთა რიცხვს განეკუთვნება ინდოეთის დედაქალაქი დელი. ამასთან, ინდოეთში ადმინისტრაციული საქმიანობა ხორციელდება ხუთ დონეზე: პირველი – ეს არის თავად ფედერაციის დონე, მეორე – შტატებისა და საკავშირო ტერიტორიების დონე, მესამე – საოლქო მნიშვნელობის ადმინისტრაციული ორგანოები, მეოთხე – რაიონისა და რაიონული მნიშვნელობის ქალაქის ორგანოები და მეხუთე – სოფლის დონე.

ინდოეთში შტატები ეროვნულ-ლინგვისტური და რელიგიური ფაქტორების გათვალისწინებით იქმნება. ამდენად, ფედერაცია ასიმეტრიულია და უფლებამოსილებათა მოცულობით შტატები სამ ჯგუფად იყოფა. ორი შტატი – ჯამუ და ქაშირი, აგრეთვე სიკიმი უდიდესი უფლებებით არიან აღჭურვილნი. პირველ ორზე არ ვრცელდება ფედერალური კონსტიტუციის მუხლების მესამედი და აღნიშნული საკითხები სხვაგვარად რეგულირდება. რაც შეეხება სიკიმის უფლებამოსილებებს, ამ შტატთან დაკავშირებული კანონები ფედერალურ პარლამენტს მხოლოდ მისი ლეგისლაციურის თანხმობით შეუძლია მიიღოს, ხოლო საგანგებო მდგომარეობისა და საპრეზიდენტო მმართველობის შემოღებისთვის საჭიროა შტატის მთავრობის თანხმობა. მეორე, მრავალრიცხოვანი ჯგუფი – ეს ის შტატებია, რომელთა მდგომარეობა საკანონმდებლო ავტონომიის დონეზე, არსებითად, კონსტიტუციით არის დადგენილი. მესამე ჯგუფი ასამის შტატიდან გამოყოფილი ოთხი მცირე შტატია – მეგჰალია, ნაგალენდი და სხვა, რომლებიც მცირე უფლებებით არიან აღჭურვილნი, ვინაიდან მთელი უფლებამოსილებანი ცენტრიდან დანიშნული გუბერნატორის ხელთაა

თავმოყრილი. ნაგალენდში, რელიგიასთან, მართლმსაჯულების აღსრულებასთან, მინათმფლობელობასთან დაკავშირებული საკითხები შტატის კანონმდებლობით რეგულირდება.

შტატებსა და ფედერაციის ორგანოებს შორის ურთიერთობები რეგულირდება ერთიანი საკანონმდებლო ბაზის მეშვეობით და ყველა სუბიექტი ქვეყნის კონსტიტუციას ემორჩილება. მაგალითად, შტატის ტერიტორიის შეცვლასთან დაკავშირებულ საკითხზე ცენტრალური ხელისუფლება ადგილობრივი მოსახლეობის აზრის გამოკითხვას ანარმოებს, მაგრამ იგი სავალდებულოდ გასათვალისწინებელი არ არის და წყდება ქვეყნის პარლამენტის მიერ მიღებული ჩვეულებრივი კანონით. იმის გამო, რომ ფედერაციის სუბიექტებს არა აქვთ საკუთარი კონსტიტუცია, ქვეყნის ძირითად კანონში ცალკე განყოფილება ეძღვნება სახელმწიფო ორგანოების სისტემას და მათ საფუძველზე იქმნება შტატებსა და საკავშირო ტერიტორიებში საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები. გამონაკლისია შტატი ჯამუ და ქაშმირი, სადაც მოქმედებს ადგილობრივი კონსტიტუცია და მის საფუძველზე იქმნება ადგილობრივი ორგანოები. საკანონმდებლო ორგანოს მეორე დონეს წარმოადგენს ლეგისლატურა, რომელიც რამდენიმე შტატის: ბიჰარის, მაჰარაშტრას, კარნატაკას და უტარ პრადეშის გარდა, ყველგან მონოკამერალურია და საკანონმდებლო ასამბლეად იწოდება, ხოლო ბიკამერალურში ერთი საკანონმდებლო ასამბლეაა, მეორე კი საკანონმდებლო საბჭო.

საკანონმდებლო ასამბლეა აირჩევა 5 წლით და შესაძლებელია საგანგებო ვითარების არსებობისას დათხოვნილ იქნეს, არა უმეტეს 1 წლით. სხვადასხვა შტატში, მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით, ასამბლეა შედგება არანაკლებ 60 და არა უმეტეს 500 წევრიდან, რომლებიც პირდაპირი, ფარული, თანასწორი არჩევნებით აირჩევიან საარჩევნო ოლქების მიხედვით. რაც შეეხება საკანონმდებლო საბჭოს, მისი შექმნისა და გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საკანონმდებლო ასამბლეა. იგი აირჩევა სპეციალური ელექტორატის მიერ 6 წლით და ყოველ 2 წელიწადში მესამედის განახლებით. ორივე პალატაში იქმნება კომიტეტები და ქვეკომიტეტები. წევრები სარგებლობენ თავისუფალი მანდატითა და ხელშეუხებლობის უფლებით. ლეგისლატურა ლებულობს კანონებს და აკონტროლებს მთავრობის საქმიანობას.

შტატის მთავრობა შედგება გუბერნატორის, მინისტრთა საბჭოს, კომისრისა და ადვოკატისგან. შტატის გუბერნატორი ინიშნება პრეზიდენტის მიერ და აკონტროლებს მთავრობის საქმიანობას. მინისტრთა საბჭო გუბერნატორის სათაბდრო ორგანოა და შედგება მის მიერვე დანიშნული მთავარი მინისტრისა და მინისტრებისგან. კომისრის უფლებამოსილებაში შედის რამდენიმე ოლქში გადასახადების აკრეფის, ჯარში განვევის, დახმარებათა გაცემის და სხვა საკითხების გაკონტროლება. ადვოკატის ძირითადი ფუნქციაა მთავრობის საქმიანობის კონტროლი, რათა არ შეილახოს კანონი.

ზოგიერთ მტაცში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის სამრგოლიანი სისტემა მოქმედებს. მტაცები იყოფა ოლქებად, ხოლო ეს უკანასკნელნი – რაიონებად და სოფლებად. ინდოეთში საოლქო დაქვემდებარებიდან 72 მსხვილი ქალაქია გამოყოფილი და მათი მართვა ხორციელდება დამოუკიდებელი მუნიციპალური კორპორაციების მიერ, ხოლო ქალაქში, სადაც 10 ათასზე მეტი მცხოვრებია, იქმნება მუნიციპალური საბჭოები და ქვეყნის მასშტაბით მათი რაოდენობა 1500-ს აღწევს. ინდოეთის 95%-ს მოიცავს პანჩაიატების სისტემა, რომელიც 3 დონისგან შედგება: უმაღლესი – ზილა პარიშადი – ძველად ოლქის დონე, ასეთი ქვეყნის მასშტაბით 274-ია; საშუალო – პანჩაიატ სამიტი – ძველად ტალუკის დონე, რომელთა რაოდენობა 4414-ია; უმდაბლესი – მაგარამ საბჭი – ძველად სოფლის პანჩაიატი – სოფლის დონე, რომელთა რაოდენობა 225 832-ს შეადგენს. პანჩაიატი წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს. პანჩაიატში სპეციალური ადგილები აქვთ რეგისტრირებული თემისა თუ კასტის წარმომადგენლებს და ადგილების მესამედი, როგორც წესი, ეკუთვნით ქალებს.

ინდოეთის კონსტიტუციური სამართლის განსაკუთრებული თავისებურებები. ინდოეთის კონსტიტუციური სამართლის თავისებურებებზე საუბარი ერთობ რთულია, ვინაიდან, პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ინდური კონსტიტუციონალიზმი საერთოდ განსაკუთრებული თავისებურებაა. რეალობა კი ასეთია, მიუხედავად კონსტიტუციონალიზმის სტანდარტული ჩარჩოების არსებობისა, ქვეყნის კანონმდებელმა შეძლო იგი თავისი ბუნებისათვის მიესადაგებინა და საკმაოდ განსხვავებული კუთხით წარმოეჩინა. თავისებურებები ძალზე ბევრია, ჩვენ მათგან მხოლოდ ძირითადს აღვნიშნავეთ:

– პირველ რიგში, აღნიშვნის ღირსია თავად კონსტიტუცია, რომელიც კოდიფიკაციის ტრადიციებს არ ითვალისწინებს. კონსტიტუციაში არის მცდელობა მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ყველა საკითხი და ამის შედეგად აქ პარლამენტის რეგლამენტისთვის განკუთვნილ საკითხთა ნუსხასაც ვხვდებით. ამ მიზეზთა გამო კონსტიტუცია უჩვეულოდ დიდი გამოვიდა მნიშვნელობითაც და მოცულობითაც;

– კონსტიტუცია განსაკუთრებული ყურადღების საგნად წარმოადგენს თანამედროვე ინდოეთისთვის განსაკუთრებით აქტუალურ საკითხთა ნუსხას, როგორცაა, მაგალითად, ფარმაკოლოგიურ საქმიანობაზე კონტროლი, 14 წლამდე ბავშვების უფასო განათლებაზე ზრუნვა და ა.შ. ასე რომ, ქვეყნის რეალობისთვის ყველაზე მტკივნეული საკითხები კონსტიტუციური მიზნების დონეზეა წარმოდგენილი;

– ერთგვარი უჩვეულო პირობის სახით არის კონსტიტუციაში დაფიქსირებული პაკისტანიდან შემოსულ პირთათვის მოქალაქეობის მიღებასთან დაკავშირებული რეგულაციები. მათთვის ასევე გათვალისწინებულია ნატურალიზაციის გზით მოქალაქეობის მიღების წესი. მოქალაქეობის მიღების გამარტივებულ წესს ადგენს კონსტიტუცია იმ პირთათვის, ვისი წინაპრებიც იმყოფებოდნენ ინდოეთში ან ვინც წარმოშობით ინდოელია;



– ინდოეთის კონსტიტუცია, ცალკეული მუხლების მიმართ, როგორცაა შტატების სახელებისა და საზღვრების შეცვლა, ახალი შტატების მიღება კავშირში, დასაშვებად მიიჩნევა კონსტიტუციური შესწორების ჩვეულებრივი კანონის სახით გაფორმებას;

– ინდოეთის კონსტიტუციონალიზმი საპარლამენტო მოდელის პირობებში სახელისუფლებო ბალანსის თავისებურ სქემას ამკვიდრებს: გარდა იმისა, რომ პრეზიდენტი საპარლამენტო სისტემის მესამე პალატის დონეზე მოიაზრება, სახელმწიფოს მეთაურის ხელშია თავმოყრილი აღმასრულებელი ხელისუფლება, ხოლო მინისტრთა კაბინეტი მისი სათათბირო ორგანოა. ამ დროს, პრეზიდენტი თავის აქტებს ერთპიროვნულად გამოსცემს და თავის საქმიანობაზე თვითონვეა პასუხისმგებელი. სასამართლოსთან მიმართებით კი ისეთი პრაქტიკა დამკვიდრდა, რომ პრეზიდენტი პირადად მონაწილეობს სასამართლოების მიერ ცალკეული გადაწყვეტილების გამოტანის პროცესში;

– ინდოეთში გვხვდება ხელისუფლების დანაწილების საკმაოდ იშვიათი პრინციპი, როცა საარჩევნო ადმინისტრაცია ცალკე სახელისუფლებო შტოს სახით არის გამოყოფილი;

– საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, ხდება ამომრჩეველთა ბიულეტენების რეგისტრაცია, ანუ კანონით დადგენილია ფარულობის პრინციპის დარღვევა. თუმცა ასეთ, არცთუ სამართლებრივ მექანიზმში მნიშვნელოვანი ის არის, რომ ინდოეთის სინამდვილეში მას გაყალბებისგან თავის დაცვის ფუნქცია აკისრია. ერთგვარი თავისებურებაა ამომრჩეველთა მუდმივი რეგისტრაციის სისტემა და წინასაარჩევნო შესატანის არსებობა, რომელიც ფაქტობრივად ქონებრივი ცენზის სახეს ღებულობს და მხოლოდ მატერიალურად უზრუნველყოფილი ოჯახების წარმომადგენლებს აძლევს უფლებას მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში;

– ინდოეთში, ე.წ. სპეციალური ელექტორატის ცნება დამკვიდრდა, როდესაც საკანონმდებლო საბჭოს შემადგენლობაში თავის წარმომადგენლებს ირჩევენ შტატების საკანონმდებლო ასამბლეები, მუნიციპალური ორგანოები, საუნივერსიტეტო განათლების მქონე პირები, უმაღლესი და საშუალო სკოლის მასწავლებლები;

– თავისებურებას ვხვდებით პარლამენტის სტრუქტურულ კონსტრუქციაშიც, რომელიც პალატებს შორის საქმიანი ურთიერთობის დამყარებას უწყობს ხელს. ამ მხრივ საინტერესო მექანიზმია მოძებნილი ორი პალატის პირობებში კრიზისის დასაძლევად და თუ ორი პალატა ცალ-ცალკე ვერ იღებს გადაწყვეტილებას, მოიწვევა გაერთიანებული სხდომა;

– სახალხო პალატის დათხოვნის, უფლებამოსილების ვადამდელი შეწყვეტის ან ვადის ამონურვისას სპიკერი თავის უფლებამოსილებას მომდევნო მონევვის პალატის პირველი სხდომის დამთავრებამდე აგროძლებს;

– ინდური პარლამენტარიზმის ერთი თვალში საცემი თავისებურებაა პალატათა სხდომის კვორუმის დაბალი დონე. პალატა უფლებამოსილებებს

იქნეს სხდომაზე დეპუტატთა სრული შემადგენლობის V10-ის დასწრების პირობებშიც კი. ასეთი ნორმა, ფაქტობრივად, ერთგვარი დამცავ საშუალებად მოიაზრება, მოსალოდნელი საპარლამენტო კრიზისის თავიდან ასაცილებლად, თუ იმას არ ვიტყვი, რომ იგი იმ რეალური ვითარების მაჩვენებელია, რომლის მიმართაც ასეთი „დათმობა“ არ შეიძლება გამოსავლად ჩაითვალოს;

– უდავოდ საყურადღებოა არჩევით ორგანოებში წარმომადგენლობითი მანდატის თავისებური ინტერპრეტაცია, როცა პარტიის სიით გასული დეპუტატი პარლამენტის წევრის მანდატს პარტიის წევრობის დატოვებასთან ერთად კარგავს;

– ინდოეთის კონსტიტუციური სამართლის თავისებურება საკანონმდებლო ინიციატივასთან არის დაკავშირებული. იგი ერთობ გართულებული, პრაქტიკულად გარკვეული წინასწარი ექსპერტიზის მექანიზმით შეზღუდული უფლებაა;

– საინტერესოა კანონშემოქმედებით პროცესში საზოგადოების აქტიური ნაწილის ჩართვის მექანიზმი, როცა, ფაქტობრივად, ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციას საშუალება ეძლევა პარლამენტის პალატაში კონკრეტულ კანონპროექტთან დაკავშირებით მეორე მოსმენის ეტაპზე თავისი პოზიცია დააფიქსიროს;

– თავისებურია ვიცე-პრეზიდენტის ინსტიტუტიც. კლასიკური დემოკრატიის ქვეყნებისგან განსხვავებით, იგი უფრო საპარლამენტო ფიგურად წარმოგვიდგება, ვიდრე საპრეზიდენტოდ. ვიცე-პრეზიდენტი პარლამენტის ორივე პალატის წევრთა მიერ აირჩევა, შტატების საბჭოს თავმჯდომარეა, პრეზიდენტის მონაცვლეა და საერთოდ ცვლის მას პარლამენტის სხდომების წაყვანისას. ამასთან, ცალკეულ შემთხვევებში თავის თავზე იღებს კონსტიტუციური კანონის პრომულგაციასაც;

– თავისებურია მთავრობის ფორმირების წესი: მინისტრები, როგორც წესი, პარლამენტის წევრთაგან შეირჩევიან, თუ არადა, მინისტრი დანიშვნის დღიდან 6 თვის ვადაში დეპუტატად უნდა იქნეს არჩეული. წინააღმდეგ შემთხვევაში, თანამდებობას დატოვებს. მნიშვნელოვანია დათქმაც იმის თაობაზე, რომ მთავრობაში თანაბრად უნდა იყვნენ წარმოდგენილნი მაღალი და დაბალი კასტები;

– ინდური ომბუდსმენის თავისებურება ის არის, რომ იგი შტატებისა და მუნიციპალიტეტების დონეზე, აღმასრულებელ ხელისუფლებასთან მჭიდრო კავშირში ურთიერთქმედებს: ერთ შემთხვევაში, როგორც დანამატი, მის ფარგლებში ფუნქციონირებს; მეორე შემთხვევაში თავად აღმასრულებელი ხელისუფლების კონკრეტულმა მოხელეებმა შეითავსეს ომბუდსმენის ფუნქცია.

სავიზიტო ბარათი. ირანი სამხრეთ-დასავლეთ აზიის ერთ-ერთი უძველესი ქვეყანაა, რომლის 58, 1 მილიონი მოსახლეობა 1648 ათას კმ<sup>2</sup> ტერიტორიაზე ბინადრობს. ირანს აღმოსავლეთით ესაზღვრება ავღანეთი და პაკისტანი, სამხრეთით — სპარსეთისა და ომანის ყურეები, დასავლეთით ერაყი და თურქეთი, ჩრდილოეთით სომხეთი, აზერბაიჯანი, კასპიის ზღვა და თურქმენეთი. დედაქალაქია თეირანი, სახელმწიფო ენა — სპარსული, ფულის ერთეული — რიალი.

მე-20 საუკუნე ირანის სახელმწიფოებრივი განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ძვრებით აღინიშნა. ქვეყანაში განვითარებული პოლიტიკური პროცესებიდან ერთ-ერთი ყველაზე არსებითი იყო 1979 წლის იანვარ-თებერვლის, ე. წ. ისლამური რევოლუცია, როდესაც ირანელმა ხალხმა სასულიერო მოღვაწეთა ზედა ფენასთან ერთად შიიტების უმაღლესი სულიერი ლიდერის აიათოლა რუჰოლა მუსავი ჰომეინის ხელმძღვანელობით შეიარაღებული აჯანყების გზით დაამხო შაჰინშაჰ მოჰამედ რეზა ფეჰლევის მმართველობა. ამით ფეჰლევთან და დინასტიის ნახევრად ფეოდალურ რეჟიმთან ერთად წერტილი დაესვა ირანის 2500-წლოვან მონარქიულ მმართველობას. 30-31 მარტს ჩატარებული რეფერენდუმის საფუძველზე, ირანი 1979 წლის 1 აპრილს ისლამურ რესპუბლიკად გამოცხადდა.

ირანის სამართლებრივი სისტემა მუსლიმანური სამართლის ოჯახს ეკუთვნის. იგი მართვა-გამგეობის ფორმით ფუნდამენტალისტური ორიენტაციის ისლამური რესპუბლიკაა, ხოლო სახელმწიფო მონყობის ფორმით უნიტარული სახელმწიფო.

კონსტიტუცია. ირანის მოქმედ ძირითად კანონს საფუძვლად დაედო აიათოლა ჰომეინის ნაშრომი „ისლამური რესპუბლიკური მმართველობა“. ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია 1979 წლის 2-3 დეკემბერს რეფერენდუმზე იქნა მიღებული. იგი გამსჭვალულია რელიგიური სულისკვეთებით, ვინაიდან მთლიანად ყურანის დოგმებსა და ისლამურ ტრადიციებს ემყარება. კონსტიტუცია შედგება პრეამბულისა და 14 თავისგან, 177 მუხლს მოიცავს და დღესაც 1989 წლის რედაქციით მოქმედებს.

პრეამბულა დაყოფილია პარაგრაფებად. მასში დადგენილია კონსტიტუციის მიზნები, განხილულია ისლამური რევოლუცია და მისი მთავარი მონაპოვარი — შაჰის მმართველობის დამხობა და ამ დიდი გამარჯვების შედეგად ისლამური ავანგარდის ხელისუფლების სათავეში მოსვლა, ჩამოყალიბებულია ისლამური მმართველობის პოლიტიკური დასაბუთება და ველაიათე ფაყიჰის თანამდებობრივი ინსტიტუტი<sup>1</sup>, დადგენილია ეკონომიკისადმი ისლამური მიდგომა, განსაზღვრულია ქალის ადგილი საზოგადოებაში.

<sup>1</sup> ველაიათე ფაყიჰი — სიტყვასიტყვით შარიათის უმაღლესი კანონმცოდნის თანამდებობას ნიშნავს, ხოლო ფაყიჰი — მუსლიმური კანონმდებელი. შარიათის მცოდნე მაღალი სასულიერო პირია.

კონსტიტუციის პირველ თავში – „ზოგადი პრინციპები“, ფორმულირებულია ფუძემდებლური დებულებანი, რომლებსაც ისლამური რესპუბლიკური სისტემა ემყარება: ერთღმერთიანობა – არა არს ღმერთი გარდა ალაჰისა; ღვთის უზენაესობა და მისადმი მორჩილება; ღვთაებრივი ზემოდაკანონთა კანონთა განმარტებისას; ადამიანთა საქმიანობაში ისლამური ტრადიციების დამკვიდრება; სამართლიანობა და ღვთისმოსაობა; რელიგიური პირებისა და წინამძღოლის განსაკუთრებული მნიშვნელობა; ღმერთის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა; ადამიანის მოქალაქეობრივი თავისუფლებების პატივისცემა. ამავე თავში დადგენილია ირანის სახელმწიფოს მიზნები და განსაზღვრულია მათი რეალიზაციის გზები, განმტკიცებულია სამართალმემოქმედებაში ისლამური ტრადიციების წარმმართველი როლი და ველაიათე ფაყიჰის იდეოლოგიურ-პოლიტიკური მნიშვნელობა. კონსტიტუცია, საზოგადოებრივ აზრზე დაყრდნობით, სახელმწიფო მმართველობის განხორციელების ძირითად ფორმად მიიჩნევს ხელისუფლების უმაღლესი და ადგილობრივი ორგანოების არჩევნებსა და რეფერენდუმს, იცავს ირანის თავისუფლებას, დამოუკიდებლობას, ერთიანობასა და ტერიტორიულ მთლიანობას. ძირითადი კანონი, ისლამური ზნეობიდან გამომდინარე, ოჯახს ისლამური საზოგადოების საფუძვლად აღიარებს და იცავს მის სინმინდეს.

მეორე თავში – „ენა, დამწერლობა, კალენდარი და ალამი“, მოცემულია სახელმწიფო ენის, დამწერლობის, კალენდრისა და სხვა სიმბოლოების განმსაზღვრელ ნორმათა ერთობლიობა. მესამე თავი – „ხალხის უფლებები“, მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპიდან გამომდინარე აღიარებს რწმენის, სიტყვის თავისუფლებას, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი გაართიანებების შექმნის, დემონსტრაციებისა და შეკრებების თავისუფლებას, პროფესიის არჩევანისა და განათლების უფლებას, საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლებას, ბინით უზრუნველყოფისა და სხვა სოციალური ხასიათის უფლებებს.

კონსტიტუციის მეოთხე თავი – „ეკონომიკა და ფინანსები“, სახელმწიფოს ეკონომიკური წყობილების ძირითადი პრინციპების გარდა, საკუთრების ფორმებთან, შრომასთან, გადასახადებთან, ბიუჯეტთან, ხაზინასა და უმაღლეს სარევიზიო ორგანოსთან დაკავშირებულ ურთიერთობებს არეგულირებენ. ისლამური საზოგადოების ეკონომიკური მოწყობის იდეალურ ვარიანტად არის მიჩნეული, ე. წ. „თოუჰიდური (ღვთაებრივი) ეკონომიკა“, რომელიც პრიორიტეტს ანიჭებს ცნობიერებას ყოფიერებასთან, იდეალურს მატერიალურთან და ისევე როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში, აქაც გამოკვეთილია რელიგიური პრინციპების განმსაზღვრელი ფაქტორი. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული თეორია ცდილობს კაპიტალისტურ და სოციალისტურ ეკონომიკურ სისტემებს დაუპირისპიროს, ე. წ. ისლამური მოდელი, როგორც ახალი და იდეალური, იგი მაინც ამ სისტემათა ცალკეული ელემენტების შერწყმის ნაყოფია.

მეხუთე თავი – „ხალხის სუვერენული უფლებები და მისგან გამომდინარე ხელისუფლება“, სახელმწიფო მმართველობას განსაზღვრავს როგორც ხალხისთვის ღვთისგან ნაბოძებ უფლებას, აფუძნებს ხელისუფლების სამ ორგანოს და ადგენს მათ შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნისა და განონასწორების მექანიზმებს. კონსტიტუციის მეექვსე თავის – „საკანონმდებლო ხელისუფლება“, პირველი ნაწილი ეთმობა პარლამენტის, სტრუქტურასა და საქმიანობის ორგანიზაციას, მეორე ნაწილი მის პეროგატივებს, საკონსტიტუციო ზედამხედველობასთან დაკავშირებულ საკითხებს. აქვე განიხილება სამეთვალყურეო საბჭოს ორგანიზაცია და კომპეტენცია.

მეშვიდე თავი – „საბჭოები“, განსაზღვრავს ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანიზაციას, კომპეტენციასა და იერარქიას.

მერვე თავი – „უმალღესი სულიერი წინამძღოლი და სანინამძღოლო საბჭო“, ადგენს ამ ინსტიტუტების სამართლებრივ ბუნებას, განსაზღვრავს მათი ფორმირების, საქმიანობის წესსა და უფლებამოსილებებს;

მეცხრე თავის – „აღმასრულებელი ხელისუფლება“, პირველ ნაწილში განსაზღვრულია პრეზიდენტის არჩევის წესის კომპეტენცია, ირანის მთავრობის სტატუსი და საქმიანობის პრინციპები, პრეზიდენტისა და მთავრობის ურთიერთობა. მეორე ნაწილი ეძღვნება შეიარაღებული ძალების ორგანიზაციასა და ფუნქციებს, რომელიც არმიასა და ისლამურ რევოლუციურ გუშაგათა კორპუსს აერთიანებს. მეათე თავი – „საგარეო პოლიტიკა“, განსაზღვრავს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ორიენტირებას, სადაც კვლავაც რელიგიური პრინციპებიდან გამომდინარე დადგენილია საზღვრები, რომლის ფარგლებშიც უნდა იმოქმედოს მთავრობამ. მეთერთმეტე თავი – „სასამართლო ხელისუფლება“, სასამართლოების სტრუქტურის, ფუნქციებისა და კომპეტენციის განმსაზღვრელ ნორმათა ერთობლიობას წარმოადგენს. აქვე დადგენილია მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გარანტიები, სამართალწარმოების პროცესში განმტკიცებულია კანონმდებლობის მიმართ ისლამური ტრადიციებისა და რელიგიური დოგმების პრიმატი.

მეთორმეტე თავი – „რადიო და ტელევიზია“, ისლამური ტრადიციების ჭრილში ინფორმაციის გავრცელების საკითხებს ეძღვნება.

კონსტიტუციის მეცამეტე თავი – „ეროვნული უშიშროების საბჭო“, ამ ორგანიზაციის შემადგენლობასა და ამოცანებს ადგენს, ხოლო მეთოთხმეტე თავი – კონსტიტუციის გადასინჯვის წესს განსაზღვრავს.

ირანის ისლამური კონსტიტუცია მყარ კონსტიტუციათა რიგს მიეკუთვნება, რაც იმით არის განპირობებული, რომ მხოლოდ კონსტიტუციის გადასინჯვის საბჭოა უფლებამოსილი წინამძღოლის საგანგებო განკარგულების საფუძველზე შეიმუშაოს საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი. საბჭო შედგება: სამეთვალყურეო საბჭოს წევრების, ხელისუფლების სამივე შტოს ხელმძღვანელების, პრეზიდენტის, პარლამენტისა და სასამართლო ხელისუფლების მიერ დანიშნული მუდმივი წევრების, ექსპერტთა საბჭოს 5 წევრის, წინამძღოლის მიერ დანიშნული 10 წარმომადგენლის, მინისტრთა საბჭოს სამი

ნეერის, სასამართლო ხელისუფლების სამი წარმომადგენლის, პარლამენტის 10 დეპუტატის და უნივერსიტეტის სამი წარმომადგენლისგან. საბჭოს სასამართლო ხელისუფლების გამგებელი თავმჯდომარეობს. სასულიერო წრეების წარმომადგენლები საბჭოს უმრავლესობას შეადგენენ, რაც აძლიერებს მათ კონტროლს კონსტიტუციის გადასინჯვის პროცესზე. ამასთან, აკრძალულია ცვლილების განხორციელება ნყობილების ისლამიზაციასა და ისლამური ტრადიციებიდან გამომდინარე მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით. პროექტი გაიტანება საერთო-სახალხო რეფერენდუმზე.

მიუხედავად მძლავრი დამცავი მექანიზმებისა, ირანის ძირითადმა კანონმა 1989 წელს მაინც განიცადა საკმაოდ მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც აიათოლა პომეინის გარდაცვალებით და ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციით იყო განპირობებული. ამ ცვლილებების შედეგად კონსტიტუციას დაემატა ორი თავი, გაუქმდა პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტი, რეფორმირება განიცადა აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურამ, გაიზარდა პრეზიდენტის პრეროგატივები. ცვლილებები იქნა შეტანილი წინამძღოლის ინსტიტუტსა და შეიარაღებული ძალების სისტემაში.

**ადამიანის უფლებები და თავისუფლებები.** კონსტიტუცია იცნობს ჰუმანურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს. მათდამი კონსტიტუციური ნორმების მიდგომა გარკვეული სპეციფიკურობით ხასიათდება და არსებითად განსხვავებულია დასავლური სტანდარტებისგან. პირველ რიგში ადამიანის ყველა უფლებისა და თავისუფლების ცნება განიხილება ისლამურ ტრადიციებთან შესაბამისობის კუთხით. მეორე თავისებურება ქალისა და მამაკაცის უფლებრივი თანასწორობის უზრუნველსაყოფად სპეციალური მექანიზმების შექმნას ითვალისწინებს.

კონსტიტუციაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების საკითხს. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური რელიგიის არსებობის პირობებში გარანტირებულია ყველა სარწმუნოების თანასწორობა და აღმსარებლობის თავისუფლების თანაბარი დაცვა, კანონმდებელთა მხრიდან მაინც აქვს ადგილი სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობების უფლებრივ დიფერენციაციას. კერძოდ, სახელმწიფო რელიგიის მიმდევრებს პრივილეგიებული მდგომარეობა აქვთ ისლამის სხვა განმტკიცების მიმართ. ეს უკანასკნელი უპირატესობით სარგებლობენ, ენ. რელიგიური უმცირესობების მიმართ.

ადამიანის უფლებათა კონსტიტუციურ ჩამონათვალში განსაკუთრებულ ადგილი უკავია უდანაშაულობის პრეზუმფციას და მასთან დაკავშირებულ საპროცესო გარანტიებს. უდანაშაულობის პრეზუმფციის ირანული გაგების არსი იმაში მდგომარეობს, რომ განსასჯელი განაჩენის გამოტანამდე არც დამნაშავედ და არც უდანაშაულოდ ითვლება, ანუ გარკვეულად შუალედურ პოზიციაში იმყოფება, რაც მის უფლებრივ მდგომარეობაზეც პოვებს ასახვას.

ირანის კონსტიტუცია განასხვავებს კერძო, კოოპერატიულ და სახელმწიფო საკუთრებას. სახელმწიფო იცავს კერძო საკუთრებას, რომელიც კანონიერი გზითაა მოპოვებული. ძირითადი კანონის თანახმად, კერძო საკუთრება მოიცავს მიწათმოქმედების, მეცხოველეობის, მრეწველობის, ვაჭრობისა და მომსახურების იმ ნაწილს, რომელიც სახელმწიფო და კოოპერატიულ საკუთრებას სრულყოფს.

ირანული კანონმდებლობა მთელი რიგი პირადი, პოლიტიკურ-ეკონომიკური თუ სოციალურ-კულტურული უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციის უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფოს ხუთ კონკრეტულ შემთხვევაში ვალდებულებებსაც აკისრებს. სახელმწიფო ვალდებულია: ისლამური ტრადიციების საფუძველზე დაიცვას ქალთა უფლებები კანონით დადგენილი კონკრეტული ღონისძიებების გატარებით; უზრუნველყოს შრომისუნარიან პირთა დასაქმება საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით; თავისი შემოსავლები სამართლიანად გაანაწილოს მოსახლეობის სოციალურ უფლებათა დასაქმყოფილებლად; უზრუნველყოს მოქალაქეთა უფასო საშუალო განათლება; უზრუნველყოს ირანელი სოფლის მოსახლენი და მუშები საცხოვრებელი ბინებით.

სახელმწიფო ადგენს ამ უფლებათა დაცვის კონსტიტუციურ გარანტიებს. უმნიშვნელოვანესი გარანტია სასამართლო ხელისუფლება. მის ფუნქციებში შედის დარღვეულ უფლებათა აღდგენა, სამართლიანობისა და თავისუფლებათა დამკვიდრება. ამისთვის სასამართლო სისტემის შემადგენლობაში შექმნილია სპეციალური ადმინისტრაციული სამართლიანობის სასამართლო – დივან-ე ადელათ-ე ედარი, რომელიც განიხილავს მოქალაქეთა საჩივრებს სახელმწიფო ინსტრუქციებით მოქმედი მოხელეებისა და ორგანოების მიმართ, კონსტიტუციით აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევასთან დაკავშირებით და ისლამური მართლმსაჯულების საფუძველზე გამოაქვს განაჩენი. ადამიანის უფლებათა დამცველი მეორე უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი მოქმედებს საპარლამენტო, ე. წ. პეტიციათა მუდმივმოქმედი კომიტეტის სახით, რომელიც 15-დან 31-მდე დეპუტატს აერთიანებს. კომიტეტი განიხილავს მხოლოდ მოქალაქეთა ნერილობით საჩივრებს პარლამენტის, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოების საქმიანობასთან დაკავშირებით და უფლებამოსილია პასუხი მოსთხოვოს ნებისმიერ მოხელესა და ორგანოს, მათ შორის, სასამართლოსაც. საჩივარი შეიძლება ეხებოდეს როგორც პიროვნების ინდივიდუალური უფლებების შელახვის ფაქტს, ისე საერთო ინტერესთა შელახვასაც.

პარტიული სისტემა. პოლიტიკური გაერთიანებების ჩამოყალიბება და საქმიანობა მე-20 საუკუნის დასაწყისიდან იღებს სათავეს. შაჰის მიერ ცალკეული აკრძალვებისა და დევნის პირობებში ქვეყანაში მაინც არსებობდა მრავალპარტიულობის გარკვეული ნიშნები. ისლამური რევოლუციის შემდეგ აიკრძალა იმ პოლიტიკური გაერთიანებების საქმიანობა, რომლებიც ისლამის სულისკვეთების საწინააღმდეგო იდეებს ქადაგებდნენ. შედეგად,

ფაქტობრივად, ისლამური რესპუბლიკური პარტიის სახით ერთპარტიული პოლიტიკური სისტემა დამკვიდრდა.

ირანის ისლამური რესპუბლიკური პარტია დაარსდა 1978 წელს აიათოლა ჰომეინის პოლიტიკური და რელიგიური იდეების მხარდასაჭერად. თავის დროზე მხოლოდ მის წევრებს ეკავათ უმაღლესი თანამდებობები და პარტიას პრაქტიკულად უზურპირებული ჰქონდა სახელმწიფო ხელისუფლება. პარტიის ხელმძღვანელობას ახორციელებდა ქვეყნის უმაღლესი სასულიერო პირებით დაკომპლექტებული ცენტრალური კომიტეტი, რომლის წევრებიც პარალელურად ითავსებდნენ საერო და სასულიერო იერარქიის მნიშვნელოვან პოსტებს. ცენტრალური კომიტეტი წინამძღოლთან ერთად სახელმწიფოს მმართველ უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა, რომელიც მის პოლიტიკურ კურსს განსაზღვრავდა, ვიდრე 1987 წელს აიათოლა ჰომეინიმ არ დატოვა პარტია და მისი პოზიციები შესუსტდა.

ირანში ოფიციალურად აღიარებული იყო კიდევ ერთი პარტია – ირანის თავისუფლების მოძრაობა – ნეჰზათ-აზადი 1961 წელს დაარსდა. მისი პლატფორმა, ისლამური რელიგიური პრინციპებისა და ტრადიციებიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა დასაცავად არის მოწოდებული და მხარს უჭერს მთავრობის პოლიტიკურ კურსს.

1997 წლიდან პრეზიდენტ მოჰამედ ხათემის ინიციატივით მთავრობამ ოფიციალურად ცნო კიდევ რამდენიმე პოლიტიკური ორგანიზაცია: კონსტიტუციის შესრულების პარტია, იმამის კურსის მხარდამჭერთა (კონსერვატორული) პარტია, ისლამური კოალიციის ასოციაცია, ირანის ისლამური სოლიდარობის პარტია, ისლამური ერთობის ფრონტი, ფრაქსიონ-ე ჰეზბოლაჰი – მებრძოლ მღვდელთა საზოგადოება, მეორე ხორდადის ფრონტი – რეფორმატორული მოძრაობა.

გარდა ამისა, ირანში მოქმედებენ მთელი რიგი არალეგალური პოლიტიკური გაერთიანებები, რომელთა უმრავლესობა ძნელად ჯდება ორგანიზებული პარტიის ჩარჩოებში, ამ სიტყვის კლასიკური გაგებით, მათ უფრო რელიგიური და პოლიტიკური ჯგუფები შეიძლება ეწოდოს. აღნიშნულ სპექტრში ყველაზე ყურადსაღებია: ირანის კომპარტია და მისი ქურთული ფრთა – კომალა, რადიკალური რელიგიური დაჯგუფება – ანსარ-ე ჰეზბოლაჰი, ხალხისთვის მებრძოლი ქალაქელ მარქსისტ პარტიზანთა ერთობა – ფედაიინ-ე ხალქ, მეჯლისის დეპუტატთა პოლიტიკური გაერთიანება – მაჯმა-ე ჰეზბოლაჰი, ეროვნულ-დემოკრატიული ფრონტი (1982 წლიდან მოღვაწეობს პარიზში), ეროვნული ფრონტი (ეროვნული ფრონტის ძალების გაერთიანება) მოიცავს ირანის ნაციონალურ პარტიას, ირანელთა პარტიას და ირანის სტუდენტთა საზოგადოებას (1978 წლიდან მოღვაწეობს პარიზში) და მრავალი სხვ.

ზოგიერთი პოლიტიკური ძალა გაერთიანებულია წინააღმდეგობის ეროვნული საბჭოს შემადგენლობაში, რომელიც 1981 წლის ოქტომბერში დაფუძნდა პარიზში ირანის ყოფილი პრეზიდენტის აბოლჰასან ბანისადრისა და



საბჭოს ახლანდელი ლიდერის, ირანის მოჯაჰედინ-ე ხალქის ორგანიზაციის ხელმძღვანელის, მასუდ რაჯავის მიერ. 1984 წლისთვის საბჭო აერთიანებდა 15 ოპოზიციურ ჯგუფს, რომელთა დიდი ნაწილი დღეისათვის იატაკქვეშ მოქმედებს ირანში, ან საზღვარგარეთ არის განდევნილი. მათ შორის ყველაზე ანგარიშგასაწევია: ირანის ქურთისტანის დემოკრატიული პარტია, რომელიც ქურთისტანის ტერიტორიისთვის ავტონომიის მოსაპოვებლად იბრძვის და 54 ათასამდე წევრს აერთიანებს და მოჯაჰედინ-ე ხალქ – წმინდა მებრძოლები ხალხისთვის. 1986 წელს საფრანგეთის მთავრობამ აკრძალა ეს ორგანიზაცია და მოსთხოვა რაჯავის ქვეყანა დაეტოვებინა. იგი იძულებული გახდა ერაყში გადაბარგებულიყო და მისი შტაბბინა ახლაც ბაღდადშია განლაგებული. 1987 წლის 20 ივნისს რაჯავიმ გამოაცხადა ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიის დაარსების შესახებ, რომელიც 15 ათასამდე მეომარს აერთიანებს.

ირანში პოლიტიკური გაერთიანებების გვერდით იმავე სტატუსით ფუნქციონირებენ, ე. წ. ჰეზბოლაჰებისა და მოჯაჰედების ფუნდამენტალისტ მებრძოლთა შეიარაღებული ჯგუფები, რომლებიც რელიგიური მოტივებით ხშირად ტერორისტული აქტების ჩატარებით გამოირჩევიან. აღსანიშნავია, რომ 1979 წლის ისლამური რევოლუციის შეიარაღებულ მხარდაჭერას სწორედ მრავალრიცხოვანი მორწმუნეებისგან შემდგარი ჰეზბოლაჰები ახორციელებდნენ.

საარჩევნო სისტემა. ირანის საარჩევნო სამართალი ქვეყნის პარლამენტის, პრეზიდენტის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა და ექსპერტთა საბჭოს არჩევნების მარეგულირებელ ნორმათა ერთობლიობას წარმოადგენს და სრულად იზიარებს საერთაშორისო სამართლის აღიარებულ დემოკრატიულ პრინციპებს.

აქტიური საარჩევნო უფლება ირანში იწყება 15 წლის ასაკიდან. პასიური საარჩევნო უფლება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში და უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში განსხვავებულია. ყოველ ამომრჩეველს აქვს ერთი ხმა და იგი დელეგირებას არ ექვემდებარება, ქალები მამაკაცების თანაბარი აქტიური და პასიური უფლებებით სარგებლობენ.

ირანის პარლამენტი 4 წლით აირჩევა, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე და მისი 290 მანდატი განსხვავებული დეპუტაციების სახით წარმოადგენს სხვადასხვა პროვინციასა და რელიგიურ უმცირესობებს, იმის გათვალისწინებით, რომ ყოველ 150 ათას სულ მოსახლეზე აირჩევა ერთი წარმომადგენელი. 2000 წლამდე მეჯლისი 270 დეპუტატისგან შედგებოდა, მაგრამ 2000 წლის არჩევნებისას ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდის გამო, პარლამენტართა რიცხვი ოციით გაიზარდა. მეჯლისის 285 წევრი პროვინციების დეპუტაციების სახით აირჩევა ირანის მუსლიმანი თემის მიერ. გარდა ამისა, კონსტიტუციის თანახმად, თითო დეპუტატს ირჩევენ ცეცხლთაყვანისმცემლები, იუდეველები და ქალდეველი ქრისტიანები. მათგან განსხვავებით სომეხ ქრისტიანებს, მათი რაოდენობის გათვალისწინებით, ორი წარმ-

ომადგენლის არჩევის უფლება მიეცათ და რელიგიური უმცირესობები მეჯლისში 5 დეპუტატით არიან წარმოდგენილნი.

დეპუტატობის კანდიდატად შეიძლება წარდგენილ იქნეს 25 წელს მიღწეული ირანელი მოქალაქე. კანდიდატების წარდგენის უფლება აქვს როგორც სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პოლიტიკურ ორგანიზაციას, ისე საინიციატივო ჯგუფს. როგორც მუსლიმანი, ისე რელიგიურ უმცირესობათა კანდიდატები უნდა გამოირჩეოდნენ ღრმა რწმენით თავიანთი რელიგიებისადმი, ფლობდნენ სპარსულ ენას და სარგებლობდნენ მალაი ავტორიტეტით მოსახლეობაში. დეპუტატების არჩევის შემდეგ ყოველი მათგანის უფლებამოსილებას ამტკიცებს საზედამხებელო საბჭო.

პრეზიდენტი აირჩევა პირდაპირი არჩევნების საფუძველზე. კანდიდატი შეიძლება წარდგენილ იქნეს რელიგიურ და პოლიტიკურ მოღვაწეთა წრიდან, რომელსაც იწონებს უმაღლესი სულიერი წინამძღოლი. არც კონსტიტუცია და არც საარჩევნო კანონი პირდაპირ არ განსაზღვრავს პრეზიდენტობის კანდიდატის ასაკობრივ ცენზს, მაგრამ კანონმდებლობის მიერ ფორმულირებული სხვა მოთხოვნები განაპირობებს, რომ იგი მსცოვანი უნდა იყოს. პრეზიდენტობის კანდიდატის რეგისტრაცია ხდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, რომელიც პასუხისმგებელია საპრეზიდენტო არჩევნების ორგანიზაციაზე. პრეზიდენტი აირჩევა ამომრჩეველთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით. თუ პირველ ტურში გამარჯვებული არ გამოვლინდება, ერთი კვირის თავზე იმართება მეორე ტური, სადაც მონაწილეობას იღებენ მალაი პროცენტის მქონე კანდიდატები და გამარჯვებულად ითვლება ის, ვინც მეტ ხმას დააგროვებს.

მუნიციპალური არჩევნები მეჯლისის არჩევის პრინციპებითა და წესებით ტარდება. კონტროლს პარლამენტისა და ადგილობრივი საბჭოების საარჩევნო პროცესზე ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც ამ სფეროში საკმაოდ ფართო პაროგატივებით არის აღჭურვილი და რიგ შემთხვევებში ამომრჩეველთა გადაწყვეტილების გაუქმებაც შეუძლია, მიუხედავად იმისა, კანონიერია იგი თუ არა. მაგალითად, 1984 წლის საპარლამენტო არჩევნებისას საზედამხებელო საბჭომ, 12 საარჩევნო ოლქში, სადაც ოპოზიციურმა კანდიდატებმა გაიმარჯვეს, ჩატარებული არჩევნების შედეგები გააუქმა, როგორც ისლამის სულისკვეთების საწინააღმდეგო. საერთოდ საპარლამენტო არჩევნებისას ქვეყანა სულ 196 მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქად იყოფა. არჩევნების ჩატარებას ახორციელებენ სპეციალური საარჩევნო კომისიები, რომლებიც შინაგან საქმეთა სამინისტროს კოორდინაციის ქვეშ საქმიანობენ.

რაც შეეხება ექსპერტთა საბჭოს არჩევნებს, აქ განმსაზღვრელი როლი რელიგიურ პრინციპებს ენიჭება, თუმცა, პარლამენტის არჩევნების მარეგულირებელი წესებიც გამოიყენება.

სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები. ისლამური კონსტიტუცია ხელისუფლების შემდეგ ბალანსს აყალიბებს: სახელმწიფო მეთაურის ინსტიტუტი ირანში ორელემენტანია, უზენაესი ხელისუფლება

თავმოყრილია უმაღლესი სულიერი წინამძღოლისა და მასთან არსებული ექსპერტთა საბჭოს ხელში, რომელიც თავის თავში მთელ პოლიტიკურ და რელიგიურ ძალაუფლებას აერთიანებს და ასეთი ტანდემის სახით სახელმწიფოს მეთაურად მოიაზრება; აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს მთავრობა, პრეზიდენტად ნოდებულები მეთაურით სათავეში, რომელიც კოორდინაციას უწევს ხელისუფლების სამივე შტოს საქმიანობას და მათ ურთიერთობას სახელმწიფოს რელიგიურ მეთაურთან; საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის მონოკამერალურ ისლამური საბჭოს კრებას; მართლმსაჯულებას ახორციელებს რთული და მრავალფუნქციური სასამართლო სისტემა უმაღლესი სასამართლოს თაოსნობით და სასამართლო ხელისუფლების გამგებლის ზედამხედველობით; ხოლო საკონსტიტუციო ზედამხედველობას – სამეთვალყურეო საბჭო.

სახელმწიფოს მეთაური, როგორც ასეთი, ორსახა ინსტიტუტის სახით მოქმედებს. ერთი მხრივ, ეს არის ქვეყნისა და ერის სულიერი წინამძღოლი, სახელმწიფოს ფორმალური და ფაქტობრივი ლიდერი – რაჰბარი, რომელიც რელიგიურ იდეოლოგიაზე დაყრდნობით განსაზღვრავს სახელმწიფო პოლიტიკას; მეორე მხრივ, ეს არის რესპუბლიკის პრეზიდენტი, რომელიც კონსტიტუციის თანახმად, წინამძღოლის შემდეგ უმაღლეს ოფიციალურ პირად ითვლება. იგი პასუხისმგებელია კონსტიტუციის შესრულებაზე, ხელმძღვანელობს მთავრობას და კოორდინაციას უწევს ხელისუფლების სხვა ორგანოთა საქმიანობას, წარმართავს სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას.

უმაღლესი სულიერი წინამძღოლის ინსტიტუტი, როგორც სახელმწიფო მეთაურის – რაჰბარის თანამდებობა შემოღებულ იქნა 1979 წლის რევოლუციის შემდეგ აიათოლა ჰომეინის „ისლამური რესპუბლიკური მმართველობის კონცეფციის“ საფუძველზე. ამ დროიდან ირანელთა საქმეების გაძლიერებისა და თემის იმამის ფუნქცია თავად აიათოლა ჰომეინიმ იტვირთა, რომელიც საკუთარ თავს ირანის რესპუბლიკის დამაარსებელსა და მის სულიერ წინამძღოლს უწოდებდა. მაგრამ წინამძღოლის ინსტიტუტის სამართლებრივი სტატუსის განმსაზღვრელი კონსტიტუციური ნორმები მნიშვნელოვნად სწორედ ჰომეინის სიკვდილის შემდეგ დაიხვეწა, როდესაც მოხდა ველაიათე ფაყიჰის თანამდებობასთან დაკავშირებული მთელი რიგი დეტალების რეგლამენტაცია და მოწესრიგდა წინამძღოლის არჩევასთან დაკავშირებული საკანონმდებლო მექანიზმები. ამასთან, განისაზღვრა, რომ სულიერი წინამძღოლის პოსტზე ასარჩევი პირი უნდა აკმაყოფილებდეს ისეთ მოთხოვნებს როგორცაა: მეცნიერული კომპეტენტურობა, სამართლიანობა და ღვათისმოსაობა, ჯანსაღი პოლიტიკური თვალსაზრისი, გონიერება, სიმამაცე, ხელმძღვანელობის უნარი და ლიდერისთვის საჭირო ძღვევამოსილება. წინამძღოლის კანდიდატურას შეარჩევს ამ მიზნით სპეციალურად შექმნილი ექსპერტთა საბჭო, და წარუდგენს ხალხს, რომელიც აღიარებს მას იმამად. იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა საბჭო ვერ შეთანხმდება ერთ კანდი-

დატურაზე, მაშინ აირჩევა 3-5 წარჩინებული ღვთისმეტყველისგან (აიათოლებსა და მუჯთაპედებისგან) შემდგარი, ე. წ. სანინამძლოლო საბჭო, რომელიც კონსტიტუტურად ახორციელებს სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციას. თუმცა, კონსტიტუციის ეს დათქმა ფორმალურია, რადგან პრაქტიკაში სულიერი წინამძღოლის სიცოცხლეშივე შეირჩევა მისი მემკვიდრე – ჯანეშინიც.

წინამძღოლის არჩევა ხდება სიკვდილამდე, თუ, რა თქმა უნდა, არ წარმოიშვა კონსტიტუციით გათვალისწინებული გადარჩევის საფუძველი, როგორცაა: პირის მიერ თავისი მოვალეობების შესრულების შეუძლებლობა, ლიდერისთვის საჭირო თვისებების დაკარგვა, ან თუ გამოვლინდება, რომ ამგვარი თვისებები მას თავიდანვე არ ჰქონდა. წინამძღოლის სიკვდილის, მისი გადადგომის ან გადაყენების შემთხვევაში, ახალი წინამძღოლის არჩევამდე, მის ფუნქციებს ახორციელებს რესპუბლიკის პრეზიდენტის, სასამართლო ხელისუფლების გამგებლისა და სახედამხედველო საბჭოს წევრისგან შექმნილი სპეციალური საბჭო, რომელსაც მეჯლისი ხმათა 3/4-ით ამტკიცებს.

სულიერი წინამძღოლი პასუხისმგებელია ქვეყანაში არსებულ საერთო მდგომარეობაზე. მის კომპეტენციაში შედის: ხელისუფლებასთან კონსულტაციის შემდეგ, ქვეყნის პოლიტიკური კურსის განსაზღვრა და მის განხორციელებაზე ზედამხედველობის დანეხება; ბრძანების გამოცემა რეფერენდუმის ჩატარების შესახებ; თავდაცვის უმაღლესი საბჭოს შექმნა და მისი წარდგინებით ომის, მშვიდობის და შეიარაღებულ ძალთა მობილიზაციის გამოცხადება; ხელისუფლების შტოებს შორის ურთიერთობათა მონესრიგება; რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევის შემდეგ მისი დამტკიცების ბრძანებაზე ხელმოწერა; რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენება. სულიერი წინამძღოლი განიხილავს სამეთვალყურეო საბჭოს ფაყიპების, სასამართლო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების, რადიო-ტელევიზიის ხელმძღვანელის დანიშვნა-გადაყენების, სასამართლოს წარდგინებით მსჯავრდადებულთა შეწყალების ან სასჯელთა შეცვლის საკითხებს. მხოლოდ ევლაიათე ფაყიპის განსაკუთრებულ პრეროგატივას წარმოადგენს უმაღლესი მთავარსარდლის ფუნქციათა შესრულება და ქვეყნის სამხედრო სფეროში გადაწყვეტილებების მიღება. იგი ერთპიროვნულად ნიშნავს და თანამდებობებიდან გადააყენებს სამხედრო ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსს, რევილუციურ გუშაგთა კორპუსის უფროსს, სამხედრო და მართლწესრიგის ძალების სარდლებსა და უმაღლეს მეთაურებს და ეროვნული თავდაცვის უმაღლესი საბჭოს მემშეობით ხელმძღვანელობს ირანის სამხედრო პოლიტიკის წარმართვას. ომიანობის დროს მთავარსარდლის ფუნქციით გარკვეული დოზით დელეგირება ხდება პრეზიდენტზე, რომელიც სულიერი წინამძღოლის ზედამხედველობის ქვეშ საომარი მდგომარეობისას უშუალო მეთაურობას უწევს არმიას. წინამძღოლს შეუძლია ასევე ზოგიერთი სხვა უფლების თავისი წარმომადგენლებზე დელეგირება. გარდა ამისა, მის უშუალო დაქვერდებარებაში იმყოფება კულტურული რევილუციის უმაღლესი

საბჭო, ისლამური პროპაგანდის ორგანიზაცია, ლარიბ-ლატაკთა და ჩაგრულთა დახმარების ფონდი, მინის განაწილების კომიტეტები, განსახლების ფონდი და ა. შ., სულ 8 ორგანიზაცია.

საწინამძღოლო საბჭო სულიერ წინამძღოლთან, მისი ფუნქციების განხორციელებაში ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა. აიათოლა პომენის გარდაცვალების შემდეგ წინამძღოლის ინსტიტუტთან ერთად გარკვეული ცვლილებები საბჭოშიც განიცადა. საწინამძღოლო საბჭო დათხოვნილ იქნა და მის საწინამძღოლო ხალხის წარმომადგენლების – ხებრეგანთა კრების ბაზაზე შეიქმნა ახალი ორგანო ექსპერტთა საბჭოს სახელწოდებით. თუმცა, ამას რაიმე პრინციპული კორექტივები არ მოჰყოლია.

ექსპერტთა საბჭოს ძირითად ფუნქციას სულიერი წინამძღოლის არჩევა და კონსტიტუციურ ნორმათა ინტერპრეტაცია წარმოადგენს. საბჭო წყვეტს, აგრეთვე, ველაიათე ფაყიპის გადაყენების საკითხს და კონსულტაციებს უწევს მას მოვალეობების განხორციელებისას.

ექსპერტთა საბჭო, 1982 წელს დაფუძნდა და შედგება 8 წლით არჩეული 83 წევრისგან, რომლებიც ხალხის წარმომადგენლებად – ხებრეგანებად იწოდებიან და უმაღლეს სასულიერო პირებს წარმოადგენენ. ფორმალურად საბჭო ხალხის მიერ პირდაპირი არჩევებით ფორმირდება, თუმცა ფაქტობრივად, მის წევრებს შეარჩევს საზედამხედველო საბჭო და მხოლოდ ამის შემდეგ წარუდგენს ხალხს, რომელიც საარჩევნო რეჟიმით, პრაქტიკულად ავტომატურად ამტკიცებს ამ გადაწყვეტილებას. ექსპერტთა საბჭოს წევრებს მოეთხოვებათ მეცნიერული კომპეტენტურობა და ღვთისმოსაობა, პოლიტიკური და საზოგადოებრივი შორსმჭვრეტელობა და ხელმძღვანელობის უნარი. როგორც წესი, ამ თანამდებობებზე შეირჩევიან ყოფილი პრეზიდენტები, უმაღლესი მოსამართლეები, გენერალური პროკურორები და სხვა მაღალი რანგის გადამდგარი მოხელეები, აგრეთვე, უნივერსიტეტის პროფესორები და მოქმედი სასულიერო მოღვაწეები. ექსპერტთა საბჭო სტრუქტურულად დაყოფილია სექციებად, მის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს თავმჯდომარე, მოადგილესა და სამ მდივანთან ერთად.

პრეზიდენტი აირჩევა საყოველთაო, პირდაპირი არჩევებით, 4 წლის ვადით, ერთჯერადი გადარჩევის უფლებით. პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნეს წარმოშობით ირანელი, ირანის მოქალაქე, რომელსაც უნდა ჰქონდეს ხელმძღვანელობისა და ადმინისტრაციული მართვის გამოცდილება, სამართლიანობის გრძნობა და უმნიშვნელო წარსული, იყოს მორწმუნე, გამოირჩეოდეს ირანის ისლამური რესპუბლიკის საფუძვლებისა და ქვეყნის ოფიციალური რელიგიისადმი ერთგულებით. ამ პოსტზე ყოფნისას მას ეკრძალება სხვა საქმიანობის შეთავსება, გარდა პედაგოგიურისა.

პრეზიდენტურის სამართლებრივი ბუნება საკმაო თავისებურებებით ხასიათდება: პრეზიდენტი, წინამძღოლის შემდეგ, პირველი უმაღლესი ოფიციალური პირია და პრაქტიკულად ახორციელებს სახელმწიფოს მეთაურის მოვალეობებს, გარდა უმაღლესი მთავარსარდლის ფუნქციისა, წარმოადგენს

ქვეყანას საგარეო ურთიერთობებში, ხელმძღვანელობს აღმასრულებელ საქმიანობას და ხელისუფლების სხვა ორგანოებთან ერთად წარმართავს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებას, ველაიათე ფაყიჰის ზედამხედველობით.

რესპუბლიკის პრეზიდენტი უფლებამოსილია: დაამტკიცოს და მთავრობას შესასრულებლად გადასცეს პარლამენტის მიერ მიღებული კანონები და სხვა აქტები; ხელი მოაწეროს საერთაშორისო ხელშეკრულებებს, შეთანხმებებსა და კონვენციებს, მას შემდეგ, რაც ისინი რატიფიცირებულ იქნება მეჯლისის მიერ; გადასცეს და მიიღოს დიპლომატიურ წარმომადგენელთა რწმუნების სიგელები; დანიშნოს მინისტრები ან სამინისტროს მეურვეები და დასამტკიცებლად წარუდგინოს პარლამენტს; მთავრობის თანხმობით დანიშნოს საგანგებო წარმომადგენლები; დაამტკიცოს ან საჭიროების შემთხვევაში უკან დააბრუნოს მთავრობის დადგენილებები და ინსტრუქციები; დანიშნოს ელჩები; დააჯილდოს და გადასცეს სახელმწიფო ჯილდოები. პრეზიდენტი, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური, თავისი შეხედულებისამებრ იწვევს და თავმჯდომარეობს მინისტრთა საბჭოს, უძღვება ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომებს, აქტიურ მონაწილეობას იღებს ქვეყნის ბიუჯეტისა და სხვა გეგმების შემუშავების პროცესში, პასუხისმგებელია მათ შესრულებაზე. გარდა ამისა, იგი პირადად ხელმძღვანელობს მ ორგანიზაციასა და ინსტიტუტს, რომლებიც აღმასრულებელ ხელისუფლებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ, თუმცა ამ ორგანიზაციების გაძღოლა ხშირად დელეგირებულია პრეზიდენტის 5-ნ მოადგილეზე.

პრეზიდენტი არ სარგებლობს იმუნიტეტით და მის მიერ ჩვეულებრივი დანაშაულის ჩადენისას, პარლამენტისთვის შეტყობინების შემდეგ, საქმეს საერთო სასამართლოები განიხილავენ. სახელმწიფო დანაშაულში ბრალდების შემთხვევაში კი საქმე უმაღლეს ინსტანციებს გადაეცემათ.

პრეზიდენტი, ისლამური საბჭოს კრების წინაშე პასუხისმგებელია აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაზე, მაგრამ პარლამენტს უფლება არა აქვს უნდობლობა გამოუცხადოს მას, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურს, რადგან იგი ხალხის მიერ პირდაპირ აირჩევა. გადაყენება შეიძლება მხოლოდ იმპიჩმენტის მექანიზმის მეშვეობით, რომლის საფუძველიც შეიძლება გახდეს მეჯლისის მიერ პრეზიდენტის არაკომპეტენტურად ცნობა ან მის საქმიანობაში დანაშაულის ნიშნების არსებობა. საკითხის აღძვრის უფლება აქვს მეჯლისის წევრთა სიითი შემადგენლობის 1/3-ს, ხოლო გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა პარლამენტის სიითი შემადგენლობის 2/3-ის თანხმობა. იმპიჩმენტის მექანიზმის თავისებურება ის არის, რომ უზენაეს სასამართლოს დამოუკიდებლად შეუძლია აღძვრას საქმე როგორც პრეზიდენტის არაკომპეტენტურობის, ისე მის ქმედებებში დანაშაულის ნიშნების არსებობის მოტივით. პირველ შემთხვევაში საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს მეჯლისი, ხოლო მეორეში — უმაღლესი სულიერი წინამძღოლი, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების მიერ ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე. ყველა

შემთხვევაში პრეზიდენტის გადადგომა, ისევე როგორც მის მიერ არჩევნების საფუძველზე თანამდებობის დაკავება, ფორმდება ველაიათე ფაყიძის ბრძანებით.

ვიცე-პრეზიდენტი პრეზიდენტის პირველი მოადგილეა, თუმცა ყველა მოადგილე, რომელიც ინიშნება მის მიერ პარლამენტთან შეთანხმებით, ფორმალურად ვიცე-პრეზიდენტად მოიხსენიება. პირველი ვიცე-პრეზიდენტი მთავრობის მეთაურთან შეთანხმებით უძღვება მინისტრთა საბჭოს სხდომებს და კოორდინაციას უწევს სხვა მოადგილეების საქმიანობას. კონკრეტულ საკითხთა გადანაცვლებით ახორციელებს პირადად მასზე დაკისრებულ აღმასრულებელ მოვალეობებსაც. პრეზიდენტის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის, მისი გარდაცვალების შემთხვევაში და ახალი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებამდე ითავსებს აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურის უფლებამოსილებებს.

საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის ერთპალატიან ისლამური საბჭოს სათათბიროს – მეჯლისს. დეპუტატობა შეუთავსებელია ყველა სხვა სახელმწიფო თანამდებობასთან და ანაზღაურებად საქმიანობასთან, გარდა პედაგოგიურისა. დეპუტატები არ სარგებლობენ იმუნიტეტით და დანაშაულისთვის პასუხს აგებენ საერთო საფუძველზე, მაგრამ ფლობენ ინდემნიტეტს და დაუშვებელია მათი დევნა პოლიტიკური შეხედულებებისა და პარლამენტში გამოთქმული აზრების გამო. სადეპუტატო რწმუნება პირადია და მისი დელიგირება დაუშვებელია. დეპუტატები აღჭურვილი არიან თავისუფალი მენდატით და პასუხისმგებელი არიან მხოლოდ ღვთის წინაშე.

მეჯლისი თავისი უფლებამოსილების ვადით ირჩევს თავმჯდომარეს, მის ორ მოადგილეს, რამდენიმე მდივანსა და ადმინისტრატორს. აღნიშნული პირები უზრუნველყოფენ საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობის წარმართვას. ახლად არჩეული მეჯლისი უფლებამოსილია მხოლოდ მას შემდეგ, რაც თითოეული დეპუტატის რწმუნებას დაამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭო. მეჯლისში ფუნქციონირებს 22 მუდმივმოქმედი კომიტეტი, რომლებიც, გარდა პეტიციათა კომიტეტისა, 9-დან 15-მდე დეპუტატის შემადგენლობით, სამთავრობო სტრუქტურების შესაბამისად კურირებენ კონკრეტულ დარგებს. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია დროებითი კომიტეტების შექმნა კონკრეტული, მათ შორის საგამოძიებო საკითხების გადასაწყვეტად.

მეჯლისის კომპეტენცია მოიცავს: საკანონმდებლო საქმიანობას; ბიუჯეტის განხილვა-დამტკიცებას და მის შესრულებაზე კონტროლს; მთავრობისთვის ნდობის ვოტუმისა და ინტერპელაციის მექანიზმის ამოქმედებას; პრეზიდენტის კომპეტენტურობის საკითხის გადანაცვებას; სახელმწიფო საზღვრების დადგენას; მოქალაქეთა საჩივრების განხილვას; საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების რატიფიკაციას; ეროვნული მნიშვნელობის საკითხებზე მსჯელობას.

აღსანიშნავია, რომ საკანონმდებლო ხელისუფლება არ წარმოადგენს მხოლოდ მეჯლისის განსაკუთრებულ პრეროგატივას. ამ სფეროში გარ-

კვეული უფლებებით სარგებლობს უმაღლესი წინამძღოლის პირდაპირ დაქვემდებარებაში მყოფი კულტურული რევოლუციის უმაღლესი საბჭო, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს კანონის ძალის მქონე გადაწყვეტილებები განათლების სფეროში. გარდა ამისა, 1988 წელს აიათოლა კომეინი დაარსა კიდევ ერთი კვაზი-საკანონმდებლო ორგანიზაცია ისლამური მართლწესრიგისადმი მიზანშეწონილობის განმსაზღვრელი საბჭო – შორაი-ე თაშიის-ე მასლაჰათ-ე ნეზამი, რომლის ფუნქცია პარლამენტსა და საზედამხედველო საბჭოს შორის საკანონმდებლო პროცესთან დაკავშირებული საკითხების მონესრეგებაა.

საკანონმდებლო პროცესი იწყება მინისტრთა კაბინეტის მიერ დამტკიცებული და მეჯლისში შეტანილი საკანონმდებლო წინადადების ან არანაკლებ 15 დეპუტატის ინიციატივით წარდგენილი კანონპროექტის განხილვით. კანონის მიღების ჩვეულებრივი პროცედურა კომიტეტებში განხილვასა და ორ სასესიო მოსმენას მოიცავს, რის შემდეგაც კანონი სამეთვალყურეო საბჭოს გადაეცემა, რომელიც 10 დღის ვადაში გადაწყვეტს კონსტიტუციასა და ყურანთან მისი შესაბამისობის საკითხს. საბოლოოდ კი ეგზავნება პრეზიდენტს, რომელიც ვალდებულია ხელი მოაწეროს და გამოაქვეყნოს იგი. არსებობს კანონის მიღების გამარტივებული პროცედურებიც, როდესაც გადაუდებელი აუცილებლობის გამო კანონს იღებს: მხოლოდ საპარლამენტო კომიტეტი, პლენარული სხდომა ორი მოსმენით, წინასწარი საკომიტეტო განხილვის გარეშე, განსაკუთრებულ შემთხვევებში წინადადების განხილვა ხდება შეტანისთანავე, ერთი მოსმენით. ასეთ შემთხვევაში საზედამხედველო საბჭოს წევრები ვალდებული არიან დაესწრონ პარლამენტის სხდომას, რათა რატიფიკაციის პროცესი არ გაინელოს.

პარლამენტთან არსებობს სპეციალური საანგარიშო სასამართლო – ქვეყნის უმაღლესი სარევიზიო ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს კონტროლს სახელმწიფო ფინანსების ხარჯვაზე. ეს ორგანო თავის პროვინციულ დანაყოფებთან ერთად ქმნის ერთიან ცენტრალიზებულ სისტემას.

მთავრობა. აღმასრულებელი ხელისუფლების სათავეში დგას მინისტრთა კაბინეტი, რომელიც პრეზიდენტის ან ვიცე-პრეზიდენტის ხელმძღვანელობით, კოორდინაციას უწევს და წარმართავს მთელ აღმასრულებელ საქმიანობას, გარდა სამხედრო სფეროსი, რომელიც როგორც უმაღლესი მთავარსარდლის განსაკუთრებული კომპეტენცია, ეროვნული თავდაცვის უმაღლესი საბჭოს მიერ იმართება. ქვეყნის უშიშროების სხვა საკითხების გადაწყვეტა ეროვნული უშიშროების უმაღლესი საბჭოს ფუნქციებში შედის, რომლის დადგენილებებიც იურიდიულ ძალას მხოლოდ წინამძღოლის მიერ მათი დამტკიცების შემდეგ იძენს.

მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში შედიან პრეზიდენტის მოადგილეები და 22 ვაზირი – მინისტრი. მათ ნიშნავს ქვეყნის პრეზიდენტი და ამტკიცებს მეჯლისი. ამ თანამდებობაზე, ჩვეულებრივ ინიშნებიან დაბადებით ირანელი, ღრმად მორწმუნე, ხელმძღვანელობის უნარის მქონე



მუსლიმანები. ისინი, თავის საკურაციო დარგებზე პასუხისმგებელნი არიან პრეზიდენტის წინაშე. პრეზიდენტი, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლები მეთაური, ხელს აწერს მთავრობის დადგენილებებს, წესდებებსა და ინსტრუქციებს, რომლებიც მინისტრთა კაბინეტის სახელით გამოიცემა.

ყოველი სამინისტრო იქმნება სპეციალური კანონი და რაიმე სტრუქტურული, ან ფუნქციური ცვლილება ხდება მხოლოდ მეჯლისის დასტურით. სამინისტროს შინაგანანესი და სამშტატო ერთეულები კი თავად მინისტრის მიერ განისაზღვრება, რომელიც უწყებას ერთმმართველობის წესით, სამინისტროს სათათბირო ორგანოსთან – კოლეგიასთან ერთად ხელმძღვანელობს. თითოეული სამინისტროს სტრუქტურა კოლეგიის გარდა აერთიანებს კანცელარიას, ცალკეული განყოფილებებსა და სამმართველოებს. ზოგიერთ სამინისტროში შექმნილია გენერალური დირექტორატები და დირექტორატები სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული მონათესავე დარგების სახელმძღვანელოდ. ამასთან, სამინისტროებთან, როგორც წესი, მოქმედებენ მთელი რიგი სააგენტოები და ინსტიტუტები. ოდნავ განსხვავებული სტრუქტურა აქვთ უშიშროების, რეეოლუციის გუშაგთა კორპუსისა და თავდაცვის სამინისტროებს. მინისტრი თავის უწყებას მეთაურობს 5-6 მოადგილის დახმარებით, რომელთაგან ერთი პირველია და კოორდინაციას უწევს სხვა მოადგილეებისა და დანაყოფების საქმიანობას.

მინისტრები ინდივიდუალურად და კაბინეტი კოლექტიურად, პასუხისმგებელი არიან მეჯლისის წინაშე. მათ საქმიანობაზე კონტროლი ხორციელდება უნდობლობის ვოტუმისა და ინტერპელაციის მეშვეობით. საპარლამენტო ინტერპელაციის ირანული მოდელის მიხედვით, მინისტრი ვალდებულია უპასუხოს არანაკლებ 10 დეპუტატის მიერ დასმულ შეკითხვას. მოპასუხე მინისტრმა ყოველი პასუხის შემდეგ უნდა მოითხოვოს ნდობის ვოტუმის დადასტურება და თუ ნდობას ვერ მიიღებს, თანამდებობიდან გადაყენებულად ითვლება. შეკითხვა შეიძლება დასვან პრეზიდენტის წინაშეც და ეს უკანასკნელი ვალდებულია უპასუხოს მას, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მისთვის უნდობლობის გამოცხადება დაუშვებელია. მინისტრის გადაყენებისას პრეზიდენტს, მეჯლისის თანხმობის გარეშე, არა უშეუძლია ვაღი, შეუძლია დანიშნოს სამინისტროს მეურვე.

პრეზიდენტის მოადგილეების მონაწილეობა აღმასრულებელ საქმიანობაში შემოიფარგლება მხოლოდ კონკრეტული დავალებების შესრულებით და ცალკეული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით. პრეზიდენტის დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციების უმეტესობა სამინისტროს ფუნქციების მატარებელია და თითოეული რამდენიმე სააგენტოსა და ინსტიტუტს აერთიანებს. პრინციპული მნიშვნელობისაა ატომური ენერჯის, გარემოს დაცვის, სამოქალაქო მშენებარისა და ადმინისტრაციულ საკითხთა, გეგმებისა და ბიუჯეტის ორგანიზაციები. ეს უკანასკნელი, პრაქტიკულად, უზრუნველყოფს საფინანსო საკითხების კუთხით პრეზიდენტის დომინირებულ მდგომარეობას მთავრობაზე. მინისტრებსა და ვიცე-პრეზიდენტებთან ერთ-

ად აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებაში წამყვანი ფუნქცია ეკისრება პრეზიდენტის მიერ კაბინეტის თანხმობით დანიშნულ საგანგებო წარმომადგენლებს, რომლებიც ძირითადად პროვინციებში ან კონკრეტულ საკითხთა მოსაგვარებლად ინიშნებიან.

მინისტრთა კაბინეტს, თავისი ფუნქციების შესრულებისთვის შეუძლია შექმნას მინისტრთა სპეციალური კომისიები, რომლებიც აღმასრულებელი ხელისუფლების დამოუკიდებელ სტრუქტურას წარმოადგენენ. მათი გადანყვეტილებები მხოლოდ პრეზიდენტის მიერ დამტკიცების შემდეგ იძენს იურიდიულ ძალას. მინისტრთა კომისიებისგან თვისებრივად განსხვავდება სპეციალური საბჭოები და სახელმწიფო კომისიები, რომლებიც საზოგადოებრივი ცხოვრების ცალკეულ სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის წარმართვის მიზნით იქმნება და შედგება როგორც მთავრობის, ისე ხელისუფლების სხვა შტოებისა და სამხედრო და მართლწესრიგის ორგანოების მაღალჩინოსნებისგან. ამგვარი საბჭოები ხშირად სამთავრობო პრეროგატივებს ითვისებენ და გარკვეულად ზღუდავენ კიდევ მის საქმიანობას. საგანგებო საბჭო ჩვეულებრივ იქმნება უმაღლესი წინამძღოლის ბრძანებით, ან მისი თანხმობით, პრეზიდენტის მიერ.

სასამართლო ხელისუფლება, სახელმწიფო ხელისუფლების სხვა შტოებთან შედარებით, ყველაზე მეტად არის მოქცეული სასულიერო წრეების გავლენის ქვეშ. ირანის მეტად რთულ და მრავალფეროვან სასამართლო სისტემას ერთპიროვნულად მეთაურობს სასამართლო ხელისუფლების გამგებელი, რომელიც კონსტიტუციის თანახმად ქვეყნის უმაღლესი სასამართლო ინსტანციაა. იგი ინიშნება სულიერი წინამძღოლის მიერ 5 წლის ვადით და იურისპრუდენციაში განსწავლული უმაღლესი სასულიერო პირია, რომლის ფუნქციებშიც შედის: მართლმსაჯულების სისტემის ორგანიზაციულ საკითხთა გადანყვეტა; სასამართლო კანონპროექტების შემუშავება; მოსამართლეთა თანამდებობებზე დანიშვნა-გათავისუფლება და მათთვის პასუხისმგებლობის დაკისრება. ამასთან, გამგებელი თანამდებობრივად არის: კონსტიტუციის გადასინჯვისა და მოდიფიკაციის საბჭოს მეთაურის მოვალეობათა შემსრულებელი; ექსპერტთა საბჭოსა და ეროვნული უშიშროების უმაღლესი საბჭოს წევრი; ირანის რადიოსა და ტელევიზიაზე ზედამხედველი; სახელმწიფოს გენერალური ინსპექციის ორგანიზაციაზე ზედამხედველი და სხვა პირებთან ერთად იღებს პრეზიდენტის ფიცს. სასამართლო ხელისუფლების გამგებელი პასუხისმგებელია მხოლოდ ველაიათე ფაყიჰის წინაშე.

სასამართლო ხელისუფლების გამგებელს შეუძლია თავისი უფლებამოსილებების გარკვეული სფეროს დელეგირება მოახდინოს იუსტიციის მინისტრზე, რომელიც სასამართლო სისტემის შემადგენელ ერთეულად მოიაზრება. მისი დანიშვნა ხდება იმ კანდიდატთაგან, რომლებსაც გამგებელი წარუდგენს რესპუბლიკის პრეზიდენტს. იუსტიციის მინისტრს, სასამართლო ხელისუფლების გამგებლის რწმუნებით, შეუძლია დანიშნოს სასამართლო სისტემის ყველა ადმინისტრაციული და საფინანსო მოხელე. იგი პასუხისმგ-

ებელია ყველა საკითხზე, რომელიც საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებასთან სასამართლო ხელისუფლების ურთიერთობას ეხება.

ისლამური მართლმსაჯულების განხორციელებისას სასამართლოებში კანონის გამოყენებაზე კონტროლისა და ერთიანი სასამართლო სისტემის ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, ქვეყანაში მოქმედებს უზენაესი სასამართლო, რომელიც საკასაციო ინსტანციაა, მაგრამ პირველადი წესით განიხილავს პრეზიდენტის წინააღმდეგ წარდგენილ სამშობლოს ღალატის ბრალდებას.

უზენაეს სასამართლოში მოქმედებს 33 განყოფილება, რომელთაგან ორი მექედში, ხოლო დანარჩენი კი თეირანშია განლაგებული. თითოეული განყოფილება ორი მოსამართლისგან შედგება, იმვით შემთხვევაში შეიძლება ერთი დამხმარე მოსამართლეც დაინიშნოს. უზენაესი სასამართლოს ძირითად სტრუქტურულ ერთეულად გენერალური ასამბლეა გვევლინება. იგი სამი მიმართულებით მუშაობს, რომელთაგან ყოველ მიმართულებას მოსამართლეთა განსხვავებული ჯგუფი წარმართავს: სამოქალაქო საქმეებს უძღვებიან უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და სამოქალაქო საქმეებზე მომუშავე განყოფილებების თავმჯდომარეები; სისხლის სამართლის საქმეებს – უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და სისხლის სამართლის საქმეებზე მომუშავე განყოფილებების თავმჯდომარეები; სასამართლო პრეცედენტების შემუშავებაზე მუშაობენ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, სისხლისა და სამოქალაქო საქმეების განყოფილებათა თავმჯდომარეები და მრჩეველები.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე რომელიც ინიშნება სასამართლო ხელისუფლების გამგებლის მიერ, მოსამართლეებთან შეთანხმებით, 5 წლის ვადით და წარმოადგენს იურისპრუდენციაში განსწავლულ სასულიერო პირს, მუჯთაჰედს ან აიათოლას. მხოლოდ მის განსაკუთრებულ პრეროგატივას წარმოადგენს სულიერი წინამძღოლის, პრეზიდენტის, მისი მოადგილეების, მინისტრების, მათი მეუღლეებისა და შვილების ქონებაზე ზედამხედველობა.

საერთო სასამართლოების მეორე რგოლს ქმნიან პროვინციების სააპელაციო სასამართლოები, რომლებიც ქვემდგომი სასამართლოების განაჩენთა შემონშების გარდა, პირველი ინსტანციით განიხილავენ მძიმე კატეგორიის სისხლის სამართლისა და განსაკუთრებით რთულ სამოქალაქო საქმეებს.

პირველი ინსტანციის სასამართლოები ირანში იყოფა ორ კატეგორიად: სამომრიგებლო და ადგილობრივ სასამართლოებად. სამომრიგებლო სასამართლოები ფუნქციონირებენ მაზრებში და ერთი მოსამართლის შემადგენლობით განიხილავენ თავიანთ სამოქმედო ტერიტორიაზე მომხდარ უმნიშვნელო კრიმინალსა და მცირე ღირებულების სამოქალაქო დავებს. შედარებით რთული კატეგორიის საქმეები გუბერნიის სასამართლოების განსჯადია, რომლებსაც თავიანთი განყოფილებები აქვთ დიდ ქალაქებში.

სასამართლო სისტემაში სპეციალური კანონის საფუძველზე მოქმედებენ სამხედრო სასამართლოები, რომლებიც ორგვარია: პირველი განიხილავს

პოლიციის, ჟანდარმერიის და მართლწესრიგის დამცველ ორგანოებში, შეიარაღებულ ძალებში მომხდარ დანაშაულებს, ხოლო მეორე კი განაჩენებს აფასებს სააპელაციო უფლებამოსილებით.

რელიოლუციური ტრიბუნალები ქვეყნის ერთიანი სასამართლო სისტემის ნაწილია. მათი განსაკუთრებული კომპეტენცია, ძირითადად, პოლიტიკური და პრესის მიერ ჩადენილი დანაშაულების განხილვით შემოიფარგლება.

1979 წლის კონსტიტუციით აღდგენილ იქნა შარიათის სასამართლოები, როგორც სასამართლო ხელისუფლების სტრუქტურაში დამოუკიდებლად მოქმედი ორგანო, რომელიც რელიგიური ნორმების შესაბამისად განსჯის მუსლიმანთა პირად სტატუსთან, საოჯახო, სამემკვიდრეო საკითხებთან დაკავშირებულ დავებსა და ოფიციალური სარწმუნოების სანინაალმდეგო უმნიშვნელო დარღვევებს.

სასამართლო ხელისუფლების გამგებლის ზედამხედველობის ქვეშ, დამოუკიდებლად, საკუთარი რეგლამენტით მოქმედებს ადმინისტრაციული სამართლიანობის სასამართლო, რომელიც სახელმწიფო მოხელეთა მიერ მოქალაქეთა უფლებების დარღვევის საკითხებსა და მმართველობით პროცესში წამოჭრილ დავებს განიხილავს. მის შემადგენლობაში მოქმედებს 22 განყოფილება, სააპელაციო კოლეგია და გენერალური საბჭო. თითოეულ განყოფილებაში თავმჯდომარე და ერთი მოსამართლეა. სააპელაციო კოლეგია შედგება ადმინისტრაციული სამართლიანობის სასამართლოს თავმჯდომარის, 6 განყოფილების თავმჯდომარისა და არჩეული მოსამართლისგან, მის კომპეტენციაშია განყოფილებების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების სააპელაციო წესით განხილვა. გენერალური საბჭო ადმინისტრაციული სამართლიანობის სასამართლოს მთავარი ორგანოა და კოორდინაციას უწევს მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობას.

მოსამართლე შეიძლება დაინიშნოს 25 წლის ასაკს მიღწეული ირანის მოქალაქე უმაღლესი იურიდიული და სასულიერო განათლებით და უმნიშვნელო წარსულით, ამასთან, მას მოხდელი უნდა ჰქონდეს სამხედრო სამსახური. მოსამართლეები ხელშეუხებელი არიან და გადაწყვეტილების მიღებისას ისლამური ტრადიციების ფარგლებში, სრული დამოუკიდებლობით სარგებლობენ. ისინი უფლებამოსილი არიან განაჩენი დაადგინონ არა კანონის, არამედ ფეთვაზე<sup>1</sup> და სხვა რელიგიურ წყაროებზე დაყრდნობით, თუ თვლიან, რომ კანონი ისლამის პრინციპებს ეწინააღმდეგება. მოსამართლეთა თანამდებობიდან გადაყენება დაუშვებელია, თუ არ არსებობს დანაშაულის დადასტურებული ფაქტი. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება სასამართლო ხელისუფლების გამგებლის პრეროგატივაა.

*1. ფეთვა --- გადაწყვეტილება. განკარგულება, რომელსაც უმაღლესი სასულიერო პირები ყურანის ძირითადი პრინციპების საფუძველზე გამოსცემენ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით და სავალდებულოა შესასრულებლად შესაბამისი თემის ყველა მუსლიმისთვის.*

პროკურატურა შედის სასამართლო ხელისუფლების შემადგენლობაში და მკაცრად ცენტრალიზებული ორგანოა, რომლის ფუნქციებია სასამართლოში სახელმწიფოს წარმომადგენლობა, ისლამური პრინციპების შესაბამისად კანონიერების დაცვაზე ზედამხედველობა, გამოძიების წარმოება და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიური, წარმმართველი როლი. პროკურატურის სათავეში დგას 5 წლით დანიშნული გენერალური პროკურორი. გენერალური პროკურორის ზედამხედველობის ქვეშ, ფუნქციონირებენ მთავარი სამხედრო პროკურორი და მთავარი დისციპლინური პროკურორი, რომელიც უმაღლეს დისციპლინურ სასამართლოსთან მოქმედებს. პროკურატურის განყოფილებები, რომლებიც პროკურორებთან ერთად გამოძიებლებსა და სხვა სპეციალისტებს აერთიანებს, შექმნილია ყველა ინსტანციის სასამართლოსთან, გარდა სამომრიგებლო სასამართლოებისა.

სასამართლო სისტემის შემადგენლობაშია სახელმწიფოს გენერალური ინსპექციის ორგანიზაცია, რომელიც სასამართლო გადანყვეტილებათა აღსრულებას აკონტროლებს, მისი მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშაა შარიათის სასამართლოების საქმიანობა; ნოტარიატის განყოფილებები; შრომითი, ადმინისტრაციული და სხვა სახის მომრიგებელი კომისიები და სასჯელთაღსრულების ორგანიზაცია. ყველა ეს დანაყოფი სასამართლო ორგანოების სისტემურ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს.

საკონსტიტუციო ზედამხედველობა ირანში თავისებურებათა მთელი კომპლექსით ხასიათდება. იგი, ძირითადად, სპეციალური საკონსტიტუციო ორგანოს სამეთვალყურეო საბჭოს – შორაი-ე ნეგაჰბან-ე კაანუნ-ე ასსასის მიერ ხორციელდება, რომელიც უშუალოდ სახელმწიფო მეთაურს – ველაიათე ფაყიჰს ექვემდებარება. ძირითადი კანონი საკონსტიტუციო ზედამხედველობის ორგანოს საკანონმდებლო ხელისუფლებისგან ცალკე არ გამოჰყოფს, რის გამოც მას ხშირად პარლამენტის ზედა პალატის ფუნქციების მატარებლადაც მიიჩნევენ. რეალურად იგი, თავისი დანიშნულებით, ორგანიზაციითა და საქმიანობით, დამოუკიდებელი სტრუქტურაა, რომელსაც მეჯლისისგან განსხვავებული ამოცანები აკისრია. კონსტიტუციის თანახმად, სამეთვალყურეო საბჭო იქმნება ისლამური ნორმებისა და ძირითადი კანონის დაცვის მიზნით, იმისთვის, რომ ისლამურ ტრადიციებს შეესაბამებოდეს პარლამენტის მიერ მიღებული ყველა კანონი და გადანყვეტილება.

სამეთვალყურეო საბჭო შედგება 12 ნევრისგან, რომელთაგან 6 შარიათის სამართალმცოდნე და სახელმწიფოს მართვის თანამედროვე საკითხებში ღრმად გარკვეული უმაღლესი სასულიერო პირია და წინამძღოლის მიერ ინიშნება. დანარჩენი ნევრები მეჯლისის მიერ აირჩევიან, სასამართლო ხელისუფლების გამგებლისა და უზენაესი სასამართლოს წარდგენილ იუსტიციის დარგებში მომუშავე საერო იურისტთაგან, რომლებიც გარკვეულ უნდა იყვნენ ისლამურ სამართალშიც. საბჭოს ნევრთა უფლებამოსილების ვადა 6 წელია და მისი შემადგენლობის ნაწილი, ძირითადად, სამოქალაქო

იურისტები, ვნელინადში სანახევრო განახლებას ექვემდებარება. სულიერ ნინამძლოლს უფლება აქვს საბჭოში წარმოდგენილ სასულიერო პირებს – ფაყიპებს გაუგრძელოს უფლებამოსილების ვადა. პარლამენტი ვერ შეუდგება საქმიანობას, ვიდრე სამეთვალყურეო საბჭოს 6 წევრი მაინც არ იქნება დანიშნული.

მეჯლისის მიერ მიღებული ყველა სამართლებრივი აქტი ეგზავნება საზედამხედველო საბჭოს, რომელიც 10 დღის ვადაში სწავლობს, თუ რამდენად პასუხობს მიღებული აქტი ისლამურ ტრადიციებსა და ყურანის პრინციპებს, ასევე ქვეყნის კონსტიტუციას. კანონის ყურანთან და კონსტიტუციის შესაბამისობის შემთხვევაში, სამეთვალყურეო საბჭო ამტკიცებს მას და უგზავნის ხელმოსანერად პრეზიდენტს. გადანყვეტილებას ეს ორგანო იღებს ერთხმოვნობის პრინციპის დაცვით. თუ საბჭო მიიჩნევს, რომ პარლამენტის მიერ მიღებული აქტი არ შეესატყვისება აღნიშნულ ნორმებსა და დებულებებს, შენიშვნებით უკან უბრუნებს მეჯლისს განსახილველად. თუ შემდგომც სამეთვალყურეო საბჭომ არ მოიწონა იგივე დოკუმენტი, მაშინ უკვე ვეტოს ადებს მას, როგორც ეს მოხდა 1980 წელს, როდესაც საბჭომ გაუქმებულად გამოაცხადა მინის რეფორმის, ბანკებისა და მსხვილი სამრეწველო ობიექტების ნაციონალიზაციის კანონები, ხოლო 1987 წელს ისევ მინის რეფორმის ახალი კანონი, როგორც ისლამური ტრადიციების სანინაალმდეგო. რელიგიურ ნორმებთან შესაბამისობას ამონებენ ფაყიპები, ხოლო კონსტიტუციასთან – სამეთვალყურეო საბჭოს იურისტი წევრები.

როდესაც მეჯლისი ენინაალმდეგება სამეთვალყურეო საბჭოს ვეტოს, ისლამური მართლწესრიგის მიზანწმენილობის განმსაზღვრელი საბჭო იღებს კონსტიტუციური ზედამხედველობის ორგანოს ფუნქციას და მისი ამოცანაა მიადწინოს მათ შორის კონსენსუსს და მაგრამ, თუ ეს არ ხერხდება მაშინ უფლებამოსილია საბოლოოდ გადანყვეტიტოს აღნიშნული საკითხი, რაც ველაიათე ფაყიპის ბრძანებით ფორმდება. საბჭო შედგება ხელისუფლების სამივე შტოს ხელმძღვანელების, სამეთვალყურეო საბჭოს იურისტი წევრების, იუსტიციის, ისლამური ორიენტაციისა და ბრძოლის, ასევე იმ მინისტრებისგან, რომელთა საკურაციო დარგებთან დაკავშირებული საკითხების საკანონმდებლო გადანყვეტიტაც ხდება. საბჭოს თავმჯდომარეობს ექსპერტთა საბჭოს მიერ დანიშნული პირი.

სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციებში შედის კონსტიტუციის ცალკეულ დებულებათა განმარტება. იგი ახორციელებს კონტროლს პარლამენტის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების ჩატარებაზე და რეფერენდუმის გამართვაზე. ფაქტობრივად, ახდენს ექპერტთა საბჭოს ფორმირებას, ხოლო პრეზიდენტის არჩევნებისას გვევლინება როგორც ცენტრალური საარჩევნო კომისია.

მიუხედავად ფართო უფლებამოსილებებისა, საზედამხედველო საბჭოს საქმიანობა არასრულყოფილად იქნა მიჩნეული და 1997 წელს პრეზიდენტის საგანგებო ბრძანებით, ნინამძლოლის თანხმობის საფუძველზე, შეიქმნა კიდევ

ერთი სპეციალური ორგანო კონსტიტუციის აღსრულების უზრუნველ-  
მყოფელი და ზედამხედველი კომიტეტი, რომელიც 5 ნევრისგან შედგება.  
მასში გაერთიანებულია 3 მაღალპროფესიონალი იურისტი და 2 სასულიერო  
კანონმცოდნე, რომლებიც ოპერატიულად უზრუნველყოფენ ხელისუფლ-  
ების უმაღლესი თანამდებობის პირთა აქტებისა და საქმიანობის ქვეყნის ძი-  
რითად კანონთან შესაბამისობას.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა და ადგილობრივი მა-  
რთვის ორგანიზაცია. 1997 წელს ადგილობრივ სამმართველო ერთეულებთ-  
ან დაკავშირებით ახალი კანონის მიღებამდე, ქვეყანა დაყოფილი იყო 24  
პროვინციად – ოსთანად, 195 გუბერნიად – შაჰრესთანად, და 500 მაზრად –  
ბახშად. ეს უკანასკნელნი, თავის მხრივ, აერთიანებენ რაიონებს – დეჰისტან-  
ებს. 2000 წლისთვის პროვინციების რიცხვი 28-მდე გაიზარდა. შეიცვალა  
გუბერნიებისა და მაზრების რაოდენობაც.

პროვინცია ყველაზე მსხვილი ადმინისტრაციული ნარმონაქმნია, რომელიც  
შექმნილია ისტორიულ-გეოგრაფიული ფაქტორების გათვალისწინებით და  
ყოველი მათგანი რამდენიმე გუბერნიას აერთიანებს. უნიტარული სახელმწიფ-  
ოს პირობებში თითოეული პროვინცია თავის ტერიტორიაზე ფლობს თანაბარ  
უფლებებს სოციალურ, კულტურულ, გარემოს დაცვით, ფინანსურ, სამეურნეო  
სფეროებში და მართლწესრიგის უზრუნველმყოფელ პრეროგატივებს.

გუბერნია ქმნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის მეორე  
დონეს და კიდევ უფრო მცირე უფლებებით არის აღჭურვილი, ვინაიდან  
ერთდროულად, ცენტრალური ხელისუფლებისა და პროვინციის ხელმძღ-  
ვანელების კონტროლქვეშ იმყოფება. მის კომპეტენციას განეკუთვნება ჯანმ-  
რთელობის დაცვის, განათლების, სოცუზრუნველყოფის, საგზაო და საბი-  
ნაო კეთილმოწყობის სფეროში გადანიშნულებების მიღება. გუბერნია  
რამდენიმე მაზრად იყოფა და მის პრეროგატივებში სამეურნეო ფუნქცია  
ამკარად გამოკვეთილ ხასიათს ატარებს. მაზრების სამართლებრივი სტატ-  
უსის უფლებრივი მხარე გუბერნიის ანალოგიურია, იმ განსხვავებით, რომ  
მათი გამოყენება უფრო მცირე ტერიტორიაზე ხდება.

რაიონი ქმნის ადმინისტრაციული დაყოფის მეოთხე, ყველაზე ქვედა,  
დონეს და შედის მაზრის შემადგენლობაში. რაიონი, როგორც წესი, სამეურნეო  
და ადმინისტრაციული პრობლემების კოორდინირებულად გადაჭრის  
მიზნით, რამდენიმე სოფელსა და დაბას აერთიანებს.

ირანის ადგილობრივი ხელისუფლება წარმოადგენს უნიტარული სახელ-  
მწიფოებისთვის დამახასიათებელი ცენტრალიზმის პრინციპზე  
ორიენტირებული მმართველობისა და თვითმმართველობის ინსტიტუტების  
ერთობლიობას. მმართველობა, ადმინისტრაციული დაყოფის ყველა დონეზე,  
ხორციელდება დანიშნითი თანამდებობის პირების მიერ, გარდა სოფლისა,  
ხოლო თვითმმართველობა დამოუკიდებლად ხორციელდება ქალაქებში და  
სოფლებში, მმართველობასთან კომპლექსში კი ადმინისტრაციულ-  
ტერიტორიულ ერთეულებში.

მმართველობით სისტემაში უმაღლესი ადგილი უკავია გენერალ-გუბერნატორს – ოსთანდარს, რომელიც პრეზიდენტისა და მთავრობის მიერ ინიშნება. იგი ახორციელებს აღმასრულებელ ხელისუფლებას პროვინციაში, წარმოადგენს მას სახელისუფლებო ურთიერთობებში, უზრუნველყოფს კანონების აღსრულებასა და კონტროლს თავის საგამგებლო ტერიტორიაზე, თანამდებობებზე ნიშნავს ცალკეულ მოხელეებს. მის პრეროგატივას წარმოადგენს პროვინციაში პოლიციის ძალებისა და ჟანდარმერიის კონტინგენტის გამოყენება. გენერალ-გუბერნატორს ემორჩილებიან ცენტრალური უწყებების ადგილობრივი დანაყოფები: სოფლის მეურნეობის, განათლების, კავშირგაბმულობის საფინანსო, გზების, სამოქალაქო მდგომარეობის აქტების ჩანერის და სხვა სამმართველოები. ზოგიერთი სამმართველო შექმნილია პროვინციის რესურსული სპეციფიკის გათვალისწინებით, როგორცაა სატყეო, მეთევზეობის და ა. შ. გენერალ-გუბერნატორი უზრუნველყოფს პროვინციის ტერიტორიაზე არსებულ საარჩევნო ოლქებში არჩევნების გამართვას. მისი ხელმძღვანელობით წარმართავენ საქმიანობას გუბერნიების, მაზრებისა და რაიონების მმართველები. წელიწადში ორჯერ მაინც გენერალ-გუბერნატორი ახდენს ქვემდგომ ადმინისტრაციულ დანაყოფებში არსებული მდგომარეობის შემოწმებას. თავად იგი პასუხს აგებს პრეზიდენტისა და მთავრობის წინაშე.

გენერალ-გუბერნატორთან ერთად პროვინციის უმაღლეს ხელისუფლებას იწარმოებს პროვინციის ადმინისტრაციული საბჭო, რომელიც მოსახლეობის მიერ პირდაპირი არჩევნებით, მაჟორიტარული სისტემით აირჩევა. პროვინციის ადმინისტრაციული საბჭოს ნევრთა რაოდენობა მისი მოსახლეობის პროპორციულად განისაზღვრება. გარდა მუდმივი ნევრებისა, საბჭოს მუშაობაში საათობრო ხმით მონაწილეობენ პროვინციის მნიშვნელოვანი სამსახურების ხელმძღვანელები. პროვინციის ადმინისტრაციული საბჭო გენერალ-გუბერნატორთან ტანდემში შეიმუშავებს ადმინისტრაციული ერთეულის საფინანსო-ეკონომიკური განვითარების პროგრამებს, გადაწყვეტილებას იღებს ჯანმრთელობის, მართლწესრიგის, გარემოს, რელიგიის დაცვის, კულტურული ღონისძიებების, საზოგადოებრივ საქმეთა, პროვინციის ქონებისა და ფინანსების გამოყენების, ირიგაციის მონესრიგების, დემოგრაფიულ, სოციალურ, განათლების საკითხებზე, ისლამური ტრადიციებისა და კანონმდებლობის დაცვით.

ადგილობრივ მმართველობით იერარქიაში მეორე ადგილზე დგას გუბერნატორი – ფარმანდარი. მისი კანდიდატურის წარდგენა და დამტკიცება გენერალ-გუბერნატორის ანალოგიურად ხდება. მის მოვალეობაში შედის: მზრუნველობა გაუწიოს გუბერნიის სამეურნეო-ეკონომიკურ განვითარებას, მონაწილეობა მიიღოს არჩევნების პროცესის უზრუნველყოფის საქმეებში, განახორციელოს კეთილმონყობის ღონისძიებები თავის საგამგებლო ტერიტორიაზე, ხელი შეუწყოს გადასახადების აკრეფას და იზრუნოს წესრიგისა და უშიშროების დაცვასა და კანონთა შესრულებაზე. გუბერნატორი



პერიოდულად ანგარიშს აბარებს გენერალ-გუბერნატორს თავისი საქმიანობის შესახებ. გუბერნიის ადმინისტრაციული საბჭო პრაქტიკულად პროვინციის საბჭოს ანალოგიურად იქმნება და გარკვეული უფლებების გამოკლებით, იგივე კომპეტენცია აქვს.

მაზრების მმართველობას ახორციელებენ მაზრის უფროსები – ბახმდარები, რომლებიც ინიშნება გენერალ-გუბერნატორის მიერ გუბერნატორის წარდგინებით და შინაგან საქმეთა მინისტრის თანხმობით. იგი ახორციელებს აღმასრულებელ ხელისუფლებას მაზრაში და ანგარიშვალდებულია გუბერნატორის წინაშე. მაზრის ადმინისტრაციული საბჭო უზრუნველყოფს ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების შეთანხმებულ მუშაობას და გადაწყვეტილებებს იღებს ჯანმრთელობის დაცვის, სოცუზრუნველყოფის, გზების კეთილმოწყობის, კულტურული და რელიგიური ძეგლების დაცვის, გლეხთა კოლექტიური შრომის გამოყენების, სასოფლო-სამეურნეო ღონისძიებების გატარების შესახებ.

თითოეულ რაიონს სათავეში უდგას გუბერნატორის მიერ მაზრის უფროსის წარდგინებით დანიშნული რაიონის უფროსი – დეპდარი და რაიონის ადმინისტრაციული საბჭო, რომლებიც კოორდინირებულად ახორციელებენ, ძირითადად, სამეურნეო ხასიათის საქმიანობას და იღებენ გადაწყვეტილებებს მცირე მნიშვნელობის საკითხებზე. რაიონის უფროსი თავის მუშაობას წარმართავს მაზრის უფროსის ანალოგიურად და უშუალოდ ხელმძღვანელობს სოფლის მამასახლისების საქმიანობას.

ყოველ სოფელს სათავეში უდგას არჩეული მამასახლისი – ქედხოდა, რომელიც პირადად წყვეტს სოფელში არსებულ პრობლემებს, სამეზობლო დავებს, უზრუნველყოფს საზოგადოებრივი საქმიანობის ორგანიზებას, ხელს უწყობს სამართალდარღვევათა პროფილაქტიკას და ა. შ.

ირანის ყველა მნიშვნელოვან ქალაქში ხორციელდება საქალაქო თვითმმართველობა ხელისუფლების აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების ერთიანი კომპლექსის, ანჯომანების სახით, რომელიც მერსა და მუნიციპალიტეტს აერთიანებს. მერი წარმოადგენს აღმასრულებელ ხელისუფალს, ქალაქის ხელმძღვანელსა და მუნიციპალიტეტის თავმჯდომარეს. იგი მუნიციპალიტეტთან ერთად პირდაპირი არჩევნებით, მაჟორიტარული წესით აირჩევა. ჩვეულებრივ, მუნიციპალიტეტი მოსახლეობის რაოდენობის პროპორციულად, 5-დან 30-მდე, ხოლო მსხვილ ქალაქებში უფრო მეტი დეპუტატების შემადგენლობით იქმნება. ანჯომანი – მერი და მუნიციპალიტეტი, ქალაქის განვითარებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა მნიშვნელოვან საკითხზე, დაწყებული ბიუჯეტის მიღებით და გზების კეთილმოწყობით დამთავრებული, იღებს გადაწყვეტილებებს და უზრუნველყოფს მათ აღსრულებას. საქალაქო ცხოვრების სხვადასხვა სფეროსთვის ოპერატიული ხელმძღვანელობის განევის მიზნით ანჯომანი ქმნის სპეციალურ დარგობრივ კომისიებს, რომლებიც ცენტრალური უწყებების სამმართველოებთან კოორდინირებულად მოქმედებენ.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების თვითმმართველობის ორგანოები – ადმინისტრაციული საბჭოები ქმნიან პროვინციათა უმაღლეს საბჭოს, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციური ორგანოა, არ წარმოადგენს ხელისუფლების ორგანოს, ამ სიტყვის კლასიკური გაგებით. იგი უფრო კონფერენციის ტიპის ორგანიზაციაა, რომელიც კოორდინაციას უწევს საბჭოებს ქვეყნის მასშტაბით და უფლებამოსილია გარკვეული რეკომენდაციები შეიმუშავოს სახელმწიფო უწყებებისთვის, შექმნას გარკვეული კანონპროექტები, რომლებიც მთავრობის მეშვეობით წარედგინება მეჯლისს. ტერიტორიულ ერთეულებზე ზედამხედველობასა და თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოთა კურატორობას მთავრობაში შინაგან საქმეთა მინისტრი ითავსებს.

ირანის კონსტიტუციური სამართლის განსაკუთრებული თავისებურებანი: 1979 წლის ისლამური რევოლუციის შედეგად ირანში დამკვიდრდა მსოფლიოში უნიკალური თეოკრატიულ-კლერიკალური რესპუბლიკა, სადაც სახელმწიფო სისტემის თითოეული ინსტიტუტი მოწყობილია რელიგიური დოგმატიკის საფუძველზე.

– თავისებურია კონსტიტუციის სულისკვეთება, როცა ისლამური სახელმწიფო და სამართალი მთლიანად რელიგიაზეა დამყნობილი;

– სახელმწიფო აღიარებს ადამიანთა მხოლოდ იმ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგება ყურანის პრინციპებსა და საზოგადოების ისლამურ ტრადიციებს;

– ირანის პარტიულ სისტემაში თანაბარი სტატუსით მოქმედებენ როგორც პარტიული, ისე რელიგიური თუ ექსტრემისტული ორგანიზაციები. თითქმის ყველა პარტიისა თუ პოლიტიკური მოძრაობის პლატფორმები რელიგიურ მომენტებს უკავშირდება;

– საარჩევნო სამართლის ნორმები არ განსაზღვრავენ პრეზიდენტობის კანდიდატის ასაკობრივ ცენზს. საარჩევნო პროცესში აქტიურად არის ჩართული საკონსტიტუციო კონტროლის ორგანო – სახედამხედველო საბჭო, რომელსაც არჩევნების შედეგების გაუქმებაც კი შეუძლია;

– რელიგიური მოტივაციიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მეთაურის თავისებური მოდელია შექმნილი. სახელმწიფოს ხელმძღვანელობის სასულიერო პირთა ხელში თავმოყრა განმტკიცებულია კონსტიტუციური პრინციპით, რომელიც საზოგადოებაში წინამძღოლისა და რელიგიურ მოღვაწეთა წარმმართველ როლზე მიუთითებს;

– სახელმწიფოს მეთაური, წინამძღოლის ინსტიტუტის თავისებურების გათვალისწინებით, უმაღლესი მთავარსარდლის ფუნქციის ფარგლებში უზრუნველყოფს სულიერი ლიდერების კონტროლს არმიაზე;

– ველაიათე ფაყიჰის მიერ სასამართლო ხელისუფლების მეთაურის ერთპიროვნული დანიშვნის უფლება, ხელისუფლების ამ შტოზე მისი გავლენის მაჩვენებელია, მით უფრო, რომ წინამძღოლს სასამართლო გადაწყვეტილების შეცვლაც შეუძლია;

– პრეზიდენტი არ სარგებლობს იმუნიტეტით, გამარტოებულია მისი თანამდებობიდან გადაყენების მექანიზმიც, გადადგომა შეიძლება გამოინვიოს არა მხოლოდ მის მიერ კანონის დარღვევამ ან დანაშაულის ჩადენამ, როგორც ეს საერთოდ მიღებულია, არამედ არაკომპეტენტურად ცნობამაც, რაც იმპონენტის მიზეზად აქცევს გარემოებათა შეტად ფართო წრეს;

– პარლამენტის წევრები არ სარგებლობენ იმუნიტეტით, დამოუკიდებლად არ ფლობენ საკანონმდებლო ინიციატივის უფლებას და ეს უკანასკნელი, ისევე როგორც ინტერპელაცია, კოლექტიური ხასიათისაა. სადეპუტატო განაწესის მთავარ პირობას რელიგიური რწმენა წარმოადგენს. პარლამენტის საკანონმდებლო უფლება გარკვეულად შეზღუდულია ამ სფეროში სხვა ორგანოების, განსაკუთრებით სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობით. თავისებურებას წარმოადგენს ისიც, რომ მეჯლისის შეუძლია არამარტო აღმასრულებელი ხელისუფლების, არამედ გარკვეულწილად სასამართლო ორგანოების კონტროლიც;

– აღმასრულებელი სფეროს წარმართვა მინისტრთა კაბინეტთან ერთად მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ეროვნული უშიშროების უმაღლეს საბჭოზე;

– ირანის სახელმწიფო სისტემის ყველაზე მნიშვნელოვანი თავისებურება საკანონმდებლო და აღმასრულებელ სფეროებში სპეციალური და ხელისუფლების ამა თუ იმ ორგანოს პარალელური დამხმარე სტრუქტურების სიმრავლეა, რომლებიც ხშირად მათი ფუნქციების დუბლირებასაც ახდენენ;

– მრავალი თავისებურებით გამოირჩევა ირანის სასამართლო ხელისუფლება: გამგებლის თანამდებობით შემოღებულია ერთპიროვნული მმართველობა და ეს რთული და მრავალფეროვანი წარმონაქმნების სისტემა მკაცრი სუბორდინაციის პრინციპით იმართება; სასამართლო ხელისუფლების ერთ-ერთი ხელმძღვანელის კომპეტენციას წარმოადგენს სახელმწიფოს მეთაურის და ყველა მაღალი თანამდებობის პირის, მათი ნათესავების ქონების კონტროლი; იუსტიციის მინისტრი, აღმასრულებელი ხელისუფლების პარალელურად სასამართლო ორგანოების ხელმძღვანელადაც მოიაზრება; მოსამართლედ დანიშნვისთვის საჭიროა არამარტო იურიდიული განათლება, არამედ რელიგიურ საკითხებში განსწავლულობა და სამხედრო ნამსახურობა;

– საკონსტიტუციო ზედამხედველობა თავის თავში მოიცავს მიმდინარე კანონმდებლობისა და ნორმატიული ბაზის არა მარტო კონსტიტუციასთან, არამედ ყურანსა და ისლამურ ტრადიციებთან შესაბამისობის შემოწმებას. საკონსტიტუციო ზედამხედველობა ხორციელდება სპეციალური სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, რომელიც პარლამენტის ზედა პალატის ნიშნებით ხასიათდება, თუმცა თავისებრივად დამოუკიდებელი, სრულიად გამოკვეთილი ფუნქციების მატარებელი ორგანოა. საკონსტიტუციო ზედამხედველობის სფეროში მოქმედებს კიდევ ერთი სპეციალური ორგანო, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციით არ არის გათვალისწინებული, წარმამეოქმედების იმ მხარეს აკონტროლებს, რაც საზედამხედველო საბჭოს ყურადღების მიღმა რჩება.

## იხილეთ

სავიზიტო ბარათი. ისრაელი დასავლეთ აზიაში, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარეობს, მაგრამ თავისი არსით ევროპული სახელმწიფოა. მისი ტერიტორია, 1948-1949 წლების ისრაელ-არაბული ომების შედეგად მიერთებული მიწების ჩათვლით, 20,7 ათასი კმ<sup>2</sup>-ია, მოსახლეობა 5.72 მილიონს შეადგენს, აქედან 81% ებრაელია, დანარჩენს, ძირითადად, არაბები წარმოადგენენ. ისრაელის დედაქალაქია იერუსალიმი, სახელმწიფო ენად გამოცხადებულია ივრითი და არაბული, ფულის ერთეულია ახალი შეკელი.

ისრაელი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ 1948 წლის 14 მაისს გამოცხადდა, როდესაც პალესტინის ტერიტორიაზე ინგლისური მმართველობის – მანდატის გაუქმებისა და ორი დამოუკიდებელი ებრაული და არაბული სახელმწიფოს ჩამოყალიბების შესახებ გაეროს 1947 წლის 29 ნოემბრის რეზოლუციის საფუძველზე მიღებულ იქნა „ისრაელის დამოუკიდებლობის დეკლარაცია“.

ისრაელის სამართალი შერეული სამართლის ოჯახს მიეკუთვნება, თუმცა, უდავოდ საგრძობია საერთო სამართლის გავლენა, რაც განპირობებულია 1922-1948 წლებში მოქმედი ბრიტანეთის მმართველობით. ისრაელი მართვა-გამგეობის ფორმით საპარლამენტო რესპუბლიკა, ხოლო ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობით უნიტარული სახელმწიფოა.

კონსტიტუცია. ისრაელს ერთიანი კონსტიტუციური აქტი არა აქვს, რაც იმ რეალობის შედეგია, რომელშიც ამ სახელმწიფოს განვითარება ხდებოდა. განუწყვეტელი ომების, არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობის, მიგრაციის და განსაკუთრებით რელიგიურ დოქტრინათა ზეგავლენის გამო, ისრაელში უარყოფილ იქნა ერთიანი, უზენაესი ძალის მქონე ნორმატიული აქტის არსებობის იდეა. ამდენად, სამართლის წყაროებს კანონები, სასამართლო პრეცედენტები, ადათები, სამართლებრივი და რელიგიური დოქტრინები, სამართლის ებრაული და მუსლიმანური წმინდა წიგნები წარმოადგენენ. ისრაელის კონსტიტუციის დატვირთვა დანერგილი, არაკოდიფიცირებული კონსტიტუციური აქტების პაკეტს აკისრია, რომელთაგან თითოეული ფუნდამენტური, ძირითადი კანონის სახელწოდებით არის ცნობილი.

ისრაელის წარმომადგენლობითმა საკანონმდებლო ორგანომ – ქნესეთმა 1950 წელს მოიწონა, მისი ავტორის პატივსაცემად, „ხარარის წინადადების“ სახელწოდებით ცნობილი რეზოლუცია, რომლის საფუძველზე ფუნდამენტური კანონების სახით, გადანყდა მიეღოთ ცალკეული კონსტიტუციური აქტები, რომლებიც კონსტიტუციის თავებად ჩაითვლებოდა. ფუნდამენტური, ე. წ. ძირითადი კანონები, პირველ ხანებში, ჩვეულებრივი კანონების იურიდიული ძალით სარგებლობდნენ და მხოლოდ 1995 წელს, უმაღლესი სასამართლოს შესაბამისი გადანყვეტილებით, აღიარებულ იქნა მათი უზენაესობა სხვა კანონების მიმართ.

ისრაელში ამჟამად 12 ფუნდამენტური კანონი მოქმედებს:

- 1958 წლის კანონი „ქნესეთის შესახებ“, განიხილავს საკანონმდებლო ორგანოს არჩევის წესსა და ვადებს, მის სტრუქტურას, საქმიანობის თავისებურებებს, დეპუტატის სტატუსსა და უფლებამოსილებებს, დეპუტატის მანდატის შეუთავსებლობისა და მის ვადამდე გადადგომის საკითხებს;

- 2001 წლის კანონში „მთავრობის შესახებ“, ჩამოყალიბებულია ქვეყნის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს, პრემიერ-მინისტრისა და მინისტრების უფლება-მოვალეობები, მთავრობის ფორმირების წესი, ქნესეთთან მიმართებაში ნდობა-უნდობლობის მექანიზმის ამოქმედების შემთხვევები;

- 1964 წლის კანონი „პრეზიდენტის შესახებ“, განსაზღვრავს სახელმწიფოს მეთაურის არჩევის, თანამდებობიდან ვადამდე გადადგომისა და გადაყენების წესს; განიხილავს პრეზიდენტის პირადი ხელშეუხებლობისა და თანამდებობრივი შეუთავსებლობის საკითხებს, ადგენს მის ძირითად უფლებებსა და მოვალეობებს;

- 1984 წლის კანონი „სასამართლო სისტემის შესახებ“, ახასიათებს სასამართლო ხელისუფლების ორგანიზაციასა და სტრუქტურას, „მოსამართლეობის კანდიდატთა წარდგენის“ კომიტეტის ფორმირების, საქმიანობისა და გადაწყვეტილების მიღების წესს. კანონში ასევე განმტკიცებულია მოსამართლეთა ხელშეუხებლობისა და დამოუკიდებლობის გარანტიები, მათი პასუხისმგებლობის წესი;

- 1992 წლის კანონებით „ადამიანის თავისუფლებისა და ღირსების შესახებ“ და „პროფესიის თავისუფლების შესახებ“, განმტკიცებულია ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული ისეთი უფლებები როგორცაა: სიცოცხლის, პირადი თავისუფლების, საცხოვრებელი ადგილის არჩევის, საკუთრების, ადამიანის ღირსების, საცხოვრებელი სახლის ხელშეუხებლობის უფლება, ასევე შრომისა და პროფესიის თავისუფალი არჩევის უფლება;

- 1975 წლის კანონი „სახელმწიფო ეკონომიკის შესახებ“, აყალიბებს ქვეყნის საფინანსო, ფულად-საკრედიტო სისტემის ძირითად საფუძვლებს; ადგენს ბიუჯეტის შედგენის და პარლამენტისთვის წარდგენის წესსა და ვადებს; არეგულირებს სახელმწიფო გადასახადების შემოღებისა და მათი ოდნობის განსაზღვრასთან დაკავშირებულ საკითხებს;

- 1980 წლის კანონი „სახელმწიფო კონტროლიორის შესახებ“, არეგულირებს სახელმწიფო კონტროლიორის არჩევისა და გადაყენების საკითხებს; განსაზღვრავს, ერთი მხრივ, მისი, როგორც სახელმწიფოს საფინანსო-სამეურნეო აუდიტორის, მეორე მხრივ, სახალხო ინტერესების დამცველის უფლება-მოვალეობებს; ანესრიგებს მის ურთიერთობას ქნესეთთან, მოქალაქეებთან;

- 1976 წლის კანონში „სახელმწიფო არმიის შესახებ“, ჩამოყალიბებულია ქვეყნის თავდაცვის ძალების სტატუსი. სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებს ხელმძღვანელობს ქვეყნის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო-მთავრობა;

- 1980 წლის კანონი „ისრაელის სახელმწიფოს დედაქალაქ იერუსალიმის შესახებ“, იერუსალიმს ქვეყნის დედაქალაქად აცხადებს. აქვე დადგენილია,

რომ სახელმწიფო ილებს ვალდებულებას დაიცვას წმინდა ადგილები და ხელი შეუწყოს ქალაქის განვითარებას;

– 1960 წლის კანონი „ისრაელის მინების შესახებ“, კრძალავს სახელმწიფოს მიერ ქვეყნის ტერიტორიის გაცემას გაყიდვისა თუ სხვა საშუალებით, გარდა კანონით დამკვიდრებული გამოინაკლისი შემთხვევებისა.

ისრაელის კონსტიტუციური კანონმდებლობა იმითაც არის საინტერესო, რომ ფუნდამენტური – ძირითადი კანონები და მათში შესწორება-დამატებები შეიძლება მიღებულ იქნეს ჩვეულებრივი კანონებისთვის განსაზღვრული წესით, პარლამენტის სხდომის დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით. გამოინაკლისა მხოლოდ ორი კანონი: კანონი „მთავრობის შესახებ“, რომლის შეცვლაც მხოლოდ ქნესეთის წევრთა უმრავლესობის მხარდაჭერითა დასაშვებია და „ქნესეთის შესახებ“ კანონის განსაკუთრებული მნიშვნელობის, ე. წ. განმტკიცებული ორი მუხლი, რომელთაგან ერთი ამკვიდრებს დემოკრატიულ საარჩევნო პრინციპებს და მის შესაცვლელად საჭიროა პარლამენტის წევრთა უმრავლესობის მხარდაჭერა, ხოლო მეორე, საგანგებო მდგომარეობის დროს, ზღუდავს კანონის შეცვლას ან გაუქმებას, მისი შეცვლა დასაშვებია ქნესეთის წევრთა 2/3-ის მხარდაჭერის პირობებში. კანონები „ადამიანის თავისუფლებისა და ღირსების შესახებ“, „ქნესეთის შესახებ“, „მთავრობის შესახებ“ და „სასამართლო სისტემის შესახებ“ არ შეიძლება შეჩერებულ ან შეცვლილ იქნეს საგანგებო მდგომარეობის დროს.

ადამიანის უფლებები და თავისუფლებები. 1984 წლის „ისრაელის დამოუკიდებლობის დეკლარაციით“, აღიარებულია ყველა მოქალაქის, განურჩევლად რასობრივი, სარწმუნოებრივი და სქესობრივი განსხვავებისა, პოლიტიკური, სოციალური უფლებების თანასწორობა, განმტკიცებულია მოქალაქეთა რწმენის, განათლების, ენის, შეკრების თავისუფლება. ისრაელის სახელმწიფომ თავის თავზე იტვირთა ყველა რელიგიის წმინდა ადგილებისა და გაეროს საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების დაცვა. მიუხედავად იმისა, რომ დეკლარაციას ნორმატიული აქტის სტატუსი არა აქვს და მის საფუძველზე არ შეიძლება სასამართლოში სარჩელის წარდგენა, საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ყველა სახელმწიფო ორგანო და თანამდებობის პირი, თავის უფლებამოსილების განხორციელებისას, ვალდებულია ხელმძღვანელობდეს დეკლარაციაში განმტკიცებული პრინციპებით.

„ადამიანის ღირსებისა და თავისუფლების შესახებ“ კანონით აღიარებულია ადამიანის ღირსების და თავისუფლების, ასევე ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და საკუთრების ხელშეუხებლობა. კანონით დაუშვებელია პირის უკანონო დაკავება, დაპატიმრება და ექსტრადიცია. ისრაელის ყველა მოქალაქეს შეუძლია თავისუფლად დატოვოს და შემოვიდეს ქვეყანაში. კანონით დაცულია ადამიანის პირადი, ინტიმური საიდუმლოება, აღიარებულია საცხოვრებელი სახლის, პირადი ჩანაწერის ხელშეუხებლობა. პოლიციის, თავდაცვისა და უშიშროების სხვა ორგანოების მიერ აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მთხვევაში და არა უმეტეს მათი უფლებამოსილების განხორციელებისთვის საჭირო მოცულობით. ისრაელში აღიარებულია რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება, რაც, ერთი მხრივ, წარმოადგენს უფლებას იცხოვრო და განმდექნის შეხედულებებისამებრ, მეორე მხრივ, ეს უფლება გარკვეულად არ მოიცავს რწმენის შეცვლის თავისუფლებას.

ქვეყნის კანონმდებლობით აღიარებულია პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების შექმნის, სიტყვის, ინფორმაციის, ასევე მიტინგების, დემონსტრაციების, საჯარო შეკრებების თავისუფლება, კანონით განსაზღვრული წესების დაცვით. ისრაელის უმაღლესი სასამართლო სამართლიანობის უმაღლეს სასამართლოდ იმის გამო იწოდება, რომ სწორედ ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიის პოზიციიდან, მის უმნიშვნელოვანეს ფუნქციას მოსახლეობის საჩივრებისა და სარჩელების განხილვა წარმოადგენს.

ისრაელში ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში აღსანიშნავია სახელმწიფო კონტროლიორის მოღვაწეობა, რომელსაც სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის კანონიერების, ეკონომიკურობისა და ეფექტურობის ზედამხედველობასთან ერთად, 1971 წლიდან, გარკვეულად, ომბუდსმენის ფუნქციებიც დაეკისრა. ამ ფუნქციის განსახორციელებლად სახელმწიფო კონტროლიორი იღებს მოქალაქეთა, უცხოელთა, მოქალაქეობის არმქონე პირთა საჩივრებს. საჩივარი უნდა შეიცავდეს იმ სახელმწიფო ორგანოს ან თანამდებობის პირის დასახელებას, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია საჩივარი და იმ კანონსაწინააღმდეგო ქმედების დახასიათებას, რომლის შედეგადაც პირს მიადგა ზიანი და დაირღვა მისი უფლებები. საჩივარი შეიძლება წარდგენილ იქნეს: პრეზიდენტის, ქნესეთის, მთავრობის, წევრების, სასამართლოთა და სასამართლო ტრიბუნალთა აქტების და სხვა სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირების წინააღმდეგ.

კანონმდებლობით უზრუნველყოფილია სახელმწიფო კონტროლიორის დუბლირებული, სახალხო დამცველის უფლებამოსილებათა შეუფერხებელი განხორციელების პირობები. ყველა სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, თანამდებობის თუ იურიდიული პირი ვალდებულია ყოველმხრივ დაეხმაროს სახელმწიფო კონტროლიორს, დაუყოვნებლივ წარუდგინოს მასალები, საბუთები და სხვა ინფორმაცია, რომელიც ესაჭიროება მას თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად და მისცეს ახსნა-განმარტებები გამოსაკვლევ საკითხებზე.

დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში სახელმწიფო კონტროლიორი მის ხელთ არსებულ მასალებს გადასცემს გენერალ-ატორნეის, სისხლის სამართლის საქმის აღძვრის რეკომენდაციით. სახელმწიფო კონტროლიორის რეკომენდაციები, მითითებები არასავალდებულო ხასიათისაა, მაგრამ მათი შეუსრულებლობის შემთხვევაში იგი უფლებამოსილია შესაბამისი ზომების მისაღებად მიმართოს ქნესეთის კონტროლის კომიტეტს, მთავრობას ან მის წევრს. სახელმწიფო კონტროლიორის გადაწყვეტილებათა და რეკომენდაციათა მორალური ძალა აღიარებულია უმაღლესი სასამა-

როლოს მიერაც, რომელიც ადგენს, რომ ისინი არ შეიძლება დარჩეს გაუთვალისწინებელი. არსებობს ორი შემთხვევა, როდესაც კონტროლიორის აქტი შესარულელად სავალდებულოა. კერძოდ, თუ საჩივარი წარდგენილია სახელმწიფო მოხელის მიერ, რომელმაც ამხილა ზემდგომი თანამდებობის პირი კორუფციაში, ანდა თუ საჩივარი შეტანილია შიდააუდიტორის მიერ საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების გამო თანამდებობიდან გადაყენების ან სხვა უსამართლო ქმედებათა შედეგად დაზარალებასთან დაკავშირებით. დაზარალებული პირის თანამდებობაზე აღდგენასთან დაკავშირებით საჩივრის გადანყვეტისას, კონტროლიორის ბრძანება, სავალდებულოა შესასრულებლად. სახელმწიფო კონტროლიორი დამოუკიდებელია და პასუხისმგებელია მხოლოდ ქნესეთის წინაშე. მისი გადაყენება დაიშვება, მხოლოდ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, იმპიჩმენტის წესით, ქნესეთის წევრთა 2/3-ის გადაწყვეტილებით.

პარტიული სისტემა. ისრაელში დამკვიდრებულია მრავალპარტიული სისტემა, ქვეყნის პოლიტიკური მართვის საქმეში აშკარად გამოკვეთილი ლიდერი პარტიის გარეშე. საერთოდ, ისრაელში ჩამოყალიბებული პარტიული სპექტრი, პირობითად, შეიძლება ოთხ ტიპად დაიყოს: რელიგიური პარტიები, რომელთა შორისაც ვხვდებით ნაციონალ-რელიგიურ და ულტრაორთოდოქსულ პარტიებს; ნაციონალურ-მემარჯვენე; ლიბერალურ-მემარცხენე და არაბულ პარტიებად. ისრაელის პარტიული სისტემისთვის ასევე დამახასიათებელია, ე.წ. „ნუთიერი პარტიების“, „საკმაოდ დიდი რაოდენობა, რომლებიც არჩევნების წინ იქმნებიან და წარუმატებლობისას უმალვე იშლებიან.

ისტორიულად ისრაელში ქვეყნის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების დღიდან არსებობს ორი წამყვანი პოლიტიკური ძალა, ესენია: ლიკუდის პარტია და ლეიბორისტული, ანუ ავოდას პარტია. ლიკუდი ნაციონალურ პოზიციებზე დგას და ამდენად მემარჯვენე პარტიაა. ავოდი კი მემარცხენე პარტიას განეკუთვნება და მისი პლატფორმა სოციალ-დემოკრატიულ იდეოლოგიას ეფუძნება. აღნიშნული პარტიები ისრაელის სახელმწიფოს არსებობის მანძილზე თანამიმდევრულად ენაცვლებიან ერთმანეთს ხელისუფლების სადავებთან, თუმცა ბოლო დროს მათი პოზიციები მნიშვნელოვნად შესუსტდა. უკანასკნელი 1999 წლის არჩევნების შედეგების მიხედვით ორივე წამყვანი პარტიის – ავოდას, რომელიც ამჟამად „ბლოკ ერთიან ისრაელს“ წარმოადგენს და ლიკუდის პარტიული წარმომადგენლობა ქნესეთში შემცირდა, შესაბამისად 34-დან 26 და 22-დან 19 დეპუტატამდე. პოლიტიკურ ძალთა ბალანსის ამგვარ დინამიკაზე არსებითი გავლენა მოახდინა 1992 წლის საკანონმდებლო ცვლილებამ, როცა ქნესეთმა დაამტკიცა კანონი პრემიერ-მინისტრის პირდაპირი არჩევნების შესახებ. 1996 წელს პირველად ჩატარდა არჩევნები ამ ახალი, შეიძლება ითქვას, „ექსპერიმენტული სისტემით“, ანუ, პრაქტიკულად, საპარლამენტო მმართველობის მქონე სახელმწიფოში პრემიერ-მინისტრის სახით გაიმართა პირდაპირი საპრეზიდენტო არჩევნები. არჩევნების ახალმა სისტემამ ამომრჩევლებს



საშუალება მისცა ცალკე სიით აერჩიათ ნებისმიერი პარტია და ცალკე პრემიერ-მინისტრი, რომელიც სულაც აღარ იყო აუცილებელი ამომრჩევლის პრეფერენციული პარტიის ლიდერი ყოფილიყო. ძველი სისტემით კი ამომრჩეველი იძულებული იყო ხმა მიეცა იმ პარტიისთვის, რომლის ლიდერსაც იგი პრემიერ-მინისტრის პოსტისთვის ინონებდა. ახალი საარჩევნო სისტემის წყალობით ტრადიციულმა ნამყვანმა პარტიებმა – „ავოდმა“ და ლიკუდმა, დაკარგეს მრავალი მანდატი. მათ საპირისპიროდ კი წერილმა პარტიებმა, რომლებიც მოსახლეობის მცირე ჯგუფების ინტერესებს წარმოადგენენ და პარლამენტში სულ რამდენიმე წევრის გაყვანა შეეძლოთ, მოულოდნელად არაადეკვატურად დიდი მნიშვნელობა შეიძინეს. ბოლო მე-15 მონვევის ქნესეთში წევრების ნახევარზე მეტს სწორედ ამ პარტიების წევრები შეადგენდნენ. 17-მდე გაიზარდა რელიგიური პარტიის „შას“-ის დეპუტატთა რაოდენობა. პარტია დიდი გავლენით სარგებლობს, ჩრდილოეთ აფრიკიდან და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ჩამოსულ, მოსახლეობაში და ორთოდოქსული იუდაისტურ (არასიონისტურ) წრეებში. მას მხარი დაუჭირა მორწმუნე ქართველ ებრაელთა ნაწილმაც.

ახლად აღდგენილმა, მკვეთრად ანტირელიგიურმა პარტიამ „შინუიმ“ ფურორი მოახდინა, როდესაც მინიმალური რეკლამითა და ყოველგვარი რეგიონული ორგანიზაციების გარეშე 6 მანდატი მოიპოვა. ამდენივე მანდატი მოიპოვა ფართოდ რეკლამირებულმა, ძალიან კარგად დაფინანსებულმა, როგორც მიიჩნევდნენ, აშშ-ის ადმინისტრაციის ერთ-ერთმა ფაფორიტმა „ცენტრის პარტიამ“, რომელიც მესამე ძალად მოიაზრებოდა. მთლიანობაში, 1999 წლის მე-15 მონვევის ქნესეთი 15 პარტიით დაკომპლექტდა. მოგვიანებით ორ პარტიაში განხეთქილება მოხდა და ამჟამად ქნესეთში 17 პარტია და ამდენივე ფრაქციაა.

ისრაელის კანონმდებლობაში პოლიტიკური პარტიების მატერიალური მხარდაჭერის იდეა მონესრიგებულია კანონით „პარტიათა დაფინანსების შესახებ.“ კანონმდებლობით გათვალისწინებულია პარტიათა დაფინანსება, როგორც წინასაარჩევნო პერიოდში, ისე მის შემდეგაც. მატერიალური დაფინანსების ოდენობა, პირობითად, განსაზღვრულია „ერთეულებით“, რომლის ოდენობაც დადგინდება ყოველი არჩევნების წინ. მაგალითად, 1992 წლისთვის „ერთეული“ შეადგენდა 664 ათას ახალ შეკელს.

პარტია, რომელსაც წარმომადგენლები არ გააჩნდა უკანასკნელი მონვევის ქნესეთში, უფლებამოსილია, არჩევნებში განეული ხარჯების დასაფარავად, მიიღოს დახმარება ყოველ გაყვანილ დეპუტატზე თითო „ერთეულის“ ოდენობით, რასაც ემატება დამატებით კიდევ საერთო დახმარება – ერთი ერთეული, ხოლო პარტიას, რომელსაც ქნესეთში თუნდაც ერთი წევრი მინც ჰყავდა, თანხას იღებს ძველი და ახალი დეპუტატების საშუალო რიცხვის შესაბამისად, რომელსაც ემატება საერთო დახმარება ასევე ერთი ერთეულის ოდენობით. პარტიას, რომელმაც არჩევნებში მიიღო ხმების 1%-ზე მეტი, მაგრამ ვერ გადალახა 1.5%-იანი ბარიერი, განეული ხარჯები უნაზღაურდება მხოლოდ ერთი ერთეულის ოდენობით. ამასთან, საპარლამენტო პარტიე-

ბს სახელმწიფოს ბიუჯეტიდან ეძლევათ ყოველთვიური დაფინანსება პარლამენტის თითოეულ წევრზე ერთეულის 5%-ის ოდენობით.

საარჩევნო სისტემა. ისრაელში არჩევნები ტარდება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი არჩევნების გზით, ფარული კენჭისყრით. ქნესეთის ფორმირება ხდება პროპორციული საარჩევნო სისტემით. ქნესეთისა და პრემიერ-მინისტრის არჩევნები, ფაქტობრივად, ერთდროულად ტარდება. ასე იყო 1992 წლის ცვლილებებითაც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ პრემიერ-მინისტრი პირდაპირი არჩევნების გზით აირჩეოდა. ამ ექსპერიმენტს თავიდან მხარი დაუჭირეს ისრაელის დიდმა პარტიებმა, თუმცა ამჟამად 2001 წელს კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების შედეგად გაუქმებულია პრემიერ-მინისტრის პირდაპირი არჩევის წესი და 2003 წლის არჩევნებით ქვეყანა ძველ, ორიგინალურ საპარლამენტო მმართველობის ფორმას დაუბრუნდება, როდესაც პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი, ამავდროულად ქნესეთში წარდგენილი პარტიული სიის ლიდერიც არის.

აქტიური საარჩევნო ხმის უფლება ქნესეთისა და ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებში მინიჭებული აქვს ისრაელის მოქალაქეს 18 წლიდან, ხოლო პასიური საარჩევნო უფლება 21 წლიდან, თუ სასამართლოს მიერ საერთოდ არა აქვს ჩამორთმეული საარჩევნო უფლება.

ისრაელის საარჩევნო სამართალი რამდენიმე განსაკუთრებული თავისებურებით ხასიათდება. კერძოდ, პირი, რომელსაც მისჯილი ჰქონდა სახელმწიფო უშიშროების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისთვის 5 ან მეტი წლით თავისუფლების აღკვეთა, კანდიდატთა სიაში შეიძლება შეყვანილ იქნეს, პატიმრობიდან გაათავისუფლების 5 წლის შემდეგ. ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირი მხოლოდ მაშინ შეიძლება არჩეულ იქნეს დეპუტატად, თუ იგი კანდიდატთა სიაში შეყვანიდან, ცენტრალური საარჩევნო კომიტეტის თავმჯდომარის მიერ კანდიდატთა სიის დამტკიცებამდე, მოიხსნის სხვა ქვეყნის მოქალაქეობას.

დეპუტატობის კანდიდატად არ შეიძლება წარდგენილ იქნეს პრეზიდენტი, სამოქალაქო და რელიგიური სასამართლოს მოსამართლე, სახელმწიფო კონტროლიორი, სასულიერო პირები – ორი მთავარი რაბი და რაბები, სახელმწიფო თავდაცვის გენერალური შტაბის უფროსი, უფროსი სახელმწიფო მოხელე, სამხედრო მოსამსახურე და რელიგიური მინისტრები.

ქნესეთი აირჩევა 4 წლით, მაგრამ კანონმდებლობით დადგენილ განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლება დაინიშნოს ვადამდელი არჩევნები, რომელიც იმართება ქნესეთის დაშლის დღიდან 90 დღის შემდეგ, პირველ სამშაბათს. თუ არჩევნების დღე ემთხვევა უქმე დღეს, ქნესეთს შეუძლია არჩევნები გადაიტანოს სხვა თარიღისთვის, 100 დღის ფარგლებში. არჩევნების დღე დასვენების დღედ არის გამოცხადებული.

ქნესეთის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს საპარლამენტო და კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულ პარტიას, რომელიც ცენტრალურ საარჩევნო კომიტეტში წარადგენს 2500 ამომრჩევლის ხელმოწერას და კომიტეტის დეპოზიტზე გადარიცხავს დადგენილი ოდენობის საარჩევნო

შენატანს. თანხა პარტიას დაუბრუნდება, თუ არჩევნებში მოიპოვებს ერთ საპარლამენტო მანდატს მაინც.

არჩევნების პროცესს წარმართავს და ხელმძღვანელობს ცენტრალური საარჩევნო კომისია. კომისიას თავმჯდომარეობს უმაღლესი სასამართლოს მოსამართლე. ცენტრალური საარჩევნო კომისია დაკომპლექტებულია საპარლამენტო პარტიების წარმომადგენლებისგან. ცენტრალური საარჩევნო კომისია უფლებამოსილია უარი უთხრას არჩევნებში მონაწილე პარტიას რეგისტრაციაზე, თუ მისი მიზნები და საქმიანობა პირდაპირ ან არაპირდაპირ მიმართულია ებრაელი ხალხისა და ისრაელის სახელმწიფოს, ქვეყნის დემოკრატიული წესწყობილების წინააღმდეგ ან აღვივებს ეროვნულ თუ ეთნიკურ შუღლს.

შექმნილია ასევე რეგიონალური საარჩევნო კომიტეტები, რომლებიც საარჩევნო უბნების საქმიანობას ხელმძღვანელობენ და ზედამხედველობენ. საუბნო კომისია შედგება, როგორც საპარლამენტო, ისე არასაპარლამენტო პარტიების წარმომადგენლებისგან, თუმცა საპარლამენტო პარტიების წარმომადგენელთა რაოდენობა არ შეიძლება იყოს სამზე ნაკლები. საარჩევნო უბნის კომისიის წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი, 16 წელს მიღწეული პირი.

დაუშვებელია პოლიტიკურმა პარტიამ, ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირისგან, პირდაპირი თუ არაპირდაპირი ფორმით, მიიღოს ფულადი დახმარება 500 ახალ შეკელზე მეტი, ხოლო საარჩევნო წელს არაუმეტეს 1000 ახალი შეკელის ოდენობით. დახმარება არ შეიძლება მომდინარეობდეს პირისგან, რომელსაც არ გააჩნია არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

არჩევნებში მონაწილე პარტიას, საარჩევნო კამპანიის წარმართვისთვის, შეუძლია დახარჯოს არა უმეტეს 10 ერთეულის შესაბამისი ფულადი თანხა. თანხის ოდენობა მნიშვნელოვნად იზრდება, თუ პარტია უკანასკნელი არჩევნების შედეგების მიხედვით ქნესეთში წარმოდგენილია არანაკლებ 6 წევრით. ამ შემთხვევაში 6-დან 10 მანდატამდე მფლობელ პარტიას შეუძლია დახარჯოს 20 ერთეულის ოდენობის თანხა, ხოლო 10-ზე მეტი მანდატის მფლობელ პარტიას 20 ერთეულის გარდა, ათზე მეტია ყოველი წევრისთვის შეუძლია დამატებით გამოიყენოს 1.5 ერთეულის ოდენობის თანხა.

პრეზიდენტი აირჩევა ქნესეთის დახურულ საგანგებო სხდომაზე, ფარული კენჭისყრით, ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით, 5 წლით, განმეორებით ერთხელ გადარჩევის უფლებით. პრეზიდენტი არჩეულ უნდა იქნეს წინა პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არა უგვიანეს 90 და არა უადრეს 30 დღისა, ხოლო თუ ამ უკანასკნელის უფლებამოსილება ვადაზე ადრე შეწყდა, მაშინ მისი უფლებამოსილების შეწყვეტიდან 45 დღის განმავლობაში. სახელმწიფო მეთაურის პოსტზე კანდიდატურის წამოყენების უფლება აქვს ქნესეთის დეპუტატთა ათკაციან ჯგუფს. თუ წარდგენილ კანდიდატთაგან ვერც ერთმა ვერ მიიღო საჭირო უმრავლესობა, იმართება გან-

მეორებითი კენჭისყრა. მესამე და ყველა შემდგომ კენჭისყრაზე უარესი შედეგის მქონე კანდიდატი არჩევნებს ეთიშება. ორი კანდიდატის მიერ ერთნაირი ხმების დაგროვებისას ტარდება ხელახალი არჩევნები.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები ყოველ 4 წელიწადში ერთხელ, მთელი ქვეყნის ფარგლებში, ერთდროულად ეწყობა. აქტიური საარჩევნო უფლებით სარგებლობს შესაბამის ტერიტორიაზე მცხოვრები სრულწლოვანი, მათ შორის ისრაელის მოქალაქეობის არმქონე მოსახლეობაც. საკუთარი კანდიდატურის წამოყენების უფლება აქვს შესაბამის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ ისრაელის მოქალაქეს. მერების და ადგილობრივი საბჭოების თავმჯდომარეთა არჩევნებში შეიძლება წარდგენილი იქნეს უპარტიო, ე. წ. თავისუფალი კანდიდატი.

ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებში ასარჩევ ნევრთა რაოდენობა განისაზღვრება მის სამოქმედო ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა რაოდენობის გათვალისწინებით. მუნიციპალიტეტების შემადგენლობა მერყეობს 9-დან 31 ნევრამდე. ადგილობრივ საბჭოებში წარმომადგენელთა რაოდენობა განისაზღვრება 5-დან 21 ნევრამდე. ქალაქის მერები, ისევე როგორც ადგილობრივი საბჭოების თავმჯდომარეები, აირჩევიან პირდაპირ მოსახლეობის მიერ. რაც შეეხება რეგიონული საბჭოების თავმჯდომარეებს, ისინი საკუთარი შემადგენლობიდან ნევრთა უმრავლესობის მხარდაჭერით აირჩევიან. ადგილობრივი ორგანოების ნევრთა შორის კონფლიქტის შემთხვევაში, რომელიც ხელს უშლის ადგილობრივი ორგანოების ნორმალურ ფუნქციონირებას, შინაგან საქმეთა მინისტრი უფლებამოსილია დაშალოს ადგილობრივი ორგანო და დანიშნოს რიგგარეშე არჩევნები.

სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები. ისრაელში ხელისუფლების ბალანსი შემდეგ სახეს ღებულობს: ქვეყანას ჰყავს სახელმწიფოს ფორმალური მეთაური-პრეზიდენტი; საკანონმდებლო ხელისუფლებას ფლობს ერთპალატიანი წარმომადგენლობითი ორგანო – ქნესეთი; აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს მთავრობა, ქვეყნის ფაქტობრივი მეთაურით – პრემიერ-მინისტრით სათავეში; მართლმსაჯულებას ალასრულებენ სამოქალაქო და რელიგიური სასამართლოები – უზენაესი სასამართლო – სინედრიონით სათავეში.

პრეზიდენტი ისრაელის სახელმწიფო სახელისუფლებო სისტემაში ერთობ ნომინალური ფიგურაა. ამის შესახებ ისრაელის პირველმა პრეზიდენტმა ვაიცმანმა მოსწრებულად თქვა, რომ ერთადერთი, რაშიც პრეზიდენტს საკუთარი ცხვირის ჩაყოფა შეუძლია, ეს თავისი ცხვირსახოციაო. მთელი სერიოზულობით კი ერთადერთი უფლებამოსილება, რომლითაც პრეზიდენტს შეუძლია გავლენა მოახდინოს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე, ეს არის მისი უფლება უარი განუცხადოს პრემიერ-მინისტრს, წინადადებაზე ქნესეთის ვადამდელი დათხოვნის თაობაზე. რაც შეეხება მის მონაწილეობას მთავრობის ფორმირების პროცესში, კვლავაც აღდგენილი ძველი მექანიზმის პირობებში, პრეზიდენტის უფლება, მთავრობის ჩამოყალიბება დაავალოს

ქნესეთის წევრს, ძირითადად, ფორმალურია, ვინაიდან მთავრობის მეთაურის კანდიდატურის დასახელებისას პრეზიდენტი ითვალისწინებს პარლამენტში არსებულ პოლიტიკურ ძალთა განლაგებას და ამდენად, პირველი კანდიდატი, ფაქტობრივად, გამარჯვებული პარტიის ან საპარლამენტო კოალიციის ლიდერია. პრეზიდენტის დანარჩენი უფლებები, ძირითადად, ცერემონიული ხასიათისაა, თუ იმას არ ვიტყვით, რომ მოვალეობები სჭარბობს უფლებებს.

„პრეზიდენტის შესახებ“ კანონის შესაბამისად პრეზიდენტმა ხელი უნდა მოაწეროს ქნესეთის მიერ მიღებულ კანონებს, გარდა იმ კანონებისა, რომელიც თავად მის უფლებამოსილებას განსაზღვრავს; მიიღოს მთავრობის გადადგომა; მიანიჭოს პირებს უმაღლესი სახელმწიფო ნოდებები და ჯილდოები; ხელი მოაწეროს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებს. პრეზიდენტს აქვს სამართალდამრღვევთა შეწყალების უფლება, რაც თავისთავად სასჯელისგან პირთა განთავისუფლების, სასჯელის შემსუბუქებისა და სასჯელის შეცვლის უფლებას მოიცავს. მას ასევე შეუძლია შეაჩეროს სისხლის სამართალწარმოება ნებისმიერ სტადიაზე, რაც შეიძლება განპირობებული იყოს მხოლოდ საერთო სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესით. პრეზიდენტი თანამდებობაზე ნიშნავს სამოქალაქო და რელიგიური სასამართლოების მოსამართლეებს, უმაღლეს დიპლომატიურ წარმომადგენლებს, მთელ რიგ სამხედრო და სამოქალაქო თანამდებობის პირებს. პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი ოფიციალური დოკუმენტები იურიდიულ ძალას პრემიერ-მინისტრის ან კომპეტენტური მინისტრის მიერ კონტრასიგნების შემდეგ იძენს.

პრეზიდენტის მიერ საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისთვის ხელის შეწყობის მიზნით, სახელმწიფოს მეთაურთან მოქმედებს პრეზიდენტის ბიურო. ბიუროს შემადგენლობაში შედიან: გენერალური დირექტორი, მისი მოადგილე, სამხედრო ადიუტანტი, ასევე პრეზიდენტის მრჩეველები და თანაშემწეები პოლიტიკაში, ებრაელ დიასპორათა, ეროვნულ უმცირესობათა და სხვა სფეროებში.

„პრეზიდენტის შესახებ“ კანონით პრეზიდენტის პიროვნება ხელშეუხებელია, დაუშვებელია მისი დაკავება ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა. პრეზიდენტი თავისუფალია ჩვენების მიცემის მოვალეობისგანაც, მაგრამ აუცილებლობისას პრეზიდენტისთვის ჩვენების ჩამორთმევის დროსა და ადგილს განსაზღვრავს თვით ქვეყნის მეთაური. ისრაელის კანონმდებლობით პრეზიდენტის თანამდებობა შეუთავსებელია ნებისმიერ სხვა სახელმწიფო, საზოგადოებრივ, პოლიტიკურ თანამდებობასთან ან მანდატთან.

პარლამენტს შეუძლია ვადამდე გადააყენოს პრეზიდენტი ორ შემთხვევაში: პირველი, თუ მიიჩნევა, რომ ის უღირსია ან შეუფერებელია აღნიშნული თანამდებობისთვის და მეორე, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.

პირველ შემთხვევაში ქნესეთში საჩივრის წარდგენის ინიციატორი შეიძლება იყოს საპარლამენტო საკითხების კომიტეტი, ნევრთა 3/4-ის გადაწყვე-

ტილებით და პარლამენტართა ჯგუფი არანაკლებ 20 დეპუტატის შემადგენლობით. პრეზიდენტის გადაყენება დაუშვებელია, თუ მას არ მიეცა საჩივრის უარყოფისა და თავის მართლების საშუალება. აღნიშნული პროცედურის დროს პრეზიდენტი ქნესეთში შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ავტორიტეტული პირების, მაგრამ არა დეპუტატების მიერ. კომიტეტისა და ქნესეთის მოთხოვნის შემთხვევაში, პრეზიდენტის დასწრება სხდომებზე სავალდებულოა. სახელმწიფოს მეთაურის გადაყენების რეზოლუცია მიიღება პარლამენტის ნევრთა 3/4-ის მხარდაჭერით.

მეორე შემთხვევაში პრეზიდენტის გადაყენების ინიციატორი შეიძლება იყოს საპარლამენტო საკითხთა კომიტეტი, ნევრთა 2/3-ის გადანყვეტილებით, რომელიც დამყარებული იქნება სამედიცინო დასკვნაზე. ამ დროს პრეზიდენტის გადაყენების რეზოლუცია მიიღება ქნესეთის ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით. თუმცა, პრეზიდენტი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო შეიძლება სამი თვით ჩამოცილებულ იქნეს საქმიანობას: მისი განცხადებითა და პარლამენტის უმრავლესობის თანხმობით ან საპარლამენტო საკითხების კომიტეტის ინიციატივით, ნევრთა 2/3-ის გადანყვეტილებით. აღნიშნული ვადა შეიძლება გააგრძელოს კომიტეტმა კიდევ სამ თვემდე. ვადის შემდგომი გაგრძელება შეიძლება, მხოლოდ ქნესეთის ნევრთა აბსოლუტური უმრავლესობით მიღებული რეზოლუციის საფუძველზე. პრეზიდენტს შეუძლია გადადგეს საკუთარი ნებითაც, რის შესახებაც მან განცხადებით უნდა მიმართოს პარლამენტის სპიკერს. პრეზიდენტი გადამდგარად ითვლება განცხადების შეტანიდან 48 საათის გასვლის შემდეგ, თუ ამ ვადაში არ მოხდა განცხადების უკან გამოთხოვნა. გადამდგარი და საქმიანობას დროებით ჩამოცილებული პრეზიდენტის ადგილს იკავებს ქნესეთის თავმჯდომარე.

საკანონმდებლო ხელისუფლება. ქნესეთი ისრაელის ერთპალატიანი საკანონმდებლო ორგანოა. მისი 120 დეპუტატი, პროპორციული სისტემით, 4 წლის ვადით აირჩევა. დეპუტატები აღჭურვილი არიან თავისუფალი მანდატით. საპარლამენტო საქმიანობა მიმდინარეობს პლენარულ სხდომებზე, 12 მუდმივ და სამ დროებით, კონკრეტულ საკითხთა კომიტეტებში. ქნესეთს, საჭიროებისას შეუძლია შექმნას საგამოძიებო კომისია ან ამ უფლებამოსილებით დროებით აღჭურვოს რომელიმე მუდმივი კომიტეტი, ანდა მუდმივ კომიტეტს დაავალოს საკუთარი შემადგენლობიდან დააკომპლექტოს აღნიშნული კომისია. ამასთან, საგამოძიებო კომისია უნდა დაკომპლექტდეს იმ პარტიების წარმომადგენლებით, რომლებიც მთავრობაში არ არიან წარმოდგენილი.

ქნესეთი პირველ სხდომაზე ირჩევს პარლამენტის თავმჯდომარეს და ვიცე-თავმჯდომარეს. არანაკლებ 30 დეპუტატის ან მთავრობის მოთხოვნის საფუძველზე თავმჯდომარე უფლებამოსილია, მოინვიოს რიგგარეშე სხდომა. თუ ქნესეთის თავმჯდომარე ჯანმრთელობის გაუარესების გამო ვერ ახორციელებს დაკისრებულ მოვალეობას, საპარლამენტო საკითხების კომიტეტი

საკუთარი ინიციატივით ან ქნესეთის თავმჯდომარის განცხადების საფუძველზე, მუდმივად ან დროებით ჩამოაშორებს მას თანამდებობას და თავმჯდომარის უფლებამოსილებას ასრულებს ვიცე-თავმჯდომარე.

ქნესეთში იქმნება ფრაქციები, აღსანიშნავია, რომ ფრაქციას შეიძლება წარმოადგენდეს ერთი პირიც კი, რომელიც პარტიული სიით მოხვდა პარლამენტში და იგი საპარლამენტო საკითხების კომიტეტის მიერ დარეგისტრირდება როგორც ფრაქცია.

საკანონმდებლო ინიციატივის უფლება ეკუთვნის დეპუტატს, პარლამენტის კომიტეტს, მთავრობას და მინისტრებს. სამთავრობო კანონპროექტის უმრავლესობას ამზადებს იუსტიციის მინისტრი. ნებისმიერი მინისტრის მიერ მომზადებული კანონპროექტი, პარლამენტში წარდგენამდე, უნდა გადაეცეს იუსტიციის და ფინანსთა მინისტრებს, შესაბამისად, სამართლებრივი და ეკონომიკურ-საბიუჯეტო თვალსაზრისით შეფასების მიზნით, რის შემდეგაც საკუთარი შენიშვნების გამოთქმის საშუალება ეძლევათ სხვა მინისტრებსაც. კანონპროექტი საბოლოოდ მონონებული უნდა იყოს მთავრობის მიერ.

საპარლამენტო კომიტეტის უფლებამოსილება საკანონმდებლო ინიციატივის სფეროში შეზღუდულია. მისი საკანონმდებლო ინიციატივის უფლება ვრცელდება მხოლოდ ძირითად, საარჩევნო, ქნესეთის და პარლამენტის წევრის სტატუსის განმსაზღვრელ, ასევე სახელმწიფო კონტროლიორის შესახებ კანონმდებლობის სფეროზე. აღსანიშნავია, რომ კომიტეტის კანონპროექტი და სამთავრობო კანონპროექტი ერთნაირი სტატუსით სარგებლობენ. რაც შეეხება დეპუტატებისა და საპარლამენტო ჯგუფების მიერ წარსადგენ კანონპროექტებს, მათი რაოდენობა შეზღუდულია და წინასწარ განისაზღვრება საპარლამენტო წლის დასაწყისში.

დეპუტატი და მინისტრი წარმოდგენილ კანონპროექტებს გადასცემენ პარლამენტის თავმჯდომარეს. ქნესეთის წევრის კანონპროექტი, თავდაპირველად, გასაცნობად გადაეცემა პარლამენტის პრეზიდიუმს. აქ წყდება პარლამენტარის კანონპროექტის განსახილველად დაშვების საკითხი. კანონპროექტი, რომელიც რასისტულ შინაარსს ატარებს და სახელმწიფოს უშიშროებას ეწინააღმდეგება, პარლამენტის სხდომაზე განსახილველად არ დაიშვება. ქნესეთში კანონპროექტი სამი მოსმენით განიხილება, პირველი მოსმენით ხდება კანონპროექტის გაცნობა, შემდეგ კანონპროექტი გადაეცემა შესაბამის მუდმივ კომიტეტს, გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით დამუშავებისა და მეორე მოსმენისთვის მოსამზადებლად. ამ სტადიაზე კომიტეტს, საპარლამენტო საკითხების კომიტეტის თანხმობით, აქვს კანონპროექტის გაყოფისა და გაერთიანების უფლება. მეორე მოსმენის დროს ხდება კანონპროექტის მუხლობრივი განხილვა. მესამე მოსმენისას კი კენჭი ყირება კანონპროექტის საბოლოო, რედაქტირებულ ვარიანტს. კანონის მიღება ხდება სხდომის უფლებამოსილების განუხაზღვრელი კორუმის პირობებში, დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით. იმავე წესით მიიღება, ძირითადი კანონებიცა და მათი შესწორება-დამატებებიც, გარდა

ქნესეთის და მთავრობის შესახებ კანონებისა, ე.წ. განმტკიცებელი მუხლებისა.

ქნესეთს ფართო უფლებამოსილება აქვს მთავრობის საქმიანობაზე კონტროლის სფეროში: იღებს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონს; წარმართავს საპარლამენტო გამოძიებას; შეკითხვებით მიმართავს მინისტრებს. მთავრობის საქმიანობაზე ზემოქმედებისა და კონტროლის მხრივ ქნესეთის მნიშვნელოვანი უფლებაა უნდობლობა გამოუცხადოს ქვეყნის უმაღლეს აღმასრულებელ ორგანოს. ამ შემთხვევაში, პრეზიდენტმა ორი დღის ვადაში უნდა შეარჩიოს მთავრობის მეთაურის ახალი კანდიდატურა.

მთავრობის კონტროლის სფეროში მნიშვნელოვანია ასევე ქნესეთის და მისი კომიტეტების უფლება მოსთხოვონ მთავრობას და მის წევრებს წარმოადგინონ ინფორმაცია ნებისმიერ მნიშვნელოვან საკითხზე, ასევე მოხსენება საკუთარი საქმიანობის შესახებ. ამ მიზნით, პარლამენტის წევრთა 1/3-ის მოთხოვნით, შეიძლება მოწვეულ იქნეს პრემიერ-მინისტრი. აღნიშნული სახის მოთხოვნა შეიძლება დადგეს თვეში არა უმეტეს ერთისა. თავის მხრივ, ქნესეთიც ვალდებულია მოუსმინოს მთავრობის წევრებს მათი მოთხოვნის შემთხვევაში. ქნესეთის საკონტროლო უფლებამოსილების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ პრემიერ-მინისტრისა და მინისტრებისთვის კანონით მინიჭებულ სფეროში და ფარგლებში გამოცემული ნორმატიული აქტები ძალაში შედის, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას მოიწონებს შესაბამისი კომიტეტი.

ქნესეთი უფლებამოსილია წევრთა უმრავლესობით მიიღოს გადაწყვეტილება თვითდაშლის შესახებ. ქნესეთის დათხოვნის საკითხი შეიძლება დადგეს, თუ ის ფისკალური წლის დაწყებიდან სამი თვის ვადაში არ დაამტკიცებს სახელმწიფოს ბიუჯეტის შესახებ კანონს. ქნესეთის დათხოვნა, პრეზიდენტის თანხმობით, პრემიერ-მინისტრსაც შეუძლია, თუ მიიჩნევს, რომ ქნესეთის უმრავლესობა მას ოპოზიციაში უდგას. თუმცა, პარლამენტის დათხოვნის თაობაზე ბრძანების გამოქვეყნებიდან 21 დღის ვადაში, ქნესეთს შეუძლია უნდობლობა გამოუცხადოს პრემიერ-მინისტრს და თავისი წევრების უმრავლესობით მთავრობის მეთაურის შემცვლელი კანდიდატურის არჩევის და პრეზიდენტისადმი თხოვნის გზით – მთავრობის ფორმირება დააკისროს მის კანდიდატს. პრეზიდენტი მოვალეა დააკმაყოფილოს პარლამენტის უმრავლესობის თხოვნა. აღნიშნული წესით ისრაელის კანონმდებლობა ამკვიდრებს პარლამენტსა და მთავრობას შორის დაპირისპირების გადანყვეტის გერმანულ ვარიანტს, ე. წ. „კონსტრუქციული ვოტუმის“ სახით, მაგრამ, თუ ქნესეთის მიერ შეთავაზებული კანდიდატი დადგენილ ვადაში ვერ ჩამოაყალიბებს მთავრობას ან შეთავაზებული მთავრობის შემადგენლობა ვერ მოიპოვებს პარლამენტის ნდობას, ქნესეთი ავტომატურად იშლება და იმართება ვადამდელი არჩევნები. ქნესეთის დათხოვნა დაუშვებელია: ახალი ქნესეთის საქმიანობის დაწყებიდან მთავრობის ჩამოყალიბებამდე, როდესაც ქნესეთში დაყენებულია პრემიერ-მინისტრის გადაყენების საკითხი, ასევე ქნეს-



ეთის მიერ მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადების შემდეგ. ქნესეთის დათხოვნა მთავრობის უფლებამოსილების შეწყვეტასაც გულისხმობს.

ქნესეთის კომპეტენციაშია ნევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით, საკუთარი ან მთავრობის ინიციატივით, გამოაცხადოს ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა. დეკლარაცია საგანგებო მდგომარეობის შესახებ ძალაშია მასში მითითებული ვადის განმავლობაში, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლისა. ვადა შეიძლება გაგრძელდეს ზემოთ აღნიშნული წესით. განსაკუთრებულ შემთხვევაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება, ქნესეთისგან დამოუკიდებლად მთავრობასაც შეუძლია, მაგრამ მთავრობის დეკლარაცია მოქმედებს 7 დღის მანძილზე, ვიდრე მას დაადასტურებს ან გააუქმებს ქნესეთი.

პარლამენტის ნევრი ხელშეუხებელია. იგი სარგებლობს იმუნიტეტით, როგორც სისხლის ისე, სამოქალაქო პასუხისმგებლობის სფეროში. ქნესეთის თანხმობის გარეშე, დაუშვებელია მის წინააღმდეგ სისხლის თუ სამოქალაქო საპროცესო ღონისძიების გატარება, ასევე დეპუტატისთვის, ქვეყნის ტერიტორიაზე გადაადგილებისას რაიმე დაბრკოლების შექმნა.

პარლამენტარი შეიძლება ასრულებდეს მხოლოდ არაანაზღაურებად, ნებაყოფლობით სამუშაოს, პარლამენტის ნევრის მიერ საკუთარი მოვალეობის დარღვევის საკითხს იხილავს ეთიკის კომიტეტი. პარლამენტის ნევრს შეუძლია ნერვილობით აცნობოს ქნესეთის თავმჯდომარეს და საკუთარი ინიციატივით გადადგეს... დეპუტატის უფლებამოსილება შეწყვეტილად ითვლება განცხადების შეტანიდან 48 საათის შემდეგ. ქნესეთი უფლებამოსილია საპარლამენტო საკითხთა კომიტეტის ან არანაკლებ ათი პარლამენტარის მოთხოვნის საფუძველზე თანამდებობიდან გადააყენოს უღირსი დეპუტატი, რომელმაც ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული და სასამართლოს საბოლოო განაჩენით მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა ერთ წელზე მეტი ვადით. ამისთვის კი საჭიროა დეპუტატის წინააღმდეგ შეტანილ იქნეს ერთ-ერთი ზემოთ აღნიშნული სუბიექტების საჩივარი. ქნესეთის ნევრი გადაყენებულად ითვლება, თუ მოთხოვნას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის 2/3.

ქნესეთის საპარლამენტო საკითხთა კომიტეტი უფლებამოსილია ერთ-ერთი პარლამენტარის მოთხოვნის საფუძველზე, საქმის წარმოების დამთავრებამდე, დროებით ჩამოაშოროს საქმიანობას დეპუტატი, რომლის მიმართაც მიმდინარეობს სისხლის სამართლის გამოძიება. კომიტეტს შეუძლია სასჯელის მოხდამდე, შეუჩეროს დეპუტატს უფლებამოსილება.

ქნესეთი, პრეზიდენტის რეკომენდაციით, 5 წლით, ფარული კენჭისყრით ირჩევს სახელმწიფო კონტროლიორს, რომელიც პასუხისმგებელია მხოლოდ მის წინაშე და ახორციელებს სახელმწიფო ორგანოების, თანამდებობის პირების საქმიანობის კანონიერებაზე ზედამხედველობას და განიხილავს მოქალაქეთა საჩივრებს.

მთავრობა. „მთავრობის შესახებ“ 2001 წლის კანონის თანახმად მთავრობის ფორმირებას ახდენს, პარლამენტთან კონსულტაციებს შემდეგ, პრეზიდენტის

მიერ უფლებამოსილი დეპუტატი, რომელიც ამაზე წერილობით გამოხატავს თანხმობას და მთავრობის დამტკიცებისთანავე სათავეში ჩაუდგება მას, როგორც პრემიერ-მინისტრი. კანდიდატს მთავრობის ფორმირებისთვის ეძლევა 28 დღე, რომელიც საჭიროებისას, შეიძლება პრეზიდენტის მიერ 14 დღით გაგრძელდეს. დადგენილი ვადის გადაცილების ან მთავრობის შემოთავაზებული შემადგენლობისადმი ქნესეთის მიერ უნდობლობის გამოცხადების შემთხვევაში პრეზიდენტი უფლებამოსილია: შეტყობინებით მიმართოს პარლამენტის სპიკერს მოცემულ პირობებში მთავრობის ფორმირების შეუძლებლობის შესახებ ან სხვა პარლამენტარს დაავალოს მთავრობის ჩამოყალიბება. თუ პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ მთავრობის შექმნა შეუძლებელია, ანდა მისმა მეორე კანდიდატმაც მარცხი განიცადა, პარლამენტს შეუძლია, ხმათა უმრავლესობით, წერილობით საკუთარი კანდიდატურა შესთავაზოს სახელმწიფო მეთაურს. წერილობითი მოთხოვნა წარდგენილ უნდა იქნეს, პრეზიდენტის კანდიდატურის მიერ მთავრობის შექმნის შეუძლებლობის შესახებ შესაბამისი განცხადების, კანონით დადგენილი ვადის დარღვევის, ანდა შეთავაზებული მთავრობისადმი უნდობლობის გამოხატვიდან არა უგვიანეს 21 დღეში. პრეზიდენტი ვალდებულია დაეთანხმოს პარლამენტის მოთხოვნას.

პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი მთავრობის შემადგენლობის შერჩევის ფაქტს ატყობინებს პრეზიდენტსა და პარლამენტის სპიკერს. შეტყობინებიდან შვიდი დღის ვადაში იგი ვალდებულია წარდგეს ქნესეთის წინაშე და გააკეთოს მოხსენება აღმასრულებელი ხელისუფლების მომავალი საქმიანობის ძირითად მიმართულებებსა და სხვა საპროგრამო საკითხებზე. ნდობის მიღების შემდეგ პრემიერი და მინისტრები ფიცს დებენ ქნესეთის წინაშე.

ისრაელის კანონმდებლობით მთავრობა უფლებამოსილია სახელმწიფოს სახელთ და კანონის შესაბამისად მიიღოს გადაწყვეტილებები და განახორციელოს ნებისმიერი მოქმედება, რომელიც არ შედის სხვა ორგანოთა კომპეტენციაში. მთავრობას ესაჭიროება ქნესეთის თანხმობა ისეთი საკითხების გადასაწყვეტად, როგორიცაა: ცალკეული სამინისტროებისა და მინისტრების უფლება-მოვალეობათა განსაზღვრა, შეცვლა ან გადანაწილება; სამინისტროების გაერთიანება ან დანაწევრება; პრემიერ-მინისტრის წინადადებით ახალი სამინისტროების შექმნა და მინისტრების დანიშვნა.

მთავრობა გამოსცემს საგანგებო აქტებს, რომლითაც შეიძლება შეიცვალოს ან შეჩერდეს პარლამენტის კანონები, შემოღებულ ან გაზრდილ იქნეს სახელმწიფო გადასახადები. აქტები გამოცემისთანავე, დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობებისა და უშიშროების კომიტეტს. საგანგებო მდგომარეობისას საგანგებო აქტების გამოცემის უფლება აქვს პრემიერ-მინისტრსაც, რომელსაც შეუძლია ამ უფლების დელეგირება სხვა მინისტრებზე. საგანგებო აქტები ძალას ინარჩუნებენ გამოცემიდან სამი თვის მანძილზე, თუ ქნესეთის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით გაუქმებულ ან ვადაგაგრძელებულ არ იქნება. საგანგებო მდგომარეობის შეწყვეტის შემთხვევაში აქტები ძალას ინარჩუნებენ

დადგენილ ვადამდე, მაგრამ არა უმეტეს 60 დღისა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათი მოქმედების ვადა გახანგრძლივდება კანონით.

მთავრობა აერთიანებს, როგორც ცალკეული სფეროს კურატორ მინისტრებს, ისე უპორტფელი მინისტრებს. მთავრობის მუშაობას წარმართავს და ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრი, ის თავმჯდომარეობს მთავრობის სხდომებს და ადგენს ხმის მიცემის პროცედურებს მთავრობასა და კომიტეტებში. მთავრობასთან, მინისტრთა შემადგენლობით, იქმნება მუდმივი ან დროებითი კომიტეტები, რომლებიც მთავრობასთან კოორდინირებულად საქმიანობენ. ამ კომიტეტებიდან აღსანიშნავია, ე.წ. „მცირე კაბინეტი“, რომელიც არა უმეტეს 9 ნევრისგან შედგება და სახელმწიფოს უმიშროების საკითხებს განიხილავს. მის შემადგენლობაში აუცილებლად უნდა შედიოდნენ იუსტიციის და თავდაცვის, შინაგან საქმეთა და ფინანსთა მინისტრები.

პრემიერ-მინისტრი ვადამდე კარგავს თანამდებობას: მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადების, პარლამენტის მანდატის დაკარგვის, იმპიჩმენტის წესით გადაყენების, უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის, გარდაცვალების და საკუთარი ნებით გადადგომის შემთხვევაში. მთავრობის მეთაურის გადადგომა ან გადაყენება ინვეს მთავრობის სრული შემადგენლობის გადადგომას..

პრემიერ-მინისტრის მიმართ მისხლის სამართლის საქმის წარმოება, მისი იმპიჩმენტის წესით გადაყენებისას, შეიძლება დაიწყოს მხოლოდ გენერალ-ატორნის თანხმობით, რომელიც გამოდის ასევე ბრალმდებლის როლში იერუსალიმის რაიონულ სასამართლოში, რომელიც საქმეს განიხილავს სამი მოსამართლის შემადგენლობით. მთავრობის მეთაურის დამნაშავედ ცნობისთვის არსებითია იმის დადგენა, თუ რამდენად ექვემდებარება მის მიერ ჩადენილი ქმედება მორალურად გასაკიცხთა კატეგორიას. სასამართლოს მიერ პრემიერ-მინისტრის დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში პარლამენტში დაისმება საკითხი მისი გადაყენების თაობაზე. მთავრობის მეთაურის გადაყენების რეკომენდაციას ამზადებს და ქნესეთს 30 დღის ვადაში წარუდგენს საპარლამენტო საკითხთა კომიტეტი. კომიტეტში რეკომენდაცია მიიღება ნევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით. აღნიშნულ ვადაში რეკომენდაციის წარუდგენლობის შემთხვევაში იმპიჩმენტის საკითხს ქნესეთის წინაშე სვამს სპიკერი. გადაწყვეტილება პრემიერის თანამდებობიდან გადაყენების თაობაზე მიიღება ქნესეთის სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

პრემიერ-მინისტრის გარდაცვალების, უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის ან ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში მის ადგილს, დროებით იკავებს ქნესეთის ყოფილი პრემიერის ფრაქციის ნევრი ერთ-ერთი მინისტრი, რომელიც აღჭურვილი იქნება პრემიერ-მინისტრისთვის კანონმდებლობით მინიჭებული სრული უფლებამოსილებით, გარდა ქნესეთის ან თხოვნის უფლებისა. მთავრობის მეთაურის ქვეყანაში არყოფნისას ან უფლებამოსილების დროებით განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში მის ფუნქციებს პრემიერის დავალებით ასრულებს ერთ-ერთი მინისტრი.

ისრაელში თითოეული მინისტრი ინიშნება და თავისუფლდება მთავრობის მეთაურის მიერ. მინისტრს შეუძლია საკუთარი ინიციატივითაც დატოვოს თანამდებობა, რის შესახებ წერილობით უნდა აცნობოს პრემიერ-მინისტრს. მინისტრი ასევე კარგავს თანამდებობას, თუ რაიონული სასამართლო მას დამნაშავედ ცნობს მინისტრისთვის მორალურად შეუფერებელ ქმედებაში.

მინისტრად შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელიც ცხოვრობს ისრაელში და არ ეწევა პარლამენტარისთვის შეუთავსებელ საქმიანობას. მინისტრი არ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც ჩადენილი აქვს მინისტრისათვის მორალურად შეუფერებელი დანაშაული – სასჯელის მოხდიდან ორი წლის განმავლობაში, ხოლო თუ პირს მისჯილი ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა სასჯელაღსრულებითი დანესებულებიდან მისი განთავისუფლებიდან 7 წლის განმავლობაში, აგრეთვე, ქნესეთის წევრი, რომელმაც მისი უფლებამოსილების ვადის ამონურვამდე დატოვა საპარლამენტო ფრაქცია ან შეტანილი აქვს განცხადება გადადგომის შესახებ. აღსანიშნავია, რომ ისრაელის კანონმდებლობით მინისტრი შეიძლება იყოს უცხო ქვეყნის მოქალაქეც, თუ ამას არ კრძალავს თვით უცხო სახელმწიფოს კანონმდებლობა.

შესაბამისი ფუნდამენტური კანონის ძალით სახელმწიფო კონტროლიორი ახორციელებს კონტროლს მთავრობის, სახელმწიფო საწარმოების, ინსტიტუტების, კორპორაციების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და სხვა სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის კანონიერებაზე, მიზანშეწონილობაზე, ეფექტურობაზე, ეკონომიკურობაზე, აგრეთვე, სხვა საკითხებზე, რომელსაც სახელმწიფო კონტროლიორი მიზანშეწონილად მიიჩნევს. ამ ფუნქციის განსახორციელებლად კონტროლიორი გამოსცემს დირექტივებს, რეკომენდაციებს, იღებს საჯარო იურიდიულ პირთა ფინანსურ ანგარიშებს და გვეგებს. ქნესეთის კონტროლის კომიტეტის თანხმობით, სახელმწიფო კონტროლიორს შეიძლება მიენიჭოს პარლამენტის საგამოძიებო კომისიის უფლებამოსილებები.

**სასამართლო სისტემა.** ისრაელის სასამართლო სისტემა ჩამოყალიბდა 1984 წლის ძირითადი კანონით სასამართლოების შესახებ. ქვეყანაში მოქმედებს სამოქალაქო და რელიგიური სასამართლოები. სამოქალაქო სასამართლოების სისტემაში შედიან: მომრიგებელი სასამართლოები, საოლქო სასამართლოები, ისრაელის უმაღლესი სასამართლო – სინედრიონი და სხვადასხვა სპეციალური სასამართლო.

მომრიგებელ სასამართლოში მოსამართლე საქმეს განიხილავს ერთპიროვნულად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მომრიგებელი სასამართლოს თავმჯდომარის – პრეზიდენტის განკარგულებით საქმის განხილვა დაევალება სამ მოსამართლეს კოლეგიალურად. ამ სასამართლოს უფლებამოსილება საკმაოდ გაიზარდა 1990 წლიდან და მის იურისდიქციაში მოექცა იმ კატეგორიის მთელი რიგი საქმეები, რომლებსაც ადრე საოლქო სასამართლო იხილავდა. მომრიგებელი სასამართლოები განიხილავენ სისხლის სამართლის საქმეებს, რომლისთვისაც გათვალისწინებულია 7 წლამდე თავისუფლების

აღკვეთა, ასევე სამოქალაქო საქმეებს, რომლის დავის საგნის ღირებულება არ აღემატება მილიონ შეკელს და ზოგიერთ საოჯახო საქმეებს.

საოლქო სასამართლოები განიხილავენ აპელაციებს მომრიგებელი სასამართლოს გადაწყვეტილებებზე, ასევე სამოქალაქო საქმეებს, რომლის დავის საგნის ღირებულება აღემატება მილიონ შეკელს და სისხლის სამართლის საქმეებს იმ დანაშაულთათვის, რომლისთვისაც გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 7 წელზე მეტი ვადით. საოლქო სასამართლოს კომპეტენციაში, შედის იმ კატეგორიის საქმეების გადაწყვეტაც, რომელიც დაკავშირებულია მსჯავრდადებულთა საჩივრებთან, აგრეთვე, ეკონომიკურ დავებთან, გაკოტრებასთან, გადასახადებთან და საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე კანდიდატთა რეგისტრაციის დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებულ სააპელაციო საჩივრებთან. კოლეგიურად, სამი მოსამართლის შემადგენლობით განიხილება: სააპელაციო, 9 წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთით დასჯადი სისხლის სამართლის საქმეები და ასევე სხვა კატეგორიის საქმეები, სასამართლოს პრეზიდენტის ან მისი მოადგილის მითითებით.

ისრაელის უმაღლესი სასამართლო, ე.წ. სამართლიანობის უმაღლესი სასამართლო ქვეყნის უმაღლესი სასამართლო ინსტანციაა, რომლის გადაწყვეტილებაც სავალდებულოა არა მხოლოდ ქვემდგომი სასამართლო ინსტანციებისთვის, არამედ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოებისთვისაც. უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობაში შედის 12 მოსამართლე, მისი პრეზიდენტი კი თაონობს ისრაელის მთელ სასამართლო ხელისუფლებას. უმაღლესი სასამართლო წარმოადგენს უკანასკნელ სააპელაციო ინსტანციას სისხლის, სამოქალაქო, დისციპლინარულ და საარჩევნო საქმეებზე; სამართლიანობის უზრუნველყოფის და დაცვის მიზნით ის უფლებამოსილია ჩაერიოს სამართალწარმოების პროცესში, გაათავისუფლოს უკანონოდ დაპატიმრებული ან გასამართლებული პირი; როგორც სამართლიანობის უმაღლესი სასამართლო, იხილავს საჩივრებს და სარჩელებს მთავრობის, მისი დანესებულებების და თანამდებობის პირების წინააღმდეგ, როგორც პირველი და უკანასკნელი ინსტანციის სასამართლო. ამასთან, უმაღლესი სასამართლო წყვეტს იურისდიქციულ დავებს უფრო დაბალ სამოქალაქო და რელიგიურ სასამართლოებს შორის. უმაღლეს სასამართლოში, როგორც წესი, საქმეები განიხილება კოლეგიურად, სამი მოსამართლის შემადგენლობით, თუმცა სასამართლოს პრეზიდენტის, მისი მოადგილის ან საქმის განმხილველი კოლეგიის გადაწყვეტილებით მოსამართლეთა რაოდენობა შეიძლება გაიზარდოს. ზოგიერთი კატეგორიის საქმეები უმაღლეს სასამართლოში განიხილება ერთპიროვნულადაც, კერძოდ: ადმინისტრაციულ ბრძანებათა შეჩერების, გაუქმების ან გაბათილების საკითხები.

რაც შეეხება, ე.წ. განსაკუთრებულ სასამართლოებს, ისინი იქმნება მკვეთრად განსაზღვრული იურისდიქციით. მაგალითად, შრომის სასამართლოები შრომის სამართლის სფეროში წარმოშობილ დავებს განიხილავენ. შექმნილია რეგიონული შრომის სასამართლოები და შრომის ეროვნული სასამართლო, რომელიც სააპელაციო წესით იხილავს რეგიონული სასამა-

რილოს გადანყვეტილებებს და ზოგიერთი კატეგორიის საქმეებს პირველი ინსტანციით. პრობის ეროვნული სასამართლოს გადანყვეტილებები შეიძლება გადაინსინჯოს უმაღლესი სასამართლოს მიერ.

სამხედრო სასამართლოები შექმნილია სამხედრო პირთა სისხლის და სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხებთან დაკავშირებით. მოქმედებს ქვემდგომი სამხედრო სასამართლოები და სამხედრო სააპელაციო სასამართლო. მათი გადანყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს უმაღლეს სასამართლოში.

საქმეები, რომელიც ეხება მოქალაქეთა საოჯახო ურთიერთობებს, როგორცაა ქორწინება, განქორწინება, ალიმენტი, მეურვეობა, შვილად აყვანა, შედის ცალკეული რელიგიური სასამართლოების იურისდიქციაში. ასეთებია: რაბინის სასამართლოები – ებრაელებისთვის, რომელიც თალმუდის კანონების საფუძველზე მოქმედებს; შარიათის სასამართლოები – მუსლიმანებისთვის, და საეკლესიო სასამართლოები – ქრისტიანებისთვის, რომლებიც ისრაელში ოფიციალურად აღიარებულ ათ ქრისტიანულ საზოგადოებას მიეკუთვნება.

ისრაელში ასევე მოქმედებს: ადმინისტრაციული, მუნიციპალური, არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოები. ამ სასამართლოებში მოსამართლე საქმეს ერთპიროვნულად განიხილავს.

სასამართლოს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ტიპი ორგანიზაციულად შესაბამის სამინისტროს ექვემდებარება: სამოქალაქო სასამართლოები – იუსტიციის სამინისტროს, რელიგიური სასამართლოები – რელიგიის საქმეთა სამინისტროს, სამხედრო სასამართლოები – თავდაცვის სამინისტროს, თუმცა, მართლმსაჯულების განხორციელებისას ისინი დამოუკიდებელი არიან.

ქვეყნის პრეზიდენტის მიერ მოსამართლეებად, მოსამართლეთა დამნიშნავი კომიტეტის წარდგინებით, ინიშნებიან ისრაელის მოქალაქეები. აღნიშნული კომიტეტი შედგება უმაღლესი კვალიფიკაციის 9 წევრისგან და მის შემადგენლობაში შედიან: უმაღლესი სასამართლოს პრეზიდენტი და ორი მოსამართლე, იუსტიციის მინისტრი და მთავრობის მიერ დანიშნული კიდევ ერთი მინისტრი, ქნესეთის 2 დეპუტატი და ადვოკატთა ასოციაციის ეროვნული კონსულის მიერ შერჩეული 2 წარმომადგენელი. კომიტეტი უფლებამოსილია, თუ მას ესწრება 7 წევრი მაინც და მას თავმჯდომარეობს იუსტიციის მინისტრი. გადანყვეტილება მოსამართლეობის კანდიდატად წარდგენის თაობაზე მიიღება წევრთა უმრავლესობის მხარდაჭერით.

მოსამართლეები ინიშნებიან უვადოდ, საპენსიო ასაკად მიჩნეულ 70 წლამდე. მომრიგებელ სასამართლოში მოსამართლედ შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელიც აკმაყოფილებს ადვოკატთა ასოციაციის წევრისთვის განსაზღვრულ პირობებს და აქვს არანაკლებ სამი წლით სამართლის პედაგოგად, იურიდიულ სპეციალობით სახელმწიფო სამსახურში ან ატორნეად მუშაობის გამოცდილება. საოლქო სასამართლოს მოსამართლედ დანიშნვისთვის კი საჭიროა მომრიგებელ მოსამართლედ მუშაობის არანაკლებ 4 წლის ან

სამართლის სფეროში პროფესიული საქმიანობის 6 წლის გამოცდილება. უმაღლესი სასამართლოს მოსამართლედ შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელსაც 5 წელი მაინც უმუშავია საოლქო სასამართლოს მოსამართლედ და აქვს 10 წლით პროფესიული მუშაობის გამოცდილება.

მოსამართლეს უფლებამოსილება უწყდება: თუ გავა პენსიაზე, ნებაყოფლობით გადადგება; აირჩევა ან დაინიშნება ქნესეთის დეპუტატობის კანდიდატისთვის შეუთავსებელ თანამდებობაზე; მოსამართლეთა დამნიშნავი კომიტეტის გადაწყვეტილებით, როდესაც მოსამართლის გადაყენების საკითხს დააყენებს იუსტიციის მინისტრი და უმაღლესი სასამართლოს პრეზიდენტი, ხოლო გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს კომიტეტის 7 წევრი მაინც; დისციპლინარული სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომლის შემადგენლობაში შედიან უმაღლესი სასამართლოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული და პენსიაზე გასული მოსამართლეები.

მოსამართლეები სარგებლობენ გარკვეული იმუნიტეტით: დაუშვებელია გენერალ-ატორნიის თანხმობის გარეშე, მოსამართლის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების დაწყება ან მოსამართლის წინააღმდეგ მიმართული დოკუმენტების შესაბამის ორგანოებში წარდგენა. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდენტს წარუდგენენ მოსამართლის წინააღმდეგ მიმართულ საჩივარს ან ინფორმაციას, მას შეუძლია მოსამართლეს დროებით შეუჩეროს უფლებამოსილება.

ვინაიდან ისრაელს არ გააჩნია დანერვილი კოდიფიცირებული კონსტიტუცია და არც საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი არსებობს, მისი კლასიკური გაგებით. საკონსტიტუციო ზედამხედველობის ფუნქციას, ნაწილობრივ, უმაღლესი სასამართლო ასრულებს. უკანასკნელ ხანებამდე ისრაელის უმაღლესი სასამართლო მოკლებული იყო ამგვარ ფუნქციას, თუმცა მას შეეძლო გაეუქმებინა მთავრობისა და ადგილობრივი ორგანოების მიერ გამოცემული ადმინისტრაციული და სხვა კანონქვემდებარე აქტები, კანონთან შეუსაბამობის მოტივით. 1995 წლიდან უმაღლესმა სასამართლომ თავის თავზე აიღო ჩვეულებრივი კანონების ძირითად კანონებთან შესაბამისობის ფუნქციაც.

ისრაელის სახელმწიფოში არ არსებობს პროკურატურის ინსტიტუტი. აქ ისევე, როგორც ბრიტანეთში გენერალური პროკურორის როლში სახელმწიფოს მთავარი იურიდიული მრჩეველი — გენერალ-ატორნი გამოდის, რომელიც სახელმწიფო სამართალდამცავი სამსახურის მეთაურია და აღჭურვილია ექსკლუზიური უფლებით წარმოადგინოს და დაიცვას სახელმწიფოს ინტერესები სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე. ისრაელის კანონმდებლობით სახელმწიფო დანსებულებებს არა აქვთ უფლება განახორციელონ ისეთი ქმედება, რომელიც გენერალ-ატორნიის აზრით კანონსაწინააღმდეგოა, რა თქმა უნდა, ვიდრე სასამართლო საპირისპიროს არ დაადგენს. გენერალ-ატორნი ინიშნება მთავრობის მიერ, თავისი მოღვაწეობით იგი ემიჯნება პოლიტიკურ სისტემას, ადმინისტრაციულად კი იუსტიციის სამინისტროს ექვემდებარება.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა და ადგილობრივი მართვის ორგანიზაცია. ისრაელი, ტერიტორიული მოწყობის თვალსაზრისით. უნიტარული სახელმწიფოა და მას უნიტარიზმის ყველა ნიშანი აქვს: ერთიანი კანონმდებლობა; ხელისუფლების ერთიანი ცენტრალიზებული სისტემა; ერთიანი სასამართლო სისტემა; ერთიანი ბიუჯეტი და მოქალაქეობა. მართვის ეფექტიანად განხორციელების მიზნით ქვეყანა დაყოფილია ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად – ოლქებად. სულ ისრაელში 6 ოლქია შექმნილი.

ისრაელში არსებობს პალესტინის ავტონომიური ერთეული, რომელიც ეროვნული პრობლემის გადაჭრის მიზნით 1994 წელს შეიქმნა. მისი ტერიტორია ღაზას სექტორს და მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროს მოიცავს. პალესტინის ავტონომიაში ფუნქციონირებს საკუთარი პარლამენტი-ასამბლეა, მოსახლეობის მიერ არჩეული პრეზიდენტი და ეროვნული პოლიცია.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სტრუქტურა და საქმიანობის წესი განისაზღვრება მუნიციპალური კორპორაციებისა და საბჭოების შესახებ ორდონანსებით. ამ აქტების საფუძველზე ისრაელში მოქმედებს ადგილობრივ ორგანოთა სამი ტიპი: მუნიციპალიტეტები, ადგილობრივი საბჭოები და რეგიონალური საბჭოები. მუნიციპალიტეტები იქმნება მსხვილ ქალაქებში, რომელთა მოსახლეობა აღემატება 20 ათას მოსახლეს. ადგილობრივი საბჭოები ჩამოყალიბებულია ქალაქებში და დიდ სასოფლო დასახლებებში, რომელთა მოსახლეობაც მოიცავს არანაკლებ 2 ათასს, მაგრამ არა უმეტეს 20 ათას მოსახლეს. რეგიონალური საბჭოები კი ყალიბდება რამდენიმე დაბის ან სოფლის მასშტაბით. რეგიონალური საბჭო, თავის მხრივ, ორი დონისგან შედგება: ქვედა დონეა სოფლის ან დაბის მიერ არჩეული ადგილობრივი კომიტეტი, რომელიც ნყვეტს ადგილობრივ მუნიციპალურ საკითხებს, ხოლო ზედა დონეს წარმოადგენს რეგიონალური საბჭო, რომელიც სოფლებიდან და დაბებიდან არჩეული პირებისგან შედგება. ისრაელში ფუნქციონირებს 61 მუნიციპალიტეტი, 150 ადგილობრივი საბჭო და 50 რეგიონალური საბჭო.

ქალაქის, ადგილობრივი საბჭოების მერები და რეგიონალური საბჭოების თავმჯდომარეები: ხელმძღვანელობენ ადგილობრივ ორგანოთა საქმიანობას; უძღვებიან საბჭოს სხდომებს და ასრულებენ სხვა ადმინისტრაციულ ფუნქციებს. თუ არც ერთ პარტიას არა აქვს ადგილობრივ ორგანოებში უმრავლესობა, მერები და თავმჯდომარეები ვალდებული არიან სხვა პარტიებთან შეთანხმებით ჩამოაყალიბონ კოალიცია, რის შესახებაც ფორმდება წერილობითი შეთანხმება პარტიისა თუ საბჭოების ცალკეულ წევრებთან.

ადგილობრივი ორგანოების საქმიანობაზე ზედამხედველობისა და ხელმძღვანელობის ფუნქცია შინაგან საქმეთა სამინისტროს აკისრია, რომელიც უფლებამოსილია: დასახლებულ პუნქტს მიანიჭოს ქალაქის სტატუსი; შეცვალოს მუნიციპალური ორგანოების სამოქმედო საზღვრები; დაამტკიცოს



ადგილობრივი გადასახადები და ბიუჯეტი; დაითხოვოს ადგილობრივი საბჭოები და დანიშნოს ახალი არჩევნები, თუ ისინი: დაარღვევენ დადგენილ ბიუჯეტს; მათი მოქმედება კანონსაწინააღმდეგოა; ადგილობრივ ორგანოებში არსებობს კონფლიქტი წევრებს შორის, რაც ხელს უშლის მის ნორმალურ ფუნქციონირებას; ვერ ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობებს; ადგილობრივი საბჭოების ხელახალ არჩევამდე, ადგილობრივი საქმეების გამგებლობა დააკისროს მის მიერ სპეციალურად უფლებამოსილ პირს.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილების სფეროს წარმოადგენს ისეთი საკითხები, როგორცაა: ხანძარსაწინააღმდეგო სამსახური, სოციალური სამსახური, ახალგაზრდობის დასაქმება, განათლების სფერო, მუზეუმები, ბიბლიოთეკები, გზები, ადგილობრივი გადასახადების დანესება, გარემოს დაცვა, მშენებლობა და სხვ. თუმცა არც ერთ ამ სფეროში ადგილობრივ ორგანოებს სრული დამოუკიდებლობა არ გააჩნიათ.

აღნიშნული საკითხების გადაწყვეტისას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან: განახორციელონ და დაიცვან ისრაელის კანონმდებლობის მოთხოვნები; უზრუნველყონ შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარება; მიიღონ გადაწყვეტილება ნებისმიერ ქვემდებარე საკითხზე, თუ ის არ ეწინააღმდეგება კანონს და შინაგან საქმეთა მინისტრის ინსტრუქციებს. ადგილობრივი ორგანოები თავიანთი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოსცემენ, ე. წ. „დამხმარე კანონებს“, რომლებიც ძალაში შედის შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ მათი დამტკიცების და ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნების შემდეგ. აღსანიშნავია, რომ შინაგან საქმეთა მინისტრს შეუძლია ადგილობრივ ორგანოს მისცეს რეკომენდაცია რომელიმე დამხმარე კანონის მიღების თაობაზე.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები საკუთარი უფლებებისა და ინტერესების განსახორციელებლად და დასაცავად შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით ქმნიან წარმომადგენლობით ორგანოებს. ამ მიზნით შექმნილი „ქალაქთა ასოციაცია“, რომელშიც გაერთიანებულია მუნიციპალიტეტების და ადგილობრივ საბჭოთა წარმომადგენლები. საქმიანობის სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე ცალკე გაერთიანება აქვთ შექმნილი რეგიონულ საკონსულოებს. გაერთიანება უფლებამოსილია: წარმოადგინოს ადგილობრივი ორგანოები სხვა საერთაშორისო, თუ ადგილობრივ დანესებულებებთან ურთიერთობაში; ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოთა სახელით დადოს გარკვეული ხელშეკრულებები, ფლობდეს და განკარგოს ქონება; გამოვიდეს სასამართლოში მოსარჩელედ და მოპასუხედ; ქნესეთსა და მთავრობაში წარადგინოს წინადადებები ადგილობრივი თვითმმართველობის კანონმდებლობის სრულყოფასთან დაკავშირებით; გაერთიანების ბიუჯეტს ამტკიცებს შინაგან საქმეთა მინისტრი, რომელიც იქმნება ადგილობრივ ორგანოთა შენატანებით. ისრაელში ასევე შექმნილია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ცალკეულ თანამდებობის პირთა ასოცი-

აციები, როგორცაა: ადგილობრივი ორგანოების მდივანსა ასოციაცია და საფინანსო უწყებათა ხელმძღვანელთა ასოციაცია.

ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებთან დაკავშირებით შექმნილია ადგილობრივი თვითმმართველობის სახელმწიფო კომისია, რომელიც შემუშავებს რეკომენდაციებს ადგილობრივი ორგანოების საქმიანობის გაუმჯობესების, მათი დაფინანსებისა და შესაბამისი კანონმდებლობის სრულყოფასთან დაკავშირებით.

ისრაელის კონსტიტუციური სამართლის განსაკუთრებული თავისებურებანი მნიშვნელოვნად ამ სახელმწიფოს ისტორიული განვითარებითა და თანამედროვე რეალობით არის განპირობებული. ისრაელის სახელმწიფო სამართალი მისთვის დამახასიათებელი ორიგინალობით გამოირჩევა:

– ისრაელი უნიკალურია იმით, რომ მას არ გააჩნია უზენაესი ძალის მქონე, ერთიანი კონსტიტუციური აქტი. კონსტიტუციის დატვირთვა დანერგული, არაკოდფიცირებული კონსტიტუციური აქტების პაკეტს აკისრია, რომელთაგან თითოეული ფუნდამენტური, ძირითადი კანონის სახელწოდებით არის ცნობილი;

– ისრაელის კონსტიტუციური კანონმდებლობა საინტერესოა იმითაც, რომ ფუნდამენტური – ძირითადი კანონები და მათი შესწორება-დამატებებიც შეიძლება მიღებულ იქნეს, ჩვეულებრივი კანონებისთვის განსაზღვრული წესით, პარლამენტის სხდომის დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით. გამოინაკლისია კანონი „მთავრობის შესახებ“ და კანონის „ქნესეთის შესახებ“, ე. წ. „განმტკიცებული მუხლები“;

– განსაკუთრებული თავისებურება ისრაელის საარჩევნო სამართლისა ის არის, რომ პირი, რომელსაც სახელმწიფო უშიშროების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისთვის მისჯილი ჰქონდა 5 ან მეტი წლით თავისუფლების აღკვეთა, კანდიდატთა სიაში შეიძლება შეყვანილ იქნეს, პატიმრობიდან გაათავისუფლების 5 წლის შემდეგ;

– ისრაელში არჩევნები უქმე დღეს არ ტარდება, პირიქით, არჩევნების დღე დასვენების დღედ ცხადდება;

– სახელმწიფო ზრუნავს პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბება-დახვეწაზე, კანონი „პარტიათა დაფინანსების შესახებ“, ითვალისწინებს ქნესეთის არჩევნებში მონაწილე პარტიების საარჩევნო კამპანიის და არჩევნებში გამარჯვებულთა შემდგომ დაფინანსებას;

– ქვეყნის პრეზიდენტი აბსოლუტურად ნომინალური ფიგურაა, რომლის კომპეტენცია, ძირითადად, მოვალეობებისგან შედგება. ერთადერთი უფლებამოსილება, რომლითაც მას შეუძლია რეალურად ჩაერიოს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ეს არის მისი უფლება უარი განუცხადოს პრემიერ-მინისტრს ქნესეთის ვადამდელ დათხოვნაზე;

– ქნესეთის დათხოვნის სხვადასხვა შესაძლო ვარიანტებიდან, ორი თავისებურება უნდა გამოვარჩიოთ: ქნესეთს, ნევრთა უმრავლესობით, შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება თვითდამლის შესახებ; პრემიერ-მინისტრს, პრეზიდენტის თანხმობით, შეუძლია დაითხოვოს ქნესეთი, თუ მიიჩნევს, რომ

მისი უმრავლესობა ოპოზიციაში უდგას, თუმცა, ქნესეთის შეუძლია ასეთ ვარიანტს კონსტრუქციული ვოტუმის მექანიზმი დაუპირისპიროს;

– ქნესეთის საკონსტროლო უფლებამოსილებებში მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ მუდმივ კომიტეტებს: პრემიერ-მინისტრისა და მინისტრების კომპეტენციის ფარგლებში გამოცემული ნორმატიული აქტები ძალაში შედის შესაბამისი კომიტეტის მიერ მოწონების შემთხვევაში;

– ქნესეთში საგამოძიებო კომისიების დაკომპლექტება ხდება იმ პარტიების წარმომადგენლებით, რომლებიც მთავრობაში არ არიან წარმოდგენილი;

– თავისებური მოთხოვნები არის წაყენებული მინისტრობის კანდიდატებისთვის. პირი, რომელსაც ჩადენილი აქვს მინისტრისთვის მორალურად შეუფერებელი დანაშაული არ შეიძლება იყოს მინისტრი, ვიდრე სასჯელის მოხდიდან ორი წელიწადი არ გავა, ხოლო, თუ პირს მისჯილი ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა, სასჯელაღსრულებითი დანესებულებიდან მისი განთავისუფლებიდან 7 წლის მანძილზე, ასევე ქნესეთის წევრი, რომელმაც მისი უფლებამოსილების ვადის ამონურვამდე, დატოვა საპარლამენტო ფრაქცია ან შეტანილი აქვს განცხადება გადადგომის შესახებ;

– მთავრობა გამოსცემს საგანგებო აქტებს, რომლითაც შეიძლება შეიცვალოს ან შეჩერდეს პარლამენტის კანონები, შემოღებულ ან გაზრდილ იქნეს სახელმწიფო გადასახადები, მხოლოდ ისინი გამოცემისთანავე უნდა წარედგინოს ქნესეთის შესაბამის კომიტეტს;

– საგანგებო ვითარებაში საგანგებო აქტების გამოცემის უფლება აქვს პრემიერ-მინისტრსაც, თანაც მას შეუძლია ამ უფლების მინისტრებზე დელეგირება;

– ისრაელის კანონმდებლობით მინისტრი შეიძლება იყოს უცხო ქვეყნის მოქალაქეც, თუ ამას არ კრძალავს თვით უცხო სახელმწიფოს კანონმდებლობა. მინისტრების მოადგილეები ინიშნებიან აუცილებლად ქნესეთის წევრთაგან და ტოვებენ თანამდებობას მანდატის დაკარგვისთანავე;

– ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეში განსაკუთრებული როლი ეკისრება შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომელიც თავის თავზე იღებს ადგილობრივი მმართველობის ორგანოებზე მიმართულ სამთავრობო უფლებამოსილებების უდიდეს ნაწილს;

– ერთობ თავისებურად ხდება ისრაელის კანონმდებლობის მიერ საპარლამენტო ფრაქციების საკითხის რეგულირება. ფრაქციას შეიძლება წარმოადგენდეს პარტიული სიით ერთი დეპუტატიც კი, თუ იგი საპარლამენტო საკითხების კომიტეტის მიერ დარეგისტრირდება როგორც ფრაქცია;

– აღსანიშნავია ის თავისებურებაც, რომ სახელმწიფო კონტროლიორი სახელმწიფოს საფინანსო-სამეურნეო კონტროლის ორგანოს საქმიანობას უთავსებს სახალხო ომბუდსმენის ფუნქციებსაც;

– ერთობ ორიგინალურია სასამართლო ინსტანციების დაკომპლექტების პრინციპი, როდესაც სხვა მოთხოვნებთან ერთად, აუცილებელ პირობად არის მიჩნეული, რომ მოსამართლეს ქვედა დონის სასამართლოში მუშაობის გარკვეული სტაჟი ჰქონდეს.

## პოლონეთი

სავიზიტო ბარათი. პოლონეთი ცენტრალურ ევროპაში მდებარე სახელმწიფოა, რომელიც მდინარეების – ვისლისა და ორდის აუზშია განთავსებული. პოლონეთის მოსახლეობა 40 მილიონს შეადგენს და 312, 7 ათას კმ<sup>2</sup> ტერიტორიაზე სახლობს. პოლონეთს დასავლეთით გერმანია ესაზღვრება, სამხრეთ-დასავლეთითა და სამხრეთით – ჩეხეთი და სლოვაკეთი, აღმოსავლეთით – ბელორუსია და უკრაინა, ჩრდილოეთით – ნაწილობრივ რუსეთი და უმეტესად ბალტიის ზღვა აკრავს. ქვეყნის დედაქალაქია ვარშავა, სახელმწიფო ენა – პოლონური, ფულის ერთეული – ზლოტი.

აშშ-ის შემდეგ პოლონეთი მსოფლიოში მეორე, ხოლო ევროპაში პირველი დანერილი კონსტიტუციის ქვეყანაა, რომელიც მიღებულ იქნა 1791 წლის 3 მაისს და 1795 წელს დაასრულა მოქმედება, როცა პრუსიამ, ავსტრიამ და რუსეთმა პოლონეთის ტერიტორია გაინაწილეს. 1918 წელს აღდგა პოლონეთის სახელმწიფო და მიღებულ იქნა დემოკრატიული კონსტიტუცია. მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიის მიერ ოკუპირებული პოლონეთი, ე.წ. განთავისუფლების სანაცვლოდ კომუნისტური რეჟიმის კლანჭებში მოექცა. პოლონეთის კონსტიტუციურ განვითარებაზე დიდი მნიშვნელობა იქონია 1989-1992 წლების სოციალურ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა გარდაქმნებმა და კონსტიტუციურმა რეფორმამ. 1992 წლის 17 ოქტომბერს მიღებულმა „მცირე კონსტიტუციამ“ გარდამავალი პერიოდის ძირითადი კანონის დატვირთვა იკისრა.

პოლონეთი რომანულ-გერმანული სამართლის ოჯახს განეკუთვნება. ამჟამად მოქმედი, რიგით მეექვსე კონსტიტუცია, რომელიც 1997 წლის 25 მაისს იქნა მოწონებული საერთო-სახალხო რეფერენდუმის მიერ, უნიტარული პოლონეთის რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე შერეული, ე.წ. ნახევრად საპრეზიდენტო მმართველობის მოდელი დაამკვიდრა.

კონსტიტუცია. პოლონეთის ძირითადი კანონი შედგება პრეამბულის, 13 განყოფილებისა და 243 მუხლისგან. კონსტიტუციის პრეამბულაში აღიარებულია ძირითადი ფასეულობები, ქვეყნის ერთიანობის უმთავრესი ორიენტირები, რომლითაც ძირითადი კანონი აგრძელებს პირველი და მეორე რესპუბლიკის საუკეთესო ტრადიციებს. კონსტიტუციის პირველ განყოფილებაში — „რესპუბლიკა“, ჩამოყალიბებულია პოლონეთის, როგორც დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს კონსტიტუციური მოწყობისა და საგარეო ურთიერთობის ფუძემდებლური პრინციპები, აღიარებულია ხელისუფლების დანაწილებისა და ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის დემოკრატიული ღირებულებები.

პოლონეთის კონსტიტუციის მეორე განყოფილება — „მოქალაქისა და ადამიანის უფლებები, თავისუფლებები და მოვალეობები“, რამდენიმე თავისგან შედგება, რომელთაგან პირველში ჩამოყალიბებულია ძირითადი უფლებები, მას მოსდევს პირადი, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური

უფლებები, ამ უფლებათა დაცვის კონსტიტუციური გარანტიები, რომ წინა პლანზე წამოწეულია მოქალაქეობრივი მოვალეობანი.

მესამე განყოფილებაში – „სამართლის წყაროები“, დადგენილია კონსტიტუციური სამართლის წყაროები და მოცემულია მათი იერარქია, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების დადებისა და რატიფიცირების, სამთავრობო აქტების მიღების საერთო წესები.

კონსტიტუციის მეოთხე განყოფილება – „სეიმი და სენატი“, ასე, პალატების ტანდემის სახით აღიარებს ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს. აქვე, ცალკე თავების სახით განსაზღვრულია მათი არჩევის წესი და უფლებამოსილების ვადები, დეპუტატთა და სენატორთა უფლებამოსილებანი.

მეხუთე განყოფილება – „პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი“, ადგენს სახელმწიფოს მეთაურის სტატუსს, მისი არჩევისა და მონაცვლეობის წესებს, დეტალურად აფიქსირებს მისი კომპეტენციის სფეროებს, განსაზღვრავს პასუხისმგებლობის საიმპიჩმენტო მექანიზმს.

კონსტიტუციის მეექვსე განყოფილებაში – „მინისტრთა საბჭო და სამთავრობო ადმინისტრაცია“, განსაზღვრულია ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლების – მთავრობის კომპეტენცია, მისი საქმიანობის პრინციპები და სფეროები, შემადგენლობა და ფორმირების თავისებურებები; გამოკვეთილია მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის როლი და ადგილი; ნდობა – უნდობლობის მექანიზმის მეშვეობით დაბალანსებულია საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების ურთიერთქმედება.

მეშვიდე განყოფილება – „ტერიტორიული თვითმმართველობა“, აფუძნებს ადგილობრივი თვითმმართველობის დამოუკიდებლობის პრინციპებს, განსაზღვრავს თემის საჯარო ამოცანებსა და ადგილობრივი თვითმმართველი ტერიტორიის მოსახლეობის ინტერესების განხორციელების კომპეტენციას, ადგენს ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნების წესს.

მერვე განყოფილება – „სასამართლოები და ტრიბუნალები“, ადგენს ხელისუფლების სხვა ორგანოებისგან მათ დამოუკიდებლობას, განიხილავს სასამართლო ორგანოების, საკონსტიტუციო და სახელმწიფო ტრიბუნალების სამართლებრივ სტატუსს, არეგულირებს აღნიშნული ტრიბუნალების საკონსტიტუციო სამართალწარმოების საკითხებს, გამიჯნავს მათ კომპეტენციას. მეცხრე განყოფილება – „სახელმწიფო კონტროლისა და სამართლის დაცვის ორგანოები“, საგნობრივად განიხილავს აღნიშნულ კატეგორიას მიკუთვნებული სამი სტრუქტურის – კონტროლის უმაღლესი პალატის, მოქალაქეთა უფლებების რწმუნებულის, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სრულიად პოლონეთის საბჭოს უფლებამოსილებებისა და საქმიანობის საკითხებს.

მეათე განყოფილება – „საჯარო ფინანსები“, დეტალურად არეგულირებს საფინანსო პოლიტიკის საკითხებს, ბიუჯეტის მიღებისა და ანგარიშის დამტკიცების მექანიზმს, განიხილავს ფულადი პოლიტიკის საბჭოს ფორმირებისა და საქმიანობის ორგანიზაციულ საკითხებს.

მეორეთმეტე განყოფილებაში – „საგანგებო მდგომარეობები“, მოცემულ ნორმათა სისტემა სამხედრო და სტიქიური უბედურების დროს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისა და განხორციელების კონსტიტუციურ საფუძვლებს არეგულირებს.

მეთორმეტე განყოფილება – „კონსტიტუციის ცვლილებები“, ძირითად კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის მექანიზმს ადგენს.

მეცამეტე განყოფილება – „გარდამავალი და დასკვნითი დებულებები“, კონსტიტუციის მთელი რიგი ნორმებისა და მექანიზმების თანდათანობით ამოქმედების და ზოგიერთი აქტების ძალდაკარგულად გამოცხადების საკითხს წყვეტს.

ადამიანის უფლებები და თავისუფლებები. პოლონეთის კონსტიტუციის მეორე განყოფილება ნორმათა სრული კომპლექსით წარმოადგენს ადამიანისა და მოქალაქის თავისუფლებებს, უფლებებს და ვალდებულებებს. ძირითადი კანონის 30-ე მუხლი ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ძირითად პრინციპებს ეხება, რომლის წყაროდაც აღიარებულია ადამიანის პირადი ღირსება, რომელიც ხელშეუხებელია და დაცულია საჯარო ხელისუფლების მიერ. პირადი უფლებები სწორედ იმით განსხვავდება პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური უფლებისგან, რომ ისინი ადამიანის თანდაყოლილი უფლებები და თავისუფლებებია, რომელსაც აღიარებს და იცავს სახელმწიფო.

კონსტიტუციური დებულებები, რომელიც უზრუნველყოფს პოლონეთის მოქალაქეების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, როგორც სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ, წარმოადგენს მოქალაქეობის ხელშეუხებლობის გარანტიას. პოლონეთის მოქალაქეზე სხვა ქვეყნის იურისდიქციის გავრცელება და მისი უცხო ქვეყნის სამართალდამცავ ორგანოებისთვის გადაცემა დაუშვებელია. მე-40 მუხლით განმტკიცებულია ადამიანის პატივისა და ღირსების ხელშეუხებლობა, აღიარებულია, რომ ადამიანის ნაშევა, არაჰუმანური, სასტიკი ან მისი ღირსების შემლახავი ყოველგვარი მოპყრობა და უკანონოდ დაპატიმრება აკრძალულია.

პირადი უფლებებისგან განსხვავებით, პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები წარმოადგენს ისეთ ღირსებას, რომლებიც ვრცელდება მხოლოდ მოქალაქეებზე და არა ზოგადად ადამიანებზე. პოლიტიკურ უფლებათა აღიარებით პოლონეთის სახელმწიფომ შეძლო იმ გარანტიათა განმტკიცება, რომლითაც სახელმწიფოსა და მოქალაქის სამართლებრივი ურთიერთობაა მონესრიგებული. საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაერთიანებების შექმნის თავისუფლება მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებებისა და თავისუფლებების უმთავრესი პირობაა. კონსტიტუციის 59-ე მუხლი საზოგადოებრივი გაერთიანებების, პროფესიონალური კავშირებისა და მინათმფლობელთა სოციალურ-პროფესიონალური ორგანიზაციების შექმნას ითვალისწინებს. აღნიშნული საზოგადოებრივი ორგანიზაციების რეგისტრაცია წარმოებს სასამართლოში. აკრძალულია ისეთი კავშირების შექმნა, რომლებიც არღვევენ კონსტიტუციურ მოთხოვნებსა და სახელმწიფო ინტერესებს.

სოციალური სახელმწიფოს მშენებლობის უმთავრესი პირობა ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური უფლებების დაცვაში მდგომარეობს. კონსტიტუციით მონენსრეგებულია სოციალური უფლებების განხორციელების პირობები. ყოველ ადამიანს უფლება აქვს საკუთარი შეხედულებისამებრ აირჩიოს სასურველი პროფესია და შრომითი საქმიანობის სფერო. სახელმწიფო უზრუნველყოფს მოქალაქეთათვის საქმიანობის პროცესში უსაფრთხოების პირობების შექმნას. დასვენების უფლება განმტკიცებულია კანონით.

საჯარო ხელისუფლება, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე, უზრუნველყოფს ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის მქონე პირების, ბავშვებისა და ქალების სამედიცინო მომსახურებას. ჯანდაცვის სფეროს არეგულირებს სოციალური კანონი, რომელიც ითვალისწინებს სამედიცინო კადრების მომზადებას, სანიტარული, ეპიდემიური და სხვა პროფილაქტიკური საკითხების მოგვარებას.

1987 წლის 15 ივლისს მიღებულ იქნა კანონი „მოქალაქეთა უფლებების რწმუნებულის შესახებ“, რომელმაც პოლონური ომბუდსმენის ინსტიტუტი დაამკვიდრა. კანონის თანახმად ამ თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს პოლონეთის მოქალაქე, იურიდიული განათლებით, პროფესიული გამოცდილებით და მაღალი ავტორიტეტით. მის კანდიდატურას წარმოადგენს სეიმის მარშალი ან 35 დეპუტატისგან შემდგარი ჯგუფი, ხოლო ამტკიცებს სეიმი სენატთან შეთანხმებით. რწმუნებული ინიშნება მხოლოდ ერთი 5-წლიანი ვადით და შეუთავსებელია სხვა საქმიანობასთან, გარდა უმაღლესი სკოლის პრაფესორობისა. იგი დამოუკიდებელია სხვა სახელმწიფო ორგანოებისგან და პასუხისმგებელია მხოლოდ სეიმის წინაშე. მას არ შეიძლება დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ან იყოს დაპატიმრებული სეიმის თანხმობის გარეშე. სეიმს შეუძლია ვადაზე ადრე გაათავისუფლოს რწმუნებული დაკავებული თანამდებობიდან: პირადი განცხადების საფუძველზე, თუ ავადმყოფობის გამო არ შეუძლია თავისი მოვალეობის შესრულება ან უღალატა ფიცს.

რწმუნებულის სამართლებრივი სტატუსი პარლამენტის დეპუტატის სტატუსს ემთხვევა: იგი შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის და საზოგადოებრივი ორგანიზაციის წევრი, მისთვის შეუთავსებელია სხვა პროფესიონალური ფუნქციები, უფლებამოსილების ვადის ამონურვის შემდეგ რწმუნებულს შეუძლია დაუბრუნდეს თავის ყოფილ სამუშაოს ან მიიღოს მისი ტოლფასი თანამდებობა.

რწმუნებული უფლებამოსილია მიიღოს საქმე განსახილველად, გაანალიზოს იგი კომპეტენციის შესაბამისად ან საერთოდ არ მიიღოს იგი წარმოებაში. მოქალაქეთა უფლებების რწმუნებულს უფლება აქვს: ადგილზე განიხილოს საქმე; მოითხოვოს ახსნა-განმარტებები, საჭირო მასალების წარდგენა ყოველ საქმეზე, რომელსაც აწარმოებს სახელმწიფო ადმინისტრაციის უმაღლესი და ცენტრალური ორგანოები, საზოგადოებრივი და პროფესიული ორგანიზაციები, თვითმმართველობის ორგანოები; მოითხოვოს ინფორმაცია სასამართლოებისა და პროკურატურის მიერ განხილული საქმეების შეს-

ახებ; დაავალოს ექსპერტიზის ჩატარება და შეფასება. სახელმწიფო საიდუმლო მნიშვნელობის საქმეების შესახებ ინფორმაციის მიღება ხდება სახელმწიფო და სამსახურებრივი საიდუმლოს დაცვის ნების გათვალისწინებით. საქმის განხილვისას რწმუნებულს შეუძლია: განუმარტოს განმცხადებელს, რომ უფლებათა დარღვევას ადგლი არ ჰქონია; მიმართოს იმ ორგანიზაციას თუ დაწესებულებას, სადაც გამოვლენილ იქნა მოქალაქის უფლების დარღვევა, ასევე მიმართოს ზემდგომ ორგანოს განცხადებით, განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები აღნიშნული ფაქტის გამო; აღძრას მოქალაქეთა საქმეების წარმოება, გაასაჩივროს გადაწყვეტილებები ადმინისტრაციულ სასამართლოში და პროკურორის უფლებით მიიღოს მასში მონაწილეობა; მოითხოვოს პასუხისმგებლობის დაკისრება, აგრეთვე ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმება.

რწმუნებულს შეუძლია თავისი ინიციატივით აწარმოოს გამოკვლევა და წარდგინებით მიმართოს პროკურატურის, ზედამხედველობისა და კონტროლის ორგანოებს, საქმის ან მისი ნაწილის შემონმების შესახებ; მიმართოს სეიმს, რათა მან დავალება მისცეს კონტროლის უმაღლეს პალატას; შეიტანოს წინადადება საკონსტიტუციო ტრიბუნალში, რომელიც ეხება კანონთა კონსტიტუციურობის კონტროლს.

მოქალაქეთა უფლებების რწმუნებული საკანონმდებლო პროცესთანაც არის დაკავშირებული, ვინაიდან შეუძლია, ერთი მხრივ, წარდგინებით მიმართოს კომპეტენტურ ორგანოებს, ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების გამოცემის ან შეცვლის შესახებ, მათი საკანონმდებლო ინიციატივის უფლების გამოყენების თაობაზე, ხოლო, მეორე მხრივ, წარუდგენს სეიმს საკუთარ მოსაზრებებსა და შენიშვნებს მოქალაქეთა უფლება-თავისუფლებების დაცვასთან დაკავშირებით.

პარტიული სისტემა. პოლიტიკურ პარტიათა შექმნას, რეგისტრაციასა და საქმიანობას პოლიტიკურ პარტიათა შესახებ 1990 წელს მიღებული კანონი განსაზღვრავს, რომლის თანახმადაც პოლიტიკურ პარტიას წარმოადგენს: საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელსაც საკუთარი სახელწოდება და საჯარო ცხოვრებაში მონაწილეობის მიზანი აქვს. კანონის თანახმად პოლიტიკურ პარტიაში განეწეების უფლება აქვს 18 წელს მიღწეულ მოქალაქეს.

ახალჩამოყალიბებული პარტიის რეგისტრაციას ახდენს ვარშავის ვოევოდის სასამართლო. პოლონეთის კონსტიტუცია კრძალავს ისეთი პოლიტიკური გაერთიანების შექმნას, რომლის მიზნებიც ეწინააღმდეგება ქვეყნის კანონმდებლობას და სახელმწიფო ინტერესებს. იუსტიციის მინისტრის შუამდგომლობით საკონსტიტუციო ტრიბუნალს გამოაქვს გადაწყვეტილება ისეთი პარტიის გაუქმების შესახებ, რომლის საქმიანობაც კონსტიტუციური წყობილების შეცვლის ან პოლიტიკურ ცხოვრებაში ძალისმიერი მეთოდების გამოყენებისკენ არის მიმართული. პოლიტიკური პარტიის სანესდებო კაპიტალი იქმნება სანევრო შენატანისგან, შენაწირებისგან ან



მემკვიდრეობით მიღებული ქონებისგან. პარტიებს უფლება არა აქვთ ის-არგებლონ უცხო ქვეყნის მოქალაქეების ან იურიდიული პირების საქმიანი მხარდაჭერით. ამჟამად პოლონეთში 250-ზე მეტი პარტია მოქმედებს. მათი პოლიტიკური ნონადლობის ბარომეტრს არჩევნები წარმოადგენს. უკანასკნელ წლებში ჩატარებულმა არჩევნებმა ამ „მდიდარ“ პოლიტიკურ სპექტრში 6 ნამყვანი პოლიტიკური ძალა წარმოაჩინა.

დემოკრატიული მემარცხენე ძალების კავშირმა 1993 წელს ამომრჩეველთა ხმების ყველაზე მეტი მხარდაჭერა – 20, 5% მიიღო. ამ ბლოკის შემადგენლობაშია გაერთიანებული მუშათა პარტიის ბაზაზე შექმნილი პოლონეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია, თავისუფლების კავშირი და სხვა სოციალ-დემოკრატიული გაერთიანებები. მეორე ძლიერი საპარლამენტო სუბიექტია პოლონეთის გლეხთა პარტია, რომელმაც სეიმის არჩევნებში ხმების 15, 4% მოაგროვა.

1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში სოციალ-დემოკრატთა ლიდერის ა. კვანდევსკის გამარჯვებისა და მეორედ გადარჩევის შემდეგ სეიმში ძალთა ბალანსი შეიცვალა და ამჟამად აღნიშნულ ორ პარტიას, ფაქტობრივად, 2/3 მანდატი ეკუთვნის, რაც მემარცხენეთა რეალურ გამარჯვებას მოწმობს.

დანარჩენი პარტიები, რომლებმაც ამომრჩეველთა მეტ-ნაკლები მხარდაჭერა დაიმსახურა, არიან პროფკავშირული ორგანიზაცია „სოლიდარობის“ რღვევის შედეგად აღმოცენებული პოლიტიკური ორგანიზაციები. „სოლიდარობა“ 1980 წლის აგვისტოში ჩამოყალიბდა. 1981 წელს სამხედრო მდგომარეობის გამო მისი ლეგალური საქმიანობა შეწყდა, რომელიც 9 წლის შემდეგ, „მრვეალ მაგიდასთან“ მიღწეული შეთანხმების შედეგად აღდგა და იმავე წელს საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება მოიპოვა.

1990 წელს პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ, სოლიდარობას გამოეყო პოლიტიკური პარტია - „დემოკრატიული უნია“, რომელმაც 1993 წელს ხმების 10,5% მოიპოვა. „სოლიდარობიდან“ გამოყოფილი კიდევ ერთი პარტია – „ლიბერალურ-დემოკრატიული კონგრესი“, 1994 წელს გაერთიანდა „დემოკრატიულ უნიასთან“ და მათი კავშირის შედეგად აღმოცენდა ახალი ლიბერალური პარტია, რომელსაც „თავისუფლების უნია“ ეწოდა. ეს პარტია დემოკრატიული კაპიტალიზმის მომხრეა და თავის რიგებში სოციალურ-დემოკრატიული ორიენტაციის მქონე პოლიტიკურ ძალებს აერთიანებს.

„ახალი მემარცხენეები“ გამოეყვნენ „სოლიდარობას“ და „დასავლეთის სოციალურ-დემოკრატიულ მშრომელთა პარტიასთან“ გაერთიანდნენ. არჩევნებში მათ ხმების 7, 3% მოიპოვეს. ისინი აღიარებენ სოციალური თანასწორუფლებიანობისა და სამართლიანობის პრინციპებს და პრივატიზაციის პროგრამას უპირისპირდებოდნენ.

რომულ-კათოლიკური ეკლესია პოლონეთის სახელმწიფოს განვითარებაში და პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირებაში დიდ როლს თამაშობს. ეკლესიას აქტიური როლიცაა ჰქონდა სოციალისტური ნყობილების დროსაც, ისტორიული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და ეროვნული თვითგამორ-

კვლევის საქმეში. 80-იან წლებში კათოლიკური ეკლესია მხარდაჭერას გამოხატავდა „სოლიდარობის“ მიმართ, თვლიდა რა მას პოლონელი ხალხის ეროვნული და სოციალური ინტერესების დამცველად. 1994 წელს კონსტიტუციის პროექტის შემუშავებისას დროს კათოლიკური ეკლესია კონსულტაციებს უწევდა „სოლიდარობის“ ლიდერებს და ნებას რთავდნენ პროფკავშირების წარმომადგენლებს რელიგიური რიტუალის დამთავრების შემდეგ, კონსტიტუციის პროექტის მხარდასაჭერად შეეგროვებინათ ხელმოწერები.

**საარჩევნო სისტემა.** კონსტიტუციის თანახმად არჩევნები ტარდება საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი საარჩევნო პრინციპების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით. ქვეყნის ძირითადი კანონით აღიარებულია სამი საარჩევნო სისტემა: მაჟორიტარული სისტემით ხდება სენატის არჩევა, პროპორციულით - სეიმის არჩევნები, ხოლო შერეული სისტემით ტარდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები.

პოლონეთში ყოველი 18 წელს მიღებული მოქალაქე უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს რეფერენდუმში, ასევე პრეზიდენტის, პარლამენტის და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში. ძირითადი კანონით გათვალისწინებულია როგორც აქტიური, ისე პასიური საარჩევნო უფლება. აქტიური საარჩევნო უფლება გულისხმობს ყველა დონის არჩევნებში მოქალაქეთა იურიდიულ მონაწილეობას. რაც შეეხება პასიურ საარჩევნო უფლებას, ანუ მოქალაქის უფლებას არჩეულ იქნეს წარმომადგენლობით ორგანოში, დადგენილია ასაკობრივი გრადაცია, კერძოდ, სეიმში შეიძლება არჩეულ იქნეს პირი 21 წლის, ხოლო სენატში – 30 წლის ასაკიდან. არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ აქვთ პირებს, რომელთა მიმართ კანონიერ ძალაში შესულია სასასართლოს გამამტყუნებელი გადაწყვეტილება.

არჩევნების ორგანიზაციისთვის პოლონეთში საარჩევნო ადმინისტრაციის შერეული სისტემა იქმნება, რომელიც იერარქიულად სამი დონის საარჩევნო კომისიას აერთიანებს: მუდმივმოქმედ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რომელშიც შედის სამ-სამი მოსამართლე საკონსტიტუციო ტრიბუნალიდან და უზენაესი სასამართლოდან; არჩევნებამდე 52 დღით ადრე შექმნილი საოლქო, ანუ ვოევოდის კომისიები, რომელთა შემადგენლობას სააპელაციო, ვოევოდისა და რაიონის მოსამართლეთაგან აყალიბებს პრეზიდენტი; არჩევნებამდე 21 დღით ადრე შექმნილი საუბნო კომისიები, რომლებიც საკრებულოს წევრებისა და ამომრჩეველთა ნაწილისგან კომპლექტდება.

ამომრჩეველებს, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს აქვთ კანდიდატთა წარდგენის უფლება, რომლებიც ამ მიზნით ერთობლივ საარჩევნო კომიტეტებს ქმნიან. კანდიდატთა წარდგენის უფლება მინიჭებული აქვთ ეროვნულ უმცირესობებსაც.

პოლონეთის კონსტიტუციით სეიმის შემადგენლობა 460 მანდატით განისაზღვრება, რომელთაგან 391 აირჩევა მრავალმანდატიან საარჩევნო

ოლქებში, კანდიდატთა საოლქო სიების მიხედვით, თითოეულ ოლქში 3-დან 17 დეპუტატამდე, ხოლო 69 – პარტიული სიებით საერთო-საქვეყნო საარჩევნო ოლქში. ორივე შემთხვევაში პარტიამ 5%-იანი ზღვარი უნდა დაძლიოს. სენატში 100 სენატორი აირჩევა, 3-3 ვარშავიდან და კატოვიცედან, ხოლო დანარჩენი 47 ვოევოდიდან – თითოეულიდან 2 სენატორი.

სეიმის დეპუტატობის კანდიდატი, რომელიც ამომრჩეველთა 5 ათას ხელმონერას მოაგროვებს, შეყვანილი იქნება სარეგისტრაციო სიაში. სენატის კანდიდატობის რეგისტრაციისთვის საჭიროა არანაკლებ 3 ათას ამომრჩეველის ხელმონერა. სეიმის დეპუტატთა მანდატები პროპორციული სისტემის საფუძველზე ნანილდება. კენჭის ყრა პარტიული სიებით მიმდინარეობს, ხმის მიცემის პრეფერენციული სისტემით, რომლის დროს ამომრჩეველი, პარტიულ სიაში რიგითობის მიუხედავად მისთვის სასურველ კანდიდატს აძლევს ხმას და მის გვარს შემოაზავს.

სეიმის ფორმირების აღნიშნული წესიდან ერთგვარი გამონაკლისი არსებობს. სეიმში კანდიდატთა საოლქო სიებით არჩევისას კოალიციამ მანდატების მოსაპოვებლად ამომრჩეველთა ხმების 8% უნდა მიიღოს. თუმცა, პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა კოალიცია რეგისტრირებულია როგორც პოლიტიკური ასოციაცია. სრულიად პოლონეთის სიებიდან არჩევისას მანდატის მოსაპოვებლად კანდიდატმა უნდა მიიღოს ამომრჩეველთა ხმების არანაკლებ 7%. პოლონეთის საარჩევნო სამართლის არსებით თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ეროვნულ უმცირესობათა მიმართ გარკვეული შეღავათებია და ეს წესი არ ვრცელდება.

სენატში შედეგების დადგენისას, თანაბარი ხმების არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება მას, ვინც მეტი საარჩევნო უბნის მხარდაჭერას მიიღებს, თუკი ამ შემთხვევაშიც ვერ მოხდება გამარჯვებული კანდიდატის გამოვლენა, მაშინ ვოევოდის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრებისა და საუბნო კომისიების მონაწილეობით აწყობს კენჭისყრას.

პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე 4 თვით ადრე, სეიმის მარშლის განკარგულებით ინიშნება საპრეზიდენტო არჩევნები. კენჭისყრაში მონაწილეობის მისაღებად, პრეზიდენტობის კანდიდატს მოეთხოვება საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეთა 10 ათასი ხელმონერის შეგროვება. არჩევნები მიმდინარეობს ორ ტურად, პირველ ტურში გამარჯვებულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც დააგროვებს საერთო ხმების ნახევარზე მეტს. წინააღმდეგ შემთხვევაში პირველი კენჭისყრიდან 14 დღის შემდეგ, ორი უკეთესი შედეგის მქონე კანდიდატისთვის იმართება მეორე ტური, თუ ამათგან ერთ-ერთმა კანდიდატმა დაკარგა საარჩევნო უფლება ან მოხსნა თავისი კანდიდატურა, მის ადგილს იკავებს პირველ ტურში მოპოვებული ხმების რაოდენობით შემდეგი კანდიდატი. ამ დროს არჩევნების მეორე ტური გაიმართება ასეთი შემთხვევის შექმნიდან ორი კვირის შემდეგ. მეორე ტურში გამარჯვებისთვის საჭიროა ხმების ფარდობითი უმრავლესობა.

თემთა საბჭოების არჩევნები ინიშნება მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მიერ. ისეთ საკრებულოებში, სადაც არანაკლებ 40 ათასი მცხოვრებია, იქმნება უნიომინალური, ანუ ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქები, რაც შეეხება მრავალმანდატიან, ანუ პოლინომინალურ ოლქებს ისინი იქმნება შედარებით მრავალრიცხოვან ოლქებში.

საკრებულო საბჭოების არჩევნებს ნიშნავს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. საკრებულო საბჭოებში, მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით, 12-დან 32-მდე წევრი აირჩევა.

პოლონეთის კონსტიტუციის 125-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის პირობებში, შეიძლება გაიმართოს სრულიად პოლონეთის რეფერენდუმი. სეიმის დადგენილების საფუძველზე, პრეზიდენტს, სენატის თანხმობით უფლება აქვს დანიშნოს რეფერენდუმი. სენატს, მინისტრთა საბჭოს და აქტიური საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეთა 500-ათასკაციან ჯგუფს აქვს რეფერენდუმის ჩატარების მოთხოვნის უფლება. რეფერენდუმში ხმის მიცემისა და შედეგების შეჯამების ორგანიზაციას ახორციელებს ქვეყნი მასშტაბით არსებული საარჩევნო კომისიების სისტემა. რეფერენდუმის გადაწყვეტილების ობიექტურობის საკითხს წყვეტს პოლონეთის უზენაესი სასამართლო.

სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები. პოლონეთში სახელისუფლებო ბალანსი შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: სახელმწიფოს ჰყავს სრულძალოვანი მეთაური რესპუბლიკის პრეზიდენტის სახით; ორპალატიანი საკანონმდებლო ხელისუფლება სეიმითა და სენატით; აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის მთავრობას პრეზიდენტთან ერთად; მართლმსაჯულებას აღასრულებს საერთო სასამართლოების სისტემა უზენაესი სასამართლოთი სათავეში; საკონსტიტუციო ზედამხედველობის ფუნქცია აკისრიათ საკონსტიტუციო და სახელმწიფო ტრიბუნალებს.

პრეზიდენტი სახელმწიფოს მეთაურია და ამავდროულად აღმასრულებელ ხელისუფლებასაც განაგებს, ვინაიდან მთავრობასთან ურთიერთობაში მნიშვნელოვანი უფლებამოსილებებით არის აღჭურვილი. კერძოდ, იგი განსაკუთრებულ საკითხებზე მოიწვევს კაბინეტის საბჭოს, რომელიც მინისტრთა საბჭოს საფუძველზე იქმნება. მართალია, კაბინეტის საბჭო მინისტრთა საბჭოს კომპეტენციას არ ფლობს, მაგრამ ფრანგული მოდელის ანალოგია და იმ მნიშვნელოვან საკითხებზე, რომლის გამოც იკრიბება და მსჯელობს, საქმიანობის სტრატეგიასაც განსაზღვრავს.

პოლონეთის პრეზიდენტად პირდაპირი, საყოველთაო არჩევნების გზით შეიძლება არჩეულ იქნეს 35 წლის ასაკს მიღწეული პოლონეთის მოქალაქე, უფლებამოსილების 5-წლიანი ვადით, ზედიზედ ორჯერ არჩევის უფლებით. პრეზიდენტის უფლებამოსილება იწყება ეროვნული კრების წინაშე ფიცის დადებით. პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენება შესაძლებელია იმპიჩმენტის წესით, კონსტიტუციისა და კანონების დარღვევის ან დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. იმპიჩმენტის პროცესის აღძვრა ხდება ეროვნული

კრების დადგენილებით, რომელიც 2/3-ის უმრავლესობით მიიღება. ამას მოჰყვება პრეზიდენტის უფლებამოსილების შეჩერება, ხოლო მისი ბრალეულობის საკითხს სახელმწიფო ტრიბუნალი განიხილავს.

პრეზიდენტის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, მის მოვალეობას დროებით ასრულებს სეიმის მარშალი ან სენატის მარშალი. პრეზიდენტის მონაცვლე ფლობს პრეზიდენტის უფლებამოსილებათა მთელ კომპლექტს, გარდა სეიმის დათხოვნისა.

პრეზიდენტი წარმოადგენს პოლონეთის სახელმწიფოს ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ, განასახიერებს სახელმწიფო ხელისუფლების უწყვეტობას, არის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. ამასთან, ნიშნავს პოლონეთის დიპლომატიურ წარმომადგენლებს უცხოეთში, ნყვეტს მოქალაქეობის საკითხს, აქვს შეწყალების უფლება, ასახელებს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურას და ნიშნავს მას, ნიშნავს და ათავისუფლებს მინისტრებს, უმაღლესი თანამდებობის პირებს.

პოლონეთის კონსტიტუცია, კონტრასიგნატურის მექანიზმის შემოღებით, თავისებურად არეგულირებს პრეზიდენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების ურთიერთმიმართებას. პრეზიდენტის ოფიციალური აქტების ამოქმედებისთვის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ხელმოწერაა საჭირო, რომელიც ამ მომენტიდან აქტების შესრულების თაობაზე სეიმის წინაშე პასუხისმგებლობას თავის თავზე იღებს. თუმცა არსებობს 30 ოფიციალური დოკუმენტის ჩამონათვალი, რომელზეც კონტრასიგნატურა არ ვრცელდება.

საკანონმდებლო ხელისუფლებასთან მიმართებით პრეზიდენტს ორ შემთხვევაში აქვს სეიმის დათხოვნის უფლება: როდესაც პროექტის შეტანიდან სამი თვის განმავლობაში სეიმი ვერ დაამტკიცებს ბიუჯეტს; როცა ვერ შეძლებს პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილი მინისტრთა საბჭოს შემადგენლობის დამტკიცებას და ვერც თვითონ შესთავაზებს პრეზიდენტს მთავრობის შემადგენლობას. საკანონმდებლო ორგანოს დათხოვნისთანავე პრეზიდენტი გამოსცემს ბრძანებას ახალი არჩევნების დანიშვნის შესახებ, რომელიც პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანების გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 45 დღის მანძილზე უნდა ჩატარდეს.

პრეზიდენტი, როგორც შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, უფლებამოსილია დანიშნოს გენერალური შტაბის უფროსი და შეიარაღებული ძალების მეთაური. ომის დროს პრეზიდენტი მინისტრთა საბჭოს წინადადების საფუძველზე ნიშნავს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალს და აცხადებს საომარ მდგომარეობას. პრეზიდენტი, მინისტრთა საბჭოს წინადადებით, აცხადებს საგანგებო მდგომარეობას, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 90 დღისა. თუმცა, სეიმს უფლება აქვს გააგრძელოს ეს ვადა კიდევ 60 დღით. საგანგებო მდგომარეობის დროს დაუშვებელია კონსტიტუციაში და საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა და სეიმის დათხოვნა.

პოეზიდენტი ინვესტს ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომებს, რომელიც სახელმწიფოს საინაო და საგარეო უშიშროების სფეროში პრეზიდენტის სათაბირო ორგანოა. პრეზიდენტი აქაც მინისტრთა საბჭოს წინადადებებზე საფუძველზე იღებს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადაწყვეტილებებს.

რაც შეეხება საკანონმდებლო პროცესში მონაწილეობას, პრეზიდენტს შენარჩუნებული აქვს ტრადიციული უფლებამოსილებანი: სარგებლობს საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით, აგრეთვე, ვეტოს უფლებით და უფლებით მიმართოს საკონსტიტუციო ტრიბუნალს კანონპროექტის კონსტიტუციასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ამასთან, უფლებამოსილებათა მოცემული კომპლექსის სრულფასოვანი ამოქმედების თვალსაზრისით, ერთგვარად შესუსტებულია პრეზიდენტის ვეტოს უფლება, ვინაიდან სეიმის მიერ ვეტოს დაძლევის შემთხვევაში, პრეზიდენტს აღარ აქვს უფლება, მის მიერ ვეტოდადებული აქტის კონსტიტუციურობის დასადგენად მიმართოს საკონსტიტუციო ტრიბუნალს, თუნდაც ვეტოს მოტივაცია სწორედ აღნიშნულთან იყოს დაკავშირებული.

პრეზიდენტი, როგორც სახელმწიფოს მეთაური, ახორციელებს საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირებას, ნიშნავს ელჩებსა და დიპლომატიურ წარმომადგენლებს. პრეზიდენტი მნიშვნელოვანი საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირებისას უფლებამოსილია მიმართოს საკონსტიტუციო ტრიბუნალს მათი კონსტიტუციასთან შესაბამისობის დასადგენად.

პრეზიდენტის მონაწილეობა სასამართლო ორგანოების ფორმირების პროცესში, მისი განსაკუთრებული უფლებამოსილების წრეს განეკუთვნება. სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი სასამართლო საბჭოს წარდგინებით, პრეზიდენტი ნიშნავს სხვადასხვა დონის მოსამართლეებს. აღნიშნული საბჭო პარიტეტულ სანყისებზე იქმნება და მის შემადგენლობაში შედიან სახელმწიფო ხელისუფლების სამივე შტოს წარმომადგენლები. რაც შეეხება საკონსტიტუციო და სახელმწიფო ტრიბუნალების მოსამართლეებს, მათ ირჩევს სეიმი, ხოლო საკონსტიტუციო ტრიბუნალის თავმჯდომარეს და მის მოადგილეს, ასევე უზენაესი სასამართლოს და უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს თავმჯდომარეებს ნიშნავს პრეზიდენტი.

საკანონმდებლო ხელისუფლება. პარლამენტი, როგორც ასეთი, პოლონეთის კონსტიტუციაში არც მოიხსენიება და საკანონმდებლო ორგანოს ბიკამერალიზმი მარტივად ფიქსირდება ორელემენტოანი სტრუქტურის გამაერთიანებელი ფორმულით – „სეიმი და სენატი.“ თუმცა, კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში, მათი უმაღლესი დონის ურთიერთობის ამსახველი ერთობლივი სხდომა, ეროვნულ კრებად იწოდება. პარლამენტის ქვედა პალატა – სეიმი სახალხო წარმომადგენლობის ორგანოა, ხოლო ზედა პალატა – სენატი რეგიონული პრინციპით ყალიბდება.

პოლონეთის პარლამენტის პალატების უფლებამოსილებები მჭიდროდ არის ურთიერთდაკავშირებული: ორივე პალატა აირჩევა ერთდროულად და

ოთხი წლის ვადით; პრეზიდენტის მიერ სეიმის დათხოვნის შემთხვევებში, ავტომატურად წყვეტს უფლებამოსილებებს სენატიც; ანალოგიურად, თუ სეიმი დეპუტატთა საერთო რაოდენობის ხმების 2/3-ით გამოაცხადებს თვითდათხოვნას, ერთდროულად, სენატსაც შეუწყდება უფლებამოსილება.

მიუხედავად იმისა, რომ პალატების კომპეტენციის საგნობრივი სფერო, ძირითადად, ემთხვევა ერთმანეთს, სეიმი და სენატი უფლებამოსილებების განსხვავებული ფარგლებით არიან ჩართულნი, როგორც საკანონმდებლო პროცესში, ისე კონსტიტუციური ორგანოების, კერძოდ, კონტროლის უზენაესი პალატის, ადამიანის უფლებების დაცვის რწმუნებულის, სრულიად პოლონეთის რადიომუწყებლობისა და ტელევიზიის საბჭოს ფორმირების საქმეში. და მაინც, სეიმის უფლებამოსილებათა ნრე გაცილებით ფართოა: მხოლოდ სეიმის კომპეტენციაში შედის მთავრობისადმი საკანონმდებლო უფლებამოსილებათა დელეგირება და თავად მთავრობის, საკონსტიტუციო და სახელმწიფო ტრიბუნალების ფორმირება, საომარი მდგომარეობის შესახებ დადგენილების მიღება. ამასთან, სეიმი პრეზიდენტის წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს ეროვნული ბანკის თავმჯდომარეს, ახორციელებს კონტროლს აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაზე, საპარლამენტო მუდმივი კომისიებისა და სპეციალური საგამოძიებო კომისიის შექმნებით თუ პარლამენტარების შეკითხვების შემდეგ ინტერპელაციის მექანიზმის ამოქმედებით.

სეიმის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა შეიძლება მოხდეს სეიმის დადგენილებით თვითდათხოვნის შესახებ, რომელიც კანონით დადგენილ ნევრთა რაოდენობის 2/3-ით მიიღება; პრეზიდენტის ბრძანებით, რომელსაც იგი ორივე პალატის მარშლების მოტივირებული შენიშვნების მოსმენის შემდეგ იღებს. სეიმის დათხოვნის საფუძველი შეიძლება იყოს: სამი თვის განმავლობაში ბიუჯეტის შესახებ კანონის მიუღებლობა და უუნარობა დანიშნოს მთავრობა ან ისარგებლოს უნდობლობის ვოტუმის უფლებით.

რაც შეეხება სენატის უფლებამოსილებებს, შეიძლება ითქვას, რომ მათი რეალიზაცია მთლიანად სეიმზეა მიბმული, იქამდე, რომ სენატი კონსტიტუციაშიც კი მხოლოდ საკანონმდებლო პროცესთან დაკავშირებით მოიხსენიება ცალკე პუნქტით და ისიც, ფაქტობრივად, მეორე პირის როლში. კონსტიტუციის თანახმად, სენატს აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება, მაშინ როცა ასეთი უფლებით სეიმის ცალკეული დეპუტატებიც არიან აღჭურვილი. თავად საკანონმდებლო პროცესში სენატს ერთობ პასიური როლი განეკუთვნება. ჯერ ერთი, კონსტიტუცია სეიმის მიერ მიღებულ კანონპროექტს უკვე კანონად აცხადებს და მისი შემდგომი გაფორმების თვალსაზრისითაც, სენატის მონაწილეობა ძალზე ფორმალურია.

დეპუტატისა და სენატორის სამართლებრივი სტატუსი რეგულირდება კონსტიტუციით, შესაბამის კანონთა პაკეტითა და ცალკეული პალატების რეგლამენტებით. ისინი გარანტირებულნი არიან იმუნიტეტით და ინდემნიტეტით, სარგებლობენ თავისუფალი მანდატით.

დეპუტატის იმუნიტეტი და ინდემნიტეტი გარანტირებულია კონსტიტუციით. იმუნიტეტი ადგენს დეპუტატისა და სენატორის ხელშეუხებლობას: მათი დაპატიმრება ან დაკავება შეუძლებელია სეიმისა და სენატის თანხმობის გარეშე. ამ საკითხთან დაკავშირებით გადანყვეტილებას იღებს ორივე პალატა, ნეერთა სიითი შემადგენლობის დამსწრე უმრავლესობის ხმათა 2/3-ით. იმუნიტეტი ვრცელდება, აგრეთვე, მანდატის მიღებამდე ჩადენილ ქმედებაზე. ასეთ შემთხვევაში, მანდატის მიღებამდე დაწყებული სისხლის სამართლის საქმე ჩერდება და მხოლოდ პალატების თანხმობით შეიძლება მიეცეს შემდეგი მსვლელობა. ინდემნიტეტის თანახმად, დეპუტატი არ შეიძლება მიეცეს პასუხისგებაში ისეთი მოქმედების გამო, რომელიც დაკავშირებულია დეპუტატის უფლებამოსილებათა განხორციელებასთან, მათ შორის უფლებამოსილების გასვლის შემდეგაც. ეს დებულება არ ვრცელდება იმ შემთხვევაზე, როცა დეპუტატის მხრიდან ჩადენილია კანონსაწინააღმდეგო ქმედება.

სეიმისა და სენატის რეგლამენტებით რეგულირდება დეპუტატთა და სენატორთა პასუხისმგებლობის საკითხი. ამ მიზნით თითოეულ პალატაში იქმნება შესაბამისი კომისიები, რომლებიც დეპუტატისა და სენატორის საქმიანობასთან დაკავშირებული დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებს განიხილავენ. პარლამენტის ნეერის მიერ თავისი უფლებამოსილების შეუსრულებლობის ან შეუფერებელი საქციელის ჩადენის შემთხვევაში, პალატების პრეზიდიუმები კომისიის სხდომაზე განიხილავენ მათი პასუხისმგებლობის საკითხს და სეიმს ან სენატს მხოლოდ ამის შემდეგ აქვს უფლება მიიღოს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები: პენისენა, გაფრთხილება ან საყვედური.

სეიმისა და სენატის რეგლამენტებით განისაზღვრება საკანონმდებლო ორგანოს ორგანიზაციული საქმიანობის წესი. თითოეული პალატა, უფლებამოსილების განხორციელების ვადით, საკუთარი შემადგენლობიდან ირჩევს – მარშალს, ვიცე-მარშალს, მუდმივ და დროებით კომისიებსა და მათ თავმჯდომარეებს. მარშალი ვიცე-მარშალთან ერთად ქმნის პალატის პრეზიდიუმს. ეს უკანასკნელი მოიწვევს და ხელმძღვანელობს სხდომებს, რომლებიც საჯარო ფორმით მიმდინარეობს, თუ საჭიროებისას უმრავლესობის გადანყვეტილებით არ დაიხურა.

სეიმისა და სენატის სხდომები ტარდება ცალ-ცალკე, თუმცა კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში სეიმის მარშალის თავმჯდომარეობით შეიძლება ჩატარდეს ერთობლივი სხდომა, ე.წ. ეროვნული კრება. მისი ჩატარების საფუძველი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება იყოს: კონსტიტუციის მიღება; პრეზიდენტის მიერ ფიცის დადება; პრეზიდენტის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობა; პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი.

საკანონმდებლო პროცესი ოთხი სტადიისგან შედგება: პირველი სტადია ეს არის საკანონმდებლო ინიციატივის უფლება, რომელიც გააჩნიათ დეპუტატებს, სენატს, პრეზიდენტს, მინისტრთა საბჭოსა და არანაკლებ 100-



ათასიან ამომრჩეველთა ჯგუფს; მეორე და მესამე სტადია თანამიმდევრულად კანონპროექტის წინასწარ მოსმენას და მის მიღებას ითვალისწინებს: სეიმში კანონპროექტი განიხილება სამი მოსმენით. სეიმის მიერ მიღებული კანონპროექტი განსახილველად გადაეცემა სენატს, რომელმაც 30 დღის განმავლობაში უნდა მიიღოს ქვემოთ განხილული ვარიანტიდან ერთ-ერთი გადაწყვეტილება. თუ სენატი მიიღებს დადგენილებას კანონის მიღების თაობაზე, კანონი შესაბამისი პროცედურების გავლის შემდეგ ამოქმედდება. თუ არადა, შეიტანს შესწორებებს და სეიმს დაუბრუნებს განსახილველად ან უარყოფს კანონპროექტს. სენატის მიერ შეტანილი ცვლილებები შეიძლება ჩვეულებრივი წესით იქნეს მიღებული. მაგრამ გამორიცხული არ არის ორ უკანასკნელ შემთხვევაში, სენატის პოზიცია სეიმისთვის მიუღებელი აღმოჩნდეს. მაშინ ქვედა პალატა თავის უპირატესობებს ამოქმედებს და კანონპროექტიც მიღებულად ჩაითვლება, თუ სეიმში ხელახალი კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის აბსოლუტური უმრავლესობით მხარს დაუჭერს სენატიდან დაბრუნებულ პროექტს. სენატის მიერ განსაზღვრულ ვადაში კანონპროექტის წარმოუდგენლობა კი ცალსახად, მის ავტომატურ მიღებას გამოიწვევს. მეოთხე სტადიას წარმოადგენს კანონის პრომულგაცია. პარლამენტში მიღებული კანონი, სეიმის მარშალის მიერ, პრეზიდენტს გადაეცემა, რომელიც 21 დღის განმავლობაში ხელს აწერს მას და გასცემს ბრძანებას მისი ოფიციალური ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნების შესახებ.

ქვეყნის ძირითადი კანონი ითვალისწინებს კანონპროექტის რიგგარეშე განხილვის წესს. მინისტრთა საბჭო უფლებამოსილია მის მიერ წარდგენილი ზოგიერთი კატეგორიის კანონპროექტი გამოაცხადოს სასწრაფოდ მისაღებად. საგადასახადო და ბიუჯეტის კანონპროექტები, ასევე პრეზიდენტის, სეიმისა და სენატის, თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების შესახებ პროექტები და კოდექსები ამ წესიდან გამონაკლისს წარმოადგენენ. რიგგარეშე პროექტები შემცირებულ კონსტიტუციურ ვადებში, ორი მოსმენით განიხილება.

პრეზიდენტი უფლებამოსილია მოტივირებული შენიშვნებით, კანონი დაუბრუნოს სეიმს, რომელიც განიხილავს და კენჭს უყრის პრეზიდენტის შენიშვნებს. პრეზიდენტის ვეტო დაიძლევა სეიმის წევრთა ხმების 2/3-ით. ასეთ შემთხვევაში პრეზიდენტი ვალდებულია 7 დღის განმავლობაში მოაწეროს ხელი კანონს და გამოაქვეყნოს. კანონის კონსტიტუციურობის დადგენის მიზნით პრეზიდენტს უფლება აქვს კანონი გადასცეს საკონსტიტუციო ტრიბუნალს, რომლის მიერ საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში პრეზიდენტს უფლება არა აქვს უარი განაცხადოს კანონის ხელმოწერაზე.

მთავრობა. კონსტიტუციის 146-ე მუხლის თანახმად, პოლონეთში აღმასრულებელ ხელისუფლებას, პრეზიდენტთან ერთად, წარმოადგენს მინისტრთა საბჭო. ძალიან ზოგადი შეფასების დონეზე, შეიძლება ითქვას, რომ მთავრობა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც უკავშირდება სახელმწიფო პოლიტიკას და არ

განეკუთვნება პრეზიდენტის ან სხვა სახელმწიფო ორგანოთა კომპეტენციას. მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ვიცე-თავმჯდომარე და ცალკეული მინისტრები, ასევე კომიტეტის თავმჯდომარეები. თავმჯდომარე და ვიცე-თავმჯდომარე იმავდროულად შეიძლება მინისტრის ფუნქციასაც ასრულებდნენ.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე წარმოადგენს მინისტრთა საბჭოს და ხელმძღვანელობს მის საქმიანობას, უზრუნველყოფს მინისტრთა საბჭოს პოლიტიკის განხორციელებას და განსაზღვრავს მათი რეალიზაციის ხერხებს. კოორდინაციას უწევს და აკონტროლებს მინისტრთა საბჭოს წევრების საქმიანობას, ზედამხედველობს ტერიტორიული თვითმმართველობის ორგანოებს, ხელმძღვანელობს უზენაეს სამთავრობო ადმინისტრაციას, მთავრობაზე დაკისრებული ფუნქციების განხორციელების მიზნით გამოსცემს განკარგულებებს.

მინისტრები ხელმძღვანელობენ სამთავრობო ადმინისტრაციის ცალკეულ უბნებს და ასრულებენ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ ამოცანებს, კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემენ განკარგულებებსა და ბრძანებებს. მინისტრთა საბჭო ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე. სეიმს შეუძლია უნდობლობა გამოუცხადოს მთლიანად მთავრობას ან ცალკეულ მინისტრებს. კონსტიტუციისა და კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, ან თანამდებობრივი დანაშაულის ჩადენისას მთავრობის წევრები პასუხისმგებლობის გასარკვევად წარდგებიან სახელმწიფო ტრიბუნალის წინაშე. კონსტიტუციით გათვალისწინებულია მინისტრთა საბჭოს გადადგომისა და გათავისუფლების პირობები.

პრეზიდენტი ნიშნავს მის მიერ შერჩეული და დანიშნული მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მიერ შემოთავაზებულ მთავრობის შემადგენლობას. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დანიშნულიდან 14 დღის მანძილზე სეიმს წარუდგენს მთავრობის სამუშაო პროგრამას, რომლის ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით მიღება მთავრობისადმი ნდობის გამოცხადებას ნიშნავს. წინააღმდეგ შემთხვევაში ამოქმედდება კონსტრუქციული ვოტუმის მექანიზმი და სეიმმა შემდგომი 14 დღის მანძილზე, აგრეთვე, ხმების აბსოლუტური უმრავლესობით უნდა დაამტკიცოს მის მიერ შერჩეული მთავრობის შემადგენლობა. თუ სეიმი ამ შემთხვევაშიც ვერ შეძლებს მთავრობის დამტკიცებას, ისევ პრეზიდენტი განახორციელებს დანიშნისა და წარდგენის პროცედურას, მხოლოდ იმ სხვაობით, რომ ამჯერად მთავრობის დასამტკიცებლად საკმარისი იქნება დეპუტატთა ხმების უბრალო უმრავლესობა. თანამდებობის დაკავებისთანავე მინისტრთა საბჭოს მთელი შემადგენლობა პრეზიდენტის წინაშე დებს ფიცს. მაგრამ თუ ვინიცობაა, მთავრობის ფორმირების ეს საბოლოო პროცედურაც უშედეგოდ დამთავრდა, პრეზიდენტი დაითხოვს სეიმს და ნიშნავს ახალ არჩევნებს.

პოლონეთში მოქმედებს მთავრობის უფლებამოსილებების პრეზუმფცია, რაც იმას ნიშნავს, რომ მთავრობა განაგებს ყველა საკითხს, რომელიც სხვა სახელმწიფო ორგანოების კომპეტენციაში არ არის ჩანერგილი. მთავრობის

კოლეგიური ორგანო – მინისტრთა საბჭო, თავისი ფართო კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს კანონთა შესრულებას, ამ მიზნით განკარგულებების გამოცემას, წარმართავს სახელმწიფო ადმინისტრაციის ორგანოთა მუშაობას და აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელების მიზნით, ამ ორგანოთა საქმიანობაზე თავის თავზე ღებულობს პასუხისმგებლობას სეიმის წინაშე. იგი იცავს სახელმწიფო საზღვრებს, შეიმუშავებს ბიუჯეტის პროექტსა და სხვა საფინანსო პროგრამებს, რომელთა დამტკიცების შემდეგ უზრუნველყოფს მათ შესრულებას, ზედამხედველობს ტერიტორიული თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობას, ხელმძღვანელობს უწევს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის რეალიზაციას, უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ნებსრიგისა და ქვეყნის უშიშროების დაცვას. ქვეყნის საგარეო ურთიერთობების მონებსრიგების მიზნით ღებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს. მინისტრთა საბჭო ფლობს საკანონმდებლო ინიციატივის უფლებას, ამზადებს მნიშვნელოვან კანონპროექტებს.

ქვეყნის ძირითადი კანონი ადგენს მთავრობის პასუხისმგებლობას. კონსტიტუციის და ქვეყნის კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში ან თანამდებობრივი დანაშაულის ჩადენისას მთავრობის წევრები პასუხს აგებენ სახელმწიფო ტრიბუნალის წინაშე. კონსტიტუცია ასევე არეგულირებს მინისტრთა საბჭოს გადადგომისა და გათავისუფლების საკითხებს. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გადადგომის თაობაზე განცხადებით მიმართავს პრეზიდენტს. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გადადგომა იწვევს მთავრობის მთელი შემადგენლობის გადადგომას, მაგრამ პრეზიდენტისავე დავალებით მინისტრთა საბჭო, მთავრობის ახალი შემადგენლობის დანიშვნამდე, დროებით აგრძელებს მოვალეობების შესრულებას.

პოლონეთის კონსტიტუცია არა მარტო განსაზღვრავს მთავრობის ფართო უფლებამოსილებებს, არამედ კონტროლისა და პასუხისმგებლობის მყარი მექანიზმის არსებობასაც ითვალისწინებს.

სახელმწიფო უმაღლეს ორგანოთა სისტემაში, რომელიც სამთავრობო ადმინისტრაციულ ორგანოებს მოიცავს, პოლონეთის კონტროლის უზენაეს პალატას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, ვინაიდან იგი პოლონეთის ტრადიციულ ინსტიტუტს წარმოადგენს და სხვა ანალოგიური ორგანოებისგან განსხვავებით მისი ინტერესთა სფერო მხოლოდ ფინანსებითა და ბიუჯეტით არ შემოიფარგლება. კონტროლის უზენაესი პალატა სახელმწიფო კონტროლის უმაღლესი ორგანოა, ექვემდებარება პარლამენტს და მოქმედებს კოლეგიალობის პრინციპების საფუძველზე. კონტროლის პალატა სეიმს წარუდგენს სახელმწიფოს ბიუჯეტის და ფულადი პოლიტიკის ძირითადი დებულებების შესრულების ანალიზს, კონტროლის შედეგებზე ინფორმაციას და ანგარიშს განუხელი მუშაობის შესახებ. პალატა კონტროლს ახორციელებს თვით პრეზიდენტისა და სეიმის მითითებით.

კონტროლის პალატის უმთავრეს უფლებამოსილებას წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტისა და მისი შესრულების მიზნით მიღებული კანონების

შესრულების შემონახვა, იგი ასევე კონტროლს უწევს სახელმწიფო ქონების და ფინანსების მართვას. ამ უფლებამოსილებათა განხორციელების მიზნით აკონტროლებს: პრეზიდენტის, სეიმისა და სენატის კანცელარიების, საკონსტიტუციო ტრიბუნალის, მოქალაქეთა უფლებების რწმუნებულის, სრულიად პოლონეთის რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის საბჭოს, უზენაესი სასამართლოს, უმაღლესი ადმინისტრაციულ სასამართლოსა და სახელმწიფო შრომის ინსპექციის ოფისებში საბიუჯეტო სახსრების ხარჯვას.

**სასამართლო ხელისუფლება.** პოლონეთში სასამართლო სისტემის სამართლიანობას არეგულირებს კონსტიტუცია და 1985 წლის კანონი საერთო სასამართლოების შესახებ, რომელიც დღეს 1993 წელს გამოცემული განხლებული რედაქციით მოქმედებს.

პოლონეთის სასამართლო სისტემა სამდონიანი სტრუქტურაა, თუმცა რაიონების, სავოევოდების და უზენაესი სასამართლოების გარდა, ამ სახელისუფლებო ორგანიზაციებში სააპელაციო და სპეციალური სასამართლოებიც არის ჩანერილი. რაიონის სასამართლოები პირველი ინსტანციით იხილავენ სისხლის, სამოქალაქო, საოჯახო და შრომით საქმეებს. იმავე საქმეებს, მეორე ინსტანციით იხილავენ სავოევოდების სასამართლოები. ამ უკანასკნელის გადაწყვეტილებაზე აპელაცია შეიძლება წარმართოს სააპელაციო სასამართლოში, რომლითაც გადაფარულია რამდენიმე საოლქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია. სავოევოდების საოლქო სასამართლოების ჩარჩოებში შეიძლება შეიქმნას სპეციალური სამეურნეო, შრომითი, საოჯახო სასამართლოები, ვარშავაში ფუნქციონირებს ანტიმონოპოლიური სასამართლო.

უმაღლეს სასამართლო ინსტანციას წარმოადგენს პოლონეთის უზენაესი სასამართლო, რომლის ქვემდებარეა ყველა საქმე, გარდა სახელმწიფო ტრიბუნალის კომპეტენციას მიკუთვნებული საქმეებისა, რომელიც ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირთა მიმართ აღიძვრება. უზენაესი სასამართლოს პირველ თავმჯდომარეს, ამ სასამართლოს მოსამართლეების საერთო ყრილობის მიერ წარდგენილი კანდიდატებიდან, 6 წლის ვადით ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი.

საერთო სასამართლოებში სამართალწარმოება მინიმუმ ორდონიანი მანძიკ არის და საქმის განხილვა წარმოებს კოლეგიალობისა და საჯაროობის პრინციპის საფუძველზე. საქმეში მონაწილე მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით და უზრუნველყოფილი არიან დაცვის უფლებით. ყოველი ბრალდება გარანტირებულია დაცვის უფლებით, დამცველის აყვანა შეიძლება როგორც პირადად, ასევე დანიშნით.

პოლონეთში არსებობს ადმინისტრაციული იუსტიციის განსაკუთრებული სისტემა – უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოთი სათავეში, რომელიც განიხილავს საჩივრებს სახელმწიფო უმაღლესი ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებზე. უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს თავმჯდომარეს, უფლებამოსილების 6-წლიანი ვადით, უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს საერთო კრების

მიერ წარმოდგენილ კანდიდატთაგან, თანამდებობაზე ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი.

ადმინისტრაციულ სასამართლოში პროცესის მიმდინარეობა ხორციელდება ორი მხარის: მოსარჩელესა და მოპასუხის მონაწილეობით. მოსარჩელეს წარმოადგენს კონკრეტული პირი ან ორგანიზაცია, ხოლო მოპასუხედ სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანო გამოდის. უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს გადწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს უზენაეს სასამართლოში.

სასამართლოებისა და მოსამართლეების დამოუკიდებლობის „სადარაჯოზე“, როგორც კონსტიტუცია ადგენს, დგას სრულიად პოლონეთის სასამართლო საბჭო, რომელსაც შეუძლია მიმართოს საკონსტიტუციო ტრიბუნალს იმ ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის თაობაზე, რომლებიც სასამართლოებისა და მოსამართლეების დამოუკიდებლობას შეეხება.

სრულიად პოლონეთის სასამართლო საბჭო შედგება უზენაესი სასამართლოს პირველი თავმჯდომარის, იუსტიციის მინისტრის, უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს თავმჯდომარისა და რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ დანიშნული პირისგან; უზენაესი, ადმინისტრაციული და სამხედრო სასამართლოების მოსამართლეთაგან არჩეული 15 წევრისგან; სეიმის მიერ დეპუტატთაგან 4 და სენატის მიერ სენატორთაგან არჩეული 2 წევრისგან. სასამართლო საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და ორ ვიცე-თავმჯდომარეს, სასამართლო საბჭოს არჩევითი წევრების უფლებამოსილების ვადა 4 წელია. სასამართლო საბჭოს ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია სასამართლო ორგანოების დაკომპლექტებაა. პრეზიდენტი მისი ნინადადებით უვადოდ ნიშნავს მოსამართლეებს, საპენსიო 65 წლის ასაკის მიღწევამდე.

საერთო სასამართლოების ორგანოებს წარმოადგენენ მოსამართლეთა ერთობლივი ყრილობები და კოლეგიები, ხოლო რაიონის სასამართლოებისას მათი თავმჯდომარეები. თავმჯდომარეები ინიშნებიან 4 წლის ვადით იუსტიციის მინისტრის მიერ. სასამართლოების კოლეგიებს ორი წლის ვადით ირჩევს მოსამართლეთა საერთო ყრილობა.

მოსამართლედ შეიძლება დაინიშნოს 26 წელს მიღწეული პოლონელი მოქალაქე, უმაღლესი იურიდიული განათლებით, რომელსაც ჩაბარებული აქვს საკვალიფიკაციო გამოცდა. სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეს, ამასთან, მოსამართლედ მუშაობის 5-წლიანი გამოცდილებაც უნდა ჰქონდეს. კანონით აკრძალულია იმ პირის მოსამართლედ დანიშვნა, რომლის უახლოესი ნათესავი საადვოკატო საქმიანობას ეწევა. ასეთი შეზღუდვა იქამდე მიდის, რომ თუ მოსამართლე ადვოკატზე დაქორწინდება და მისი მეუღლე შეუღლებიდან 3 თვეში არ შეწყვეტს საადვოკატო საქმიანობას, მოსამართლეს თანამდებობიდან დაითხოვენ.

კონსტიტუციის თანახმად, მოსამართლე დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს, განმტკიცებულია მოსამა-

შესრულების შემონახვა, იგი ასევე კონტროლს უწევს სახელმწიფო ქონების და ფინანსების მართვას. ამ უფლებამოსილებათა განხორციელების მიზნით აკონტროლებს: პრეზიდენტის, სეიმისა და სენატის კანცელარიების, საკონსტიტუციო ტრიბუნალის, მოქალაქეთა უფლებების რწმუნებულის, სრულიად პოლონეთის რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის საბჭოს, უზენაესი სასამართლოს, უმაღლესი ადმინისტრაციულ სასამართლოსა და სახელმწიფო შრომის ინსპექციის ოფისებში საბიუჯეტო სახსრების ხარჯვას.

სასამართლო ხელისუფლება. პოლონეთში სასამართლო სისტემის სამართლიანობას არეგულირებს კონსტიტუცია და 1985 წლის კანონი საერთო სასამართლოების შესახებ, რომელიც დღეს 1993 წელს გამოცემული განახლებული რედაქციით მოქმედებს.

პოლონეთის სასამართლო სისტემა სამდონიანი სტრუქტურაა, თუმცა რაიონების, საოლქო დოვების და უზენაესი სასამართლოების გარდა, ამ სახელისუფლებო ორგანიზაციებში სააპელაციო და სპეციალური სასამართლოებიც არის ჩანერილი. რაიონის სასამართლოები პირველი ინსტანციით იხილავენ სისხლის, სამოქალაქო, საოჯახო და შრომით საქმეებს. იმავე საქმეებს, მეორე ინსტანციით იხილავენ საოლქო დოვების სასამართლოები. ამ უკანასკნელის გადანყვეტილებაზე აპელაცია შეიძლება წარმართოს სააპელაციო სასამართლოში, რომლითაც გადაფარულია რამდენიმე საოლქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია. საოლქო დოვების საოლქო სასამართლოების ჩარჩოებში შეიძლება შეიქმნეს სპეციალური სამეურნეო, შრომითი, საოჯახო სასამართლოები, ვარშავაში ფუნქციონირებს ანტიმონოპოლიური სასამართლო.

უმაღლეს სასამართლო ინსტანციას წარმოადგენს პოლონეთის უზენაესი სასამართლო, რომლის ქვემდებარეა ყველა საქმე, გარდა სახელმწიფო ტრიბუნალის კომპეტენციას მიკუთვნებული საქმეებისა, რომელიც ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირთა მიმართ აღიძვრება. უზენაესი სასამართლოს პირველ თავმჯდომარეს, ამ სასამართლოს მოსამართლეების საერთო ყრილობის მიერ წარდგენილი კანდიდატებიდან, 6 წლის ვადით ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი.

საერთო სასამართლოებში სამართალწარმოება მინიმუმ ორდონიანი მანქნც არის და საქმის განხილვა წარმოებს კოლეგიალობისა და საჯაროობის პრინციპის საფუძველზე. საქმეში მონაწილე მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით და უზრუნველყოფილი არიან დაცვის უფლებით. ყოველი ბრალდება გარანტირებულია დაცვის უფლებით, დამცველის აყვანა შეიძლება როგორც პირადად, ასევე დანიშნით.

პოლონეთში არსებობს ადმინისტრაციული იუსტიციის განსაკუთრებული სისტემა – უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოთი სათავეში, რომელიც განიხილავს საჩივრებს სახელმწიფო უმაღლესი ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გამოტანილ გადანყვეტილებებზე. უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს თავმჯდომარეს, უფლებამოსილების 6-წლიანი ვადით, უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს საერთო კრების

მიერ ნარმოდგენილ კანდიდატთაგან, თანამდებობაზე ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი.

ადმინისტრაციულ სასამართლოში პროცესის მიმდინარეობა ხორციელდება ორი მხარის: მოსარჩელესა და მოპასუხის მონაწილეობით. მოსარჩელეს წარმოადგენს კონკრეტული პირი ან ორგანიზაცია, ხოლო მოპასუხედ სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანო გამოდის. უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს უზენაეს სასამართლოში.

სასამართლოებისა და მოსამართლეების დამოუკიდებლობის „სადარაჯოზე“, როგორც კონსტიტუცია ადგენს, დგას სრულიად პოლონეთის სასამართლო საბჭო, რომელსაც შეუძლია მიმართოს საკონსტიტუციო ტრიბუნალს იმ ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის თაობაზე, რომლებიც სასამართლოებისა და მოსამართლეების დამოუკიდებლობას შეეხება.

სრულიად პოლონეთის სასამართლო საბჭო შედგება უზენაესი სასამართლოს პირველი თავმჯდომარის, იუსტიციის მინისტრის, უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს თავმჯდომარისა და რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ დანიშნული პირისგან; უზენაესი, ადმინისტრაციული და სამხედრო სასამართლოების მოსამართლეთაგან არჩეული 15 ნევრისგან; სეიმის მიერ დეპუტატთაგან 4 და სენატის მიერ სენატორთაგან არჩეული 2 ნევრისგან. სასამართლო საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და ორ ვიცე-თავმჯდომარეს, სასამართლო საბჭოს არჩევითი ნევრების უფლებამოსილების ვადა 4 წელია. სასამართლო საბჭოს ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია სასამართლო ორგანოების დაკომპლექტებაა. პრეზიდენტი მისი ნინადადებით უვადოდ ნიშნავს მოსამართლეებს, საპენსიონ ნლის ასაკის მიღწევამდე.

საერთო სასამართლოების ორგანოებს წარმოადგენენ მოსამართლეთა ერთობლივი ყრილობები და კოლეგიები, ხოლო რაიონის სასამართლოებისას მათი თავმჯდომარეები. თავმჯდომარეები ინიშნებიან 4 წლის ვადით იუსტიციის მინისტრის მიერ. სასამართლოების კოლეგიებს ორი წლის ვადით ირჩევს მოსამართლეთა საერთო ყრილობა.

მოსამართლედ შეიძლება დაინიშნოს 26 წელს მიღწეული პოლონელი მოქალაქე, უმაღლესი იურიდიული განათლებით, რომელსაც ჩაბარებული აქვს საკვალიფიკაციო გამოცდა. სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეს, ამასთან, მოსამართლედ მუშაობის 5-წლიანი გამოცდილებაც უნდა აქონდეს. კანონით აკრძალულია იმ პირის მოსამართლედ დანიშვნა, რომლის უახლოესი ნათესავი საადვოკატო საქმიანობას ეწევა. ასეთი შეზღუდვა იქამდე მიდის, რომ თუ მოსამართლე ადვოკატზე დაქორწინდება და მისი მეუღლე მეუღლებიდან 3 თვეში არ შეწყვეტს საადვოკატო საქმიანობას, მოსამართლეს თანამდებობიდან დაითხოვენ.

კონსტიტუციის თანახმად, მოსამართლე დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს, განმტკიცებულია მოსამა-

რთლის ხელშეუხებლობა და სოციალური უზრუნველყოფის გარანტიები. მოსამართლის დაკავება ან სამართალში მიცემა დაუშვებელია კომპეტენტური დისციპლინური სასამართლოს თანხმობის გარეშე, თუ არა მისი დანაშაულის ფაქტზე ნასწრების შემთხვევაში. თუმცა, აქაც საქმის წარმოების გაგრძელებისთვის კომპეტენტური სასამართლოს თანხმობა აუცილებელია.

კონსტიტუციის თანახმად, სასამართლო შეუცვლელია, მოსამართლის თანამდებობიდან გადაყენება, მის მიერ უფლებამოსილებების განხორციელების შეჩერება, მისი სურვილის წინააღმდეგ სხვა თანამდებობაზე ან ადგილზე გადაყვანა შეიძლება მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების ძალით, ისიც კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში. სასამართლოს ორგანიზაციული მოწყობის ცვლილებების ან სასამართლო ოლქების საზღვრების შეცვლის შემთხვევაში, მოსამართლე შეიძლება გადაყვანილ იქნეს სხვა სასამართლოში ან დათხოვილ იქნეს სრული ხელფასის შენარჩუნებით.

კანონიერების დაცვაზე ზედამხედველობას და სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებს პოლონეთის პროკურატურის ცენტრალიზებული სისტემა, რომელსაც სათავეში გენერალური პროკურორი უდგას. პროკურატურის ორგანოების სისტემა აღმასრულებელ ორგანოებზეა მიბმული და იუსტიციის სამინისტროს შემადგენლობაში შედის, ხოლო გენერალური პროკურორის თანამდებობას იუსტიციის მინისტრი ითავსებს.

საკონსტიტუციო ზედამხედველობა. პოლონელმა კანონმდებელმა, საკონსტიტუციო ზედამხედველობის ფუნქცია ერთდროულად ორ სპეციალიზებულ ორგანოს, საკონსტიტუციო ტრიბუნალს და სახელმწიფო ტრიბუნალს გაუნაწილა, მათთვის გამიჯნული კომპეტენციის ფარგლებში. ასე რომ, პოლონეთში საკონსტიტუციო ზედამხედველობის ორელემენტია, მკვეთრად ცენტრალიზებული სისტემა მოქმედებს, რომელიც 1982 წელს დამკვიდრდა. საკონსტიტუციო ზედამხედველობის ორგანოს – პოლონეთის საკონსტიტუციო ტრიბუნალის საქმიანობას არეგულირებს ქვეყნის კონსტიტუცია და 1985 წლის 29 აპრილს მიღებული კანონი, რომელშიც რამდენიმეჯერ იქნა შეტანილი ცვლილებები.

საკონსტიტუციო ტრიბუნალი ფართო უფლებამოსილებით არის აღჭურვილი. მათ შორის, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების მიერ გამოცემული ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობაზე ზედამხედველობა ყველაზე პრიორიტეტულია. პოლონეთის კონსტიტუციის თანახმად, საკონსტიტუციო ტრიბუნალს გამოაქვს გადაწყვეტილებები: კანონებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციასთან შესაბამისობის შესახებ; კანონების შესაბამისობის შესახებ რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებთან, რომელთა რატიფიკაცია კანონში გამოხატულ წინასწარ თანხმობას ითხოვდა; ცენტრალური სახელმწიფო ორგანოების მიერ გამოცემული აქტების კონსტიტუციასთან, კანონსა და რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე; პოლიტიკური პარტიების მიზნებისა და საქმიანობის კონსტიტუციურობის



თაობაზე; ადამიანის კონსტიტუციური უფლებების დარღვევის შესახებ საჩივრის გამოკვლევის შედეგებზე.

ქვეყნის ძირითადი კანონით განსაზღვრულია იმ სუბიექტთა წრე, რომლებსაც აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით უფლება აქვთ მიმართონ საკონსტიტუციო ტრიბუნალს. ესენი არიან: რესპუბლიკის პრეზიდენტი, სეიმისა და სენატის მარშლები, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, 50 დეპუტატი, 30 სენატორი, უზენაესი სასამართლოს პირველი თავმჯდომარე, უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს თავმჯდომარე, გენერალური პროკურორი, კონტროლის უმაღლესი პალატის თავმჯდომარე და მოქალაქეთა უფლებების რწმუნებული. მათი მიმართვა შეიძლება იყოს როგორც საკუთარი ინიციატივის, ასევე მოქალაქეთა საჩივრების ანალიზის შედეგი. საკონსტიტუციო ტრიბუნალს, თავისი კომპეტენციისა და ინტერესების ფარგლებში, ცალკეული აქტების კონსტიტუციურობის თაობაზე მიმართავენ სრულიად პოლონეთის სასამართლო საბჭო, ადგილობრივი თვითმმართველობის, ე.წ. დამდგენი ორგანოები, სრულიად პოლონეთის პროფესიონალური კავშირები, ეკლესია და სხვა სარწმუნოებრივი კავშირები, აგრეთვე, მოქალაქეები.

საკონსტიტუციო ტრიბუნალი 5 მოსამართლის შემადგენლობით განიხილავს კონსტიტუციასთან კანონების შესაბამისობის საკითხს, ხოლო 3 მოსამართლის შემადგენლობით – სხვა ნორმატიულ აქტებს. საკონსტიტუციო ტრიბუნალის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებს სავალდებულო ძალა აქვს და ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში ქვეყნდება.

საკონსტიტუციო ტრიბუნალს აქვს უფლება სიმის და ნორმატიული აქტების მიმღებ სხვა ორგანოებს წარუდგინოს მოსაზრებები კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების თაობაზე და ამით ხელი შეუწყოს ქვეყანაში სამართლებრივი სისტემის სრულყოფას.

საკონსტიტუციო ტრიბუნალი 9 წლით არჩეული 15 მოსამართლისგან შედგება. მოსამართლეთა ხელახალი გადარჩევა დაუშვებელია. სეიმი სამართლის ცოდნით გამორჩეულ პირთაგან ინდივიდუალურად ირჩევს საკონსტიტუციო ტრიბუნალის წევრებს, ხოლო თავმჯდომარესა და მის მოადგილეებს საკონსტიტუციო ტრიბუნალის მოსამართლეთა საერთო კრების მიერ წარდგენილ კანდიდატთაგან. საკონსტიტუციო ტრიბუნალის წევრს თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში უფლება არა აქვს გაერთიანებული იყოს პოლიტიკურ პარტიაში და პროფესიულ კავშირში, ენეოდეს სასამართლოსა და მოსამართლეთა დამოუკიდებლობის პრინციპებს შეუსაბამო საჯარო საქმიანობას, იყოს პარლამენტის წევრი ან ეკავოს რაიმე თანამდებობა სახელმწიფო თუ კერძო სექტორში. მოსამართლეები დამოუკიდებელი არიან თავიანთი საქმიანობის განხორციელებაში და ემორჩილებიან მხოლოდ პოლონეთის კონსტიტუციას.

სახელმწიფო ტრიბუნალი, როგორც საკონსტიტუციო იუსტიციის სპეციალური ორგანო, აგრეთვე, 1982 წელს შეიქმნა. მისი კომპეტენცია ერთობ შეზღუდულია: დაკავებულ თანამდებობასთან ან სამსახურებრივი მოვალე-

ობების შესრულებასთან დაკავშირებით, კონსტიტუციის ან კანონის დარღვევის გამო, სახელმწიფო ტრიბუნალის წინაშე საკონსტიტუციო პასუხისმგებლობა ეკისრება რესპუბლიკის პრეზიდენტს, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს და წევრებს, პოლონეთის ეროვნული ბანკის თავმჯდომარეს, კონტროლის უზენაესი პალატის თავმჯდომარეს, რადიომავუწყებლობისა და ტელევიზიის სრულიად პოლონეთის საბჭოს წევრებს, შეიარაღებულ ძალთა უმაღლეს სარდალს. გარკვეულ ფარგლებში სახელმწიფო ტრიბუნალის წინაშე საკონსტიტუციო პასუხისმგებლობა ეკისრებათ დეპუტატებსა და სენატორებს. თუმცა, რიცხოვნობით ამ სოლიდურ ორგანოს, როგორც იტყვიან, თავისი პურის ფული ჯერ არ გამოუმუშავებია, ვინაიდან დღემდე სახელმწიფო ტრიბუნალის მიერ არ განხილულა არც პრეზიდენტის იმპიჩმენტისა და არც თანამდებობის პირთა სისხლისსამართლებრივი დანაშაულის საკითხი.

სახელმწიფო ტრიბუნალის შემადგენლობას ირჩევს სეიმი, თავისი უფლებამოსილებების ვადით, მაგრამ არა დეპუტატებისა და სენატორებისგან. სახელმწიფო ტრიბუნალი შედგება თავმჯდომარისგან, რომლის მოვალეობაც უზენაესი სასამართლოს პირველ თავმჯდომარეს ეკისრება, თავმჯდომარის ორი მოადგილისგან და 16 წევრისგან. ტრიბუნალის თავმჯდომარის მოადგილეებს, აგრეთვე, წევრთა არანაკლებ ნახევარს უნდა ჰქონდეს მოსამართლისთვის საჭირო კვალიფიკაცია. სახელმწიფო ტრიბუნალის წევრები დამოუკიდებელი არიან და ექვემდებარებიან მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონებს, მათი დაკავება ან დაპატიმრება, თუ არა დანაშაულზე ნასწრებისას, სახელმწიფო ტრიბუნალის თანხმობის გარეშე დაუშვებელია.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა და ადგილობრივი მართვის ორგანიზაცია. პოლონეთი უნიტარული სახელმწიფოა, ორდონიანი ადგილობრივი მმართველობის სტრუქტურით, რომლის ზედა დონე მოიცავს 49 საოლქო დონის (ოლქს), მათ შორის ვარშავას. თუმცა, არსებობს 1993 წლის კანონპროექტი საოლქო დონის გამსხვილებისა და მათი რიცხვის 15-მდე დაყვანის შესახებ, მაგრამ მისი განხილვა წლების მანძილზე ჭიანურდება. დიდ რაიონებად ითვლება - ლოდი, კრაკოვი, ვროცლავი, გდინია.

ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულია საოლქო დონე, რომლის ჩარჩოებში ხორციელდება სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლების დეკონცენტრირებული უფლებამოსილებები. საოლქო დონის შემადგენლობაში მოქმედებენ ტერიტორიული თვითმმართველობის ერთეულები, რომელთა სამართალსუბიექტობა მოცემული ტერიტორიული კოლექტივის სამართალს ეფუძნება. თვითმმართველობის პირველადი ერთეულია გმინად ნოდებული თემი, რომელიც დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში და მოქმედებს კონსტიტუციისა და სახელმწიფო კანონმდებლობის შესაბამისად. დასახლებული პუნქტის მაცხოვრებლებს აერთიანებს თემის ტერიტორია. კანონის თანახმად შეიძლება შეიქმნას დამხმარე ტერიტორიული ერთეულები: რამდენიმე გლეხური მეურნეობის გაერთიანება-სოლექცევა; ქალაქის

რაიონები, ე.წ. კვარტალები და დასახლებები, რომლებშიც თემის საბჭოს გადწყვეტილებით, ადგილობრივ მოსახლეობასთან კონსულტაციების ან მათი ინიციატივით იქმნება თვითმმართველობა. მაგალითად, ვარშავა და სხვა დიდი ქალაქები იყოფა თვითმმართველ რაიონებად, რომელთაც თემის სტატუსი აქვთ. თემის მმართველობის ორგანოებს წარმოადგენენ: მოსახლეობისადმი კონტროლქვემდებარე წარმომადგენლობითი ორგანო – თემის საბჭო.

თემის საქმიანობა, მისივე მასშტაბების გათვალისწინებით, მიმართულია მისი მოსახლეობის კოლექტიური მოთხოვნების დაკმაყოფილებისკენ: იგულისხმება საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფა; ადგილობრივი მეურნეობის განვითარება; გარემოს დაცვა; ადგილობრივი გზების, საზოგადოებრივი ტრანსპორტის, წყალმომარაგების, ელექტრომომსახურების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური დახმარების და სხვა საკითხები.

თემის საბჭოს არჩევა ხდება საყოველთაობისა და თანასწორობის პრინციპის საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, თემის ტერიტორიაზე მოსახლე ამომრჩეველების მიერ. თემის საბჭოს შემადგენლობა მოსახლეობის რიცხოვნობის გათვალისწინებით, 15-დან 45 წევრამდე განისაზღვრება. იმ საკითხების გარდა, რომლებიც თემის კომპეტენციის სფეროს განეკუთვნება, მისი კომპეტენციის სფეროში შედის საკუთარი წესდების შემუშავება, თემის ბიუჯეტის და სხვა საფინანსო პროგრამების დამტკიცება, კანონით განსაზღვრულ ფარგლებში გადასახადებისა და მოსაკრებლების დადგენა, მმართველობის არჩევა და სხვ. ბიუჯეტის შემოსავლებს სუბვენციები და დოტაციები შეადგენს. თემის საბჭო თავისი შემადგენლობიდან, ფარული კენჭისყრით ირჩევს თავმჯდომარესა და ერთიდან სამამდე მოადგილეს, რომლებიც საბჭოს სხვა წევრებთან ერთად, საკუთარი კომპეტენციის საკითხებთან დაკავშირებით, ქმნიან კომისიებს.

თემის აღმასრულებელ ორგანოს - მმართველობას, სოფლად ვოიტი თავმჯდომარეობს, ქალაქში – ბურმისტრი, ხოლო ქალაქებში 100 ათასზე მეტი მოსახლეობით – პრეზიდენტი. თემის საბჭოს თავმჯდომარე არ შეიძლება იმავდროულად იყოს ვოიტი, ბურმისტრი ან პრეზიდენტი.

თემის საბჭო თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს დადგენილებებს, ხოლო მმართველობა – განკარგულებებს, რომელთა სავალდებულო ძალა თემის მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება.

ტერიტორიული თვითმმართველობის ერთეულები იურიდიული პირები არიან. მათ საკუთრებისა და სხვა ქონებრივი უფლებები აქვთ. თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობას, კანონიერების თვალსაზრისით, ზედამხედველობას უწევნენ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და ვოევოდები, ხოლო მათ მიერ ბიუჯეტის სახსრების სწორად გამოყენებაზე კონტროლს რეგიონალური საანგარიშო პალატა ახორციელებს. ზედამხედველობის ორგანოები უფლებამოსილი არიან, მოითხოვონ ინფორმაცია საკრებულოს საქმიანობასთან დაკავშირებით და მონაწილეობა მიიღონ თვითმმართველობის ორგანოთა მიერ გამართულ სხდომებში.

მინისტრია საბჭოს თავმჯდომარის წინადადებით, სეიმი დაითხოვს ტერიტორიული თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს, თუ იგი უხემად არღვევს კონსტიტუციასა და კანონებს.

სავევოდოებსაც აქვთ თავიანთი მმართველობის სისტემა. ეს არის მოსახლეობის კონტროლქვეშდებარე წარმომადგენლობითი ორგანო - სეიმიკი, რომელიც თემთა საბჭოების დელეგატებისგან შედგება და აღმასრულებელი ორგანო - ადმინისტრაცია ვოევოდით სათავეში, რომელსაც ნიშნავს ქვეყნის მთავრობა და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელია ოლქებში.

ვოევოდა ორჯერ წელიწადში წარუდგენს სეიმიკს ანგარიშს თავისი საქმიანობის შესახებ, მათ შორის თვითმმართველობის ორგანოებზე განხორციელებული ზედამხედველობის თაობაზე, აგრეთვე, მის მიერ მომზადებული აქტების პროექტებს, რომელიც მხოლოდ სეიმიკის მხარდაჭერის პირობებში შეიძლება იქნეს მიღებული. ვოევოდასთან ურთიერთობაში სეიმიკს შეუძლია აამოქმედოს ინტერპელაციის მექანიზმი. ვოევოდა სეიმიკთან ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე უზრუნველყოფს გარემოს დაცვისა და სავევოდოს მოსახლეობის საერთო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, სავევოდოს ტერიტორიების კეთილმოწყობის მიზნით.

პოლონეთის კონსტიტუციური სამართლის განსაკუთრებული თავისებურებანი. პოლონეთის კონსტიტუციური სამართლის განსაკუთრებული თავისებურებანი ბევრი თვალსაზრისით იწვევს ინტერესს, მათ შორის უახლეს წარსულთან მიმართებით. სახელმწიფოებრიობის მშენებლობის ახალ ეტაპს მნიშვნელოვან გარანტიად სწორედ კონსტიტუციური ნოვაციები უდევს საფუძველად:

- კონსტიტუციის მეორე განყოფილებაში ადამიანის და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების მარეგულირებელი ნორმების გვერდით ცალკე ბლოკის სახით არის ჩამოყალიბებული მოვალეობების მრავალფეროვანი ჩამონათვალი;

- კონსტიტუციას აქვს ცალკე განყოფილება - „სამართლის წყაროები“, რომელიც არა მხოლოდ აღიარებს პოლონეთის საერთო-სავალდებულო სამართლის წყაროებს, არამედ ადგენს მათ იერარქიულობას, არეგულირებს ურთიერთმიმართებას. საგანგებოდ არის განხილული საერთაშორისო ხელშეკრულების ადგილი და მნიშვნელობა სამართლის წყაროთა სისტემაში;

- კონსტიტუცია რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სრულიად პოლონეთის საბჭოს უფლებამოსილებებს განიხილავს განყოფილებაში „სახელმწიფო კონტროლისა და სამართლის დაცვის ორგანოებში.“ კონსტიტუციის თანახმად, აღნიშნული საბჭო „დგას სიტყვის თავისუფლების სადარაჯოზე,“ რითაც სახელმწიფო მმართველობის სისტემაში მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა ფიქსირდება;

- რომაულ-კათოლიკური ეკლესია პოლონეთში სოციალისტური წყობილების დროს პოლიტიკური პარტიების სისტემის ფუნქციონირებაზე დიდ როლს თამაშობდა და დღესაც თამაშობს;

– პოლონეთის საარჩევნო სამართალი რამდენიმე თავისებურებით ხასიათდება: საარჩევნო სიებში ამომრჩეველთა შეყვანა, არჩევნებში მათი სავალდებულო მონაწილეობის პირობა; ეროვნულ უმცირესობათათვის გარკვეული შეღავათებისა და დეგენილი და, პირველ რიგში, იგი არჩევნების ხმების მოპოვების რთულ მექანიზმს შეეხება; კანდიდატების მიერ მოპოვებული ხმების თანაბრობისას, არჩევანის გადაწყვეტის ერთობ რთული მექანიზმი;

– მმართველობის შერეული, ე.წ. ნახევრად საპრეზიდენტო მოდელის მოქმედების პირობებში, მთავრობის ფორმირებასთან დაკავშირებით, პრეზიდენტისა და სეიმის ურთიერთობაში, დამკვიდრებულია საპარლამენტო გერმანიაში მოქმედი კონსტრუქციული ვოტუმის მექანიზმის სუფთა პოლონური მოდიფიკაცია, როცა სეიმის მიერ მთავრობის ფორმირების თავისი ვარიანტის უშედეგო მცდელობას, სეიმის დათხოვნამდე, მთავრობის ჩამოყალიბების კიდევ ერთი პრეზიდენტისეული შანსი ემატება;

– პოლონეთის კონსტიტუცია ორპალატიან საკანონმდებლო ორგანოს, მისი პალატების გამაერთიანებელი პარლამენტის ტერმინით არ ცნობს. ყველა შემთხვევაში მათ ტანდემის სახით მოიხსენიებს – „სეიმი და სენატი“, რითაც პალატების უფლებების გამიჯვნას აღიარებს, თუმცა მათი ერთობლივი სხდომის – ეროვნული კრების გარკვეულ ფუნქციებსაც ადგენს;

– პარლამენტის სხდომებში მონაწილეობას დეპუტატები და სენატორები სპეციალურ სიებზე ხელმონერით ადასტურებენ. ეს ფორმალური აქტი არ არის. სხდომების გაცდენის თაობაზე მათ შესაბამისი პალატის მარშალს უნდა აცნობონ, თუ არადა, პლენარული და კომისიის სხდომების გაცდენის შემთხვევაში დისციპლინური და მატერიალური სანქციები ამოქმედდება;

– საკანონმდებლო პროცესში ორივე პალატის მონაწილეობის მიუხედავად, სეიმი გადამწყვეტი საკანონმდებლო უფლებამოსილებით სარგებლობს და ხმების აბსოლუტური უმრავლესობით შეუძლია დაძლიოს არათუ სენატისგან შემოსული შესწორებები, არამედ კანონპროექტის უარყოფაც;

– მოსამართლეთა შერჩევის პროცესში მკაცრად არის რეგლამენტირებული მათი კავშირი ადვოკატთა კორპუსთან, იქამდე, რომ ადვოკატზე დაქორწინება მოსამართლეს შეიძლება თანამდებობის ფასად დაუჯდეს;

– საკონსტიტუციო ზედამხედველობის სისტემა, მიუხედავად იმისა, რომ ორელემენტოვანია, ცენტრალიზებული ბუნებისაა. ეს კი იმითაა განპირობებული, რომ სპეციალიზებული საკონსტიტუციო ტრიბუნალი აღმასრულებელი ორგანოების აქტების კონსტიტუციურობას ზედამხედველობს, ხოლო სპეციალიზებული სახელმწიფო ტრიბუნალი პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხს და უმაღლესი თანამდებობის პირების მიერ კონსტიტუციისა და კანონების დარღვევის საქმეებს განიხილავს.

# პორტუგალია

სავიზიტო ბარათი. პორტუგალია ევროპის უკიდურეს დასავლეთში – პირენეის ნახევარკუნძულზე მდებარეობს და სახმელეთო საზღვარი მხოლოდ ესპანეთთან აქვს. 10-მილიონიანი მოსახლეობა, რომლის 99%-ს პორტუგალიელები შეადგენენ, აზორისა და მადეირის კუნძულების ტერიტორიის ჩათვლით, 92, 1 ათას კმ<sup>2</sup>-ზეა განსახლებული. ქვეყნის დედაქალაქია ლისაბონი, სახელმწიფო ენა – პორტუგალიური, ფულის ერთეული – პორტუგალიური ესკუდო.

პორტუგალიის თანამედროვე სახელმწიფო სათავეს იღებს 1974 წლიდან, როდესაც „შეიარაღებული ძალების მოძრაობის“ მიერ ინიცირებული რევოლუციის გზით დამხობილ იქნა დიქტატორის 50 - წლოვანი ფაშისტური დიქტატურა. თუმცა, რევოლუციის მაშინვე არ მოჰყოლია დემოკრატიული სახელმწიფოს აღმშენებლობის დაწყება. აღნიშნული იდეა იურიდიულად 1976 წლის 2 აპრილს, დამფუძნებელი კრების მიერ ახალი კონსტიტუციის მიღებით გაფორმდა, რომელიც ძალაში 26 აპრილიდან შევიდა.

პორტუგალია, რომანულ-გერმანული სამართლის ოჯახს განეკუთვნება მმართველობის ფორმით შერეულ, ნახევრად საპრეზიდენტო, ხოლო სახელმწიფო-ტერიტორიული მოწყობით რთულ უნიტარულ რესპუბლიკას წარმოადგენს.

კონსტიტუცია. პორტუგალიის რიგით მეექვსე მოქმედი კონსტიტუცია პრეამბულის, ძირითადი პრინციპებისა და 4 ნაწილისგან შედგება, რომელიც 19 განყოფილებას, 24 თავსა და 299 მუხლს მოიცავს. პრეამბულა სამართლებრივად განამტკიცებს 1974 წლის რევოლუციის მონაპოვარს — ფაშისტური რეჟიმის დამხობასა და პორტუგალიელი ერის სწრაფვას დემოკრატიის ფუნდამენტური პრინციპების დაფუძნებისა და დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობისკენ. კონსტიტუციის თემატურ განყოფილებებს ცალკე ბლოკის სახით წამძღვარებული აქვს „ძირითადი პრინციპები“. სწორედ მისი პირველი მუხლი პორტუგალიას აცხადებს სუვერენულ რესპუბლიკად, რომელიც ემყარება პიროვნების პატივისცემას, ხალხის ნება-სურვილს და მონოდებულობა თავისუფალი, სამართლიანი და ძმური საზოგადოების მშენებლობისკენ. მომდევნო 10 მუხლში ფორმულირებულია სახელმწიფოს კონსტიტუციური მონაკობის ფუძემდებლური პრინციპები.

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება პორტუგალიის კონსტიტუციის ერთი ყველაზე უფრო აქტუალური თემაა. მისი პირველი ნაწილი „ძირითადი უფლებანი და მოვალეობანი“ სწორედ ადამიანის უფლებებს, თავისუფლებებსა და მოვალეობებს ეთმობა. იგი 3 განყოფილებას აერთიანებს, რომლებიც 6 თავსა და 68 მუხლს მოიცავს. პირველი განყოფილება ადგენს ზოგად დებულებებს მოქალაქეთა თანასწორობასთან, მათი უფლებების ხასიათთან დაკავშირებით. მომდევნო ორ განყოფილებაში კი მოცემულია კონკრეტულ უფლებათა ჩამონათვალი, ამ უფლებათა რეალიზაციის გარანტიები და მოვალეობანი.

კონსტიტუციის მეორე ნაწილი – „საზოგადოების ეკონომიკური ორგანიზაცია“ 4 განყოფილება და 28 მუხლისგან შედგება. კონსტიტუციის ამ ნაწილში კანონმდებელმა განსაზღვრა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის საფუძვლები, სახელმწიფოს ფუნქციები და მოვალეობები ეკონომიკის სფეროში. აქვეა რეგლამენტირებული საკუთრების ფორმები და პორტუგალიის მოქალაქეთა თუ უცხოელთა უფლებამოსილებანი. ძირითად კანონში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ეკონომიკური და სოციალური სფეროს განვითარების გეგმებზე. დადგენილია ქვეყნის საფინანსო და ფისკალური პოლიტიკის ფუნდამენტური ორიენტირები და ამ სისტემაში მომუშავე სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობის ძირითადი მიმართულებები.

კონსტიტუციის მესამე ნაწილი – „პოლიტიკური ხელისუფლების ორგანიზაცია“, აყალიბებს სახელმწიფო მონყობის არა მარტო კონცეპტუალურ საკითხებს, არამედ რიგ შემთხვევებში, ძალზე სკრუპულოზურ წვრილმანებსაც კი, რის გამოც ის ძირითადი კანონის ყველაზე ტევადი და სტრუქტურულად რთული მონაკვეთია და 10 განყოფილების, 17 თავისა და 170 მუხლისაგან შედგება. პირველ განყოფილებაში, რომელიც ძირითადი პრინციპების სახით არის ჩამოყალიბებული, დადგენილია, რომ „პოლიტიკური ძალაუფლება ეკუთვნის ხალხს“. აქვე წარმოდგენილია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, მოცემულია მათ შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნისა და ურთიერთდამოუკიდებლობის გარანტიები, რეგლამენტირებულია ნორმატიული აქტების იერარქია. ამავე განყოფილებაში საუბარია საარჩევნო სამართლის, პოლიტიკური პარტიების, რეფერენდუმის და სხვა არსებითი მნიშვნელობის საკითხებზე. მომდევნო განყოფილება ეთმობა პრეზიდენტს. ძირითად კანონში ვრცლად არის განხილული მისი არჩევის წესი, სამართლებრივი სტატუსი, კომპეტენცია, პასუხისმგებლობა, ასევე მასთან არსებული სახელმწიფო საბჭოს ფუნქციონირების საკითხები. ცალკე განყოფილებებშია წარმოდგენილი რესპუბლიკის ასამბლეის, მთავრობის, საერთო სასამართლოების, საკონსტიტუციო სასამართლოს, ავტონომიური ოლქების, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანიზაციის, ფორმირების, სტრუქტურის, კომპეტენციის და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები.

კონსტიტუციის მეოთხე ნაწილის – „კონსტიტუციის გარანტია და გადასინჯვა“, პირველ განყოფილებაში განსაზღვრულია კონსტიტუციური კონტროლის ფორმები და მისი რეალიზაციის მექანიზმები. ხოლო მეორე განყოფილებაში ჩადებული ნორმები ახდენენ კონსტიტუციის გადასინჯვის ვადების, პირობებისა და პროცედურის რეგლამენტაციას. ყოველივე ამას გარდამავალი და დასკვნითი დებულების სახით ერთობ რამდენიმე მუხლი, რომლებიც არეგულირებენ მოქმედ კანონმდებლობასთან, მაკაოს დროებით სტატუსტთან, აღმოსავლეთ ტიმორის სამართლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებულ და სხვა პრობლემებს.

პორტუგალიის კონსტიტუცია, ე. წ. მყარ კონსტიტუციათა რიცხვს მიეკუთვნება, თუმცა ერთადერთ ბარიერს, რომელიც ძირითადი კანონით

არის დადგენილი, წარმოადგენს 5 - წლიანი ვადა, ანუ კონსტიტუციაში ცვლილებები ვერ იქნება შეტანილი თუ წინა საკონსტიტუციო შესწორების გამოქვეყნებიდან არ გავა 5 წელი მაინც. თუმცა, რესპუბლიკის ასამბლევას შეუძლია დაძლიოს ეს წინააღმდეგობა და ნებისმიერ დროს განიხილოს კონსტიტუციის გადასინჯვის საკითხი, თუ ის ინიცირებულ იქნება უფლებამოსილ დეპუტატთა არანაკლებ 4/5-ის მიერ.

კონსტიტუციის გადასინჯვა მხოლოდ რესპუბლიკის ასამბლევას პრეროგატივაა. საკონსტიტუციო შესწორება მიიღება პარლამენტის ნევრთა 2/3-ის მხარდაჭერით, რაც მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს კონსტიტუციის შეუვალობას. გარდა ამისა, ძირითად კანონში არსებობს საკითხების სპეციალური ჩამონათვალი, ე. წ. კონსტიტუციის გადასინჯვის საზღვრები და დაუშვებელია მათი შეცვლა საკონსტიტუციო შესწორების გზით. ამ საკითხებს განეკუთვნება ეროვნული დამოუკიდებლობა და სახელმწიფოს ერთიანობა, მმართველობის რესპუბლიკური ფორმა, ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნა, მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებები, სასამართლოთა დამოუკიდებლობა, აზორისა და მადეირას კუნძულების პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ავტონომია და ა. შ.

ადამიანის უფლებები და თავისუფლებები. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა განმსაზღვრელ ძირითად აქტს პორტუგალიის კონსტიტუცია წარმოადგენს. ძირითადი კანონით დადგენილი უფლებათა ჩამონათვალი, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას ემყარება და საკმაოდ ვრცელია. კონსტიტუცია აღიარებს პირად უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს, პოლიტიკურ უფლებებს, ეკონომიკურ უფლება-მოვალეობებს, სოციალურ უფლება-მოვალეობებს და უფლებებსა და თავისუფლებებს კულტურის სფეროში.

პირადი უფლებები მოიცავს სიცოცხლის, პიროვნული ხელშეუხებლობის, პატივისა და ღირსების, სიტყვის თავისუფლების, საცხოვრებლისა და მიმონერის ხელშეუხებლობის, უდანაშაულობის პრეზუმფციის, თავისუფალი და უსაფრთხო ცხოვრების, რელიგიისა და სინდისის თავისუფლების, შემოქმედების, განათლების თავისუფლების, გაერთიანების უფლების, პროფესიის თავისუფალი არჩევანის უფლების აღიარებასა და ცხოვრებაში მათი რეალიზაციის უზრუნველყოფის ხელშემწყობ ნორმებს.

„უფლებები, თავისუფლებები და გარანტიები პოლიტიკური მოღვაწეობისთვის“, როგორც მათ კონსტიტუცია უწოდებს, აერთიანებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლებას, საარჩევნო უფლებას, სახელმწიფო თანამდებობის დაკავებისა და პოლიტიკურ პარტიაში გაერთიანების უფლებას, პეტიციის უფლებას.

ეკონომიკურ უფლებათა სპექტრს განეკუთვნება შრომის, ხელფასის, სამუშაო პირობებისა და დროის, შრომასთან დაკავშირებულ საკითხთა მარეგულირებელი ნორმები, მომხმარებელთა უფლებები, ეკონომიკური ინიციატივისა და კოოპერატივების დაფუძნების უფლება, აქვე განმტკიცებულია საკუთრების უფლება და მოცემულია მისი დაცვის გარანტიებიც.



სოციალური უფლებების სფეროში, სახელმწიფოს ეკისრება მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვის უფლების უზრუნველყოფა, საცხოვრებელი ადგილით დაკმაყოფილების უფლების რეალიზება, განახორციელოს გარემოს დაცვა და ხელი შეუწყოს ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, დაიცვას ოჯახი, როგორც „საზოგადოების ძირითადი კომპონენტი“. გარანტირებულია მშობელთა, ბავშვთა, მოზარდთა, ინვალიდთა და მოხუცებულთა უფლებები და თავისუფლებები.

ძირითადი კანონი წინა პლანზე წამოსწევს მოვალეობის ცნებას, რომელსაც ორი დატვირთვა აქვს: ერთი მხრივ, მოქალაქეებს, გარდა იმისა, რომ აღჭურვილნი არიან მთელი რიგი უფლებებითა და თავისუფლებებით, აკისრიათ მოვალეობები ქვეყნის წინაშე, ხოლო, მეორე მხრივ, აღიარებულია სახელმწიფოს ვალდებულება ადამიანის უფლებათა რეალიზაციის თვალსაზრისით. შესაბამისად, რიგი უფლებები გამყარებულია სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული მოვალეობებით, ანუ ძირითადი კანონი ვალდებულებას აკისრებს სახელმწიფოს ამ უფლებათა განხორციელების უზრუნველსაყოფად. კონსტიტუციის მიერ განმტკიცებულია მათი პირდაპირი მოქმედება და სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაციებისთვის სავალდებულობა.

ძირითადი კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ყველა მოქალაქე აქვს უფლება იცოდეს თავისი უფლებები და მათი დარღვევის შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს. სასამართლო ორგანოები ვალდებული არიან განიხილონ ამგვარი სარჩელი და მოახდინონ შესაბამისი რეაგირება. ყველა საჯაროსამართლებრივი დანესებულებისთვის განსაზღვრულია პასუხისმგებლობა, თუ ისინი, საკუთარი მოვალეობების ფარგლებში, მოქმედებით ან უმოქმედებით ხელს შეუშლიან ამ უფლებათა რეალიზაციას.

სასამართლოების გარდა, ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მართლმსაჯულების საქმეთა რწმუნებული, ე. წ. პროვედორი, რომელიც შეედური ომბუდსმენის პორტუგალიურ ანალოგს წარმოადგენს. ეს ორგანო ფუნქციონირებს რესპუბლიკის ასამბლეასთან. მას ნიშნავს პარლამენტი 4 წლის ვადით, ხოლო თავად რწმუნებული სახელმწიფო საბჭოს ნევრია და აღჭურვილია სადეპუტატო იმუნიტეტის ტოლფასი გარანტიებით, რაც უზრუნველყოფს მის დამოუკიდებლობას. პროვედორს ჰყავს მოადგილე, ფუნქციების შესრულებაში ეხმარება კოორდინატორებისა და ექსპერტების მთელი ჯგუფი.

მართლმსაჯულების საქმეთა რწმუნებული მოქმედებს როგორც მოქალაქეთა საჩივრების, ასევე საკუთარი ინიციატივის საფუძველზე. თუმცა, მას ეკრძალება ისეთი საქმის განხილვა, რომლის გადანყვევაც შეიძლება სასამართლო ან ადმინისტრაციული წესით. რწმუნებულის ქვემდებარეა სახელმწიფო ორგანოთა, მათ შორის სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებების დარღვევის ყველა ფაქტი, როგორც სამოქალაქო, ასევე სამხედრო სფეროში. იგი უფლებამოსილია აწარმოოს გამოკვლევა და ნებისმიერი საჯარო მოხელის ან სამხედრო პირისგან მიიღოს ინფორმაცია.

მაროლმსაჯულებს საქმეთა რწმუნებულის მიერ მიღებული აქტი სარეკომენდაციო ხასიათისაა და შესასრულებლად სავალდებულო არ არის, მაგრამ, როგორც წესი, მას დიდ ანგარიშს უწევენ. გარდა ამისა, სამართლიანობის დამცველს – პროვედორს, თუ მის მიერ გამოკვლეულ საქმეში დანაშაულის ნიშნებია, შეუძლია მიმართოს შესაბამის ორგანოს სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მიზნით. სახელმწიფო ორგანოებზე ზემოქმედება სამართლიანობის დამცველს შეუძლია პარლამენტის მეშვეობითაც, რომელსაც წელიწადში ერთხელ წარუდგენს სპეციალურ მოხსენებას. პროვედორი ზემოქმედების მძლავრ ბერკეტს ფლობს პრეზიდენტის საკონსულტაციო ორგანოს – სახელმწიფო საბჭოს წევრობის სახითაც.

**პარტიული სისტემა.** პროპორციული საარჩევნო სისტემის მოქმედება პორტუგალიაში თავისთავად განაპირობებს მრავალპარტიული პოლიტიკური სისტემის არსებობას. პორტუგალიის პოლიტიკური სპექტრი მემარცხენე ძალების განსაკუთრებული სიმრავლით ხასიათდება. პოლიტიკურ პარტიათა აბსოლუტური უმრავლესობა 1974 წლის შემდეგ შეიქმნა, როდესაც დაემხო ერთპარტიული ფაშისტური დიქტატურა. ამჟამად, ქვეყანაში ორ ათეულამდე პოლიტიკური პარტია, გაერთიანება და ჯგუფი მოქმედებს, რომელთაგან მხოლოდ რამდენიმეს შეუძლია არსებითი ზეგავლენა მოახდინოს სახელმწიფოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე. პოლიტიკური პარტიების საქმიანობის მარეგულირებელი №595 დეკრეტკანონი ჯერ კიდევ კონსტიტუციის მიღებამდე შეიქმნა და დღემდე არსებითი ცვლილებების გარეშე მოქმედებს.

ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური ორგანიზაციებია: სოციალისტური პარტია, სოციალ-დემოკრატიული პარტია, კომუნისტური პარტია, სახალხო პარტია, დემოკრატიულ-სოციალისტური ცენტრი, მემარცხენე ბლოკი და გაერთიანებული დემოკრატიული კოალიცია.

სოციალისტური პარტია 1973 წელს, ჯერ კიდევ ფაშისტური დიქტატურის პერიოდში, „პორტუგალიის სოციალისტური მოძრაობის“ ბაზაზე შეიქმნა. იგი სოციალისტური ინტერნაციონალის წევრია და აქტიურად თანამშრომლობს ევროპელ სოციალისტებთან. სოციალისტურმა პარტიამ პოლიტიკური კრიზისის გამო 2002 წლის 17 მარტის ვადამდელ არჩევნებში, რესპუბლიკის ასამბლეის 236 მანდატიდან 95 მოიპოვა და უფლებამოსილების ორი ვადის შემდეგ დათმო ლიდერობა. სოციალისტური პარტიის შემადგენლობაში 100 ათასი რეგისტრირებული წევრია, მათ რიგშია ქვეყნის პრეზიდენტი ჟორჟე სამპაიოც, რომელიც 2001 წელს მეორე ვადით ხმათა 55%-ით იქნა არჩეული სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე. სოციალისტური პარტია მემარცხენე პოზიციაზეა და მხარს უჭერს სახელმწიფოში სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებას, ეკონომიკაში სახელმწიფო, კერძო და კოოპერატიული სექტორების დაახლოებას, საჯარო ინტერესების გათვალისწინებით და ადამიანის უფლებათა დაცვით.

სოციალ-დემოკრატიული პარტია 1974 წელსაა დაარსებული და 130 ათასამდე წევრს ითვლის. იგი ცენტრისტული კურსის მატარებელია, მხარს

უჭერს კერძო საკუთრების განვითარებას, ხელფასების ზრდასა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, ასევე აქტიურად ლობირებს ევროკავშირთან პორტუგალიის მჭიდრო თანამშრომლობას. სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ 2002 წლის ვადამდელ არჩევნებში პირველობა მოიპოვა და რესპუბლიკის ასამბლეაში 112 დეპუტატით არის წარმოდგენილი.

კომუნისტური პარტია ყველაზე მრავალრიცხოვანია და 140 ათას რეგისტრირებულ წევრს აერთიანებს. იგი 1921 წელს იქნა დაფუძნებული, ფაშისტური რეჟიმის დროსაც არ შეუნყვეტია აქტიური იატაკქვეშა მუშაობა და მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რევოლუციის მხარდაჭერაში. მისი ლეგალიზაცია მხოლოდ 1974 წელს მოხდა. პორტუგალიის კომპარტია მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგიური ხაზის გამგრძელებელია და უკიდურესი მემარცხენე პოზიცია უკავია. კომპარტია პარლამენტში მწვანეთა პარტიასა და სხვა ნაკლებრადიკალურ წერილ მემარცხენე პარტიებთან ერთად გაერთიანებული დემოკრატიული კოალიციის ფარგლებში 12-მანდატიანი დეპუტატით არის წარმოდგენილი.

სახალხო პარტია 1974 წელს დაარსდა და დღეს ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან მემარჯვენე პარტიას წარმოადგენს. სახალხო პარტია მხარს უჭერს ეკონომიკაში საბაზრო პრინციპების დანერგვას, წინააღმდეგია სახელმწიფო სექტორის გაძლიერებისა და მის კერძო საწარმოების საქმიანობაში ინტერვენციისა. სახალხო პარტიას პარლამენტში 14 მანდატი აქვს.

დემოკრატიულ-სოციალისტური ცენტრი, ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის ბაზაზე, ასევე 1974 წელსაა დაფუძნებული. მას მემარჯვენე პოზიციები უკავია და პარტიის იდეოლოგია გარკვეულწილად ქრისტიანული რელიგიის ელემენტებსაც შეიცავს. უახლოეს პოლიტიკურ წარსულში დემოკრატიულ-სოციალისტური ცენტრი ხშირად იყო კოალიციური მთავრობების ფორმირების მონაწილე და გარკვეული გავლენით სარგებლობს.

პორტუგალიაში მთელი რიგი წერილი პოლიტიკური პარტიები ქვეყნის მასშტაბით მოქმედებენ. საქმე ის არის, რომ კონსტიტუციისა და პოლიტიკური პარტიების შესახებ №595 დეკრეტ-კანონის თანახმად, აკრძალულია თავისი არსით, საპროგრამო მიზნებითა და მოქმედების ფარგლებით რეგიონული ხასიათის პოლიტიკური პარტიისა დაფუძნება.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა. პორტუგალიის ძირითადი კანონის მე-6 მუხლის თანახმად, „სახელმწიფო არის უნიტარული და თავის ორგანიზაციაში პატივს სცემს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ავტონომიისა და სახელმწიფო მმართველობაში დემოკრატიული დეცენტრალიზმის პრინციპებს“. აქვე, უნიტარული სახელმწიფოს არსებობის პირობებში, გარანტირებულია პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ავტონომიების არსებობა. 1976 წლის კონსტიტუციამ დეტალურად განსაზღვრა ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ორგანიზაცია, რომელიც თითქმის ორი საუკუნის მანძილზე განიცდიდა ცვლილებებს ცენტრალიზაციიდან დეცენტრალიზაციისკენ, ან პირიქით.

დღეს პორტუგალია დაყოფილია 20 ტერიტორიულ ერთეულად. აქედან 18 მის კონტინენტურ ნაწილზე მდებარეობს და ადმინისტრაციულ ოლქებს წარმოადგენს, რომლებიც კანონის საფუძველზე იქმნება. დანარჩენი ორი აზორისა და მადეირას კუნძულებზეა განლაგებული. ისინი პოლიტიკური ავტონომიის ოლქების სტატუსით შედიან უნიტარული რესპუბლიკის შემადგენლობაში და თავისი სტატუტები და თვითმმართველობის ინსტიტუტები აქვთ.

აზორის არქიპელაგის კუნძულებისა და მადეირასთვის პოლიტიკური ავტონომიის მინიჭება მოტივირებულია მათი გეოგრაფიული, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული თავისებურებებითა და მოსახლეობის ისტორიული სწრაფვით ავტონომიისკენ. ავტონომიის სტატუსი, ადმინისტრაციულ ოლქებთან შედარებით, მათ, გარკვეულ პრივილეგიებულ მდგომარეობაში აყენებს, რაც ძირითადად განპირობებულია უფლებათა იმ ფართო სპექტრით, რომელიც მნიშვნელოვნად განავრცო 1997 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებმა. თუმცა ავტონომიის არსებობა თავისთავად მარტო სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტიმულირებითა და ოლქის ინტერესთა დაცვით როდი იფარგლება, იგი მიზნად ისახავს, აგრეთვე, ეროვნული ერთობის გაძლიერებასა და ყველა პორტუგალიელს შორის სოლიდარობის განმტკიცებას.

კონსტიტუციის თანახმად, ავტონომიური ოლქების ხელისუფლების კომპეტენციაა: კანონმდებლობა და გადამწყვეტა საკითხებისა, რომლებიც ოლქის ინტერესებშია და საერთო-სახელმწიფოებრივ გამგებლობას არ მიეკუთვნება, ან დელეგირებულია რესპუბლიკის ასამბლეის მიერ; რესპუბლიკის ასამბლეაში სტატუტების პროექტებისა და სხვა საკანონმდებლო ინიციატივების შეტანა; კანონმდებლობის თანახმად საგადასახადო სფეროში რიგი გადამწყვეტილებების მიღება და პარლამენტის მიერ მიღებული ჩარჩო-კანონის ფარგლებში ფისკალური სფეროს რეგიონალური საკითხების რეგლამენტაცია; ოლქის ტერიტორიაზე არსებული ქონების განკარგვა; ადმინისტრაციული ერთეულების დანესება, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შექმნა და მათი საქმიანობის კონტროლი; დასახლებული პუნქტისთვის ქალაქის ან სოფლის კატეგორიის მიკუთვნება; საჯარო სამსახურის მოხელეთა, სახელმწიფო უწყებების რეგიონალური დანაყოფები საქმიანობის კონტროლი; ოლქის ეკონომიკური გეგმის შემუშავება და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გეგმის შექმნაში მონაწილეობა; ქვეყნის ეკონომიკური ფულადი, საფინანსო, ფისკალური პოლიტიკის ფორმირებაში მონაწილეობა; სხვა ქვეყნების რეგიონებთან ურთიერთობის დამყარება და ოლქის ინტერესებიდან გამომდინარე, საერთაშორისო მოლაპარაკებებში მონაწილეობა.

ავტონომიურ ოლქებში ხელისუფლების ორგანიზაციისა და უფლებამოსილების საკითხები განისაზღვრება კონსტიტუციის მიერ დადგენილი ძირითადი პრინციპების საფუძველზე შექმნილი ოლქების სტატუტებით.

ოლქების საკანონმდებლო ასამბლეები შეიმუშავებენ სტატუტების პროექტებს და რესპუბლიკის ასამბლევას წარუდგენენ დასამტკიცებლად. რესპუბლიკის ასამბლეა განიხილავს და თავისი შენიშვნებით უბრუნებს ოლქის ასამბლევას, რომელიც მათი გათვალისწინებით აყალიბებს შეჯერებულ ვარიანტს, რომელიც საბოლოოდ მაინც მონიშნულ და დამტკიცებულ უნდა იქნეს რესპუბლიკის ასამბლეის მიერ, რათა შეიძინოს იურიდიული ძალა.

ოლქის მმართველობის უმაღლესი ორგანოებია საოლქო საკანონმდებლო ასამბლეა და ოლქის მთავრობა, რომლებთან ერთადაც ხელისუფლებას ინანილებს რესპუბლიკის მინისტრი – ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელი რეგიონში. საოლქო ასამბლეა აირჩევა ოლქის მოსახლეობის მიერ საყოველთაო, პირდაპირი და ფარული არჩევნებით, პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე. ასამბლევას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელიც მოადგილეებთან ერთად აირჩევა თავად ასამბლეის მიერ. აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს ოლქის მთავრობა, რომელიც პოლიტიკურად პასუხისმგებელია საოლქო ასამბლეის წინაშე, მაგრამ მისგან დამოუკიდებლად ფორმირდება. რესპუბლიკის მინისტრის მიერ არჩევნების შედეგების გათვალისწინებით ინიშნება ოლქის მთავრობის თავმჯდომარე, ხოლო ამ უკანასკნელის წარდგინებით, მთავრობის დანარჩენი წევრები. ოლქის მთავრობის თავმჯდომარე თანამდებობის მიხედვით არის სახელმწიფო საბჭოს წევრი.

რესპუბლიკის მინისტრი, როგორც ადგილზე ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელი, ინიშნება და თავისუფლდება პრეზიდენტის მიერ, მთავრობის რეკომენდაციით, სახელმწიფო საბჭოსთან მოთათბირების შემდეგ. რესპუბლიკის მინისტრი ფლობს საკმაოდ მნიშვნელოვან პერროგატივებს, რითაც გარკვეულად დაბალანსებულია ავტონომიის საკანონმდებლო ასამბლეის ფართო უფლებამოსილება და უზრუნველყოფილია ავტონომიურ ოლქებში ცენტრის სუვერენული ინტერესების ეფექტური დაცვა. რესპუბლიკის მინისტრის პერროგატივათაგან ყველაზე მნიშვნელოვანია საოლქო ასამბლეის საკანონმდებლო და მარეგულამენტირებელი დეკრეტებისა და მთავრობის გადანყვეტილებათა ხელმოწერისა და ვეტოს უფლება. ასამბლეის მიერ დეკრეტის მიღებიდან 15 დღეში რესპუბლიკის მინისტრი ან ხელს აწერს და აქვეყნებს მას, ანდა ვეტოს ადებს და მოტივირებული უარით უკან უბრუნებს საოლქო ასამბლევას. მინისტრს შეუძლია ვეტო დაადოს დეკრეტს იმ შემთხვევაშიც კი, როცა საკონსტიტუციო სასამართლო დაადგენს, რომ დეკრეტი არ შეიცავს კონსტიტუციის სანინაალმდეგო ნორმებს. თავის მხრივ, საოლქო ასამბლევას შეუძლია დაძლიოს ვეტო, თუ დეკრეტის დამტკიცებას მხარს დაუჭერს უფლებამოსილ წევრთა აბსოლუტური უმრავლესობა, რითაც აიძულებს მინისტრს ხელმოწერას. საკითხი რთულდება, როდესაც ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელი ვეტოს ადებს ოლქის მთავრობის დეკრეტს და ნერილობითი უარით უკან უბრუნებს ავტორებს. ოლქის მთავრობა იძულებული ხდება, გარ-

დაქმნას დეკრეტი საკანონმდებლო წინადადებად და საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარუდგინოს საოლქო ასამბლეას.

რესპუბლიკის მინისტრი კოორდინაციას უწევს სახელმწიფო ორგანოთა შეთანხმებულ მოთხოვას ადგილებზე. იგი მინისტრთა საბჭოს წევრის რანგში მონაწილეობს მთავრობის სხდომებში, როდესაც ეს უკანასკნელი ავტონომიურ ოლქთან დაკავშირებულ საკითხს განიხილავს. რესპუბლიკის მინისტრის თანამდებობაზე დროებითი არყოფნის შემთხვევაში მის ადგილს იკავებს ოლქის საკანონმდებლო ასამბლეის თავმჯდომარე. ავტონომიებში ცენტრის ინტერესთა შეუვალობის გარანტიას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ქვეყნის პრეზიდენტს, რესპუბლიკის ასამბლეისა და სახელმწიფო საბჭოს აზრის მოსმენის შემდეგ, შეუძლია დაითხოვოს ავტონომიური ოლქების ხელისუფლების ორგანოები ანტიკონსტიტუციურ ქმედებათა განხორციელების მოტივით. ასეთ დროს ოლქის მმართველობა ერთპიროვნულად რესპუბლიკის მინისტრის ხელში გადადის.

**საარჩევნო სისტემა.** პორტუგალიაში საარჩევნო სამართალი ქვეყნის პრეზიდენტის, რესპუბლიკის ასამბლეის, ავტონომიური ოლქებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების, აგრეთვე, ევროკავშირის საპარლამენტო დეპუტაციის ასარჩევ ნორმათა სისტემას აერთიანებს. საარჩევნო სამართალი უპირატესობას ანიჭებს პროპორციულ საარჩევნო სისტემას, რომლის მიხედვითაც ტარდება ყველა არჩევნები, რა თქმა უნდა, საპრეზიდენტოს გარდა. საარჩევნო სამართლის ნორმატიულ ბაზას ქმნიან ქვეყნის კონსტიტუცია და 1979 წლის № 14/19 საარჩევნო კანონი. როგორც აქტიური, ასევე პასიური საარჩევნო უფლებით მოქალაქენი 18 წლის ასაკიდან აღიჭურვებიან. საარჩევნო პარტიულ სიაში შეიძლება შეყვანილი იქნენ უპარტიო პირებიც, რომლებიც საარჩევნო კანონის მოთხოვნებს აკმაყოფილებენ. არჩევნების დღეს ნიშნავს პრეზიდენტი ეროვნულ საარჩევნო კომისიასთან შეთანხმებით. ყოველი არჩევნების წინ ამომრჩეველთა რაოდენობა დადგინდება სავალდებულო რეგისტრაციით, ხოლო ოლქებიდან ასარჩევ დეპუტატთა რიცხვს ადგენს ეროვნული საარჩევნო კომისია. თუმცა, არჩევნების შემდეგ დეპუტატები წარმოადგენენ არა კონკრეტულ ოლქს, არამედ მთელ ქვეყანას, რომელიც კონსტიტუციის მიერ ერთიან საარჩევნო ოლქად განიხილება. პარლამენტის მთელი შემადგენლობა წარმოადგენს ეროვნულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ამომრჩეველებს, ხოლო ოთხი დეპუტატი მის საზღვრებს გარეთ მყოფ პორტუგალიელ მოქალაქეებს, ორი – ევროპიდან, ორიც დანარჩენი მსოფლიოდან.

ქვეყნის პრეზიდენტი აირჩევა პორტუგალიელი მოქალაქეების მიერ ასევე საყოველთაო და პირდაპირი არჩევნებით. კანდიდატურის წამოყენების ინიციატივა ეკუთვნის 7500-დან 15000-მდე ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს, რომელიც კანდიდატურას წარადგენს საკონსტიტუციო სასამართლოში, არჩევნების თარიღის დანიშვნამდე 30 დღით ადრე. თავად არჩევნების თარიღი უნდა განისაზღვროს წინა პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის

გასვლამდე 30-დან 60 დღემდე შუალედში, ან 60-დან 90 დღემდე, მას შემდეგ, რაც პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდელი შეწყვეტიტ ამ პოსტზე წარმოიშობა ვაკანსია. ამასთან, კონსტიტუცია კრძალავს საპრ. ზიდენტო არჩევნების ჩატარებას პარლამენტის არჩევნს წინ ან შემდეგ 90 დღის მანძილზე. პრეზიდენტი არჩეულად ჩაითვლება, თუ მოაგროვებს არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების აბსოლუტურ უმრავლესობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ინიშნება მეორე ტური, რომელიც ტარდება 21 დღის შემდეგ და მასში მონაწილეობას იღებს უკეთესი შედეგის მქონე ორი კანდიდატი. მეორე ტურში გამარჯვებულად ითვლება ის, ვინც მეტ ხმას მიიღებს.

ყოველ არჩევნებზე შედეგებს ადგენს და მთლიანად საარჩევნო პროცესის წარმართავს ეროვნული საარჩევნო კომისია, რომლის საქმიანობაც 1978 წლის №7/78 კანონით რეგულირდება. იგი შედგება: უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი მოსამართლისგან, რომელიც მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს მიერ ინიშნება კომისიის თავმჯდომარედ; პატრიონებით ცნობილ მოქალაქეთაგან, რომელთაც პარლამენტში თითოეული პარტიის მიერ წარმოდგენილ თითო კანდიდატთაგან ირჩევს რესპუბლიკის ასამბლეა; სამი სპეციალისტისგან, რომლებიც გამწესებული არიან მთავრობის ორგანოების შინაგან საქმეთა სამინისტროს, საგარეო საქმეთა სამინისტროსა და მასმედიასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი უწყების მიერ. ეროვნული საარჩევნო კომისია ფიცს დებს პარლამენტის თავმჯდომარის წინაშე, დამოუკიდებელ ორგანიზაციად მოიაზრება და რიც საკითხებზე რესპუბლიკის მინისტრის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შეცვლაც ძალუძს. არჩევნების დროს კანონიერებაზე ზედამხედველობას ახორციელებს სასამართლო.

პორტუგალიის საარჩევნო სამართლის თავისებურებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული პროცენტული საარჩევნო ბარიერი, რათა არ მოხდეს საპარლამენტო არჩევნებისას მცირე პარტიათა დაჩაგვრა. და საერთოდ, პორტუგალიის კონსტიტუციის ერთი თავისებურება ის არის, რომ წინასაარჩევნო პერიოდში იგი ყოველმხრივ იცავს საარჩევნო სამართალს საპარლამენტო უმრავლესობის მიერ, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე შესაძლო კორექტირებისგან. სწორედ ამ დატვირთვისაა ნორმა, რომლის თანახმად, საარჩევნო კანონი ან მოქმედ კანონში შესწორება მიღებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს 5 თვისა არჩევნებამდე. თუ არადა, მათი ამოქმედება მხოლოდ შემდეგ არჩევნებზე მოხდება.

სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები. ხელისუფლების დანაწილების პრინციპის საფუძველზე პორტუგალიაში ხელისუფლების ბალანსი შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი, რომელიც იმავდროულად მნიშვნელოვანი აღმასრულებელი ფუნქციების მატარებლადაც გვევლინება და მასთან ფუნქციონირებს სპეციალური პოლიტიკური საკონსულტაციო ორგანო – სახელმწიფო საბჭო; საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის ერთპალატიან პარლამენტს —

რესპუბლიკის ასამბლეას; აღმასრულებელი ხელისუფლება ბივალენტურია: პრეზიდენტთან ერთად მოქმედებს ძლიერი მთავრობა პრემიერ-მინისტრით ათავენი. მართლმსაჯულება ხორციელდება უზენაესი სასამართლოსა და ანაი ქვემდგომი სასამართლოების მიერ. სახელმწიფო სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უკავია პორტუგალიის საკონსტიტუციო სასამართლოს.

პრეზიდენტი წარმოადგენს პორტუგალიის რესპუბლიკას, უზრუნველყოფს მის დამოუკიდებლობას, ერთიანობას და ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების ნორმალურ ფუნქციონირებას. ამასთან, იგი შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალია. პრეზიდენტი აირჩევა საყოველთაო, პირდაპირი და ფარული არჩევნების გზით, 5 წლის ვადით. არ დაიშვება არც სამი ვადით ზედიზედ და არც მეორე ვადის გასვლის შემდგომი ხუთი წლის მანძილზე არჩევა. პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნეს 35 წელს გადაცილებული, საარჩევნო უფლების მქონე, წარმოშობით პორტუგალიელი მოქალაქე.

პრეზიდენტის უფლებამოსილებანი იყოფა სამ ჯგუფად: უშუალო კომპეტენცია; უფლებამოსილებანი სხვა ორგანოებთან მიმართებით; კომპეტენცია საერთაშორისო ურთიერთობებში.

უშუალო კომპეტენციას მიეკუთვნება: უმაღლესი მთავარსარდლის ფუნქციათა შესრულება; კანონების, დეკრეტ-კანონების პრომულგაცია და გამოსაქვეყნებლად წარგზავნა ან ვეტოს დადება, ხელმოწერა რესპუბლიკის ასამბლეის იმ რეზოლუციებისა, რომლებიც საერთაშორისო შეთანხმებებისა და მთავრობის დეკრეტების დამტკიცებას შეეხება; იმ საკითხების რეფერენდუმზე გატანა, რომლებიც ეროვნული ინტერესის საგანს წარმოადგენენ; სააღყო და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება კონსტიტუციით დადგენილი პროცედურების შესაბამისად; სასჯელის გაუქმება ან შემსუბუქება, მთავრობის აზრის გათვალისწინებით; საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვა იმ კონსტიტუციურ ნორმათა შემომწმებისთვის, რომელსაც კანონები, დეკრეტ-კანონები და საერთაშორისო შეთანხმებანი შეიცავენ, აგრეთვე, იურიდიულ ნორმათა არაკონსტიტუციურად ცნობისა და საკანონმდებლო სფეროში კონსტიტუციის შესრულებაზე კონტროლის განხორციელების თხოვნით; დაჯილდოება და პორტუგალიის ორდენთა დიდი მაგისტრის ფუნქციების შესრულება.

კომპეტენცია სხვა ორგანოებთან მიმართებით პრეზიდენტს უფლებას აძლევს დაითხოვოს ქვეყნის პარლამენტი, დანიშნოს რესპუბლიკის ასამბლეის, ეროპარლამენტისა და საოლქო-საკანონმდებლო ასამბლეების დეპუტატთა არჩევნები; მოინვიოს რესპუბლიკის ასამბლეის რიგგარეშე სესია; თანამდებობაზე დანიშნოს და გაათავისუფლოს პრემიერ-მინისტრი, ხოლო მისი წარდგინებით დანარჩენი მინისტრები და მთავრობის სხვა წევრები; ავტონომიურ ოლქებში დანიშნოს ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები – რესპუბლიკის მინისტრები; მთავრობის წინადადებით დაითხო-



ოვოს ავტონომიური ოლქების ხელისუფლების ორგანოები; დანიშნოს სახელმწიფო საბჭოს 5 წევრი და მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს 2 ხმოსანი, მთავრობის წინადადებით თანამდებობებზე დანიშნოს გენ. პროკურორი, პროკურორი და საანგარიშო პალატის თავმჯდომარე; უხელმძღვანელოს ეროვნული თავდაცვის უმაღლეს საბჭოს.

პრეზიდენტი საერთაშორისო ურთიერთობებში უფლებამოსილია: მთავრობის წარდგინებით დანიშნოს ელჩები და საგანგებო დესპანები, ჩაიბაროს რწმუნებათა სიგელები უცხოელი დიპლომატებისგან; მოახდინოს საერთაშორისო შეთანხმებათა რატიფიკაცია მას შემდეგ, რაც ისინი დამტკიცებული იქნება კანონით დადგენილი წესით; მთავრობის წინადადებით ფაქტიური აგრესიის ან ასეთი საფრთხის დროს გამოაცხადოს ომი, დადოს ზავი სახელმწიფო საბჭოს აზრის მოსმენის შემდეგ და რესპუბლიკის ასამბლეის თანხმობით. მაგრამ თუ ასამბლეის შეკრება შეუძლებელია, თანხმობას იძლევა მუდმივმოქმედი კომისია, რომელიც აუცილებლად რატიფიცირებულ უნდა იქნეს რესპუბლიკის ასამბლეის პირველსავე სხდომაზე.

სახელმწიფოს მეთაური სარგებლობს ხელშეუხებლობით და თანამდებობაზე ყოფნის დროს არ შეიძლება პასუხი აგოს დანაშაულისთვის, რომლის ჩადენაც არ არის დაკავშირებული მის მიერ უფქციების განხორციელებასთან და პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს მხოლოდ საპრეზიდენტო ვადის გასვლის შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუცია არ იცნობს იმპიჩმენტის ცნებას, თანამდებობაზე ყოფნისას პრეზიდენტი პასუხისმგებელია მხოლოდ სახელმწიფოებრივი მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებით ჩადენილი ისეთი დანაშაულებისთვის, როგორიცაა სამშობლოს ღალატი და სხვა ანტიკონსტიტუციური ქმედებები. ამისთვის იგი პასუხს აგებს მხოლოდ უზენაესი სასამართლოს წინაშე. საქმის აღძვრის ინიციატივა შეიძლება ეკუთვნოდეს პარლამენტის დეპუტატების არანაკლებ 1/5-ს. საბოლოო გადაწყვეტილებას უზენაეს სასამართლოში საქმის განსახილველად გაგზავნის შესახებ იღებს რესპუბლიკის ასამბლეის წევრთა არანაკლებ 2/3, რაც იწვევს პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენებას და ხელმეორედ არჩევის უფლების ჩამორთმევას.

სახელმწიფო საბჭო პორტუგალიის სახელმწიფოებრიობის თავისებურ ატრიბუტს წარმოადგენს, რომელიც მისი ისტორიული განვითარების ყველა ეტაპზე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. კონსტიტუციის თანახმად, იგი განიხილება როგორც რესპუბლიკის პრეზიდენტის პოლიტიკური საკონსულტაციო ორგანო. საბჭო რჩევას აძლევს სახელმწიფოს მეთაურს მისთვის მინიჭებული ყველა მნიშვნელოვანი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით. სახელმწიფო საბჭოს მოწვევა და მისი თავმჯდომარეობა პრეზიდენტის პრეროგატივაა. პრეზიდენტი ვალდებულია მოისმინოს მისი აზრი ისეთ საკითხებზე როგორიცაა: რესპუბლიკის ასამბლეისა და ავტონომიური ოლქების ხელისუფლების ორგანოთა დათხოვნა; მთავრობის გადაყენება; ავტონომიურ

ოლქებში ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლების — რესპუბლიკის მინისტრების თანამდებობებზე დანიშვნა და გათავისუფლება; ომის გამოცხადება და ზავის დადება. ყველა დანარჩენ შემთხვევაში პრეზიდენტი კონსულტაციისთვის სახელმწიფო საბჭოს მიმართავს მხოლოდ თავისი სურვილით, ხოლო პრეზიდენტის არყოფნისას მისი მონაცვლე რესპუბლიკის ასამბლეის თავმჯდომარე ვალდებულია, თითქმის ყველა საპრეზიდენტო უფლებამოსილების რეალიზაცია მხოლოდ სახელმწიფო საბჭოს აზრის მოსმენის შემდეგ მოახდინოს.

კონსტიტუციის თანახმად სახელმწიფო საბჭოს შემადგენლობაში შედიან: რესპუბლიკის ასამბლეის თავმჯდომარე, პრემიერ-მინისტრი, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, მართლმსაჯულების საქმეთა რწმუნებული, ოლქების მთავრობათა თავმჯდომარეები, თავად პრეზიდენტის მიერ დანიშნული 5 მოქალაქე და პარლამენტში წარმოდგენილი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობის პრინციპის საფუძველზე რესპუბლიკის ასამბლეის მიერ არჩეული 5 წევრი, რომელთა უფლებამოსილება გრძელდება, ვიდრე შესაბამისი ორგანოები არ გაამწესებენ მათ შემცვლელებს. გარდა ამისა, საბჭოში თავისი ნებით ერთიანდებიან ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტები, რომლებიც არჩეულ იქნენ 1976 წლის კონსტიტუციის მიღების შემდეგ.

საკანონმდებლო ხელისუფლება. უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის ერთპალატიან რესპუბლიკის ასამბლეას. იგი კონსტიტუციის მიერ განიხილება საკრებულოდ, რომელიც ყველა პორტუგალიელი მოქალაქის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა. მისი საქმიანობა რეგულირდება კონსტიტუციით, ორგანული კანონით, პარლამენტის რეგლამენტით, კანონით დეპუტატის სტატუსის შესახებ და სხვა კანონებით. რესპუბლიკის ასამბლეა აირჩევა პროპორციული სისტემის საფუძველზე, საყოველთაო, პირდაპირი არჩევნებით და ფარული კენჭისყრით, 4 საპარლამენტო სესიის ვადით, ანუ, ფაქტობრივად, ოთხი წლით. დეპუტატები ფლობენ თავისუფალ მანდატს. დეპუტატად შეიძლება არჩეულ იქნეს საარჩევნო უფლების მქონე 18 წლის ასაკს მიღწეული, ყველა პორტუგალიელი მოქალაქე. პარლამენტის შემადგენლობა მერყეობს 230-დან 235 წევრამდე. კანონით დეპუტატებს ეკრძალებათ სხვა სახელმწიფო პოსტის დაკავება და სახელმწიფო სანარმოებში საქმიანობა. პარლამენტის წევრები სარგებლობენ იმუნიტეტით, თუმცა მათი დაკავება შეიძლება რესპუბლიკის ასამბლეის თანხმობის გარეშეც, დანაშაულზე ნასწრების შემთხვევაში.

პარლამენტის მუშაობას ხელმძღვანელობს რესპუბლიკის ასამბლეის თავმჯდომარე, ოთხი ყველაზე მნიშვნელოვანი საპარლამენტო პარტიის წარმომადგენელ ოთხ მოადგილესთან, ოთხ მდივანსა და ორ ვიცე-მდივანთან ერთად. ყველა ეს პირი აირჩევა ერთი წლის ვადით და ქმნის პარლამენტის ბიუროს. საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობის ორგანიზება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საპარლამენტო ჯგუფების თავმჯდომარეთა კონფერენცი-

აზე. საპარლამენტო ჯგუფები არანაკლებ 10 წევრის შემადგენლობით. პარტიული წინიშით იქმნება.

პორტუგალიის პარლამენტში ფუნქციონირებს 14 მუდმივი კომისია, რომელთა შემადგენლობა 10-დან 30 დეპუტატამდე მერყეობს. თითოეულ კომისიას ხელმძღვანელობს კომისიის ბიურო – თავმჯდომარის, ორი მოადგილისა და ორი მდივნის შემადგენლობით. შესაძლებელია საგამოძიებო და სხვა სახის დროებითი კომისიების შექმნა. პარლამენტის საგამოძიებო კომისია ალჭურვილია ყველა იმ საპროცესო უფლებით, რომლებიც პორტუგალიის კანონმდებლობით საგამოძიებო ორგანოებს აქვთ.

იმ შემთხვევაში, როდესაც რესპუბლიკის ასამბლეა დათხოვილია პრეზიდენტის მიერ, ან არდადეგებისა თუ რაიმე სხვა მიზეზის გამო არ არის შეკრებილი, მის ფუნქციას ასრულებს სპეციალური მუდმივმოქმედი კომისია, რომელიც შედგება პარლამენტის თავმჯდომარის, მოადგილეებისა და ასამბლეაში წარმოდგენილი პარტიების მიერ დანიშნული წევრებისგან.

პარლამენტის საკანონმდებლო ფუნქცია მოიცავს კონსტიტუციური, ორგანული და ჩვეულებრივი კანონების, ავტონომიური ოლქების სტატუტების, ბიუჯეტის შესახებ კანონის, სხვადასხვა სახის რეზოლუციების მიღებას, მთავრობის მიერ მისთვის დელეგირებულ საკითხებზე მიღებული დეკრეტ-კანონების დამტკიცებასა და საერთაშორისო შეთანხმებათა რატიფიკაციას. საკანონმდებლო პროცესი იწყება მთავრობის მიერ საკანონმდებლო წინადადების ან პარლამენტის დეპუტატების მიერ კანონპროექტის შემოტანით და მოიცავს კომისიების მიერ განხილვასა და ორ პლენარულ მოსმენას. კანონის მისაღებად საჭიროა ხმათა უბრალო, ხოლო ორგანული კანონის მისაღებად ხმათა აბსოლუტური უმრავლესობა. მიღებული აქტი პრომულგაციისთვის ეგზავნება პრეზიდენტს და მის მიერ ხელმოწერის შემდეგ იქცევა კანონად. პრეზიდენტს აქვს ვეტოს უფლება, რომელიც შეიძლება შეეხოს მთლიანად აქტს ან მის ნაწილს. პრეზიდენტი ვალდებულია, პარლამენტს წარუდგინოს წერილი, რომელშიც ჩამოაყალიბებს თავის მოსაზრებას ვეტოს საფუძველთან დაკავშირებით. ამასთან, იგი უფლებამოსილია აქტის მიღებიდან 5 დღის განმავლობაში მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს, პარლამენტის აქტის ან მისი ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე თავის მხრივ, საკონსტიტუციო სასამართლო 20 დღის ვადაში, პრეზიდენტის მოთხოვნის შესაბამისად, მიიღებს გადაწყვეტილებას აქტის კონსტიტუციურობის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული აქტი ან მისი ნაწილი არაკონსტიტუციურად იქნება ცნობილი, პრეზიდენტი მოვალეა ვეტო დაადოს მას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვალდებულია, მოახდინოს მისი პრომულგაცია.

სხვა სახელმწიფო ორგანოთა ფორმირების სფეროში რესპუბლიკის ასამბლეას უფლება აქვს აირჩიოს საკონსტიტუციო სასამართლოს 10 მოსამართლე, მართლმსაჯულების საქმეთა რწმუნებული, მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს 7 ხმოსანი, ეკონომიკური და სოციალური საბჭოს თავმჯდომარე, დანიშნოს – სახელმწიფო საბჭოს 5 წევრი, სოციალურ კომუნიკაციათა

უმალლესი ხელმძღვანელობის 5 წევრი, პროკურატურის უმაღლესი საბჭოს წევრთა ნახევარი.

საკანონმდებლო ორგანოს მიერ პრეზიდენტის საქმიანობაზე ერთგვარი ზედამხედველობის ძირითად საშუალებად შეიძლება მივიჩნიოთ მთელი რიგი საპრეზიდენტო აქტებისთვის იურიდიული ძალის მისანიჭებლად პარლამენტის მიერ რატიფიკაციის აუცილებლობა და იმპიჩმენტის უფლება. რაც შეეხება კონტროლს მთავრობის საქმიანობაზე, ის უმთავრესად ხორციელდება სამთავრობო პროგრამებისა და გეგმების შეფასებით, ინტერპელაციისა და სადეპუტატო შეკითხვების მეშვეობით.

რესპუბლიკის ასამბლეასთან კანონის საფუძველზე იქმნება, სოციალური კომუნიკაციების, მასმედიის საქმეთა უმაღლესი ხელმძღვანელობა. მისი ფუნქციაა ბეჭდვითი, სატელევიზიო, ელექტრონული და სხვა სახის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა დამოუკიდებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ქვეყანაში სიტყვის თავისუფლების, საზოგადოებრივი აზრის პლურალიზმის დაცვა. იგი შედგება 13 წევრისგან, რომელთაგან ერთი მოსამართლეა და მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს მიერ თავმჯდომარედ ინიშნება, 5 წევრი აირჩევა რესპუბლიკის ასამბლეის მიერ, მასში წარმოდგენილი პოლიტიკური პარტიების პროპორციული წარმომადგენლობის შესაბამისად, სამი გამწესებულია მთავრობის მიერ, ოთხი შეირჩევა ჟურნალისტური წრეებიდან, საზოგადო და კულტურულ მოღვაწეთაგან. აღნიშნული ორგანოს კომპეტენციაშია კერძო რადიო და ტელეკომპანიების ლიცენზირება, სახელმწიფო საინფორმაციო საშუალებათა ხელმძღვანელების დანიშვნა-გათავისუფლება და სხვა ორგანიზაციული საკითხების გადწყვეტა, ასევე მედიის იმ საშუალებათა მართვაში მონაწილეობა, რომლებიც მთავრობის პირდაპირი თუ არაპირდაპირი ეკონომიკური კონტროლის ქვეშ იმყოფებიან.

მთავრობა, კონსტიტუციის მიხედვით, არის ქვეყნის ერთიანი პოლიტიკის წარმმართველი, სახელმწიფო ადმინისტრაციის უმაღლესი კოლექტიური ორგანო. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტი ამ სფეროში ალჭურვილია გარკვეული უფლებამოსილებებით, ძირითადი აღმასრულებელი საქმიანობაში შედიან: პრემიერ-მინისტრი, ერთი ან რამდენიმე ვიცე-პრემიერი, მინისტრები, სახელმწიფო მდივნები და მათი მოადგილეები. აღნიშნული პირები, სახელმწიფო მდივნებისა და მათი მოადგილეების გამოკლებით, წარმოადგენს აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს – მინისტრთა საბჭოს, რომელიც პრემიერ-მინისტრის ან პრეზიდენტის თავმჯდომარეობით, განსაზღვრავს მთავრობის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს და კოორდინაციას უწევს მისი ორგანოების საქმიანობას. შესაძლებელია მინისტრთა სპეციალური მცირე საბჭოების შექმნა კონკრეტული პრობლემების ან მთავრობის საქმიანობის რომელიმე მნიშვნელოვანი, ეკონომიკური, სამართალდაცვითი თუ სხვა მიმართულების მოსაგვარებლად. მთავრობის შემადგენლობაში გაერთიანებულია 14 დარგობრივი სამინისტრო.

მთავრობის ფორმირება იწყება პრეზიდენტის მიერ საკანონმდებლო ორგანოში წარმოდგენილ პარტიებთან კონსულტაციის შედეგად, მთავრობის თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის დანიშვნით. პრემიერ-მინისტრი, უმეტეს შემთხვევაში, გამარჯვებული პარტიის ან პარტიათა კოალიციის ლიდერია და სახელმწიფოს მეთაურს ყველა მინისტრისა თუ სახელმწიფო მდივნის კანდიდატურას წარუდგენს, რომელთაც პრეზიდენტი ერთპიროვნულად ამტკიცებს. მთავრობა თავისი ფუნქციების შესრულებას მხოლოდ პარლამენტის მიერ მისი პროგრამის დამტკიცების შემდეგ შეუდგება. მთავრობა პროგრამას ახალი მონვევის პარლამენტსაც წარუდგენს თავისი უფლებამოსილების ვადის გაგრძელების მიზნით.

პორტუგალიის მთავრობა აღჭურვილია ფართო აღმასრულებელი უფლებამოსილებით, რომელიც ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმმართველ ფუნქციას განაკუთვნებს. ამასთან, იგი ფლობს გარკვეულ საკანონმდებლო პრეროგატივებსაც, კერძოდ, უფლებამოსილია, მიიღოს სპეციალური დეკრეტ-კანონები, რომლებიც რესპუბლიკის ასამბლეის მიერ დამტკიცების შემდეგ იქცევა კანონის ძალის მქონე ნორმატიულ აქტად. ამგვარ აქტებს იგი იღებს იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც პარლამენტის კომპეტენციას არ მიეკუთვნება, ან მიეკუთვნება, მაგრამ სპეციალური კანონით დელეგირებულია მთავრობაზე. კონსტიტუცია მკაცრად განსაზღვრავს სოციალურ და ეკონომიკურ საკითხთა წრეს, რომელზეც რესპუბლიკის ასამბლეამ შეიძლება მთავრობაზე საკანონმდებლო უფლებების დელეგირება მოახდინოს.

თავად პრეზიდენტი მთავრობის აღმასრულებელ საქმიანობაში მხოლოდ ინფორმაციის მიღების დონეზე მონაწილეობს და უფლება აქვს აზრი გამოთქვას ქვეყანაში მიმდინარე ყველა მეტ-ნაკლებად საყურადღებო პროცესზე. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ პრეზიდენტი აღმასრულებელ ხელისუფლებაში ფორმალური ფიგურაა. იგი გარკვეულ გავლენას ახდენს მთავრობის საქმიანობაზე, რადგან დიდ როლს თამაშობს აღმასრულებელი ორგანოების ფორმირების პროცესში, რომლის წარმომადგენლები პასუხისმგებელნი არიან უშუალოდ მის წინაშე. ამასთან, სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი — ეროვნული თავდაცვა მთლიანად მის კომპეტენციას წარმოადგენს. ამ სფეროში მთავრობის უფლებამოსილებანი არსებითად ნომინალურია და რეკომენდაციის იქით აღარ მიდის. პრეზიდენტი, როგორც უმაღლესი მთავარსარდალი, ერთპიროვნულად, ეროვნული თავდაცვის უმაღლესი საბჭოს მეშვეობით კურირებს ამ სისტემას.

სამთავრობო გუნდის პასუხისმგებლობა იერარქიული ხასიათისაა: პრემიერ-მინისტრი პირადად აგებს პასუხს სახელმწიფოს მეთაურის წინაშე; ვიცე-პრემიერები და მინისტრები თავისი საკურაციო დარგებისთვის პასუხისმგებელნი არიან პრემიერ-მინისტრის წინაშე; სახელმწიფო მდივნები, მათი მოადგილეები და სამინისტროს დანაყოფთა დირექტორები — შესაბამისი

ქვედა აზორის კუნძულებისა და მადეირას ადმინისტრაციული და ფისკალური სასამართლოები. ამ სისტემას თავად მოსამართლეების მიერ არჩეული უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს თავმჯდომარე ხელმძღვანელობს.

ერთი თავისებურება პორტუგალიის სასამართლო ხელისუფლებისა ის არის, რომ სწორედ მის შემადგენლობაში ფუნქციონირებს საანგარიშო პალატა, რომელიც თავის საილქო განყოფილებებთან ერთად წარმოადგენს საჯარო ფინანსებზე კონტროლის უმაღლეს ორგანოს. საანგარიშო პალატა არის ერთიანი, ცენტრალიზებული ორგანო, რომლის სათავეში დგას, მთავრობის წარდგინების საფუძველზე, რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ 4 წლის ვადით დანიშნული პალატის თავმჯდომარე. საანგარიშო პალატის სექციები მოქმედებენ აზორის კუნძულებისა და მადეირას ავტონომიურ ოლქებში და აკონტროლებენ ავტონომიის ხელისუფლების მიერ სახელმწიფო და ადგილობრივი ფინანსების განკარგვა-გამოყენებას.

მოსამართლეთა თანამდებობებზე დანიშვნა-გადაყენება, მათთვის დისციპლინარული თუ სხვა სახის პასუხისმგებლობის დაკისრება, სასამართლო სისტემის ხელმძღვანელობა და კოორდინაცია მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს პრეროგატივაა. საბჭოს შემადგენლობაში შედის მოსამართლეთა კორპუსისგან არჩეული 7 წევრი, რესპუბლიკის ასამბლეის მიერ არჩეული 7 და პრეზიდენტია მიერ დანიშნული 2 ხმოსანი. მაგისტრატურის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარეობს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. ამ ორგანოს ფუნქციონირება უზრუნველყოფს სასამართლო სისტემის სრულ დამოუკიდებლობას. მოსამართლენი ინიშნებიან სამუდამოდ, დაუშვებელია მათი თანამდებობიდან გადაყენება; ან საქმიდან ჩამოცილება და პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე, მათთვის რაიმე პასუხისმგებლობის დაკისრება, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა.

პროკურატურა ერთიანი, ცენტრალიზებული, მკაცრ იერარქიაზე დამყარებული ავტონომიური ორგანოა, რომლის ფუნქციებშიც შედის სასამართლოში სახელმწიფოს წარმომადგენლობა, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება, ქვეყნის ანტიკრიმინალური პოლიტიკის შემუშავება და დემოკრატიული კანონიერების დაცვის უზრუნველყოფა. ამ უწყებას სათავეში უდგას პრეზიდენტის მიერ მთავრობის რეკომენდაციის საფუძველზე, 6 წლის ვადით დანიშნული გენერალური პროკურორი. იგი ერთპიროვნულად, თავისი აპარატისა და პროკურატურის უმაღლესი საბჭოს მეშვეობით ხელმძღვანელობს პროკურატურის სისტემას. პროკურატურის მაგისტრატა თანამდებობებზე დანიშვნა-გადაყენება და გადაადგილება მხოლოდ მის გასაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება. პროკურატურის უმაღლესი საბჭოს წევრთა ნახევარს ირჩევს რესპუბლიკის ასამბლეა, ხოლო მეორე ნახევარს – თავად პროკურატურის მაგისტრატები თავიანთი შემადგენლობიდან.

საკონსტიტუციო ზედამხედველობა. პორტუგალიაში საკონსტიტუციო იუსტიციის, ე. წ. მერქული მოდელი მოქმედებს, როდესაც საკონსტიტუციო ზედამხედველობას საერთო იურისდიქციის სასამართლო და სპეციალიზებული საკონსტიტუციო სასამართლო ერთდროულად ახორციელებენ.

საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 6 წლით არჩეული 13 მოსამართლისგან, რომელთაგან ათს ირჩევს რესპუბლიკის ასამბლეა, ხოლო ეს ათეული, კოოპტაციის წესით, ირჩევს დანარჩენ სამს, სხვა სასამართლოს მოსამართლეთაგან. მოსამართლენი აირჩევიან გამოცდილ იურისტთაგან, კერძოდ, ეს შეიძლება იყოს სამართლის პროფესურა, სტაჟიანი მოსამართლეები და ადვოკატები. 13 წევრიდან 6 აუცილებლად სხვა სასამართლოს მოსამართლე უნდა იყოს, რომელთაგან სამს პარლამენტი ირჩევს და სამიც კოოპტაციის წესით იქნება არჩეული. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე 2 წლის ვადით ირჩევა, თავად მოსამართლეების მიერ, მათი შემადგენლობიდან. საკონსტიტუციო სასამართლოს სტრუქტურული ერთეულებია პლენუმი და სექციები.

საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია განმარტოს კონსტიტუციური ნორმები და განსაზღვროს ნებისმიერი ნორმატიული აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხი, გადაწყვიტოს პოლიტიკური პარტიის ან პარტიათა გაერთიანების კონსტიტუციურობის საკითხი, ძირითადი კანონით დადგენილ ფარგლებში მოახდინოს კანონიერების დაცვაზე ზედამხედველობა რეფერენდუმსა და პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტასთან (გარდაცვალება, გადაყენება) დაკავშირებულ საკითხებზე.

საკონსტიტუციო ზედამხედველობას ექვემდებარება საერთაშორისო ხელშეკრულებები, მათ შორის ძალაში შესულიც, თუმცა არაკონსტიტუციურად ცნობა არ ნიშნავს მათ შეჩერებას, თუ მას იყენებს მეორე მხარე და ამასთან დაკავშირებით არ ირღვევა კონსტიტუციის პრინციპები. არის შემთხვევები, როდესაც გამოიყენება შეყოვნებითი ვეტო საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიკაციამდე, რომელიც შეიძლება დაძლეულ იქნეს რესპუბლიკის ასამბლეის მიერ ხმების 2/3-ით.

იმის გათვალისწინებით, რომ საკონსტიტუციო იუსტიციას საკონსტიტუციო სასამართლოსთან ერთად საერთო იურისდიქციის სასამართლოები ახორციელებენ, ვრცელია სუბიექტთა წრე, რომელთაც საკონსტიტუციო სარჩელით მიმართვის უფლება აქვთ. ეს შეიძლება იყოს ქვეყნის პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, მინისტრები, რესპუბლიკის ასამბლეის თავმჯდომარე, საპარლამენტო ფრაქციები თუ დეპუტატთა ჯგუფები; საოლქო საკანონმდებლო ორგანოები მათი თავმჯდომარეები, დეპუტატთა ჯგუფები, მთავრობის თავმჯდომარეები; აგრეთვე, სასამართლოები, გენერალური პროკურორი და მისი ქვემდგომი პროკურორები; ფიზიკური და იურიდიული პირები.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკონსტიტუციო ზედამხედველობა ხორციელდება ორი, ე. წ. კონკრეტული და აბსტრაქტული კონტროლის ფორმით. პორტუგალიური გაგებით კონკრეტულია კონტროლი, როდესაც

საკონსტიტუციო სასამართლო, მისთვის განსაზღვრული ზედამხედველობის ფარგლებში, ამომნებს საერთო იურისდიქციის სასამართლოს მიერ მიღებულ, ან განხილვის პროცესში მყოფ საქმესთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას სახელმწიფოებრივი ან ავტონომიური ოლქის კანონის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით და გარკვეულად საკონსტიტუციო იუსტიციის უმაღლესი ინსტანციის როლში გამოდის. კონკრეტული კონტროლის მხოლოდ ამგვარი არსის პირობებში გასაგები უნდა იყოს, რომ აბსტრაქტული კონტროლი გულისხმობს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ უშუალოდ პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარის, დეპუტატთა V/10-ის, პრემიერ-მინისტრის, მართლმსაჯულების საქმეთა რმუნებულის, გენერალური პროკურორის, რესპუბლიკის მინისტრის, ოლქების მთავრობათა თავმჯდომარეების, ოლქების ასამბლეათა დეპუტატების მოთხოვნით რესპუბლიკური ან ოლქის ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხის განხილვას.

საერთო იურისდიქციისა და საკონსტიტუციო სასამართლოს საერთო ისა აქვთ, რომ ორივე იყენებს შემდგომი კონტროლის ფორმას, მაგრამ საკონსტიტუციო სასამართლო მთელ რიგ შემთხვევებში იყენებს პრევენტიული, ნინასნარი კონტროლის საშუალებებს, იქამდე, რომ თავად ქვეყნის ძირითადი კანონი საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებათა ნუსხაში (მუხლი 225, პუნქტი 2-ი) პირდაპირ აფიქსირებს ადგილებზე ამომრჩეველბთან უშუალო კონაულტაციის, რეფერენდუმების კანონიერებისა და კონსტიტუციურობის ნინასნარ ზედამხედველობას და ამით წარმოაჩენს კონსტიტუციურ სამართალში ნინასნარი კონტროლის პროფილაქტიკურ დანიშნულებას.

**ადგილობრივი მართვის ორგანიზაცია.** პორტუგალიაში ადგილობრივი ხელისუფლება დამყარებულია თვითმმართველობაზე და ეფუძნება ადმინისტრაციული დეცენტრალიზაციის პრინციპს. ადგილობრივი ხელისუფლების უმაღლეს დონეს ქმნიან ავტონომიური და ადმინისტრაციული ოლქები. ეროვნული ტერიტორიის კონტინენტურ ნაწილზე მდებარე ადმინისტრაციული ოლქები დაყოფილია 305 მუნიციპალიტეტად, რომლებიც თავის მხრივ აერთიანებენ 4209 ოკრუგს. ასე რომ, თითოეული მუნიციპალიტეტი აერთიანებს რამდენიმე, ხშირად ორ ათეულამდე ოკრუგს. ადგილობრივი ხელისუფლების მეორე და მესამე დონეებად ამგვარი დაყოფა მიღებულია ავტონომიურ ოლქებშიც. ადმინისტრაციულ ოლქებში ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს საოლქო ასამბლეა, რომლის წევრთა დიდი ნაწილიც, აირჩევა ამ ოლქში მცხოვრები ამომრჩეველების მიერ პირდაპირი – მაჟორიტარული არჩევებით, მცირე ნაწილი კი – პროპორციული წესით. თავმჯდომარე და მოადგილეები აირჩევიან თავად ასამბლეის მიერ ფარული კენჭისყრით. საოლქო ასამბლეა ფარული კენჭისყრით თავის წევრთაგან ახდენს ოლქის მთავრობის – ჯუნტის ფორმირებას. ჯუნტა არის კოლეგიური ორგანო, რომელიც ოლქში აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს. მასთან ფუნქციონირებს მინისტრთა საბჭოს მიერ საჯარო სამსახურის, დაგ-



ეგმვისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მართვის მინისტრის რეკომენდაციით დანიშნული სამოქალაქო გუბერნატორი (ც. მ. ა. პრეროგატივა ძირითადად ადგილებზე ცენტრალური ხელისუფლების უწყებათა დანაყოფების საქმიანობის კოორდინაცია და ადგილობრივ აღმასრულებელ ორგანოებთან მათი კოორპერაციის უზრუნველყოფაა. მის განსაკუთრებულ კომპეტენციაშია არჩევნებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა. კანონის თანახმად, სამოქალაქო გუბერნატორი ახორციელებს ადმინისტრაციულ ზედამხედველობას ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა საქმიანობაზე და მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. სამოქალაქო გუბერნატორი არ არის ალჭურვილი ისეთი ფართო უფლებამოსილებებით, როგორთაც რესპუბლიკის მინისტრი ავტონომიურ ოლქებში.

აღმასრულებელი ფუნქციების თვალსაზრისით საოლქო ჯუნტა და მისი თავმჯდომარე მნიშვნელოვან უფლებამოსილებებს ფლობენ. მათ დაქვემდებარებაშია ადგილობრივი პოლიცია, დამოუკიდებლად განკარგავენ ოლქის ქონებასა და ფინანსებს, ხელმძღვანელობენ ადგილობრივ სამსახურებსა და კოორდინაციას უწევენ მუნიციპალიტეტების საქმიანობას, ოლქის ინტერესებიდან გამომდინარე შეუძლიათ ადგილობრივი რეფერენდუმების გამართვა და ა. შ.

მუნიციპალიტეტებში ხელისუფლების ორგანოებს წარმოადგენენ მუნიციპალიტეტის ასამბლეა და მუნიციპალური პალატა. მუნიციპალიტეტის ასამბლეას აქვს საკანონმდებლო ორგანოს ფუნქცია. იგი შედგება ოკრუგების ჯუნტების თავმჯდომარეებისა და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მიერ არჩეული წევრებისგან, რომელთა რაოდენობა ოკრუგების ჯუნტების თავმჯდომარეებზე ნაკლები არ უნდა იყოს. აღმასრულებელი ფუნქცია აკისრია მუნიციპალურ პალატას, რომლის შემადგენლობაც პირდაპირ აირჩევა მუნიციპალიტეტის ელექტორატის მიერ. კანდიდატი, რომელიც მოაგროვებს ყველაზე მეტ ხმას, ხდება პალატის თავმჯდომარე და ხელმძღვანელობს მის საქმიანობას. ერთი თავისებურება ის არის, რომ მუნიციპალიტეტებს, საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, საკითხების გადასაწყვეტად შეუძლიათ დააფუძნონ ასოციაციები და ფედერაციები. მათი შექმნა შეიძლება როგორც ერთი, ისე რამდენიმე ოლქის ფარგლებში.

ოკრუგი ადგილობრივი ხელისუფლების მესამე, ყველაზე ქვედა დონეა. მისი მმართველობის ორგანოებია ოკრუგის ასამბლეა და ოკრუგის ჯუნტა. ოკრუგის ასამბლეა აირჩევა პროპორციული საარჩევნო სისტემით. იმ ოკრუგებში, სადაც მოსახლეობის რიცხვი მცირეა, ასამბლეა ჩანაცვლებულია მოქალაქეთა კრებით, რომელიც ადგილობრივ საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიმღები ორგანოა. ეს გადაწყვეტილებები კი აღესრულება ოკრუგის ჯუნტის მიერ. ჯუნტას თავის ნევრთაგან, ფარული კენჭისყრით ირჩევენ ოკრუგის ასამბლეა. ჯუნტის თავმჯდომარეობა ეკისრება პირს, რომელიც ასამბლეის არჩევნებში ყველაზე მეტ ხმას მოაგროვებს. ხოლო თუ ოკრუგის ასამბლეა არ არსებობს, მაშინ იგი მოქალაქეთა კრების

მიერ აირჩევა. ოკრუგის ორგანოებმა შეიძლება მოახდინონ თავიანთი უფლებების დელეგირება მობინადრეთა ორგანიზაციებზე. მობინადრეთა ორგანიზაციები კი იქმნება ოკრუგის ფარგლებში არსებულ სოფლებში და მცირე ქალაქებში, ადგილობრივ მმართველობაში მოსახლეობის აქტიური მონაწილეობის უზრუნველსაყოფად და ეს თვითმმართველობის ყველაზე ქვედა უჯრედი. მობინადრეთა ორგანიზაცია აერთიანებს მობინადრეთა კრებასა და კომისიას. მობინადრეთა კრება შედგება იმ პირთაგან, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ოკრუგის ასამბლეის არჩევნებში, მაგრამ ვერ გაიმარჯვეს. კომისია კი აირჩევა თავად კრების მიერ მისივე რიგებიდან. მობინადრეთა ორგანიზაციას უფლება აქვს პეტიციის საშუალებით გაასაჩივროს ადგილობრივი თვითმმართველობის ზემდგომ ორგანოთა გადანყვეტილებები და წარმომადგენელთა მეშვეობით მონაწილეობა მიიღოს ოკრუგის ასამბლეისა და ჯუნტის საქმიანობაში.

ადგილობრივ თვითმმართველობას კურიერებს საჯარო სამუშაოების, დაგეგმვისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მართვის სამინისტრო. რესპუბლიკის პრეზიდენტს უფლება აქვს დაითხოვოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები კანონმდებლობის უხეში დარღვევის ან უმოქმედობის გამო.

პორტუგალიის კონსტიტუციური სამართლის განსაკუთრებული თავისებურებანი. 1976 წლის კონსტიტუციამ დემოკრატიულ სახელმწიფოსთან ერთად, ისტორიული ტრადიციების გათვალისწინებით, კონსტიტუციურ სამართალში ბევრი თავისებურებაც დაამკვიდრა:

— კონსტიტუციის განსაკუთრებული თავისებურება ვალდებულებების თემის აქტუალიზაციაა, როგორც მოქალაქეთა ისე სახელმწიფოს მხრიდან, მათ ურთიერთობაში;

— ავტონომიური ოლქები ფართო უფლებებით სარგებლობენ, მაგრამ ეს დაბალანსებულია რესპუბლიკის მინისტრის ინსტიტუტით, რომელსაც საოლქო ხელისუფლების საქმიანობაზე კონტროლის განსაკუთრებული პრეროგატივები აქვს მინიჭებული;

— პორტუგალიური ომბუდსმენის — მართლმსაჯულების საქმეთა რწმუნებულის თავისებურება ის არის, რომ მოქმედებს საკუთარი ინიციატივითაც, მისი ქვემდებარეა ყველა სახელმწიფო ორგანოს, მათ შორის სასამართლოს მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევის საქმე;

— საარჩევნო სამართალი განსაკუთრებულად იცავს მცირე პარტიებს: არ არის დადგენილი საარჩევნო ბარიერი და წინასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო კანონში ცვლილებების შეტანა 5-თვიანი ვადით არის შეზღუდული; როგორც აქტიური, ისე პასიური საარჩევნო უფლებით არჩევნებში სრულფასოვან მონაწილეობას იღებენ ქვეყნის გარეთ მცხოვრები პორტუგალიელები;

— სახელმწიფოში აკრძალულია რეგიონალური პარტიების შექმნა და რეგისტრაცია;

– სამხედრო მმართველობა პრეზიდენტის პირადი პრეროგატივაა, პრეზიდენტი საჭიროებს პარლამენტის თანხმობას ქვეყნის ტერიტორიის დატოვების შემთხვევაში; კონსტიტუცია არ აღიარებს იმპიჩმენტის ინსტიტუტს, თუმცაღა მსგავსი მექანიზმი მასში განერილია, თანაც იმ თავისებურებით, რომ გადაყენებულ პრეზიდენტს ერთმევა ხელმოკრედ არჩევის უფლება;

– პორტუგალიაში არსებობს ქვეყნის პოლიტიკური ძალების მაკონსოლიდირებული ორგანო – სახელმწიფო საბჭო, რომელიც აერთიანებს ხელისუფლების სამივე შტოს ხელმძღვანელობას, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული და ავტონომიური ერთეულების ხელმძღვანელობას, აგრეთვე, მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძალების გავლენიან წარმომადგენლებს;

– რესპუბლიკის ასამბლეის განსაკუთრებული პრეროგატივაა კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა, პარლამენტის საგამოძიებო კომისიები აღიჭურვება საგამოძიებო ორგანოთა ტოლფასი საპროცესო უფლებამოსილებებით; პარლამენტთან ფუნქციონირებს სოციალურ კომუნიკაციათა უმაღლესი ხელმძღვანელობა, რომელიც ქვეყანაში სიტყვის თავისუფლებას უზრუნველყოფს;

– მთავრობას აქვს კანონების მიღების უფლება რესპუბლიკის ასამბლეის მიერ დელეგირებულ საკითხებზე;

– სასამართლო სისტემა შედგება სხვადასხვა სახის მრავალრიცხოვანი სასამართლოსგან და ერთიანი ხელმძღვანელობის პირობებში დამოუკიდებლად მოქმედი ორგანოებისგან, იქამდე, რომ საანგარიშო პალატაც მის შემადგენლობაში მოქმედებს;

– გენერალური პროკურატურის უმაღლესი საბჭოს თავისებურებაა ის ფაქტი, რომ ეს ორგანო არჩევითობის პრინციპით იქმნება და მასში პარლამენტიც მონაწილეობს, რაც განაპირობებს გარკვეული საპარლამენტო კონტროლის უზრუნველყოფას პროკურატურაზე;

– საკონსტიტუციო ზედამხედველობას, ე. წ. შერეული სისტემით საერთო და სპეციალური სასამართლოები ერთდროულად ახორციელებენ. მათ არსენალში მოქმედებს წინასწარი, კონკრეტული და აბსტრაქტული კონტროლის ფორმები. თავისებურებას წარმოადგენს თვითონ საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირების, ე. წ. კოოპტაციის წესი, როდესაც პარლამენტის მიერ არჩეული 10 მოსამართლე ირჩევს დანარჩენ სამს. საკონსტიტუციო სასამართლო გამოდის საარჩევნო პროცესში მონაწილე ერთ-ერთ ორგანოდ, აქ ხდება პრეზიდენტის კანდიდატურის წარდგენა, იგი ეწევა მოსახლეობასთან უშუალო კონსულტაციას;

– ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს აქვთ რეფერენდუმის დამოუკიდებლად გამართვის უფლება, არჩეული თვითმმართველობის ორგანოების პარალელურად მოქმედებს მთავრობის მიერ დანიშნული სამოქალაქო გუბერნატორი, რომელიც ადგილებზე სახელისუფლებო ვერტიკალის წარმომადგენელია.

## საბერძნეთი

სავიზიტო ბარათი. საბერძნეთი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, ხმელთაშუაზღვისპირეთის აღმოსავლეთით მდებარეობს, ბალკანეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილზე და ასზე მეტ მიმდებარე კუნძულზეა განთავსებული, რომელთაგან უდიდესია: კრეტა, ევბეა, როდოსი, ლესბოსი. ქვეყნის ტერიტორია 132 ათასი კმ<sup>2</sup>-ია, მოსახლეობა 10.5 მილიონი, მ. შ. 95% ბერძენია. საბერძნეთს ჩრდილო-დასავლეთით ალბანეთი ესაზღვრება, ჩრდილოეთით – მაკედონია და ბულგარეთი, აღმოსავლეთით – თურქეთი. ქვეყნის დედაქალაქია ათენი, ოფიციალური ენა – ახალი ბერძნული, ფულის ერთეული – დრაქმა.

საბერძნეთს მდიდარი კონსტიტუციური ისტორია აქვს. მე-20 საუკუნეში მიღებულ იქნა 4 კონსტიტუცია, მათ შორის მოქმედი, 1975 წლის 11 ივნისს შევიდა ძალაში „წმინდა, ერთარსობრივი და განუყოფელი სამების სახელით“ და „შავი პოლიკონიკების“ სამხედრო დიქტატურის რეჟიმის სანაცვლოდ, რომელიც ქვეყანას 1967-1974 წლებში მართავდა. ახალმა კონსტიტუციამ დემოკრატიულ რესპუბლიკას მისცა დასაბამი და ამჟამადაც 1986 წლის შესწორება-დამატებებით მოქმედებს. (თანამედროვე საბერძნეთი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ფორმით უნიტარული სახელმწიფოა, ხოლო მმართველობის ფორმით საპარლამენტო რესპუბლიკა. საბერძნეთი კონტინენტურ სამართლის ოჯახს მიეკუთვნება და დემოკრატიისა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სამშობლოდ ითვლება.

კონსტიტუცია. საბერძნეთის კონსტიტუცია 4 ნაწილისა და 120 მუხლისგან შედგება. კონსტიტუციის 1 ნაწილი – „ძირითადი დებულებანი“ 2 განყოფილებისგან შედგება: პირველი განყოფილება – „სახელმწიფო მართვის ფორმა“, აღიარებს, რომ საბერძნეთის სახელმწიფო წყობა საპარლამენტო რესპუბლიკაა, რომლის საფუძველსაც სახალხო სუვერენიტეტი წარმოადგენს: მთელი სახელმწიფო ხელისუფლება გამომდინარეობს ხალხიდან, არსებობს ხალხისა და ერისთვის და ხორციელდება კონსტიტუციით განსაზღვრული გზით. მეორე განყოფილებაში – „ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობა“ ნათქვამია, რომ საბერძნეთში გაბატონებულ რელიგიას აღმოსავლეთ-მართლმადიდებლური რელიგია წარმოადგენს. კონსტიტუციითაა განსაზღვრული ისეთი საკითხები როგორცაა წმინდა წერილთა ტექსტის უცვლელობა და მისი თარგმანის შემთხვევაში საბერძნეთის ავტოკეფალიური ეკლესიის მიერ სპეციალური ნებართვის გაცემის აუცილებლობა.

II ნაწილი – „პირადი და სოციალური უფლებები“ ნორმათა ერთიანი სისტემის სახით არის წარმოდგენილი, აღიარებული და გარანტირებულია ადამიანის ყველა ძირითადი უფლება და თავისუფლება, დადგენილია ბერძენთა მოვალეობები სახელმწიფოს წინაშე. ყოველი უფლების განხორციელება გარანტირებულია სახელმწიფოს მიერ.

III ნაწილი – „სახელმწიფოს ორგანიზაცია და ფუნქციონირება“ 6 განყოფილებას შეიცავს: პირველი განყოფილება – „სახელმწიფოს სტრუქტურა“ კონსტიტუციურად აღიარებს ხელისუფლების დანაწილების პრინციპს, განსაზღვრავს საერთაშორისო სამართლის ნორმათა როლს ქვეყნის კანონმდებლობაში, ადგენს ქვეყნის საზღვრის ხელშეუხებლობას და მისი შეცვლის შესაძლებლობას, განხილულია პოლიტიკური პარტიების შექმნის წესი და საქმიანობის ზოგადი საფუძვლები.

მეორე განყოფილება – „რესპუბლიკის პრეზიდენტი“ შედგება 3 თავისგან: „პრეზიდენტის არჩევა“, ადგენს პარლამენტის მიერ პრეზიდენტის არჩევის საქმოდ რთულ პროცედურას; თავი „პრეზიდენტის აქტიებიდან გამომდინარე უფლებამოსილებანი და პასუხისმგებლობა“, ადგენს კონტრასიგნების შექმნის წესს და განსაზღვრავს იმ უფლებამოსილებათა წრეს, რომლებიც კონტრასიგნებას არ საჭიროებენ. აქვე განსაზღვრულია პრეზიდენტის ცალკეული უფლებამოსილებანი: დაწყებული პრემიერ-მინისტრის დანიშვნით და დასრულებული საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებით; თავში „რესპუბლიკის პრეზიდენტის განსაკუთრებული პასუხისმგებლობა“, აღიარებულია პრეზიდენტის ხელშეუხებლობა, განსაზღვრულია მისი პასუხისმგებლობის შემთხვევები და იმპიჩმენტის პროცედურა.

მესამე განყოფილება – „პარლამენტი“, შეიცავს 6 თავს: თავში „პარლამენტის არჩევა და შეკრება“, დადგენილია საკანონმდებლო ორგანოს ფორმირების ზოგადი პრინციპები და გარანტიები, აღიარებულია შერეული საარჩევნო სისტემა; თავში „კრიტიკრიუმები, რომლებიც წარმოადგენენ დამაბრკოლებელ გარემოებებს ან შეუთავსებელნი არიან პარლამენტის დეპუტატის სტატუსთან“, განსაზღვრულია საარჩევნო ასაკი და სხვა სავალდებულო კრიტერიუმები დეპუტატობის კანდიდატობისთვის, მათ შორის არჩევნებში მონაწილეობის რიგი შეზღუდვები სახელმწიფო მოხელეთათვის; თავში „პარლამენტის დეპუტატის უფლებები და მოვალეობები“, აღიარებულია დეპუტატის ხელშეუხებლობა, ჩამოყალიბებულია სადეპუტატო ფიცის ტექსტიც; თავში „პარლამენტის ორგანიზაცია და ფუნქციონირება“, განსაზღვრულია პარლამენტის ფუნქციონირების ძირეული ორგანიზაციული საკითხები; თავში „პარლამენტის კანონშემოქმედებითი მოღვაწეობა“, დეტალურადაა მონესრიგებული საკანონმდებლო პროცესი: დადგენილია საკანონმდებლო ინიციატივის მქონე სუბიექტთა წრე, კანონპროექტის განხილვისა და მიღების სტადიები და ზოგიერთი კანონპროექტის შეტანისა და განხილვის განსაკუთრებული თავისებურებანი, აგრეთვე, კანონპროექტის მიღების დაჩქარებული და გამარტივებული წესი; თავში „გადასახადთა დაკისრება და ფინანსების მართვა“, დანესებულია გადასახადის შემოღებისა და პარლამენტის მიერ ქვეყნის ყოველწლიური ბიუჯეტის მიღების წესი, დადგენილია ეროვნული ვალუტის ემისიის კანონით რეგულირების სავალდებულობა.

მეოთხე განყოფილება – „მთავრობა“ შედგება 2 თავისგან: თავში „მთავრობის ფორმირების წესი და ამოცანები“, განსაზღვრულია მინისტრთა საბჭ-

ოს შემაღვენლობა და ჩამოყალიბებულია მთავრობის ნევრთა საქმთანობის შიღარგანინზაციის საკითხები, აღიარებულია მთავრობის უმთავრესი ფუნქციები; თავეში „პარლამენტსა და მთავრობას შორის ურთიერთობები,“ მონესრიგებულია მთავრობის ნევრთა პოლიტიკური და სისხლისსამართლერივი პასუხისმგებლობის ზოგადი პროცედურული საკითხები.

მევექვე განყოფილება – „სასამართლო ხელისუფლება“ შეიცავს 2 თავეს: თავეში „სასამართლო ჩინოვნიკები და მოსამსახურენი,“ განმტკიცებულია მოსამართლეთა დამოუკიდებლობა, დადგენილია სასამართლო ხელისუფლების საკადრო ორგანიზაციის მთელი სისტემა; თავეში „სასამართლო ორგანიზაცია და კომპეტენცია,“ ჩამოყალიბებულია სასამართლო ორგანოთა მრავალფეროვანი სისტემა, მათი კომპეტენცია და ფუნქციები.

მევექვე განყოფილება – „ადმინისტრაცია“ შედგება 3 თავესგან: თავეში „ადმინისტრაციის ორგანიზაცია,“ აღიარებულია ქვეყნის ადმინისტრაციული დაყოფისა და ადგილობრივ და ცენტრალურ ორგანოებს შორის ხელისუფლების გამიჯვნის პრინციპი; თავეში „ადმინისტრაციული ორგანოების საშტატო კომპლექტაცია,“ განსაზღვრულია სახელმწიფო სამსახურში მიღებისა და სამსახურებრივი ნინსვლის ძირითადი დებულებები, აგრეთვე, დადგენილია სამსახურებრივი შეუთავსებლობის შემთხვევები; თავეში „ათონის ნმინდა მთის სტატუსი,“ განმტკიცებულია ათონის მთის დამოუკიდებელი თვითმმართველობის სტატუსი, განსაზღვრულია მისი მმართველობის მთავარი ორგანოს-ნმინდა კინოტის ფორმირების ნესი და უფლებამოსილება.

IV ნაწილი – „სპეციალური, დასკვნითი და გარდამავალი დებულებანი“ 4 განყოფილებას შეიცავს: პირველი განყოფილება – „სპეციალური დებულებანი,“ აღიარებს ეროვნული მრენველობის ყველა დარგის პრიორიტეტულ მდგომარეობას, სახელმწიფოს ვალდებულებას იზრუნოს ქვეყნის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ბერძნებზე, ანესრიგებს უცხოური ინვესტიციების დაბანდების ზოგად ნესებს.

მეორე განყოფილება – „კონსტიტუციის გადასინჯვა,“ ადგენს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის პროცედურას, განსაზღვრავს საკითხთა ნრეს, რომელიც გადასინჯვას არ ექვემდებარება. კონსტიტუციის სტაბილურობის მიზნით დანესებულია კონსტიტუციის გადასინჯვათა შორის სულ ცოტა 5-წლიანი შუალედები.

მესამე განყოფილება – „გარდამავალი დებულებანი,“ განსაზღვრავს კონსტიტუციის მიღებამდე არსებულ კანონთა ახალი კანონებით შეცვლის ზოგად ნესებს, აღიარებს კონსტიტუციის უზენაესობას.

მეოთხე განყოფილება – „დასკვნითი დებულებანი,“ არეგულირებს კონსტიტუციის ძალაში შესვლის საკითხს, განამტკიცებს ეროვნული სუვერენიტეტის უზურპირების დაუშვებლობას და თითოეული ბერძენის ვალად აცხადებს კონსტიტუციის პატივისცემას, დაცვასა და მისი ძალადობით შეცვლის ნებისმიერი მცდელობის აღკვეთას.

ადამიანის უფლებები და თავისუფლებები. საბერძნეთის კონსტიტუცია თავის მოქალაქეებს უფლებათა ფართო სპექტრს ანიჭებს, რომელიც შეიძლება პირობითად სამ ჯგუფად დაიყოს: პირადი უფლებები, სოციალურ-ეკონომიკური უფლებები და პოლიტიკური უფლებები. ყველა ამ უფლებათა რეალიზაცია გარანტირებულია სახელმწიფოს მიერ, რომლის ყველა ორგანო ვალდებულია უზრუნველყოს მათი დაუბრკოლებელი განხორციელება.

საბერძნეთის კონსტიტუციის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება. ეს უფლება ითვალისწინებს ნებისმიერი აღმსარებლობის მიღების თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობას და ამის თავისუფალ გამოხატვას სხვადასხვა რელიგიური ჩვეულებების, რიტუალების შესრულების გზით, როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად, ღიად ან ვინო ნრეში. არავის აქვს უფლება თავისი რელიგიური შეხედულებების გამო გათავისუფლდეს სახელმწიფოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებებისგან ან არ დაემორჩილოს კანონს.

ყოველ ბერძენს აქვს ისეთი ორგანიზაციის შექმნის უფლება, რომლის მიზანსაც მოგების მიღება არ წარმოადგენს, ხოლო პარტიების, მათი შექმნისა და მათში გაერთიანების უფლება აქვს საარჩევნო უფლების მქონე საბერძნეთის ნებისმიერ მოქალაქეს.

სახელმწიფო აღიარებს და იცავს კერძო საკუთრებას. თუმცა მისგან გამომდინარე უფლებები არ შეიძლება განხორციელდეს საზოგადო ინტერესების საზიანოდ. არავის არ შეიძლება ჩამოერთვას მისი ქონება, გარდა კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა და ისიც სათანადო ანაზღაურებით.

კონსტიტუციის მიხედვით თითოეულს აქვს შრომის უფლება. იძულებითი შრომა დაუშვებელია. სახელმწიფო ზრუნავს დასაქმებულთა რაოდენობის გაზრდისთვის. ყველას აქვს უფლება, ერთნაირი სამუშაოს შესრულებისას მიიღოს თანაბარი ანაზღაურება რაიმე განსხვავების გარეშე მოქალაქეებს გარანტირებული აქვთ სოციალური დაცვის უფლება, ისინი უზრუნველყოფილი უნდა იქნენ საარსებო მინიმუმით მოხუცებულობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, უმუშევრობის შემთხვევაში. სახელმწიფო ამ უფლების განხორციელებას უზრუნველყოფს სოციალური დაზღვევის გზით.

სახელმწიფო უზრუნველყოფს ყოველი მოქალაქის მიერ საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას. ამ უფლების განხორციელების მიზნით, სახელმწიფო უზრუნველყოფს უფასო, 9-ნობიან სავალდებულო განათლებას სკოლებში. მოქალაქეებს უფლება აქვთ დადგენილი წესით სახელმწიფო სასწავლებლებში უფასოდ მიიღონ საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლება.

ძირითად კანონში მკაფიოდ არის განსაზღვრული, ერთი მხრივ, უფლებებისა და თავისუფლებების, მეორე მხრივ, მოვალეობათა წრე. საბერძნეთის თითოეული მოქალაქე, ვისაც შეუძლია იარაღის ტარება, ვალდებულია დაიცვას სამშობლო და გაიაროს სავალდებულო სამხედრო სამსახური.

სახელმწიფო ორ კონსტიტუციურ საფუძველს – სახალხო სუვერენიტეტსა და ადამიანის ღირსებას ეყრდნობა და ვინაიდან პირველი მეორის დაც-

ვის გარანტიებზეა დამოკიდებული, ხოლო კონსტიტუციაში დაფიქსირებული პიროვნების უფლების განმსაზღვრელ ნორმათა უმრავლესობა ადამიანის ღირსების პრინციპთან მჭიდროდ არის დაკავშირებული, კანონმდებელი განსაზღვრავს არა მარტო მოქალაქეთა მოვალეობებს, არამედ სახელმწიფოსაც მთელ რიგ ვალდებულებებს აკისრებს. კერძოდ, სახელმწიფო ვალდებულია: დაიცვას ბუნებრივი და კულტურული გარემო, მიიღოს ზომები მის შესანარჩუნებლად; დააგეგმოს და კოორდინირება გაუწიოს ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებას; განავითაროს ეროვნული მრეწველობის ყველა დარგი, სოციალური მშვიდობისა და სახელმწიფოს საერთო ინტერესების დაცვის მიზნით და ა. შ.

ადამიანთა უფლებების დაცვის გარანტიად, უპირველეს ყოვლისა, გვევლინება სასამართლოები, რამდენადაც კონსტიტუციის მე-20 მუხლის მიხედვით ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება თავისი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად მიმართოს სასამართლოს.

ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში განსაკუთრებული როლი ეკისრება შვედური ომბუდსმენის ბერძნულ ანალოგს — მოქალაქეთა დამცველს. იგი არის დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ორგანო და იქმნება სახელისუფლებო ორგანოებსა და მოქალაქეებს შორის საშუამავლო ფუნქციის განსახორციელებლად, მოქალაქეთა უფლებების დასაცავად, ადმინისტრაციის უკანონო ქმედებათა გამოსავლინებლად და კანონიერების უზრუნველსაყოფად, რისთვისაც საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შეუძლია ჩაერიოს სახელმწიფო თუ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების საქმიანობაში, გამოიძიოს მათ მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევის, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ან კანონით დაკისრებული მოვალეობათა განუხორციელებლობის ფაქტები. მოქალაქეთა დამცველი აირჩევა მინისტრთა საბჭოს მიერ, სახელმწიფო დანესებულებების საკითხთა კომიტეტის წინადადების საფუძველზე, მაგრამ იგი არ ექვემდებარება სამთავრობო ან სხვა ორგანოს ადმინისტრაციის კონტროლს. მოქალაქეთა დამცველი შეიძლება განვეულ იქნეს პრეზიდენტის დეკრეტით, მინისტრთა საბჭოს წინადადების საფუძველზე და სახელმწიფო დანესებულებების საკითხთა კომიტეტის აზრის გათვალისწინებით.

მოქალაქეთა დამცველს ჰყავს 4 მოადგილე, რომლებსაც მისი წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს შინაგან საქმეთა მინისტრი, აგრეთვე, 30 კვალიფიცირებული ჩინოვნიკი აპარატის შტატში, სხვა დანესებულებებიდან წარმოგზავნილი 40 კვალიფიცირებული პირი და სამდივნო. მოქალაქეთა დამცველისა და მისი მოადგილის თანამდებობა შეუთავსებელია ნებისმიერ სხვა თანამდებობასთან და მოღვაწეობის სხვა სფეროსთან. ისინი ხელშეუხებელი არიან და არ შეიძლება დაკავებულ ან დაპატიმრებულ იქნენ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას.

პარტიული სისტემა. კონსტიტუციის თანახმად, აქტიური საარჩევნო უფლების მქონე საბერძნეთის მოქალაქეებს აქვთ უფლება შექმნან



პოლიტიკური პარტიები და მონაწილეობა მიიღონ მათ საქმიანობაში. იმ პირობით, რომ პარტიის ორგანიზაცია და მოღვაწეობა ქვეყნის დემოკრატიული წყობის თავისუფალ ფუნქციონირებას უნდა ემსახურებოდეს. კანონით დადგენილია სახელმწიფოს მიერ პარტიების ფინანსური მხარდაჭერა და პარტიის და დეპუტატობის კანდიდატთა მიერ საარჩევნო კამპანიის დროს განეული ხარჯების საჯაროობა.

ერთი განსაკუთრებული თავისებურება, რომელიც არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ პარტიებს თანაბარ სასტარტო პირობებს უქმნის, იმასთან არის დაკავშირებული, რომ სასამართლო ჩინოვნიკების, სამხედრო მოსამსახურეების, უშიშროების ორგანოთა მუშაკების და სახელმწიფო მოსამსახურეთა ნებისმიერი ფორმით გამოსვლა პოლიტიკური პარტიის მხარდასაჭერად, აგრეთვე საჯარო სამართლის იურიდიულ პირთა მუშაკების, სახელმწიფო საწარმოების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მოსამსახურეთა პარტიის სასარგებლოდ აქტიური მოღვაწეობა აკრძალულია.

1974 წელს, ე. წ. „შავი პოლკოვნიკების“ სამხედრო დიქტატურის რეჟიმის დაშობამ, ქვეყანაში დემოკრატიულ პროცესს მისცა დასაბამი. სწორედ ახალი კონსტიტუციის მზადების პერიოდში იწყება პოლიტიკური სისტემის ნამყვანი პარტიების ფორმირება. საბერძნეთში მრავალპარტიული სისტემა ჩამოყალიბდა, აქედან გამომდინარე საარჩევნო კანონმდებლობა არჩევნებში მონაწილეობის უფლებას პრაქტიკულად ყველა პარტიას ანიჭებს, მაგრამ 3%-იანი საარჩევნო ზღვარი ნერილ პარტიებს პარლამენტისკენ გზას უღობავს. ამ ბარიერის გადამლახველ პარტიათა რიცხვი, როგორც წესი 3-დან 6-მდე მერყეობს. ხელისუფლებისთვის რეალური ბრძოლა კი 1974 წელს დაარსებულ 2 პარტიას „სრულიად საბერძნეთის სოციალისტური მოძრაობასა“ და „ახალი დემოკრატია“ შორის მიმდინარეობს. ასე რომ, ბერძნულ პარტიულ სისტემას, შეიძლება ორპარტიულიც ეწოდოს. და მაინც, განსაკუთრებული გავლენა და ძალა „სოციალისტურ მოძრაობას“ ეკუთვნის. „სოციალისტური მოძრაობა“ ფაქტურ ხუნტასთან მეტროლ სრულიად საბერძნეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის ბაზაზე დააარსდა. „სოციალისტურმა მოძრაობამ“ გააერთიანა სხვადასხვა პოლიტიკური მიმდინარეობა. პარტიის პლატფორმამ დიდი პოპულარობა მოიპოვა და ხანმოკლე პერიოდში „სოციალისტური მოძრაობა“ ქვეყნის ერთ-ერთი ნამყვანი პოლიტიკური ძალა გახდა. მან გაიმარჯვა 1981 და 1985 წლების საპარლამენტო არჩევნებში. 1985-1988 წლებში არაპოპულარული ეკონომიკური ღონისძიებების შედეგად სოციალისტების ავტორიტეტი შეირყა და მომდევნო 1989-1990 წლების არჩევნები წააგო. 1990 წელს „სოციალისტური მოძრაობა“ 125 საპარლამენტო მანდატის მოპოვების შემდეგ მთავარი ოპოზიციური პარტია გახდა. აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე პროცესებმა 1993 წლის ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებში „სოციალისტური მოძრაობა“ კვლავ ლიდერ პოლიტიკურ ძალად აქცია და არჩევნებში გამარჯვება მოუტანა. 1996 წელს მძიმე ეკონომიკურმა მდგომარეობამ პოლიტიკური კრიზისი წარმოშვა, რასაც შედეგად კიდევ

ერთი ვადაძღელი საპარლამენტო არჩევნები მოჰყვა, სადაც „სოციალისტურმა მოძრაობამ“ გაიმარჯვა. 2000 წლის არჩევნებში „სოციალისტურმა მოძრაობამ“ 156 მანდატი მიიღო და კვლავ პირველი იყო. „სრულიად საბერძნეთის სოციალისტური მოძრაობა“ გამოდის დემოკრატიული გარდაქმნების და დამოუკიდებელი და მრავალმხრივი საშინაო პოლიტიკის გატარების ღონისძიებით.

მეორე ძლიერ პოლიტიკურ პარტიას წარმოადგენს „ახალი დემოკრატია“. 2000 წლის საპარლამენტო არჩევნებში ახალმა დემოკრატებმა 125 მანდატი მოიპოვეს. მათი პროგრამა ზომიერად კონსერვატიულია, ხოლო პოლიტიკური კურსი მნიშვნელოვნად ემთხვევა „სრულიად საბერძნეთის სოციალისტური მოძრაობის“ პოლიტიკურ კურსს.

ზემოაღნიშნული პარტიების გარდა საბერძნეთში პოლიტიკურ ამინდს ქმნიან ასევე: „საბერძნეთის კომუნისტური პარტია“, რომელიც 1918 წლის 17 ნოემბერს შეიქმნა, მარქსიზმ-ლენინიზმის ორთოდოქსალურ განმარტებას ეყრდნობა და უკანასკნელ არჩევნებში 11 მანდატი მოიპოვა; „მემარცხენეთა და პროგრესისტთა კოალიცია“, რომელიც 1989 წლის მარტში შეიქმნა და უკანასკნელ არჩევნებში 6 მანდატი მოიპოვა. საბერძნეთში მრავლადაა წვრილი პარტიებიც, რომელთა ერთი ნაწილი ცალკეულ პროვინციათა მაცხოვრებლების ან ეთნიკური ჯგუფების ინტერესებს გამოხატავს.

საარჩევნო სისტემა. საბერძნეთში, საყოველთაო ნორმის საფუძველზე აქტიური საარჩევნო უფლება მიენიჭება პირს, რომელსაც 18 წელი თუნდაც არჩევნების შემდეგ საარჩევნო წლის ბოლომდე შეუსრულდეს, ხოლო პასიური – 25 წლიდან, რა თქმა უნდა, თუ მას ასეთი უფლება, კანონის შესაბამისად, ჩამორთმეული არა აქვს. ყველა დონის არჩევნებში, გარდა ევროპარლამენტის არჩევნებისა, მონაწილეობა სავალდებულოა. ამომრჩეველ შესაბამის საარჩევნო უბანში გაიცემა საარჩევნო ნიგნაკი, რომელშიც აღინიშნება ყოველ არჩევნებში მისი მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია. არჩევნებში მონაწილეობის მიუღებლობა იწვევს შესაბამის ადმინისტრაციულ და სისხლისსამართლებრივ სანქციებს. ხმის მიცემის სავალდებულობა არ ვრცელდება 70 წელს გადაცილებულ პირებზე, ასევე მათზე, ვინც საარჩევნო უბნიდან 200-ზე მეტი კმ-ის მოშორებით ცხოვრობს. გარკვეული შეზღუდვებია დადგენილი პასიური საარჩევნო უფლების გამოყენებასთან დაკავშირებით.

საბერძნეთის კონსტიტუცია, სამხედრო-ბიუროკრატიული დიქტატურის გაკვეთილების გათვალისწინებით, მკაცრ მოთხოვნებს უყენებს ჩინოვნიკებს, სამხედრო მოსამსახურეებსა და ბიზნესის წარმომადგენლებს, რომელთაც ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღება სურთ. ეს განსაკუთრებით ეხება სამხედრო ოფიცრებს. მათ უფლება არა აქვთ ჩაერთონ პოლიტიკაში, და, თუ ასეთი სურვილი მაინც გაუჩნდებათ, არჩევნებში კანდიდატად რეგისტრაციამდე, წინასწარ, საბოლოო შედეგების მიუხედავად, სამუდამოდ უნდა დატოვონ სამხედრო სამსახური. რაც შეეხება სახელმწიფო მოხელეებს, ნოტარიუსებს, მერებს, სახელმწიფო და მუნიციპალურ დანესამ-

ბულებების მოსაპსახურებს, მათ უნდა დატოვონ თანამდებობა, რომელსაც ვერ დაუბრუნდებიან სულ მცირე ერთი წლის განმავლობაში. ამასთან, მათ ეკრძალებათ კენჭისყრა იმ ოლქებში, სადაც ბოლო სამი წლის განმავლობაში, სამი თვე მაინც მოღვაწეობდნენ. კონსტიტუციის თანახმად, კანონით შეიძლება განსაზღვრულ იქნეს ქვეყნის საზღვრებს გარე მყოფი საბერძნეთის მოქალაქეების მიერ აქტიური საარჩევნო უფლებით სარგებლობის წესები.

საბერძნეთში საპრეზიდენტო არჩევნებისთვის საკმაოდ რთული და მრავალსაფეხუროვანი პროცედურაა დადგენილი. პრეზიდენტი პარლამენტის მიერ აირჩევა, მისივე უფლებამოსილების სრული ვადით. პირველ ტურში გამარჯვებისთვის კანდიდატმა, ღია კენჭისყრის დროს, დეპუტატთა სიითი შემადგენლობის ხმების 2/3 უნდა მოიპოვოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, 5 დღის შემდეგ იმავე პირობებით ტარდება მეორე ტური. თუ ამჯერადაც ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მოაგროვა ხმათა მოცემული რაოდენობა, მაშინ 5 დღის შემდეგ იმართება მესამე ტური, სადაც საჭირო ხმათა ოდენობა მცირედით იცვლება და დეპუტატთა სიითი შემადგენლობის 3/5-მდე კლებულობს. თუ პრეზიდენტი მესამე ტურშიც არ იქნა არჩეული, მაშინ 10 დღეში დათხოვნილ იქნება პარლამენტი და გამოცხადდება ახალი საპარლამენტო არჩევნები. ახლად არჩეული პარლამენტი დაუყოვნებლივ იკრიბება პლენარულ სხდომაზე და ღია კენჭისყრით, დეპუტატთა საერთო რაოდენობის 3/5-ით აირჩევს რესპუბლიკის პრეზიდენტს. თუ ამჯერადაც ვერ იქნა არჩეული პრეზიდენტი, 5 დღის შემდეგ ტარდება ახალი ტური, სადაც საჭიროა უკვე ხმათა საერთო რაოდენობის აბსოლუტური უმრავლესობა, მაგრამ თუ ამ ტურშიც არ მოხდა პრეზიდენტის არჩევა, მაშინ 5 დღეში, უკეთესი შედეგიანი ორი კანდიდატისთვის, იმართება უკანასკნელი ტური და გამარჯვებისთვის საკმარისია ხმების ფარდობითი უმრავლესობა.

პრეზიდენტის გადაყენების, გარდაცვალების ან გადადგომის შემთხვევაში, ახალი პრეზიდენტის ასარჩევად პარლამენტის სხდომა მოიწვევა წინა პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტიდან არა უგვიანეს 10 დღისა. თანამდებობიდან თავისი ნებით ვადამდე გადამდგარი პრეზიდენტი ვერ მიიღებს მონაწილეობას მისი გადადგომით გამოწვეულ არჩევნებში.

პრეზიდენტის მიერ უფლებამოსილებათა ზედიზედ 30 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში განუხორციელებლობისას, პარლამენტი, იმ შემთხვევაშიც კი თუ დათხოვნილია, სავალდებულო წესით იკრიბება, რათა ხმათა 3/5-ით გადაწყვიტოს ახალი პრეზიდენტის არჩევის საკითხი. ამ შემთხვევაში ჯერ მხოლოდ ახალი პრეზიდენტის არჩევა-არარჩევის საკითხი ნყდება და ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტის პირობებში, ჩვეულებრივი წესით ეყრება კენჭი პრეზიდენტობის კანდიდატებს. ახალი პრეზიდენტი უნდა აირჩეს არა უგვიანეს 6 თვისა წინა პრეზიდენტის მიერ თავისი უფლებამოსილებების განუხორციელებლობის გამო დროებითი შემცველის ჩანაცვლების დღიდან.

საბერძნეთის პარლამენტი აირჩევა 4 წლის ვადით. კონსტიტუციით პარლამენტის წევრთა არა უმეტეს 1/10-სა აირჩევა პროპორციული სისტემით,

დანარჩენი კი 51 მრავალმანდატიან, ან ხუთ ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში მაჟორიტარული სისტემით. არჩევნების მიმდინარეობაზე კონტროლი და დარღვევებზე საჩივრების განხილვა საკონსტიტუციო ზედამხედველობის უმაღლეს სასამართლოს ევალება.

რაც შეეხება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებს, ისინი ადგილობრივი თვითმმართველობის პირველი და მეორე დონეების ორგანოებში ყოველ 4 წელნადადმი ტარდება, ერთდროულად მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე. ამ შემთხვევაში აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება რეგულირებულია, როგორც საერთო კანონმდებლობით არჩევნების შესახებ, ასევე კანონმდებლობით ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ.

პირველი დონის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევა შეუძლიათ მხოლოდ იმ მოქალაქეებს, რომლებიც არანაკლებ 2 წლის წინ ჩანერილნი არიან ამ მუნიციპალიტეტის ან თემის ტერიტორიაზე, მეორე დონისა კი იმ მოქალაქეებს, რომლებიც ჩანერილნი არიან ამ პროვინციის ტერიტორიაზე. მეორე დონის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, ნომარქების და ნომარქთა საბჭოს წევრები აირჩევიან ამ პროვინციის ამომრჩეველთაგან. ამ შემთხვევაში არ მოქმედებს აღნიშნული ბინადრობის ცენზი, რაც მუნიციპალურ არჩევნებში საკუთარი კანდიდატურის ნამოყენების სურვილის მქონე პირებს ჩანერის ადგილის უშუალოდ არჩევნებამდე შეცვლის საშუალებას აძლევს. მუნიციპალურ თანამდებობებზე შეიძლება არჩეულ იქნეს პირი, რომელსაც შეუსრულდა 21 წელი, ხოლო რაც შეეხება ნომარქიულ ორგანოებში არჩევას, აქ პასიური საარჩევნო ხმის უფლება წარმოიშობა 23 წლის ასაკიდან. ამასთან, ერთი და იგივე პირს არ შეუძლია ნამოყენების თავისი კანდიდატურა ერთდროულად ორივე დონის თვითმმართველობის ორგანოებში ასარჩევად.

არჩევითი თანამდებობის დაკავება ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემაში ეკრძალება სასამართლო ჩინოვნიკებს, სამხედრო მოსამსახურეებს, ღვთისმსახურთ. სახელმწიფო სამსახურში მყოფთ, გარდა პედაგოგებისა, არ შეუძლიათ კენჭი იყარონ იმ პროვინციებში, სადაც მათ ეკავათ ხელმძღვანელი თანამდებობები. ეს აკრძალვა ვრცელდება ასევე იმ მენარქებზე, რომლებიც ეკონომიკური ურთიერთობით დაკავშირებულნი არიან ამ ნომარქიასა თუ მუნიციპალიტეტთან.

სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები. საბერძნეთში ხელისუფლების შტოთა შორის ბალანსი შემდეგ სახეს ღებულობს: სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი; საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის ერთპალატიან პარლამენტს – დეპუტატთა პალატას და პრეზიდენტს; აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს პრეზიდენტი და მთავრობა; სასამართლო ხელისუფლებას აღასრულებს საერთო, ადმინისტრაციული და სამხედრო სასამართლოების სისტემა, უმაღლესი სასამართლო – არეოპაგით სათავეში. საკონსტიტუციო ზედამხედველობას, ერთდროულად ახო-

რციელებენ საერთო იურისდიქციის სასამართლოები და სპეციალური საკონსტიტუციო სასამართლო. სახელმწიფო ნყობილების სისტემაში კონსტიტუცია მნიშვნელოვან როლს აკისრებს მართლმადიდებელ ეკლესიას. საბერძნეთის კონსტიტუცია ყველაზე რელიგიურია ევროპაში და მისი მთელი განყოფილება ეძღვნება ეკლესიასა და სახელმწიფოს ურთიერთობას.

**პრეზიდენტი.** საბერძნეთი საპარლამენტო რესპუბლიკაა, მაგრამ პრეზიდენტს სახელმწიფო ორგანოთა სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. ითვლება რა სახელმწიფოს მეთაურად, იგი ამავდროულად აქტიურად მონაწილეობს, როგორც აღმასრულებელი, ისე საკანონმდებლო ხელისუფლების განხორციელებაში.

პრეზიდენტს 5 წლის ვადით, ერთხელ გადარჩევის უფლებით, ირჩევს პარლამენტი. პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნეს 40 წელს მიღწეული საბერძნეთის მოქალაქე, რომელსაც უყავს ბერძენი მამა, არის საბერძნეთის მოქალაქე და აქვს საარჩევნო უფლება. პრეზიდენტის პოსტი შეუთავსებელია მოღვაწეობის სხვა სფეროსთან. პრეზიდენტი წარუდგენს პარლამენტს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას, ხოლო პრემიერ-მინისტრის წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს მინისტრებს და მათ მდიოცილებს. პარლამენტის მიერ მთავრობისადმი უნდობლობის ვოტუმის გამოცხადების შემთხვევაში, პრეზიდენტს შეუძლია გადააყენოს მთავრობა.

პრეზიდენტი განსაკუთრებულ შემთხვევებში თავმჯდომარეობს მინისტრთა საბჭოს; წელიწადში ერთხელ იწვევს პარლამენტის მორიგ სესიას, ხოლო საჭიროებისას რიგგარეშე სესიას, შეუძლია 30 დღემდე ვადით გადადოს სესიის ჩატარება; ახდენს პარლამენტის მიერ მიღებული კანონის პრომულგირებას და გააჩნია ვეტოს უფლება; შეუძლია პარლამენტის გადაწყვეტილების საფუძველზე დანიშნოს რეფერენდუმი; გამოსცემს კანონის ძალის მქონე დეკრეტებს, რომლებიც 40 დღის განმავლობაში უნდა დაამტკიცოს პარლამენტმა. პრეზიდენტის ნებისმიერი აქტი იურიდიულ ძალას იძენს კომპეტენტური მინისტრის მიერ კონტრასიგნების და სამთავრობო გაზეთში გამოქვეყნების შემდეგ. კონტრასიგნება არ სჭირდება მხოლოდ პრემიერ-მინისტრის დანიშვნის, პარლამენტის დათხოვნის, ვეტოს ამოქმედების და პრეზიდენტის აპარატის პერსონალის დანიშვნის შესახებ აქტებს. კონტრასიგნების პრინციპის დაცვით, პრეზიდენტი წარმოადგენს სახელმწიფოს საერთაშორისო სარბიელზე, აცხადებს ომს, დებს შეთანხმებებს ზავის, შეკავშირების ან ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ და წარუდგენს მათ პარლამენტს აუცილებელი განმარტებით. ზოგიერთი საერთაშორისო შეთანხმება, თუ იგი შეიცავს დათმობებს და მის განსახორციელებლად საჭიროა კანონის მიღება ან აკისრებს ბერძნებს პირად მატერიალურ ვალდებულებებს, საჭიროებს რატიფიკირებას. პრეზიდენტი იმავდროულად არის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი. იგი აჯილდოვებს ორდენებით, ნიშნავსა და ათავისუფლებს სახელმწიფო მოხელეებს, დიპლომატიურ წარმომადგენლებს და კონსულებს. ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის შემოღება პარ-

ლაქენცის პერიოგატივია. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი არ იკრიბება და რიგგარეშე სესიის ჩატარებაც შეუძლებელია, მთავრობის წინადადებით პრეზიდენტს შეუძლია გამოსცეს შესაბამისი დეკრეტი.

პრეზიდენტის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უფლებამოსილებაა პარლამენტის დათხოვნის უფლება, რომელიც კონსტიტუციის თანახმად შეიძლება ამოქმედდეს: როცა ერთი წლის განმავლობაში მთავრობის ორი შემადგენლობა თავად გადადგება ან უნდობლობის ვოტუმს გამოუცხადებენ; როდესაც პარლამენტი სამჯერ უარყოფს პრემიერ-მინისტრის პოსტზე პრეზიდენტის მიერ ნარდგენილ კანდიდატურებს; მთავრობას მიღებული აქვს ნდობის ვოტუმი, მაგრამ პარლამენტის ახალი შემადგენლობით უნდა გადაწყვიტოს ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საკითხი, რათა ხალხმა არჩევნებით ნდობა გამოუცხადოს ახალ პარლამენტს და იმ საკითხის გადაწყვეტას, რომელსაც მთავრობა ახალ პარლამენტში წარადგენს.

კონსტიტუციით აღიარებულია პრეზიდენტის ხელშეუხებლობა, იგი პასუხს არ აგებს უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში ჩადენილი ქმედობებისთვის, გამონაკლისია სახელმწიფო ლალატისა და კონსტიტუციის განზრახ დარღვევის შემთხვევა, როდესაც იმპიჩმენტის მექანიზმი ამოქმედდება. სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედობისთვის პრეზიდენტის პასუხისმგებლობა მისი უფლებამოსილების ვადის გასვლამდე გადაიდება. პრეზიდენტის გადაყენების, გადადგომის, საზღვარგარეთ 10-დღიანი მივლინების, ან სხვა მიზეზის გამო თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, მას დროებით ცვლის პარლამენტის თავმჯდომარე, თუ პარლამენტი ამ დროისთვის დათხოვნილია, მაშინ წინა პარლამენტის თავმჯდომარე, თუ ასეთიც არ არსებობს ან ყოფილი თავმჯდომარე უარს ამბობს პრეზიდენტის დროებით შეცვლაზე, მაშინ მას კოლექტიურად მთავრობა ცვლის. პრეზიდენტის შემცვლელის მიერ არ შეიძლება ამოქმედებულ იქნეს პარლამენტის დათხოვნის, მთავრობის გადაყენების და რეფერენდუმის დანიშნის კონსტიტუციური ნორმები.

საკანონმდებლო ხელისუფლება. საკანონმდებლო ხელისუფლებას პრეზიდენტთან ერთად ახორციელებს პარლამენტი, რომელიც 4 წლის ვადით აირჩევა. კონსტიტუცია ადგენს პარლამენტის წევრთა რაოდენობრივ საზღვრებს 200-დან 300-მდე. ამჟამად პარლამენტმა მაქსიმუმს მიაღწია.

საბერძნეთის პარლამენტის წევრი მთელი ერის წარმომადგენელია, აქვს თავისუფალი მანდატი და მისი განვევა დაუშვებელია. დეპუტატად შეიძლება არჩეულ იქნეს 25 წლის ასაკს მიღწეული საბერძნეთის მოქალაქე, რომელსაც გააჩნია საარჩევნო უფლება. დეპუტატის სტატუსი შეუთავსებელია ადმინისტრაციული საბჭოს, მმართველის, გენერალური დირექტორის ან მისი მოადგილის, სახელმწიფო შეღავათებით ან დოტაციებით მოსარგებლე კომერციული ფირმის ან ორგანიზაციის მუშაკის თანამდებობასთან და ამიტომ დეპუტატმა უფლებამოსილების დამტკიცებიდან 8 დღის მანძილზე უნდა განაცხადოს დეპუტატის მანდატსა და თავის საქმიანობას შორის, თავი-

სი არჩევანის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ავტომატურად კარგავს მანდატს. პარლამენტის წევრი სარგებლობს იმუნიტეტით, იმავდროულად, კონსტიტუციით მათთვის გათვალისწინებულია, ერთი მხრივ, სადეპუტატო საქმიანობასთან დაკავშირებული შეღავათიანი გადასახადები, მეორე მხრივ, პლენარული სხდომის გაცდენისთვის ხელფასის დაქვითვები.

პარლამენტის შიდაორგანიზაციული ფუნქციონირება პლენარულ სხდომაზე მიღებული წესდებით რეგულირდება: პარლამენტი თავის წევრთაგან ირჩევს თავმჯდომარეს, მის მოადგილეებს და პრეზიდუმის სხვა წევრებს, რომელთა გადაყენება 50 დეპუტატის ინიციატივით უნდობლობის ვოტუმის გამოცხადებით ხდება; პარლამენტის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს პარლამენტის მუშაობას, ზრუნავს დეპუტატის მიერ უფლებამოსილებების დაუბრკოლებლად განხორციელებისთვის, პარლამენტში აზრის და სიტყვის თავისუფლებისთვის, წესრიგის დაცვისთვის; პარლამენტის თავმჯდომარეს შეუძლია დისციპლინური ღონისძიებები გამოიყენოს წესდების მოთხოვნათა დამრღვევი დეპუტატის მიმართ; პარლამენტი გადანყვეტილებას დამსწრეთა უმრავლესობით იღებს, რომელიც არ უნდა იყოს პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის 1/4-ზე ნაკლები.

პარლამენტი წელიწადში ერთხელ იკრიბება მორიგ სესიაზე, რომელიც არანაკლებ 5 თვეს გრძელდება. მისი მოღვაწეობა, როგორც წესი, ღია პლენარულ სხდომაზე ხორციელდება. თუმცა 15 დეპუტატის ან მთავრობის მოთხოვნით სხდომა შეიძლება დაიხუროს. ყოველი მორიგი სესიის დაწყებისას პარლამენტი თავისი შემადგენლობიდან, კანონპროექტების მომზადების მიზნით, ქმნის მუდმივ კომისიებს, რომლებიც პარლამენტის პლენუმს და სექციებს ექვემდებარება. პარლამენტი, საკანონმდებლო პროცესის ოპერატიულობის მიზნით, არჩევსთანავე ორ სექციად იყოფა, თანაბარი პროპორციული პარტიული წარმომადგენლობით და სწორედ მათ სხდომებზე ხდება ზოგიერთი კანონპროექტის განხილვა და მიღება. პარლამენტში მუდმივი და საგამოძიებო კომისიები, აგრეთვე, პროპორციული პარტიული წარმომადგენლობის საფუძველზე იქმნება. საბერძნეთის პარლამენტში იქმნება ფრაქციები არანაკლებ 5 დეპუტატის შემადგენლობით.

პარლამენტი, გარკვეულ ფარგლებში, მთავრობის საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებს. პარლამენტს და მის კომისიებს შეუძლიათ მოითხოვონ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომპეტენტური მინისტრის ან მისი მოადგილის დასწრება, გამოიძახონ ნებისმიერი სახელმწიფო მოხელე. პარლამენტი უფლებამოსილია მოქმედ თუ ყოფილ მინისტრებს და მოადგილეებს ბრალდება წაუყენოს მათი პასუხისგებაში მისაცემად შექმნილ სპეციალურ სასამართლოში.

საკანონმდებლო ინიციატივა ეკუთვნის პარლამენტს და მთავრობას. თითოეულ კანონპროექტს, რომელიც შედის პარლამენტში, თან უნდა ერთვოდეს არგუმენტირებული მოტივაცია, ხოლო თავად კანონპროექტში ნათლად უნდა იყოს ფორმულირებული მისი მიზანი. ზოგიერთი კანონპროექტის შე-

ტანა მოითხოვს გარკვეული პირობების დაცვას. კანონპროექტი, რომელიც სახელმწიფო ფინანსებს ეხება, მხოლოდ ფინანსთა მინისტრს შეაქვს პარლამენტში, მას თან ერთვის კონტროლის საბჭოს დასკვნა, ხოლო კანონპროექტი, რომელიც ხარჯვით ნაწილში დამატებით ვალდებულებას აკისრებს ბიუჯეტს, განსახილველად არ მიიღება გენერალური სახელმწიფო ბუღალტერიის დასკვნის გარეშე, რომლითაც განსაზღვრული უნდა იყოს გასავალი თანხის ოდენობა და წყარო. კანონპროექტი რომელიც ადგილობრივ ან სპეციალურ გადასახადებს ანებს, კონტრასიგნებული უნდა იყოს ეკონომიკური კოორდინაციის ან ფინანსთა მინისტრის მიერ.

კანონპროექტი და საკანონმდებლო წინადადება, იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით დამუშავების მიზნით, პირველ რიგში, შეიძლება პარლამენტის სამეცნიერო სამსახურში წარმართოს, ხოლო შესაბამის მუდმივ კომისიაში მისი არსებითი განხილვის შემდეგ იგი სექციას ან პარლამენტს გადაეცემა. განხილვა იწყება შესაბამისი მინისტრის და საპარლამენტო კომისიის წარმომადგენლის მოხსენებებით. კანონპროექტის განხილვა სამ მოსმენასა და კენჭისყრებს ითვალისწინებს, თუმცა კონსტიტუცია კანონპროექტის განხილვის დაჩქარებულ და მიღების გამარტივებულ წესებსაც განსაზღვრავს.

პარლამენტს 50 დეპუტატის ინიციატივით, შეუძლია ცვლილებები შეიტანოს კონსტიტუციაში, მაგრამ ეს პროცედურა საკმაოდ გართულებულია. ამ შემთხვევაში მოქმედებს, ორმაგი, ე. წ. ორჯერადი ვოტუმის მექანიზმი, ერთი, როცა ცვლილებების შემუშავებელმა პარლამენტმა კონსტიტუციურ სიახლეს, ერთი თვის ფარგლებში ორი კენჭისყრით, ხმების 3/5-ით უნდა დაუჭიროს მხარი. მაგრამ არც ეს არის საკმარისი კანონის ასამოქმედებლად. აქ ძალაში შედის ორმაგი ვოტუმის მეორე ფაზა, როცა შემდეგი მოწვევის პარლამენტმა, თავის პირველსავე სხდომაზე, იგივე გადაწყვეტილება, დეპუტატთა სიითი შემადგენლობის ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით უნდა დაამტკიცოს. იმ შემთხვევაში, თუ საკონსტიტუციო ცვლილებამ, ინიციატორი პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობის და არა 3/5-ის მხარდაჭერა მიიღო, შემდეგი მოწვევის პარლამენტს თავის პირველ სხდომაზე შეუძლია მისი მიღება სწორედ სიითი შემადგენლობის ხმების 3/5-ით.

**მთავრობა.** ქვეყნის მინისტრთა საბჭო შედგება პრემიერ-მინისტრის, მინისტრებისა და ასევე ზოგიერთი მინისტრის მოადგილეებისგან და იმ პარტიის მიერ ყალიბდება, რომელმაც პარლამენტში მანდატების უმრავლესობა მიიღო, თანაც იმ პირობით, რომ გამარჯვებული პარტიის ლიდერი პრემიერ-მინისტრის პოსტს იკავებს. უმრავლესობის მთავრობის კრახის შემთხვევაში, მთავრობის ახალი შემადგენლობა ფორმირდება პარლამენტში შემდეგი ყველაზე მრავალრიცხოვანი წარმომადგენლობის მქონე პარტიის მიერ. მთავრობის ფორმირების ზემოაღნიშნული წესის გამო შესაძლებელია მინისტრები არ იყვნენ კონკრეტულად მათდამი დაქვემდებარებული სფერო-



ოს პროფესიონალები, ამიტომ სამინისტროს მიმდინარე საქმიანობის ხელმძღვანელობით ფუნქციებს თითოეულ სამინისტროში ახორციელებს ერთი ან რამდენიმე სახელმწიფო მდივანი. პრემიერ-მინისტრს ირჩევს პარლამენტი პრეზიდენტის ნარდგინებით, ხოლო მინისტრებს და მათ მოადგილეებს ნიშნავს და ათავისუფლებს პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის ნარდგინებით. მთავრობის წევრებს იგივე მოთხოვნები და შეზღუდვები წაყენებათ, რაც პარლამენტარებს.

იმისთვის, რომ მთავრობამ შეძლოს უფლებამოსილებათა გარანტირებული განხორციელება, იგი უნდა აღიჭურვოს პარლამენტის ნდობით. ამიტომ პრემიერ-მინისტრის მიერ ფიცის დადებიდან 15 დღის განმავლობაში მთავრობა ვალდებულია მოითხოვოს პარლამენტისგან ნდობის ვოტუმის დადასტურება, რომლის მოთხოვნა მას შეუძლია ნებისმიერ სხვა დროსაც. თავის მხრივ, პარლამენტს შეუძლია უნდობლობის ვოტუმში გამოუცხადოს მთავრობას ან მის ნებისმიერ წევრს, როცა პარლამენტთან ურთიერთობაში ამის საჭიროება დადგება. წინადადება უნდობლობის ვოტუმის შესახებ შეუძლია წამოაყენოს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ 1/6-ს, სულ მცირე 6 თვის გასვლის შემდეგ უკანასკნელი ასეთი წინადადებადანი. გამოცხადების სახით უნდობლობის ვოტუმის გამოცხადების შესახებ წინადადება შეიძლება შეტანილ იქნეს 6-თვიანი ვადის გასვლამდეც, თუ იგი დეპუტატთა სრული შემადგენლობის აბსოლუტური უმრავლესობის მიერ იქნება ხელმონერილი. ნდობისა თუ უნდობლობის ვოტუმის გამოცხადებასთან დაკავშირებული დებატები იწყება შესაბამისი წინადადების შეტანიდან 2 დღის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მთავრობა ნდობის ვოტუმთან დაკავშირებით დებატების დაუყოვნებლივ დაწყებას მოითხოვს. დებატები არ შეიძლება 3 დღეზე მეტ ხანს გაგრძელდეს. დებატების დასრულებისთანავე ხდება კენჭისყრა, თუმცა მთავრობის თხოვნით კენჭისყრა შეიძლება 48 საათით გადაიდოს. უნდობლობის ვოტუმის გამოსატანად საჭიროა დეპუტატთა სრული შემადგენლობის ხმათა აბსოლუტური უმრავლესობა, ხოლო ნდობის ვოტუმის გამოსატანად – დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის 2/5-ისა.

მინისტრთა საბჭო კოლევიალური ორგანოა და მისი წევრები მთავრობის საერთო პოლიტიკისთვის კოლექტიურად არიან პასუხისმგებელნი, ხოლო საკუთარი დარგის ფარგლებში განხორციელებული მოქმედებებისთვის მინისტრები პერსონალურად აგებენ პასუხს.

მთავრობა ფლობს საკანონმდებლო ინიციატივის უფლებას, განსაზღვრავს და ახორციელებს ქვეყნის საერთო პოლიტიკას. პრემიერ-მინისტრი თავმჯდომარეობს მთავრობის სხდომებს, შეუძლია თავისი დეკრეტით ერთი ან რამდენიმე მინისტრი დანიშნოს ვიცე-პრემიერად, უზრუნველყოფს მთავრობის ერთიანობას და მთლიანად სახელმწიფო აპარატის მოქმედებებს მიმართავს სამთავრობო პოლიტიკის ცხოვრებაში განსახორციელებლად.

თითოეული მინისტრი მის საკურაციო სფეროში კანონით მისთვის დაკისრებულ ფუნქციებს ახორციელებს. საბერძნეთში მოქმედი უპორტფელი მინისტრის ინსტიტუტი იმ ფუნქციების შესასრულებლად იქმნება, რომელსაც მათ თავისი გადაწყვეტილებით პრემიერ-მინისტრი აკისრებს, ხოლო მინისტრის მოადგილეები ასრულებენ ფუნქციებს, რომელიც მათ პრემიერ-მინისტრის და შესაბამისი მინისტრის საერთო გადაწყვეტილებით ევალებათ.

საბერძნეთში ამჟამად 19 სამინისტრო ფუნქციონირებს, რომელთაგან მხოლოდ რამდენიმე თავისებურებას გამოვყოფთ: ასეთია განათლებისა და აღმსარებლობის სამინისტრო; საბერძნეთის სახელმწიფო აპარატის სტრუქტურაში არსებობს ორი სამინისტრო, რომელიც ორგანიზებულია არა დარგობრივი, არამედ ტერიტორიული პრინციპით. ასეთია ეგეოსის აუზის და მაკედონია-ფრაკიის სამინისტროები. მათი სტრუქტურა ასახავს კონცენტრაციის პრინციპს რეგიონულ მმართველობაში: მათ კომპეტენციაში შედის სახელმწიფო ორგანოთა, ასევე მათ დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიულ პირთა საქმიანობის კონტროლი.

კიდევ ერთი განსაკუთრებლობაა საბერძნეთის შინაგან საქმეთა, სახელმწიფო მმართველობისა და დეცენტრალიზაციის სამინისტრო, რომელიც ფუნქციურად პრინციპულად განსხვავდება თავისი ანალოგებისგან. ის არ განეკუთვნება ძალოვან სტრუქტურათა რიცხვს, მის კომპეტენციაში შედის სამოქალაქო მმართველობის საკითხები და არა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა. ეს თავად დასახელებიდანაც ჩანს, რომელიც ასახავს ქვეყნის სახელმწიფო ადმინისტრაციის მონყობის საერთო პრინციპს, ორგანიზებულს დეცენტრალიზაციის პრინციპზე. შინაგან საქმეთა, სახელმწიფო მმართველობისა და დეცენტრალიზაციის სამინისტრო შედგება 3 გენერალური სამდივნოსგან: სახელმწიფო მმართველობის, თანასწორობის და მოქალაქეთა დაცვის. ეს უკანასკნელი უფლებრივ დაცვას მსახურობს და მოქალაქეთა დამცველთაგანაც თანამშრომლობს. რაც შეეხება ძალოვან ფუნქციებს, მას ახორციელებს საზოგადოებრივი წესრიგის სამინისტრო.

სასამართლო ხელისუფლება. საბერძნეთის სასამართლო სისტემა შედგება: სამოქალაქო, სისხლის, ადმინისტრაციული და სამხედრო სასამართლოებისგან. საერთო სასამართლოების სისტემაში უმაღლეს რგოლს წარმოადგენს არეოპაგი – უმაღლესი სასამართლო, რომლის შემადგენლობაში შედის 55 მოსამართლე, შედგება 6 პალატისგან, რომელთაგან 4 სამოქალაქო და 2 სისხლის სამართლის საქმეებს განიხილავს. თითოეული პალატა სხდომებს ატარებს 5 მოსამართლის შემადგენლობით. არეოპაგი, ძირითადად, საკასაციო ინსტანციის როლში გამოდის და განიხილავს საჩივრებს ქვემდგომი სასამართლოების გადაწყვეტილებებზე – სამართლის საკითხებზე და არა ფაქტთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, როცა რომელიმე პალატა არ ემყარება არეოპაგის ან მისი პალატების ადრე მიღებულ გადაწყვეტილებებს, ასეთი საკითხი განიხილება პლენუმის მიერ, გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისია პლენუმის სხდომაზე 11 მოსამართლის მონაწილეობა. მათ მიერ გამო-

ტანილი განაჩენები შეიძლება გასაჩივრდეს 5 დიდი ქალაქის სააპელაციო სასამართლოებში.

საერთო სასამართლო სისტემის მეორე დონეს წარმოადგენს 60-მდე საოლქო სასამართლო, რომლებიც სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებს პირველი ინსტანციით განიხილავენ, ერთი მოსამართლით ან კოლეგიით 3 მოსამართლის შემადგენლობით, ხოლო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა საქმეები განიხილება 3 მოსამართლის და 5 მსაჯულის მიერ. მათი გადაწყვეტილების გასაჩივრება შეიძლება სააპელაციო სასამართლოებში, სადაც საქმის განხილვაში მონაწილეობა უნდა მიიღონ მსაჯულებმაც. საოლქო სასამართლოების კომპეტენციაში შედის, აგრეთვე, 300-მდე მომრიგებელი სასამართლოს წვრილმან სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული საჩივრების განხილვა.

ადმინისტრაციული იუსტიციის დამოუკიდებელ სისტემას სათავეში უდგას სახელმწიფო საბჭო, რომელსაც უფლება აქვს: შეიმუშავოს მარეგულირებელი ხასიათის დეკრეტები; განიხილოს მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული დავები; საჩივრის საფუძველზე გადასინჯოს ქვედა დონის ადმინისტრაციული სასამართლოების გადაწყვეტილებები; გააუქმოს კანონის დარღვევით ან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით მიღებული ადმინისტრაციული აქტები. რაიონული მასშტაბით ანალოგიურ უფლებამოსილებას ახორციელებენ ადმინისტრაციული სასამართლოები, რომელთაც ზოგიერთ ქალაქში საგადასახადო სასამართლოებს უწოდებენ.

საბერძნეთში, საერთო სასამართლოების სისტემაში მოქმედებს არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოები; საფინანსო სასამართლო, რომელიც იმავდროულად ახორციელებს სახელმწიფო სახსრების ხარჯვაზე ზედამხედველობის ფუნქციას; საეკლესიო სასამართლოები, რომელთა იურისდიქციაშიც შედის იმ დანაშაულებზე საქმეთა განხილვა, რომელიც ჩადენილია საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა მსახურის მიერ. კანონით რეგულირდება სამხედრო-საველე, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო სასამართლოების შექმნა, რომლებიც ვერ განიხილავენ სამოქალაქო პირთა საქმეებს. ისინი იქმნებიან სამხედრო ძალების იურიდიული სამსახურის წევრთაგან. ამავედროულად, დაუშვებელია განსაკუთრებული სასამართლოებისა და საგანგებო ტრიბუნალების შექმნა ნებისმიერი სახითა და სახელწოდებით. პარლამენტის მიერ სპეციალური სასამართლო იქმნება ყოფილი თუ მოქმედი მინისტრების და მათი მოადგილეების წინააღმდეგ ბრალდების წაყენების შემთხვევაში, რომელსაც ხელმძღვანელობს არეოპაგის თავმჯდომარე. მის შემადგენლობაში შედის 12 მოსამართლე, რომლებიც არეოპაგის წევრთა და სააპელაციო სასამართლოების თავმჯდომარეთა რიცხვიდან პარლამენტის თავმჯდომარის მიერ საჯარო სხდომაზე აირჩევა.

მნიშვნელოვან სასამართლო ფუნქციებს ახორციელებს კონსტროლის საბჭო. კერძოდ, მის კომპეტენციაში შედის: სახელმწიფო, ან კანონის საფუძველზე, ცალკეული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს და საჯარო

სამართლის ზოგიერთი იურიდიული პირის სახსრების ხარჯვაზე კონტროლი; სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებასა და სახელმწიფო ბალანსის მდგომარეობის შესახებ პარლამენტისთვის მოხსენების წარდგენა; პენსიის ან სამუშაო სტაჟის აღიარების შესახებ კანონებთან დაკავშირებით დასკვნის წარდგენა; სახელმწიფოსადმი ანგარიშვალდებულ პირთა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირთა ანგარიშების კონტროლი; პენსიის გაცემასთან დაკავშირებული საჩივრების განხილვა და ზოგადად საბანკო ანგარიშების კონტროლი; იმ საქმეთა განხილვა, რომლებიც ეხება სახელმწიფო ან მუნიციპალურ მოსამსახურეთა, სამოქალაქო ან სამხედრო, მომსახურეთა პასუხისმგებლობას სახელმწიფოსთვის განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით მიყენებული ზიანისთვის.

სასამართლოები შედგება მუდმივი მოსამართლეებისგან, რომლებიც პრეზიდენტის მიერ გამოცემული დეკრეტით ინიშნებიან უვადოდ, 65 წლის ასაკამდე ქვედა დონის სასამართლოებში, ხოლო 67 წლის ასაკამდე უმაღლეს სასამართლოში. მოსამართლეს არ შეიძლება ეკავოს სხვა თანამდებობა ან ენეოდეს სხვა სახის საქმიანობას, გარდა უმაღლეს სასწავლებელში პედაგოგიური მოღვაწეობისა.

არეოპაგში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას ბრალდებას მხარს უჭერს გენერალური პროკურორი, სააპელაციო სასამართლოებში – პროკურორები, უფრო ქვედა დონის სასამართლოებში კი სამხარეო პროკურორები. გენერალური პროკურორი დასკვნებს იძლევა სამოქალაქო საქმეებზეც. მას ასევე შეუძლია ამ დასკვნების საფუძველზე ნებისმიერი რანგის სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები გაასაჩივროს არეოპაგში.

თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას მოსამართლეები სარგებლობენ პირადი და პროფესიული დამოუკიდებლობით და ემორჩილებიან მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს. ქვედა ინსტანციების მოსამართლეების საქმიანობა ექვემდებარება უფრო მაღალი რანგის მოსამართლეების, გენერალური პროკურორის და არეოპაგის პროკურორის მოადგილის ზედამხედველობას. პროკურორების საქმიანობაზე ზედამხედველობას ახორციელებენ არეოპაგის მოსამართლეები და მაღალი რანგის პროკურორები. მოსამართლეების წინააღმდეგ დისციპლინური სარჩელი აღიძვრება იუსტიციის მინისტრის მიერ, რომელთაც განიხილავს უმაღლესი დისციპლინური საბჭო.

სასამართლო ჩინოვნიკების დანიშვნის, დანიშნულების, გადაყვანის და ხელახალი ატესტაციის საკითხის გადაწყვეტა ხდება პრეზიდენტის დეკრეტებით, რომლებიც გამოიცემა უმაღლესი სასამართლო საბჭოს გადაწყვეტილებებით. უმაღლესი სასამართლო საბჭო იქმნება უმაღლესი ინსტანციის შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარეთა და კენჭისყრის საფუძველზე დანიშნული სასამართლოს იმ წევრებისგან, რომლებიც 2 წელზე მეტ ხანს მსახურობენ სასამართლოში. მის შემადგენლობაში სამოქალაქო და სი-

სხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით შედის აგრეთვე არეოპაგის პროკურორი.

საკონსტიტუციო ზედამხედველობა. საბერძნეთში საკონსტიტუციო იუსტიციის, ე. წ. შერეული მოდელი მოქმედებს, როცა მას ერთდროულად საერთო იურისდიქციისა და სპეციალიზებული საკონსტიტუციო სასამართლოები ახორციელებენ, თითოეული თავის კომპეტენციის ფარგლებში. კერძოდ, საერთო სასამართლო იცავს ადამიანის კონსტიტუციურ უფლებებს, მაშინ როცა გაცილებით მრავალფეროვანია საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენცია.

კონსტიტუციის მე-100 მუხლი ითვალისწინებს საკონსტიტუციო ზედამხედველობის განმახორციელებელი სპეციალური უმაღლესი სასამართლოს კომპეტენციაშიც შედის: ა) საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებული სარჩელების განხილვა; ბ) რეფერენდუმის შედეგების და სამართლიანობის შემოწმება; გ) დეპუტატის თანამდებობრივი შეუთავსებლობის და მანდატის ჩამორთმევის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება; დ) ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს შორის უთანხმოებების მოგვარება; ე) ექვების გაქარწყლება კანონის არსის ან მისი განმარტების ანტიკონსტიტუციურობასთან დაკავშირებით, თუ გამოცემულია სახელმწიფო საბჭოს, არეოპაგის ან კონტროლის საბჭოს გადაწყვეტილებები, რომლებიც ეწინააღმდეგება ამ კანონს; ვ) საერთაშორისო სამართლის ნორმების განმარტებასთან დაკავშირებით წარმოშობილი ექვების გაქარწყლება, საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციურობის დადგენა.

სპეციალური საკონსტიტუციო ზედამხედველობის უმაღლესი სასამართლო იქმნება სახელმწიფო საბჭოს, არეოპაგის და კონტროლის საბჭოს თავმჯდომარეების, აგრეთვე, წილისყრით 2-2 წლით დანიშნული სახელმწიფო საბჭოს და არეოპაგის 4-4 წევრისგან. „დ“ და „ე“ პუნქტების საკითხებზე დამატებით წილისყრით მოიწვევა ქვეყნის უნივერსიტეტების შტატიანი იურიდიულ მეცნიერებათა 2 პროფესორი. აღნიშნულ სასამართლოს თავმჯდომარეობს სახელმწიფო საბჭოს და არეოპაგის თავმჯდომარეთაგან უხუცესი.

საკონსტიტუციო ზედამხედველობის უმაღლესი სასამართლოს მიერ ანტიკონსტიტუციურად გამოცხადებული კანონი ნყვეტს მოქმედებას ამ გადაწყვეტილების გამოქვეყნებისთანავე ან გადაწყვეტილებით დადგენილი ვადის დადგომისთანავე. სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა და ადგილობრივი მართვის ორგანიზაცია. საბერძნეთი დაყოფილია 13 რაიონად. თითოეული რაიონი იყოფა პროვინციებად (ნომებად), რომელთა რაოდენობა 54-ს შეადგენს. პროვინციები, თავის მხრივ, შედგება მუნიციპალიტეტებისა (დიმები) და თემებისგან.

განსაკუთრებული სტატუსი აქვს ათონის წმინდა მთას. ეს ტერიტორია დაახლოებით ისეთივე წარმონაქმნია, როგორც ვატიკანი იტალიაში, მხოლოდ

იმ განსხვავებით, რომ მას ერთიანი საბერძნეთის ფარგლებში დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსის ნაცვლად, ფართო ადმინისტრაციული დამოუკიდებლობა აქვს, ხოლო სულიერების თვალსაზრისით, „მსოფლიოს საპატრიარქოდ“ წოდებული, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს უშუალო იურისდიქციის ქვეშ იმყოფება.

ათონის მთის ტერიტორია, მის ფარგლებში მდებარე 20 მონასტრის მიერ შექმნილი სპეციალური ორგანოს – ნმინდა კინოტის მიერ იმართება (ერთ-ერთი ამ მონასტერთაგან – „ივირონი“ იოანე მთანმინდელის დაარსებულია). მმართველობის სისტემისა და მონასტერთა რაოდენობის შეცვლა ათონის მთაზე დაუშვებელია. ამ ტერიტორიაზე სხვა რელიგიის წარმომადგენელთა ცხოვრება აკრძალულია, ხოლო ბერები, რომლებიც აქ მოღვაწეობენ, ბერად ან მორჩილად მიღების დღიდან ავტომატურად იღებენ საბერძნეთის მოქალაქეობას. ათონის მთაზე, ლეთისმსახურების რეჟიმის განსაზღვრა ხდება მისივე წესდების თანახმად. თავად წესდება ამოქმედებამდე საცქაოდ რთულ გზას გადის: იგი სახელმწიფოს წარმომადგენლის თანადგომით დგინდება, ყველა მონასტრის მიერ მიიღება და „მსოფლიოს საპატრიარქოსა“ და საბერძნეთის პარლამენტის მიერ მტკიცდება. წესდების იმ ნაწილის დაცვას, რომელიც სულიერ მხარეს ეხება ზედამხედველობს თავად „მსოფლიოს საპატრიარქო“, ხოლო იმ ნაწილის, რომელიც ადმინისტრაციულ მხარეს ეხება – სახელმწიფო და იგი გამგებლის მეშვეობით, ასევე უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას და უსაფრთხოებას. ათონის მთა სარგებლობს საბაჟო და საგადასახადო შეღავათებით.

საბერძნეთში ადგილობრივი მმართველობის სისტემა მთლიანად დეცენტრალიზაციის პრინციპზეა აგებული და ამდენად ადგილობრივ მმართველობაში ცენტრალიზებული ხელმძღვანელობისა და თვითრეგულაციის გარკვეულ შეხატებას წარმოადგენს. 1980-90-იან წლებში მთავრობამ დაიწყო აქტიური დეცენტრალიზაციის პოლიტიკის გატარება. ცვლილებები განიცადა მუნიციპალურმა კოდექსმა, რომელმაც ახლებურად განსაზღვრა მუნიციპალური და თემის არჩევითი ორგანოების საქმიანობის წესი.

1997 წლის თებერვალში მთავრობამ მიიღო ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის რეორგანიზაციის პროგრამა „იოანნის კაპოდისტრიასი“, რომლის განხორციელება შინაგან საქმეთა, სახელმწიფო მმართველობისა და დეცენტრალიზაციის სამინისტროს დაეუღლა. ამ პროგრამის შედეგად ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულთა რაოდენობა 5-ჯერ შემცირდა. ძირითად ადმინისტრაციულ ერთეულად იქცა დიმი (მუნიციპალიტეტი), რომელიც აყალიბებს ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს. თემები შეყვანილ იქნენ დიმის შემადგენლობაში და მათ დაკარგეს თვითმმართველი ადმინისტრაციული ერთეულის სტატუსი. გამოწვევის სახით მმართველობითი ფუნქციები შენარჩუნებულ იქნა მხოლოდ იმ თემებში, რომლებიც წვრილ კუნძულებზე არიან განლაგებული. დღევანდელი დიმიები ტერიტორიულად და ფუნქციურად რამდენიმე კატეგორიად იყოფიან, მაგრამ ეს დაყოფა არა-

ნაირად არ აისახება მათ იურიდიულ სტატუსზე. არსებობენ დიმები, როგორც სოფელთა გაერთიანებები, ქალაქის ტიპის, 2500-დან 5000 მაცხოვრებლამდე, დასახლებათა დიმები, ქალაქი დიმები, კუნძული დიმები, დიდ ქალაქებში ქალაქის რაიონების დიმები, საეკლესიო ეპარქიის შემადგენელი ნაწილი დიმები. ეს უკანასკნელი გათვალისწინებულია მხოლოდ ორი ბერძნული მეგაპოლისის-ათონისა და თესალონიკისთვის. 1999 წლის მონაცემებით ქვეყანაში აღირიცხებოდა 900 დიმი და დამოუკიდებლობაშენარჩუნებული 133 თემი.

მთავრობის მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე დეცენტრალიზაციის პოლიტიკის გატარების შედეგად, რაც მიზნად ისახავს მოქალაქეთა უფრო აქტიურ ჩაბმას სახელმწიფო მმართველობაში, უმცირეს თვითმმართველ ერთეულს წარმოადგენს არა მუნიციპალიტეტი, არამედ მისი ქვედანაყოფები: მუნიციპალური ოლქები და კვარტალებიც კი, რომლებმაც თვითმმართველობის საკუთარი ორგანოების შექმნის უფლება მოიპოვეს.

სახალხო წარმომადგენლობის დღემდე ფუნქციონირებად უძველეს ორგანოს წარმოადგენს სახალხო კრება, რომელიც საათობირო ხასიათს ატარებს. სახალხო კრების ჩატარება გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტებსა და თემებში, რომელთა მოსახლეობის რაოდენობაც 10 ათას კაცს არ აღემატება. თუმცა მათი გამართვა არ ატარებს სავალდებულო ხასიათს. მერებს და თემების თავმჯდომარეებს შეუძლიათ მოინვიონ სახალხო კრებები ადგილობრივი განვითარების სასიცოცხლო საკითხების განსახილველად. სახალხო კრების გადანყვეტილება გათვალისწინებული უნდა იქნეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ.

თვითმმართველობის პირველი დონის ორგანოების საქმიანობაზე ზედამხედველობას ახორციელებს სამთავრობო მოხელე, რომელსაც ოლქის გენერლური მდივნის თანამდებობა უკავია. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის ლეგიტიმურობაზე ზედამხედველობს საკონტროლო კომიტეტი, რომელიც ნომარქიულ დონეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეთაგან, შინაგან საქმეთა, სახელმწიფო მმართველობისა და დეცენტრალიზაციის სამინისტროს და თვითმმართველობის ორგანოთა წარმომადგენლებისგან შედგება.

ადგილობრივი თვითმმართველობის მეორე დონეს ქმნიან ნომარქოსები, რომელთა სამართლებრივი სტატუსი, უფლებამოსილებათა წრე და საქმიანობის წესი რეგლამენტირებულია ნომარქიული კოდექსით. ნომარქოსები წარმოადგენენ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, მათი მიზანია შესაბამისი პროვინციის (ნომის) ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარება. ნომარქები არ წარმოადგენენ ადგილობრივი თვითმმართველობის პირველი დონის ორგანოების ზემდგომ ორგანოებს და არ ერევიან მათ უფლებამოსილებაში. როგორც წესი, ნომარქიის საზღვრები პროვინციის საზღვრებს ემთხვევა. პროვინციული თვითმმართველობის ორგანოებში გათვალისწინებულია ასევე წვრილი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების – ეპარქიული ოლქების წარმომადგენლობა, რომელთა საზღვრებიც, როგორც წესი, ემთხვევა საეკლესიო ეპარქიე-

ბის საზღვრებს. ეპარქიულ ოლქებად დაყოფა არასაყოველთაოა და იგი მხოლოდ ზოგიერთი რაიონის საჭიროების შესაბამისად გამოიყენება.

ნომარქიის კომპეტენციაში შედის პროვინციული მნიშვნელობის ყველა საკითხი, გარდა საკითხებისა, რომლებიც ეხება სახელმწიფო საკუთრებას ან, რომლებიც შედიან თავდაცვის, საგარეო საქმეთა, ფინანსთა და იუსტიციის სამინისტროების, ეროვნული სტატისტიკური სამსახურის, ვეტერინარული კონტროლის სამსახურის კომპეტენციაში. ნომარქიის უფლებამოსილებათა სფეროს სცილდება ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის პირველი დონის ორგანოების კონტროლი.

ნომარქიები შედგებიან ნომარქიული საბჭოს, ნომარქიული კომიტეტებისა და ნომარქოსებისგან. ნომარქიული საბჭო 4 წლით აირჩევა, 21-დან 43-მდე წევრს აერთიანებს და კომპლექტდება კონკრეტული პროვინციის მოსახლეობის პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპის საფუძველზე. ნომარქიული საბჭოს კომპეტენციაში შედის: ნომარქიული სამსახურებისა და კომიტეტების მუშაობის დაგეგმვა, ნომარქიისადმი დაქვემდებარებული იურიდიული პირების ბიუჯეტების დამტკიცება, გადასახადების შემოღება და ჯარიმების დაკისრება, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული გარიგებების კონტროლი, კულტურული განვითარების ცენტრების შექმნა, საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე ობიექტების მშენებლობასთან და ასევე ფინანსებთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები.

ნომარქიული საბჭოს სხდომები ტარდება არანაკლებ თვეში ერთხელ. როგორც წესი, სხდომა ღიაა, მაგრამ შესაძლებელია დახურული სხდომების ჩატარებაც. საბჭოს წევრები ვალდებული არიან მონაწილეობა მიიღონ ყველა სხდომაში და შეუძლიათ საკუთარი აზრი გამოთქვან ნებისმიერ დასმულ საკითხთან დაკავშირებით, გარდა იმ საკითხებისა, რომლებშიც მათ ან მეორე თაობამდე მათ ნათესავენ პირადი დაინტერესება აქვთ.

თითოეულ ნომარქიაში სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით შეიძლება შეიქმნას 2-დან 6 კომიტეტამდე. კომიტეტები აირჩევიან 2 წლის ვადით ნომარქიული საბჭოს წევრთა რიცხვიდან, 2-დან 4 წევრამდე შემადგენლობით. ყველა ნომარქიაში მოქმედებს სოციალურ-ეკონომიკური კომიტეტი, რომელიც შედგება მუნიციპალიტეტებისა და თემების, პროფკავშირებისა და მენარმეთა კავშირების წარმომადგენელთაგან, ნომარქიების მომსახურეთაგან და სათათბირო ორგანოს წარმომადგენს. ყოველი ეპარქიული ოლქისთვის იქმნება ცალკე კომიტეტები, თავისი არსით ეპარქიული საბჭოები, რომელთა თავმჯდომარეებიც ეპარქიის თანამდებობას იკავებენ. ეპარქიული ორგანოები პროვინციული თვითმმართველობის სისტემის ნაწილს შეადგენენ.

ნომარქი, ნომარქიული საბჭოს მსგავსად, 4 წლის ვადით აირჩევა, იგი აღასრულებს ნომარქიული საბჭოსა და კომიტეტების გადანყვეტილებებს, ნომარქიას წარმოადგენს სასამართლოში და მისი სახელით ხელს აწერს ყველა დადებულ შეთანხმებას და ხელმძღვანელობს ყველა ნომარქიულ სამსახურს.



პროვინციული ორგანოების დაფინანსების წყაროებია: საგადასახადო შემოსავლები, უძრავი ან მოძრავი ქონების ექსპლუატაციით მიღებული შემოსავლები, სპონსორთა შენატანები, ევროსაბჭოს დოტაციები. საკუთარი ბიუჯეტის შესავსებად ნომარქიებს შეუძლიათ ასევე მონაწილეობა მიიღონ სამენარმო საქმიანობის ზოგიერთ სახეობაში, მაგრამ მათ ეკრძალებათ კომერციულ სანარმოებში ფინანსების ინვესტირება. საბიუჯეტო დაფინანსება მხოლოდ იმ ხარჯებს ფარავს, რომლებიც დაკავშირებულია იმ ფუნქციების შესრულებასთან, რასაც უშუალოდ სახელმწიფო აკისრებს ნომარქიას.

პროვინციალური თვითმმართველობის ორგანოების კონტროლის მიზნით იქმნება სპეციალური საკონტროლო კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შედის პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლე, შინაგან საქმეთა, სახელმწიფო მმართველობისა და დაცენტრალიზაციის სამინისტროს და ამჯერად ნომარქიული საბჭოს თითო წარმომადგენელი. საკონტროლო კომიტეტები დამოუკიდებელი არიან ხელისუფლების პროვინციალური ორგანოებისგან, მაგრამ ემორჩილებიან შინაგან საქმეთა, სახელმწიფო მმართველობისა და დაცენტრალიზაციის სამინისტროს.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ საბერძნეთში ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემა საკმაოდ დემოკრატიულია, რათა მოქალაქეთა რეალური ჩართვა მოხდეს სახელმწიფო მართვაში, მაგრამ იმდენად ლიბერალურია, რომ თავსაღმწიფოს მიერ ინიციატივა ხელიდან არ იქნეს გაშვებული. ამასთან, სახელმწიფო მართვის სისტემის თავისებურებას საბერძნეთში წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირების კატეგორიათა არსებობა, რომლებიც, ისევე როგორც თავად დაცენტრალიზაციის სისტემაც, ნასესხებია ფრანგული სახელმწიფო-სამართლებრივი ტრადიციებიდან. ისინი აერთიანებენ უწყებებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც არ შედიან სახელმწიფო აპარატში, მაგრამ აქვთ შეხება სახელმწიფო მმართველობასთან. საჯარო სამართლის იურიდიულ პირთა რიცხვს საბერძნეთში მიეკუთვნებიან მუნიციპალიტეტები და ხელისუფლების სხვა ადგილობრივი ორგანოები, კომპანიები, რომლებიც ეწევიან ელექტრო და ნყალმომარაგებას, კავშირგაბმულობას, ზოგიერთი არაკომერციული ორგანიზაცია, რომლებიც ფლობენ ადმინისტრაციულ უფლებამოსილებებს.

საბერძნეთის კონსტიტუციური სამართლის განსაკუთრებული თავისებურებანი გამომდინარეობს, როგორც უძველესი ეროვნული ტრადიციებიდან, ისე უახლესი ისტორიის მწარე გამოცდილებიდან. სწორედ ზემოაღნიშნული მიზეზები განაპირობებს თავისებურებათა სიმრავლეს:

— უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის, რომ საბერძნეთის ძირითადი კანონი ევროპაში ყველაზე რელიგიურ კონსტიტუციას წარმოადგენს. კონსტიტუციას არ აქვს პრეამბულა, მაგრამ მისი ნაცვლად აქვს მიძღვნა: „წმინდა, ერთარსობრივი და განუყოფელი სამების სახელით.“ გარდა ამისა, კონსტიტუციის მთელი განყოფილება ეძღვნება სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობას. კონსტიტუციურადვეა დადგენილი საბერძნეთის აღმოსავლ-

ეთ მართლმადიდებლური ეკლესიის სტატუსი და სხვა რელიგიების არსებობის უფლებასთან ერთად, აღიარებულია აღმოსავლეთ მართლმადიდებლური ქრისტიანობის უპირატესობა;

– განსაკუთრებული სტატუსი აქვს ათონის წმინდა მთას. ეს ტერიტორია დაახლოებით ისეთივე წარმონაქმნია, როგორც ვატიკანი იტალიაში, იმ განსხვავებით, რომ მას ერთიანი საბერძნეთის ფარგლებში დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსის ნაცვლად ფართო ადმინისტრაციული დამოუკიდებლობა აქვს, ხოლო სულიერების თვალსაზრისით, „მსოფლიოს საპატრიარქოდ“ წოდებული, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს უშუალო იურისდიქციის ქვეშ იმყოფება;

– საბერძნეთში ყველა დონის არჩევნებში, გარდა ევროპარლამენტის არჩევნებისა, მონაწილეობა სავალდებულოა. არჩევნებში მონაწილეობის მიუღებლობა ინვესტს შესაბამისი სანქციებს, თუმცა უფრო ხშირად ადმინისტრაციულს და არა სისხლისსამართლებრივს, რაც ასევე დადგენილია;

– კონსტიტუციის 51-ე მუხლის თანახმად, კანონით შეიძლება განსაზღვრულ იქნეს ქვეყნის საზღვრებს გარეთ მყოფი საბერძნეთის მოქალაქეების მიერ აქტიური საარჩევნო უფლებით სარგებლობის წესები;

– შვედური ომბუდსმენის ბერძნული ანალოგი – მოქალაქეთა დამცველი მინისტრთა საბჭოს მიერ აირჩევა, სახელმწიფო დაწესებულებების საკითხთა კომიტეტის წინადადების საფუძველზე, მაგრამ იგი არ ექვემდებარება სახელისუფლებო ორგანოების კონტროლს;

– ბერძნული კანონმდებლობით დადგენილია სახელმწიფოს მიერ პარტიების ფინანსური მხარდაჭერა და დეპუტატობის კანდიდატთა და პარტიების მიერ საარჩევნო კამპანიის დროს განეული ხარჯების საჯაროობა;

– საბერძნეთის კონსტიტუცია, სამხედრო-ბიუროკრატიული დიქტატურის გაკვეთილების გათვალისწინებით, გარკვეულად ზღუდავს ჩინოვნიკებს, სამხედრო მოსამსახურეებსა და ბიზნესის წარმომადგენლებს, რომელთაც ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღება სურთ;

– არჩევნების მიმდინარეობაზე კონტროლი და საპარლამენტო არჩევნებში დარღვევებზე საჩივრების განხილვა საკონსტიტუციო ზედამხედველობის სპეციალურ უმაღლეს სასამართლოს ეკისრება;

– მკაცრად არის რეგლამენტირებული პარლამენტის დეპუტატის შემთავსებლობის საკითხი. დეპუტატმა უფლებამოსილების დამტკიცებიდან 8 დღეში უნდა გააკეთოს არჩევანი დეპუტატის მანდატსა და შეუთავსებელ საქმიანობას შორის. წინააღმდეგ შემთხვევაში ავტომატურად კარგავს მანდატს;

– საბერძნეთის საარჩევნო სამართლის კიდეც ერთ თავისებურ წახნაგს წარმოადგენს საპრეზიდენტო არჩევნების საკმაოდ რთული და მრავალსაფეხურიანი პროცედურა და პრეზიდენტის მიერ მოვალეობის შესრულებისას, მონაცვლის პერჩევის ორიგინალური მექანიზმი;

– პარლამენტის მიერ ყოფილი თუ მოქმედი მინისტრების და მათი მოადგილეების წინააღმდეგ ბრალდების წაყენების შემთხვევაში იქმნება სპეცი-

ალური სასამართლო, რომელსაც ხელმძღვანელობს არეოპაგის თავმჯდომარე. მის შემადგენლობაში შედის 12 მოსამართლე, რომლებიც არეოპაგის ნევრთა და სააპელაციო სასამართლოების თავმჯდომარეთა რიცხვიდან პარლამენტის თავმჯდომარის მიერ საჯარო სხდომაზე აირჩევა;

– თავისი ანალოგებისგან ფუნქციური თავისებურებით გამოირჩევა საბერძნეთის შინაგან საქმეთა, სახელმწიფო მმართველობისა და დეცენტრალიზაციის სამინისტრო. ის არ განეკუთვნება ძალოვან სტრუქტურათა რიცხვს, მის კომპეტენციაში შედის სამოქალაქო მმართველობის საკითხები და არა საზოგადოებრივი ნესრიგის დაცვა;

– უდავო თავისებურებაა საბერძნეთის სახელმწიფო აპარატის სტრუქტურაში არსებული ორი სამინისტრო, რომელიც ორგანიზებულია არა დარგობრივი, არამედ ტერიტორიული პრინციპით;

– საბერძნეთში საკონსტიტუციო იუსტიციის, ე. ნ. შერეული მოდელი მოქმედებს, როცა მას ერთდროულად საერთო იურისდიქციის სასამართლოები და სპეციალიზებული საკონსტიტუციო სასამართლო ახორციელებენ, რა თქმა უნდა, თითოეული თავის კომპეტენციის ფარგლებში, კერძოდ, საერთო სასამართლო იცავს ადამიანის კონსტიტუციურ უფლებებს, მაშინ როცა გაცილებით მრავალფეროვანია საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენცია;

– საბერძნეთში ძალზე თავისებურია ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტეროტორიული მონყობა და მით უფრო ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემა, რომელიც, თავის მხრივ, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ფუნქციონირებად მუნიციპალურ და პროვინციულ დონეებად იყოფა;

– ბერძნული კონსტიტუციური სამართლის ერთი თავისებურება ისიც არის, რომ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში დაშვებულია ორნლიანი ბიუჯეტის მიღებაც;

– ერთობ გართულებულია საბერძნეთის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის პროცედურა. აქ მოქმედებს ორმაგი, ე. ნ. ორჯერადი ვოტუმის მექანიზმი; ერთი როცა ცვლილებების შემუშავებელმა პარლამენტმა კონსტიტუციურ სიახლეს, ერთი თვის ფარგლებში ორი კენჭისყრით, ხმების 3/5-ით უნდა დაუჭიროს მხარი, ხოლო მეორე, როცა შემდეგი მოწვევის პარლამენტმა, თავის პირველსავე სხდომაზე, იგივე გადაწყვეტილება, დეპუტატთა სიითი შემადგენლობის ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით უნდა დაამტკიცოს. იმ შემთხვევაში, თუ საკონსტიტუციო ცვლილებამ, ინიციატორი პარლამენტის ნევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობის და არა 3/5-ის მხარდაჭერა მიიღო, შემდეგი მოწვევის პარლამენტს თავის პირველ სხდომაზე მისი მიღება სწორედ სიითი შემადგენლობის ხმების 3/5-ით შეუძლია;

– ევროპულ ქვეყნებში არსებული, როგორც წესი, პარლამენტის მიერ შექმნილი სპეციალური საფინანსო კონტროლის ორგანოების ნაცვლად, საბერძნეთში, სასამართლო სისტემაში ჩანერილი კონტროლის საბჭო მოქმედებს, რომელიც მნიშვნელოვან სასამართლო ფუნქციებს ახორციელებს.

## შედეგი

სავიზიტო ბარათი. შედეგითი სამეფო მდებარეობს ჩრდილო ევროპაში, სკანდინავიის ნახევარკუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. დასავლეთით და ჩრდილოეთით მას ესაზღვრება ნორვეგია, ჩრდილო-აღმოსავლეთით – ფინეთი, სამხრეთით და აღმოსავლეთით აკრავს ბალტიის ზღვა და ბოტნიის ყურე, სამხრეთ-დასავლეთით – ერესუნის, კატეგატისა და სკაგერალის სრუტეები. შვეციის შემადგენლობაში შედის ბალტიის ზღვის კუნძულები – გოტლანდი და ელანდი. ქვეყნის ტერიტორია შეადგენს 450ათას კმ<sup>2</sup>-ს, მოსახლეობა – 9 მილიონს სქარბობს, რომელთაგან 96% შვედია. სახელმწიფო ენა არის შვედური, ფულის ერთეული – კრონა. ქვეყნის დედაქალაქი – სტოკჰოლმი.

შვედეთის სამართალი კონტინენტური სამართლის სისტემაში, ცალკე ჩამოყალიბებულ სკანდინავიურ, ანუ „ჩრდილოეთის სამართლებრივ ოჯახში“ გაერთიანებული. შვედეთი უნიტარული სახელმწიფოა, ხოლო მმართველობის ფორმით პარლამენტური მონარქიაა.

კონსტიტუცია. შვედური კონსტიტუციონალიზმის ერთ-ერთი მთავარი თავისებურება ის არის რომ ქვეყანას არა აქვს ძირითადი კანონი ერთიანი აქტის სახით. დანერგილი არაკოდიფიცირებული კონსტიტუცია წარმოადგენს ოთხი კანონის ერთობლიობას: კერძოდ, როგორცაა 1974 წლის აქტი „მმართველობის ფორმა“, 1810 წლის აქტი „ტახტის მემკვიდრეობის შესახებ“, 1974 წელს შესული გარკვეული ცვლილებებით; 1974 წლის აქტი „ბექდვითი სიტყვის თავისუფლების შესახებ“ და 1991 წლის აქტი „აზრის გამოხატვის თავისუფლების შესახებ“. თავისი მნიშვნელობით მათ უახლოვდება 1974 წლის კონსტიტუციური აქტი „რიქსდაგის შესახებ“, მაგრამ იგი კონსტიტუციური კანონების პაკეტში არ შედის.

შვედეთის კონსტიტუციური სამართლის მთავარ აქტს წარმოადგენს „მმართველობის ფორმა“. ეს კანონი განამტკიცებს პარლამენტური მონარქიის სახელმწიფო წყობილების საფუძვლებს. ცალკე თავი ეთმობა პიროვნების უფლებებსა და თავისუფლებებს. „მმართველობის ფორმა“ აწესებს საკანონმდებლო ხელისუფლების საფუძვლებს – ერთპალატიან რიქსდაგს, მის სტრუქტურას და საარჩევნო სისტემის ძირითად პრინციპებს. ამავე კანონით დადგენილია რიქსდაგის მუშაობის ძირითადი პროცედურული ფორმები, სახელმწიფოს მეთაურის სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც „მმართველობის ფორმის“ ახალი, 1974 წლის ვარიანტიდან გამომდინარე, ფაქტობრივად, მხოლოდ სიმბოლურ ფიგურად იქცა. დეტალურადაა განსაზღვრული მთავრობის სტრუქტურა და კომპეტენცია, მისი ფორმირების და საქმიანობის წესი. აქვეა დადგენილი, რომ ძირითად კანონებს, მიღების შემდეგ, დაუყოვნებლივ აქვეყნებს მთავრობა. სწორედ ახალი „მმართველობის ფორმა“ განსაზღვრავს შვედეთის კანონმდებლობის სისტემას და ნორმატიული აქტების იერარქიას. ცალკე თავები ეთმობა ხელისუფ-

ლების მოღვაწეობის ისეთ სტრატეგიულ მიმართულებებს, როგორცაა საგარეო პოლიტიკა, მართლმსაჯულება, ფინანსები, სახელმწიფო კონტროლი და თავდაცვა.

აქტი „ტახტის მემკვიდრეობის შესახებ“ 1810 წელსაა მიღებული, მაგრამ 1974 წელს აქტიდან ამოიღეს პარაგრაფი, რომელიც ტახტის გათავისუფლების შემთხვევაში, რიქსდაგს აძლევდა ახალი დინასტიის არჩევის უფლებას. 1979 წლის ცვლილებით, მემკვიდრეობის უფლება მიიღო მონარქის მდებარეობითი ხაზის შთამომავლობამაც.

კანონით „ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების შესახებ“, დადგენილია ოფიციალური დოკუმენტების საჯარო ხასიათი, უფლება ანონიმურობაზე, პერიოდული გამოცემების გამოქვეყნების, გამრავლების და გავრცელების წესი, პასუხისმგებლობა ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების შეზღუდვისთვის, წესები ასეთი საქმეების სამართალწარმოებისთვის და სხვ. ინფორმაციის თავისუფლება შევდეთში ვრცელდება არა მხოლოდ სამთავრობო ორგანიზაციათა და სახელმწიფო მოხელეთა ხელთ არსებულ დოკუმენტებზე, არამედ საპარლამენტო დოკუმენტებზეც და სასამართლო ოქმებზეც.

აქტი „აზრის გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, კონსტიტუციას 1991 წელს დაემატა და არეგულირებს საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია რადიომუხსენებლობის, ტელევიზიის და კინემატოგრაფიული ორგანიზაციების საქმიანობასთან. აქტი „რიქსდაგის შესახებ“ რომელიც რამდენჯერმე შეიცვალა, ანესრიგებს რიქსდაგის საქმიანობასთან დაკავშირებულ უმნიშვნელოვანეს საკითხებს. ამ კანონით განისაზღვრება რიქსდაგის სესიების მონვევის წესი და ვადები, აგრეთვე რიქსდაგის სხდომების ჩატარების წესი. კონსტიტუციური სამართლის წყაროებს ზემოთ დასახელებული აქტების გარდა, მიეკუთვნება 1972 წლის კანონი არჩევნების შესახებ და 1977 წლის კომუნალური კანონი. ასე რომ, შევდეთის კონსტიტუცია კანონთა კრების სახით ჩამოყალიბდა და დემოკრატიული კონსტიტუციების რიგს განეკუთვნება.

ადამიანის უფლებები და თავისუფლებები. შევდეთი, ისტორიულადაც და თანამედროვე ევროპაშიც, ადამიანის უფლებათა დაცვის კლასიკურ სახელმწიფოდ არის აღიარებული. საქმე ის არის, რომ ადამიანის უფლებათა დაცვას ქვეყნის კანონმდებლობა საერთაშორისო სამართლის მიერ აღიარებული პრინციპების შესაბამისად უზრუნველყოფს. ამ თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია 1974 წლის თებერვალში მიღებული „მმართველობის ფორმა“, რომლის მეორე თავი — „ძირითადი თავისუფლებები და უფლებები“, უზრუნველყოფს აზრის გამოხატვის, ინფორმაციის მოპოვებისა და გავრცელების, შეკრებებისა და დემონსტრაციების, კავშირების და რელიგიის თავისუფლებას. კანონით დადგენილია, რომ არავინ არ შეიძლება აიძულონ, დაადასტუროს ან უარყოს ესა თუ ის პოლიტიკური შეხედულება, აგრეთვე მისი პოზიციის დაფიქსირება ოფიციალურ დოკუმენტებში. კონსტი-

ტუციით გაუქმებულია სიკვდილით დასჯა, აკრძალულია ასევე ადამიანზე ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზემოქმედება.

შვედეთის კანონმდებლობით დადგენილია ადამიანის უფლებათა დაცვის მრავალი სხვადასხვა საშუალება. მათ შორის უპირველესი, რა თქმა უნდა, სასამართლოა, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უზრუნველყოფს დარღვეული უფლების აღდგენას. ადამიანის უფლებათა დაცვაზე ზედამხედველობას, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ახორციელებს რიქს-დაგის საკონსტიტუციო კომიტეტი და შვედეთის კონსტიტუციური სამართლის „საავტორო უფლებით“ 1809 წელს შექმნილი სპეციალური ორგანო — ომბუდსმენი.

კონსტიტუციის თანახმად, პარლამენტის მიერ დანიშნულ იუსტიციის ომბუდსმენს დაეკისრა ზედამხედველობა სასამართლო და ადმინისტრაციულ ორგანოებზე, ხოლო საქმეზე გამოძიების წარმოება საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით. მას შემდეგ ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში, სწორედ დაცვის პრობლემატიკის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, ე.წ. სპეციალიზაციის გათვალისწინებით, ბევრი რამ შეიცვალა, პირველ რიგში, თვით შვედეთში: 1915 წელს დაფუძნდა სამხედრო ომბუდსმენი; 1971 წელს — მომხმარებელთა ომბუდსმენი; 1986 წელს ეთნიკური დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხთა ომბუდსმენი. იუსტიციის ომბუდსმენსა და სხვა ომბუდსმენებს შორის ურთიერთობა აქტიური თანამშრომლობით ხასიათდება, როცა ინტერესთა საერთო შეხების წერტილები გაჩნდება. საერთო აქვთ ისიც, რომ ომბუდსმენებს ოთხი წლის ვადით ირჩევენ პარლამენტი, ძირითადად მაღალი კვალიფიკაციის იურისტთაგან და ფუნქციების განხორციელებაში ექვს ათეულამდე თანაშემწე ეხმარებათ. თუმცა, დასახელება თავადვე მიანიშნებს ომბუდსმენების კომპეტენციას, მათ შორის სამოქმედო სფეროები მკაცრად გამოიწნულია და 1996 წლიდან მოყოლებული დაზუსტებით, კომპეტენცია შემდეგნაირად ნაწილდება: ზედამხედველობა სასამართლოს, პროკურატურისა და პოლიციის ორგანოებზე; ზედამხედველობა საგადასახადო და საბაჟო სამსახურზე, შეიარაღებულ ძალებზე, ციხეებსა და სოციალური დაზღვევის სისტემაზე; ზედამხედველობა ადმინისტრაციულ ორგანოებზე, საელჩოებსა და საკონსულოებზე, შრომის ბირჟაზე, სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის, სამშენებლო და ეკოლოგიურ ორგანოებზე, ჯანმრთელობის, განათლების და კულტურის სისტემაზე; ზედამხედველობა იმიგრაციასა და უცხოელებზე.

შვედეთის ტერიტორიაზე მყოფ ნებისმიერ ადამიანს, მათ შორის უცხოელსაც, შეუძლია მიმართოს ომბუდსმენს და საჩივარში დააფიქსიროს კანონის დარღვევის არსი და დამრღვევი სუბიექტი. ომბუდსმენთან შესული ნებისმიერი საჩივარი საჯარო დოკუმენტად ითვლება და ყოველ მოქალაქეს შეუძლია გაეცნოს მას. საჩივარში აღნიშნულ კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით ომბუდსმენი იწყებს გამოძიებას და შედეგებს აცნობებს მომჩივანს და საქმესთან დაკავშირებულ თანამდებობის პირს. ომბუდსმენი დამოუკიდ-

ებელია და მისი გადაწყვეტილება საქმეზე არ შეიძლება გასაჩივრდეს რომელიმე ინსტანციაში. ომბუდსმენი, როგორც წესი, არ ერევა სასამართლო განხილვაში, მაგრამ მას შეუძლია აღძრას დისციპლინური წარმოება.

ყოველი წლის შემოდგომაზე ომბუდსმენი აქვეყნებს მოხსენებას შედეურ და ინგლისურ ენებზე, რომელშიც წარმოდგენილია მისი საქმიანობის შედეგები. მოხსენება ეგზავნება ყველა სახელისუფლო ორგანოს და ზოგიერთ საზოგადოებრივ ბიბლიოთეკას.

**პარტიული სისტემა.** „მმართველობის ფორმის შესახებ“ კანონით უზრუნველყოფილია პარტიული ნიშნით გაერთიანება, რამაც შედეგში მრავალპარტიულობის დაფუძნება განაპირობა. სახელმწიფო, ერთი მხრივ, არ ერევა შიდაპარტიული ორგანიზაციის საკითხებში, მეორე მხრივ, 1965 წლიდან ფინანსურ დახმარებას უწევს საპარლამენტო პარტიებს, რაც იმით გამოიხატება, რომ ყოველ სადეპუტატო მანდატზე გარკვეულ თანხას გამოუყოფს. ამასთან, სახელმწიფოს მიერ გარკვეული სუბსიდიები გამოეყოფა ყველა იმ პარტიას, რომელსაც მხარს უჭერს ქვეყნის ამომრჩეველთა 2, 5% მაინც.

საარჩევნო კანონის თანახმად, პოლიტიკური პარტია, რომელიც რიქს-დაგის ან მთელი ქვეყნის მასშტაბით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში ზედიზედ ორჯერ არ წარადგენს თავის კანდიდატებს, ამოირიცხება სარეგისტრაციო რეესტრიდან.

შვედეთის პოლიტიკური ისტორიის თავფურცელი შვედეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიით (შსდმპ) იწყება, რომელიც 1889 წელს დაარსდა და დღესაც ქვეყნის ნამყვან პოლიტიკურ ძალას წარმოადგენს - 1, 2 მილიონი ნევრით. 1917 წელს შსდმპ-ს მემარცხენე ოპოზიციამ დააარსა მემარცხენე სოციალ-დემოკრატიული პარტია (სდპ), რომელიც შემდგომ კომინტერნში გაერთიანდა და მიიღო შვედეთის კომპარტიის სახელწოდება. 1967 წლიდან სახელი ისევ შეიცვალა და ეწოდა - მემარცხენე პარტია - კომუნისტები (მპკ) და იგი 15.000 ნევრს აერთიანებს. 1977 წელს შვედეთს ახალი, იმავე აბრევიატურის - მეორე მპკ მოეწვინა. ეს არის მუშათა პარტია - კომუნისტები, რომელიც 5.000 ნევრსაც არ ითვლის. კომუნისტები ულტრამემარცხენე პოზიციებზე დგანან და მათ მიერ არჩევნებში მოპოვებული ხმების რაოდენობა 5-6%-ს არ აღემატება. სოციალ-დემოკრატების მთავარ მოკავშირეს წარმოადგენს ცენტრის პარტია. იგი 1910 წელს შეიქმნა, 1947 წლამდე გლებთა კავშირად იწოდებოდა, რიცხოვნობით მეორე პარტიაა და თავის რიგებში 230 ათას ნევრს ითვლის.

შვედი მემარჯვენეების მთავარ ძალას წარმოადგენს ზომიერი კოალიციური პარტია, რომელიც 1904 წელს შეიქმნა, ახლაც 150 ათასი ნევრით მესამე ადგილზეა. კონსერვატიულ პოზიციებზე დგას აგრეთვე ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება, თუმცა იგი ლუთერანული რელიგიის ქვეყანაში ნაკლები წარმატებით სარგებლობს. ბოლო წლებში შეიქმნა მწვანეთა პარტიაც. მემარჯვენეების ზომიერ ფრთაზე დგას ყოფილი სახალხო პარ-

ცია, რომელიც 1934 წელს დაარსდა, 40 ათას წევრს აერთიანებს და განახლებული „სახალხო პარტია – ლიბერალები“ მიუხედავად მცირერიცხოვნობისა, მემარცხენე ძალეობთან აქტიური თანამშრომლობის წყალობით, რამდენჯერმე მოვიდა ხელისუფლებაში.

მსდმპ პირველად 1920 წელს სახელმწიფო მთავრობას სათავეში, მაგრამ შემდეგ, 1936 წლამდე ხელისუფლების სათავეში ერთმანეთს ცვლიდნენ სახალხო, სოციალ-დემოკრატიული, მემარჯვენე და ცენტრისტული პარტიები. 1936 წლის არჩევნების შემდეგ დაიწყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის უწყვეტი ორმოცნობიანი მმართველობის პერიოდი, იქმნებოდა ჯერ კოალიციური სოციალ-დემოკრატიული მთავრობა, ხოლო 1957 წლის შემდეგ ისინი აყალიბებენ ერთ-პარტიულ კაბინეტს. მემარცხენე ძალთა ასეთი წარმატების გამო შვედეთს ბოლო ხანებამდე სოციალისტურ ქვეყანას უწოდებდნენ. მაგრამ უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე წარმატებით მიმდინარეობს მემარცხენე და მემარჯვენე ძალებს შორის ერთგვარი თანაფარდობის ჩამოყალიბების პროცესი. სოციალ-დემოკრატების ჰეგემონობას პირველი დარტყმა 1973 წლის არჩევნებმა მიაყენა, როცა მათ დაკარგეს აბსოლუტური უმრავლესობა და ულოფ პალმეს კაბინეტმა პარლამენტის ნდობა მხოლოდ კომუნისტების დახმარებით მოიპოვა. 1976 წელს, პირველად, ორმოცი წლის შემდეგ, სოციალ-დემოკრატები ოპოზიციაში აღმოჩნდნენ. 1982 წელს ხელისუფლებაში კვლავ დაბრუნდა სოციალ-დემოკრატიული პარტია. უკვე 1991 წელს ჩამოყალიბდა ზომიერი კოალიციური პარტიის პირველი კაბინეტი, სხვა მემარჯვენე ორგანიზაციებთან ალიანსში, მაგრამ ვერც ამ „თანამეგობრობამ“ გაძლო დიდხანს. როგორც ჩანს, 1994 წელი სოციალ-დემოკრატებისათვის მთავრობაში მესამედ მოსვლის ეტაპია. მათმა ფრაქციამ რიქსდაგში უმრავლესობა მოიპოვა.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა. შვედეთი ცენტრალურად დაგეგმული სახელმწიფოა, მისი მმართველობის სისტემა სამდონიანია და ერთიანი სქემის სახით აერთიანებს სახელმწიფო, რეგიონალურ და ადგილობრივ მმართველობას. შვედეთი, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის თვალსაზრისით, იყოფა რეგიონებად – 24 ლენად, რომლებიც განიხილებიან, როგორც სახელმწიფოს მთლიანი ტერიტორიის ნაწილი და არა როგორც მის სუბიექტები. ლენები არაოფიციალურად ერთიანდებიან ქვეყნის სამ გეოგრაფიულ მხარეში: ნორლანდი (ჩრდილო შვედეთი), სვეალანდი (ცენტრალური შვედეთი) და გეტალანდი (სამხრეთ შვედეთი). ქალაქებს გეტებორგსა და მალმიოს დამოუკიდებელი სტატუსი აქვთ და არც ერთი რეგიონის დაქვემდებარებაში არ შედიან. ლენები, თავის მხრივ, იყოფა კომუნებად. კომუნაში შეიძლება მოიაზრებოდეს ქალაქი, დაბა, სოფელი ან ერთდროულად რამდენიმე დასახლება. სულ შვედეთში 288 კომუნაა.

ხელისუფლება ლენების დონეზე ხორციელდება, ე.წ. ფრანგული მოდელით: ერთმანეთის პარალელურად ფუნქციონირებს მოსახლეობის მიერ არჩეული 23 ლანდსტინგი და ცენტრალური მთავრობის მიერ დანიშნული ამდენივე გუბერნატორი და ადმინისტრაციული ბიურო. ადგილობრივ საქმ-



ეებს მთლიანად ლანდსტინგის წინაშე პასუხისმგებელი გამგეობა განაგებს. რაც შეეხება კომუნებს, აქ მხოლოდ არჩევითი ორგანოები არსებობს. მერი და ყველა დანარჩენი მუნიციპალური ორგანო, ხალხის მიერ არჩეულ რწმუნებულთა კრებას ექვემდებარება.

ლენებისა და კომუნების სახელმწიფო ორგანოების კონსტრუქცია და კომპეტენცია მეტწილად ერთგვაროვანია. ორივე შემთხვევაში აღმასრულებელ ორგანოებს წარმოადგენენ გამგეობები, რომლებსაც არანაკლებ ხუთი წევრის შემადგენლობით, საკუთარი უფლებამოსილების ვადით ირჩევენ შესაბამისი წარმომადგენლობითი ორგანოები. სტოკჰოლმის კომუნაში გამგეობას ყოველწლიურად ირჩევენ. ლენებისა და კომუნების წარმომადგენლობითი ორგანოების დელეგატებს შეუძლიათ ინტერპელაციის ნესით მიმართონ გამგეობის და მისი კომიტეტების თავმჯდომარეებსა და წევრებს, ხოლო სტოკჰოლმში — საქალაქო მრჩეველებსაც. გამგეობა ხელმძღვანელობს თვითმმართველობის ყველა აღმასრულებელი სტრუქტურის საქმიანობას. მისი ფუნქციები ითვალისწინებს: სხვადასხვა საკითხზე რწმუნებულთა კრების ან ლანდსტინგისთვის წინადადებებისა და დასკვნების მომზადებას; ლენის და კომუნის მეურნეობისა და ქონების გაძღოლას, თუ ეს უფლება არ გადაეცემა რომელიმე კომიტეტს სპეციალურად; ადგილობრივი რესურსების განკარგვას; კრების ან ლანდსტინგის გადანყვეტილებათა შესრულებას; კომუნის ან ლენის საინფორმაციო სამსახურის მეთვალყურეობას; სხვა ფუნქციებს, რომელიც დაეკისრება გამგეობას დელეგირებულ უფლებამოსილების სახით. თავის მხრივ, გამგეობასაც შეუძლია თავისი ზოგიერთი ფუნქცია გადასცეს ქვემდგომ ორგანოებს.

შვედეთის კონსტიტუციური სამართლის რეგულირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ობიექტია ურთიერთობა და ფუნქციური გამიჯვნა ხელისუფლების ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს შორის, რომელიც დარეგულირებულია 1992 წლის კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“. თუმცა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ფუნქციების დადგენა ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივაა, ლენების და მუნიციპალიტეტების თვითმმართველობები, კანონით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში, მნიშვნელოვანი ავტონომიით სარგებლობენ და დამოუკიდებლად ახორციელებენ სახელმწიფოებრივ-სახელისუფლებო ფუნქციებს. კომუნალური კანონი ლანდსტინგების და მუნიციპალიტეტების სტატუსს, მხოლოდ ზოგად კონტურებში განსაზღვრავს. ამიტომ, ადგილობრივი ორგანოების სტრუქტურა და კომპეტენცია ყოველი კონკრეტული ლენისა და კომუნისთვის დამოუკიდებლად განისაზღვრება. ამასთან, შვედეთში საგადასახადო სისტემა იმკვარადაა მონყობილი, რომ სახელმწიფო სახსრების მესამედს ადგილობრივ ბიუჯეტში იყრის თავს, მაგრამ იმავდროულად კანონით დანჯებულია მთელი რიგი ღონისძიებებისა, რომელიც ადგილობრივმა ხელისუფლებამ თავად უნდა დააფინანსოს ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში.

შვედეთში, კომპაქტურად დასახლებულ ეროვნულ უმცირესობათათვის იქმნება, ე.წ. პერსონალური ავტონომია. ისინი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის მიზნით ქმნიან თავის საზოგადოებრივ ორგანიზაციებს – კლუბების თუ სხვა გაერთიანებათა სახით. ასეთია საამთა 25-კაციანი, არასახელმწიფო პარლამენტი – საამიტინგი. სხვათა შორის, შვედებსაც აქვთ პერსონალური ავტონომია შვედური ასამბლეის სახით ფინეთში.

საარჩევნო სისტემა. შვედეთის საარჩევნო სისტემის ერთი უმთავრესი ის არის, რომ წლების მანძილზე მცირდებოდა საყოველთაო საარჩევნო უფლების შემზღუდავი ცენზები და ახლა ერთადერთი მოქმედი – ასაკობრივი ცენზოა: შვედეთის მოქალაქეებს აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება თვრამეტი წლიდან ენიჭებათ.

რიქსდაგის მორიგი არჩევნები ტარდება ყოველი მეოთხე წლის სექტემბრის მესამე კვირა დღეს. მთავრობის მოთხოვნით, შეიძლება ჩატარდეს რიგგარეშე არჩევნები, გარდა იმ შემთხვევისა, როცა რიქსდაგის პირველი სხდომიდან გასულია სამ თვეზე ნაკლები, ან როცა გამოცხადებულია მთავრობის გადადგომა და იგი, ახალი კაბინეტის ჩამოყალიბებამდე, დროებით ასრულებს თავის მოვალეობებს. იმ შემთხვევაში, თუ ქვეყნის ტერიტორიაზე მიმდინარეობს სამხედრო მოქმედებები, რიქსდაგს ხმათა 3/4-ით შეუძლია გადაავადოს არჩევნები ომის დამთავრებამდე, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლის ვადით, თუ ამის შემდეგ კიდევ არ იქნა საჭირო ახალი გადავადება.

არჩევნების ორგანიზაციას ხელმძღვანელობს მთავრობის მიერ შექმნილი სპეციალური ორგანო, რომელსაც ექვემდებარება ადგილობრივი საარჩევნო კომისიები. საარჩევნო კანონმდებლობის დაცვაზე ზედამხედველობას ახორციელებს რიქსდაგის არჩევნების შემონების სპეციალური კომიტეტი.

ცენტრალური საარჩევნო ორგანო ახდენს არჩევნებში მონაწილე იმ პარტიების რეგისტრაციას, რომლებიც შეაგროვებენ 1500 ამომრჩევლის ხელმოწერას ან წარმომადგენელი 3ყავთ რიქსდაგში. რეგისტრირებულ პარტიებს ერთ საარჩევნო ოლქში შეუძლიათ წარადგინონ დეპუტატობის კანდიტატები, რომელთა რიცხვიც არ უნდა იყოს ოთხზე ნაკლები და თხუთმეტზე მეტი. საარჩევნო სიების შედგენა მუნიციპალიტეტების ნაცვლად საგადასახადო სამმართველოებს აკისრიათ. რიქსდაგში 310 დეპუტატი აირჩევა და ყოველი საარჩევნო წლის აპრილის ბოლომდე, ცენტრალური საარჩევნო ორგანო ამომრჩეველთა რიცხოვნობის შესაბამისად განსაზღვრავს საარჩევნო ოლქებში მანდატების რაოდენობას.

შვედეთის საარჩევნო სამართლის თავისებურებათა სიმრავლე დაკავშირებულია კენჭისყრის პროცესთან. არჩევნების დღეს, საარჩევნო უბანში მისული ამომრჩეველი კონვერტში დებს იმ პარტიის საარჩევნო ბიულეტენს, რომელსაც მხარს უჭერს. ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს ხმის მიცემა საფოსტო გზავნილების საშუალებით. აღნიშნული პროცედურა მიმდინარეობს კენჭისყრის დღემდე 24 დღით ადრე და ამ მიზნით დროებითი საფოსტო განყოფილებები იხსნება საავადმყოფოებში, მოხუცებულთა სახლებსა და

შრომა-გასწორების დანესებულებებში. ამომრჩეველი, საფოსტო უწყების მიერ სპეციალურად დანიშნულ პირს გადასცემს კონვერტში მოთავსებულ ბიულეტენს და საარჩევნო უფლების დამადასტურებელ მონმობას, რომელიც იგზავნება შესაბამის საარჩევნო კომისიაში. ანალოგიურად ტარდება არჩევნები საელჩოებში, საკონსულოებსა და მოგზაურობაში მყოფ დემბზე. გემებზე კენჭისყრა იწყება არჩევნების დღემდე 50 დღით ადრე. შედეგთში დაიშვება ხმის მიცემა მინდობილობით, როდესაც რწმუნებულად საარჩევნო ხმისუფლებიანი ოჯახის წევრები გამოდიან.

რიქსდაგის მანდატების განაწილება ხდება ცენტრალური საარჩევნო ორგანოს მიერ, პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე. მანდატების განაწილებაში მონაწილეობენ მხოლოდ ის პარტიები, რომლებიც დააგროვებენ ხმათა 4%-ს მთელი ქვეყნის მასშტაბით, ან 12%-ს რომელიმე საარჩევნო ოლქის ფარგლებში. თავდაპირველად საარჩევნო ოლქებში ნაწილდება 310 მანდატი შემდეგი პრინციპით: ყოველ საარჩევნო ოლქში პარტიების მიერ მიღებული ხმები იყოფა 1, 4-ზე. პირველი მანდატი გადაეცემა უდიდესი რიცხვის მქონე პარტიას. პარტიის ხმები შემდეგ იყოფა რიცხვზე, რომელიც ერთით მეტია პარტიის მიერ მიღებული მანდატების ორმაგ რაოდენობაზე. ყოველი გაყოფის შემდეგ მორიგი მანდატი გადაეცემა უდიდესი რიცხვის მქონე პარტიას და ასე მანამდე, ვიდრე არ განაწილდება მოცემული საარჩევნო ოლქის ყველა მანდატი. ამის შემდეგ ცენტრალური საარჩევნო ორგანო ანაწილებს დარჩენილ, ე.წ. „გამათანაბრებელ“ ან „გამანონანსრებელ“ 39 მანდატს. მანდატების განაწილება ხდება ისეთივე წესით, როგორითაც საარჩევნო ოლქებში, იმ განსხვავებით, რომ მხედველობაში მიიღება მხოლოდ საარჩევნო ოლქებში ნაშთის სახით დარჩენილი ხმების რაოდენობა, ხოლო საარჩევნო ოლქად მოიაზრება შედეგთის სახელმწიფო მთლიანობაში.

საარჩევნო ოლქში პარტიის მიერ მოპოვებული მანდატები ნაწილდება ოლქში წარმოდგენილ საარჩევნო სიაში კანდიტატთა რიგითობის მიხედვით. შედეგთში მოქმედებს პრეფერენციების სისტემა, როდესაც ამომრჩეველს შეუძლია, საარჩევნო ბიულეტენში სპეციალური აღნიშვნით უპირატესობა მიაწიქოს სასურველ კანდიდატს, იმავე პარტიულ სიაში წარმოდგენილ სხვა პირებთან შედარებით. თუმცა, აღნიშნული წესი საეალდებულო არ არის, და ყველა ბიულეტენი, პრეფერენციული შენიშვნის გარეშე, ეთვლება შესაბამის პარტიულ სიაში პირველ ნომრად წარმოდგენილ კანდიდატს.

შედეგთში დეპუტატის შეუთავსებლობის საკითხი საერთოდ არ დგება, მაგრამ თუ დეპუტატი თავად გადადგება, ცენტრალური საარჩევნო ორგანო ყოველი დეპუტატისთვის იმავე პარტიული სიიდან განსაზღვრავს არანაკლებ სამი მოადგილის ვინაობას, რომლებიც დადგენილი თანამიმდევრობით ცვლიან დეპუტატს რიქსდაგში. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი ვერ გახდება პირი, რომელსაც უკავია ლენის გუბერნატორის, გამგეობის განყოფილების გამგის და კანონით განსაზღვრული სხვა მაღალი თანამდებობები აღმა-

სრულბელ ხელისუფლებაში. კომუნის რწმუნებულთა კრება, ისევე როგორც ლანდსტინგები აირჩევა 4 წლით, რიქსდაგთან ერთდროულად.

**სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები.** შვედეთი მონარქიული ქვეყანაა, სახელმწიფოს ნომინალური მეთაურით სათავეში. აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს სახელმწიფოს ფაქტობრივი მმართველი – პრემიერ-მინისტრი და მთავრობა, რომელიც ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი და საკანონმდებლო ორგანოს – რიქსდაგის წინაშე. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისგან დამოუკიდებლად არსებობს სასამართლო ხელისუფლება.

**გვირგვინის ხელისუფლების დახასიათებისას** დებულება: „მეფე ერის სიმბოლოა“, სულაც არ ნიშნავს, რომ მეფეს მხოლოდ ნომინალური ფუნქციები აქვს. თუნდაც ის ფაქტი, რომ ერთი პიროვნება, რომელსაც არა აქვს პოლიტიკური ინტერესები, შეიძლება იყოს ეროვნული ერთიანობის სიმბოლო, მნიშვნელოვნად განამტკიცებს ქვეყნის სტაბილურობას. ამიტომაც, რომ პოლიტიკური მიმომხილველები შვედეთის მიღწევებს პოლიტიკასა და ეკონომიკაში, უფრო მონარქის დამსახურებად მიიჩნევენ, ვიდრე სოციალისტური მთავრობისა.

**ტახტის მემკვიდრეობის** წესი შვედეთში განისაზღვრება საპეციალური აქტით, რომელიც კონსტიტუციური ძირითადი კანონების პაკეტის ნაწილია. ადრე კანონი ითვალისწინებდა მემკვიდრეობის სალიკურ სისტემას, რომლითაც მეფის ქალიშვილებს ჩამორთმეული ჰქონდათ ტახტის დაკავების უფლება, მაგრამ 1979 წლის კონსტიტუციური ცვლილებებით, ტახტის მემკვიდრეობის უფლება მიიღო მონარქის მდებრობითი ხაზის შთამომავლობამაც. ტახტის დაკავების უფლებით სარგებლობს მხოლოდ სრულწლოვანი უფროსი შვილი, რომელიც აღიარებს ევანგელისტურ რელიგიას. თუ ტახტის მემკვიდრე არასრულწლოვანია, მაშინ რიქსდაგი ნიშნავს რეგენტთა საბჭოს, რეგენტის და მისი მოადგილეების შემადგენლობით. სახელმწიფოს მეთაურის მოვალეობათა შესრულებისას, რეგენტზე ვრცელდება მეფის ყველა პრივილეგია. მეფეს და მის მემკვიდრეს შეზღუდული აქვთ აგრეთვე, ქვეყნის გარეთ მოგზაურობის უფლება 6 თვემდე ვადით, ხოლო მონარქის ქორწინებას თანხმობა უნდა მისცეს რიქსდაგმა.

**მეფისა და რიქსდაგის ურთიერთობა** განისაზღვრება პარლამენტური მონარქიის თავისებურებებით. ამასთან, თუ ევროპული მონარქიების უმრავლესობა მეფეს ფორმალურად უტოვებს პოლიტიკურ უფლებებს, შვედეთში მონარქის ნომინალური სახელმწიფოებრივი სტატუსი კონსტიტუციითაა აღიარებული. თუ ადრე მეფე სარგებლობდა საკანონმდებლო ინიციატივის და აბსოლუტური ვეტოს უფლებით, 1974 წლის „მმართველობის ფორმით“ მეფე საერთოდ გამიჯნულია საკანონმდებლო საქმიანობისგან, ვინაიდან კანონპროექტები პარლამენტში შეაქვს უშუალოდ მთავრობას, ხოლო პრომულგირებას რიქსდაგის თავმჯდომარე – ტალმანი ახდენს და ისიც მონარქის თანხმობის გარეშე.

ახალი კანონით, მეფისგან დამოუკიდებლობა მოიპოვა მთავრობამაც. მონარქი აღარ მონაწილეობს მინისტრების დანიშვნაში. მიუხედავად ამისა, მთავრობა ვალდებულია მიანოდოს მას ინფორმაცია ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარების შესახებ, ხოლო ყოველ კვარტალში ერთხელ მეფე თავმჯდომარეობს სახელმწიფო საბჭოს სხდომებს. შემორჩენილია დუალი-სტორი მონარქიის რამდენიმე სხვა თავისებურებაც, იგულისხმება მთავარს-არდლის უფლებამოსილება, რომელსაც მეფე ახორციელებს მთავრობის საშუალებით და უცხოელი ელჩების აკრედიტაცია.

კანონით მეფე ხელშეუხებელია. „მმართველობის ფორმის“ მე-5 თავის მე-7 პარაგრაფის მიხედვით, მეფე თავისი მოქმედებებისთვის პასუხს არ აგებს. იგივე ნორმა ვრცელდება რეგენტზეც. იმ შემთხვევაში, როცა მეფეს ავადმყოფობის, მოგზაურობის ან სხვა რაიმე მიზეზით, 6 თვის მანძილზე არ შეუძლია სახელმწიფოს მეთაურის მოვალეობების შესრულება, მთავრობამ, ამის თაობაზე უნდა განუცხადოს რიქსდაგს, რომელიც წვეცტს, ითვლება თუ არა მეფე გადამდგარად. მემკვიდრეობის შესახებ კანონით დადგენილი წესით, როგორც რეგენტი, მის მოვალეობას ასრულებს სამეფო დინასტიის მემკვიდრე, თუ ამას რაიმე არ ეწინააღმდეგება. ასეთ შემთხვევაში რეგენტის მოვალეობას ასრულებს ტალმანი, მისი არყოფნისას კი ვიცე-ტალმანი. მაგრამ თუ სამეფო დინასტია აღარ იარსებებს, რიქსდაგი სახელმწიფოს მეთაურის მოვალეობათა შესასრულებლად ნიშნავს რეგენტს და, ერთდროულად, მის მოადგილეს, შეუძლია დროებით, რეგენტის მოვალეობა დაედალოს ტალმანს, ან ვიცე-ტალმანს.

საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის რიქსდაგს – განუსაზღვრელი კომპეტენციის პარლამენტს, რომელიც 349 რიქსდაგმენს აერთიანებს. იგი ერთი უძველესი პარლამენტია, ვინაიდან 1435 წლიდან ფუნქციონირებს.

რიქსდაგის ძირითადი ფუნქციებია კანონმდებლობა, ფინანსური უფლებების განხორციელება, ურთიერთობა მთავრობასთან, რომელიც რიქსდაგის მიერ იქმნება და თავისი მოვალეობის აღსრულებას მისი დასტურის შემდეგ იწყებს. მინისტრები პასუხისმგებელნი არიან პარლამენტის წინაშე. შვედეთში საპარლამენტო კონტროლის ყველაზე ქმედითი ფორმა – მთავრობის წევრთა იმპიჩმენტია. ამასთან, ფუნქციონირებს დეპუტატის მარტივი შეკითხვა და ინტერპელაცია. მთავრობის საქმიანობის შესახებ ანგარიში შეიტანება რიქსდაგის ყოველი სესიის დღის წესრიგში, რომელმაც შეიძლება დებატები გამოიწვიოს.

რიქსდაგის საკონტროლო ფუნქციებს ასრულებენ მისი მუდმივი კომიტეტები. კონტროლის სფეროში განსაკუთრებულ როლს ასრულებს საკონსტიტუციო კომიტეტი, რომელიც ამონმებს მთავრობის საქმიანობის შესაბამისობას კონსტიტუციასთან და ნელინადმი ერთხელ რიქსდაგში წარადგენს მოხსენებას მთავრობის პოლიტიკის შეფასებით. თუ მოხსენებაში დაფიქსირდება ქმედებათა არასაკონსტიტუციურობის ფაქტები, შეიძლება დადგეს მთავრობის წევრის სასამართლო ან პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი.

რიქსდაგში მუდმივი კომიტეტები იქმნება ფრაქციების პროპორციული წარმომადგენლობისა და სპეციალიზაციის პრინციპით, რომელიც ემთხვევა ცენტრალური აღმასრულებელი ორგანოების სტრუქტურას გამსხვილებული სფეროების მიხედვით. მუდმივი კომიტეტების გარდა რიქსდაგში იქმნება საგამოძიებო დროებითი კომიტეტები. აქვე ფუნქციონირებს ფინანსური კონტროლის სპეციალური ორგანო – ეროვნული სესხის სამმართველო, რომელსაც ხელმძღვანელობენ პარლამენტის მიერ დანიშნული კომისრები.

შვედეთის კანონმდებლობა განსაზღვრავს რიქსდაგის წევრის სამართლებრივ მდგომარეობას. კანონი მას ანიჭებს პოლიტიკურ თავისუფლებას, იმ თვალსაზრისით, რომ რიქსდაგსმენი ითვლება არა რომელიმე საარჩევნო ოლქის, არამედ მთელი ხალხის წარმომადგენლად. ყოველ რიქსდაგსმენს ჰყავს რამდენიმე მოადგილე, რაც მისი გადადგომის, დეპუტატის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობის დაკავების შემთხვევაში გამორიცხავს დამატებითი არჩევნების მონაწილეობას, ვინაიდან მის ადგილს, კანონით დადგენილი წესით, რომელიმე მოადგილე დაიკავებს.

რიქსდაგის წევრები სარგებლობენ სადეპუტატო იმუნიტეტით, რომლის მოხსნაც შეუძლია მხოლოდ რიქსდაგს ხმათა 5/6-ით და ისიც საკონსტიტუციო კომიტეტის დასკვნის საფუძველზე, თუ რიქსდაგის წევრს ბრალი ედება დანაშაულის ჩადენაში. რიქსდაგის წევრების მიმართ დისციპლინური უფლებები აქვს პარლამენტის თავმჯდომარეს – ტალმანს, რომელიც თვალყურს ადევნებს სესიების დროს რიქსდაგსმენების მიერ ეთიკური ნორმების დაცვას.

რიქსდაგის მუშაობაზე სერიოზულ გავლენას ახდენენ საპარლამენტო ფრაქციები, ანუ როგორც მათ შვედეთში უწოდებენ, რიქსდაგის ჯგუფები. საპარლამენტო ჯგუფის მუშაობას ხელმძღვანელობს რწმუნებულთა საბჭო ან აღმასრულებელი კომიტეტი 10-12 დეპუტატის შემადგენლობით. საპარლამენტო ჯგუფის სათავეში დგას თავმჯდომარე ან ლიდერი, რომელიც, იმავდროულად, პარტიის ხელმძღვანელიცაა.

პარლამენტის საქმიანობის კოორდინაციას ახორციელებს თავმჯდომარე – ტალმანი და მისი სამი მოადგილე, რომელთაც ახლად შექმნილი რიქსდაგის პირველსავე სხდომაზე ირჩევენ. ტალმანი ხელმძღვანელობს რიქსდაგის მთელი შემადგენლობის შეკრებას, ე.წ. პალატის სხდომებს და წარმოადგენს მას ქვეყნის შიგნით და საგარეო ურთიერთობებში. ტალმანი, რიქსდაგის სხდომის მიმდინარეობისას ითვლება ნეიტრალურ პოლიტიკურ ფიგურად: იგი არ მონაწილეობს დებატებსა და კენჭისყრაში. ამ ფუნქციებს, ტალმანის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის პირობებში, ახორციელებს მისი ერთ-ერთი მოადგილე ვიცე-ტალმანი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იგი არ ერთვება დებატებში, მაგრამ მონაწილეობს კენჭისყრაში.

რიქსდაგის ხელმძღვანელ კოლეგიალურ ორგანოს წარმომადგენს ტალმანის კონფერენცია, რომელშიც თანამდებობის მიხედვით შედიან: ტალმანი,

ვიცე-ტალმანები, ფრაქციების წარმომადგენლები, მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარეები და ადმინისტრაციული კანტორის ვიცე-თავმჯდომარე, ვინაიდან თავმჯდომარე თავად ტალმანია.

რიქსდაგის სესიები ტარდება მთელი წლის მანძილზე, ზაფხულის და საშობაო არდადეგებით. ახლად არჩეული პარლამენტი იკრიბება წინა პარლამენტის ტალმანის მიერ, არჩევნების ჩატარების მე-15 დღეს, მაგრამ არა უგვიანეს არჩევნების შედეგის ოფიციალურად გამოცხადების მეოთხე დღისა. ამის შემდეგ, რეგლამენტით განსაზღვრულ ჩარჩოებში, რიქსდაგი თავად განსაზღვრავს სხდომების მონვევის თარიღს. ამიტომ ყოველი შემდგომი სესია იკრიბება რიქსდაგის წინა სესიაზე დათქმულ დროს: როგორც წესი, პირველი სესია იხსნება 10 იანვარს და იხურება 31 მაისისა და 15 ივნისის შუალედში, ხოლო მეორე სესია გრძელდება 15 ოქტომბრიდან 15 დეკემბრამდე. რიქსდაგის საგანგებო სესია შეიძლება მოიწვიოს ტალმანმა საკუთარი ინიციატივით, მთავრობის ან 150 რიქსდაგსმენის მოთხოვნით, მოთხოვნიდან 20 დღის განმავლობაში. საგანგებო სესია განიხილავს მხოლოდ იმ საკითხებს, რომელიც სესიის მონვევასთან დაკავშირებით შედგენილი დღის წესრიგით არის გათვალისწინებული. რიქსდაგის სხდომები საჯაროა, მაგრამ საჭიროებისას, იგი შეიძლება დაიხუროს.

მას შემდეგ, რაც დადასტურდება დეპუტატთა უფლებამოსილება და აირჩევენ საპარლამენტო ორგანოებს, ხდება რიქსდაგის სესიის ოფიციალური, საზეიმო გახსნა, მეფე აცხადებს სესიას გახსნილად, ხოლო მთავრობის განცხადებით გამოდის პრემიერ-მინისტრი.

რიქსდაგის საქმიანობის წესი, სხვადასხვა საკითხის განხილვის დროს, განსხვავებულია. რიქსდაგის, როგორც საკანონმდებლო ხელისუფლების, საქმიანობაში მთავარი ადგილი უკავია საკანონმდებლო პროცესს, რომელიც საკმაოდ რთულია პროცედურულად და ოთხი ეტაპისგან შედგება, როგორცაა საკანონმდებლო ინიციატივა, კანონპროექტის შეტანა, განხილვა, მიღება და გამოქვეყნება.

შვედეთში განასხვავებენ საკანონმდებლო ინიციატივის ორ ძირითად სახეს: დეპუტატთა წინადადებებს და მთავრობის წინადადებებს. საპარლამენტო ინიციატივა შეიძლება გამოიხატოს დეპუტატის, ფრაქციის, ან მუდმივი კომიტეტის წინადადებაში. ასეთი წინადადებები, სამთავრობო ბილგისგან განსხვავებით, აუცილებელი არ არის ჩამოყალიბდეს კანონპროექტის სახით და შეიძლება წარმოადგენდეს შენიშვნას რიქსდაგში წარმოდგენილ ნებისმიერ კანონპროექტზე. სწორედ ამის გამო შვედეთის თავისებურებას წარმოადგენს რიქსდაგის საპარლამენტო ინიციატივის უპირატესი როლი.

შვედეთის კანონმდებლობით, არ არის დანესებული დეპუტატთა ევორუმი, რომელიც უფლებამოსილია გადაწყვიტოს საკითხი. იმისათვის, რომ ამ ნორმამ არ დაარღვიოს პოლიტიკური ბალანსი პარლამენტში, პარტიები შეთანხმდნენ, რომ თუ რომელიმე ფრაქციის წევრთა გარკვეული ნაწილი არ ესწრება პლენარულ სხდომას, მაშინ დანარჩენი ფრაქციების წევრებიც, შეს-

აბამისი პროპორციით, არ ლებულობენ მონაწილეობას კენჭისყრაში. ხმათა განონანსორების ასეთ სისტემას, რიქსდაგი განსაკუთრებული მნიშვნელობის კანონპროექტების განხილვის დროს იყენებს.

მიმდინარე კანონებს რიქსდაგი ხმათა უბრალო უმრავლესობით ლებულობს. ხოლო კონსტიტუციური კანონის შეღებას დეპუტატთა კვალიფიციური უმრავლესობის მხარდაჭერა სჭირდება. ამასთან, კონსტიტუციური კანონის მიმართ მოქმედებს, ე.წ. ორმაგი ვოტუმის მექანიზმი, როდესაც იგი მხოლოდ მას შემდეგ შევა ძალაში, როცა მას იმავე რედაქციით და იმავე პროცედურით, ახლად არჩეული რიქსდაგი პირველივე კენჭისყრის შედეგად დაამტკიცებს. რიქსდაგის შესახებ აქტი შეიძლება მიღებულ იქნეს ერთი კენჭისყრით, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრეთა 3/4, მაგრამ საერთო შემადგენლობის არანაკლებ ნახევარი. ამ აქტის დამატებით დებულებებში, რომელიც ჩამოყალიბებულია რეგლამენტში, ცვლილებები შეიტანება მიმდინარე კანონისთვის დადგენილი პროცედურით.

კენჭისყრის დროს პალატის კლერკი კითხულობს მხოლოდ კანონპროექტის ტექსტს. დეპუტატები ადგილიდან წამოიძახებენ „კი“, ან „არა“ და ტალმანი, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, სმენით განსაზღვრავს მომხრეთა და მონიშნულმდეგეთა ხმების თანაფარდობას, საჯაროდ აცხადებს შედეგს, რასაც ჩაქუჩის დარტყმით ადასტურებს. მაგრამ თუ საქმე ეხება კონსტიტუციურ კანონს, თუ ტალმანი დაეჭვდება გადანყვეტილების სისწორეში, ან თუ ამას მოითხოვს დეპუტატი, განსხვავებული წესით იმართება ხელახალი ხმის მიცემა: ტალმანის მოთხოვნის შემდეგ ჯერ ადგებიან ის დეპუტატები, რომლებიც მხარს უჭერენ კანონპროექტს, შემდეგ მონიშნულმდეგები და ბოლოს, დეპუტატები, რომლებმაც თავი შეიკავეს. კენჭისყრის პროცესში გამოიყენება ასევე ელექტრონული ტექნიკა. რიქსდაგში ორიგინალური ინსტიტუტი გამოიყენება ხმების გაყოფის შემთხვევაში: თავდაპირველად კანონპროექტი უკან უბრუნდება შესაბამის მუდმივ კომიტეტს, მაგრამ მეორე კენჭისყრის დროსაც ხმების თანაბრად გაყოფისას კანონის მიღების საკითხი წყდება ნილისყრით, რომელიც დაუყოვნებლივ იმართება.

მთავრობა აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი რგოლია და ფართო პოლიტიკური კომპეტენცია გააჩნია. იგი განსაზღვრავს და წარმართავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის კურსს. მთავრობა თავის საქმიანობას უზრუნველყოფს ისეთი ნორმა-შეფარდებითი და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტების გამოცემის გზით, რომლებიც შეეხება კანონთა შესრულების წესს და იმ საკითხებს, რომელიც არ რეგულირდება რიქსდაგის მიერ მიღებული კანონებით. მმართველობის შესაბამის სფეროებსა და დარგებში კანონქვემდებარე აქტების გამოცემის უფლებით სარგებლობენ ცალკეული სამინისტროები და ქვეყნის სხვა ცენტრალური უწყებები. ამასთან, „მმართველობის ფორმის“ თავი „კანონები და განანესები“ განსაზღვრავს საკითხთა წრეს, რომელზეც რიქსდაგს შეუძლია თავისი საკანონმდებლო უფლებების მთავრობისთვის გადაცემა, რიქსდაგში შემდგომი დამტკიცების გარეშე. ამას



გარდა მთავრობას თავად შეუძლია გარკვეული ზეგავლენა მოახდინოს რიქს-დაგის კანონმდებლობებზე და მათზე საკმაოდ აქტიურად იყენებს საკანონმდებლო ინიციატივის უფლებას და ყოველწლიურად ორასზე მეტ ბილს წარუდგენს რიქსდაგს.

ფართოა მთავრობის კომპეტენცია სახელმწიფო აპარატის ჩამოყალიბების საქმეში. თუ არ ჩავთვლით პრემიერ-მინისტრს, რომელსაც რიქსდაგი ირჩევს, აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა მაღალი თანამდებობის პირების შერჩევა-დანიშვნა და გათავისუფლება ერთპიროვნულად პრემიერ-მინისტრის კომპეტენციაა, რაზეც შემდეგ აცნობებს რიქსდაგს. სხვა არაპოლიტიკურ თანამდებობებს კვალიფიციური სპეციალისტებით აკომპლექტებს მთავრობა, მაგრამ ამ კატეგორიის სახელმწიფო მოხელეებს მტკიცედ იცავს კანონი და მათი გათავისუფლება მთავრობასაც არ შეუძლია, თუ არა მათი არამართლობიერი მოქმედების ან თანამდებობრივი შეუსაბამობის დამადასტურებელი შესაბამისი სასამართლო აქტი, ან თანამდებობისთვის დადგენილი ზღვრული ასაკი.

რაც შეეხება მთავრობის საგანგებო უფლებამოსილებას, ეროვნული უშიშროების დაცვის მოტივით, კონსტიტუციით განსაზღვრულ პირობებსა და ფარგლებში, იგი ითვალისწინებს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული კანონმდებლობის მოქმედების შეჩერებას. ომის მდგომარეობაში მთავრობას შეუძლია მიიღოს კანონის ძალის მქონე გადაწყვეტილებები, გარდა ისეთი აქტებისა, რომლებიც გამოიწვევენ ცვლილებებს კონსტიტუციაში, აქტში რიქსდაგის შესახებ და საარჩევნო კანონში. მთავრობა საერთო ხელმძღვანელობას უწევს შეიარაღებულ ძალებს. იურიდიულად, შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალია მეფე, მაგრამ ამ უფლებას რეალურად ფლობს პრემიერ-მინისტრი, თავდაცვის სამინისტროს საშუალებით, რომლის სტრუქტურაშიც შედის ყველა სამხედრო შენაერთი.

მთავრობის ფინანსური კომპეტენცია მნიშვნელოვნადაა შეზღუდული რიქსდაგის მიერ. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო სახსრები იმყოფება მთავრობის განკარგულებაში, მის ხარჯვაზე ქმედით კონტროლს ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლება: ერთი მხრივ, ბიუჯეტის შედგენისა და შესრულების კონტროლის, ხოლო, მეორე მხრივ, სხვადასხვა საკონტროლო ორგანოს მეშვეობით. მთავრობას არ შეუძლია რიქსდაგის ნებართვის გარეშე სესხის აღება. სამაგიეროდ, მეტად ფართოა მთავრობის სამეურნეო ფუნქციები. მთავრობა ლებულობს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროგრამებს, შეისყიდის კერძო კომპანიების აქციებს, გასცემს სახელმწიფო შეკვეთებს, ქმნის და ხელმძღვანელობს ეკონომიკის სახელმწიფო სექტორს.

მთავრობა საერთო ზედამხედველობას უწევს, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს და ახდენს მათი საქმიანობის კოორდინირებას. კონსტიტუციის მიხედვით, მას შეუძლია მოახდინოს მსჯავრდადებულთა შეწყალება, ხოლო განსაკუთრებული მიზეზების არსებობისას, შეწყვიტოს დანაშაულის გამოძიება, ან საქმის სასამართლო განხილვა.

შვედეთის მთავრობა უფლებამოსილია დაითხოვოს რიქსდაგი და დანიშნოს რიგგარეშე არჩევნები, არჩევნების გზით გადანყვიტოს მთავრობისა და რიქსდაგის უთანხმოებანი. მაგრამ, თუ მთავრობა მოსახლეობაში პოპულარობით არ სარგებლობს, იგი თავს არიდებს არჩევნების დანიშვნას და უნდობლობის ვოტუმის გამოცხადებას ფორმალური რეორგანიზაციით უპასუხებს. მთავრობისა და პარლამენტის ურთიერთობაზე ზეგავლენას ახდენს კაბინეტის შემადგენლობაც, კერძოდ კი ის, თუ როგორია იგი – ერთპარტიული თუ კოალიციური. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, როცა მთავრობას არ გააჩნია პარლამენტში უმრავლესობის ფრაქცია, იგი მთლიანად რიქსდაგზე ხდება დამოკიდებული. თუმცა, ამ ქვეყნის ისტორიის მანძილზე რიქსდაგი სულ სამჯერ დაითხოვეს, ერთხელ XIX საუკუნის ბოლოს, შემდეგ კი 1914 და 1958 წლებში. თავის მხრივ, რიქსდაგმა სულ ორჯერ მიიღო გაციცხვის რეზოლუცია – 1980 და 1985 წლებში.

მთავრობა, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო, პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე, რაც გამოხატულებას პოულობს მთავრობის ფორმირების წესში. მხოლოდ ტალმანია უფლებამოსილი, წარადგინოს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურა რიქსდაგში. კაბინეტის გადადგომის შესახებ პრემიერ-მინისტრი აცნობებს ტალმანს, რომელიც ლეზულობს შესაბამის გადაწყვეტილებას, ავალებს მთავრობას, განაგრძოს თავისი ფუნქციების შესრულება. ტალმანი, მოადგილეებსა და ფრაქციების ლიდერებთან კონსულტაციების შემდეგ, პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას წარადგენს რიქსდაგში, თანაც მიუთითებს, თუ რომელი პარტიების წარმომადგენლები შევლენ მთავრობაში. ფრაქციები, დებატების გარეშე, კენჭისყრით აფიქსირებენ თავიანთ პოზიციას მოცემულ საკითხზე.

რიქსდაგში, პრემიერ-მინისტრის წარდგენიდან არა უგვიანეს ოთხი დღისა, იმართება ღია კენჭისყრა. თუ პარლამენტართა საერთო შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ხმას მისცემს წარდგენილი კანდიდატურის წინააღმდეგ, წინადადება უარყოფილად ითვლება, ყველა დანარჩენ შემთხვევაში, პრემიერ-მინისტრი ჩაითვლება არჩეულად, თუნდაც იგი კენჭისყრაში მონაწილეთა უმრავლესობამ უარყოს. აღნიშნული წესი, უმრავლესობის ლოიალობის შემთხვევაში, შესაძლებლობას იძლევა, ჩამოყალიბდეს უმცირესობის მთავრობა. პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის უარყოფის შემთხვევაში, ტალმანი ახალ კანდიდატურას წარადგენს, მაგრამ თუ რიქსდაგი ზედიზედ ოთხ კანდიდატურას ჩააგდებს, ტალმანი ნიშნავს რიგგარეშე არჩევნებს.

ახალდანიშნული პრემიერ-მინისტრი მოვალეა წარადგინოს რიქსდაგში მოხსენება მთავრობის პოლიტიკური კურსის შესახებ. ამავე მოხსენებაში შეიტანება ცნობა კაბინეტის ახალი ნივრების დანიშვნის თაობაზე. მთავრობის პოლიტიკური მოხსენების ირგვლივ რიქსდაგში რამდენიმე დღე მიმდინარეობს დებატები. ვითარება იმ შემთხვევაში რთულდება, როდესაც საკითხი კოალიციური მთავრობის რეორგანიზაციას შეეხება, რომლის შედეგადაც რომელიმე პარტიის წევრები კოლექტიურად ტოვებენ კაბინეტის შემადგენ-

ლობას. იმის გამო, რომ რიქსდაგი პრემიერ-მინისტრის დანიშვნის დროს მხედველობაში ლებულობს ტალმანის ინფორმაციას კაბინეტის პარტიული შემადგენლობის შესახებ, წინასწარ განსაზღვრული თანაფარდობის შეცვლის შემთხვევაში, მიღებული პრაქტიკის მიხედვით, მთავრობა უნდა გადადგეს. ამას გარდა, მთავრობის გადადგომა შეიძლება გამოიწვიოს რიქსდაგის მიერ უნდობლობის ვოტუმის გამოცხადებამ, მმართველი პარტიის, ან კოალიციის მიერ რიქსდაგში უმრავლესობის დაკარგვამ.

მთავრობის ფუნქციებს შეედეტში ახორციელებს ორი ერთმანეთთან დაკავშირებული ორგანო – მინისტრთა კაბინეტი და სახელმწიფო საბჭო. თუმცა აღმასრულებელ ხელისუფლებაში საბჭოს მონაწილეობა ძალიან ნომინალურია, უფრო სწორად, საპატიოა.

მინისტრთა კაბინეტი აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა, რომელიც შედგება პრემიერ-მინისტრის და მინისტრებისგან. კაბინეტი წარმართავს სახელმწიფოს პოლიტიკურ კურსს. სახელმწიფო საბჭოში კაბინეტის წევრების გარდა, შედიან მეფე და ტალმანი. 1974 წლის „მმართველობის ფორმით“, მათ ურთიერთობას მეტად ფორმალური სახე მიეცა: სახელმწიფო საბჭო იკრიბება კვარტალში ერთხელ და ცნობად ლებულობს ინფორმაციას კაბინეტის მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ.

მთავრობის სტრუქტურაში განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ასრულებს პრემიერ-მინისტრი. მის მდგომარეობას ერთპარტიული მთავრობის პირობებში კიდევ უფრო განამტკიცებს ის გარემოება, რომ იგი ითავსებს უმრავლესობის პარტიის თავმჯდომარის პოსტს. პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს მთავრობის პოლიტიკის ჩამოყალიბებას, განსაზღვრავს კაბინეტის სხდომის დღის წესრიგს, ხელს აწერს მთავრობის მიერ მიღებულ აქტებს და ა.შ.

პრემიერ-მინისტრის მიერ თავისი მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, თუ იგი თავად არ დანიშნავს საკუთარ შემცვლელს, მისი უფლებამოსილება გადაეცემა კაბინეტის ყველაზე სტაჟიან წევრს, ხოლო თუ ასეთი რამდენიმეა, მაშინ მათგან – უხუცესს. თუ პრემიერ-მინისტრი გამოაცხადებს გადადგომას, ეს ავტომატურად იწვევს მთავრობის გადადგომას. კონსტიტუციით მთავრობის უფლებამოსილების ვადა განსაზღვრული არ არის და იგი გრძელდება, ვიდრე არ დაკარგავს რიქსდაგის მხარდაჭერას.

აღმასრულებელი ხელისუფლების სისტემაში მმართველობის ძირითად რგოლს წარმოადგენს დეპარტამენტები, რომლებიც არაოფიციალურად სამინისტროებად იწოდება. სამინისტროს სათავეში დგას მინისტრი. მინისტრად შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელიც ბოლო ათი წლის მანძილზე შეედეტის მოქალაქეა. იგი არ შეიძლება ითავსებდეს სხვა თანამდებობას საზოგადოებრივ ან კერძო სტრუქტურაში და არ უნდა ენოვდეს სამეწარმეო საქმიანობას. კანონით ნებადართულია, რომ პრემიერ-მინისტრმა უშუალოდ უხელმძღვანელოს რომელიმე, უფრო ხშირად, თავდაცვის ან საგარეო საქმეების დეპარტამენტს, მაგრამ, როგორც წესი, სამინისტროს ცალკე თანამდებობის პირი

განაგებს. კანონის მიხედვით, შვედეთში მინისტრი განაგებს არა მთლიანად დარგს, არამედ მხოლოდ მისთვის დაქვემდებარებულ სამინისტროს სტრუქტურას, ხოლო იმავე დარგის სხვადასხვა სააგენტო, ბიურო და საბჭო მისგან დამოუკიდებელი არიან და უშუალოდ მთავრობას ექვემდებარებიან. მთავრობას შეუძლია თავისი უფლებების სამინისტროს გადასცეს, ასე რომ, შესაბამის საკითხზე მინისტრის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შემდგომში კაბინეტის მონონებს და დამტკიცებას არ საჭიროებს.

შვედეთში არსებობს ე.წ. უპორტფელო მინისტრის ინსტიტუტი. იგი, როგორც წესი, სხვა მინისტრის დამხმარეა, მოცემულ სამინისტროში კონკრეტულ უბანზე აგებს პასუხს და მდგომარეობით მინისტრის მოადგილის სტატუსს უახლოვდება, მაგრამ ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, უპორტფელო მინისტრს კაბინეტში ჩვეულებრივი მინისტრის თანაბარი ხმა აქვს.

აღმასრულებელი ხელისუფლების სისტემა, სამთავრობო უწყების გარდა, მოიცავს იურიდიულად დამოუკიდებელ ორგანიზაციებს, როგორცაა სააგენტო, საბჭო, ცენტრი, კორპორაცია და ა.შ. გარდა მუდმივი და კანონით განსაზღვრული ორგანოებისა, მთავრობის სტრუქტურა ქმნის სხვადასხვა სახის დროებით კომისიას, რომლებიც იქმნება ერთი რომელიმე კონკრეტული საკითხის განსახილველად.

**სასამართლო ხელისუფლება.** შვედეთის საერთო სასამართლოების სისტემის სათავეში დგას უმაღლესი სასამართლო. იგი შედგება 22 მოსამართლისგან, რომელთაგან ერთ-ერთს მთავრობა ნიშნავს თავმჯდომარედ. უმაღლესი სასამართლო შედგება სამი განყოფილებისგან, სადაც საქმეებს განიხილავს ხუთიდან შეიქმნევენ მოსამართლე.

უმაღლესი სასამართლოს მთავარი ფუნქციაა სააპელაციო სასამართლოების განაჩენება და გადაწყვეტილებებზე საჩივრების განხილვა, მას შეუძლია საქმე განსახილველად მიიღოს როგორც იურიდიული კვალიფიკაციის, ისე მტკიცებულებების შეფასებასთან დაკავშირებით. ამასთან, საკითხს, ამა თუ იმ საქმის განსახილველად მიღების შესახებ, წინასწარ განიხილავს სამი მოსამართლის კოლეგია, ცალკეულ შემთხვევებში – ერთი მოსამართლე. ისინი უპირატესობას ანიჭებენ საქმეებს, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ საერთო-ეროვნული სასამართლო პრაქტიკის თვალსაზრისით. პირველი ინსტანციით უმაღლესი სასამართლო განიხილავს მინისტრების და სხვა მაღალი თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის საკითხს თანამდებობრივ დარღვევებთან დაკავშირებით. როდესაც საქმე ეხება სამართლის პრინციპებს, ან კანონის განმარტებას, მას უმაღლესი სასამართლოს პლენუმი იხილავს.

სასამართლო სისტემის შემდეგ რგოლს წარმოადგენს ტერიტორიული პრინციპით შექმნილი 6 სააპელაციო სასამართლო. თითოეული მათგანის სათავეში დგას პრეზიდენტი, სასამართლო იყოფა განყოფილებებად, რომელთაც ლაგმანები ხელმძღვანელობენ. განყოფილებებში ინიშნებიან რიგითი მოსამართლეები – როდმანები, რომელთაგან ერთ-ერთი ინიშნება

ლაგმანის მოადგილედ. სააპელაციო სასამართლო, 4 ან 5 მოსამართლის შემადგენლობით, განიხილავს საჩივრებს ქვემდგომი სასამართლოების განაჩენებსა და გადაწყვეტილებებზე. ამ დროს ხდება საქმის ხელახალი განხილვა არსებითად, ახალი მტკიცებულებებით. სააპელაციო სასამართლოები პირველი ინსტანციით განიხილავენ ზოგიერთი კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეს. იმ შემთხვევაში, თუ განსასჯელი ემუქრება უფრო მკაცრი სანქცია, ვიდრე ჯარიმა, მაშინ საქმის განხილვაში მონაწილეობს 3 ან 4 მოსამართლე და 2 ან 3 მსაჯული. საქმის წინასწარი მომზადება ევალება რომელიმე მოსამართლეს ან სასამართლოს კლერკს.

სასამართლო სისტემის ძირითად რგოლს წარმოადგენს ასამდე საოლქო, სასესიო სასამართლო, რომელთაც, აგრეთვე, ლაგმანი ხელმძღვანელობს. სასამართლოს შემადგენლობაში შედის სხვადასხვა რაოდენობის როდმანი. ქვეყანაში ყველაზე დიდ – სტოკჰოლმის სასამართლოში მათი რაოდენობა ასს აღემატება. თუ სასესიო სასამართლო იყოფა განყოფილებებად, მას ხელმძღვანელობს შეფ-როდმანი. სასესიო სასამართლოები პირველი ინსტანციით განიხილავენ სისხლის და სამოქალაქო სამართლის საქმეების აბსოლუტურ უმრავლესობას. სისხლის და საქორწინო-საოჯახო სამართლის საქმეებს განიხილავს 1 მოსამართლე და 5 მსაჯული, სამოქალაქო საქმეებს – 3 მოსამართლე. მოსამართლე ერთპიროვნულად განიხილავს მცირე მნიშვნელობის დანაშაულებს, რომელიც მხოლოდ ჯარიმით ისჯება და მართავს სამოქალაქო საქმეების მოსამზადებელ განხილვას.

მსაჯულებს 6 წლით ირჩევს კომუნალური კრება. სისხლის სამართლის საქმეზე მათი გადაწყვეტილება საბოლოოა, თუ მას ხმას მისცემს 5-დან 4 მსაჯული. წინააღმდეგ შემთხვევაში, გადაწყვეტილებას ღებულობს მოსამართლე. ხოლო იმ საქმეებზე, რომელიც ეხება ბექდვითი სიტყვის წინააღმდეგ დანაშაულს, მსაჯულთა უფლება შეზღუდულია. ისინი ღებულობენ მხოლოდ ვერდიქტს დამნაშავეობის თუ უდანაშაულობის შესახებ. სამოქალაქო საქმეებზე, შედარებით ნაკლები თანხის სარჩელებზე, გამარტივებული პროცედურაა: საქმეს განიხილავს 1 მოსამართლე, ადვოკატების გარეშე. შეედური კანონმდებლობით, დაშვებულია სამოქალაქო დავების განხილვა არბიტრების მიერ. ამ დროს მხარეები ნიშნავენ თითო არბიტრს, რომლებიც თავად ირჩევენ მესამეს. არბიტრაჟის გადაწყვეტილება საბოლოოა, თუმცა ფორმალური საფუძვლით, შესაძლებელია მისი გასაჩივრება საერთო სასამართლოში.

შვედეთში არსებობს ადმინისტრაციული იუსტიციის განვითარებულ სისტემას, რომელიც განიხილავს საჩივრებს სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოების ქმედებებზე. ამ დროს, მთავრობის მიერ კერძო პირებსა და კომპანიებთან დადებული ხელშეკრულებებიდან და ხელისუფლების ორგანოების მიერ მიყენებული ზიანიდან გამომდინარე, დავებს განიხილავს საერთო სასამართლო. ადმინისტრაციული იუსტიციის სისტემას სათავეში უდგას უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლო, რომელიც შედგება 21 წევრის-

გან, თავისი სტრუქტურით, ფორმირების წესით, პროცედურებით, იგი ახლოს დგას უმაღლეს სასამართლოსთან და ძირითადად განიხილავს საჩივრებს სააპელაციო ადმინისტრაციული სასამართლოების გადაწყვეტილებებზე, როცა ამას მიზანშეწონილად ჩათვლის შესაბამისი კოლეგია. საჩივრების ზოგიერთ კატეგორიას უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლო განიხილავს პირველი ინსტანციით.

შვედეთში 4 სააპელაციო ადმინისტრაციული სასამართლოა, რომლებიც თავიანთი სტატუსით, აგრეთვე, ახლოს დგანან საერთო სააპელაციო სასამართლოებთან. ისინი მეორე ინსტანციით განიხილავენ საჩივრებს ადმინისტრაციული იუსტიციის ძირეული რგოლის გადაწყვეტილებებზე და პირველი ინსტანციით – საჩივრებს ადმინისტრაციული ორგანოების აქტებზე, ხელფასისა და სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე. პროცესში მონაწილეობს 3 ან 4 მოსამართლე, ზოგიერთ შემთხვევაში, 3 მოსამართლე და 2 მსაჯული.

ამ სისტემის ძირეულ რგოლს წარმოადგენს ლენის ადმინისტრაციული სასამართლო, სადაც საქმეებს განიხილავს 1 მოსამართლე და 3 მსაჯული. მათ კომპეტენციაში შედის ავტომანქანის მართვის უფლების ჩამორთმევასთან, ყადაღის დადებასთან, ბავშვის ერთი მშობლისგან მეორე მშობლისთვის იძულებით გადაცემასა და სხვა ამგვარ საკითხებთან დაკავშირებული საქმეების განხილვა. ადმინისტრაციული სასამართლო განიხილავს, ასევე არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ სამართალდარღვევებს და იძულებითი ღონისძიებების განსაზღვრის საკითხს ნარკომანებისა და ალკოჰოლიკების მიმართ.

ამასთან, შვედეთში არსებობს სპეციალური: სამხედრო, საგადასახადო, მინის, კომერციული, სოციალური დაზღვევის და შრომითი დავების სასამართლოები. ეს უკანასკნელი პირველი და საბოლოო ინსტანციით განიხილავს შრომით დავებს, რომლებიც დაკავშირებულია კოლექტიური ხელშეკრულებების განმარტებასთან და მენარმესა და მშრომელს შორის წარმოქმნილ სხვა ურთიერთობებთან.

რაც შეეხება საკონსტიტუციო ზედამხედველობას, შვედეთში იგი კლასიკური გაგებით არ ფიქსირდება და არა იმდენად იმის გამო, რომ აქ არ არსებობს სპეციალური საკონსტიტუციო სასამართლო. საქმე ის არის, რომ საკონსტიტუციო ზედამხედველობის ინტერესი აქ უბრალოდ შეზღუდულია და საერთო სასამართლოების მიერ, მხოლოდ სასამართლო აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობის შეფასების გზით ხორციელდება.

მოსამართლედ, ცენტრალური მთავრობის მიერ ინიშნება მხოლოდ შვედეთის მოქალაქე, უმაღლესი იურიდიული განათლებით, რომელსაც ჩაბარებული აქვს კანონით გათვალისწინებული საკვალიფიკაციო გამოცდა. თანამდებობაზე დანიშვნის წინ მოსამართლე დებს ფიცს. მოსამართლეები თავის კარიერას, როგორც წესი, იწყებენ სასამართლოს კლერკის პოსტიდან.

შვედეთის სასამართლო სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უკავია იუსტიციის კანცლერს, რომელიც, იუსტიციის მინისტრისგან განსხვავებით,

არ შედის მთავრობაში, მაგრამ ექვემდებარება მას, თანამდებობრივი დანაშაულის ბრალდებით აღძრავს საქმეებს მოსამართლეებზე, მეთვალყურეობს პრესის თავისუფლების დაცვას, ზედამხედველობს ადვოკატებს და ა.შ. სისხლის სამართლის საქმეთა უმრავლესობას იძიებს პოლიცია, ხოლო მნიშვნელოვან საქმეებს – პროკურატურა. სასამართლოში ბრალდებას მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალმძღველი: უმაღლესი სასამართლოში ეს არის გენერალური პროკურორი, სააპელაციო სასამართლოში – ლენის პროკურორი, ხოლო სასესიო სასამართლოში – საოლქო პროკურორი.

ადგილობრივი მართვის ორგანიზაცია. ადგილობრივი ხელისუფლების ორგანიზაციასა და კომპეტენციას განსაზღვრავს შვედეთის სამეფოს 1977 წლის კომუნალური კანონი. ამ შემთხვევაში ტერმინი „კომუნა“ ლენებსაც გულისხმობს და ლენები კანონში იწოდება, როგორც ლანდსტინგ-კომუნები.

თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოები – ლენების ლანდსტინგები და კომუნების რწმუნებულთა კრებები აირჩევა რიქსდაგთან ერთად, 4 წლის ვადით. არჩევნებში მონაწილეობის უფლებით სარგებლობს 18 წლის ასაკს მიღწეული ადგილობრივი მცხოვრები, ვინც რეგისტრირებულია საექლესიო ნიგნში, ფლობს ამავე კომუნაში უძრავ ქონებას ან იხდის კომუნალურ გადასახადებს, ხოლო ლენებში – მასში შემავალი კომუნის მცხოვრები. არჩევნები ტარდება ისევე, როგორც რიქსდაგში, არჩევნების შესახებ 1972 წლის კანონის შესაბამისად. თვითმმართველობის ორგანოს დეპუტატებს ეძლევათ ჰონორარი თავისი საქმიანობისთვის, ასევე აუნაზღაურდებათ ფუნქციების განხორციელებისას განეული მოგზაურობისა და სხვა ხარჯები.

რწმუნებულთა კრების და ლანდსტინგის ყოველ წევრს აქვს ერთი ხმა. ამ ორგანოთა სხდომებში ხმის უფლების გარეშე მონაწილეობა შეუძლიათ: გამგეობის თავმჯდომარეს და მის მოადგილეებს, კომიტეტების თავმჯდომარეებს და მათ მოადგილეებს, გამგეობის წევრებს, თვითმმართველობის რევიზორებს და სხვა პირებს, რომლებსაც საგანგებოდ მოინვევენ.

რწმუნებულები და ლანდსტინგსმენები თავიანთი შემადგენლობიდან ირჩევენ თავმჯდომარეს და მის ერთ ან ორ მოადგილეს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში თავმჯდომარეს უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, ცვლის ასაკით უფროსი მოადგილე. თავმჯდომარე ხელმძღვანელობს კრებისა და ლანდსტინგის მუშაობას, პასუხს აგებს წესრიგის დაცვაზე, სხდომის დროს, უკიდურეს შემთხვევაში, შეუძლია ნებისმიერი პირი გააძევოს დარბაზიდან, ხოლო, უკიდურეს შემთხვევაში, საერთოდ დახუროს სხდომა.

თვითმმართველობის ორგანოები მუშაობენ თავად მათ მიერ მიღებული რეკლამენტის შესაბამისად, რომელშიც რეგულირდება შიდაორგანიზაციული საკითხები. რწმუნებულთა კრებები და ლანდსტინგები იკრიბება თავმჯდომარის, გამგეობის ან წევრთა V3-ის მოთხოვნით. ამასთან, ლანდსტინგმა წელიწადში 4 გეგმური სხდომა მაინც უნდა გამართოს. თვითმმართველობის ორგანოს სესიის შესახებ, თავმჯდომარე ადგილობრივ გაზეთებში, სესიამდე

არანაკლებ ერთი კვირით ადრე, აქვეყნებს შეტყობინებას, რომელშიც მითითებულია სესიის მოწვევის დრო და დღის წესრიგი.

რწმუნებულთა კრება და ლანდსტინგი უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ნევროთა ნახევარი მაინც. ამასთან, ინტერპელაციის საკითხების განხილვა შეიძლება კვირუმის გარეშეც. დელეგატი მონაწილეობას ვერ მიიღებს ისეთი საკითხის განხილვაში, რომელიც ეხება პირადად მის ან მისი მეუღლის, მშობლების, შვილების, და-ძმის და სხვა ახლობლების ინტერესებს.

თუ რწმუნებულთა კრება ან ლანდსტინგი არ მიიღებენ სპეციალურ გადანყვეტილებას სხდომის დახურვის შესახებ, მაშინ სხდომები ტარდება საჯაროდ. სხდომების დროს გამოთქმული ძირითადი მოსაზრებების და გადანყვეტილებების შესახებ დგება ოქმი. დელეგატებს შეუძლიათ მოითხოვონ ოქმში შენიშვნის გაკეთება. ყოველი სხდომის ოქმი ქვეყნდება პრესაში.

რწმუნებულთა კრებასა და ლანდსტინგში საკითხების შეტანის უფლებით სარგებლობენ: გამგეობა და კომიტეტები, რწმუნებულები და ლანდსტინგსმენები, ცენტრალური მთავრობა და სამინისტროები, თვითმმართველობის რევიზორები, სპეციალური მოსამზადებელი ორგანოები. სტოკჰოლმის რწმუნებულთა კრება განიხილავს, აგრეთვე, საქალაქო მრჩეველთა მიერ წარმოდგენილ წინადადებებს.

თვითმმართველობის ორგანოების მიერ განსახილველი ყველა საკითხი, აღმასრულებელი ორგანოების არჩევნების გარდა, წინასწარ მზადდება კომიტეტში ან მოსამზადებელი ფუნქციით აღჭურვილ სხვა ორგანოში. თუ საკითხს ამზადებს სხვა ორგანო, კომიტეტი იძლევა შესაბამის დასკვნას. საკითხის განხილვის შემდეგ ტარდება კენჭისყრა. თუ დელეგატები ვერ მიაღწევენ ერთსულოვნებას, კენჭისყრა ტარდება ისეთივე წესით, როგორც რიქს-დაგში. დელეგატების გადანყვეტილებით განსახილველ საკითხზე, ლენის ან კომუნის ფარგლებში, შეიძლება ჩატარდეს საკონსულტაციო რეფერენდუმი.

დელეგატებს შეუძლიათ ინტერპელაციის წესით მიმართონ რწმუნებულთა კრებისა და ლანდსტინგის წინაშე პასუხისმგებელ ნებისმიერი თანამდებობის პირს: გამგეობის თავმჯდომარეებს და ნევრებს, კომიტეტების თავმჯდომარეებს და ნევრებს, ხოლო სტოკჰოლმში – აგრეთვე საქალაქო მრჩეველებს.

ლენებსა და კომუნებში თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოს წარმოადგენენ გამგეობები, რომელთაც არანაკლებ ხუთი ნევრის შემადგენლობით ირჩევენ შესაბამისად ლანდსტინგი და რწმუნებულთა კრება, საკუთარი უფლებამოსილების ვადით, ხოლო სტოკჰოლმის კომუნაში გამგეობას ირჩევენ ყოველწლიურად.

მმართველობის ცალკეულ დარგებში აღმასრულებელ-განმკარგულებელი საქმიანობისთვის კომუნების კრების და ლანდსტინგების მიერ იქმნება სპეციალური კომიტეტები და დადგენილებით განისაზღვრება მათი კომპეტენციის ფარგლები. სტოკჰოლმის კომუნაში, სადაც თვითმმართველობის შედარებით განსხვავებული ფორმებია დანესებული, რწმუნებულთა კრება ირჩევს საქალაქო მრჩეველებს, რომლებიც ხელმძღვანელობენ დარგ-



ობრივი კომიტეტების საქმიანობას. კრებები და ლანდსტინგები მმართველობის ნევრთაგან ირჩევენ თავმჯდომარეს და ერთ ან ორ თანათავმჯდომარეს, რომლებიც ხელმძღვანელობენ თვითმმართველობის საქმიანობას.

შვედეთის კონსტიტუციური სამართლის განსაკუთრებული თავისებურებანია. შვედეთის სამეფო კონსტიტუციური მონარქიაა, მაგრამ მისთვის დამახასიათებელია ზოგიერთი ისეთი ფაქტურა, რომელსაც ვერ შეეხვდებით სხვა კონსტიტუციურ მონარქიებში. სწორედ მათი ერთობლიობა ქმნის შვედეთის სახელმწიფო სამართლის განსაკუთრებულ თავისებურებებს, რომელიც იმ პრინციპზეა დაფუძნებული, რომ იგი თავად ბევრი რამის პიონერია კონსტიტუციურ სამართალში და სხვათა პროგრესული იდეების მხარდაჭერითაც გამოირჩევა. საერთოდ კი, შვედეთში სამართლებრივი ურთიერთობების გამარტივების ტენდენცია შეიმჩნევა და ამას ქვემოთ კონკრეტული ფაქტებიც ადასტურებს:

– შვედეთის სახელმწიფოს მთავარი თავისებურება, ე.წ. „შვედური სოციალიზმი“, რომლის განსაკუთრებულობა იმით გამოიხატება, რომ ნახევრად ფეოდალური მონარქიის თანამედროვე დასავლური ტიპის ლიბერალურ დემოკრატიად გარდაქმნა სწორედ სოციალიზმის ფონზე განხორციელდა;

– შვედეთის კონსტიტუცია არ არის ერთიანი აქტი. იგი ოთხი კანონისგან შემდგარ პაკეტს წარმოადგენს. თავისებურია მისი რეგლამენტაციის სფეროც, კერძოდ, დეტალურ კონსტიტუციურ რეგულირებას ექვემდებარება ისეთი საკითხები, როგორიცაა ბჭვდვითი სიტყვის ან აზრის გამოხატვის თავისუფლება;

– ერთი განსაკუთრებული თავისებურება კონსტიტუციის გადასინჯვის მექანიზმთან არის დაკავშირებული, როცა ძირითად კანონში ცვლილებები ორმაგი ვოტუმის წესით მიიღება, რიქსდაგის ზედიზედ ორი მოწვევის შემადგენლობის მიერ;

– მეფეს ჩამორთმეული აქვს კანონის პრომულგირების უფლება, რიქსდაგის მიერ მიღებულ კანონს ხელს აწერს ტალმანი;

– შვედეთის კონსტიტუციური სამართალი ფართო მნიშვნელობით განიხილავს საკანონმდებლო ხელისუფლებას და საკუთრივ რიქსდაგთან ერთად მის ზოგიერთ კომეტეტსაც მიაკუთვნებს საკანონმდებლო აქტების მიღების უფლებას. კერძოდ, სესიებს შორის პერიოდში კანონის მიღების უფლებით სარგებლობენ რიქსდაგის საფინანსო და საგადასახადო კომიტეტები;

– შვედეთის კონსტიტუციური სამართალი თავისებური კლასიკაა, ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში, ვინაიდან ომბუდსმენის ინსტიტუტი, როგორც შვედური სამართლის ყველაზე პროგრესული გამოგონება, ამჟამად მსოფლიოს მრავალ ათეულ ქვეყანაში იცავს ადამიანის უფლებებს. თავად შვედეთში სპეციალიზაციის პრინციპიდან გამომდინარე, ომბუდსმენი იცავს ადამიანის უფლებებს მკაფიოდ გამოიწვეული კომპეტენციის ფარგლებში;

– სხვა ქვეყნების კანონმდებლობისგან განსხვავებით, სადაც საგანგებო პირობების ვითარებაში ადამიანის უფლებების შეზღუდვის პირობები

ბლანკეტურ ნორმებითაა დადგენილი, შვეციის კონსტიტუცია ადგენს შეზღუდვების კონკრეტულ ფაქტობრივ შემადგენლობას, რაც შეიძლება საფუძვლად დაედოს შესაბამის ღონისძიებებს, ისე, რომ ამ შეზღუდვებმა საფრთხე არ შეუქმნას დემოკრატიულ წყობილებას;

– შვედეთის საარჩევნო სამართალი დემოკრატიულობისა და თანასწორობის პრინციპებზე ორიენტაციის თვალთახედვით ერთი მნიშვნელოვანი განსაკუთრებულობაა. აქ ყველაფერი საოცრად გამარტივებულია, მოხსნილია ყოველგვარი შეზღუდვა და მხოლოდ ასაკობრივი ცენზია შენარჩუნებული;

– რიქსდაგის წევრებს რამდენიმე მოადგილე ჰყავთ, როგორც მონაცვლეები მისი სადეპუტატო ფუნქციების განხორციელებისას. თუ რიქსდაგსმენი ტოვებს დეპუტატობას, კანონით დადგენილი წესით, მის ადგილს ერთ-ერთი მოადგილე იკავებს;

– განსაკუთრებულია ტალმანის მნიშვნელობა ქვეყნის კონსტიტუციური სამართლის განხორციელებასთან დაკავშირებით, როგორც გარკვეული დამაბალანსებელი ფიგურა ხელისუფლების შტოთა განონასწორების თვალსაზრისით. ერთი მხრივ, იგი, როგორც რიქსდაგის თავმჯდომარე, ნეიტრალობას ინარჩუნებს სესიების წარმართვის დროს – არ მონაწილეობს საპარლამენტო დებატებსა და კენჭისყრაში, რათა ზეგავლენა არ მოახდინოს მის შედეგებზე. მეორე მხრივ, პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის დაუმტკიცებლობისას აღჭურვილია თავად რიქსდაგის დათხოვნის უფლებით. სხვათა შორის, ამ პოლიტიკურ „პარაკირის“ პროფილაქტიკური ფუნქცია აქვს და ჯერაც არ ყოფილა შემთხვევა, რომელიმე ტალმანს „მინ სასვლა“ მოესურვებინოს და ეს უფლება გამოეყენებინოს;

– მნიშვნელოვანი თავისებურებებით ხასიათდება საპარლამენტო პროცედურები. აქ კანონმდებლობით დანესებული არ არის გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ხმების კვორუმი. მაგრამ იმისთვის, რომ თავისუფალი დასწრების პირობებში პარლამენტში არ დაირღვეს პოლიტიკურ ძალთა ბალანსი, პარტიები შეთანხმდნენ, მნიშვნელოვანი კანონპროექტების მიღებისას, თუ რომელიმე ფრაქციის წევრთა ნაწილი არ ესწრება პლენარულ სხდომას, მაშინ დანარჩენი ფრაქციის წევრებიც შესაბამისი პროპორციის შესაბამისად მიიღებენ მონაწილეობას კენჭისყრაში;

– ზედმინეწით რეგლამენტირებულია დებატების გამართვის წესი, მაგრამ მისი განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ წუთებში განერილი პროცესის პირობებში, დეპუტატს, რომელიც წინააღმდეგობას გააჩენს ველელთა სიაში, შეუძლია დროის შეზღუდვის გარეშე ილაპარაკოს, ისე რომ, ტალმანიც ვერ შეწყვეტს მის გამოსვლას, თუ არა მხოლოდ თავად რიქსდაგი;

– თუ საერთოდ, საკანონმდებლო პროცესში უდიდესი მანილი სამთავრობო პროექტებს ეკუთვნის. შვედეთის თავისებურებას წარმოადგენს რიქსდაგის დღის წესრიგში საპარლამენტო ინიციატივის უპირატესი როლი, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ეს აქტივობა, ძირითადად, საკანონმდებლო

წინადადებების სახით შენიშვნების წილად მოდის და არა დამოუკიდებელ კანონპროექტებზე;

– განსაკუთრებული წესი გამოიყენება რიქსდაგში კენჭისყრის დროს ხმების თანაბარი გაყოფის პირობებში. თავდაპირველად, ასეთ შემთხვევაში კანონპროექტი უკან უბრუნდება შესაბამის მუდმივ კომიტეტს, მაგრამ მეორე კენჭისყრის დროსაც თუ ხმები თანაბრად გაიყო, კანონის საბოლოო მიღების საკითხი წყდება წილისყრით, რომელიც დაუყოვნებლივ იმართება;

– მთავრობის ფუნქციებს ორი ერთმანეთთან დაკავშირებული ორგანო – მინისტრთა კაბინეტი და სახელმწიფო საბჭო ასრულებს. ეს უკანასკნელი ნიშნავს მინისტრთა კაბინეტს დამატებული მეფე და ტალმანი. სახელმწიფო საბჭო ცნობად ლეზულობს კაბინეტის ინფორმაციას და ამტკიცებს მის გადაწყვეტილებებს განხილულ საკითხებზე. ასე რომ, საბჭოს ძალიან ფორმალური ფუნქცია აქისრია;

– შვედეთში განსხვავებულია მთავრობის ფორმირების წესიც. პრემიერ-მინისტრის ასარჩევად საკმარისია, რომ კანდიდატურის წინააღმდეგ ხმა არ მისცეს რიქსდაგის უმრავლესობამ, რაც უმცირესობის მთავრობის ჩამოყალიბების შესაძლებლობას ქმნის. გარდა ამისა, პრემიერ-მინისტრი ინიშნება არა პარლამენტის ან მონარქის, არამედ ტალმანის აქტით, რის შემდეგ პრემიერი ერთპიროვნულად ახდენს მთავრობის ფორმირებას;

– თავისებურია მთავრობის წევრთა ფუნქციური დატვირთვა. სამინისტროს სათავეში დგას მინისტრი, მაგრამ იგი განაგებს არა მთლიანდ დარგს, არამედ მხოლოდ სამინისტროს სტრუქტურას, ხოლო ამავე დარგის სააგენტოები, ბიუროები და საბჭოები მისგან დამოუკიდებელი არიან და პირდაპირ ექვემდებარებიან მთავრობას. კანონით ნებადართულია, რომ პრემიერ-მინისტრმა უხელმძღვანელოს რომელიმე, უფრო ხშირად თავდაცვის ან საგარეო საქმეთა დეპარტამენტს, მაგრამ, როგორც წესი, სამინისტროს ცალკე თანამდებობის პირი განაგებს;

– შვედეთის კონსტიტუციის ერთი არსებითი თავისებურება ის არის, რომ სახელმწიფოს ფუნქციონირების საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კონტროლის სისტემის ქმედითობას და ამდენად კონსტიტუციაში საკონტროლო ურთიერთობების დარეგულირებას ცალკე თავი – „საკონტროლო ხელისუფლება“ ეძღვნება;

– მიმდინარე კანონმდებლობის განმარტებაში დიდ როლს ასრულებს საკანონმდებლო საბჭოს დასკვნები, რომელიც შედგება უმაღლესი სასამართლოს და უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს წარმომადგენლებისგან.

საბოლოო დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, საკუთრივ შვედეთის კონსტიტუციური სამართლის თავისებურებათა განმაზოგადებელი თავისებურება ის არის, რომ იგი უფრო პროგრესულია, ვიდრე საერთოდ მიღებული სტანდარტული ინსტიტუტები. ამის დასტურად თუნდაც შვედეთის საარჩევნო სისტემა ან პარლამენტარიზმი გამოდგება. ყოველივე ეს კი განაპირობებს შვედეთის სამეფოს სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური სისტემის სტაბილურობას.

# შპიონაჟი

სავიზიტო ბარათი. შევიცარია დასავლეთ ევროპის ცენტრში მდებარე მაღალგანვითარებული სახელმწიფოა. ქვეყნის ტერიტორია 41ათას კმ<sup>2</sup>-ს სჭარბობს, მოსახლეობა 6,6 მილიონს აღემატება. შევიცარიას აღმოსავლეთით ესაზღვრება ავსტრია, ჩრდილოეთით – გერმანია, სამხრეთით – იტალია და დასავლეთით – საფრანგეთი. დედაქალაქია ბერნი, ფულის ერთეული — შვეიცარიული ფრანკი. კონსტიტუცია ერთმანეთისგან განასხვავებს ოფიციალურ ენებს, როგორადაც აღიარებულია გერმანული, იტალიური, ფრანგული, სახელმწიფო ენებისგან, რომელთაც რეტორომანული ენაც ემატება.

შვეიცარიული სამართალი კონტინენტური სამართლის ოჯახს განეკუთვნება, მაგრამ საერთო სამართლის მნიშვნელოვანი გავლენაც იგრძნობა. მოქმედი კონსტიტუციის ძალით, შვეიცარია ოფიციალურად კონფედერაციად იწოდება, მაგრამ, ფაქტობრივად, ფედერალური მოწყობის, ერთობ ორიგინალური საპარლამენტო რესპუბლიკაა.

საუკუნეების მიჯნაზე შვეიცარიის კონსტიტუციური სამართალი ორი ნოვაციით აღინიშნა: კანონმდებელმა პატივი მიაგო 1874 წელს მიღებულ კონსტიტუციას განეული სამსახურისთვის და ქვეყნის მოსახლეობის მიერ 1999 წლის 18 აპრილს რეფერენდუმით მიღებულ იქნა მოქმედი, რიგით მეხუთე კონსტიტუცია, რომელიც ძალაში 2000 წლის 1 იანვარს შევიდა; ამასთან, შვეიცარიის ტრადიციული ნეიტრალიტეტის პოზიცია, მოსახლეობის ხმათა უმრავლესობით, გაეროში გაერთიანების სურვილით შეიცვალა 2002 წელს შვეიცარია გაეროს 190-ე წევრი გახდა.

კონსტიტუცია მოკლე პრეამბულისაა და ნთავისგან შედგება და 196 მუხლს მოიცავს. პრეამბულა იწყება სიტყვებით – „ყოვლისშემძლე ღმერთის სახელით“ და მასში კონფედერაციის შექმნის მიზნებია განმარტებული.

თავი პირველი – „ზოგადი დებულებები“, ექვსი მუხლისგან შედგება: მოცემული ნორმები განამტკიცებენ კანტონთა სუვერენიტეტს, ადგენენ კონფედერაციის მოვალეობებს, განსაზღვრვენ ნაციონალური ენების სტატუსს და სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფციას.

მეორე თავი – „ძირითადი სამოქალაქო და სოციალური უფლებები“ სამი ქვეთავისგან შედგება, რომელთაგან პირველი, „ძირითადი უფლებები“, ადამიანის სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ, პოლიტიკურ და პირად უფლებათა ნუსხას შეიცავს; მეორე – მოქალაქეობასთან და პოლიტიკურ უფლებათა გამოყენებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს არეგულირებს, ხოლო მესამე ქვეთავში კონფედერაციის სოციალური მიზნებია ჩამოყალიბებული.

თავი მესამე – „კონფედერაცია, კანტონები და მუნიციპალიტეტები“ კონსტიტუციის ყველაზე მოცულობითი თავია და სამ ქვეთავად არის

1. შვეიცარიის კონსტიტუციის ინგლისური ტექსტი ამოღებულია ინტერნეტიდან ([www.loc.gov/law/guide/switzerland.html](http://www.loc.gov/law/guide/switzerland.html)) და თარგმნილია ჩვენს მიერ (დ.გ.)

სტრუქტურირებული. პირველი ქვეთავი, თავის მხრივ, სამ სექციად იყოფა და მასში განმტკიცებულია კონფედერაციასა და კანტონებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის საფუძვლები, ურთიერთთანამშრომლობის პრინციპები, მუნიციპალიტეტების სამართლებრივი სტატუსი; ათი სექციისაგან შემდგარი მეორე ქვეთავი, საკითხთა ისეთი რეგულაციონიდან წევს არეგულირებს, როგორცაა საჯარო ურთიერთობები, უშიშროება და თავდაცვა, განათლება, მეცნიერება და კულტურა, ენერგეტიკა და კომუნიკაციები, ეკონომიკა, საჯარო სამუშაოები და გადაზიდვები, ჯანმრთელობის დაცვა და ა.შ. ბიუჯეტსა და ფინანსებს ეხება მესამე ქვეთავი. მეოთხე თავი — „ხალხი და კანტონები“ არეგულირებს საარჩევნო უფლებების და სახალხო ინიციატივის რეალიზაციასთან, რეფერენდუმთან დაკავშირებულ საკითხებს.

მეხუთე თავი — „ფედერალური ხელისუფლება“ შესაბამის ქვეთავებში განიხილავს ფედერალურ პარლამენტს და მის პალატებს, პარლამენტის უფლებამოსილებებს; ფედერალურ მთავრობას; ფედერალურ კანცელარიას; ფედერალურ სასამართლოს, განსაზღვრავს ფედერალური ორგანოების ფორმირების წესსა და კომპეტენციას.

თავი მეექვსე ორი ქვეთავისგან შედგება, რომელთაგან პირველი კონსტიტუციის გადასინჯვის პროცედურას ეთმობა, ხოლო მეორე გარდამავალ დებულებებს მოიცავს. ძირითადი კანონის თანახმად, შესაძლებელია მისი სრული ან ნაწილობრივი გადასინჯვა. სრული გადასინჯვა, ანუ ახალი კონსტიტუციის მიღება შეიძლება განხორციელდეს ფედერალური პარლამენტის ერთ-ერთი პალატის ან 100 ათასი ამომრჩევლის ინიციატივით, ან შეიძლება დეკლარირებულ იქნეს ფედერალური პარლამენტის მიერ. წინადადებაზე უნდა ჩატარდეს რეფერენდუმი და თუ ამომრჩეველთა უმრავლესობა მხარს დაუჭერს აღნიშნულ წინადადებას, ინიშნება საპარლამენტო არჩევნები, რათა ახალმა პარლამენტმა შეიმუშაოს კონსტიტუციის პროექტი და გაიტანოს რეფერენდუმზე დასამტკიცებლად. ძირითადი კანონის მიღებისთვის საჭიროა ე. წ. ორმაგი უმრავლესობა: ქვეყნის მასშტაბით კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა უმრავლესობა და ფედერაციის სუბიექტების — კანტონთა უმრავლესობის მხარდაჭერა.

კონსტიტუციის ნაწილობრივი გადასინჯვა შეიძლება განხორციელდეს 100 ათასი ამომრჩევლის მოთხოვნით ან შეიძლება დეკლარირებულ იქნეს პარლამენტის მიერ. 1962 წელს კონსტიტუციის ჩარჩოებში მიღებული კანონი დეტალურად განსაზღვრავს სახალხო ინიციატივის განხორციელების წესს. ამ კანონის თანახმად, 100 ათასი ამომრჩევლის უფლება აქვს მოითხოვოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა. სახალხო საკანონმდებლო ინიციატივით შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც ზოგადი წინადადება, ისე კონკრეტული პროექტი. პირველ შემთხვევაში პარლამენტმა ორი წლის მანძილზე უნდა გადაწყვიტოს, იღებს თუ არა იგი ამ წინადადებას და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, რეფერენდუმზე გააქვს საკანონმდებლო წინადადების საფუძველზე შემუშავებული პროექტი, ხოლო

შემოსული წინადადების უარყოფისას საერთო - სახალხო კენჭისყრაზე დაისმება საკითხი ნაწილობრივი გადასინჯვის აუცილებლობის თაობაზე.

თუ სახალხო ინიციატივა გაფორმებულ პროექტში გამოიხატა, რომელსაც ფედერალური კრება მხარს უჭერს, პროექტი გააქვთ რეფერენდუმზე, ხოლო თუ პარლამენტი წარმოდგინდეს პროექტს არ ეთანხმება, მას შეუძლია რეკომენდაცია მისცეს ამომრჩევლებს მისი უარყოფის თაობაზე ან საერთო-სახალხო კენჭისყრაზე საკუთარი, ალტერნატიული კანონპროექტი წარადგინოს.

აღამიანის უფლებები და თავისუფლებები. კონსტიტუციის 38-ე მუხლმა მოქალაქეობასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება ფედერალური ორგანოების განსაკუთრებული გამგებლობის სფეროს განაკუთვნა. გაითვალისწინა რა ქვეყანაში არსებული მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები, კანონმდებელმა, ძირითადი კანონის 37-ე მუხლით, ერთმანეთისგან განასხვავა ფედერაციის, კანტონის და მუნიციპალიტეტის მოქალაქეობა, რომელთაგან უმნიშვნელოვანესად სწორედ ეს უკანასკნელი იქნა მიჩნეული, ვინაიდან კონსტიტუციის თანახმად მისი ფლობა ავტომატურად გულისხმობს მოქალაქეობის დანარჩენი ორი სახის ფლობასაც. თუმცა ქალაქის (მუნიციპალიტეტის) და კანტონის მოქალაქეობას პირი კარგავს მხოლოდ შვეიცარიის მოქალაქეობის დაკარგვისას. შვეიცარიის მოქალაქეობის მიღება ეფუძნება, ერთი მხრივ, „სისხლის უფლებს“ პრინციპს, რომლის თანახმად, თუ ბავშვის ორივე ან ერთ-ერთი მშობელი შვეიცარიის მოქალაქეა, იგი დაბადების ადგილის მიუხედავად, ავტომატურად ღებულობს შვეიცარიის მოქალაქეობას, მეორეს მხრივ, „ნიადაგის უფლების“ პრინციპს.

კონსტიტუციის 38-ე მუხლის თანახმად, მოქალაქეობის მოპოვება ხდება ქორწინებით და ნატურალიზაციით. ამასთან, ნატურალიზაცია კანტონში ან მუნიციპალიტეტში ხორციელდება, მაგრამ მისი განცხადება კანტონის მიერ ხდება მხოლოდ კონფედერაციის წინასწარი თანხმობის შემთხვევაში.

მოქალაქეობის დაკარგვის ძირითად საფუძვლად, მასზე უარის თქმა არის მიჩნეული, თუმცა იგი შეიძლება დაკარგულ იქნეს იმ შემთხვევაშიც, თუ პოტენციური შვეიცარიის მოქალაქე დაიბადა სხვა ქვეყანაში, აქვს მისი მოქალაქეობა და 22 წლამდე არ გამოუთქვამს შვეიცარიის მოქალაქედ დარჩენის სურვილი.

ერთ-ერთი თავისებურება შვეიცარიული კონსტიტუციონალიზმისა ის არის, რომ აღამიანის უფლებები და თავისუფლებები განსაზღვრულია როგორც შვეიცარიის კონფედერაციის, ასევე კანტონების კონსტიტუციებითა და კანონმდებლობით, რა თქმა უნდა, მეორე ჩანერილია პირველის პრინციპული კონტურების ფარგლებში.

ახალმა კონსტიტუციამ მნიშვნელოვნად გააფართოვა და პრეზენტაბელური გახადა კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლება-თავისუფლებების კატალოგი. ეკრძოდ, კონსტიტუციურ დონეზე იქნა განმტკიცებული ისეთი უმნიშვნელოვანესი უფლებები, როგორცაა: სიცოცხლის და პირადი

თავისუფლების უფლებები (მუხლი 10), აზრის და ინფორმაციის თავისუფლება (მუხლი 16), პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება (მუხლი 13), შემოქმედების თავისუფლება (მუხლი 21), მეკრების თავისუფლება, რეგი პროცესუალური უფლებები და ა.შ.

ადამიანის უფლება-თავისუფლებათა ამ ნუსხას ხსნის ძირითადი კანონის მე-7 მუხლი, რომელიც ხელშეუხებულ ღირებულებად აღიარებს ადამიანის ღირსებას, კანონის წინაშე თანასწორობაზე საუბარი კონსტიტუციის მე-8 მუხლში, ამასთან აქცენტი ქვესთა შორის თანასწორობაზე გაკეთებული, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იმის გათვალისწინებით იძენს, რომ შევიცარია დიდხანს რჩებოდა ერთადერთ ევროპულ სახელმწიფოდ, სადაც ქალებს ეკრძალებოდათ არჩევნებში მონაწილეობა და მხოლოდ 1971 წლის რეფერენდუმით იქნა აღდგენილი ეს დარღვეული თანასწორობა საარჩევნო სამართალში.

რწმენისა და სინდისის თავისუფლებას აღიარებს კონსტიტუციის მე-15 მუხლი, სადაც ხაზგასმულია, რომ დაუშვებელია სხვადასხვა რელიგიურ გაერთიანებებსა და ცერემონიებში მონაწილეობის, რელიგიური სწავლების იძულება. კონსტიტუციის 39-ე მუხლი ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს, რომ მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებები მხოლოდ ერთ კანტონში შეიძლება იქნეს რეალიზებული და ამ დებულებაში, ძირითადად, საარჩევნო უფლებები იგულისხმება. კონსტიტუციის 26-ე მუხლით აღიარებულია საკუთრების უფლება, ფედერალური და კანტონური კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, მისი ექსპროპრიაციის შესაძლებლობის დათქმით.

მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებთან ერთად, კონსტიტუცია, ცალკე ნორმებსა და უფლებრივ დათქმებთან ერთად, განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს მოქალაქეთა ვალდებულებებს. მოქალაქეთა ძირითად მოვალეობას წარმოადგენს სამხედრო სამსახური. პირები, რომლებიც თავისუფლდებიან ამ მოვალეობისგან, გადასახადის სახით განსაზღვრულ თანხას იხდიან.

ადამიანის უფლება-თავისუფლებათა დაცვის გარანტიებიდან კონსტიტუცია ითვალისწინებს პეტიციის უფლებას, როგორც კოლექტიური ინტერესების დაცვის საშუალებას და სასამართლოში, მათ შორის, ფედერალურ სასამართლოში მიმართვის უფლებას, როგორც ინდივიდუალური ინტერესების დაცვის საშუალებას. გარდა ამისა, კონსტიტუცია განამტკიცებს რიგ პროცესუალურ გარანტიებს, მათ შორის უდანაშაულობას პრეზუმფციას. რაც შეეხება ადამიანის უფლებათა დაცვის ისეთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუციურ გარანტიას, როგორცაა ომბუდსმენის ინსტიტუტი, ფედერალური კონსტიტუციით იგი გათვალისწინებული არ არის, თუმცა აქტიურად გამოიყენება რეგიონალურ და მმართველობის უფრო მაღალ დონეზეც.

პარტიული სისტემა. ქვეყანაში ფუნქციონირებს მრავალპარტიული სისტემა, სამი დომინირებული პარტიით:

– შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტია პოლიტიკურ ასპარეზზე 1870 წელს გამოჩნდა და დღესაც ერთი ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური ორგანიზაციაა ქვეყანაში, რომელსაც მუშა-მოსამსახურეთა დიდი ნაწილის, ინტელიგენციის, წვრილი და საშუალო მენარმეების სახით, მყარი დასაყრდენი აქვს მოსახლეობაში და 70 ათასამდე წევრს აერთიანებს. რაც შეეხება პარტიის იდეურ პროგრამას, იგი 1959 წელს იქნა მიღებული, რომელშიც უარი ითქვა მარქსისტულ იდეებზე და მიზნად დემოკრატიული სოციალიზმის მშენებლობა განისაზღვრა. ამჟამინდელი მდგომარეობით სოციალ-დემოკრატები ფედერალური კრების მანდატების 19%-ს ფლობენ და ამასთან, 1959 წლიდან მუდმივად ჰყავთ მთავრობაში ორი წარმომადგენელი.

– შვეიცარიის რადიკალ-დემოკრატიული პარტია 1848 წელს დაფუძნდა, თუმცა, საერთო - შვეიცარიულ პარტიად 1849 წლიდან გაფორმდა. მის ძირითად სოციალურ ბაზას წვრილი და საშუალო მენარმეები წარმოადგენენ. იგი სახელმწიფოს მიერ მსხვილი მონოპოლიების საქმიანობაზე კონტროლის და სოციალურ სფეროში რეფორმების განხორციელების აქტიური მონაწილეა, ხოლო საგარეო პოლიტიკაში, შვეიცარიის დასავლეთევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციას უჭერს მხარს. პარტია ითვისებს 120 ათასამდე წევრს და ფედერალური კრების მანდატთა 25%-ს ფლობს.

– შვეიცარიის ქრისტიან-დემოკრატიული პარტია 1970 წელს დაფუძნდა ვატიკანთან ტრადიციულად მჭიდრო ურთიერთობების ფონზე. ქრისტიან-დემოკრატები განსაკუთრებით დიდი გავლენით იმ პროვინციებში სარგებლობენ, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა კათოლიკეა. პარტიის სამინაო პოლიტიკური დოქტრინა, ძირითადად, სამხედრო ბიუჯეტის გაზრდაზე, მენარმეობის მხარდაჭერასა და სოციალურ სფეროში რეფორმების განხორციელებაზეა ორიენტირებული, ხოლო საგარეო პოლიტიკის პრობლემებზე ამ პარტიის პოზიცია რადიკალ-დემოკრატიულ შეხედულებებს ემთხვევა, იმ განსხვავებით, რომ დასავლეთევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციაზე მას თავშეკავებული პოზიცია უკავია. ქრისტიან-დემოკრატიული პარტია 50 ათასამდე წევრს ითვისებს, ფედერალური კრების მანდატების 22%-ს ფლობს და მუდმივად ჰყავს წარმომადგენელი ფედერალურ საბჭოში.

აღნიშნული, ე. წ. ლიდერი პარტიების გარდა შვეიცარიის მრავალპარტიულ სისტემაში თავისი განსაკუთრებული წონა აქვს სახალხო პარტიას, რომელიც ფედერალურ კრებაში ადგილების 12%-ს ფლობს და ფედერალურ საბჭოშიც მუდმივად ჰყავს წარმომადგენელი. პარტია, მსხვილი ფერმერებისა და ხელოსნების ინტერესების დასაცავად, ე. წ. „შერჩევითი ტარიფების“ შემოღებას მოითხოვს, რაც ადგილობრივი მწარმოებლის უცხოელი კონკურენტებისაგან დაცვას ისახავს მიზნად; ხოლო საგარეო პოლიტიკაში აქტიურად ეწინააღმდეგება ქვეყნის საერთაშორისო ორგანიზაციებში ინტეგრაციას.



აღსანიშნავია ეკოლოგიური ორიენტაციის პარტიები: „შვეიცარიის მწვანეები“ და „თავისუფალთა სია“, რომლებიც ერთად ფედერალური კრების მანდატების 6%-ს ფლობენ.

1935 წელს დაარსებული თავისუფალთა ლიგა არის მემარჯვენე პარტია, რომლის ძირითად სოციალურ დასაყრდენს წვრილი მენარმეები წარმოადგენენ. პარტია ემხრობა არაპირდაპირი გადასახადების ხარჯზე, პირდაპირი გადასახადების გაზრდას, იცავს მომხმარებელთა ინტერესებს და აქტიურად ეწინააღმდეგება ეკონომიკაში სახელმწიფო სექტორის არსებობას. იგი 6 ათასამდე წევრს ითვლის და წარმოდგენილია ქვეყნის პარლამენტში.

**ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა.** კონსტიტუციის პირველი მუხლის თანახმად, შვეიცარიელი ერისა და 26 კანტონის კავშირი ქმნის შვეიცარიის კონფედერაციას, ხოლო მესამე მუხლი განამტკიცებს დებულებას კონფედერაციის სუბიექტების სუვერენიტეტის შესახებ. კონსტიტუციის ეს დებულებები არ ასახავენ ქვეყანაში არსებულ რეალობას, ვინაიდან შვეიცარია მხოლოდ ოფიციალურად იწოდება კონფედერაციად, თორემ სამართლებრივი არსით იგი ფედერალური რესპუბლიკაა.

კონსტიტუციის თანახმად, კონფედერაცია არის კანტონების ტერიტორიული მთლიანობისა და კონსტიტუციური ნესრიგის გარანტი, ხოლო 47-ე მუხლი მას კანტონების ავტონომიის პატივისცემას ავალებს. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუციაში კანტონებსა და კონფედერაციას შორის ურთიერთობები საკმაოდ დეტალურად არის დარეგულირებული. კერძოდ, კონსტიტუციის 44-ე მუხლი ითვალისწინებს კონფედერაციასა და კანტონებს შორის ურთიერთობის პრინციპებს, რაც პატივისცემას, თანამშრომლობას და მოვალეობების განხორციელებისას ერთმანეთისთვის ხელშეწყობას ემყარება. კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევებში ფედერალური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში კანტონების მონაწილეობას განამტკიცებს კონსტიტუციის 45-ე მუხლი, რომლის მეორე პუნქტი ავალებს კონფედერაციას სრული და დროული ინფორმაცია მიანოდოს კანტონებს მისი გეგმების შესახებ, ხოლო კანტონების ინტერესების სფეროში შემავალი საკითხების განხილვის შემთხვევაში მათთან კონსულტაციები გაიაროს.

მიუხედავად იმისა, რომ კანტონთა შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა მოსახლეობის რაოდენობისა თუ ტერიტორიის თვალსაზრისით, ძირითადად, ისინი აბსოლუტურად თანასწორნი არიან. თითოეულ მათგანს აქვს თავისი მოქალაქეობა; წარმომადგენლობა ფედერალური პარლამენტის ზედა პალატაში; საკანონმდებლო ინიციატივის უფლება და საკუთარი კონსტიტუცია. კანტონების კონსტიტუციები საჭიროებენ ფედერალური პარლამენტის მონაწილას, ნინააღმდეგ შემთხვევაში, მისთვის მიუღებელი კონსტიტუციის გარანტირებაზე ფედერალური ხელისუფლება უარს იტყვის. კერძოდ, კანტონის კონსტიტუცია არ უნდა შეიცავდეს ფედერალური კონსტიტუციის საინიანაღმდეგო დებულებებს; უნდა ანეხებდეს რესპუბლიკური მმართველობის

ფორმას; მიღებული უნდა იყოს მოსახლეობის მიერ და ითვალისწინებდეს მოქალაქეთა უმრავლესობის მოთხოვნის შემთხვევაში მათი გადასინჯვის შესაძლებლობას.

კონსტიტუციის 53-ე მუხლის ძალით, კონფედერაცია წარმოადგენს კანტონების ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის გარანტს. მის ექსკლუზიურ უფლებამოსილებათა სფეროშია, აგრეთვე, საგარეო ურთიერთობების წარმოება. შესაბამისად, კონსტიტუციამ აუკრძალა ფედერაციის სუბიექტებს უცხო სახელმწიფოებთან ნებისმიერი სახის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება. გამონაკლისის სახით, მათ მიენიჭათ უფლება მეზობელ სახელმწიფოებთან სამეურნეო და ადმინისტრაციულ საკითხებზე გააფორმონ ხელშეკრულება. ამასთან, კონსტიტუციის 55-ე მუხლის მიხედვით, კანტონებს აქვთ საგარეო პოლიტიკის საკითხებზე გადაწყვეტილებათა მიღებასა და საერთაშორისო მოლაპარაკებებში მონაწილეობის უფლება, თუ ეს მათ ინტერესებს შეეხება.

კონსტიტუციის 48-ე მუხლის თანახმად, კანტონებს რეგიონალური ინტერესების დასაკმაყოფილებლად აქვთ საერთო ინსტიტუტებისა და ორგანოების შექმნის უფლება, თუმცა ამგვარი ურთიერთობები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონს ან კონფედერაციის ინტერესებს. კანტონებსა და კონფედერაციას თუ კანტონებს შორის სადავო ურთიერთობები უნდა გადაწყდეს შუამავლობითა და მოლაპარაკებების გზით.

კონსტიტუცია ადგენს, როგორც ფედერალური კანონმდებლობის განსაკუთრებულ და კონკურენციულ სფეროებს, ასევე კანტონების საკანონმდებლო და მმართველობის განსაკუთრებულ სფეროებს. კონსტიტუციის 42-ე მუხლის თანახმად, კონფედერაცია განახორციელებს იმ უფლებამოსილებებს, რომლებიც მისთვის კონსტიტუციით აქვს მინიჭებული. კერძოდ, კონფედერაციის ექსკლუზიურ უფლებამოსილებათა სფერო ვრცელდება გზებზე, ტრანსპორტზე, ფინანსებზე, კომუნიკაციებზე, საგარეო ურთიერთობებზე, რადიოსა და ტელევიზიაზე, გადასახადებზე, ჯარზე, ფოსტასა და ტელეკომუნიკაციებზე, მატერიალური და პროცესუალური სისხლისა და სამოქალაქო სამართლის სფეროებში კანონმდებლობაზე და ა.შ. აღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვნად არის შეზღუდული კანტონების კომპეტენცია და იგი ჯანმრთელობის დაცვაზე, კომუნალურ მეურნეობაზე, წესრიგის, ბუნებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე და რიგ სხვა საკითხებზე ვრცელდება. ამასთან, ფედერაციას შეუძლია გადასცეს კანტონებს ზოგიერთი სხვა უფლებამოსილებაც. რაც შეეხება, ე. წ. კონკურენციულ კომპეტენციას საკანონმდებლო თუ აღმასრულებელ სფეროში, იგი ვრცელდება განათლების, რაიონული და რეგიონული სამუშაოების დაფინანსებაზე, ტყეების დაცვაზე, ნადირობასა და თევზჭერაზე და ა.შ. აქ მოქმედებს შემდეგი სქემა: ფედერაცია იძლევა მითითებებს, ხოლო მათ რეალიზაციას ახორციელებს კანტონის ხელისუფლება, მაგრამ ცენტრიდან წამოსული მოთხოვნ-

ნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, აღმასრულებელმა ფუნქციებმა შეიძლება ფედერალურ დონეზეც გადაინაცვლოს.

ხელისუფლების უმაღლესი სტრუქტურების ორგანიზაცია კანტონებში არაერთგვაროვანია. კერძოდ, ობვალდენისა და ნიდვალდენის, გარე და შიდა როდენის და გლარუსის კანტონებში მოქმედებს, ე. წ. ლანგემაინდეს სისტემა, რომელიც გულისხმობს კანტონალური გადანყვეტილებების მიღებას კანტონის ამომრჩევლების საერთო კრებაზე, — ლანგემაინდედზე. კანტონები თავად განსაზღვრავენ მის უფლებამოსილებას, მონვევის დროს და ჩატარების პროცედურას. ლანგემაინდედი ირჩევს მთავრობას და მის მეთაურს, ობვალდენში, აგრეთვე, ნიშნავს უმაღლესი სასამართლოს, კანტონის სასამართლოსა და ადმინისტრაციული ტრიბუნალის მოსამართლეებს, კანცლერს და გენერალურ პროკურორს. ყველა კანტონის ლანგემაინდე უფლებამოსილია მიიღოს გადანყვეტილება კანტონური კონსტიტუციის მთლიანი ან ნაწილობრივი გადასინჯვის თაობაზე, ხოლო ობვალდენში იგი იმ კანონპროექტსაც განიხილავს, რომელიც გაფორმებული სახალხო ინიციატივის სახით, ხუთასი ამომრჩევლის მიერ არის წარმოდგენილი. გადანყვეტილების მიღება, ხელის აწევით, ძირითადად, დამსწრეთა ხმების უმრავლესობით ხდება.

დანარჩენ კანტონებში, ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებად პარლამენტები გვევლინებიან, მათი ფორმირების პრინციპები, ძირითადად, მსგავსია და პროპორციული საარჩევნო სისტემის გამოყენებას გულისხმობს.

საკანონმდებლო სფეროში პარლამენტებს აქვთ წარჩენი კომპეტენცია. ისინი იღებენ კანონებს, გადანყვეტილებების, მოქალაქეთა ნატურალიზაციისა და შეწყალების საკითხებზე, გამოთქვამენ მოსაზრებებს საფინანსო საკითხებთან დაკავშირებით, ადგენენ გადასახადებს, ბიუჯეტს. 12 კანტონში ისინი ნიშნავენ მთავრობის თავმჯდომარეებს, ხოლო კანტონების ნახევარში კი უზენაესი სასამართლოს წევრებს. მის ფუნქციებშია, აგრეთვე, მთავრობის საქმიანობის კონტროლი. უფლებამოსილების ვადა, ერთეული გამონაკლისის გარდა, 4 წლით განისაზღვრება.

კანტონების უმაღლესი აღმასრულებელი და ადმინისტრაციული ორგანოა მთავრობა, რომელიც მართავს და ზედამხედველობს კანტონალურ ადმინისტრაციას, ნიშნავს ჩინოვნიკებს, ახორციელებს კავშირს ფედერალურ ორგანოებსა და სხვა კანტონებთან. საერთო წესის თანახმად, კანტონალური მთავრობა წარმოადგენს ფედერალური საბჭოს ანალოგს, რომელიც სავალდებულო დადგენილებების გამოცემის უფლებამოსილებით არის აღჭურვილი და ზოგიერთ შემთხვევაში სასამართლო ფუნქციების მატარებლაც გვევლინება, განსაკუთრებით იმ კანტონებში, სადაც არ არსებობს ადმინისტრაციული ტრიბუნალი. თითქმის ყველა კანტონში მთავრობის ფორმირება ხდება ამომრჩეველთა მიერ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით, პარლამენტის უფლებამოსილების ვადით. მთავრობის მეთაური უმრავლეს შემთხვევაში ლანდამანად იწოდება და აირჩევა მთავრობის, უშუალოდ ამომრჩევლების ან ლანგემაინდეს მიერ. იმ კანტონებს, სადაც ლან-

გემაინდე ფუნქციონირებს, კრებას სწორედ მთავრობის მეთაური ხელმძღვანელობს.

**საარჩევნო სისტემა.** საარჩევნო სამართლის საკითხებს არეგულირებს კონსტიტუცია, ფედერალური და კანტონების კანონმდებლობა. ეს უკანასკნელი მოქმედებს არა მხოლოდ კანტონების და კომუნების წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევასთან დაკავშირებით. ფედერალური პარლამენტის ქვედა პალატაში – წარმომადგენლობით პალატაში არჩევნები რეგულირდება ფედერალური კანონით, ხოლო ზედა პალატაში – სენატში 20 კანტონი ფლობს ორ-ორ მანდატს, ხოლო კანტონები: ობვალდენი, ნიდვალდენი, ბაზელი – ქალაქი, ბაზელი – სოფელი, გარე და შიდა როდენი ფლობენ თითო-თითო მანდატს და არჩევნებიც ადგილობრივი კანონმდებლობით რეგულირდება, რომლებიც საარჩევნო პრინციპების დონეზეც კი ერთობ განსხვავდება.

ჩვეულებრივ, სენატის დეპუტატების არჩევნები პირდაპირი, მაჟორიტარული წესით ტარდება, საჭიროებისას ორ ტურად, თუმცა, სამი კანტონი სენატორებს მთავრობის წარდგინებით ირიბი წესით კანტონალური პარლამენტის სხდომაზე ირჩევს.

წარმომადგენლობით პალატაში არჩევნების დროს საარჩევნო ოლქს კანტონი წარმოადგენს და შერეული საარჩევნო სისტემა გამოიყენება. ერთი მანდატი დაახლოებით 25 ათასი ამომრჩევლის ხმას საჭიროებს, 10 წელიწადში მოსახლეობის აღწერის შედეგების მიხედვით იცვლება საბაზისო პარამეტრები და ადგენენ მანდატების რაოდენობას, რომელიც ამომრჩეველთა რაოდენობის პროპორციულად 26 კანტონზე გადანაწილდება. უმთავრეს საარჩევნო ოლქებში არჩევნები ტარდება პროპორციული საარჩევნო სისტემით. მცირერიცხოვან ოლქებში, თითო დეპუტატს მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ირჩევენ.

კანტონთა პარლამენტებში დეპუტატთა რაოდენობა 52-დან 200-მდე მერყეობს. არჩევნები პროპორციული სისტემით ტარდება, უფლებამოსილების ვადა მეტწილად 4 წლით, ცალკეულ შემთხვევებში, ორიდან ხუთ წლამდე შემოიფარგლება. ეს ფაქტორი სენატს დინამიკურად განახლებადი ორგანოს სახეს ანიჭებს.

მუნიციპალიტეტებში ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნები, შესაბამისი კანტონის მიერ მიღებული კანონით ტარდება, მაგრამ აღნიშნული კანონები აუცილებლად საჭიროებს ფედერალური მთავრობის მიერ დამტკიცებას.

არჩევნებში მონაწილეობისთვის დადგენილი ასაკობრივი ცენზი, კონსტიტუციით 18 წლით განისაზღვრა. კონსტიტუცია ავალდებულებს კონფედერაციას: უზრუნველყოს უცხოეთში მცხოვრებ შვეიცარიელთა მიერ საარჩევნო უფლების რეალიზაცია საფოსტო კავშირის გამოყენებით; ფოსტით კენჭისყრაში მონაწილეობა დასაშვებია ქვეყნის შიგნითაც; მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ცენზს ფედერალურ დონეზე არჩევნებისას მნიშვნელობა არა აქვს,

ამომრჩეველმა რეგისტრაცია არჩევნებამდე არაუგვიანეს 10 დღისა, ფაქტობრივი ადგილსამყოფელის მიხედვით უნდა გაიაროს. კანტონებში არჩევნებთან დაკავშირებით მოქმედებს 3 - თვიანი ბინადრობის ცენზი; წარმომადგენელთა პალატაში აირჩევა საარჩევნო უფლების მქონე ნებისმიერი საერო, მაგრამ არა სასულიერო პირი.

კანტონში მუდმივად მცხოვრებ თხუთმეტ მოქალაქეს შეუძლია წარადგინოს საკუთარი საარჩევნო სია, მაგრამ დეპუტატობის კანდიდატებს, ძირითადად, პარტიები წარადგენენ, ოლქში გათვალისწინებული მანდატების საერთო რაოდენობის ფარგლებში. საარჩევნო ბიულეტენი შეიცავს კანდიდატთა სიას. ამომრჩეველმა ოლქისათვის გამოყოფილი მანდატების რაოდენობის მიხედვით უნდა აირჩიოს კანდიდატები, მას აქვს პანამირების უფლება, ანუ შეუძლია სხვადასხვა პარტიის მიერ წარმოდგენილ კანდიდატებს დაუჭიროს მხარი. გარდა ამისა, მას აქვს, ე. წ. კუმულაციის უფლება, ანუ ორჯერ მისცეს ხმა ერთ კანდიდატს.

შვეიცარიის კანონმდებლობა ფართო შესაძლებლობებს ანიჭებს მოსახლეობას უშუალო დემოკრატიის სხვა ინსტიტუტების შესაძლებლობათა გამოსაყენებლად. კონსტიტუციის თანახმად, „სახალხო ინიციატივის“ უფლება აქვს 100 ათას ამომრჩეველს, რაც კონსტიტუციაში ცვლილება - დამატების შეტანის შესახებ საკითხის დაყენებას გულისხმობს.

მრავალფეროვანია რეფერენდუმების გამოყენების პრაქტიკა, შეიძლება ჩატარდეს ცენტრალური რეფერენდუმი - ქვეყნის მასშტაბით, რეგიონული - კანტონის დონეზე და ადგილობრივი - მუნიციპალიტეტებში. შვეიცარიაში ტარდება საკონსტიტუციო, საკანონმდებლო, საერთაშორისო და ადმინისტრაციული რეფერენდუმები. მას აქვს სავალდებულო და ფაკულტატორული ხასიათი. საკონსტიტუციო რეფერენდუმები ტარდება აუცილებელი წესით კონსტიტუციაში ნებისმიერ ცვლილება-დამატებებთან დაკავშირებით. საკანონმდებლო რეფერენდუმი ტარდება კანონპროექტის, კანონის მთლიანი ან ნაწილობრივი უარყოფის თაობაზე, თუ ამას მოითხოვს 8 კანტონი ან 50 ათასი მოქალაქე. ადმინისტრაციულ რეფერენდუმზე გადის მმართველობითი ხასიათის საკითხები, რომლებიც საყოველთაო პოზიციის გარკვევას საჭიროებენ.

შვეიცარიული კონსტიტუციური სამართლისთვის ცნობილია განევეის ინსტიტუტი. არჩევითი ორგანოებისა და თანამდებობის პირების დროზე ადრე გამოწვევა 10 კანტონში მოქმედებს და პარლამენტარების განევეაში მთლიანად პალატა იგულისხმება და არა მისი ცალკეული წევრი. ამგვარი მოთხოვნის უფლება სხვადასხვა კანტონში, სხვადასხვა რაოდენობის ამომრჩეველს აქვს.

სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები. შვეიცარიაში ხელისუფლების შტოთა ბალანსი შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის ორპალატიან ფედერალურ პარლამენტს; იგი ახდენს კოლეგიური ორგანოს - ფედერალური საბჭოს ფორმირებას, რომელიც აღმასრულებელი ხელისუფლებისა და სახელმწიფო მეთ-

აურის ფუნქციებს ითავსებს. მართლმსაჯულებას ახორციელებენ ფედერალური და კანტონების სასამართლოები.

საკანონმდებლო ხელისუფლება. შვეიცარიის ფედერალური პარლამენტი ერთ-ერთი უძველესია ევროპაში. იგი შედგება ორი პალატისგან – ნარმოდგენლობითი პალატისა და სენატისგან.

ფედერალური პარლამენტი ნაწილობრივ განსაზღვრული კომპეტენციის მქონე პარლამენტია. კონსტიტუციის 173-ე მუხლი იძლევა იმ საკითხების ჩამონათვალს, რომელთა რეგულირებაც მხოლოდ პარლამენტის კომპეტენციას განეკუთვნება, თუმცა, აქვე დასძენს, რომ კანონით მისთვის შეიძლება გადაცემულ იქნეს სხვა უფლებამოსილებებიც. მთლიანობაში, პარლამენტის კომპეტენცია საარჩევნო, საკანონმდებლო, საფინანსო, საკონტროლო და ადმინისტრაციულ-მმართველობით უფლებამოსილებებს მოიცავს.

პარლამენტი ირჩევს ფედერალური საბჭოს წევრებს, მის პრეზიდენტსა და ვიცე-პრეზიდენტს, ფედერალური სასამართლოს პრეზიდენტს, ვიცე-პრეზიდენტს და წევრებს, სამხედრო ძალების მთავარსარდალს, კანცლერს. არჩევნები ტარდება ფარული კენჭისყრით.

ქვეყნის ცხოვრების რიგი უმნიშვნელოვანესი საკითხების რეგულირება ხორციელდება მხოლოდ ფედერალური კანონმდებლობით: ომისა და ზავის, მოქალაქეობისა და ემიგრაციის შესახებ; რკინიგზის, ტრანსპორტის, ვალუტის, ფოსტა-ტელეგრაფისა და სხვა საკითხებზე. საკონკურსო კომპეტენციის წრის საკითხებზე, პარლამენტი ლებულობს ჩარჩო-კანონებს, რომელთა ფარგლებში კანტონები გამოსცემენ საკუთარ კანონებს. თუ კანტონალური და ფედერალური კანონები განსხვავებულად არეგულირებს საკონკურსო კომპეტენციის სფეროში არსებულ საკითხებს, მოქმედებენ ეს უკანასკნელი.

ფედერალური საბჭო ყოველწლიურად წარუდგენს ფედერალურ პარლამენტს მოხსენებას განუღი მუშაობის შესახებ. დეპუტატები უფლებამოსილნი არიან წერილობითი ან ზეპირი შეკითხვით მიმართონ ფედერალურ საბჭოს, რომლის პასუხზე დებატებს შეიძლება მოჰყვეს ინტერპელაციის მექანიზმის ამოქმედება, თუ პალატათა რეგლამენტის თანახმად თერთმეტი დეპუტატი მოაწერს ხელს ასეთ მოთხოვნას. საკითხს ინტერპელაციის დაკმაყოფილების თაობაზე ერთპიროვნულად წყვეტს პალატის პრეზიდენტი. მთავრობის პასუხი განიხილება პლენარულ სხდომაზე და შეიძლება დამთავრდეს მთავრობის გაკიცხვის რეზოლუციის მიღებით.

ფართო უფლებამოსილებები აქვს პარლამენტს საფინანსო სფეროშიც, რაც ბიუჯეტის მიღებასა და მის შესრულებაზე ზედამხედველობაში გამოიხატება. ფედერალური კრება განსაზღვრავს, აგრეთვე, საგარეო და სამინაო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, იძლევა თანხმობას საერთაშორისო შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების დადებაზე და ა. შ.

პალატები საკუთარი შემადგენლობიდან ერთი წლის ვადით, გაგრძელების უფლების გარეშე ირჩევენ პრეზიდენტებსა და ორ-ორ ვიცე-პრეზიდენტს. პრეზიდენტები წარმოდგენენ პარლამენტს სხვა ორგანოებთან ერთიერთო-

ბაში, წარმართავენ დებატებს, ადგენენ საკითხთა განხილვის პროცედურას და კენჭისყრის წესს, კოორდინაციას უწევენ შიდასაპარლამენტო ორგანოების საქმიანობას, უზრუნველყოფენ მთავრობის მიერ დაყენებულ საკითხთა რიგგარეშე განხილვას.

პარლამენტის საქმიანობაში დიდია საპარლამენტო ფრაქციების როლი, რომელთა უფლებამოსილება განისაზღვრება კანონით „საპარლამენტო ფრაქციებისა და მათი სამდივნოების შესახებ“: ფრაქციები მონაწილეობენ საპარლამენტო კომისიების ფორმირებასა და მუშაობაში, არჩევნების მომზადებაში და ა. შ. ფრაქციები ძირითადად, პარტიული ნიშნით, მხოლოდ ეროვნული საბჭოში სულ ცოტა 5 წევრისგან იქმნება და მის შემადგენლობაში შეიძლება შედიოდნენ ორივე პალატის წევრები. ფრაქციის ხელმძღვანელთა შეთანხმებით ხდება ბიუროს წევრების კანდიდატთა შერჩევა, კომისიათა ფორმირება, აქტიური მონაწილეობა მთავრობის ფორმირებასა და სხვა თანამდებობის პირთა არჩევის პროცესში. ამ ფონზე, განსაკუთრებული ადგილი უკავიათ საპარლამენტო ჯგუფებს, რომლებშიც პროფესიული, რეგიონალური და სხვა ინტერესების საფუძველზე, ერთიანდებიან დეპუტატები, მიუხედავად მათი პარტიული თუ ფრაქციული კუთვნილებისა და მოსახლეობის ინტერესებს იცავენ.

თითოეულ პალატაში თორმეტ-თორმეტი მუდმივი კომისიაა. ამასთან, იქმნება პალატების სამი გაერთიანებული მუდმივი კომისია და საჭიროებისამებრ – სპეციალური კომისიები. მუდმივი კომისიები იქმნება 4 წლის ვადით. ფორმალურად კომისიებს საკონსულტაციო ფუნქციები ეკისრებათ, ფაქტობრივად კი სწორედ კომისიების დახურულ სხდომებზე ხდება პარლამენტსა და მთავრობას შორის სადავო საკითხებზე კომპრომისის მიღწევა, კანონპროექტების თავდაპირველი განხილვა და მათში ცვლილებების შეტანა, რის შემდეგაც ისინი პალატებს გადაეცემა.

მუდმივ კომისიებს სხვადასხვა ნონა და გავლენა აქვთ. ასე მაგალითად, საფინანსო, საგარეო პოლიტიკის და სამხედრო საქმეთა კომიტეტების წევრობა უფრო პრესტიჟულად ითვლება და უმაღლეს ფედერალურ თანამდებობათა დასაკავებლად, ამ საფეხურის გავლა აუცილებელია. კომისიათა ფორმირებისას, რეგლამენტის თანახმად, მხედველობაში მიიღება ორი ფაქტორი: პოლიტიკური და გეოგრაფიული. უპირატესობა პოლიტიკურ ფაქტორს ენიჭება, რამეთუ კომისიის შემადგენლობა უნდა ასახავდეს ფრაქციათა თანაფარდობას. რეგიონული ფაქტორი კი იმით გამოიხატება, რომ კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდნენ თითოეული კანტონის ერთ წარმომადგენელზე მეტი.

კონსტიტუციის მიხედვით, წელიწადში იმართება ოთხი სესია – საგაზაფხულო, საზაფხულო, საშემოდგომო და საზამთრო. თითოეულის ხანგრძლივობა საშუალოდ სამი კვირაა. ყოველი მომდევნო სესია მოიწვევა ფედერალური საბჭოს მიერ. რიგგარეშე სესიები მოიწვევა მთავრობის ინიციატივით, ნაციონალური საბჭოს წევრთა 1/4-ის მოთხოვნით. საპარლამენტო სხდომა ტარდება ღიად, ფართოდ მუქდება მას მედიის მიერ.

პალატები სხდომებს ატარებენ ცალ-ცალკე, ერთი პალატის შეკრების შემთხვევაში, იკრიბება მეორეც. კონსტიტუციის 137-ე მუხლით განსაზღვრულია საკითხთა წრე, რომელთა გადაწყვეტაც გაერთიანებული ფედერალური პარლამენტის, ანუ პალატების გაერთიანებული სხდომის კომპეტენციას განეკუთვნება: ფედერალური ადმინისტრაციის თანამდებობის პირების არჩევა; სისხლის სამართლის საქმეებზე ფედერალური სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული პირების შეწყალება; ფედერალურ ორგანოებს შორის კომპეტენციის თაობაზე დავების გადაწყვეტა. გაერთიანებული სხდომები ტარდება განსაკუთრებულ შემთხვევებში და მთავრობის განცხადებათა მოსასმენად.

საკანონმდებლო ინიციატივის უფლება, კონსტიტუციის 160-ე მუხლის თანახმად, აქვთ დეპუტატებს, საპარლამენტო ჯგუფებს, კომისიებს და კანტონებს. პარლამენტში კანონპროექტი განიხილება სამი მოსმენით. პირველი მოსმენისას ხდება კანონპროექტის შეფასება. თუ პროექტი დადებითად შეფასდა, თავისუფალი დისკუსიის სახით იწყება კამათი, მთავრობის წარმომადგენლის მონაწილეობით. ამ დროს შეიძლება დადგეს წინადადებები, პროექტში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის თაობაზე. მეორე მოსმენისას ხდება კანონპროექტის მუხლობრივი განხილვა, ხოლო მესამე მოსმენისას ხდება კანონპროექტის მიღება ხმების უბრალო უმრავლესობით. წარმომადგენლობით პალატაში ხმების მიცემა ხდება ფეხზე წამოდგომით, ხოლო ოცდაათი წევრის მოთხოვნით შეიძლება ჩატარდეს სახელობითი კენჭისყრა, სენატში კი – ხელის აწევით, ან ათი წევრის მოთხოვნით სახელობითი კენჭისყრით. საკითხი იმის თაობაზე, თუ კანონპროექტი რომელმა პალატამ უნდა განიხილოს თავდაპირველად, ნყდება შეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობისას ნილისყრით.

ერთ პალატაში განხილვიდან 2 დღის შემდეგ, კანონპროექტი გადაეგზავნება მეორე პალატას. თუ ეს უკანასკნელი ორჯერ განაცხადებს უარს მის განხილვაზე, კანონპროექტი მოხსნილად ჩაითვლება. ამგვარი გადაწყვეტილების მისაღებად წარმომადგენლობით პალატაში საჭიროა ხმათა 2/3, სენატში სიითი შემადგენლობის უმრავლესობა. ერთი პალატის მიერ კანონპროექტის დაუმტკიცებლობისას, იგი გადაეგზავნება მეორე პალატას, რომლის ანალოგიური გადაწყვეტილებისას, კანონპროექტი განხილვიდან იხსნება, ხოლო დამტკიცების შემთხვევაში, წინა პალატას უბრუნდება ხელახალი განხილვისთვის. თუკი იგი კვლავაც იმ პოზიციაზე დარჩება – პროცესი იწყება თავიდან. თუ არ მოხერხდა კონსენსუსის მიღწევა, ტარდება ორივე პალატის შესაბამისი კომისიების გაერთიანებული კრება, რომელსაც „შემათანხმებელ კონფერენციას“ ან „მცირე პარლამენტს“ უწოდებენ. სხდომას ხელმძღვანელობს იმ კომისიის თავმჯდომარე, რომელმაც თავდაპირველად განიხილა კანონპროექტი. შემათანხმებელ კომისიას შეაქვს თავისი წინადადება ორივე პალატაში და თუ ერთ-ერთი პალატა არ გაიზიარებს მათ და არ დაამტკიცებს კანონპროექტს, იგი განხილვიდან იხსნება.



დეპუტატის სტატუსს კონსტიტუცია, ფედერალური კანონები და პალატათა რეგლამენტები არეგულირებენ. დეპუტატის უფლებამოსილებანი ძალაში შედის სამანდატო კომისიის მიერ არჩევნების სისწორის შემოწმებისა და ამ არჩევნების შედეგების წარმომადგენლობითი პალატის მიერ დამტკიცების შემდეგ. არჩეული დეპუტატები დებენ ფიცს. სენატის დეპუტატების არჩევნები შემოწმებას არ ექვემდებარება. ფედერალური პარლამენტის წევრს აქვს იმუნიტეტი: დაუშვებელია მისი დაკავება, დაპატიმრება, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პერიოდში, თუ არ იქნა იმ პალატის თანხმობა, რომლის წევრიც არის იგი. დანაშაულზე წასწრებისას, მისი დაკავების შესახებ 24 საათის მანძილზე უნდა ეცნობოს შესაბამის პალატას. თუ დეპუტატს ბრალად ედება დანაშაულის ჩადენა, დევნა მის წინააღმდეგ შეიძლება აღიძრას მხოლოდ ფედერალური კრების გადაწყვეტილებით. კონსტიტუციის თანახმად, დეპუტატები კენჭისყრისას დამოუკიდებელი არიან, თუმცა, ნებისმიერ დროს შეიძლება გამოყენებულ იქნეს პარტიის წევრის დაუთარილებელი ხელნერილი „საკუთარი სურვილით თანამდებობის დატოვების შესახებ“.

ფედერალური საბჭო ორიგინალური შვეიცარიული გამოგონებაა, რომელიც კონსტიტუციონალიზმის პრაქტიკაში დღესაც ერთადერთი ნიმუშია. ეს არის კოლეგიური ორგანო, რომელიც საერთოდ უარყოფს ლიდერობის პერსონიფიცილებას, არც თავის შემადგენლობის წრეში უყავს გამოკვეთილი როლდერი. ეს არის მთავრობა პრემიერ-მინისტრის, ანუ მეთაურის გარეშე, რომელიც იმავდროულად კოლეგიური სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციასაც ითავსებს.

ფედერალური საბჭო შედგება 7 წევრისგან, რომლებიც პარლამენტის მიერ პერსონალურად აირჩევიან. კანონმდებლობის თანახმად, ამ ორგანოში შეიძლება არჩეულ იქნეს შვეიცარიის მოქალაქე, რომელიც აკმაყოფილებს ფედერალურ პარლამენტში არჩევისათვის ნაყენებულ მოთხოვნებს. ფედერალური საბჭო აირჩევა 4 - წლიანი ვადით, წარმომადგენლობითი პალატის ლეგისლატურის ხანგრძლივობის თანხვედრით. მთავრობას მეტად მყარი პოზიციები აქვს ფედერალურ კრებასთან მიმართებაში. ფედერალური საბჭო არ შეიძლება დათხოვნილ იქნეს ლეგისლატურის პერიოდში და პარლამენტს არ აქვს მასზე რეალური კონტროლის განხორციელების შესაძლებლობა. ამასთან, არ არსებობს მთავრობის აქტების კონსტიტუციური კონტროლი. თავისებური უნდობლობის ვოტუმი მთავრობას შეიძლება გამოეცხადოს მხოლოდ 4 - წლიანი პერიოდის დასრულების შემდეგ, რაც იმას ნიშნავს, რომ მთავრობის ყოფილი წევრები აღარ აირჩევიან მეორე ვადით. თუმცა, როგორც პრაქტიკა ცხადყოფს, მინისტრის პოსტზე ერთი პირის ყოფნის ხანგრძლივობა საშუალოდ 10-12 წლიდან სამ ათეულ წლამდეც მერყეობს.

მთავრობის სტაბილურობის მიზნით, მისი ფორმირების პროცესში, დამკვიდრებული კონსტიტუციური ადათის მიხედვით, ადგილები ფედერალურ მთავრობაში ნაწილდება ფორმულით 2 : 2 : 2 : 1, ქვეყნის 4 უმთავრეს

პოლიტიკურ ძალას შორის, თანაც ისე, რომ გათვალისწინებულ იქნეს მთავრობაში რეგიონების წარმომადგენლობის პრინციპიც.

ფედერალურ საბჭოს ხელმძღვანელობს პრეზიდენტი, რომელიც ვიცე-პრეზიდენტთან ერთად, ყოველი წლის დეკემბერში, პარლამენტის პალატების ერთობლივ სხდომაზე საბჭოს შვიდუკუდიან აირჩევა. ერთი და იგივე პირი არ შეიძლება არჩეულ იქნეს იმავე თანამდებობაზე შემდგომ წელსაც. იგივე პრაქტიკა იმის მაჩვენებელია, რომ თითოეულ მათგანს, მონაცვლეობით, რამდენჯერმე უნევს პრეზიდენტობა ან ვიცე-პრეზიდენტობა.

კონფედერაციის დროებითი პრეზიდენტი, რა თქმა უნდა, არ არის სახელმწიფოს მეთაური ამ ტერმინის სრული გაგებით. პრეზიდენტი წარმომადგენლობითი ფუნქციის მატარებელი ფიგურაა და განსაკუთრებულ პრეროგატივებს არ ფლობს. მისი რეალური სტატუსი იქამდე არაფრით განსხვავდება საბჭოს სხვა რიგითი წევრების სტატუსისგან, რომ პრეზიდენტობის დროს იგი კვლავ განაგრძობს იმ დეპარტამენტის ხელმძღვანელობას, რომლის საქმიანობის წარმართვაც მანამდე ეკისრებოდა.

მთავრობის შვიდი წევრი, შვიდი მინისტრი და შვიდი დეპარტამენტი, – ასეთია შვეიცარიის აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურა, რომლის აპარატს პოლიტიკური; შინაგან საქმეთა; იუსტიციისა და პოლიციის; სამხედრო; ფინანსებისა და საბაჟოს; სახალხო მეურნეობის; ტრანსპორტის, კომუნიკაციისა და ენერგეტიკის დეპარტამენტები შეადგენენ.

ფედერალური საბჭოს კომპეტენციაში, პირველ რიგში, შედის კონსტიტუციის, კანონებისა და დადგენილებების შესრულების ორგანიზაცია. იგი აქტიურად არის ჩართული საკანონმდებლო საქმიანობაში, ამზადებს დასკვნებს პარლამენტში განსახილველ კანონპროექტებზე, თავადაც წარადგენს ფედერალური კრების პალატებში დასამტკიცებლად კანონპროექტებსა და დადგენილებების პროექტებს, სათანადოდ რეაგირებს დეპუტატთა ჯგუფებიდან წამოსულ რეზოლუციებსა და პოსტულატებში ჩამოყალიბებული იდეების თუ კონკრეტული წინადადებების სარეალიზაციოდ.

ამას გარდა, მთავრობა თავად გამოსცემს კანონის ძალის მქონე თუ კანონების შესრულების მარეგულირებელ, ადმინისტრაციულ ორდონანსებს. მათი მიღება ხდება ფედერალური საბჭოს სხდომაზე, რომელიც უფლებამოსილია განწყვეტილების მისაღებად, თუ მას ესწრება სულ ცოტა 4 წევრი მაინც. ორდონანსი ძალაში შედის პრეზიდენტის მიერ ხელმოწერის დღიდან. გარდა ამისა, პრაქტიკით დამკვიდრდა ჩვეულება, რომლის თანახმადაც, თუ პარლამენტი გადასცემს მთავრობას განსაკუთრებულ უფლებამოსილებებს, უკანასკნელს შეუძლია მიიღოს საყოველთაოდ სავალდებულო „გადაუდებელი დადგენილებები“.

ფედერალური საბჭო მთელ რიგ აღმასრულებელ უფლებამოსილებებსაც ახორციელებს: პოლიტიკის სფეროში უზრუნველყოფს ქვეყნის საგარეო უსაფრთხოებას; ფედერალური კრების არდადეგების შუალედში, საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს სამხედრო ძალების მოზილხვებას და ხელმძღვანელობას; ფედერალური ადმინისტრაციის საქმიანობის კონტროლს; ქვეყ-

ნის შინაგანი ნესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას; მსჯავრდადებულთა შეწყალებას. მისი ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქციაა ქვეყნის საფინანსო პოლიტიკის განხორციელება და საბიუჯეტო რეჟიმის წარმართვა. საბჭოს ფართო უფლებამოსილებები აქვს კანტონების მმართველობის ორგანოების კონტროლის სფეროში, მეთვალყურეობს მათ მიერ ფედერალური კანონების შესრულებას, ახორციელებს ინსპექტირებას, იძლევა მითითებებს და აუქმებს კანტონების მმართველობის ორგანოთა იმ აქტებს, რომლებიც ეწინააღმდეგება ფედერალურ კანონმდებლობას. მის თანხმობას საჭიროებს ცალკეული კანტონალური კანონები, დადგენილებები და შეთანხმებები.

სასამართლო ხელისუფლება შედგება დამოუკიდებელი ფედერალური სასამართლოსა და კანტონალური სასამართლოებისგან, რომლებსაც უფლება აქვთ გამოიყენონ როგორც საერთო - შვეიცარიული, ისე ცალკეული კანტონების სამართალი.

ფედერალური სასამართლო უმაღლესი ინსტანციის სასამართლოა სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე და ზედამხედველობს კონტონების სასამართლოების მიერ, ფედერალური სისხლის და სამოქალაქო კანონმდებლობის ერთგვაროვან გამოყენებას, იხილავს საჩივრებს კანტონების უმაღლესი ორგანოების აქტების ფედერალურ კონსტიტუციასთან შესაბამისობაზე.

ფედერალურ სასამართლოს, 30 მოსამართლისა და 15 მოადგილის შემადგენლობით, 6 წლის ვადით, პალატების გაერთიანებულ სხდომაზე ნიშნავს ფედერალური პარლამენტი. მისი ფორმირება ეთნიკური, ტერიტორიული და პოლიტიკური ასპექტების გათვალისწინებით ხდება. მოსამართლეთა კანდიდატურებს საპარლამენტო ფრაქციები წარადგენენ. მოსამართლეთა დამოუკიდებლობის რეალური გარანტიების შექმნის მიზნით შეზღუდული სასამართლოს საქმიანობის საპარლამენტო კონტროლი და დანერგილია მოსამართლეთა შეუცვლელობის პრინციპი.

მოსამართლედ და მოადგილედ შეიძლება არჩეულ იქნეს შვეიცარიის მოქალაქე, რომელსაც აქვს წარმომადგენლობით პალატაში არჩევის უფლება. აქვს იურიდიული განათლება და არ არის სასულიერო მსახური. პარლამენტის და ფედერალური საბჭოს წევრი ან მათ მიერ დამტკიცებული პირი არ შეიძლება იყოს ფედერალური სასამართლოს წევრი. ამ მოთხოვნების გათვალისწინებით ფედერალურ სასამართლოებში ძირითადად ინიშნებიან გამოცდილი ადვოკატები, კანტონების უზენაესი სასამართლოს წევრები, უნივერსიტეტის პროფესურა სამართლის სფეროში. საჭიროებისას, ფედერალურ სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს მოსამართლეთა მოადგილეები. ფედერალური კრება ყოველ ორ წელიწადში ერთხელ, გადაარჩევის უფლების გარეშე ირჩევს სასამართლოს თავმჯდომარეს და ვიცეთავმჯდომარეს. სასამართლოს თავმჯდომარე ხელმძღვანელობს სასამართლო პლენუმის სხდომებს, პალატების თავმჯდომარეთა საბჭოს, წარმართავს სასამართლო აპარატის საქმიანობას. სხვა მხრივ, მას რაიმე განსაკ-

უთრებული სტატუსი არ გააჩნია და იგი უბრალოდ „პირველია თანასწორთა შორის“.

ფედერალური სასამართლოს 2 პალატა საჯარო სამართლის სასამართლოს წარმოადგენს, 2 პალატა სამოქალაქო სამართლის საქმეებს იხილავს, ერთი – კასაციის წესით სისხლისსამართლებრივ საქმეებს, და კიდევ ერთი პალატა – საჩივრებს კანტონთა სასამართლოების საპენსიო საქმეებზე.

პალატები ყალიბდება ორი წლით, თუმცა მათი შემადგენლობა იშვიათად იცვლება და ყოველ მათგანს უზუცესი მოსამართლე ხელმძღვანელობს. ფედერალური კრება პალატათა თავმჯდომარეთაგან ირჩევს ფედერალური სასამართლოს თავმჯდომარეს. პალატები მუშაობენ, ძირითადად, 5-დან 7-მდე მოსამართლის შემადგენლობით. თუ არ ჩავთვლით დისციპლინურ და რიგ სხვა საქმეებს, რომლებიც დახურულ სხდომაზე განიხილება, საქმის წარმოების დროს დაცულია საჯაროობის პრინციპი. მომხსენებელი მოსამართლე, საქმის წინასწარი შესწავლის საფუძველზე, წამოაყენებს კონკრეტულ წინადადებებს, ხოლო დანარჩენი მოსამართლეები რიგითობის მიხედვით გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს. საქმის განხილვა მთავრდება გადანყევტილების გამოტანით, რომელიც ხმათა უმრავლესობით მიიღება. ფედერალური სასამართლოს პრაქტიკაში გავრცელებულია საქმის განხილვის გამარტივებული წესიც, როცა საქმის არსებითი განხილვა წარმოებს არა სასამართლო სხდომაზე, არამედ საქმის მასალები რიგითობით ეგზავნებათ მოსამართლეებს, რომლებიც წერილობითი სახით წარმოადგენენ საკუთარ მოსაზრებებს, რის საფუძველზეც ხდება გადანყევტილების გამოტანა.

ფედერალური სასამართლო განიხილავს კონსტიტუციურ დავებს ფედერალური ხელისუფლებისა და კანტონების ორგანოებს შორის, აგრეთვე, საკუთრივ კანტონებს შორის, მოქალაქეთა სარჩელებს მათი კონსტიტუციური უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით; სარჩელებს ინტერნაციონალური და ინტერკანტონური ხელშეკრულებების თაობაზე; სამოქალაქო-სამართლებრივ დავებს ფედერაციასა და კანტონებს, გაერთიანებებსა და მოქალაქეებს შორის, სხვა სამოქალაქო დავებს, თუ ამას მოითხოვს ორივე მხარე და სარჩელის თანხა, მოცემული მომენტისთვის დადგენილ თანხაზე ნაკლები არ არის. სისხლის სამართლის საქმეთაგან, ფედერალური სასამართლო, პირველი ინსტანციით, ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით განიხილავს სამშობლოს ღალატის, პოლიტიკური ხასიათის, საერთაშორისო სამართლის ნორმების წინააღმდეგ მიმართულ და ფედერალური თანამდებობის პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებულ საქმეებს.

კონსტიტუცია ამკვიდრებს ფედერალურ ადმინისტრაციულ და დისციპლინურ იუსტიციას. ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლოს კომპენტენცია განისაზღვრება ფედერალური კანონმდებლობით. იგი განიხილავს ადმინისტრაციულ დავებს და ფედერალური ორგანოების თანამშრომელთა საქმეებს. ადმინისტრაციული სასამართლო ხელმძღვანელობს ფედერალური კანონმდებლობითა და ფედერალური კრების მიერ მიღებული

გადანყვეტილებებით. კანტონები, ფედერალური კრების მხარდაჭერის პირობებში, უფლებამოსილი არიან, ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლოს ქვემდებარებას განაკუთვნონ მათი კომპენტენციის საკითხებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული დავები.

კონტინენტური სამართლის ქვეყნებისგან განსხვავებით, იმ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტა შეუძლებელი ხდება კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების და სათანადო პრინციპის ან ნორმის გამო, შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სასამართლო პრაქტიკას, როდესაც პრეცედენტს შეუძლია სამართლის წყაროს დატვირთვა იკისროს.

ფედერალური კონსტიტუცია კანტონებს აკუთვნებს მართლმსაჯულების განხორციელების უფლებას, მათივე კონსტიტუციებით არის განსაზღვრული სასამართლო სისტემის ორგანიზაცია და საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისგან, თუმცა, საერთო სქემა მაინც შენარჩუნებულია და იგი ასე გამოიყურება: მომრიგებელი მოსამართლე, საოლქო სასამართლო ან პირველი ინსტანციის სასამართლო, კანტონის უმაღლესი სასამართლო ან სააპელაციო სასამართლო. უმეტეს კანტონებში შექმნილია სპეციალური სავაჭრო სასამართლოები, შრომითი დავების განმხილველი სასამართლოები და ადმინისტრაციული იუსტიციის კომისიები თუ სხვა ორგანოები. კანტონების დონეზე მოსამართლეები აირჩევიან პირდაპირ მოსახლეობის ან კანტონების სახელმწიფო ორგანოების მიერ, სხვადასხვა ვადით. თუმცა, რამდენიმე კანტონში მოსამართლეები ზემდგომი სასამართლო ინსტანციის მიერ ინიშნება.

შვეიცარიაში პროკურორების ინსტიტუტი დაფუძნდა როგორც ფედერალურ, ისე კანტონალურ დონეზე, ერთი კანტონის გარდა, სადაც პროკურორის უფლებამოსილებას კრიმინალური პოლიციის წარმომადგენელი ახორციელებს. კანტონებში არაერთგვაროვანია პროკურატურის საქმიანობის ორგანიზაცია, დანიშვნის წესი, შემადგენლობა და იურისდიქცია. ზოგიერთი კანტონი დანიშვნის უფლებამოსილებას აღმასრულებელ ხელისუფლებას გადასცემს, ზოგიერთი კი – საკანონმდებლოს. ფედერალურ სასამართლოში და ზოგიერთ საქმეზე კანტონის სასამართლოშიც სახელმწიფო ბრალდებას მხარს უჭერენ ქვეყნის მთავრობის მიერ დანიშნული ფედერალური პროკურორის ან ფედერალური პროკურატურის სხვა თანამდებობის პირები. საერთოდ კი, კანტონის სასამართლოებში სახელმწიფო ბრალდებას მხარს უჭერენ კანტონის ხელისუფლების მიერ დანიშნული პროკურორი ან მისი წარმომადგენლები.

მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო ზედამხედველობის იდეა შვეიცარიის კონსტიტუციაში დაფიქსირებულიც არ არის და მისი საჭიროება კონსტიტუციის ცალკეულ ნორმებშია აქცენტირებული, შეიძლება ითქვას, რომ შვეიცარიის ფედერალურმა სასამართლომ პირველმა ევროპაში, იტივითა საკონსტიტუციო ზედამხედველობის ფუნქცია, როდესაც კონსტიტუცი-

ამ მას ადამიანთა კონსტიტუციური უფლებების დარღვევაზე საჯარო-სამართლებრივი საჩივრების განხილვა დააკისრა. შვეიცარიის კონსტიტუციამ ფედერალური სასამართლოს ქვემდებარედ გამოაცხადა მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლების დარღვევის თაობაზე საჯარო-სამართლებრივი საჩივრების განხილვა და ამით დასაბამი მისცა ფედერალური სასამართლოს პრაქტიკაში საკონსტიტუციო საჩივრის პროცედურის დამკვიდრებას. ამგვარად, შვეიცარიაში ამოქმედდა საქვეყნოდ ცნობილი საკონსტიტუციო საჩივრის ინსტიტუტი, თუმცა, ასეთი საჩივლი არ შეიძლება ეხებოდეს ფედერალური ხელისუფლების მიერ მიღებულ აქტებს და აპელაციები მხოლოდ კანტონების ადმინისტრაციული, საკანონმდებლო და სასამართლო აქტების მიმართ განიხილება. ასე რომ, საკონსტიტუციო ზედამხედველობის ფუნქცია, ძირითადად, ფედერალური სასამართლოს პრეროგატივაა და კანტონების სასამართლოები ასეთი უფლებით არ არიან აღჭურვილნი, რომ არა ერთი გამონაკლისი. ჟურას კანტონში 1978 წელს შეიქმნა სპეციალური საკონსტიტუციო სასამართლო, რომელსაც კანტონის კანონმდებლობის კონსტიტუციურობის შემოწმება ეკისრება და მთავრობის მოთხოვნით შეუძლია განიხილოს და კანტონის პარლამენტის მიერ მიღებული აქტი ბათილად სცნოს.

შვეიცარიაში კანტონების კონსტიტუციები არ ექვემდებარება სასამართლო ზედამხედველობას, რამდენადაც ისინი თავის დროზე მოიწონა პარლამენტმა. არსებობს გამონაკლისი, რომლის თანახმადაც, ფედერალური სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს კანტონების კონსტიტუციებით გათვალისწინებული პირადი უფლებების, ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციით და ფედერალური სამართლის სხვა ნორმებით დეკლარირებულ პირად უფლებებთან შესაბამისობის საკითხი, თუ ეს აქტები ფედერალური კრების მიერ კანტონის კონსტიტუციის მოწონების მომენტისთვის არ მოქმედებდა.

კონსტიტუციურ კონტროლს, ძირითადად, საჯარო-სამართლებრივ საკითხებზე სპეციალიზებული პალატები ახორციელებენ. პირველი პალატა განიხილავს საჩივრებს მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებების, პირადი თავისუფლებების, აზრის თავისუფლების, შეკრებისა და გაერთიანების უფლების და თანასწორობის პრინციპის დარღვევის თაობაზე. მეორე პალატა განიხილავს საჩივრებს სინდისის თავისუფლების, მშობლიური ენის გამოყენების უფლების, ვაჭრობისა და მენარმეობის თავისუფლების ხელყოფის შესახებ. საჯარო-სამართლებრივი საჩივარი შეიძლება შეიტანოს იურიდიულმა თუ ფიზიკურმა პირმა, რომელსაც აქვს იურიდიულად დასაბუთებული ინტერესი სადაო აქტის მიმართ და მთავრობამ.

ფედერალური სასამართლო იყენებს კონსტიტუციური კონტროლის ორ სახეს: აბსტრაქტულსა და კონკრეტულს. აბსტრაქტული, ანუ პირდაპირი კონტროლის დროს, საჯარო-სამართლებრივი საჩივრის საგანს წარმოადგენს კანტონის კანონი, რომელიც გასაჩივრებული უნდა იქნეს მიღებიდან 30 დღეში, დაინტერესებული პირის მიერ. თუ სასამართლო აქტს არაკონსტიტუციურად ცნობს, იგი დაუყოვნებლივ გაუქმდება. კონკრეტული, ანუ არა-

პირდაპირი კონტროლი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ საჩივრდება არა კანონი, არამედ მის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება. საჩივარი შეტანილი უნდა იქნეს 30 დღეში, მას შემდეგ, რაც პირისთვის ცნობილი გახდა მისი უფლების შემლახავი გადაწყვეტილების მიღება, ამასთან, ამონურული უნდა იქნეს კანტონის იურისდიქციის დონეზე მისი გასაჩივრების ყველა საშუალება. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ აბსტრაქტული ნესით საქმის განხილვისას საჯარო-სამართლებრივი საჩივრის დაუკმაყოფილებლობა არ გამორიცხავს ამ ნორმატიული აქტის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების კონკრეტული ნესით განხილვის შესაძლებლობას.

ადგილობრივი მართვის ორგანიზაცია. კანტონები იყოფა მუნიციპალიტეტებად. მუნიციპალიტეტი აღიარებულია საჯარო სამართლის კორპორაციად, იურიდიული პირის თვისებებით გამოირჩევა და მისი საქმიანობა სახელმწიფო ტერიტორიის შესაბამისი ნაწილით არის შემოსაზღვრული. ამჟამად შვეიცარიაში 2831 მუნიციპალიტეტია, რომელთა 3/5 უდიდეს 6 კანტონშია თავმოყრილი.

მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები მისი ქონებისა და ფინანსების განკარგვის, გადასახადების დანესების, დანებებით და საშუალო განათლების საკითხებზე, უზრუნველყოს საზოგადოებრივი ნესრიგი, სახანძრო უსაფრთხოება, ნყლისა და ენერგომომარაგების სისტემების გამართული ფუნქციონირება, დაიცვას ბუნება, გააკონტროლოს ვაჭრობა, მიმდინარე მშენებლობები და ა.შ.

შვეიცარიაში არ არსებობს ადგილობრივი მმართველობის უნიფიცირებული სისტემა და სხვადასხვა კანტონში, იგი აქ არსებული ტრადიციებისა და ნეს-ჩვეულებების გათვალისწინებით მნიშვნელოვანი თავისებურებებით ხასიათდება. კანტონების აბსოლუტურ უმრავლესობაში მუნიციპალიტეტების ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს ამომრჩეველთა საერთო კრება წარმოადგენს, რომელიც ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტის შესაძლებლობით არის აღჭურვილი. საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება აქვს მუნიციპალიტეტის ყველა მაცხოვრებელს, რომლებიც ფედერალური ან კანტონალური კანონმდებლობით საარჩევნო ხმის უფლებით სარგებლობენ. მსგავსი კრების ფუნქციონირება არ გამორიცხავს არჩევითი ორგანოების არსებობას.

სამ ფრანგულენოვან კანტონში – ვოში, ტოჩინოში და ვენევაში მუნიციპალიტეტების ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს ადგილობრივი პარლამენტები წარმოადგენენ. მათი უფლებამოსილების სფერო ადგილობრივი ბიუჯეტის განსაზღვრით, ადგილობრივი გადასახადების დანესებით, ქონების განკარგვით და აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადმინისტრაციის საქმიანობაზე კონტროლის განხორციელებით შემოიფარგლება.

აბსოლუტურად ყველა კანტონის მუნიციპალიტეტში აღმასრულებელ ხელისუფლებას სპეციალური კოლეგიური ორგანოები ახორციელებენ, რომელთა შექმნის ნესი და ნევრების ზღვრული ოდენობა კანტონების

კონსტიტუციებით განისაზღვრება. საერთო წესით ამ ორგანოების შემადგენლობას 3-დან 9 წევრამდე 4 წლით მუნიციპალიტეტის ამომრჩეველები აირჩევენ. მათ ძირითად ფუნქციას წარმოადგენს ოპოზიციით ორგანოს თუ საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულება წარმოადგენს. ამ ორგანოს თავმჯდომარეს ხშირად ფართო უფლებამოსილებები აქვს და ეთნიკური თუ ტერიტორიული ფაქტორების გათვალისწინებით მოიხსენიებენ ვოს, ტიჩინოს და ფრიბურის კანტონებში სინდიკად, გერმანულენოვან კანტონებში – პრეზიდენტად, ხოლო ჟენევისა და ყურას კანტონებში მერად.

მუნიციპალიტეტებს აქვთ ერთმანეთს შორის კოოპერირების შესაძლებლობა, იქნება ეს მუნიციპალიტეტშორისი შეთანხმება თუ მათი ასოციაცია. პირველ შემთხვევაში იდება ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმება განათლების, გარემოს დაცვის და ტერიტორიების კეთილმონყოფასთან დაკავშირებით, ხოლო ასოციირების დროს, ერთი ან რამდენიმე ამოცანის შესასრულებლად, შეიძლება წარმოიქმნას მუნიციპალიტეტების ზემდგომი ორგანო, რომელიც წარმართავს მის გამგებლობაში გადაცემულ საკითხებს.

მუნიციპალიტეტების ავტონომიურობა ნიშნავს მათ აბსოლუტურ დამოუკიდებულებას. კანტონების კანონმდებლობა, საერთო წესის თანახმად, მუნიციპალიტეტის საქმიანობაში ჩარევის შესაძლებლობას იძლევა, რაც ძირითადად, რომელიმე პირის საჩივრის და თანამდებობრივი უფლებამოსილების, მოვალეობის შესრულების საფუძველზე იწყება. ჩარევა ხორციელდება ინფორმაციის გამოთხოვნით და მუნიციპალიტეტის მიერ მიღებულ გარკვეულ გადაწყვეტილებაზე თანხმობის შექანიზმით. ამგვარ თანხმობას საჭიროებს, მაგალითად, გადაწყვეტილებები კრედიტის გამოყენების და უძრავი ქონების განკარგვის თაობაზე. ზოგიერთ შემთხვევაში კანტონები უფლებამოსილი არიან პირდაპირ ჩაერიონ მუნიციპალიტეტის საქმეებში და გააუქმონ მისი ორგანოების მიერ მიღებული აქტები, თანამდებობის პირის მიერ ხელისუფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევაში.

კანტონების უმრავლესობაში, უმდაბლეს ტერიტორიულ ერთეულებზე კონტროლის განხორციელების მიზნით იქმნება სპეციალურად უფლებამოსილი პრეფექტის თანამდებობა, რომელიც კანტონებისა და მუნიციპალიტეტების საქმიანობის კოორდინაციის ფუნქციით არის აღჭურვილი. პრეფექტი აირჩევა ან ინიშნება ამომრჩეველთა კორპუსის მიერ და ხშირად ფართო უფლებამოსილებებიც აქვს. ამ მიზნით შეიძლება შეიქმნას, აგრეთვე, სპეციალური დეპარტამენტები, ხოლო თავად კანტონების მთავრობები იშვიათად ერევიან მუნიციპალიტეტების საქმიანობაში.

შვეიცარიაში, ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაზე კონტროლის ორი საშუალება გამოიყენება. კონტროლი ხორციელდება მუნიციპალიტეტის ხელისუფლების ორგანოების აქტების კანონიერებასა და მათ მიზანშეწონილობაზე, რომელთაგან კონტროლის მეორე სახე მნიშვნელოვანდ ზღუდავს თემების ავტონომიას.



შვეიცარიის კონსტიტუციური სამართლის განსაკუთრებული თავისებურებანი. შვეიცარია მეტად ორიგინალური ქვეყანაა და მისი სახელმწიფო სამართალი მნიშვნელოვანი თავისებურებით ხასიათდება:

– შვეიცარიაში, სამართლის პრინციპები მიიღება კონსტიტუციური სამართლის დამოუკიდებელ წყაროდ და სამართლის საერთო პრინციპების სახით მოიაზრება დაუნერვლი, ე.წ. პოზიტიური ნორმები, რომლებშიც გამოხატულია მოცემული სამართლებრივი სისტემის ძირითადი საწყისები. ასე რომ, შვეიცარიის კონტინენტურ სამართალში საერთო სამართლის გავლენაც იგრძნობა, ზოგიერთი ადათების სამართლის წყაროდ დამკვიდრების მაგალითებსაც თუ გავითვალისწინებთ;

– კონსტიტუციით აღიარებულმა შვეიცარიის კონფედერაციამ დროთა განმავლობაში სახე იცვალა. შვეიცარიის კონსტიტუციის განვითარება იმ გზით წარიმართა, რომ იგი ახლა მხოლოდ ოფიციალური სახელწოდებითაა კონფედერაცია, თორემ თავისი არსით, კარგა ხანია ფედერალურ რესპუბლიკას წარმოადგენს;

– შვეიცარიაში არსებობს სამმაგი მოქალაქეობა: ფედერაციის, კანტონის, მუნიციპალიტეტის. ამასთან, უმნიშვნელოვანესად მიჩნეულია მუნიციპალიტეტის მოქალაქეობა, რომელიც ავტომატურად გულისხმობს მოქალაქეობის დანარჩენ ორ სახეს;

– შვეიცარიაში, ზოგიერთ კანტონსა და უმდაბლეს ტერიტორიულ ერთეულში საარჩევნო კორპუსი განიხილება, როგორც ხელისუფლების ძირითადი წყარო. მით უმეტეს, რომ კანტონებში, როგორც წესი, მთავრობის ფორმირება ხდება ამომრჩევლების მიერ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს, აგრეთვე, ლანგემანდის სისტემა, რაც თავისი არსით გულისხმობს კანტონალური გადაწყვეტილებების მიღებას ამომრჩეველთა საერთო კრებაზე;

– ფედერალური კრების ქვედა პალატაში – წარმომადგენლობით პალატაში არჩევნები რეგულირდება ფედერალური კანონით, ხოლო ზედა პალატაში — სენატში ადგილობრივი კანონმდებლობით. ამასთან, კანტონების საარჩევნო კანონმდებლობა პრინციპების დონეზეც კი ერთობ განსხვავდება;

– მუნიციპალიტეტებში ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნები შესაბამისი კანტონის მიერ მიღებული კანონითა და დადგენილი წესებით ტარდება, მაგრამ აღნიშნული კანონები აუცილებლად საჭიროებენ ფედერალური მთავრობის – ფედერალური საბჭოს დამტკიცებას;

– შვეიცარიის კონსტიტუციური სამართლისათვის ცნობილია განვევის ინსტიტუტი, რაც თავისი არსით გულისხმობს ამომრჩევლების მოთხოვნით, არჩევითი ორგანოებისა და თანამდებობის პირების დროზე ადრე გამოწვევას. როდესაც საუბარია პარლამენტარების განწვევაზე, იგულისხმება პალატა მთლიანად და არა მისი ცალკეული წევრები;

– ფედერალური საბჭო შვეიცარიული კონსტიტუციონალიზმის ერთობ ორიგინალური გამოგონებაა. ეს არის კოლეგიური ორგანო, რომელიც საე-

რთოდ უარყოფს ლიდერობის პერსონიფიცირებას და არც თავის შემადგენლობის წრეში პყავს გამოკვეთილი ლიდერი. ეს არის მთავრობა პრემიერ-მინისტრის, ანუ მეთაურის გარეშე და კონსტიტუციურ სამართალში კოლექციური სახელმწიფო მეთაურის სახით შემოდის;

– დამკვიდრებული ადათის მიხედვით ქვეყნის ოთხ მთავრეს პოლიტიკურ ძალას შორის ფედერალურ მთავრობაში ადგილები 2:2:2:1 ფორმულით ნანილდება, თანაც ისე, რომ გათვალისწინებულ უნდა იქნეს მთავრობაში რეგიონების წარმომადგენლობის პრინციპიც;

– შვეიცარიის პრეზიდენტი არ წარმომადგენს სახელმწიფოს მეთაურს ამ ტერმინის სრული გაგებით. ერთნაირი „მორიგე“ პრეზიდენტი წარმომადგენლობითი ფუნქციის მატარებელი ფიგურაა და განსაკუთრებულ პრეროგატივებს არ ფლობს, იქამდე, რომ პრეზიდენტობას იმ დეპარტამენტის ხელმძღვანელობას უთავსებს, რომლის საქმიანობის წარმართვაც ფედერალური საბჭოს ნევრობასთან ერთად ეკისრებოდა;

– კონტინენტური სამართლის სახელმწიფოებისაგან განსხვავებით შვეიცარიის სასამართლო ორგანოები, იმ შემთხვევაში, როდესაც კონკრეტულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელი ხდება კანონმდებლობაში არსებული ხარვეზებისა და სათანადო პრინციპის ან ნორმის მოქმედების გამო, სასამართლო პრეცედენტს ქმნის და სამართალშემოქმედებით დატვირთვას იღებს თავის თავზე;

– კანტონების დონეზე მოსამართლეები აირჩევიან პირდაპირ მოსახლეობის ან კანტონების სახელისუფლებო ორგანოების მიერ, სხვადასხვა ვადით. თუმცა, რამდენიმე კანტონში მოსამართლეები ზემდგომი სასამართლო ინსტანციის მიერ ინიშნებიან;

– მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო ზედამხედველობისა და კონტროლის იდეა, როგორც ასეთი, შვეიცარიის კონსტიტუციის მიერ დაფიქსირებულიც არ არის, თამამად შეიძლება ითქვას, რომ შვეიცარიის ფედერალურმა სასამართლომ, პირველმა ევროპაში, იტვირთა საკონსტიტუციო ზედამხედველობის ფუნქცია, როდესაც კონსტიტუციამ მას ადამიანთა კონსტიტუციური უფლებების დარღვევის თაობაზე საჯარო-სამართლებრივი საჩივრების განხილვა დააკისრა.

## ავტორთა შესახებ

**აზმაიფარაშვილი დავითი** – დაიბადა 1981 წლის 10 მაისს. 1998 წელს ჩაირიცხა და სწავლობს თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის მეხუთე კურსზე. მეოთხე კურსზე დაამუშავა თემა – „ისრაელის კონსტიტუციური სამართალი“, რომელიც საუნივერსიტეტო კონფერენციაზე წარადგინა.

**გაბეხაძე დავითი** – დაიბადა 1979 წლის 28 აპრილს. 2001 წელს წარჩინებით დაამთავრა თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტი. „მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრის“ მიერ გამოცემულ ცნობარში – „მსოფლიო ქვეყნების სამართლებრივი სისტემები“ თანაავტორობით გამოაქვეყნა ნაშრომი შვეიცარიის შესახებ. სადიპლომო ნაშრომი შეასრულა თემაზე – შვეიცარიის კონსტიტუციური სამართალი.

**კახიძე ირაკლი** – დაიბადა 1981 წლის 29 აგვისტოს. 1998 წელს ჩაირიცხა და სწავლობს თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის მეხუთე კურსზე. მეოთხე კურსზე დაამუშავა თემა – „საბერძნეთის კონსტიტუციური სამართალი“, რომელიც საუნივერსიტეტო კონფერენციაზე წარადგინა.

**ლონდარიძე დავითი** – დაიბადა 1979 წლის 30 აგვისტოს. 2001 წელს წარჩინებით დაამთავრა თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტი. „მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრის“ მიერ გამოცემულ „კრებულში“ – „საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი“ თანაავტორობით გამოაქვეყნა ნაშრომი დიდი ბრიტანეთის შესახებ, ხოლო ცნობარში „მსოფლიო ქვეყნების სამართლებრივი სისტემები“ – ავსტრიისა და დიდი ბრიტანეთის შესახებ. სადიპლომო ნაშრომი შეასრულა თემაზე – ავსტრიის კონსტიტუციური სამართალი. ამჟამად სწავლას განაგრძობს ავსტრალიაში.

**მარინაშვილი მარინა** – დაიბადა 1980 წლის 20 აგვისტოს. 2002 წელს წარჩინებით დაამთავრა გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. ეგვიპტის სამართლებრივი სისტემის

პრობლემებზე მოხსენებით წარსდგა საუნივერსიტეტო და რესპუბლიკურ კონფერენციებზე. სადიპლომო ნაშრომი შეასრულა თემაზე – ეგვიპტის კონსტიტუციური სამართალი.

**მელაძე გიორგი** – დაიბადა 1980 წლის 10 იანვარს. 2002 წელს წარჩინებით დაამთავრა თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტი „მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრის“ მიერ გამოცემულ ცნობარში – „მსოფლიო ქვეყნების სამართლებრივი სისტემები“ თანაავტორობით გამოაქვეყნა ნაშრომი ინდოეთსა და ირანზე. სადიპლომო ნაშრომი შეასრულა თემაზე – ინდოეთის კონსტიტუციური სამართალი.

**მელქაძე ოთარი** – დაიბადა 1938 წლის 8 აპრილს. არის იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ს სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრის პროფესორი. ხელმძღვანელობს მის მიერ დაფუძნებულ „მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევით ცენტრს“. გამოცემული აქვს 18 მონოგრაფია (6 თანაავტორობით), მისი ხელმძღვანელობით შედგენილია 4 კრებული და ცნობარი, გამოაქვეყნა 80-მდე ნერილი საქართველოს, საფრანგეთის, რუსეთის, ჩეხეთისა და უნგრეთის იურიდიულ ჟურნალებში, „ტასისის“ და გაეროს განვითარების პროგრამის ინგლისურენოვან გამოცემებში.

**რამიშვილი ნუცა** – დაიბადა 1980 წლის 30 აგვისტოს. 2002 წელს წარჩინებით დაამთავრა თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტი. „მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრის“ მიერ გამოცემულ ლიტერატურის სერიაში თანაავტორობით გამოცემული აქვს მონოგრაფია „გერმანიის კონსტიტუციური სამართალი“, კრებულში – „საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი“ გამოაქვეყნა ნაშრომი გერმანიაზე, ხოლო ცნობარში – „მსოფლიო ქვეყნების სამართლებრივი სისტემები“ – გერმანიისა და შვედეთის შესახებ. სადიპლომო ნაშრომი შეასრულა თემაზე – შვედეთის კონსტიტუციური სამართალი.

**რუხაძე ნინო** – დაიბადა 1979 წლის 3 სექტემბერს. 2002 წელს წარჩინებით დაამთავრა თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტი. მეხუთე კურსზე შეასრულა სადიპლომო ნაშრომი თემაზე – „პოლონეთის კონსტიტუ-

ციური სამართალი". ამჟამად მუშაობს საქართველოს პრეზიდენტის კანცელარიის იურიდიულ სამსახურში.

**ხუციშვილი შალვა** – დაიბადა 1980 წლის 19 აგვისტოს. 2002 წელს წარჩინებით დაამთავრა თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტი. „მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრის“ მიერ გამოცემულ ცნობარში – „მსოფლიო ქვეყნების სამართლებრივი სისტემები“ თანაავტორობით გამოაქვეყნა ნაშრომი პორტუგალიასა და ირანზე. სადიპლომო ნაშრომი შეასრულა თემაზე – პაკისტანის კონსტიტუციური სამართალი.

*„მსოფლიო პარლამენტარიზმის ევლევითი ცენტრი“ რომელსაც იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ოთარ მელქაძე თაოსნობს, გამოსცემს პოლიტიკურ-სამართლებრივი ლიტერატურის სერიას.*

## **ენიამდებარე ცნობარი ამ სერიის მეთექვსმეტე ნიგნია**

### **უკვე გამოცდა:**

ო. მელქაძე. საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო სამართალი; უცხოელ ავტორთა კრებული – რესპუბლიკა: საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო;

*შემდგენელი და რედაქტორი ო. მელქაძე*

ო. მელქაძე. საუბრები ქართულ კონსტიტუციაზე;

ო. მელქაძე. სახელმწიფო კონტროლი: თეორია, პრაქტიკა, პერსპექტივა;

გ. კვარენჩილაძე, ო. მელქაძე. საფრანგეთის სახელმწიფო სისტემა;

ო. ბეუიჩაშვილი, ო. მელქაძე. იტალიის სახელმწიფო სისტემა;

ო. მელქაძე, კ. ყურაშვილი. რუსეთის სახელმწიფო სისტემა;

საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი, კრებული I – აშშ, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, იაპონია, იტალია, კანადა, რუსეთი, საფრანგეთი, უნგრეთი;

ავტორთა კოლექტივის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი ო. მელქაძე

ო. მელქაძე, ნ. რამიშვილი. გერმანიის კონსტიტუციური სამართალი;

ო. მელქაძე. საფინანსო კონტროლი ევროპულ ქვეყნებში;

ო. მელქაძე, ბ. დვალი. სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში;

მსოფლიო ქვეყნების სამართლებრივი სისტემები (30 ქვეყანა), ნაწილი I.

ავტორთა კოლექტივის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი ო. მელქაძე

ო. მელქაძე. ქართული კონსტიტუციონალიზმის თანამედროვე პრობლემები (ქართულ და ინგლისურ ენებზე);

ო. მელქაძე, ო. მახარაძე. პოლიტიკური ხელისუფლების ორგანიზაცია საპარლამენტო სისტემის ქვეყნებში (ქართულ პრობლემებთან დაკავშირებით);

ო. მელქაძე, ზ. ეზუგბაია. მუნიციპალური სამართალი, ნაწილი I.

### **მზადდება გამოსაცემად:**

ო. მელქაძე. შედარებითი კონსტიტუციური სამართალი.

ო. მელქაძე, ზ. ეზუგბაია. მუნიციპალური სამართალი, ნაწილი II.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 24.12.2002  
ქალაქის ზომა 60X84 1/16.  
საბეჭდი ქალაქი ოფსეტური.  
ოფსეტური ბეჭდვა. ნაბეჭდი თაბახი 16.  
ბრძანება №40. შეკვეთა №99  
ტირაჟი 500 .

გამომცემლობა „ფაფორიტი“,  
თბილისი, ქიზიყის ქ. №20.  
2002 წ.